

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
იურიდიული ფაკულტეტი

საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები  
ქართულ სასამართლო პრაქტიკაში

**სამეცნიერო რედაქტორი**

თამარ ზარანდია (თსუ, სამართლის დოქტორი, ასოც. პროფესორი)

**ავტორთა ჯგუფი**

ლადო ჭანტურია (თსუ, სამართლის დოქტორი, პროფესორი)

თამარ ზარანდია (თსუ, სამართლის დოქტორი, ასოც. პროფესორი)

გიორგი ცერცვაძე (თსუ, სამართლის დოქტორი, ასოც. პროფესორი)

თამარ ზოიძე (თსუ, სამართლის დოქტორი, ასისტ. პროფესორი)

ნათია ჩიტაშვილი (თსუ, სამართლის დოქტორი, ასისტ. პროფესორი)

## შინაარსი

სამოქალაქო სამართალი. ზოგადი ნაწილი.....	3
სანივთო სამართალი.....	13
ვალდებულებითი სამართალი .....	105
საკორპორაციო სამართალი .....	264
საერთაშორისო სამოქალაქო პროცესი საარბიტრაჟო სამართალი.....	287

ლადო ჭანტურია\*

გარიგების ბათილობა „კანონისაგან განსხვავებული წესის“ დადგენის გამო - იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის გადაცემა იპოთეკარის საკუთრებაში

საქმე № ას- 1283-1538-09\*\*

შესავალი

2010 წლის 25 მაისს უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება (N ას- 1283-1538-09 კორ სტანდარტ ბანკი), რომელშიც მნიშვნელოვანი განმარტება გაკეთდა სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლით გათვალისწინებულ იპოთეკარზე საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებით. გადაწყვეტილებამ გავლენა მოახდინა კანონმდებელზეც: 2013 წლის 25 დეკემბერს ცვლილება შევიდა მე-300 მუხლში და ის ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა.<sup>1</sup> ამ საკანონმდებლო ცვლილების მიუხედავად პრობლემა მაინც იმსახურებს ყურადღებას.

დავა განეკუთვნება 2007 წლის 29 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებით<sup>2</sup> გამოწვეული დავების კატეგორიას. ადრე ამ კატეგორიის დავები უცნობი იყო, ვინაიდან იკრძალებოდა იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის საკუთრების პირდაპირი გადაცემა იპოთეკარზე.<sup>3</sup> იპოთეკარისათვის საკუთრების პირდაპირი გადაცემის მოთხოვნის უფლების მინიჭება იპოთეკის ატიპური დანამატია და ის არ წარმოადგენს კლასიკური გაგებით იპოთეკის შინაარსის ელემენტს.<sup>4</sup> ჩვეულებრივ, იპოთეკა იპოთეკარს ანიჭებს იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციის და ამ რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლით თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლებას. ამიტომ აღნიშნული ხასიათის დავების წარმოშობა 2007 წლის საკანონმდებლო ნოველის შემოღებისას წინასწარ იყო დაპროგრამებული, ვინაიდან საკუთრების უფლების

---

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, მრავალგზის საპატიო დოქტორი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე.

\*\* საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება.

<sup>1</sup> საქართველოს 2013 წლის 25 დეკემბრის კანონი N1864 - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (სსმ), 30.12.2013.

<sup>2</sup> საქართველოს 2007 წლის 29 ივნისის კანონი N5127 - სსმ I, N27, 17.07.2007 წ., მუხ. 260.

<sup>3</sup> სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის მე-2 ნაწილის 2007 წლამდე მოქმედი რედაქციის თანახმად, ბათილი იყო შეთანხმება, რომლითაც უძრავ ნივთზე საკუთრება მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში პირდაპირ გადადიოდა იპოთეკარზე. იხ. *ჭანტურია ლ.*, საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, თ., 1999, 95.

<sup>4</sup> მაგალითად, *Kessal-Wulf S.*, Recht der Kreditsicherung, in Staudinger BGB Eckpfeiler des Zivilrechts, Sellier de Gruyter, 2012/2013, Rn. 102 ff.

გადაცემის ვალდებულება ახალ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობას წარმოშობს, რომელშიც დიდი ვარაუდით ნივთის მესაკუთრე არ არის დაინტერესებული იპოთეკარისათვის საკუთრების გადაცემით. ამ ვითარების თავიდან ასაცილებლად კრედიტორი თავიდანვე ცდილობს გამორიცხოს მესაკუთრის მხრიდან მოთხოვნის დაკმაყოფილების გაჭიანურების შესაძლებლობა და ხელშეკრულებაში საკუთრების გადაცემის იოლ პროცედურას განამტკიცებს.

რადგან დავის საგანს წარმოადგენს ხელშეკრულების დებულების ბათილად გამოცხადება, რელევანტურია სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი მე-300 მუხლის მე-2 ნაწილთან კავშირში (2013 წლამდე მოქმედი რედაქცია, ამჟამად მოქმედი მე-300 მუხლის პირველი ნაწილი).

### საქმის ფაქტობრივი გარემოებები

დავის საგანია მხარეებს შორის დადებული იპოთეკის ხელშეკრულების დებულება (ხელშეკრულების მე-9 მუხლი), რომლითაც ვალისა და მასზე დარიცხული პროცენტის ვადაში დაუბრუნებლობის შემთხვევაში მოპასუხეს უფლება მიენიჭა, მესაკუთრის დამატებითი ნებართვის გარეშე, პირდაპირ დაესაკუთროს იპოთეკით დატვირთულ ნივთს, ე.ი. გამოცხადდეს საჯარო რეესტრში და მოითხოვოს საკუთრების გადაფორმება იპოთეკარის სახელზე.

ხელშეკრულების დადებისას მხარეები დეტალურად შეთანხმდნენ იპოთეკარზე საკუთრების გადაცემისა და რეესტრში რეგისტრაციის პროცედურაზე, კერძოდ, „იპოთეკარი სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით (სადაც დამოწმებული უნდა იყოს მხოლოდ ხელმოწერა) მიმართავს საჯარო რეესტრს იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლის შესახებ. საჯარო რეესტრი არ ამოწმებს ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტს. იპოთეკარი და მესაკუთრე სთხოვენ საჯარო რეესტრს, რომ იპოთეკარისაგან ზემოაღნიშნული განცხადების მიღების შემდეგ, მესაკუთრისაგან რაიმე დამატებითი თანხმობის გამოთხოვის გარეშე, საჯარო რეესტრმა დაარეგისტრიროს იპოთეკარის საკუთრების უფლება.“

სადავო იყო, თუ რამდენად შეესაბამება პროცედურის შესახებ მხარეთა შეთანხმება მე-300 მუხლის მე-2 ნაწილის მაშინდელ რედაქციას (დღეს მოქმედი მე-300 მუხლის პირველ ნაწილს), რომლის თანახმად საკუთრების გადაფორმებისათვის „კრედიტორი (იპოთეკარი) და იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრე ამის თაობაზე ერთობლივი განცხადებით მიმართავენ მარეგისტრირებელ ორგანოს.“

განსხვავებით პირველი ინსტანციის სასამართლოსაგან, სააპელაციო და უზენაესმა სასამართლოებმა ხელშეკრულების 9.2-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურა „კანონისგან სრულიად განსხვავებულ წესად“ შეაფასეს და 54-ე მუხლის საფუძველზე ბათილად მიიჩნიეს. სასამართლოს აზრით, „იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლას წინ უნდა უსწრებდეს მოთხოვნის დაკმაყოფილების გაჭიანურების გამო მხარეთა ერთობლივი განცხადება“ და მხოლოდ კრედიტორის (იპოთეკარის) გამოცხადება საჯარო რეესტრში საკუთრების გადასაფორმებლად, თუნდაც ეს ხელშეკრულებით იყოს გათვალისწინებული, არ არის საკმარისი.

## სასამართლოს არგუმენტები

მე-300 მუხლის მე-2 ნაწილის (ახალი რედაქციის პირველი ნაწილი) მიხედვით, კრედიტორზე (იპოთეკარზე) საკუთრების უფლების პირდაპირ გადაცემისთვის, სასამართლოს აზრით, აუცილებელია სამი წინაპირობის არსებობა: პირველი, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის ფაქტი; მეორე, კრედიტორისა და მოვალის შეთანხმება იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის თაობაზე; მესამე, რეგისტრაციის მიზნით ამ შეთანხმების წარდგენა საჯარო რეესტრში. გადამწყვეტი საკუთრების გადაცემისთვის, სასამართლოს შეფასებით, არის „მოთხოვნის დაკმაყოფილების გაჭიანურების გამო მხარეთა ერთობლივი განცხადება“. პირველი ორი წინაპირობის არსებობა საკმარისი არ არის იმისთვის, რომ საკუთრების გადასვლა იპოთეკარის ცალმხრივი აქტიურობით (მაგალითად, რეესტრში განცხადების ან ხელშეკრულების მიტანა) განხორციელდეს.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ეყრდნობა კანონისეულ ტერმინოლოგიას „ერთობლივი განცხადებით მიმართვის“ თაობაზე, თვით ეს ცნება მოითხოვს განმარტებას, რადგან „ერთობლივი განცხადება“ გარეგნულად შეიძლება რამდენიმე ფორმით გამოიხატოს.

### „რეესტრში ერთობლივი განცხადებით მიმართვის ცნება“

რეესტრში ერთობლივი განცხადებით მიმართვა შესაძლებელია გაგებულ იქნეს როგორც რეესტრში მხარეების ფიზიკურ გამოცხადებად, ან წარმომადგენლის მეშვეობით, ანდა ერთიანი დოკუმენტის შედგენის გზით გამოცხადებად. ასევე შესაძლებელია ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის წარდგენით საკუთრების გადასვლის რეგისტრირება.

#### - რეესტრში ფიზიკურად გამოცხადება

„ერთობლივი განცხადებით მიმართვა“ შესაძლოა გაგებულ იქნეს საჯარო რეესტრში მესაკუთრისა და იპოთეკარის ერთობლივ ფიზიკურად გამოცხადებად, რასაც სასამართლო, როგორც ჩანს, უპირატესობას ანიჭებს. ასეთ შემთხვევაში პრობლემური იქნება ფიზიკურად არგამოცხადების სამართლებრივი შედეგი. ეს იქნება არა ბათილობის საფუძველი 54-ე მუხლის მიხედვით, არამედ მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევა, რაც კრედიტორს მიანიჭებს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლებას 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით.

ერთობლივი განცხადებით მიმართვა არ უნდა ნიშნავდეს მხარეთა ფიზიკურ გამოცხადებას. ასეთ შემთხვევაში გასარკვევია, შეიძლება თუ არა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დელეგირება თვით იპოთეკარზე მინდობილობის გაცემით განხორციელდეს.

#### - გამოცხადება წარმომადგენლის მეშვეობით

ერთობლივი განცხადებით მიმართვა შესაძლოა განხორციელდეს ორივე ან ერთ მხარეზე წარმომადგენლის მეშვეობით 103-ე მუხლის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში სახეზე იქნება ერთობლივი განცხადებით მიმართვა საჯარო რეესტრში.

წარმომადგენლისათვის მესაკუთრის სახელით მოქმედების უფლების დელეგირება შეიძლება განხორციელდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის დადგომამდე, წინასწარ მინდობილობის გაცემით. სასამართლოს შეფასებით, სადავო ხელშეკრულებაში მესაკუთრის მიერ გამოვლენილი ნება ნაკლის მქონეა, ვინაიდან იგი კანონით დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ, წინასწარ არის გამოვლენილი: მე-300 მუხლის მეორე ნაწილით (ამჟამინდელი პირველი ნაწილი), „მხარეთა ერთობლივ განცხადებას წინ უნდა უსწრებდეს ვალდებულების დარღვევის ფაქტი“.

114-ე მუხლის მიხედვით არ შეიძლება წარმომადგენელმა წარმოდგენილი პირის სახელით საკუთარ თავთან თავისი სახელით ან, როგორც მესამე პირის წარმომადგენელმა, დადოს გარიგება. მაშასადამე, იპოთეკარს არ შეუძლია მოვალის მინდობილობის საფუძველზე გამოცხადდეს რეესტრში და გადაიფორმოს საკუთრების უფლება იპოთეკით დატვირთულ უძრავ ნივთზე.

*- ერთიანი დოკუმენტის შედგენა ორივე მხარის ხელმოწერით*

ერთობლივი განცხადებით მიმართვა შეიძლება გამოიხატოს ერთიან დოკუმენტში, რომელსაც მხარეები ადგენენ განცხადების ან საჯარო რეესტრში წინასწარ დატოვებული მესაკუთრის თანხმობის ჩანაწერის ფორმით. ერთობლივი განცხადება შეიძლება დამოწმდეს როგორც სანოტარო წესით, ისე პირდაპირ საჯარო რეესტრში. მთავარია, რომ საკუთრების გადაცემის ნება განხორციელდეს კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის ინსტრუქციის მე-18 მუხლის თანახმად, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის შესაბამისად, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლისას, კრედიტორის საკუთრების უფლების რეგისტრაცია წარმოებს კრედიტორისა და მოვალის ერთობლივი განცხადების საფუძველზე, რომელშიც აღნიშნულ უნდა იქნეს ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტის დადგომის გამო იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის შესახებ“.

სადავო ხელშეკრულების 9.2 მუხლის თანახმად, იპოთეკარი მიმართავს საჯარო რეესტრს სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით, რომლითაც იპოთეკარი და მესაკუთრე საჯარო რეესტრს თხოვენ, იპოთეკარისაგან ზემოაღნიშნული განცხადების მიღების შემდეგ, მესაკუთრისაგან რაიმე დამატებითი თანხმობის გამოთხოვის გარეშე, იპოთეკის საგანზე იპოთეკარის საკუთრების უფლების დარეგისტრირებას. სასამართლო ამ პირობას მიიჩნევს მე-300 მუხლის მე-2 ნაწილის (ამჟამად პირველი ნაწილი) იმპერატიული დანაწესის საწინააღმდეგოდ, რაც მისი ბათილობის საფუძველია.

*- ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი*

ერთობლივი განცხადების მარეგისტრირებელ ორგანოში მიმართვის მიუღწევლობის შემთხვევაში მე-300 მუხლის მესამე ნაწილის დღეს მოქმედი რედაქცია იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ საკუთრების გადასვლა იპოთეკარზე განხორციელდეს ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. 2013 წლამდე მოქმედი მე-300 მუხლი პირდაპირ არ ითვალისწინებდა ამის შესაძლებლობას, თუმცა 302-ე მუხლის მე-3<sup>1</sup> ნაწილი განამტკიცებდა ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე იპოთეკარზე საკუთრების გადასვლის შესაძლებლობას.

ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის არსებობისას საკმარისია იპოთეკარის მიერ საჯარო რეესტრისათვის სააღსრულებო ფურცლის წარდგენა. საჯარო რეესტრს არ ეკისრება მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის ფაქტის გამოკვლევა და საჯარო რეესტრში არც მხარეთა ერთობლივი გამოცხადება არის სავალდებულო.<sup>5</sup>

2013 წლის საკანონმდებლო ნოველამ მე-300 მუხლის მე-3 ნაწილში ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი მარეგისტრირებელ ორგანოში ერთობლივი განცხადების ალტერნატივად განამტკიცა, რითაც არაპირდაპირ ხაზი გაუსვა იმას, რომ საკუთრების გადაცემა იპოთეკარისათვის შესაძლებელია მხარეთა ერთობლივი გამოცხადების გარეშეც.

#### - შუალედური დასკვნა

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, „ერთობლივი განცხადებით მიმართვა მარეგისტრირებელ ორგანოში“ არ ნიშნავს იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრისა და იპოთეკარის ერთობლივ პიროვნულ, ფიზიკურ და ერთდროულ გამოცხადებას საჯარო რეესტრში საკუთრების გადაფორმების მიზნით.

უზენაესი სასამართლო მხარს უჭერს „ერთობლივი განცხადებით მიმართვის“ უფრო ვიწრო გაგებას და მოითხოვს ხელშეკრულების მხარეების მიერ რეესტრში ერთობლივად გამოცხადებას მხოლოდ მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევის ფაქტის დადგომის შემდეგ. წინასწარ ერთობლივი დოკუმენტის შედგენის გზით, თუნდაც ეს დოკუმენტი სანოტარო წესით იყოს დამოწმებული (დადასტურებული), იპოთეკარისათვის საკუთრების უფლების გადაცემის დელეგირებას სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს.

#### **იპოთეკის, როგორც სანივთო გარიგების, არგუმენტი**

ხელშეკრულების სადავო დებულების ბათილობის ერთ-ერთ საფუძველად სასამართლო მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ იპოთეკის ხელშეკრულება არის სანივთო გარიგება და, განსხვავებით ვალდებულებითსამართლებრივი გარიგებისაგან, სახელშეკრულებო თავისუფლება შეზღუდულია. შესაბამისად, სასამართლოს აზრით, სანივთო ხელშეკრულებების დადებისას მხარეებმა შეთანხმებული პირობები უნდა მიუსადაგონ კანონს. სასამართლოს აზრით, მე-300 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები (მველი რედაქციით) იპოთეკის შინაარსის იმპერატიულ დანაწესს წარმოადგენს და მისი

<sup>5</sup> *ქანტურია ლ.*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., ჟურნ. „სამართალი“, 2012, 104.

შეცვლის უფლება მხარეებს არ ჰქონდათ. სასამართლო მიიჩნევს, რომ სწორედ ამის გამო არის მხარეთა შეთანხმება ბათილი.

- *იპოთეკა როგორც სანივთო უფლება*

იპოთეკა წარმოადგენს სხვის უძრავ ნივთზე **შეზღუდულ სანივთო უფლებას**, რომელიც საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შედეგად წარმოიშობა.<sup>6</sup> უზენაესი სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ამ **უფლების შინაარსი კანონით არის დადგენილი** და მისი შეცვლა მხარეებს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ ფარგლებში შეუძლიათ.<sup>7</sup>

იპოთეკა იმავდროულად არის **აბსოლუტური უფლება**.<sup>8</sup> განსხვავებით სხვა სანივთო უფლებებისაგან, იპოთეკა აფუძნებს მხოლოდ სხვისი უძრავი ნივთის რეალიზაციის ან მასზე საკუთრების გადაცემის მოთხოვნის უფლებას. როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, განკარგვის უფლებას, რომელიც ჩვეულებრივ მესაკუთრის ექსკლუზიური უფლებაა, იპოთეკა ცალკე გამოჰყოფს და მას სანივთო უფლებად აქცევს.<sup>9</sup>

- *იპოთეკის ხელშეკრულება როგორც ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულება*

მართალია, იპოთეკა სანივთო უფლებას წარმოადგენს და მოთავსებულია სანივთო სამართალში, **შეთანხმება იპოთეკის შესახებ არის ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულება**. ამ ხელშეკრულებით უძრავი ნივთის მესაკუთრე კრედიტორის (იპოთეკარის) წინაშე იღებს ვალდებულებას, რომ ნაკისრი სხვა ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ითმინოს იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაცია ან საკუთრება მასზე გადასცეს კრედიტორს (286-ე მუხლის პირველი ნაწილი). პარალელის გავლება შეიძლება საკუთრების უფლებასთან. საკუთრების უფლება არის აბსოლუტური სანივთო უფლება, მაგრამ ნასყიდობის ან ჩუქების ხელშეკრულებები, რომლებითაც ხდება საკუთრების გადაცემა, წარმოადგენენ ჩვეულებრივ ვალდებულებით-სამართლებრივ ხელშეკრულებებს.

- *სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლები*

სახელშეკრულებო თავისუფლება იპოთეკის შესახებ შეთანხმებაზე ვრცელდება იმავე მოცულობით, რა მოცულობითაც ის გამოიყენება ნებისმიერი ხელშეკრულების მიმართ. მაგალითად, უძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემის ხელშეკრულება 323-ე მუხლის თანახმად, წერილობით უნდა დაიდოს. შესაბამისად, იპოთეკის ხელშეკრულების მიმართ ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევებზე საუბარი გაუმართლებელია.

<sup>6</sup> *ჭანტურია ლ.*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, 61.

<sup>7</sup> უზენაესი სასამართლოს სარეგენზიო გადაწყვეტილება.

<sup>8</sup> Kurt S., Sachenrecht nach Anspruchsgrundlagen, 3. Aufl., 2009, Rn. 830.

<sup>9</sup> იქვე, Rn. 559.

იპოთეკის ხელშეკრულების მხარეებს თავისუფლად შეუძლიათ განსაზღვრონ ვალდებულების სანივთო უზრუნველყოფის ამ საშუალების გამოყენების პირობები, საკუთრების უფლების გადაცემის ჩათვლით. ეს თავისუფლება არ ეხება იპოთეკარის დაკმაყოფილების ფორმებს, რომლებიც კანონით იმპერატიულად არის განსაზღვრული. 2007 წლის საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, უზრუნველყოფილი ვალდებულების (მოთხოვნის) შეუსრულებლობის ან შესრულების გაჭიანურების (უფრო კორექტულია ვადის გადაცილება 400-ე-404-ე მუხლების თანახმად) შემთხვევაში იპოთეკარს შეუძლია მოითხოვოს ან საკუთრების გადაცემა უძრავ ნივთზე (მე-300 მუხლი) ანდა უძრავი ნივთის რეალიზაცია (301-ე მუხლი).

- საკუთრების გადაცემა იპოთეკარზე ერთობლივი განცხადების საფუძველზე

უზენაესი სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება დაედო საფუძველად საკანონმდებლო ცვლილებას, რომლითაც სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლი ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა. კერძოდ, გაუქმდა პირველი ნაწილი, რომელიც იპოთეკარს უფლებას ანიჭებდა მესაკუთრისაგან მოეთხოვა საკუთრების გადაცემა იპოთეკით დატვირთულ უძრავ ნივთზე. ახალი რედაქციის მიხედვით, იპოთეკარის ამ უფლების რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ საჯარო რეესტრში მესაკუთრისა და იპოთეკარის ერთობლივი განცხადების საფუძველზე. ამით კანონმდებელმა გაიზიარა უზენაესი სასამართლოს პოზიცია.

ამჟამად მოქმედი მე-300 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იპოთეკარისათვის საკუთრების გადაცემის ინსტიტუტმა, როგორც უზრუნველყოფის საშუალებამ, პრაქტიკულად დაკარგა მნიშვნელობა. საკუთრების გადაცემის მაკვალიფიცირებელი პირობა არის ერთობლივი განცხადებით მარეგისტრირებელ ორგანოში მიმართვა.

ახალი რედაქციის თანახმად, მესაკუთრე არა მხოლოდ იღებს ვალდებულებას, საკუთრება გადასცეს იპოთეკარს მოვალის მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილების გაჭიანურებისას, არამედ დამატებით კისრულობს საჯარო რეესტრში გამოცხადების ვალდებულებასაც. შესაბამისად, იპოთეკარს შეუძლია მესაკუთრისაგან მოითხოვოს როგორც საკუთრების გადაცემა, ისე საჯარო რეესტრში გამოცხადება.

მოთხოვნის იძულებით განხორციელებასთან დაკავშირებით პრობლემა მდგომარეობს შემდეგში: თუ მხარეები ნებაყოფლობით არ ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს, მატერიალურსამართლებრივი მოთხოვნის იძულებით განხორციელებას სჭირდება იძულებითი აღსრულების ტიტული.<sup>10</sup> გართულების თავიდან აცილების მიზნით, ბანკების მიერ შემუშავებული სტანდარტული პირობების თანახმად მესაკუთრეები ხელშეკრულების დადებისას ახდენენ საჯარო რეესტრში მისამართ განცხადებაზე ხელმოწერის დელეგირებას წინასწარ იმ ვარაუდით, რომ საკუთრების გადაფორმებისას სავალდებულო არ იყოს მესაკუთრის გამოცხადება საჯარო რეესტრში.<sup>11</sup>

<sup>10</sup> ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, 103.

<sup>11</sup> შოთაძე თ., იპოთეკა როგორც საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, თბ., 2012, 248.

უზენაესი სასამართლოს განსახილველი გადაწყვეტილების თანახმად, განცხადების შეტანის ასეთი წინასწარი დელეგირება ეწინააღმდეგება მე-300 მუხლის დანაწესს და 54-ე მუხლთან მიმართებაში ბათილია.

*- საკუთრების გადაცემა ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე*

2009 წლის 4 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილების მიხედვით მხარეებს მიეცათ შესაძლებლობა იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის გადაცემა კრედიტორისათვის ან ნივთის რეალიზაცია განახორციელონ ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, თუკი მხარეთა შორის დადებული გარიგება სანოტარო წესით არის დადასტურებული (302-ე მუხლის მე-3<sup>1</sup> ნაწილი).

მე-300 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად ნოტარიუსის სააღსრულებო წარწერა მარეგისტრირებელ ორგანოში ერთობლივი განცხადებით მიმართვის (მე-300 მუხლის პირველი ნაწილი) ალტერნატივას წარმოადგენს. თუმცა ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის არსებობის შემთხვევაში ერთობლივი განცხადების ინსტიტუტი აზრს კარგავს.

*- კანონისაგან განსხვავებული წესის დადგენა*

კანონით დადგენილი წესისა და აკრძალვის დარღვევით დადებული გარიგება, 54-ე მუხლის მიხედვით ბათილია. ამკრძალავი კანონებისა და მათი შინაარსის დაკონკრეტება სასამართლოს პრეროგატივაა. ეს განსაკუთრებით ეხება ნორმების იმპერატიულად და დისპოზიციურად დაყოფას, რადგან „უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან სხვათა თავისუფლებას იცავს სამოქალაქო კანონების იმპერატიული ნორმები“ (მე-10 მუხლის მე-3 ნაწილი). მხოლოდ იმპერატიული ნორმების საწინააღმდეგოდ ნების გამოვლენა იწვევს ამ ნების გამოვლენის ბათილობას.

განსახილველ გადაწყვეტილებაში უზენაესი სასამართლო აკონკრეტებს „კანონით დადგენილი წესისა და აკრძალვის“ ცნებას. იგი ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ **კანონისაგან სრულიად განსხვავებული წესის დადგენა** უნდა შეფასდეს 54-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობად. სადავო ამ შემთხვევაში არის სასამართლოს ასეთი ინტერპრეტაციის შესაბამისობა სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილთან.

*- შუალედური დასკვნა*

კანონით დადგენილი წესის დარღვევად კვალიფიკაცია იმ საფუძველით, რომ იპოთეკის ხელშეკრულება სანივთო გარიგებას წარმოადგენს და, აქედან გამომდინარე, ხელშეკრულების მხარეებს ხელშეკრულების თავისუფლება შეზღუდული აქვთ, დაუსაბუთებელია. იპოთეკის ხელშეკრულებაზე, როგორც ვალდებულებითსამართლებრივ ხელშეკრულებაზე, ჩვეულებრივ ვრცელდება ხელშეკრულების თავისუფლება კანონით დადგენილი შეზღუდვების ჩათვლით.

მე-300 მუხლის მე-2 ნაწილის (მოქმედი რედაქციის პირველი ნაწილი) დებულება მარეგისტრირებელ ორგანოში ერთობლივი განცხადებით მიმართვის თაობაზე სასამართლომ, **მესაკუთრის ინტერესებიდან გამომდინარე**, მიიჩნია იმპერატიულ ნორმად, განმარტა ვიწროდ და, აქედან გამომდინარე, ამ წესის დარღვევით განხორციელებული შეთანხმება, როგორც „კანონისაგან განსხვავებული წესის დადგენა“, ე.ი. კანონსაწინააღმდეგო, ცნო ბათილად.

### **სასამართლოს მოტივაცია**

სასამართლოს შეეძლო მხარი დაეჭირა მე-300 მუხლის მე-2 ნაწილის უფრო ფართო განმარტებისათვის და მხარეთა შეთანხმება ნამდვილად მიეჩნია, ხოლო მესაკუთრეს შერაცხოდა ნაკისრი ვალდებულების დარღვევა, მაგრამ სასამართლომ უპირატესობა მიანიჭა ვიწრო განმარტებას. ამგვარი ინტერპრეტაციის მოტივაციას საფუძვლად უდევს მესაკუთრის უფლებების დაცვა ბანკების ზედმეტი ძალაუფლებისაგან (**მესაკუთრის დაცვის არგუმენტი**). მესაკუთრე, რომელიც უძრავ ნივთზე საკუთრებას კარგავს, იმით მაინც უნდა იყოს დაცული, რომ საკუთრების გადაცემის შესახებ მისი ნება მარეგისტრირებელ ორგანოში გაცხადდეს (**სიფრთხილის არგუმენტი**).

მესაკუთრის დაცვის არგუმენტს ეწირება კრედიტორის (იპოთეკარის) ინტერესები, რომლებსაც იპოთეკა, როგორც კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, ემსახურება. ამას საკრედიტო ურთიერთობებისა და ბაზრის სტაბილურობისათვის შეიძლება უარყოფითი გავლენა ჰქონდეს. მით უფრო, თუკი იპოთეკის ხელშეკრულება და მისი შინაარსის განსაზღვრა კერძო ავტონომიის პრინციპების დაცვისა და ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე ხდება (**კერძო ავტონომიის პრინციპი**). მესაკუთრის არაკეთილსინდისიერებაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მას არც სავალო ხელშეკრულების, არც იპოთეკის ხელშეკრულების დადებისას გამოუთქვამს პრეტენზია და უკმაყოფილება ხელშეკრულების სადავო დებულების მიმართ. ყოველ შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ეს არ ჩანს.

აღნიშნული გადაწყვეტილებით სასამართლო შეეცადა თავიდან აეცილებინა ის მანკიერი პრაქტიკა, რაც 2007 წლის საკანონმდებლო ცვლილებას მოჰყვა და რამაც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის საკუთრების გადასვლა იპოთეკარებზე გაამარტივა. საკუთრების დაკარგვის საფრთხე მესაკუთრეს უძრავი ნივთის იძულებით რეალიზაციის დროსაც ემუქრება, მაგრამ აუქციონზე საჯაროდ ნივთის გატანა მას მეტ-ნაკლებად სამართლიანი კომპენსაციის მიღების შანსს მაინც აძლევს. საკუთრების იპოთეკარზე პირდაპირ გადასვლის დროს მესაკუთრე ამ შესაძლებლობას მოკლებულია და მთლიანად კარგავს უძრავ ნივთს, მიუხედავად იმისა, თუ რა მოცულობით დაფარა მან ვალი. აქედან გამომდინარე, სასამართლოს რეაქცია სრულიად დასაბუთებული და გამართლებულია.

### **დასკვნითი დებულებები**

1. უზენაესი სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებით, იპოთეკის ხელშეკრულების მხარეების ნებისმიერი შეთანხმება, რომლის თანახმად იპოთეკარზე

საკუთრების უფლების გადაცემა საჯარო რეესტრში მხოლოდ იპოთეკარის გამოცხადებით შეიძლება მოხდეს, ბათილად იქნა მიჩნეული, როგორც „კანონისაგან სრულიად განსხვავებული წესი“ და სავალდებულოდ ჩაითვალოს **რეესტრში მხარეთა ერთობლივი განცხადება**.

2. ვინაიდან მხარეთა ერთობლივი განცხადება არ ნიშნავს რეესტრში მხარეთა ფიზიკურ, ერთობლივ და ერთდროულ გამოცხადებას, ერთობლივი განცხადება შესაძლოა რამდენიმე ფორმით განხორციელდეს, როგორცაა, მაგალითად, გამოცხადება წარმომადგენლის მეშვეობით, ერთიანი დოკუმენტის შედგენა ორივე მხარის ხელმოწერით, ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი და ა.შ.

3. მართალია, სასამართლო იპოთეკას სანივთო გარიგებად მიიჩნევენ, მაგრამ იპოთეკის ხელშეკრულება არის ჩვეულებრივი ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება, თუმცა იპოთეკა წარმოადგენს სხვა უძრავ ნივთზე შეზღუდულ აბსოლუტურ სანივთო უფლებას.

4. სახელშეკრულებო თავისუფლება იპოთეკის ხელშეკრულებაზე ვრცელდება ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ხელშეკრულებაზე. იპოთეკის ხელშეკრულების მხარეებს თავისუფლად შეუძლიათ განსაზღვრონ ვალდებულების სანივთო უზრუნველყოფის ამ საშუალების გამოყენების პირობები. ეს თავისუფლება არ ეხება იპოთეკარის დაკმაყოფილების ფორმებს.

5. მე-300 მუხლის მე-2 ნაწილის (ამჟამად მოქმედი რედაქციის პირველი ნაწილის) დებულება მარეგისტრირებელ ორგანოში ერთობლივი განცხადებით მიმართვის თაობაზე სასამართლომ, მესაკუთრის ინტერესებიდან გამომდინარე, ჩათვალა იმპერატიულ ნორმად და ამ წესის დარღვევით განხორციელებული შეთანხმება კანონსაწინააღმდეგობის მოტივით ბათილად მიიჩნია.

## სანივთო სამართალი

---

### ლადო ჭანტურია\*

იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციის განხორციელება, როგორც იპოთეკარის მიერ უფლების ბოროტად გამოყენება

საქმე № ას-1338-1376-2014\*\*

**შესავალისაქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2009 წლის 20 ოქტომბერს მიიღო**

2015 წლის 29 ივნისს უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც იპოთეკარის მიერ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციის განხორციელება უფლების ბოროტად გამოყენებად ჩათვალია (№ ას-1338-1376-2014).

სასამართლოს მსჯელობის საგანი იყო იმის გარკვევა, ხომ არ გამოიყენა კრედიტორმა (იპოთეკარმა) სესხის ხელშეკრულებით მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის უფლება იმით, რომ მან უპასუხოდ დატოვა მესამე პირისაგან (სხვა კომერციული ბანკისაგან) ამ ვალდებულების შესრულების შეთავაზება, რითაც მოსარჩელეს (იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრეს) მიადგა მნიშვნელოვანი ზიანი.

დავის გადაწყვეტისას სასამართლო დაეყრდნო სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილს, 115-ე მუხლსა და 316-ე მუხლის მე-2 ნაწილს. იმავდროულად, სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია სამოქალაქო კოდექსის 304-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 306<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილზე, 371-ე და 372-ე მუხლებზე, რომლებიც შეიძლება გამოყენებულიყო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველებად.

გადაწყვეტილება საგულისხმოა იმითაც, რომ სასამართლომ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციის განხორციელება ისე შეაფასა უფლების ბოროტად გამოყენებად, რომ არც ერთი მატერიალურსამართლებრივი საფუძველი დავის მონაწილე მხარეების მოთხოვნებისა არ შეუმოწმებია.

### საქმის ფაქტობრივი გარემოებები

მოსარჩელეს (მოვალესა) და მოპასუხეს (კრედიტორი, იპოთეკარი) შორის დადებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა მოსარჩელის უძრავი ნივთი. მოსარჩელის მხრიდან ვალის დაბრუნების

---

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, მრავალჯგონის საპატიო დოქტორი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე.

\*\* საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება.

ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მოპასუხემ (იპოთეკარმა) მოითხოვა და განახორციელა იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაცია. რეალიზაციის განხორციელებამდე მოპასუხემ მესამე პირისაგან (ბანკისაგან) მიიღო წინადადება მოსარჩელის ვალის დაფარვის თაობაზე, რაც იპოთეკარმა უპასუხოდ დატოვა.

მოსარჩელე დავობს, რომ მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების შეთავაზების უპასუხოდ დატოვებით იპოთეკარმა დაარღვია კეთილსინდისიერების ვალდებულება, უძრავი ნივთის რეალიზაციით მიადგა მას ზიანი და ითხოვს ამ ზიანის ანაზღაურებას.

### **სასამართლოს არგუმენტები**

უზენაესმა სასამართლომ იპოთეკარის მიერ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაცია შეაფასა კრედიტორის მიერ უფლების ბოროტად გამოყენებად შემდეგ არგუმენტებზე დაყრდნობით:

- *კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა*

*ა. ცნება და პრინციპის მნიშვნელობა*

სასამართლოს აზრით, მესამე პირის წინადადების უპასუხოდ დატოვებითა და იპოთეკით დატვირთული ნივთის იძულებითი რეალიზაციის განხორციელებით კრედიტორმა (მოპასუხემ) დაარღვია სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილითა და 316-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების პრინციპი.

სასამართლოს შეფასებით, „ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. იგი თანამედროვე სამართლის, ფილოსოფიისა და ბიზნესის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია“.

კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას.

სასამართლოს შეფასებით, თანამედროვე ქართულ სამართლებრივ სივრცეში კეთილსინდისიერება მატერიალურსამართლებრივ ნორმად გადაიქცა და სამართლიანობასა და თანასწორობაზე დამყარებულ სამართლებრივ სისტემაში გაერთიანდა, რითაც უფრო ფართო დატვირთვა შეიძინა.

სასამართლოს აზრით, კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, სამართლიანობას, ვალდებულებების მიმართ პატიოსან დამოკიდებულებას.

სასამართლო ხაზს უსვამს კეთილსინდისიერების ინსტიტუტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას სამოქალაქო სამართლისათვის და მას მთლიანად კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპად მიიჩნევს. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის დანაწესის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. კოდექსის ეს დანაწესი, რომელსაც ავსებს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე

ნაწილი, მოიცავს მთელ კერძო სამართალს. სასამართლოს აზრით, **აღნიშნული მუხლების მოქმედება ცალსახა და იმპერატიულია, ამიტომაც მხარეებს არ აქვთ უფლება ხელშეკრულებით ან შეთანხმებით გამორიცხონ მათი მოქმედება.** სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს კეთილსინდისიერებას, როგორც ვალდებულების ძირითად და აუცილებელ კომპონენტს და მხოლოდ ვალდებულებათა შესრულებით არ შემოიფარგლება, ხოლო 361-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესი იმის შესახებ, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერად, წარმოადგენს კანონისმიერ მოთხოვნას და გულისხმობს, ზოგადად, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ურთიერთობის სხვა მონაწილის ინტერესების პატივისცემას, საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მას კონკრეტული პირდაპირი ვალდებულება არ ეკისრება. სასამართლოს შეფასებით ეს ორი მუხლი მთელი სამოქალაქო ბრუნვის ქვაკუთხედი.

### *ბ. ვალდებულების შესრულების მცირე ხელშეწყობა*

სასამართლო კეთილსინდისიერების ახალ მასშტაბს აწესებს. მისი აზრით, კეთილსინდისიერების ზემოაღნიშნული ფუნქციებიდან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში, **კრედიტორს არ შეუძლია უარი თქვას მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების მცირე ხელშეწყობაზე, როდესაც მოვალეს კრედიტორის მხრიდან ესაჭიროება ასეთი ხელშეწყობა მასზე ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისათვის.**

სასამართლო განმარტავს, რომ მესამე პირის მიერ კრედიტორისათვის დავალიანების სრულად დაფარვის შეთავაზება, რაც თავის მხრივ, გამორიცხავდა უძრავი ქონების რეალიზაციის გზით კრედიტორის დაკმაყოფილების უკიდურესი ზომის გამოყენებას, თეორიულადაც კი, გამორიცხავს მოპასუხის პოზიციის მართებულობას.

სასამართლოს დასკვნით, საქმის გარემოებათა ერთობლიობაში შეფასებით ბანკის ქმედება ვერ იქნება მიჩნეული კეთილსინდისიერ ქმედებად, რამეთუ ბანკის ინტერესი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ფულადი ვალდებულების შესრულებაში მდგომარეობდა და იმ პირობებში, როდესაც ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ მას წერილობით მიეწოდა შეთავაზება, იმის მიუხედავად, იქნებოდა იგი წარმოდგენილი საბანკო გარანტიის თუ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა ფორმით, ბანკს, როგორც საკრედიტო დაწესებულებას, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ევალეობდა გულისხმიერი დამოკიდებულება გამოეჩინა და საბანკო დავალიანების დაფარვის რამდენიმე ვარიანტიდან ამოერჩია ყველაზე ხელსაყრელი და, ამავდროულად, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი. კრედიტორის ეს ვალდებულება განპირობებულია როგორც ზოგადად საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბანკსა და კლიენტს შორის ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის შენარჩუნებისათვის, ასევე სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისათვის დამახასიათებელი კეთილსინდისიერებიდან გამომდინარე.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეთა თანამშრომლობა, მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინება, მეორე მხარის

უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების გამოჩენა (სამოქალაქოკოდექსის 316-ემუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად) საჭიროა ამ ურთიერთობის ნორმალურად განვითარებისათვის.

*- უფლების ბოროტად გამოყენება*

სასამართლო არ კმაყოფილდება მხოლოდ კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევით და კრედიტორის მიერ უძრავი ნივთის რეალიზაციის განხორციელებას უფლების ბოროტად გამოყენებად და, შესაბამისად, 115-ე მუხლის დარღვევად აფასებს. კეთილსინდისიერების პრინციპზე მსჯელობისაგან განსხვავებით, სასამართლო უფლების ბოროტად გამოყენებას უფრო მოკლე ანალიზს უძღვნის.

სასამართლოს შეფასებით, მესამე პირის წერილი, მართალია, პირდაპირ არ ავალდებულებდა კრედიტორს (იპოთეკარს) საკრედიტო ვალდებულების დარღვევის გამო დაწყებული, კანონითა და მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული სააღსრულებო პროცედურები, თუმცა მოცემულ შემთხვევაში საკრედიტო დაწესებულების მართლზომიერი ქცევის განმსაზღვრელი იყო სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილის კეთილსინდისიერებისა და მეორე მონაწილის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულება და არა მარტოდ იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის უფლება. მით უფრო, რომ იპოთეკის საგნების რეალიზაციით მოთხოვნის დაკმაყოფილების მიმართ კრედიტორის უპირატესი ინტერესი გამოკვეთილი არ იყო, რადგანაც მას შეეძლო რეალიზაციისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი პროცედურებისა და დამატებითი ხარჯების გვერდის ავლით, მესამე პირისაგან ფულადი ვალდებულების შესრულებაზე შეთავაზების მიღებით უფრო მოკლე დროში დაეკმაყოფილებინა საკუთარი მოთხოვნა..

ამ მოკლე ანალიზის საფუძველზე სასამართლო აკეთებს საკმაოდ მკაცრ და კატეგორიულ დასკვნას: „ამდენად, მოცემულ საქმეზე დადგენილი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო პალატას აძლევს იმისი ლოგიკური და თანმიმდევრული ვარაუდის საფუძველს, რომ იპოთეკარის მხრიდან უძრავი ნივთების იძულებით აუქციონზე რეალიზაციის, როგორც კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების უკიდურესი ფორმის, გამოყენება შეფასდეს უფლების ბოროტად გამოყენებად, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლთან“.

*- შუალედური დასკვნა*

მიუხედავად სასამართლოს ვრცელი მსჯელობისა კეთილსინდისიერების პრინციპთან დაკავშირებით, გადაწყვეტილებაში არ ჩანს საქმის ფაქტობრივი გარემოებების მატერიალურსამართლებრივი საფუძვლების მიხედვით შემოწმების მცდელობა. უფრო მეტიც, კეთილსინდისიერების პრინციპისა და უფლების ბოროტად გამოყენების ამგვარი ფართო გაგებით, შეიძლება საფრთხე დაემუქროს ნებისმიერი სამოქალაქო უფლებისა თუ მოთხოვნის განხორციელების მართლზომიერებას, თუკი ამით ურთიერთობის მეორე მონაწილის სამართლებრივი მდგომარეობა უარესდება.

უნდა დავეთანხმოთ ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებას, რომ „კეთილსინდისიერების მოთხოვნას არ გააჩნია აბსოლუტური უპირატესობა სახელშეკრულებო თავისუფლების მიმართ და დაუშვებელია ყოველი გადაწყვეტილების დასაბუთება აბსტრაქტული პრინციპების საფუძველზე“.<sup>1</sup> უფრო მეტიც, მე-8 მუხლის მე-3 ნაწილზე მითითება მხოლოდ მაშინ უნდა მოხდეს, როცა არ არსებობს კონკრეტული ნორმები და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები. განსახილველ დავაში ასეთი კონკრეტული მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები არსებობს.

ვინაიდან კრედიტორის (იპოთეკარის) მიერ უფლების ბოროტად გამოყენება მის მიერ მესამე პირის წინადადების უარყოფითა და იძულებითი რეალიზაციის განხორციელებით აიხსნება, აუცილებელია მესამე პირის წინადადებისა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგების ანალიზი მატერიალური სამართლის ნორმების საფუძველზე.

## **მესამე პირის შეთავაზება**

### *ა. ვალდებულების შესრულების წინადადება*

ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო წარმოების დაწყების შემდეგ მესამე პირმა - ბანკმა წერილობით მიმართა იპოთეკარს, რომლითაც აცნობა, რომ მოსარჩელეს დაუმტკიცდა სესხი, რომლითაც გათვალისწინებულ იქნა მოსარჩელესა და იპოთეკარს შორის დადებული სესხის ხელშეკრულების შესრულება. მოსარჩელის აზრით, იპოთეკარმა რეაგირება არ მოახდინა მესამე პირის ამ შეთავაზებაზე და ბოროტად გამოიყენა მის წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის უფლება, რამაც მოსარჩელეს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.

მესამე პირი იპოთეკარის (კრედიტორის) წინაშე იღებდა ვალდებულებას, რომ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მეორადი იპოთეკით დატვირთვის შემდეგ განეხორციელებინა მოსარჩელის (მოვალის) სესხის სრულად დაფარვა. ამასთან იპოთეკარს ეთხოვა მიეწოდებინა ბანკის ანგარიშის ნომერი და წერილობით დადასტურება იმის თაობაზე, რომ აღნიშნულ ანგარიშზე ჩარიცხული თანხით მთლიანად დაიფარებოდა დავალიანება და იპოთეკისაგან გათავისუფლდებოდა უძრავი ნივთი.

სასამართლოს შეფასებით, მესამე პირის შეთავაზება იყო რეალური და კონკრეტული მიზნის მქონე, კერძოდ, ემსახურებოდა მოსარჩელის (მოვალის) ფულადი ვალდებულების შესრულებას და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის თავიდან აცილებას.

მესამე პირის შეთავაზებაზე იპოთეკარს პასუხი არ გაუცია, ხოლო იძულებითი აღსრულების პროცესი გაგრძელდა.

- შეთავაზების შეფასება 304-ე მუხლის პირველ ნაწილის მიხედვით

---

<sup>1</sup> ვაშაკიძე გ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, თბ., 2007, 22.

მესამე პირის შეთავაზება შეიძლება იყოს აუქციონის თავიდან აცილებისაკენ მიმართული წინადადება, 304-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით. ამ ნორმის თანახმად, მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს აუქციონის ჩატარებამდე დააკმაყოფილოს მოთხოვნა და თავიდან აიცილოს აუქციონი.

მესამე პირს აუქციონზე უძრავი ნივთის რეალიზაციით წარმოეშობა საფრთხე, რომ სესხის ხელშეკრულება, რომელიც მან მოსარჩელესთან (მოვალესთან) უნდა გააფორმოს, შეიძლება დარჩეს უზრუნველყოფის გარეშე. სასამართლოს შეფასებით, მესამე პირი წერილით აცნობებს კრედიტორს, რომ მისი ინტერესის სფეროში შედიოდა უძრავი ნივთის გათავისუფლება სანივთო ვალდებულებისაგან და მისი რეალიზაციის თავიდან აცილება. აქედან გამომდინარე, მესამე პირი მესაკუთრესთან (იგივე მოსარჩელე) შეთანხმებით გამოხატავს მოთხოვნის დაკმაყოფილების ნებას და სთავაზობს იპოთეკარს (მოპასუხეს) ვალის დაბრუნების წინადადებას.

ამრიგად, შესაძლოა მესამე პირმა და მესაკუთრემ გამოიყენეს 304-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლება, ხოლო კრედიტორმა დაარღვია 390-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულება.

*- შეთავაზების შეფასება 306<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით*

306<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს სამართლებრივ შედეგს, თუკი მოვალე ან მესამე პირი აუქციონის ჩატარებამდე დააკმაყოფილებენ კრედიტორს. კერძოდ, ასეთ შემთხვევაში აუქციონი წყდება. თუ მესამე პირის წინადადებას შეფასდება, როგორც ვალის გადახდისაკენ მიმართული კონკრეტული და რეალური ქმედება 304-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ხოლო კრედიტორის (იპოთეკარის) დუმილი, როგორც 390-ე მუხლის მიხედვით შესრულების მიუღებლობა, ყველა წინაპირობა არსებობს იმისათვის, რომ 306<sup>1</sup> მუხლის თანახმად აუქციონი არ ჩატარებულიყო.

306<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენების წინაპირობა არის, კრედიტორის მიერ დაკმაყოფილების მიღება, რაც განსახილველ შემთხვევაში არ მომხდარა. შესაბამისად, არსებობს კრედიტორის (იპოთეკარის) მიერ 390-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის ვარაუდის საფუძველი, რასაც შედეგად მოჰყვა აუქციონის ჩატარება და მესაკუთრის ნივთის გასხვისება.

*- შეთავაზების შეფასება 371-ე მუხლის მიხედვით*

371-ე მუხლი ითვალისწინებს მოვალის ვალდებულების მესამე პირის მიერ შესრულების უფლებას. მესამე პირის ამ უფლებას შეესაბამება კრედიტორის ვალდებულება მიიღოს მესამე პირის მიერ განხორციელებული შეთავაზება. განსახილველ დავაში მესამე პირის წინადადება შეიძლება შეფასდეს როგორც მოვალის სანაცვლოდ განხორციელებული შესრულება, რომელიც კრედიტორს უნდა მიეღო.

371-ე მუხლი მესამე პირის მიერ შეთავაზებული შესრულების უარყოფის მხოლოდ ორ საფუძველს ითვალისწინებს: პირველი, როცა ვალდებულების ბუნებიდან

გამომდინარე ვალდებულება პირადად უნდა შეასრულოს და, მეორე, როცა მოვალე თვითონ არის მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების წინააღმდეგი. მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების ხელშეშლელი არც ერთი ეს პირობა არ არსებობს.

სავარაუდოდ სახეზეა კრედიტორის მიერ 390-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ვადის გადაცილება. კერძოდ, კრედიტორმა განსახილველ შემთხვევაში არ შეასრულა მოქმედება (არ მიაწოდა საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც უნდა მომხდარიყო თანხის გადარიცხვა), რომელიც საჭირო იყო ვალდებულების შესასრულებლად.

ამრიგად, სავარაუდოა, რომ კრედიტორმა (იპოთეკარმა) ხელი შეუშალა მესამე პირის მიერ მოვალის ვალდებულების შესრულების განხორციელების უფლებას და არაფერი გააკეთა იმისათვის, რომ შემოთავაზებული შესრულება მიეღო.

*- შეთავაზების შეფასება 372-ე მუხლის მიხედვით*

მესამე პირის წინადადების სამართლებრივი საფუძველი შეიძლება იყოს ასევე 372-ე მუხლშიც, რომელიც, 304-ე მუხლის პირველი ნაწილის ანალოგიურად, მესამე პირს უფლებას აძლევს დააკმაყოფილოს კრედიტორი, თუკი კრედიტორი მიმართავს იძულებით აღსრულებას მოვალის კუთვნილ ნივთზე.

მესამე პირს 372-ე მუხლის საფუძველზეც ჰქონდა კრედიტორის დაკმაყოფილების უფლება. გარდა მესამე პირისა, 372-ე მუხლით გათვალისწინებულ „ყოველ პირში“ შესაძლებელია თვით მესაკუთრის გათვალისწინებაც. კრედიტორმა შეთავაზებული შესრულების მიუღებლობით დაარღვია 390-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება.

*- შუალედური დასკვნა*

მესამე პირს 304-ე მუხლის პირველი ნაწილის, 306<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის, 371-ე და 372-ე მუხლების საფუძველზე უფლება ჰქონდა მოვალის ნაცვლად კრედიტორის სასარგებლოდ განეხორციელებინა შესრულება და თავიდან აეცილებინა იძულებითი აღსრულება.

მესამე პირის ამ უფლებას შეესაბამება კრედიტორის (იპოთეკარის) ვალდებულება 390-ე მუხლის მიხედვით, მიიღოს შემოთავაზებული შესრულება, რაც კრედიტორმა დაარღვია. გამომდინარე აქედან, **სახეზეა კრედიტორის მიერ 390-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა 304-ე მუხლის პირველ ნაწილთან, 306<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილთან, 371-ე და 372-ე მუხლებთან კავშირში.**

სამწუხაროდ, სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია ამ ნორმებზე და მხოლოდ უფლების ბოროტად გამოყენების შემადგენლობის ანალიზით შემოიფარგლა.

*ბ. ვალდებულების უზრუნველყოფის სხვა საშუალების შეთავაზების წინადადება*

შესაძლოა მესამე პირის შეთავაზება იყოს კრედიტორისათვის (იპოთეკარისათვის) უზრუნველყოფის ახალი საშუალების შეთავაზების მცდელობა, მაგალითად, საბანკო გარანტიის, როგორც ეს სასამართლოს გადაწყვეტილებაშია აღნიშნული. თუ წინადადება წარმოადგენს ახალი უზრუნველყოფის შეთავაზებას, მაშინ უკვე კრედიტორის მიზანშეწონილობაზეა დამოკიდებული, მიიღებს თუ არა ამ შეთავაზებას. ამის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს 367-ე მუხლი, რომელიც მოვალის მიერ „შეპირებული უზრუნველყოფის შემცირების“ შემთხვევაში კრედიტორს ანიჭებს ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულების მოთხოვნის უფლებას.

379-ე მუხლის საფუძველზე კრედიტორი არ არის ვალდებული მიიღოს სხვა შესრულება, გარდა იმისა, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. ეს წესი შეიძლება გამოყენებულ იქნეს უზრუნველყოფის საშუალების შეცვლაზე: კრედიტორი არ არის ვალდებული მიიღოს მოვალის ან მესამე პირის მიერ შეთავაზებული უზრუნველყოფის სხვა საშუალება. კასატორის მითითება გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაზე, რომლითაც მსესხებელს გააჩნია გამსესხებლის წინააღმდეგ უზრუნველყოფის საშუალების შეცვლის მოთხოვნის უფლება, თუკი აღნიშნული ცვლილება არ წარმოშობს გამსესხებლის მოთხოვნის უფლების განხორციელებისათვის რაიმე საფრთხეს, არ ცვლის ქართულ სამოქალაქო სამართალში არსებულ ვითარებას.

კასატორის არგუმენტაციით, მესამე პირის შეთავაზება წარმოადგენს საბანკო გარანტიას, 879-ე მუხლის მიხედვით, რაც საქმის მასალებით არ დასტურდება. ეს ამყარებს კრედიტორის პოზიციას და მას არ აკისრებს უზრუნველყოფის სხვა საშუალების მიღების ვალდებულებას, მით უფრო, თუკი დაწყებულია იძულებით აღსრულების პროცედურა.

#### - შუალედური დასკვნა

თუ მესამე პირის მიერ გაკეთებული შეთავაზება შეფასდება როგორც უზრუნველყოფის ახალი საშუალების შეთავაზება კრედიტორისათვის და არა შესრულება, ეს აძლიერებს კრედიტორის სამართლებრივ მდგომარეობას იმით, რომ ის არ არის ვალდებული მიიღოს უზრუნველყოფის სხვა საშუალება. აქედან გამომდინარე, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაცია მის მიერ არის მართლზომიერი და ეს ვერ შეფასდება უფლების ბოროტად გამოყენებად, 115-ე მუხლის თანახმად.

#### დასკვნითი დებულებები

1. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საგულისხმოა იმით, რომ სასამართლომ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაცია იპოთეკარის მიერ ისე შეაფასა უფლების ბოროტად გამოყენებად, რომ იპოთეკარის მოქმედების არც ერთი მატერიალურსამართლებრივი საფუძველი არ შეუმოწმებია.

2. მხოლოდ კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით სადავო საკითხის გადაწყვეტა სასამართლო გადაწყვეტილების არასაკმარისი დასაბუთებულობის შთაბეჭდილებას ტოვებს. კეთილსინდისიერების მოთხოვნას არ გააჩნია აბსოლუტური უპირატესობა სახელშეკრულებო თავისუფლების მიმართ და დაუშვებელია ყოველი

გადაწყვეტილების დასაბუთება აბსტრაქტული პრინციპების საფუძველზე. უფრო მეტიც, მე-8 მუხლის მე-3 ნაწილზე მითითება მხოლოდ მაშინ უნდა მოხდეს, როცა არ არსებობს კონკრეტული ნორმები და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველები. განსახილველ დავაში ასეთი კონკრეტული მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველები არსებობს.

3.მესამე პირს 304-ე მუხლის პირველი ნაწილის, 306<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის, 371-ე და 372-ე მუხლების საფუძველზე უფლება ჰქონდა მოვალის ნაცვლად კრედიტორის სასარგებლოდ განეხორციელებინა შესრულება და თავიდან აეცილებინა იძულებითი აღსრულება. მესამე პირის ამ უფლებას შეესაბამება კრედიტორის (იპოთეკარის) ვალდებულება 390-ე მუხლის მიხედვით, მიიღოს შემოთავაზებული შესრულება, რაც კრედიტორმა დაარღვია. გამომდინარე აქედან, **სახეზეა კრედიტორის მიერ 390-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა 304-ე მუხლის პირველ ნაწილთან, 306<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილთან, 371-ე და 372-ე მუხლებთან კავშირში.** სასამართლოს არ უმსჯელია ამ ნორმებზე და მხოლოდ უფლების ბოროტად გამოყენების შემადგენლობის ანალიზით შემოიფარგლა.

4.იმ შემთხვევაში, როცა მესამე პირის მიერ გაკეთებული შეთავაზება შეფასდება კრედიტორისათვის უზრუნველყოფის ახალი საშუალების შეთავაზებად და არა შესრულებად, ეს გააძლიერებს კრედიტორის სამართლებრივ მდგომარეობას იმით, რომ ის არ არის ვალდებული მიიღოს უზრუნველყოფის სხვა საშუალება. აქედან გამომდინარე, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაცია მის მიერ არის მართლზომიერი და ეს ვერ შეფასდება უფლების ბოროტად გამოყენებად 115-ე მუხლის თანახმად.

## თამარ ზარანდია\*

### საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, როგორც მესამე პირთა დაცვის საშუალება

საქმე #ას-189-182-2013\*\*

კ.ბ-ე მ.მ-ს წინააღმდეგ

#### საკვანძო მუხლები

უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში (სამოქალაქო კოდექსის შემდგომში - სსკ) 183-ე მუხლი).

შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე (სსკ-ის 185-ე მუხლი).

1. შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე მაშინაც, როცა გამსხვისებელი არ იყო ნივთის მესაკუთრე, მაგრამ შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია. კეთილსინდისიერად არ ჩაითვლება შემძენი, თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. კეთილსინდისიერების ფაქტი უნდა არსებობდეს ნივთის გადაცემამდე.

2. მოძრავი ნივთების შემძენი ვერ გახდება ნივთის მესაკუთრე, თუ მესაკუთრემ ეს ნივთები დაკარგა, მოჰპარეს, ან მისი ნების წინააღმდეგ სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან, ანდა თუ შემძენმა ისინი უსასყიდლოდ მიიღო. ეს შეზღუდვები არ მოქმედებს ფულის, ფასიანი ქაღალდებისა ან/და აუქციონზე გასხვისებული ნივთების მიმართ (სსკ-ის 187-ე მუხლი).

1. საჯარო რეესტრი არის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობის, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის, ასევე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების წარმოშობის და მასში ცვლილების შესახებ მონაცემთა ერთობლიობა.

2. საჯარო რეესტრის წარმოებისა და ხელმისაწვდომობის წესები და პირობები განისაზღვრება კანონით (სსკ-ის 311-ე მუხლი).

5) 1. რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე. ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა.

2. იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი.

\*\* საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება.

რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა (სსკ-ის 312-წ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები).

## ფაქტები

1.მ. მ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში კ. ბ-სა და ა. ყ-ის მიმართ და მოითხოვა ბათილად იქნეს ცნობილი 2008 წლის 17 სექტემბერსა და 2009 წლის 14 აგვისტოს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებები, აღდგეს მ. მ-ას საკუთრების უფლება ქ. თბილისში, მ-ის II მკ/რ-ის №2 კორპუსში მდებარე №38 ბინაზე, რადგან 2008 წლის 17 სექტემბერს ა. ყ-მა გაყალბებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მ. მ-ას კუთვნილი ბინა აღრიცხა თავის სახელზე, ხოლო 2009 წლის 7 აგვისტოს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე იპოთეკით დატვირთა იგი. 2009 წლის 14 აგვისტოს ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ა. ყ-მა სადავო უძრავი ნივთი მიჰყიდა კ. ბ-ეს. ნივთის განკარგვა განხორციელდა ისე, რომ აღნიშნულის თაობაზე ნივთის მესაკუთრე მ. მ-ას ნება არ გამოუვლენია.

2. **მოსარჩელის არგუმენტაციით** კ. ბ-ე არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კეთილსინდისიერ შემძენად, ვინაიდან ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე უძრავი ნივთის დამქირავებლის მიერ გაფრთხილებული იყო, რომ ა. ყ-ი ნივთის მესაკუთრეს არ წარმოადგენდა.

3. **მოპასუხე კ. ბ-მ** სარჩელი არ ცნო, რადგან მიიჩნევდა რომ იგი კეთილსინდისიერი შემძენია.

4. თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა 2011 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. მ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და მ. მ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი მ. მ-სა და ა. ყ-ს შორის 2008 წლის 17 სექტემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ისევე, როგორც ა. ყ-სა და კ. ბ-ეს შორის 2009 წლის 14 აგვისტოს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება, მ. მ-ას სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხა ქ. თბილისში, მ-ის II მკ/რ-ის №2 კორპუსში მდებარე 55.00 კვ.მ №38 ბინა

6. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კ. ბ-ემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

7. **კასატორის არგუმენტაციით**, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 187-ე მუხლი, რომელიც ადგენს მოძრავი ნივთის შემძენის კეთილსინდისიერებას. აღნიშნული ნორმა სპეციალური ხასიათისაა და მისი გამოყენება უძრავი ნივთის შემძენზე დაუშვებელია, მითუმეტეს, რომ უძრავი ნივთის კეთილსინდისიერ შემძენზეც არსებობს სპეციალური სსკ-ის 185-ე მუხლი. სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა მხოლოდ 185-ე მუხლი უძრავი ნივთის კეთილსინდისიერ შემძენთან დაკავშირებით. მან კი არასწორად განმარტა ეს ნორმა და შეავსო იგი 187-ე მუხლის შინაარსით. სააპელაციო სასამართლომ არ უარყო ის გარემოება, რომ კ. ბ-ე

კეთილსინდისიერი შემძენია, მაგრამ არასწორი ინტერპრეტაცია მისცა სამართლებრივ ნორმებს, მოახდინა 185-ე და 187-ე მუხლების სინთეზური განმარტება და მივიდა დასკვნამდე, რომ კ. ბ-ეს ვერ დაიცავს მისი კეთილსინდისიერი შემძენის სტატუსი, ვინაიდან უძრავი ნივთი მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ გავიდა მისი საკუთრებიდან. ამ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს სსკ-ის 187-ე მუხლი, უპირატესად უნდა ჩაითვალოს მესაკუთრის და არა კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესები. სააპელაციო სასამართლოს ამგვარი მსჯელობა ეწინააღმდეგება სსკ-ის 185-ე და 312-ე მუხლებს, რომელთა მიხედვით პრიორიტეტული სწორედ კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესებია. თუ კანონმდებელს სურდა, რომ უპირატესობა მესაკუთრის ინტერესებს მინიჭებოდა, იგი ცალკე არ გამოიწვავდა უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემძენის პირობებს და არ დაადგენდა ორ ნორმას ამ საკითხის დასარეგულირებლად. სსკ-ის 187 მუხლი იქნებოდა არა მოძრავ ნივთთან დაკავშირებით, არამედ ნივთის კატეგორიის მიუხედავად გამოსაყენებელი ზოგადი ნორმა. ამდენად, უძრავი ნივთის შემძენის კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით გამოიყენება მხოლოდ სსკ-ის 185-ე და არა 187-ე მუხლი.

### **გადაწყვეტილება**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კ. ბ-ის საკასაციო საჩივარი 2009 წლის 14 აგვისტოს ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, ასევე მ. მ-ას მესაკუთრედ აღდგენის მოთხოვნათა ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მიერ განვითარებულ მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია ვერ დაიცავს შემძენს, თუკი საჯარო რეესტრის ჩანაწერს საფუძვლად უდევს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ისე, როგორც ეს კანონმდებელმა მოძრავ ნივთებთან 14 მიმართებაში მოაწესრიგა (სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ასევე არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მიერ ზოგადსამართლებრივი პრინციპის - თანაბარი მოპყრობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას ამ კონკრეტულ შემთხვევაში და მიიჩნია, რომ ამ პრინციპის გამოყენება მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც სახეზეა საკანონმდებლო ხარვეზი. პალატამ განმარტა, რომ უფლების შემძენს ტვირთად აწევს არა ყოველგვარი უზუსტო მონაცემის ცოდნა, არამედ მხოლოდ ისეთის, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს უფლების შემძენის ნამდვილობას. ჩანაწერის უზუსტობის ცოდნა ნიშნავს იმ გარემოებათა ცოდნას, რის გამოც ჩანაწერია უზუსტო, თავის მხრივ, შემძენს არ უნდა მოეთხოვოს იმაზე მეტის ცოდნა, რაც გონივრულ შესაძლებლობებს სცილდება.

### **ანალიზი**

მოცემული გადაწყვეტილებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ გააკეთა მნიშვნელოვანი განმარტებანი, რომელიც ძალიან ბევრ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს უკავშირდება, როგორებიცაა კეთილსინდისიერების პრინციპი (I),

უძრავი ნივთების შეძენის ზოგადი წესი (II) და საჯარო რეესტრის დანიშნულება (III), კეთილსინდისიერ შეძენასთან დაკავშირებით ქართულ კანონმდებლობაში ნაპოვნი კომპრომისი, ასევე უძრავი და მოძრავი ნივთებისადმი არსებული განსხვავებული მიდგომები (VI) და არსებული სასამართლო პრაქტიკა (V).

## I. ზოგადად კეთილსინდისიერების პრინციპის შესახებ

ადამიანების ცხოვრება, როგორც აღნიშნავდა *იერინგი*, არ მდგომარეობს იზოლირებულ არსებობაში. ცხოვრება, ეს არის გარე სესხება და შინაგანი გათავისება<sup>1</sup>. ქართულ სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპი გერმანული კერძო სამართლის რეცეფციის გზით მოხდა<sup>2</sup>, თუმცა იგი სხვა სამართლებრივ სისტემებშიც აღიარებულია, როგორც თანამედროვე კერძო სამართლის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კომპონენტი<sup>3</sup>. ქართული სამოქალაქო სამართალი განამტკიცებს კეთილსინდისიერების პრინციპს<sup>4</sup>, როგორც კერძო სამართლის უნივერსალურ შეფასებით კატეგორიას<sup>5</sup>. იგი საყოველთაო ხასიათის პრინციპია, რომელიც მთელს სამართალს იცავს<sup>6</sup>. იგი სსკ-ის პირველივე წიგნის ზოგადი დებულებებით არის განმტკიცებული: „სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი“ (მუხლი 8 III). ის, რომ აღნიშნული პრინციპი სისტემურად სწორედ ზოგად დებულებებშია განმტკიცებული უნდა გულისხმობდეს მის უნივერსალურობას და გავრცელებას მთლიანად კერძო სამართალზე<sup>7</sup>. სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპით ხელმძღვანელობა იცავს სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეს ამ ურთიერთობათა შესაძლო უარყოფითი შედეგებისაგან, რაც მთლიანობაში ხელს უწყობს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას<sup>8</sup>. ამავდროულად, კეთილსინდისიერება მხარეთა მოვალეობაცაა<sup>9</sup>. კეთილსინდისიერების პრინციპი

<sup>1</sup> *Ihering R.*, Geist des römischen Rechts. Bd. I, 5. Aufl., 1891, 5.

<sup>2</sup> საქართველოში გერმანული სამართლის რეცეფციასთან დაკავშირებით იხ. *ზოიძე ბ.*, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბ., 2005. ასევე, *კნიპერი რ.*, კოდიფიკაციის მეთოდები გარდამავალი ეკონომიკის საზოგადოებებში (საქართველოში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით)/სამართლებრივი რეფორმა საქართველოში, საერთაშორისო კონფერენციის მასალები, 1994 წლის 23-25 მაისი, გამომცემლები: *ჯორბენაძე ს., კნიპერი რ., ჭანტურია ლ.*, თბ., 1994, 176-191.

<sup>3</sup> შდრ. *Zimmermann R., Whittaker S.*, Good Faith in European Contract Law, Cambridge University Press, 2000, 8 და შემდგ.

<sup>4</sup> ქართულ სამართალში, *ვაშაკიძე გ.*, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, *ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“*, 10/2007-1, 14-58

<sup>5</sup> შდრ. ქართულ სამართალში, *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 83.

<sup>6</sup> შეად. *მარიამიძე გ.*, ვალდებულებითი სამართალი (სახელშეკრულებო სამართალი), II ნაწილი, თბ., 2013, 19.

<sup>7</sup> შდრ., *ზოიძე ბ.*, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, 2005, *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 92.

<sup>8</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, № ას-567-535-2012, [01.08.2012].

<sup>9</sup> შდრ. *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 86.

უპირატესად გამოიყენება ვალდებულებით სამართალში, მაგრამ იგი ასევე მნიშვნელოვანია სანივთო სამართლისთვისაც. კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსთან დაკავშირებით არსებობს მოსაზრება, რომ იგი გამოიყენება ორი მნიშვნელობით: კეთილსინდისიერების პრინციპი *treu und glauben*-ის ჭრილში უნდა გავმიჯნოთ *gutter glaube*-ს ჭრილში მოყვანილი კეთილსინდისიერების პრინციპისგან<sup>10</sup>. ამდენად, კეთილსინდისიერების ზოგადი პრინციპისაგან იმიჯნება კეთილსინდისიერების პრინციპის ე.წ. „სუბიექტური“ გაგება, რომელიც უკავშირდება პირის მიერ გარკვეული გარემოებების ცოდნას, რაც ვლინდება სანივთო სამართალში კეთილსინდისიერი შეძენის ინსტიტუტთან მიმართებით - როდესაც პირმა არ იცის, რომ საკუთრებას გასხვისებაზე არაუფლებამოსილი პირისაგან იძენს. ალბათ გასაზიარებელია ის მოსაზრება, რომ ასეთი გამიჯვნა შედეგობრივად არაფრისმომცემია, რადგან პირის კეთილსინდისიერი ვარაუდი, რომ საკუთრებას შესაბამისი უფლების მქონე პირისაგან იძენს, არსებითად არაფრით არ უნდა განსხვავდებოდეს „კეთილსინდისიერად“ მოქმედების ზოგადი ბუნებისაგან<sup>11</sup>.

წინამდებარე ნაშრომი ეხება ე.წ. „სუბიექტურ“ კეთილსინდისიერებას, შემთხვევებს, როდესაც პირმა, რომელსაც არაუფლებამოსილმა გამსხვისებელმა გადასცა საკუთრება უძრავ ნივთზე, შესაძლოა მაინც მოიპოვოს საკუთრების უფლება თუ იგი კეთილსინდისიერი შემძენია. მე ვეცდები გავანალიზო და წარმოგიდგინოთ „როგორ ცხოვრობენ“ ნორმები „უძრავი ნივთების კეთილსინდისიერი შემძენის შესახებ“ ქართულ სასამართლო პრაქტიკაში.

## II. საკუთრების შეძენა უძრავ ნივთებზე ქართულ სამართალში - ზოგადი წესი

სსკ-ის 183-ე მუხლის თანახმად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ამდენად 183 მუხლი განამტკიცებს უძრავ ნივთზე საკუთრების გადასვლის აუცილებელ წინაპირობას - რეგისტრაციას საჯარო რეესტრში<sup>12</sup>. ხოლო სსკ-ის 185-ე მუხლი ითვალისწინებს წესს, რომლის მიხედვითაც შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუკი იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. ამდენად, 183-ე მუხლით დადგენილია უძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის ზოგადი წესი, ხოლო 185-ე მუხლი აწესრიგებს გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც ხდება უძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენა არაუფლებამოსილი გამსხვისებლისაგან - კეთილსინდისიერი შემძენით და ამ

<sup>10</sup> შდრ. *Zimmermann R., Whittaker S.*, Good Faith in European Contract Law, Cambridge University Press, 2000, 30-31.

<sup>11</sup> *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 83.

<sup>12</sup> შეად. *ძლიერიშვილი ზ.*, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, 2010, 22.

შემთხვევაში, პირველი, რაც იცავს კეთილსინდისიერ შემძენს, არის საჯარო რეესტრის ჩანაწერისადმი არსებული საჯარო ნდობა<sup>13</sup>.

**ხელშეკრულების ფორმა.** უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შეძენის წესები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ამჟამად არსებული სახით ჩამოყალიბდა სამოქალაქო კოდექსში 2006 წლის 8 დეკემბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ<sup>14</sup>. 183-ე მუხლის მოქმედი რედაქციის მიხედვით, უძრავი ქონების შეძენისათვის საკმარისია გარიგება დაიდოს წერილობითი ფორმით და მოცემული გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლება დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში. უძრავი ქონების შეძენის საკითხთან დაკავშირებით სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანამდე აუცილებელი იყო ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმება და საჯარო რეესტრში მყიდველის დარეგისტრირება, რაც გერმანული სამართლის დებულებების ანალოგიური იყო<sup>15</sup>. ამჟამად გარიგების გაფორმება ხდება სარეგისტრაციო სამსახურის მიერ, სადაც უფლებამოსილი პირი ადგენს მხარეთა ვინაობას და მხარეები მისი თანდასწრებით ხელს აწერენ ხელშეკრულებას. სარეგისტრაციო სამსახურის უფლებამოსილი წარმომადგენლის ფუნქციებში შედის მხოლოდ იმის შემოწმება, განკარგავს თუ არა უძრავ ქონებას მესაკუთრე და გარიგების ხელმოწერის ფაქტის დადასტურება. გარიგების შინაარსსა და ნამდვილობაზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრებათ მხარეებს<sup>16</sup>.

უნდა ითქვას, რომ დღეს კვლავ განიხილება უძრავ ნივთებთან დაკავშირებით კანონმდებლობაში სავალდებულო სანოტარო დამოწმების დაბრუნების საკითხი, რადგან საკამათოა, რამდენად უზრუნველყოფს არსებული რეგულირება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას. სანოტარო ფორმის აუცილებლობა გარკვეულწილად იცავდა ბრუნვის მონაწილეებს აჩქარებისაგან, იგი ასრულებდა გამაფრთხილებელ ფუნქციას და ხელშეკრულების მონაწილეებს უზრუნველყოფდა განსაზღვრული კონსულტაციით სამართლებრივ საკითხებში, რაც მოსახლეობის არასაკმარისი სამართლებრივი განათლების პირობებში აუცილებელ კომპონენტს უნდა წარმოადგენდეს. თუმცა, ამჟამად არსებული წესი უზრუნველყოფს საკუთრების უფლების გადასვლის საჯაროობას უძრავი ქონების გარიგების საჯარო რეესტრში სავალდებულო რეგისტრაციით<sup>17</sup>.

### III. საჯარო რეესტრის დანიშნულება

<sup>13</sup> შუად. ზოიძე ბ., სანივთო სამართალი, თბ., 2003, 363; ქოჩაშვილი ქ., მფლობელობა და საკუთრება - ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში, 2013, 198-203.

<sup>14</sup> საქართველოს 2006 წლის 8 დეკემბერის კანონი № 3879 - სსმ I, №48, 22.12.2006 წ., მუხლი 321.

<sup>15</sup> BGB, § 925 I.

<sup>16</sup> აღნიშნული წესის კრიტიკა, იხ.: ზარანდია თ., გარიგების ფორმის პრობლემა ქართულ სამართალში, ქურნ. „განათლება“, #1, 2009, 105-114; Zарандия Т., Das Problem der Vertragsform im georgischen Recht Materialien einer Internationalen Konferenz an der Universitht Bremen vom 10. und 11. April 2008, 137-147; ასევე, Курзинский-Сингер Е., Зарандия Т., Рецепция немецкого вещного права в Грузии, Вестник Гражданского права, № 1/2012, 253-254.

<sup>17</sup> იხ. Курзинский-Сингер Е., Зарандия Т., Рецепция немецкого вещного права в Грузии, Вестник Гражданского права, №1/2012, 253.

ქართულ სამართალში საჯარო რეესტრთან მიმართებით მოქმედებს უტყუარობის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება უტყუარად, ვიდრე მათი უზუსტობა არ დამტკიცდება (მუხლი 312 I). საჯარო რეესტრის უტყუარობის პრეზუმფცია შემძენს იმის გარანტიას აძლევს, რომ ჩანაწერის უზუსტობის შემთხვევაში, დავის არსებობისას, უპირატესობა ენიჭება აღნიშნულ მონაცემებსა და საჯარო რეესტრის მიმართ შემძენის კეთილსინდისიერ ნდობას<sup>18</sup>. იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რაიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა (მუხლი 312 II). ამდენად, საჯარო რეესტრიდან გამომდინარეობს საჯარო ნდობა, რაც გულისხმობს, რომ თუკი მოხდა სანივთო უფლების არასწორი რეგისტრაცია, რეგისტრაცია მაინც ითვლება ნამდვილად მესამე პირისათვის. ამდენად კეთილსინდისიერ პირს, რომელიც საჯარო რეესტრის მონაცემზე დაყრდნობით იძენს უფლებას იცავს, ამ რეგისტრაციის ფაქტისადმი კეთილსინდისიერი ნდობა, ისევე, როგორც არასწორად არარეგისტრირებული სანივთო უფლებები ითვლება არარსებულად და, შესაბამისად, კეთილსინდისიერ პირს შეუძლია ნივთის შეძენა ამ ნივთზე შეცდომით არარეგისტრირებული ან შემდგომში ამოშლილი უფლებრივი ტვირთის გარეშე. ამდენად, ქართულ სამართალში უძრავ ნივთებზე საკუთრების „კეთილსინდისიერ შეძენას“ **გამორიცხავს** ორი გარემოება: **გამსხვისებლის არაუფლებამოსილების შესახებ შემძენის პოზიტიური ცოდნა (185; 312 II) და ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილი საჩივარი (312 II).**

**მოცემულ საქმესთან დაკავშირებით** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ უძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის წესს სსკ-ის 183-ე მუხლი განსაზღვრავს, რომლის თანახმად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რომ მ.მ-სა და ა.ყ-ს შორის ფაქტიურად არ დადებულა მ.მ-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისების ხელშეკრულება, ლოგიკურია, ა.ყ-ს მხოლოდ საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრაცია ვერ აქცევდა ნამდვილ მესაკუთრედ, თუმცა საკასაციო პალატის განმარტებით, საჯარო რეესტრის უმთავრესი დანიშნულებაა სწორად ასახოს რეგისტრაციას დაქვემდებარებული ყოველგვარი უფლება, მათ შორის საკუთრების უფლება. საჯაროობის პრინციპი კი გულისხმობს იმას, რომ რეგისტრაციის მომენტიდან იძენს ამგვარი უფლება იურიდიულ ძალას მესამე პირებისათვის. კანონმდებლობა უშვებს საჯარო რეესტრის სისწორის პრეზუმფციას, რაც ნიშნავს იმას, რომ მესამე პირებისათვის რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. ამდენად საჯარო რეესტრი, ერთი მხრივ, სამოქალაქო ბრუნვის გარანტიის ფუნქციას ასრულებს, ხოლო, მეორე მხრივ, იგი სრულ კონსენსუსშია სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებულ ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპთან. კონფლიქტი წარმოიშობა მაშინ, როდესაც რეესტრში რეგისტრირებული უფლება არ შეესაბამება ამ

<sup>18</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, №ას-203-622-06, [24.01.2006].

უფლების ნამდვილ შინაარსს, ხოლო მესამე პირისათვის ეს ფაქტი უცნობია. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ასეთ ვითარებაში გადამწყვეტია, თუ ვის უნდა მიენიჭოს უპირატესობა - მესაკუთრეს თუ შემძენს და რა შემთხვევაში თითოეულს. ანუ იცავს თუ არა მსგავს სიტუაციაში შემძენს რომელიმე ნორმა, რაც დააბრკოლებდა სარჩელის დაკმაყოფილებას: მესამე პირთა დაცვის გარანტიები მოცემულია სსკ-ის 185-ე მუხლში, რომელიც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციას, როგორც მესამე პირთა დაცვის საშუალებას, ამასთან, უშვებს საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უფლებაში ხარვეზის შესაძლებლობას, თუმცა, მიუხედავად ამისა, იცავს ისეთ შემძენს, რომელიც ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია. შემძენის ინტერესების დაცვის გარანტიებს შეიცავს ასევე სსკ-ის 312-ე მუხლი, რომლის მე-2 ნაწილის მიხედვით, იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა. საკასაციო პალატის განმარტებით, აღნიშნული კონფლიქტი კანონმდებელმა სსკ-ის 185-ე და 312-ე მუხლების მიხედვით, შემძენის სასარგებლოდ გადაწყვიტა, რაც ნიშნავს იმას, რომ მესაკუთრეს აქვს უფლება, შესაბამისი საზღაური მოითხოვოს არამართლზომიერი გამსხვისებლის მიმართ, ხოლო კეთილსინდისიერ შემძენს უნარჩუნდება საკუთრების უფლება. საქმის ფაქტობრივ გარემოებებში მითითებული იყო ის, რომ შემძენს სადავო ბინაში მცხოვრებმა მდგმურმა აცნობა ა.ყ-ის მიერ საცხოვრებელ ბინაზე საკუთრების უფლების არარსებობის შესახებ. სსკ-ის 312-ე მუხლის მიხედვით, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევისა თუ შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა. საინტერესო იქნებოდა სასამართლოს ემსჯელა საკმარისია თუ არა მსგავსი ინფორმაციის ცოდნა იმისთვის, რომ რეესტრის ჩანაწერის სისწორე ეჭვქვეშ დავაყენოთ და გამოვრიცხოთ რეესტრის ჩანაწერის უტყუარობა და სისრულე. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში კანონმდებლობა ითხოვს პოზიტიურ ცოდნას, რისი მტკიცებაც ხშირ შემთხვევაში ძალიან რთულია. არც სააპელაციო სასამართლომ და არც საკასაციო სასამართლომ არ იმსჯელა ამ გარემოებაზე. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ უფლების შემძენს ტვირთად აწევს არა ყოველგვარი უზუსტო მონაცემის ცოდნა, არამედ მხოლოდ ისეთის, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს უფლების შეძენის ნამდვილობას. ჩანაწერის უზუსტობის ცოდნა ნიშნავს იმ გარემოებათა ცოდნას, რის გამოც ჩანაწერია უზუსტო, თავის მხრივ, შემძენს არ უნდა მოეთხოვოს იმაზე მეტის ცოდნა, რაც გონივრულ შესაძლებლობებს სცილდება. ვფიქრობ, საკასაციო სასამართლომ იგულისხმა ის, რომ ჩანაწერის უზუსტობის ცოდნად ჩაითვლებოდა მ.მ-სა და ა.ყ-ს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების სიყალბის ცოდნა და არა ის, რომ საცხოვრებელი ბინის პირდაპირმა მფლობელმა შემძენს განუცხადა ა.ყ-ს საკუთრების უფლების არარსებობის შესახებ. შესაძლებელია შემძენს ეჭვი გასჩენოდა, მაგრამ ჩანაწერი უზუსტო იყო თუ არა ამის გარკვევა საჭიროებდა დამატებით სხვა ღონისძიების განხორციელებას და გამოკვლევას მართლაც გაყალბებული იყო თუ არა ხელშეკრულება. სწორედ ამიტომ მიიჩნია სასამართლომ რომ შემძენს იმაზე მეტი ვალდებულება არ უნდა დავაკისროთ რაც მის გონივრულ შესაძლებლობებს სცილდება.

#### IV. კეთილსინდისიერ შემენასთან დაკავშირებით ქართულ კანონმდებლობაში ნაპოვნი კომპრომისი, ასევე უძრავი და მოძრავი ნივთებისადმი არსებული განსხვავებული მიდგომები

**კეთილსინდისიერი შემენის წინაპირობანი.** ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მოახდინა შემენის კეთილსინდისიერების აღიარებისათვის აუცილებელ წინაპირობათა დაზუსტება. კერძოდ: კეთილსინდისიერ შემენად პირის მიჩნევისათვის აუცილებელია სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორთა ერთობლიობა. სასამართლოს განმარტებით, ობიექტური ფაქტორები მოიცავს შემდეგი გარემოებების კუმულაციას:

1. საჯარო რეესტრში უძრავი ქონების მესაკუთრედ უფლების გამსხვიებელი უნდა იყოს დარეგისტრირებული;

2. რეესტრის ჩანაწერების მიმართ შეტანილი არ უნდა იყოს საჩივარი.

რაც შეეხება სუბიექტურ ფაქტორს, აღნიშნული გულისხმობს შემენის სუბიექტურ დამოკიდებულებას ნამდვილი მესაკუთრის ვინაობისადმი, ანუ, გარიგების დადების მომენტისათვის, შემენისათვის უცნობი უნდა იყოს რეესტრის ჩანაწერების უზუსტობის თაობაზე<sup>19</sup>. უკანასკნელი დებულება სადავოდ შეიძლება მოგვეჩვენოს, რადგან შემენის კეთილსინდისიერი სუბიექტური დამოკიდებულება უნდა არსებობდეს არა მხოლოდ გარიგების დადების მომენტისათვის, არამედ როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ - ერთ სხვა გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, შემენის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციამდე<sup>20</sup> (უფრო დაწვრილებით „გადამწყვეტი დროის მომენტის“ შესახებ იხ. ქვევით).

**განსხვავებული ინტერესთა ბალანსი - უძრავი და მოძრავი ნივთები.** ამ გადაწყვეტილების ერთ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამართლებრივი პოზიცია იყო სწორედ უძრავი და მოძრავი ნივთების კეთილსინდისიერ შემენასთან დაკავშირებით განვითარებული მსჯელობა. საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და მიიჩნია, რომ სსკ-ის 187-ე მუხლის მიხედვით მოძრავ ნივთებთან მიმართებით, შემენის კეთილსინდისიერება ვერ გადაფარავს საჯარო წესრიგით განმტკიცებულ ქცევის წესებს, რომ ნებისმიერი გასხვიება-განკარგვა უნდა მოხდეს თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე, ხოლო დანაშაულებრივი გზით ნივთის გასვლა მესაკუთრის მფლობელობიდან არ იცავს ნივთის შემენს სავინდიკაციო სარჩელისა თუ არარა გარიგების შედეგებისაგან. ამდენად, კანონმდებლის ნება ცალსახა და ცხადია – სამოქალაქო ბრუნვა უნდა განხორციელდეს ლეგიტიმურ საფუძველებზე. კანონმდებელმა უძრავ ნივთებზე საკუთრების წარმოშობისა და უკვე არსებული უფლების დაცვის გარანტიად განსაზღვრა საჯარო რეესტრი, რასაც ადასტურებს კანონმდებლისვე ნება, რომლის შესაბამისადაც რეესტრს გააჩნია მყარი ნდობა (პრეზუმფცია). ანუ, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის სავალდებულო პროცედურით კანონმდებელმა შექმნა ამ უფლებათა დაცვის მექანიზმი. სწორედ ამიტომ სსკ-ის 185-ე მუხლი დამატებით

<sup>19</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, № ას-543-511-2010, [12.12.2010].

<sup>20</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, № ას-691-1021-07, [12.02. 2008].

აღარ მიუთითებს შემძენის კეთილსინდისიერების გამომრიცხავ ისეთ გარემოებებზე, როგორცაა მესაკუთრისათვის ნივთის მოპარვა ან მისი ნების საწინააღმდეგოდ ნივთის მესაკუთრის მფლობელობიდან გასვლა. ნათელია, რომ უძრავი ქონების მოპარვა გამორიცხულია უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის განსაკუთრებული წესის არსებობის გამო, მაგრამ ამავე დროს შესაძლებელია უძრავ ქონებაზე საკუთრების დაკარგვა მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, დანაშაულებრივი გზით, როგორც განსახილველ შემთხვევაშია. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განიხილა უძრავ და მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შეძენა არსობრივად ერთნაირ შემთხვევად, რადგან სანივთო სამართალი განსხვავებულად აწესრიგებს მოძრავ და უძრავ ნივთებზე, როგორც საკუთრების ვარაუდს, ასევე საკუთრების გადასვლის წესს. კერძოდ, მოძრავ ნივთებთან დაკავშირებით საკუთრების პრეზუმფცია ვლინდება მფლობელობიდან, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებით - საჯარო რეესტრიდან. მოძრავ ნივთებზე საკუთრების გადასვლა უფრო გამარტივებულია, იგულისხმება გარიგების ფორმის თავისუფლება და ნივთზე მფლობელობის გადაცემა შემძენისათვის, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებით საკუთრების გადასვლისათვის აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. მოძრავი ნივთების სამოქალაქო ბრუნვა უფრო გაიოლებულია და დაკავშირებულია მეტ რისკთან, ვიდრე ეს უძრავი ნივთებთან მიმართებაში ხდება. მფლობელობა უფრო ნაკლებად იცავს კეთილსინდისიერ შემძენს, ვიდრე საჯარო რეესტრის რეგისტრაცია. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ კეთილსინდისიერება უკავშირდება სუბიექტურ ფაქტორს და არა ობიექტურს. ამასთან, კეთილსინდისიერება არსებობს უფლების წარმოშობამდე. ამ თვალსაზრისით თუ შევადარებთ სსკ-ის 185-ე და 187-ე მუხლებს, აშკარად დავინახავთ განსხვავებას. კერძოდ, კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, კეთილსინდისიერად არ ჩაითვლება შემძენი, თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. ხოლო 185-ე მუხლის თანახმად, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. ამდენად, მოძრავი ნივთების შემთხვევაში, შემძენის კეთილსინდისიერების შემოწმების არეალი უფრო ფართოა ვიდრე უძრავი ნივთების შემთხვევაში.

ამასთან ერთად, სსკ-ის 185-ე და 187-ე მუხლების სისტემური განმარტების საფუძველზეც იკვეთება კანონმდებლის ნება იმის თაობაზე, რომ უძრავ და მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შეძენის წესები ერთმანეთისაგან განსხვავებულად მოწესრიგებულიყო. მართალია, ორივე მოთავსებულია სსკ-ის მესამე თავში, მაგრამ გამოყოფილია ქვეთავი „საკუთრების უფლების შეძენა უძრავ ნივთებზე“, (რომელსაც მიეკუთვნება 185-ე მუხლი) და „საკუთრების უფლების შეძენა მოძრავ ნივთებზე“, (რომელსაც მიეკუთვნება 187-ე მუხლი). ამიტომ სრულიად დაუშვებელია მათი აღრევა და არსობრივად ერთნაირ შემთხვევად განხილვა, რისი მცდელობაც იყო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

## V. არსებული სასამართლო პრაქტიკა

ამ გადაწყვეტილებასთან ერთად, არ იქნება უინტერესო სხვა მსგავსი შემთხვევების

განხილვაც, რაც სრულ სურათს შექმნის უძრავი ნივთების კეთილსინდისიერი შემქმნის საკითხის თაობაზე.

**1. კარის მეზობლის შემთხვევა.** ერთ-ერთ საქმეში საკასაციო სასამართლომ ეჭვქვეშ დააყენა პირის კეთილსინდისიერება იმის გამო, რომ როგორც კასატორი უთითებდა, ბინის შემქმნი იყო ყოფილი მესაკუთრის კარის მეზობელი. ასეთ შემთხვევაში სასამართლოსათვის ძნელად სარწმუნო იყო ის გარემოება, რომ შემქმნის არ სცოდნოდა მის მეზობლად მდებარე სახლის ნაკლის არსებობა-არარსებობის თაობაზე, უკიდურეს შემთხვევაში მას მცდელობა მაინც უნდა ჰქონოდა, შეეტყო მეზობლისაგან ყველა გარემოება, რაც დაკავშირებული იყო ბინის ავკარგიანობასთან. აღნიშნული საქმე საკასაციო სასამართლომ ყველა ფაქტობრივი გარემოების დასადგენად ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოს დაუბრუნა<sup>21</sup>.

**2. ნათესაური კავშირი და სუბიექტური კეთილსინდისიერება.** სხვა საქმესთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ თუნდაც ნივთის შემქმნი გამსხვისებლის ნათესავი იყოს, აღნიშნული უპირობოდ მის არაკეთილსინდისიერებაზე არ მიუთითებს. ამ შემთხვევაში ასევე აუცილებელია იმ გარემოების დადასტურება, რომ შემქმნისათვის ნამდვილი მესაკუთრის ვინაობა ცნობილი იყო<sup>22</sup>. და მართლაც, ქართული სამართლის მიხედვით რეესტრის ჩანაწერის უსწორობის შესახებ მხოლოდ პოზიტიური ცოდნა გულისხმობს არაკეთილსინდისიერებას, და არცოდნა არ იწვევს იგივე შედეგს თუნდაც უხეში გაუფრთხილებლობის გამო.

სხვაგვარია მოძრავ ნივთებთან დაკავშირებული რეგულირება. მოძრავი ნივთების შემთხვევაში „კეთილსინდისიერად არ ჩაითვლება შემქმნი თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე“. 187 II ნაწილისაგან განსხვავებული რეგულირება უძრავი ნივთების შემთხვევაში აიხსნება მფლობელობის ფაქტთან შედარებით (რომელშიც გამოიხატება საჯაროობის პრინციპი მოძრავ ნივთებთან მიმართებით<sup>23</sup>) საჯარო რეესტრის უფრო ძლიერი სამართლებრივი პოზიციით. უძრავ ნივთებთან მიმართებით არაკეთილსინდისიერების მაკვალიფიცირებელია გამსხვისებლის უფლებრივი მდგომარეობის ცოდნა.

**3. შემქმნის კეთილსინდისიერების საეჭვოობა, თუკი იგი არ ინტერესდება უძრავი ნივთის ფაქტობრივი მდგომარეობით.** ქართულ სასამართლო პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როდესაც რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის გამო მოხდა ბინის გასხვისება მესაკუთრის თანხმობის გარეშე და საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მნიშვნელოვნად ჩათვალია ის გარემოება, რომ მესაკუთრეები 2004 წლიდან ცხოვრობდნენ სადავო ბინაში. საკასაციო პალატა დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს იმაში, რომ უძრავი ნივთის ფლობა არ განაპირობებს მფლობელის მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფციას, მაგრამ განმარტა, რომ უძრავი ნივთის შემქმნის კეთილსინდისიერების გამორკვევისათვის აღნიშნულ ფაქტს

<sup>21</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, № ას-1026-1219-08, [3.07.2009].

<sup>22</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, N ას-543-511-2010, [12.12.2010].

<sup>23</sup> შეად. *ქოჩაშვილი ქ.*, მფლობელობა და საკუთრება - ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში, 2013, თბ., 230 -231.

გარკვეული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, ვინაიდან დამკვიდრებული წესის თანახმად, უძრავი ნივთის შემძენი შეძენამდე ინტერესდება ნივთის მდგომარეობით<sup>24</sup>.

4. ნივთის ვიზუალური დათვალიერების განხორციელება, როგორც შემძენის გონივრული წინდახედულობის ფარგლებში განხორციელებული მოქმედება. სხვა საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ კიდევ უფრო გამოკვეთა შემძენის გონივრული წინდახედულობის ფარგლები და ზოგ შემთხვევაში იგი მიიჩნია აუცილებელ გარემოებად შემძენის კეთილსინდისიერების აღიარებისათვის<sup>25</sup>. საქმის გარემოებები იყო შემდეგი: ა<sup>26</sup> 1981 წლიდან უწყვეტად ცხოვრობდა სადავო ბინაში. 2006 წელს ისანი სამგორის რაიონის გამგეობის მიერ ბინა უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა ა-ს ყოფილ რძალ ბ-ს, პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც შემდგომში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 17 მაისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი. ამასობაში, 2007 წლის 28 ივნისს ბ-სა და გ-ს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება სადავო ბინაზე. მნიშვნელოვანი იყო ის გარემოებაც, რომ სადავო ბინაზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე შემძენს ბინა ვიზუალურად არ დაუთვალიერებია, მისი განმარტებით, მან იცოდა, რომ ბინაში იყვნენ დამქირავებლები და ნასყიდობის დაბალი ფასით დაინტერესების გამო, შემოიფარგლა მხოლოდ ბინის გარეგნული - ეზოდან დათვალიერებით. ბინაზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ კვირაში, 2007 წლის 5 ივლისს გ-მ მიმართა თბილისის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის მე-5 განყოფილებას სადავო ბინიდან ა-ს გამოსახლებისა და საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით.

თავდაპირველად სასამართლოს გაუჭირდა ჩამოყალიბებულიყო შემძენის კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით და დავის განხილვის პირველ ეტაპზე პირველი ინსტანციის სასამართლომ შემძენი ცნო კეთილსინდისიერ შემძენად, ხოლო სააპელაციო სასამართლომ პირიქით - არაკეთილსინდისიერ შემძენად. საკასაციო ინსტანციამ ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. სასამართლოს დასკვნა დაეფუძნა შემდეგ გარემოებებს: პირველ რიგში, შემძენი ვერ შეიძენდა საკუთრებას 183 მუხლის საფუძველზე (ჩვეულებრივი წესით), რადგან დადგენილი იყო, რომ გამსხვისებელი იყო გასხვისებაზე არაუფლებამოსილი პირი, ამიტომ შესაძლებელი უნდა ყოფილიყო შეძენა 185-ე მუხლის საფუძველზე (კეთილსინდისიერი შეძენით). ამასთან ერთად, სასამართლომ აღნიშნა, რომ 185-ე მუხლი ყოველთვის არ იცავს შემძენს, და ეს ის შემთხვევაა, როდესაც შემძენმა იცის უფლების ნაკლის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ გამსხვისებელი მესაკუთრეა რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. ამდენად, როდესაც სადავოა უძრავი ნივთის შეძენის ფაქტი და ნამდვილი მესაკუთრე უთითებს შემძენის არაკეთილსინდისიერებაზე, უნდა შემოწმდეს შემძენის სუბიექტური დამოკიდებულება გარკვეული ფაქტებისადმი. ამასთან, შემძენს არ შეიძლება მოეთხოვოს

<sup>24</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, № ას-524-869-07, [25.12.2007].

<sup>25</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, №ას-567-535-2012, [01.08.2012].

<sup>26</sup> მაგალითის სიმარტივისათვის, საქმის ინიციალები შეცვლილია პირობითი „ა“, „ბ“ და „გ“ ასოებით.

ისეთი გარემოებების ცოდნა, რომელიც აღემატება მისი შესაძლებლობის ფარგლებს<sup>27</sup>. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატამ შემძენის კეთილსინდისიერების შეფასებისას განიხილა სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოკვეთილი გარემოებანი, რომლებიც ქირავნობის ხელშეკრულებას უკავშირდებოდნენ. შემძენს სადავო ბინაზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე ბინა ვიზუალურად არ დაუთვალიერებია; შემძენმა გ-მ ვერ დაადასტურა გამყიდველ ბ-სთან დამქირავებლების ბინაში დარჩენისა და ქირავნობის ხელშეკრულების გაგრძელების ან მათ მიერ ბინის გათავისუფლების შესახებ, ასევე ქირავნობის თანხის ოდენობის და მისი გადახდის წესის შესახებ შეთანხმება; თუკი უძრავი ქონების შეძენა წარმოადგენდა შემძენისათვის ხელსაყრელ გარიგებას და იგი ემსახურებოდა არა ბინით სარგებლობის, არამედ, დამატებითი შემოსავლის გაჩენის სურვილს, მის ინტერესში უნდა ყოფილიყო დამქირავებელთან ქირავნობის ურთიერთობის გაგრძელება და ამ სახითაც დამატებითი შემოსავლის მიღება, ან გამყიდველისგან იმის გაგება მაინც, თუ როდის შეძლებდა ნივთით საკუთარი შეხედულებისამებრ სარგებლობას, ან განკარგვას. ნაცვლად იმისა, რომ მას შემდგომი მოქმედებებით მოეთხოვა ა-საგან (როგორც დამქირავებლისგან) ქირის მისთვის გადახდა, ბინაზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ კვირაში, 2007 წლის 5 ივლისს შემძენმა მიმართა თბილისის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის მე-5 განყოფილებას სადავო ბინიდან ა-ს გამოსახლებისა და საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით.

საკასაციო პალატის შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში, შემძენის მიერ სადავო ნივთის ვიზუალური დათვალიერება სწორედაც რომ ჯდებოდა შემძენის ობიექტურ შესაძლებლობებსა და წინდახედულობის ფარგლებში, ამასთან, მართალია კანონმდებელი არ ავალდებულებდა უძრავი ნივთის შემძენს ასეთი მოქმედებების განხორციელებას, შემძენის ინტერესებშივე იყო უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთის შეძენა, შესაბამისად ამ ინტერესების დაკმაყოფილებისათვის შემძენს მართებდა იმ მინიმალური წინდახედულობის გამოჩენა, რაც თუნდაც ნივთის ვიზუალურ დათვალიერებაში გამოიხატებოდა<sup>28</sup>. ამდენად, ამ ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ, სრულიად მართებულად გაიზიარა სააპელაციო პალატის შეფასებები და დაეთანხმა მის დასკვნას შემძენის არაკეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით. ფაქტობრივად, სასამართლომ გამოიყენა კეთილსინდისიერების უნივერსალური პრინციპი და ამავედროულად სუბიექტურ კეთილსინდისიერებაზე მსჯელობისას დაადგინა შემძენის კეთილსინდისიერი მოქმედების გარკვეული სტანდარტი, ისეთი მოქმედება, რომელსაც ობიექტური დამკვირვებელი / მიუკერძოვებელი პირი მიიჩნევდა კეთილსინდისიერ ქცევად. არსებული გარემოებებიდან გამომდინარე ჩაითვალა, რომ შემძენმა იცოდა იმის შესახებ, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე, მიუხედავად რეგისტრაციის არსებობისა, მისი ქცევა აშკარად არ იყო გულწრფელი<sup>29</sup>. თუკი პირმა იცის,

<sup>27</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, №ას-567-535-2012, [01.08.2012].

<sup>28</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმე №ას-567-535-2012, [01.08.2012].

<sup>29</sup> შემძენმა თავდაპირველად განმარტა, რომ არ დაათვალიერა ბინა იმის გამო, რომ იქ, მისი ინფორმაციით, ცხოვრობდნენ დამქირავებლები, შემდეგ კი არაფერი იღონა იმისათვის, რომ ან გამსხვისებელთან ან დამქირავებელთან გაერკვია ქირავნობის ხელშეკრულების საკითხი და

რომ ის, ვინც მას გადასცა საკუთრების უფლება არ არის უფლებამოსილი გასხვისებაზე, იგი ნამდვილ მესაკუთრესთან მიმართებით „უსამართლო“ გარიგების და ამ უკანასკნელის უფლებების უხეში ხელყოფის თანამონაწილე ხდება და ამდენად სწორედ „კეთილსინდისიერების“ ზოგადი პრინციპის მოქმედების სფეროში ექცევა<sup>30</sup>. სასამართლომ ამ შემთხვევაში მოახდინა ახალი ქცევის წესის ფორმირება<sup>31</sup>, რაც სამოქალაქო კოდექსიდან უშუალოდ არ გამომდინარეობს. შეიძლება ითქვას, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ არსებულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით გამოააშკარავა შემძენის არაკეთილსინდისიერება, თუმცა უძრავი ნივთის „დაუთვალაიერებლობა“ სხვა შემთხვევაში შეიძლება არ გახდეს შემძენის არაკეთილსინდისიერ შემძენად კვალიფიკაციის საფუძველი. ვფიქრობთ, რომ ამ გადაწყვეტილებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენებით განავითარა უძრავი ნივთების კეთილსინდისიერი შემძენის დოქტრინა თავისი საკუთარი მოთხოვნებით.

5. სხვა საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა არაუფლებამოსილი გამსხვისებლისაგან უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემძენა და განავითარა შემდეგი სამართლებრივი პოზიციები. საჯარო რეესტრი წარმოადგენს კეთილსინდისიერი პარტნიორის უფლების დაცვის გარანტს. ზუსტად ამ პრინციპიდან გამომდინარე, როდესაც რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციას ვიხილავთ კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტის ფარგლებში, სსკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 185-ე მუხლით ნახსენებ ტერმინ „გამსხვისებელში“ ყოველთვის იგულისხმება პირი, რომელიც არ არის უფლებამოსილი, გაასხვისოს საჯარო რეესტრში მის სახელზე რეგისტრირებული უფლება და ამდენად, ის არ არის უფლებამოსილი, დადოს ეს გარიგება. ზუსტად იმ შემთხვევებში, როდესაც უძრავი ნივთს ასხვისებს საამისოდ არაუფლებამოსილი პირი, მაგრამ ის რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, როგორც ამ უფლების მესაკუთრე, საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სსკ-ის 185-ე მუხლით დაცულ შემძენის უფლებას<sup>32</sup>.

სასამართლომ 185-ე მუხლთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ნორმის მიზანია სამოქალაქო ბრუნვის დაცვა და, შესაბამისად, საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაციის ფაქტისადმი მაღალი ნდობის უზრუნველყოფა<sup>33</sup>. საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ფაქტისადმი ნდობა გულისხმობს იმას, რომ უფლება, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში ნამდვილად ეკუთვნის გამსხვისებელს, ანუ იმ პირს, რომელიც გამოხატავს ნებას, გაასხვისოს მის სახელზე რეგისტრირებული უფლება. ამდენად, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა ნიშნავს სამოქალაქო ურთიერთობების მონაწილეთა

---

ნასყიდობიდან ერთ კვირაში მიმართა პოლიციას იქ მცხოვრები პირების გამოსახლების მოთხოვნით.

<sup>30</sup> შდრ. *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 86.

<sup>31</sup> სადავო ნივთის ვიზუალურ დათვალაიერებას კანონმდებელი უძრავი ნივთის შემძენს არ ავალდებულებს.

<sup>32</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმე № ას-1179-1108-2012, [07.03.2013].

<sup>33</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმე № ას-1179-1108-2012, [07.03.2013].

მიმართ ნდობასა და კეთილსინდისიერებას, რაც უზრუნველყოფილია საჯარო რეესტრის ჩანაწერების სისწორისა და სისრულის პრეზუმფციით. ამდენად, განსახილველი ნორმის თანახმად, კეთილსინდისიერი შემძენის უფლება საკუთრებაზე წარმოიშობა არა იმიტომ, რომ არაუფლებამოსილი გამსხვისებელი რეგისტრაციის ფაქტით გახდა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ქონების მესაკუთრე, არამედ იმიტომ რომ, სამოქალაქო ბრუნვის ინტერესების დაცვის მიზნით, კანონი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გარეგნულად აღქმად ფაქტებს, რომლის მიმართ არსებობს დასაბუთებული ნდობა. კონკრეტულ შემთხვევაში, ამ ფაქტებს განეკუთვნება საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაცია. მოცემულ საქმეში არსებული არცერთი მტკიცებულებით, მათ შორის მოწმეთა ჩვენებებით არ დასტურდებოდა ის გარემოება, რომ შემძენმა იცოდა სადავო ჩანაწერის უზუსტობის ან სხვა ხარვეზის თაობაზე, ამდენად სასამართლომ იგი კეთილსინდისიერ შემძენად ცნო<sup>34</sup>.

**6. სადავო ნივთების გასხვისება.** საქართველოს უზენაეს სასამართლოს ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით მოუწია მსჯელობა სადავო ნივთების შემძენის კეთილსინდისიერების პრეზუმფციაზე<sup>35</sup>. სასამართლოს პოზიციით, დავის განმავლობაში ნივთის გასხვისებისას მყიდველს შეიძლება არ ჰქონდეს ინფორმაცია შეძენილ ქონებასთან დაკავშირებული დავის შესახებ. ასეთ შემთხვევაში შემძენი ითვლება კეთილსინდისიერად და მისი უფლება დაცულია კანონით (სსკ-ის 185-ე და 312-ე მუხლები). თუ შემძენი ინფორმირებულია შესაძენ ნივთთან დაკავშირებული დავის თაობაზე, იგი ხდება იმ რისკის მატარებელი, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება დადგეს ამ ნივთის მიმართ. თუ დაკმაყოფილდება სარჩელი, შემძენს მოეთხოვება კანონიერ მესაკუთრედ ცნობილი მოსარჩელისათვის ნივთის დაბრუნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ შემძენმა დავის განმავლობაში შეიძინა ნივთი და ამის თაობაზე იგი ინფორმირებული იყო, შეუძლებელია შემძენი მივიჩნიოთ არაკეთილსინდისიერად და მას ჩამოვართვათ ნივთი. ამდენად, სასამართლოს განმარტებით დავის დროს ქონების გასხვისებისას არაკეთილსინდისიერებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც შემძენისათვის ცნობილია, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მესაკუთრეს საკუთრების უფლება არამართლზომიერად აქვს მოპოვებული და ნივთი სხვისდება შესაბამისი სამართლებრივი შედეგის თავიდან ასაცილებლად. თუ შემძენი დარწმუნებულია რეესტრის მონაცემების უტყუარობაში და მისთვის უცნობია რეგისტრაციის არამართლზომიერების თაობაზე, იგი კეთილსინდისიერია და მას ნივთი არ ჩამოერთმევა.

ქონების შემძენის თითოეულ შემთხვევაში, შეუძლებელია, გადამოწმება მიმდინარეობს თუ არა დავა რომელიმე სასამართლოში ამ ნივთის თაობაზე. აღნიშნული კანონის თვალსაზრისით აუცილებლობას არც წარმოადგენს. შემძენის წინდახედულობა შემოიფარგლება რეესტრის მონაცემთა შემოწმებით. ამ თვალსაზრისით საჯარო რეესტრის მონაცემები მნიშვნელოვანი სამართლებრივი დატვირთვის მატარებელია. საჯარო

<sup>34</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმე № ას-1179-1108-2012, [07.03.2013].

<sup>35</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმე № ას-888-836-2010, [17.02.2011].

რეესტრში აისახება ყველა მონაცემი ნივთის უფლებრივი მდგომარეობის თაობაზე. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში, აქ ფიქსირდება ინფორმაცია სასამართლოში მიმდინარე დავების თაობაზეც კი. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შემძენი კეთილსინდისიერია იმ შემთხვევაში, თუ იგი გამსხვისებელს მიიჩნევს მის მიერ შეძენილი ქონების მესაკუთრედ და ეს უკანასკნელი ასეთად არის რეგისტრირებული რეესტრში. აღნიშნულის საწინააღმდეგო ინფორმაცია მას არ გააჩნია, თუნდაც რეესტრის ჩანაწერის მიმართ შეტანილი საჩივრის თაობაზე.

ამდენად, აღნიშნულით სასამართლომ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ არაკეთილსინდისიერების აღიარებისათვის რეესტრის ჩანაწერის უსწორობის ცოდნა აუცილებელი და არა თუნდაც უხეში გაუფრთხილებლობით არცოდნა. და ასევე, სადავო ნივთებთან მიმართებითაც მითითება იმაზე, რომ შემძენმა იცოდა გარკვეული ფაქტები, რომლებიდანაც შეიძლებოდა გამომდინარეობდეს რეესტრის ჩანაწერის უსწორობის ვარაუდი, საკმარისი არ უნდა იყოს.

**7. მტკიცების ტვირთი.** მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით ქართული სასამართლო პრაქტიკა ძირითადად ერთგვაროვანია. საილუსტრაციოდ მოვიყვანო ორ გადაწყვეტილებას. ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით საქართველოს საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის 185-ე და 312-ე მუხლებით მხარეთა შორის გადანაწილებულია მტკიცების ტვირთი. რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია შემძენს უადვილებს უფლების კანონიერების მტკიცების პროცესს. რეესტრის მონაცემთა უსწორობა და შემძენისათვის ამ ფაქტის ცოდნა მოდავე მხარემ უნდა ამტკიცოს. ამასთან, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ თუკი მხარე სადავოდ ხდის შემძენის კეთილსინდისიერებას, სასამართლოს არ შეუძლია თავისი დასკვნა ნივთის შეძენის კანონიერებაზე დააყრდნოს მხოლოდ საჯარო რეესტრის ჩანაწერს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს ჩანაწერის სისწორე და გამოიკვლიოს, რა იცოდა შემძენმა ჩანაწერის ხარვეზის შესახებ. ამ უკანასკნელი საკითხის გამორკვევისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს შემძენის შესაძლებლობანი რეესტრის არასწორი ჩანაწერის ცოდნასთან მიმართებით, ანუ უნდა გაირკვეს, შემძენს გონივრული წინდახედულობის ფარგლებში შეეძლო და უნდა სცოდნოდა თუ არა სადავო ფაქტი. სწორედ ამ გარემოებათა გამოკვლევას უნდა ეფუძნებოდეს დასკვნა შენაძენის ნამდვილობისა და მისი დაცვის მიზანშეწონილობის თაობაზე<sup>36</sup>. სხვა გადაწყვეტილებით სასამართლომ განმარტა, რომ როდესაც პირი იძენს რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრირებული გამსხვისებლისაგან ქონებას, არაკეთილსინდისიერ შემძენად მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მოწინააღმდეგე მხარე დაამტკიცებს მისი კეთილსინდისიერების გამომრიცხავი გარემოებების არსებობას. ამიტომ შემძენის არაკეთილსინდისიერების მტკიცების ტვირთი აწევს შემძენის მოწინააღმდეგე მხარეს და არა შემძენს<sup>37</sup>. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ამ გადაწყვეტილებით გააკრიტიკა სააპელაციო სასამართლო, რომელმაც შემძენს არასწორად დააკისრა იმ გარემოების

<sup>36</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, №ას-691-1021-07, [12.02. 2008].

<sup>37</sup> შდრ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე I მუხლი.

დადასტურების ტვირთი, რაც ეკისრება იმ მხარეს, რომელიც სადავოდ ხდის შემძენის კეთილსინდისიერების ფაქტს<sup>38</sup>.

**8. „გადამწყვეტი დრო“ - უფლების რეგისტრაციის მომენტი.** ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს საკასაციო პალატამ განმარტა, რომ უძრავი ქონების შეძენასთან დაკავშირებით, კეთილსინდისიერება სსკ-ის 185-ე მუხლით გათვალისწინებულ შედეგს იწვევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას ადგილი აქვს შემძენის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციამდე (და არა შემძენისათვის ნივთის გადაცემამდე)<sup>39</sup>. აღნიშნული პოზიცია გასაზიარებელია, რადგან საკუთრების უფლება უძრავ ნივთებზე სწორედ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან წარმოიშობა, სასამართლოს განმარტებით, გადამწყვეტია კეთილსინდისიერება უფლების შეძენის დასრულების მომენტამდე არსებობდეს და ნივთის გადაცემას ამ კონტექსტში რაიმე მნიშვნელობა არა აქვს (მოძრავი ნივთებისაგან განსხვავებით, სადაც საკუთრების წარმოშობა ხდება traditio-ს გზით). ამავე მოსაზრებით არ უნდა იყოს გასაზიარებელი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებაში გატარებული მოსაზრება, რომ „გადამწყვეტი დროის მომენტი“ არის გარიგების დადების მომენტი და გარიგების დადების მომენტისათვის, შემძენისათვის უცნობი უნდა იყოს რეესტრის ჩანაწერების უზუსტობის თაობაზე<sup>40</sup>.

**9. კეთილსინდისიერი შეძენა და მეუღლეთა თანასაკუთრება.** მეუღლეთა საერთო საკუთრებასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინებების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართული სამართალი საჯარო რეესტრის ჩანაწერებს ანიჭებს უფლებაწარმომქმნელ მნიშვნელობას, რასაც ავრცელებს კანონიდან გამომდინარე საკუთრების უფლების გადაცემაზე. სსკ-ის 1158-ე მუხლის თანახმად, ქონება, რომელიც შეძენილია მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში, წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (საერთო საკუთრებას), თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული<sup>41</sup>. ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე მეუღლეთა უძრავ ქონებაზე მათი ერთობლივი საკუთრება წარმოიშობა მხოლოდ საჯარო რეესტრში ორივე მეუღლის რეგისტრაციის შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მესამე პირებისათვის რეესტრის ჩანაწერები სწორად ითვლება<sup>42</sup>. სასამართლოს ფორმულირება: „საერთო საკუთრება წარმოიშობა“, საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ რეესტრში შესაბამისი ჩანაწერის განხორციელებას სასამართლო განიხილავს მეორე მეუღლისათვის საკუთრების უფლების წარმოშობის შემადგენელ ელემენტად, მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში საკუთრება არ წარმოიშობა

<sup>38</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, № ას-888-836-2010, [17.02.2011].

<sup>39</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, № ას-691-1021-07, [12.02.2008].

<sup>40</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, № ას-543-511-2010, [12.12.2010].

<sup>41</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1172.

<sup>42</sup> იხ. ნორმის ინტერპრეტაცია, რომელიც აისახა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 9 დეკემბრის განჩინებაში, საქმეზე № 3კ/932-02.

უძრავი ნივთის განკარგვის შედეგად<sup>43</sup>. შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ ეს ფორმულირება არაზუსტი იყო და უზენაეს სასამართლოს მხედველობაში ჰქონდა მხოლოდ კეთილსინდისიერი შემძენის პოზიცია, რომლის სასარგებლოდაც ჩანაწერი სწორად ითვლება. მიიჩნევა თუ არა მეორე მეუღლის რეესტრში რეგისტრაცია საკუთრების წარმოშობის წინაპირობად, წმინდა თეორიული საკითხია, რადგან ასეთ შემთხვევაში (როდესაც მეორე მეუღლის რეესტრში რეგისტრაცია წარმოადგენს მისი საკუთრების უფლების წარმოშობის წინაპირობას) შემძენის კეთილსინდისიერება არანაირ როლს აღარ ითამაშებს და ადგილი ექნება უფლების მესაკუთრისაგან შეძენას. შედეგად, შემძენი შეძლებს გახდეს უძრავი ნივთის მესაკუთრე, თუნდაც მან იცოდეს, რომ შეძენილ ნივთზე ვრცელდება საერთო საკუთრების რეჟიმი.

## დასკვნები

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი ქართული კერძო სამართლის უნივერსალური პრინციპია, რომელიც განმტკიცებულია სსკ-ის ზოგადი დებულებების მე-8 მუხლის მე-3 ნაწილში. უძრავი ნივთების კეთილსინდისიერი შეძენის საკითხი არის ე.წ. სუბიექტური კეთილსინდისიერების საკითხი, რომელიც უკავშირდება შემძენისაგან იმ ფაქტობრივი გარემოებების ცოდნას, რომ გამსხვიებელი არ იყო მესაკუთრე მიუხედავად იმისა, რომ ასეთად იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. აღსანიშნავია, რომ ფსიქოლოგიური ძიებანი სამართალში შორს ვერ მიდის და იმის დადგენა, რამდენად იცოდა შემძენმა აღნიშნული გარემოებების შესახებ საკმაოდ რთულია, მით უფრო, რომ რეესტრის მონაცემთა უსწორობაცა და შემძენის მიერ ამ ფაქტების ცოდნა სწორედ მოდავე მხარემ უნდა ამტკიცოს. ამავდროულად, ერთ-ერთ საქმეზე უზენაესმა სასამართლომ ცნო პირი არაკეთილსინდისიერ შემძენად და ფაქტობრივად მოახდინა ისეთი ახალი ქცევის წესის ფორმირება, რაც სამოქალაქო კოდექსიდან უშუალოდ არ გამომდინარეობდა (იხ. ზემოთ). აღნიშნული გადაწყვეტილებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენებით განავითარა უძრავი ნივთების კეთილსინდისიერი შეძენის ახალი დოქტრინა თავისი საკუთარი მოთხოვნებით. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი საშუალებას აძლევს მართლმსაჯულებას იმსჯელოს გარკვეულ შეფასებით კატეგორიებზე და ამ გზით განავითაროს სამართალი.

---

<sup>43</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ აგრეთვე ზარნაძე ე., მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებთან დაკავშირებული სასამართლო დავების ზოგიერთი თავისებურება, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10/2007-1, 120-138.

## თამარ ზარანდია\*

### ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი და ნივთის საკუთვნიველი

საქმე №3კ-675-02\*\*

ლ.ლ. მ.დ.-სა და კ.ტ.-ს წინააღმდეგ

#### საკვანძო მუხლი:

1. ნივთის შემადგენელი ნაწილი, რომლის გამოცალკევებაც შეუძლებელია მთლიანი ნივთის ან ამ ნაწილის განადგურების ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე (ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი), ცალკე უფლების ობიექტად შეიძლება იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან და არ არის გამოიზნული დროებითი სარგებლობისათვის, რაც ხელშეკრულებითაც შეიძლება განისაზღვროს. (სსკ-ის, 150-ე მუხლი).

#### ფაქტები:

ლ. ლ.-მ სარჩელი აღძრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მ. დ.-ისა და კ. ტ.-ის მიმართ და მოითხოვა მოპასუხეებს შორის 1998 წლის 13 მაისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ, მინაშენის გაყიდვის ნაწილში ხელშეკრულების გაუქმება. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ქ.ქუთაისში, ... მდებარე საცხოვრებელი სახლიდან მისი და მისი ოჯახის წევრების გამოსახლების შესახებ სააღსრულებლო საქმის წარმოების შეჩერება.

**მოსარჩელის არგუმენტაცია:** მოსარჩელის მეუღლემ, გ. ლ.-მ ისესხა 3000 აშშ დოლარი ზ. დ.-ისაგან. ზ. დ.-მ ვალის გადახდის უზრუნველსაყოფად, გ. ლ.-ს თავისი მეუღლის მ. დ.-ის სახელზე გააცემინა გენერალური მინდობილობა ქ.ქუთაისში ... მდებარე საცხოვრებელ სახლზე, რის შემდეგაც მ.დ.-მ აღნიშნული სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება გააფორმა კ. ტ.-ზე. მ.დ.-მ, რომელსაც მხოლოდ დამთავრებული სახლის გაყიდვის უფლება ჰქონდა მინდობილი. ამის საპირისპიროდ, მასთან ერთად მოხდა მინაშენის გაყიდვაც, მაშინ როცა ნასყიდობის ობიექტს მინაშენი არ წარმოადგენდა. იგი იყო დაუმთავრებელი, არ იმყოფებოდა ექსპლუატაციაში. მ.დ.-მ მოახერხა და დაუმთავრებელი ობიექტი ექსპლუატაციაში მიეღო. აღნიშნულის შესახებ შემდგარი აქტი

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი.

\*\* საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

ლ. ლ.-ის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოს 2001 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებით გაუქმდა.

**საქალაქო სასამართლოს პოზიცია:** ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2001 წლის 26 ივლისს მიღებული განჩინებით დააკმაყოფილა ლ.ლ.-ის მოთხოვნა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1999 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე ქ.ქუთაისში ... მდებარე საცხოვრებელი სახლიდან ლ.ლ.-ისა და მისი ოჯახის წევრების გამოსახლება შეაჩერა, ხოლო იმავე წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა ლ.ლ.-ის სარჩელი და საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში შეიტანა ცვლილება: გააუქმა ხელშეკრულება მინაშენის ყიდვა-გაყიდვის ნაწილში. აღნიშნული გადაწყვეტილება კ. ტ.-მა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

**სააპელაციო სასამართლოს პოზიცია:** ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 22 მარტის განჩინებით კ. ტ.-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და აღნიშნულ საქმეზე უცვლელი დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2001 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ლ.-მა 1996 წლის აგვისტოში ანდო თავისი ქონება მ. ლ.-ს და დართო მას ნება აღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებით დაედო კანონით ნებადართული ყოველგვარი გარიგება, მათ შორის, მოეხდინა მისი გასხვისება. გ.ლ.-ის მიერ მ.ლ.-ზე მინდობილობის გაცემასთან დაკავშირებით, მისი ნება გამოხატა გ.ლ.-ის მეუღლემ ლ.ლ.-მაც და მეუღლეს მისცა თანხმობა გაეყიდა მის სახელზე აღრიცხული ბინა მდებარე ... ქ. ქუთაისში. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ.ლ.-ის მიერ მ.ლ.-ზე გაცემული მინდობილობა არ აძლევდა უფლებას წარმომადგენელს გაესხვისებინა მარწმუნებლის მიერ მეუღლესთან ერთობლივად ნაწარმოები და დაუმთავრებელი მინაშენი. აღნიშნულ მინდობილობასთან დაკავშირებით გაცემულ თანხმობაში ლ.ლ.-მ მიუთითა რომ თანახმა იყო წარმომადგენელს გაეყიდა მხოლოდ გ.ლ.-ის სახელზე აღრიცხული ბინა (სახლი) და არა სახლის ის ნაწილი, რომელიც არ იყო აღრიცხული. მ.ლ.-მ 1998 წლის მაისში დადო რა საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება კ.ტ.-თან გადაამეტა მინიჭებულ უფლებამოსილებას და გაყიდა არა მარტო გ.ლ.-ის სახელზე მინდობილობის მიღების დროისათვის აღრიცხული საცხოვრებელი სახლი, არამედ მიშენებაც, რომელიც შენობა-ნაგებობის ექსპლოატაციაში მიმდებ სათანადო კომისიას, ნასყიდობის ხელშეკრულების დადებად, მიაღებინა ექსპლოატაციაში და აღრიცხა ტექ.აღრიცხვის ბიუროში. მინაშენის ექსპლოატაციაში გაშვების შესახებ სახელმწიფო მიმღები კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, 1998 წლის 22 აპრილს მიღებული 188/98 აქტი გაუქმებული იქნა სასამართლოს 2001 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებით, რომელიც შევიდა კანონიერ ძალაში. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მართალია, სამოქალაქო კოდექსი დაუმთავრებელი საცხოვრებელი სახლის ან ნაგებობის გასხვისებას არ კრძალავს, მაგრამ ამავე დროს, თანახმად ამავე კოდექსის 487-ე მუხლისა, გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს როგორც ნივთობრივად, ისე უფლებრივად უნაკლო ნივთი, ამავე კოდექსის 489-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, ნივთი უფლებრივად უნაკლოდ ითვლება, თუ მესამე პირს არ შეუძლია განუცხადოს მყიდველის პრეტენზია თავისი უფლებების გამო. კონკრეტული შემთხვევაში სადავო ობიექტი – მინაშენი უფლებრივად არ იყო უნაკლო, ვინაიდან მასზე მეუღლეებს თანაბარი უფლებები გააჩნდათ, ხოლო იმის გამო, რომ იგი არ იყო

დამთავრებული, არც კი იყო აღრიცხული. ვინაიდან ლ. ლ.-მ მეუღლეს მისცა თანხმობა გაესხვისებინა მხოლოდ მის სახელზე რიცხული ბინა, ხოლო თავის მხრივ გ. ლ.-მ მ. ლ.-ს ასევე ანდო მხოლოდ თავისი საკუთრება და არა მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონება, მ.ღ.-ეს უფლება არ ჰქონდა გ.ლ.-ის სახელზე აღერიცხა მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონება, მ.ღ.-ეს უფლება არ ჰქონდა ბ.ლ.-ის სახელზე აღერიცხა მეუღლეთა მიერ ერთობლივად ნაწარმოები და დაუმთავრებელი მინაშენი და შემდეგ მოეხდინა მისი გასხვისება. ამდენად, საპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მინაშენი უფლებრივად დატვირთულია, ის წარმოადგენდა მეუღლეთა მიერ ერთობლივად ნაწარმოებ მშენებლობას და მისი გასხვისებისათვის საჭირო იყო, თანახმად სკ-ს 1159-ე მუხლისა, ლ.ლ.-ის თანხმობაც, რაც მ.ღ.-ეს არ გააჩნდა.

კ. ტ.-მ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით და მოითხოვა განჩინების მთლიანად გაუქმებას და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებას.

### **საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება**

საკასაციო სასამართლომ გააუქმა საქმეზე ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლტრების საქმეთა 2002 წლის 22 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელემ თანხმობა მისცა მეუღლეს გაეყიდა მის სახელზე რიცხული სახლი, ხოლო ამ სახლზე ნაწარმოები მინაშენის გაყიდვაზე მას თანხმობა არ გააჩნდა და რომ მინაშენის, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენდა, გასხვისებისათვის საჭირო იყო სკ-ს 1159-ე მუხლის თანახმად მოსარჩელის თანხმობა, საკასაციო სასამართლოს აზრით დაუსაბუთებელი იყო.

### **საკასაციო სასამართლოს არგუმენტაცია**

სამოქალაქო კოდექსის 150 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ნივთის შემადგენელი ნაწილი, რომლის გამოცალკევებაც შეუძლებელია მთლიანი ნივთის ან ამ ნაწილის განადგურების ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე (ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი), ცალკე უფლების ობიექტად შეიძლება იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ნივთის შემადგენელი ნაწილის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება სამოქალაქო ბრუნვის ტრადიციები, ხოლო თუ ასეთი არ არსებობს, თვით ნივთის სამეურნეო დანიშნულება. ნივთის შემადგენელ ნაწილად უნდა ჩაითვალოს ის, რაც მიზნობრივადაა დაკავშირებული მასთან. ასევე საჭიროა, რომ ამ კავშირის შედეგები განვიხილოთ, როგორც ერთიანი ნივთი. როცა ნივთების კავშირით იქმნება ერთიანი ნივთი, მაშინ არ შეიძლება ვილაპარაკოთ სხვადასხვა ნივთებზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი საკუთრების უფლებით. გამონაკლის რეჟიმს ექვემდებარება მიწის ნაკვეთის ნაწილი, რომელიც ერთიანი მიწის ნაკვეთის შემადგენელ ნაწილად ჩაითვლება მაშინაც, როცა ისინი, ერთმანეთთან არ არიან დაკავშირებული ან სხვადასხვა სამეურნეო მიზნებს ემსახურებიან (სკ-ს 150-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ამდენად, საკასაციო სასამართლოს აზრით, არსებით შემადგენელ ნაწილს მიეკუთვნება ის, რაც სამართლებრივად დაკავშირებულია ნივთთან და არ წარმოადგენს განსაკუთრებული უფლების ობიექტს. ე. ი. არსებითი შემადგენელი ნაწილის ბედი მთლიანადაა დაკავშირებული ნივთთან და შეუძლებელია შემადგენელი ნაწილის დამოუკიდებელი განკარგვა.

რადგან დადგენილი იყო, რომ გ.ლ.-მ მ.დ.-ის სახელზე გაცემული მინდობილობით გამოხატა ნება გაეყიდა მის სახელზე აღრიცხული სახლი, რაზედაც თანხმობა მისცა მისმა მეუღლემ (მოსარჩელემ). უდავოა, რომ სახლის მიწის ნაკვეთისაგან დამოუკიდებელი განკარგვა შეუძლებელია. ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად კ.ტ.-მა იყიდა სახლი განლაგებული 452 კვ. მ. მიწის ნაკვეთზე. სასამართლომ მინაშენის ნაწილში გააუქმა ნასყიდობის ხელშეკრულება ისე, რომ არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები. კერძოდ, არ გამოიკვლია მინაშენი სამართლებრივად დაკავშირებულია თუ არა ძირითად სახლთან და იმ მიწის ნაკვეთთან, რომელზეც განლაგებულია ძირითადი საცხოვრებელი სახლი და წარმოადგენს თუ არა ცალკე უფლების ობიექტს.

საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებელად მიიჩნია ასევე სააპელაციო პალატის დასკვნა იმის თაობაზე, რომ სახლის მინაშენი უფლებრივად დატვირთული იყო, ის წარმოადგენდა მეუღლეთა თანასაკუთრებას, რისთვისაც საჭირო იყო მეუღლის თანხმობა.

პალატის მოსაზრებით მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში ერთად შეძენილ – სკ-ს 1158-ე მუხლით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე (თანასაკუთრებაზე) მეუღლეთა საკუთრების უფლება წარმოიშობა მხოლოდ საჯარო რეესტრში ორივე მათგანის რეგისტრაციის შემდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში მესამე პირების მიმართ რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად.

## ანალიზი

ნივთების კლასიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმი მათი გადაადგილებაუნარიანობა, მოძრაობას დაქვემდებარებულობაა და ამგვარი კლასიკური კლასიფიკაციით ნივთები იყოფა მოძრავ და უძრავ ნივთებად. ამასთან, სასამართლოს მიერ განვითარებული ზემოთ მოყვანილი მსჯელობების გარდა, რომელიც ნივთებს შორის არსებულ მეტ-ნაკლებად მჭიდრო კავშირის წმინდა ფიზიკურ კრიტერიუმს ეხება, დგას სუბიექტის ნებასთან დაკავშირებული საკმაოდ საინტერესო საკითხიც. მაგალითად, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს გარკვეულწილად აქვს შესაძლებლობა, გამოავლინოს თავისი ნება და არაპირდაპირ მოახდინოს მის საკუთრებაში არსებული ნივთის კლასიფიკაცია და მისი მიკუთვნება უძრავ ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილად ნივთის მიწასთან/ ან შენობასთან მყარი კავშირის ინიცირებით.

სწორედ ამ საკითხებს ეხება განსახილველი გადაწყვეტილებაც. მოცემული გადაწყვეტილების ანალიზისას ჩვენ თავდაპირველად შევეხებით ზოგადად შემადგენელი ნაწილის ცნებას (I), რომლის ფარგლებშიც განხილულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა არაარსებითი შემადგენელი ნაწილი, არსებითი შემადგენელი ნაწილი, მიერთება (ინკორპორაცია) და დროებითი მიზნით მიერთება და ასევე არსებით შემადგენელ ნაწილის თემატიკასთან მომიჯნავე საკუთრების საკითხსაც (II). საყურადღებოა, რომ ამ შემთხვევაშიც სწორედ მესაკუთრეს შეუძლია განსაზღვროს მოძრავი ნივთების სამეურნეო

- ეკონომიკური დანიშნულებაც ძირითად ნივთებთან მიმართებით, იყოს ამ ნივთების სივრცობრივი კავშირის ინიციატორი და იგი ფაქტობრივად ამ ნების გამოვლინებით ქმნის საკუთვნებელსაც. ამავდროულად, არის თუ არა საკმარისი მხოლოდ სუბიექტის ნება იმისათვის, რათა წინააღმდეგობა გაუწიოს ნივთებს შორის ფიზიკური კავშირის ობიექტურ კრიტერიუმს? სამართალში ამ ორი კატეგორიის განსხვავება პრაქტიკულ მაგალითებსა და არსებულ სასამართლო პრაქტიკაშია საძიებელი.

## I. შემადგენელი ნაწილები

ნაწილებს, რომლებისგან შედგენილი ნივთი არსებობს, ეწოდება შემადგენელი ნაწილები. ერთმანეთისაგან განსხვავდება არსებითი და არაარსებითი შემადგენელი ნაწილები. არსებითი შემადგენელი ნაწილი არის ნივთის ისეთი ნაწილები, რომლებიც შეუძლებელია ერთმანეთისგან იმგვარად იქნეს დაშორებული, რომ ამით არ მოხდეს ერთი ან მეორე ნაწილის განადგურდება, ან მისი ბუნების, დანიშნულების შეიცვალა (მუხლი 150 I). (მაგ. ჩაშენებული ბუხარი). ეს ნივთები შეერთების შედეგად კარგავენ თავიანთ სხეულებრივ დამოუკიდებლობას და ერთი მთლიანი ნივთის ნაწილი ხდებიან (მაგ., აგრეთვე მშენებლობისას გამოყენებული სამშენებლო მასალები). იგივე შეიძლება ითქვას იმ შემთხვევებზე, როდესაც გამოცალკევება კი არის შესაძლებელი, მაგრამ ამისათვის საჭირო ხარჯები შეუსაბამოდ მაღალია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ განიმარტა, რომ ნივთის შემადგენელი ნაწილის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება სამოქალაქო ბრუნვის ტრადიციები, ხოლო თუ ასეთი არ არსებობს, თვით ნივთის სამეურნეო დანიშნულება. ნივთის შემადგენელ ნაწილად უნდა მიიჩნიოს ის, რაც მიზნობრივად დაკავშირებული მასთან. ასევე საჭიროა, რომ ამ კავშირის შედეგები განვიხილოთ, როგორც ერთიანი ნივთი. როცა ნივთების კავშირით იქმნება ერთიანი ნივთი, მაშინ არ შეიძლება საუბარი სხვადასხვა ნივთებზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი საკუთრების უფლებით. ამდენად, არსებით შემადგენელ ნაწილს მიეკუთვნება ის, რაც სამართლებრივად დაკავშირებულია ნივთთან და არ არის განსაკუთრებული უფლების ობიექტი. ე. ი. არსებითი შემადგენელი ნაწილის ბედი მთლიანადაა დაკავშირებული ნივთთან და შეუძლებელია შემადგენელი ნაწილის დამოუკიდებელი განკარგვა<sup>1</sup>.

ამასთან ერთად, სამოქალაქო ბრუნვაში რთულია არსებითი და არაარსებითი ნაწილების განსხვავება, ამ შემთხვევაში გადამწყვეტია სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული შეხედულება ან ობიექტური დამკვირვებლის (მესამე პირის) ბუნებრივი განსჯა; ასევე მნიშვნელობა ენიჭება ნივთების შეერთების დროს<sup>2</sup>. ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილები შეუძლებელია სხვის განსაკუთრებული უფლებების საგანს წარმოადგენდნენ, ანუ მაგ., სხვის საკუთრებაში არსებობდნენ. ამდენად, მთავარი ნივთის მესაკუთრე, ყოველთვის წარმოადგენს არსებითი შემადგენელი ნაწილის მესაკუთრეს. საკანონმდებლო დანაწესი, რომლითაც ნივთსა და არსებით შემადგენელ ნაწილს უნდა

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, № 33-675-02, გადაწყვეტილება, 22.10.2002.

<sup>2</sup> შდრ. *Wolf/Wellenhofer*, Sachenrecht, §1, Rn. 23.

ჰქონდეს ერთიანი სამართლებრივი ბედი, მიზნად ისახავს ნივთის ეკონომიკური ერთიანობის შენარჩუნებას. ამდენად, ძირითად ნივთზე არსებული უფლებრივი მდგომარეობა ვრცელდება მის არსებით შემადგენელ ნაწილზეც. ამასთან, მნიშვნელოვანია აღნიშნოს, რომ შესაბამისად, ძირითად ნივთზე თანასაკუთრების შემთხვევაში, უფლებრივი პროპორციის რეჟიმში ექცევა მისი არსებითი შემადგენელი ნაწილიც.<sup>3</sup>

აღნიშნული მიდგომა უძრავ ნივთებთან მიმართებით, არის ქართულ სამართალში «superficies solo cedit»-ის პრინციპის გამოძახილიც, რომლის თანახმადაც, მიწის ნაკვეთზე მდებარე ნაგებობის სამართლებრივი ბედი დაკავშირებულია მოცემული მიწის ნაკვეთის სამართლებრივ ბედთან, რაც უზრუნველყოფს ნაკვეთის და ნაგებობის სამართლებრივ ერთიანობას.<sup>4</sup> აღნიშნული პრინციპის ფესვები რომის სამართლიდან მოდის. რომის სამართლით უძრავ ნივთებს განეკუთვნებოდა არა მარტო მიწის ნაკვეთი და მიწის წილი, არამედ მიწის ზედაპირზე სხვისი ან მესაკუთრის შრომით შექმნილი სიკეთე, რომელიც მიწის ზედაპირის ხელოვნურ ან ბუნებრივ ნაწილად ითვლებოდა და მასზე ვრცელდებოდა წესი მიწის ზედაპირზე შექმნილის მიწის ნაკვეთისაგან განუყოფლობის თაობაზე.<sup>5</sup> სამოქალაქო კოდექსის 193-ე მუხლის თანახმად, თუ მოძრავი ნივთი ისეა მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული, რომ იგი ამ მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილი გახდება, მაშინ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, იმავდროულად ხდება ამ ნივთის მესაკუთრეც. 150-ე მუხლის მეორე ნაწილი კი მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილებს მიაკუთვნებს შენობა-ნაგებობებს და მიწასთან მყარად დაკავშირებულ სხვა ნივთებს. ამ გზით «superficies solo cedit»-ის პრინციპი უზრუნველყოფს სამართლებრივ განსაზღვრულობას, რადგან ის საშუალებას აძლევს ნაკვეთის პოტენციურ შემძენს საკმაოდ მარტივად განსაზღვროს, თუ რა ნივთებზე ვრცელდება შეთანხმება. ამასთან, ამ გზით თავიდან არის აცილებული ის ეკონომიკური დანაკარგები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ნაკვეთისა და შენობის სხვადასხვა პირისათვის კუთვნილების შემთხვევებში.<sup>6</sup> საყურადღებოა, რომ ქართველმა კანონმდებელმა მთლიანობაში მოახდინა «superficies solo cedit»-ის პრინციპის რეცეფცირება ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილის ცნების რეცეფციის გზით.<sup>7</sup> თუმცა, აღნიშნული პრინციპის რეცეფცია პოსტ-საბჭოთა სივრცეში დაკავშირებული იყო რიგ სირთულეებთან. ეს სირთულეები განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ საბჭოთა სამართალი არ უშვებდა მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლებას, მაგრამ ითვალისწინებდა საკუთრების უფლებას შენობაზე.<sup>8</sup> საქართველოში მოქმედი კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ არ არეგულირებდა მიწის ნაკვეთის

<sup>3</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, №ას-1653-1550-2012, 15.04.2013.

<sup>4</sup> *Staudinger-Jickli/Stieper*, Kommentar zum BGB Neubearbeitung 2004, § 94 Rn. 2.

<sup>5</sup> შდრ. *გარიშვილი, ხოფერია*, რომის სამართალი, მერიდიანი, თბ., 2013, გვ. 277.

<sup>6</sup> შდრ. *Staudinger-Jickli/Stieper*, Kommentar zum BGB Neubearbeitung 2004, § 94 Rn. 3; *PALANDT-HEINRICHS*, KOMMENTAR ZUM BGB § 94 Rn 1.

<sup>7</sup> შდრ. *Kurzynsky-Singer, Zarandia*, Rezeption des deutschen Sachenrechts in Georgien, Mohr Siebeck, 2014, გვ. 131 და შემდგ.

<sup>8</sup> შდრ. *Gerasin*, Separation of Real Property on Land Plots and Structures Located thereon and its Impact on Transactions Costs, in: Trunk (Hrsg.) Die Transformation dinglicher Rechte an Immobilien in Russland und anderen Staaten Mittel- und Osteuropas, Köln 2010, გვ. 49.

პრივატიზების საკითხს,<sup>9</sup> სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გამოკლებით,<sup>10</sup> რაც ხელს უშლიდა სახელმწიფოს მიერ შენობის გასხვისებისას ერთიანი მესაკუთრის არსებობას. „საჯარო რეესტრის შესახებ“ ამჟამად მოქმედი კანონი,<sup>11</sup> მოცემულ ნაწილში მეტწილად იმეორებს „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ კანონის პოსტულატებს,<sup>12</sup> თუმცა პრივატიზაციის სფეროში 2010 წლის ივლისში მიღებულ იქნა კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“,<sup>13</sup> რომელიც ადგენს უძრავი ქონების (მათ შორის, მიწის, რომელიც არ წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას) პრივატიზაციის წესს. საგულისხმოა, რომ ახალმა კანონმა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ შენობის, როგორც ცალკე უფლების ობიექტის რეგისტრაციისათვის წინაპირობები არ გაითვალისწინა. საქართველოში ჯერაც გვხვდება სახელმწიფოს მიერ მიწის გასხვისების შემთხვევებში, შენობა-ნაგებობების ცალკე რეგისტრაციის ფაქტები. აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესთან, რომლის მიხედვითაც, სამოქალაქო ბრუნვაში შენობა განიხილება, როგორც მიწის ნაკვეთის შემადგენელი ნაწილი. აღნიშნული წარმოადგენს პრობლემას, რადგან ასეთი მიდგომით შესაძლოა ადგილი ჰქონდეს შემთხვევას, როდესაც მიწის ნაკვეთის პრივატიზაციისას მესაკუთრემ, რომელმაც შეიძინა საკუთრება მიწის ნაკვეთზე, მოითხოვოს მისი უფლების აღიარება შენობაზე, რომელზეც საკუთრების უფლება უკვე სხვა პირზეა რეგისტრირებული. საინტერესოა ასევე, რომ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების აღიარების შესახებ საქართველოს კანონის“<sup>14</sup> მეორე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად დაინტერესებულ პირს მიეკუთვნება „...აგრეთვე ის პირი, რომელმაც სახელმწიფო საკუთრების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთით მოსარგებლისაგან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძინა/მოიპოვა ამ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე საკუთრების უფლება“. აღნიშნული კიდეც ერთხელ მოწმობს, რომ სამართლებრივ პრაქტიკაში, რიგ შემთხვევებში მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობის სამართლებრივი ბედი არ არის თანხვედრაში.

საყურადღებოა, რომ უძრავი ნივთების ბრუნვის სხვა შემთხვევებში სასამართლო პრაქტიკა შენობას (ნაგებობას) განიხილავს, როგორც მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს. ასე მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 11 დეკემბრის

---

<sup>9</sup> „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 30 მაისის კანონი.

<sup>10</sup> მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მიღებულ იქნა სპეციალური კანონი - 1996 წლის 22 მარტის კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების შესახებ“ (N<sup>o</sup>165-IIc).

<sup>11</sup> საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“ (820-PC).

<sup>12</sup> კერძოდ, მოცემული კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ უძრავ ნივთს განეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე, შენობა-ნაგებობა (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული), შენობა-ნაგებობის ერთეული და ხაზობრივი ნაგებობა.

<sup>13</sup> საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ (N 3512 – PC).

<sup>14</sup> 2007 წლის 11 ივლისის N5274-რს კანონი

გადაწყვეტილებით<sup>15</sup> ნაწილობრივ დაკმაყოფილდა საკასაციო საჩივარი, რის საფუძველდაც მოხდა მითითება იმ გარემოებაზე, რომ საქმის განმხილველმა სააპელაციო სასამართლომ მხარეს, რომელსაც მიანიჭა საცხოვრებელი სახლის ნაწილი, არ მიიღო გადაწყვეტილება მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების შესახებ, რომელზეც შენობა იყო განთავსებული. უზენაესი სასამართლოს მოსაზრებით, ამით სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის მოთხოვნები.

#### ა) არაარსებითი შემადგენელი ნაწილები

არაარსებითი შემადგენელი ნაწილები შესაძლებელია ნივთისაგან ზიანის გარეშე იქნენ გამოცალკევებულნი, მაგ., ჩანაცვლებადი ძრავი ავტომანქანის შემთხვევაში, საბურავები, სტანდარტული ჩაშენებული სამზარეულო. ამდენად, ასეთ ნივთებზე შესაძლებელია ცალკე უფლებების არსებობა.

ასე მაგალითად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საცხოვრებელ სახლზე არსებული მინაშენი ცნო ამ სახლის არსებით შემადგენელ ნაწილად<sup>16</sup>. სასამართლომ მიუთითა, რომ საცხოვრებელ სახლზე არსებული მინაშენები, სამოქალაქოსამართლებრივი თვალსაზრისით, არ შეიძლება ყოფილიყო ცალკე უფლების ობიექტი, რაც იმას ნიშნავდა, რომ სახლზე არსებული სანივთო უფლებები ვრცელდებოდა მის მინაშენებზეც. შესაბამისად, აუქციონზე წილის შეძენით უფლებამოსილმა პირმა შეიძინა უფლებები ნივთზე სრულად.<sup>17</sup>

სხვა საქმეზე, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სარდაფი არ არის ბინის არსებითი შემადგენელი ნაწილი და შესაძლოა, იყოს ცალკე უფლების ობიექტი. სასამართლოს განმარტებით, ნივთის შემადგენელი ნაწილის თვისებას შეადგენს ის, რომ იგი ყოველთვის მეორე ნივთთანაა დაკავშირებული და ამ ნივთების კავშირით იქმნება ერთიანი ნივთი, მაშინ შეიძლება ვისაუბროთ სხვადასხვა ნივთებზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი საკუთრების უფლებით. სადავო სარდაფი მდებარეობდა ცალკე და მოსარჩელის ბინასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა, სარდაფისა და ბინის კავშირით არ იქმნებოდა ერთიანი ნივთი და მათ სხვადასხვა დანიშნულება აქვთ. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სარდაფი ცალკე უფლების ობიექტია.<sup>18</sup>

საინტერესოა გერმანიის ფედერალური სასამართლოს განმარტება ერთ-ერთ საქმეზე. შემთხვევა ეხებოდა არასერიულად დამზადებულ მოდულს, რომელიც პატარა თბოელექტროსადგურის ელექტროენერგიით მომარაგების მიზნით გამოიყენებოდა, გერმანიის ფედერალური სასამართლოს მიერ ეს მოდული არ იქნა მიჩნეული ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილად, რამდენადაც დარჩენილი ნივთის გამოყენება

<sup>15</sup> იხ.: სუსგ, 2007 წლის 11 დეკემბერი, საქმეზე №ას-274-604-07.

<sup>16</sup> შდრ. საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკაში სადავო იყო ვერანდის, როგორც უძრვი ნივთის ბუნება, მხარეთა შეთანხმებით მყიდველის მიერ თანხის სრულ გადახდამდე ხელშეკრულებაში ჩადებული იყო საკუთრების უფლების გადაცემის შეჩერების პირობა და ვერანდა განიხილებოდა იმ მოძრავ ნივთად, რომელიც უძრავ ნივთში იქნება დაფიქსირებული. სასამართლომ უპირატესობა მიანიჭა რა საჯარო წესრიგის გათვალისწინებით შექმნილ საკანონმდებლო დებულებებს, ვერანდა უძრავ ნივთად აღიარა, Mathieu, Droit Civil, les biens, Sirey, 2013, 59.

<sup>17</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, №ას-820-872-2011, 29.07.2011.

<sup>18</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, №ას-355-641-04, 02.07.2004.

შესაძლებელი იყო შემადგენელი ნაწილის გამოცალკევების შემდეგაც, მას შემდეგ, რაც მასში სხვა მსგავსი მოდული იქნა ჩაშენებული. ამდენად, ასეთი სახით გამოცალკევებული ნაწილი, როგორც წესი, უნდა შეფასდეს, როგორც არაარსებითი. თუმცა სხვა შემთხვევაა, თუკი ნაწილი მთავარ ნივთზე იმგვარად სპეციფიურად არის მისადაგებული, რომ დაშორების (გამოცალკევების) შედეგად სხვაგვარად ვეღარ გამოიყენება.<sup>19</sup>

### **ბ) მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილი**

მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილად მიიჩნევა მიწასთან ან ნიადაგთან, ან შენობის იატაკთან მყარად დაკავშირებული ნივთები, შენობები, აგრეთვე მიწის ნაკვეთზე აღმოცენებული მცენარეები, რამდენადაც ისინი მიწასთან არიან დაკავშირებულნი (მაგ., ნათესები) და ასევე შენობაზე განხორციელებული მინაშენი. მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილად უნდა ჩაითვალოს მასთან დაკავშირებული პროდუქტები, როგორებიცაა ნაყოფი (ბოსტნეული, მარცვლეული კულტურები). რაც შეეხება ნიადაგს, ქვებს, ტორფს, ისინი წარმოადგენენ არა არსებით შემადგენელ ნაწილს, არამედ მიწის ნაკვეთთან ერთად განიხილება, როგორც ერთიანი ნივთი.<sup>20</sup> გარდა ამისა, შენობების მოსაპირკეთებლად და დასრულებული იერის მისაცემად დართული ნივთები (მაგ., პირსაბანი) შეადგენენ შენობის არსებით შემადგენელ ნაწილებს. ამდენად, კრიტერიუმია არა გამოცალკევების უნარი, არამედ იმ პირის განზრახვა, ვინც შენობა ააშენა.<sup>21</sup> უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით საბოლოოდ განისაზღვრა, რომ მინაშენი, რომელიც სახლთან ერთად ქმნის ერთიან ნივთს წარმოადგენს ამ შენობის არსებით შემადგენელ ნაწილს და არ შეიძლება იყოს ცალკე უფლების ობიექტი.

**მიწასთან მყარია კავშირი სახეზეა**, როდესაც ნივთის მოცილება მიწის ნაკვეთისაგან შეუძლებელია არსებითი, ხშირ შემთხვევაში, არათანაზომიერი დანახარჯების გარეშე, როგორც წესი, მყარად დაკავშირებულია მიწასთან ღობე, სახლი, ბეტონის ავტოფარეხი. ბეტონის ღობე, რომელიც შემოსაზღვრავს ნაკვეთის საზღვრებს მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილია. თუმცა, თუკი საუბარია ღობეზე, რომელიც მშენებლობის განმავლობაში მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით იქნა აშენებული, იგი ვერ მიიჩნევა არსებით შემადგენელ ნაწილად 150 (II) მნიშვნელობით.

### **გ) ინკორპორაცია**

ფრანგულ სამართალში, თუკი მოძრავი ნივთები ძირითად ნივთებთან მესაკუთრის მიერ მუდმივად, საბოლოოდ დაკავშირებულნი ხდებიან, ამას ინკორპორაციას უწოდებენ<sup>22</sup>. ასეთად მიიჩნევიან ნივთები, რომელთა ადვილად (თავისუფლად) მოხსნა შეუძლებელია და არც არის გათვალისწინებული იმიტომ, რომ ისინი ან თაბაშირით დალუქვის გზით, ან კირით, ან ცემენტის გამოყენებით იმგვარად არიან დაკავშირებულნი მთავარ ნივთთან, ძირითად უძრავ ნივთთან, რომ მათი მოხსნა, მოტეხვა ან მოშორება შეუძლებელია კაპიტალის იმ ნაწილის გატეხვის, დაზიანებისა ან გაფუჭების გარეშე, რა

<sup>19</sup> შდრ. *Wolf/Wellenhofer*, Sachenrecht, §1, Rn. 24.

<sup>20</sup> *ზოიძე ბ.*, სანივთო სამართალი, თბ., 2003, 42 და შემდგ.

<sup>21</sup> შდრ. *Wolf/Wellenhofer*, Sachenrecht, §1, Rn. 24.

<sup>22</sup> შდრ. *Mathieu*, Droit Civil, les biens, Sirey, 2013, 58.

ნაწილსაც ეს მოძრავი ნივთი უკავშირდება. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ სარკეები და მხატვრული ტილოები, რომლებიც იმგვარად არის ჩასმული და მიმაგრებული, რომ ერთ მთლიან კონსტრუქციას ქმნის. საგულისხმოა, რომ ძირითად ნივთთან ფიზიკურ კავშირში მყოფ მოძრავი ნივთების კატეგორიას და სტატუსს, ხშირ შემთხვევაში, მოსამართლე წყვეტს.

#### **დ) დროებითი მიზნით მიერთება - ნივთის მოჩვენებითი შემადგენელი ნაწილები**

ზოგ შემთხვევაში ნივთი ისეთ კავშირშია მთავარ ნივთთან, რომ მისი არსებითი შემადგენელი ნაწილის ასოციაციას იწვევს. ამ შემთხვევაში სახეზეა მოჩვენებითი შემადგენელი ნაწილები. ეს ძირითადად ის შემთხვევებია, როდესაც ნივთები დროებითი მიზნით უერთდება მიწას ან შენობას (მაგ., იატაკს), ასეთი ნივთები რჩებიან **დამოუკიდებელ მოძრავ ნივთებად** და შესაძლებელია, მესამე პირის საკუთრებაში არსებობდნენ. ასე მაგალითად, ჩაშენებული სტანდარტული სამზარეულო, რომელიც დამქირავებელმა დაამონტაჟა და რომლის მოცილებაც და სხვა ადგილზე დამონტაჟება შესაძლებელია დიდი ძალისხმევის გარეშე, არ მიიჩნევა არსებით შემადგენელ ნაწილად, რადგან მიმაგრება იმთავითვე იყო დროებითი.

**ნივთის მოჩვენებითი შემადგენელი ნაწილი** იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს არსებითი შემადგენელი ნაწილი, როდესაც მოჩვენებითი შემადგენელი ნაწილის შესაკუთრე მას მიწის ნაკვეთის შესაკუთრეს გადასცემს და ორივენი თანახმანი არიან, რომ ნივთის მოჩვენებითა შემადგენელმა ნაწილმა დაკარგოს თავისი დამოუკიდებლობა.<sup>23</sup>

ამდენად, მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების არსებით შემადგენელ ნაწილად არ მიიჩნევა შემადგენელი ნაწილი ან ნივთები, რომელთა მიმაგრებაც მთავარ ნივთთან არის მყარი, თუკი ეს ნაწილი ან ნივთი გამიზნულია მხოლოდ დროებითი სარგებლობისათვის, რაც ხელშეკრულებითაც შეიძლება განისაზღვროს (მუხლი 150 II). მხოლოდ დროებითი სარგებლობის მიზანს ემსახურება ისეთი კავშირი ან მიერთება, როდესაც შემდგომი გამოცალკეება თავიდანვე იყო განზრახული და ასეთი ნება შეესაბამება გარეგნულად შესამჩნევ ფაქტს<sup>24</sup>. როდესაც საქმე ეხება დამქირავებელს ან მოიჯარეს თავიდანვე შესაძლოა იმის ვარაუდი, რომ მათ მიერ დაქირავებულ ან იჯარით აღებულ ნაკვეთზე/შენობაზე მიმაგრებული ნივთები დროებითი მიზნით იქნებიან მიერთებულნი. აღსანიშნავია, რომ მიზნის შემდგომი ცვლილება არ ხდის ნივთს შემადგენელ ნაწილად.<sup>25</sup>

ნივთების კლასიფიკაცია, შესაძლოა, საკმაოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მაღალი ღირებულების მოძრავი ნივთი უძრავი ნივთის გაფორმებას, მორთვას ემსახურება: საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 525-ე მუხლის თანახმად, ქანდაკებები „უძრავ ნივთებს მაშინ წარმოადგენენ, როდესაც ისინი მოთავსებულნი არიან მათთვის ზუსტად განსაზღვრულ სპეციალურ ნიშაში, მიუხედავად იმისა რომ მათი მოხსნა მოტეხვისა და დაზიანების გარეშეც არის შესაძლებელი.“<sup>26</sup> სპეციალურად ქანდაკებებისათვის შექმნილი ნიშა საკმარისად გამოხატავს უძრავი

<sup>23</sup> შდრ. *Wolf/Wellenhofer, Sachenrecht*, §1, Rn. 25.

<sup>24</sup> შდრ. BGHZ, 54, 208, 210; 104, 298, 301; მითითებულია, *კროპპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, 2014, 27.

<sup>25</sup> შდრ. *კროპპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, 2014, 27.

<sup>26</sup> *Méga Code Civil, Dalloz*, 2012, 1159.

ნივთის მესაკუთრის ნებას (განზრახვას) აღნიშნული ქანდაკებები, როგორც მოძრავი ნივთები ძირითად უძრავ ნივთთან დაკავშირებული გახადოს. თუმცა ამგვარი ნივთების კვალიფიკაცია ზოგჯერ საკმაოდ დელიკატური საკითხია. მნიშვნელოვანი სვლაა იმ საკითხის ცოდნა, თუ რამდენად შესაძლებელია შესაბამისი მოძრავი ნივთები გარკვეული გადაწყვეტილებით ძირითად უძრავ ნივთთან იყოს დაკავშირებული, როდესაც საქმე ისტორიულ ძეგლს, მონუმენტს ეხება. ასეთ დროს მართლაც საკმაოდ ფრთხილ დამოკიდებულებას მოითხოვს იმ საკითხის გადაწყვეტა გასაფორმებელი საგნები და ორნამენტები მათი ბუნებიდან გამომდინარე, წარმოადგენენ თუ არა უძრავ ნივთებს, ვინაიდან მათი ადვილად და თავისუფლად მოხსნა სავსებით შესაძლებელია<sup>27</sup> ან კიდევ ეს ორნამენტები წარმოადგენდნენ თუ არა საკუთვნებელს.

როგორი ნივთია ფრესკები მონასტერში, რომელიც არ ფუნქციონირებდა. ეს საკითხი ცხარე დებატების საგანი გახდა საფრანგეთში: თავიანთი ბუნებით თუმცა წარმოადგენდნენ უძრავ ნივთს, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ეს ფრესკები ეკლესიის კედლების განუყოფელი ნაწილი იყო, ფრანგულ სასამართლო პრაქტიკაში ისინი მაინც მოძრავ ნივთებად იქნენ მიჩნეულნი.<sup>28</sup> თუმცა ზემოხსენებული გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრების შემდეგ დადგინდა, რომ სამოქალაქო კოდექსის 525-ე მუხლზე დაყრდნობით, ფრესკებს მიეცათ დანიშნულებით უძრავი ნივთის კვალიფიკაცია. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ძირითადი უძრავი ნივთისაგან მათი გამოყოფის მიუხედავად, ფრესკები მაინც ამ ეკლესიასთან მუდმივად და საბოლოოდ დაკავშირებულნი იქნებოდნენ, მით უფრო, თუ ფრესკებისა და ეკლესიის ეს განცალკავება უძრავი ნივთის მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ განხორციელდა.

შენობაში სპეციალური ხის გამოყენებით განხორციელებული მოპირკეთება, ფრანგულ სასამართლო პრაქტიკაში ასევე ჩაითვალა უძრავ ნივთად მისი ბუნების გათვალისწინებით<sup>29</sup>: მარმარილოს ბარელიეფი (კედლებზე მარმარილოსაგან გამოკვეთილი ფიგურები) რომლებიც უძრავი ქონებისაგან გამორჩევის თვალსაზრისით თითქმის შეუმჩნეველი იყო, მისი ბუნებიდან გამომდინარე, ასევე უძრავ ნივთად იქნა ცნობილი, თუმცა საკმაოდ ცხარე დისკუსიის საგანი იყო<sup>30</sup>.

ამასთან, მიენიჭებათ თუ არა შესაბამისი კვალიფიკაცია ასეთ და მსგავს ნივთებს, რომლებიც თავიანთი ბუნებით გარკვეული კონსტრუქციის ნაწილს შეადგენენ, ჩაითვლებიან თუ არა ეს ნივთები არსებით შემადგენელ ნაწილებად? არაარსებით შემადგენელ ნაწილებად თუ საკუთვნებლად? აღნიშნული კითხვები ნივთების კვალიფიკაციის განსაზღვრისათვის ის მნიშვნელოვანი საკითხებია, რომლებსაც კოდექსის

---

<sup>27</sup> Mathieu, Droit Civil, les biens, Sirey, 2013, 58.

<sup>28</sup> ass. plén. 15 avr. 1988. Bull. civ., n 4; R., p. 198 ; D. 1988. 325, concl. Cabannes, note Maury; JCP 1988. II. 21066, rapp. Grégoire, note Barbieri, cassant Montpellier, 18 avr. 1984. D. 1985. 208, not Maury, მითითებულია Mathieu, Droit Civil, les biens, Sirey, 2013, 58

<sup>29</sup> Civ. 1, 19 mars, 1963, JCP 1963. II. 13190, note Es,ein ;

<sup>30</sup> CE 24 févr. 1999, Sté Transurba, D. 1999. IR 110; JCP 2000. II. 10232, note Deumier ; JCP 1999. I. 175, n1, obs. Périnet-Marquet (გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, CAA Paris, 11 juill. 1997, RFDA 1998.6 concl. Paitre, note Pacteau, annulant TA Versailles, 4 juill. 1996, D. 1997.33, concl. Demouveaux).

შესაბამის განმარტებებთან ერთად, სასამართლო პრაქტიკის კონკრეტული გადაწყვეტილებებიც სჭირდებათ.

## II. საკუთვნებელი

### ა) ზოგადი დახასიათება

საკუთვნებელი არის მოძრავი ნივთი, რომელიც განსხვავებით არსებითი შემადგენელი ნაწილისაგან, სამართლებრივად დამოუკიდებელია. ამდენად, იგი შეიძლება ძირითადი ნივთის გარეშე გასხვისდეს და უფლებრივად დაიტვირთოს, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, იზიარებს ძირითადი ნივთის ბედს<sup>31</sup>. ამასთან სსკ აკეთებს დათქმას, რომლის თანახმადაც, თუ ერთ-ერთი ნივთი დამკვიდრებული შეხედულებით მიჩნეულია მთავარ ნივთად, მაშინ მისი მესაკუთრე მოიპოვებს საკუთრების უფლებას საკუთვნებელზე (მუხლი 194 II). ასევე, თუ პირი იღებს ვალდებულებას გაასხვისოს ან დატვირთოს თავისი ნივთი, ეს ვალდებულება ვრცელდება ასევე საკუთვნებელზეც (მუხლი 324). ამდენად, საკუთვნებლის ჩართვა ძირითად ნივთზე დადებულ გარიგებებში ემსახურება იმ მიზანს, რომ შენარჩუნდეს ძირითად ნივთსა და საკუთვნებელს შორის არსებული ეკონომიკურ კავშირი.

### ბ) მთავარი ნივთის ეკონომიკური მიზნები და სივრცობრივი კავშირი

საკუთვნებელია ნივთი, რომელიც, მართალია არ არის მთავარი ნივთის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ მთავარი ნივთის ეკონომიკურ მიზნებს ემსახურება და მასთან შესაბამის სივრცობრივ კავშირში არსებობს. ამდენად, 151-ე მუხლის მნიშვნელობით, საკმარისია შემჩნევადი სივრცობრივი კავშირი. მთავარი ნივთის სამსახურისათვის ნივთის მიკუთვნიებულობის განსაზღვრის აუცილებელი წინაპირობა, როგორც წესი, არის ნივთის ფაქტობრივი გამოყენების შესაძლებლობა მეორე ნივთის ეკონომიკური მიზნისათვის. ამგვარად, მაგალითად, ჩაშენებული სტანდარტული სამზარეულო ემსახურება ბინას. თუმცა საკუთვნებელი არ არის სახეზე, როდესაც ნივთი სამოქალაქო ბრუნვაში არ არის მიჩნეული ასეთად. ამდენად, საკუთვნებელსა და ნივთის ნაწილებს შორის განსხვავება განისაზღვრება სამოქალაქო ბრუნვაში არსებული შეხედულების შესაბამისად. სამეწარმეო ინვენტარისათვის ძირითადი ნივთი შეიძლება იყოს საწარმოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, როდესაც ეს უკანასკნელი გათვალისწინებულია შესაბამისი ხანგრძლივადიანი ექსპლოატაციისათვის და როდესაც მიწის ნაკვეთზე მოდის საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი სიმძიმე.<sup>32</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით საკუთვნებელს მიეკუთვნება ავეჯი, რომლითაც გაწყობილია ბინა. საკუთვნებლის თვისებას შეადგენს ის, რომ იგი მთავარ ნივთთან დაკავშირებულია საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რაც გამოიხატება იმაში, რომ **საკუთვნებელი** განკუთვნილია მთავარი ნივთის

<sup>31</sup> შდრ. *ზოიძე ბ.*, სანივთო სამართალი, თბ., 2003, გვ. 43 და შემდგ.

<sup>32</sup> BGHZ, 62, 49 ; BGHZ, 85, 234, 237 § 98-ის №1-ზე მითითებით, მითითებულია შდრ. *კროკჰოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, 2014, 28.

სამსახურისათვის. საკუთვნივლი სივრცობრივად უკავშირდება მთავარ ნივთს, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე, მთავარი ნივთის მესაკუთრე იმავდროულად საკუთვნივლის მესაკუთრედ მიიჩნევა. საცხოვრებელ ბინაში არსებული ავეჯი განკუთვნილია მისი სამსახურისათვის და დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით.<sup>33</sup>

ამდენად საკუთვნივლი არის ისეთი მოძრავი ნივთი, რომელიც სხვა ძირითად ნივთთან მისი კავშირის გამო საკუთვნივლად არის დაკვალიფიცირებული და „დამატებით“ ნივთს წარმოადგენს. საკუთვნივლის ასეთი დანიშნულება შეესაბამება, სავარაუდოდ, ძირითადი ნივთის მესაკუთრის მხრიდან გამოხატულ ნებას, გარკვეული ფუნქცია დააკისროს მოძრავ ნივთს, რომელიც ძირითადი ნივთის სასარგებლოდ იქნება გამოყენებული და მის კუთვნილების ფარგლებში იქნება მოქცეული. თუმცა მთავარი ნივთების მიმართ ასეთი სუბიექტური მიდგომა საკმარისი არ არის; მნიშვნელოვანია საკუთვნივლის ასეთ დანიშნულებას ობიექტური ხასიათი ჰქონდეს. კერძოდ, ძირითად ნივთსა და საკუთვნივლს შორის უნდა იყოს ფიზიკური (სივრცობრივი) და წმინდა სამეურნეო - ეკონომიკური კავშირი.

#### **გ) საერთო სამეურნეო დანიშნულება**

ეკონომიკურ აქტივობათა ევოლუციამ განაპირობა კანონმდებლობაში საერთო სამეურნეო დანიშნულების დეფინიციის შემოტანა. სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკუთვნივლი არის მოძრავი ნივთი, რომელიც, თუმცა არ არის მთავარი ნივთის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისთვის, დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რის გამოც იგი სივრცობრივ კავშირშია მთავარ ნივთთან და დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, ითვლება საკუთვნივლად. ამდენად, პირუტყვი ან სხვა საგნები, რომლებიც მიწის ნაკვეთების მესაკუთრემ ამ ნაკვეთებზე განათავსა, მათი გამოყენებით მიწის უკეთ ექსპლუატაციის მიზნით, წარმოადგენენ ამ მიწის ნაკვეთის საკუთვნივლს.

საკუთვნივლს მიეკუთვნება: მიწის დასამუშავებლად საჭირო სახნავ-სათესი იარაღი; ფერმერებისთვის მიცემული სათესლე მარცვლეულის ჯიშები; სამტრედე გალის მტრედები; კურდღლის გალიების კურდღლები; ფუტკრის სკის ფუტკრები, საწნახელები, გამოსახდელი ქვაბები, კასრები, თივა და სასუქი ნივთიერებები. ნიშანდობლივია, რომ ზემოთმოყვანილი ჩამონათვალის ასეთი ფორმულირება არ მოითხოვს ფართო განმარტებებს იმასთან დაკავშირებით, რომ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, ძირითადად, იმავდროულად ხდება ზემოთჩამოთვლილი მოძრავი ნივთების მესაკუთრეც. მეტიც, თუ პირი იღებს ვალდებულებას, გაასხვისოს ან დატვირთოს თავისი ნივთი, ეს ვალდებულება ვრცელდება ნივთის საკუთვნივლზედაც, თუკი ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (მუხლი 324). აღნიშნული გადაწყვეტა განპირობებულია საკუთვნივლის მთლიანობის, ეკონომიკური მთლიანობის პრინციპით, რათა შენარჩუნებულ იქნას ნივთებს შორის არსებული კავშირუროთიერობა.

<sup>33</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, Nას-204-197-2013, 1.07.2013.

ამასთან შესაძლოა წარმოვიდგინოთ ასეთი საექსპლოატაციო კომბინაციების დიდი მრავალფეროვნება: მაგალითად, სასტუმროს შემთხვევა. ამ კონტექსტში, მოძრავი ნივთები - მაგალითად ავეჯი, რომელიც სასტუმროს კეთილმოწყობას ემსახურება, წარმოადგენს საკუთვნებელს, ვინაიდან მას სასტუმროსთან მიმართებით საერთო სამეურნეო - ეკონომიკური დანიშნულება გააჩნია და განკუთვნილია ამ მთავარი ნივთით სარგებლობისათვის<sup>34</sup>. მსგავსი სამართლებრივი შეფასების წინაშე დავდგებით, როდესაც განვიხილავთ ავეჯით კეთილმოწყობილი აპარტამენტის ქირავნობის შემთხვევებს. ასეთ დროს ზემოაღნიშნული მუხლი გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი იმისა, რომ ავეჯს გასაქირავებელ ბინასთან მიმართებით საკუთვნებლის სტატუსი ენიჭება. ძირითად ნივთებთან საკუთვნებლის ასეთი მიჯაჭვულობა, პრაქტიკაში დიდ მნიშვნელობას იძენს: ასე მაგალითად, უძრავი ნივთის შემძენს, თუკი სხვა რამ არ არის გათვალისწინებული შეთანხმებით, საფუძველი ექნება იმავდროულად მოითხოვოს საკუთვნებლის გადაცემა. ასევე მნიშვნელოვნად სასარგებლო იქნება, თუკი მხარეები თავიდანვე განსაზღვრავდნენ, თუ რა მიეკუთვნება ძირითადი ნივთის საკუთვნებლებს, იმ მიზნით, რომ თავიდან იქნას აცილებული ყველა მომავალი სავარაუდო დავა, ვინაიდან საკუთვნებელთან დაკავშირებით არსებული მთავარი ნივთით სამსახურისადმი მიკუთვნების, საერთო სამეურნეო მიზნით არსებული კავშირის, ასევე სივრცობრივი კავშირისა და დამკვიდრებული შეხედულებების კრიტერიუმები ყოველთვის ცხადი არ არის.<sup>35</sup>

## დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საკასაციო სასამართლო სრულიად მართებულად მიიჩნია მინაშენი ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილად და ამით ხაზი გაესვა ქართულ სამართალში «superficies solo cedit»-ის პრინციპის არსებობასაც, რომლის თანახმადაც, მიწის ნაკვეთზე მდებარე ნაგებობის სამართლებრივი ბედი დაკავშირებულია მოცემული მიწის ნაკვეთის სამართლებრივ ბედთან, რაც უზრუნველყოფს ნაკვეთის და ნაგებობის სამართლებრივ ერთიანობას. უზენაესი სასამართლოს განმარტება ნივთის შემადგენელი ნაწილის თაობაზე, ასევე ნივთისა და მისი შემადგენელი ნაწილის კავშირთან დაკავშირებით: „რომ ამ კავშირის შედეგები განვიხილოთ, როგორც ერთიანი ნივთი. როცა ნივთების კავშირით იქმნება ერთიანი ნივთი, მაშინ არ შეიძლება საუბარი სხვადასხვა ნივთებზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი საკუთრების უფლებით. ამდენად, არსებით შემადგენელ ნაწილს მიეკუთვნება ის, რაც სამართლებრივად დაკავშირებულია ნივთთან და არ არის განსაკუთრებული უფლების ობიექტი. ე. ი. არსებითი შემადგენელი ნაწილის ბედი მთლიანადაა დაკავშირებული ნივთთან და

<sup>34</sup> შდრ. *Wolf/Wellenhofer, Sachenrecht*, §1, Rn. 26.

<sup>35</sup> შდრ. ფრანგულ სასამართლო პრაქტიკაში, სოფლის მეურნეობისა და მეღვინეობის სფეროში არსებული წარმოების შედეგად მიღებული, გასაყიდად გამზადებული კონიაკის მარაგი, არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ამ სფეროს ექსპლუატაციისათვის სპეციალურად განკუთვნილ ნივთად, ვინაიდან ეს წარმოება შეიძლება განხორციელებულიყო გარკვეული მარაგის არსებობის გრემეც: *Civ. 1.déc. 1976, JCP 1977. II .18735, concl. Gulphe; RTD civ. 1978.158 obs. Giverdon.*

შეუძლებელია შემადგენელი ნაწილის დამოუკიდებელი განკარგვა“, არის არსებითი შემადგენელი ნაწილის ცნების მართებული და მნიშვნელოვანი განმარტება.

## თამარ ზარანდია\*

ვინდიკაცია - ნივთის გამოთხოვა სხვისი უკანონო მფლობელობიდან. საკუთრების უფლების შინაარსი. საცხოვრებელი კოტეჯიდან გამოსახლება. სავინდიკაციო სარჩელის წინაპირობები

საქმე № 3კ/401-01\*\*

მეცნიერებათა აკადემია ე.ბ.-ს წინააღმდეგ

### საკვანძო მუხლები:

ცნება. საკუთრების უფლების შინაარსი 1. მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. 2. უფლების ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება საკუთრებით ისეთი სარგებლობა, რომლითაც მხოლოდ სხვებს ადგებათ ზიანი ისე, რომ არ არის გამოკვეთილი მესაკუთრის ინტერესის უპირატესობა, და მისი მოქმედების აუცილებლობა გაუმართლებელია. 3. სარგებლობის უფლება მოიცავს ასევე შესაძლებლობას, არ ისარგებლოს პირმა თავისი ნივთით. კანონით შეიძლება დაწესდეს სარგებლობის ან მოვლისა და შენახვის ვალდებულება, თუკი ამ ნივთის გამოყენებლობა ან მოუვლელობა ხელყოფს საზოგადო ინტერესებს. ამ შემთხვევაში მესაკუთრეს შეიძლება ან თვითონ დაეკისროს ვალდებულების შესრულება, ან შესაბამისი სასყიდლით ნივთის გადაცემა სხვა პირის სარგებლობაში (სსკ-ის 170-ე მუხლი).

1. მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

2. თუ საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა ხდება ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით (სსკ-ის 172-ე მუხლი).

### ფაქტები:

ე.ბ.-მ თვითნებურად დაიკავა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კუთვნილი სამოთახიანი კოტეჯი. მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ მიმართა სასამართლოს ე.ბ.-ს გამოსახლების მოთხოვნით.

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი.

\*\* საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილება.

მოსარჩელის არგუმენტაციით: კოტეჯი წარმოადგენს ინსტიტუტის საკუთრებას, მოპასუხემ თვითნებურად დაიკავა იგი და მიუხედავად გაფრთხილებისა განაგრძობდა კოტეჯით სარგებლობას. მოპასუხის არგუმენტაციით, მეცნიერებათა აკადემია არ იყენებდა აღნიშნულ კოტეჯს, ზნ იყენებდა მხოლოდ სეზონურად. მეტიც, კოტეჯი არის ავარიული, ხოლო მას, არ გააჩნია სხვა საცხოვრებელი ფართი, ვინაიდან განქორწინდა მეუღლესთან და აქვს მცირე ხელფასო.

**პირველი ინსტანციის სასამართლომ** დააკმაყოფილა მეცნიერებათა აკადემიის სარჩელი ე.ბ. სადავო კოტეჯიდან გამოსახლების თაობაზე, ხოლო სააპელაციო ინსტანციამ ძალაში დატოვა აღნიშნული გადაწყვეტილება.

**საკასაციო სასამართლომ** შეისწავლა საქმის მასალები და არ დააკმაყოფილა ე.ბ. საკასაციო საჩივარი და უცვლელად დატოვა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება აღნიშნულ საქმეზე. დადგენილად ცნობილ იქნა, რომ სადავო კოტეჯი მართლაც ეკუთვნის მეცნიერებათა აკადემიას (მოსარჩელეს), სადავო კოტეჯი დაკავებული აქვს ე.ბ.-ს. საკასაციო სასამართლომ განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170 და 172-ე მუხლები და დააკმაყოფილა მეცნიერებათა აკადემიის სავინდიკაციო სარჩელი.

## **ანალიზი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ერთ-ერთია იმ მრავალრიცხოვან გადაწყვეტილებათაგან, რომელშიაც სასამართლო აფიქსირებს თავის პოზიციას არამფლობელი მესაკუთრის მიერ მფლობელი არამესაკუთრისაგან ნივთის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით. მოცემული გადაწყვეტილების ანალიზისას, ჩვენ შევეცდებით მაქსიმალურად შევხვთ ყველა იმ საკითხს, რაც სავინდიკაციო სარჩელთან არის ბმაში და გამოვიკვლიოთ სავინდიკაციო სარჩელის წარდგენის წინაპირობები, რომელიც საქართველოს უზენაეს სასამართლოს სხვა, მომდევნო გადაწყვეტილებებში, კიდევ უფრო დეტალურად არის განხილული. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი ანიჭებს მესაკუთრეს მფლობელისაგან ნივთის დაბრუნების მოთხოვნის უფლებას. თუმცა რადგან მფლობელი შესაძლოა უფლებამოსილი იყოს მფლობელობაზე, თუკი მან ნივთი მესაკუთრისაგან მაგალითად იყიდა, იქირავა ან იჯარით აიღო, შეუძლებელია მოთხოვნა ნებისმიერი მფლობელის წინააღმდეგ არსებობდეს. ამდენად, თავად 172-ე მუხლის პირველი ნაწილი აწესებს ფარგლებს: გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

მოცემული განხილვის ფარგლებში ჩვენ შევეხებით სავინდიკაციო სარჩელის წინაპირობების საკითხს (I), დეტალურად მიმოვიხილავთ ისეთ საკითხებს, როგორც არის მოსარჩელის საკუთრების უფლებას (II), გამოსათხოვი, დასაბრუნებელი ნივთები (III), მოთხოვნის ადრესატის მფლობელობა და მოთხოვნები არაპირდაპირი მფლობელის მიმართ (IV), მფლობელობის უფლებამოსილება, რომელიც შეიძლება მომდინარეობდეს როგორც სანივთო სამართლებრივი, ისე ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობებიდან, ან წარმოადგენდეს მესაკუთრის შეცვლის შედეგს (V), ასევე შევხებით მტკიცების ტვირთის საკითხს (VI). დანახული იქნება კავშირი სანაცვლო ანაზღაურების მოთხოვნებთან და მემკვიდრეობის მოთხოვნებთან (VII) და გამოკვლეული იქნება სავინდიკაციო სარჩელის სამართლებრივი შედეგი (VIII). დასასრულს კი, ამ

გადაწყვეტილებასთან მიმართებით გამოკვლეული იქნება საკუთრების შინაარსის საკითხი - მესაკუთრის უფლებამოსილება არ ისარგებლოს ნივთით, რაზეც უთითებდა მოსარჩელე (IX) და საკუთრების უფლების ის მახასიათებელი, რაც საკუთრების უფლების მუდმივი ხასიათის სახელით არის ცნობილი (X).

## I. სავინდიკაციო სარჩელის წინაპირობები

ვინდიკაციის მოთხოვნა, როგორც წესი, არ არის დამოუკიდებლად დათმობადი, რადგან მოთხოვნა და საკუთრება განუყოფლად არის ერთმანეთთან დაკავშირებული.

სავინდიკაციო სარჩელის წინაპირობები
1. მოსარჩელის საკუთრების უფლება
2. მოპასუხის მფლობელობა
3. მფლობელობის უფლების არარსებობა (მუხლები 162, 172 I)

პირველ რიგში უნდა განიმარტოს, რომ არამფლობელი მესაკუთრის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები:

- ა. მოსარჩელე უნდა იყოს მესაკუთრე;
- ბ. მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი;
- გ. მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება.<sup>1</sup>

საყურადღებოა, რომ აღნიშნული წინაპირობები უნდა არსებობდნენ კუმულატიურად, ანუ სახეზე უნდა იყოს სამივე წინაპირობა.<sup>2</sup> ამდენად, მოთხოვნის დამყენებელი უნდა იყოს მესაკუთრე, რაც შეეხება გამოსათხოვ, დასაბრუნებელ ნივთს, 172 - ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნა ეხება როგორც მოძრავი ასევე უძრავი ნივთების უკან დაბრუნებას. იგი მოიცავს ყოველთვის მხოლოდ კონკრეტულ ნივთს, და არა სხვა ნივთებს, რომლებიც თავდაპირველი ნივთის ადგილზე არსებობენ.<sup>3</sup> ასევე განსაზღვრულ ნივთს, მაგალითად ქონება არ წარმოადგენს სამართლებრივი დაცვის ერთიან ობიექტს და მიმართ არ გამოიყენება ვინდიკაცია ან ნეგატორული სარჩელი, როგორც ეს ცალკეული ნივთებთან დაკავშირებით ხდება.<sup>4</sup>

ამ სამი წინაპირობის ერთდროული წარმოადგენს სავინდიკაციო მოთხოვნის საფუძველს.

## II. მოსარჩელის საკუთრების უფლება

ვინდიკაციის მოთხოვნის უფლებაზე უფლებამოსილია მხოლოდ მესაკუთრე. ამდენად, პირველ რიგში, აუცილებლად უნდა შემოწმდეს დაწვრილებით მოსარჩელე

<sup>1</sup> შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილება, Nას-774-735-2013, 11.11.2012.

<sup>2</sup> შეად. *მარიამიძე გ.*, კაზუსები და მათი ამოხსნის მეთოდები სანივთო სამართალში, წიგნი I, თბ., 2014, 27.

<sup>3</sup> შეად. *Wolf/Wellenhofer*, Sachenrecht, §21, Rn.16.

<sup>4</sup> შეად. *კანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 158 და შემდგ.

წარმოადგენს თუ არა მართლაც მესაკუთრეს. ვინდიკაციის მოთხოვნა აქვს აგრეთვე **თანამესაკუთრეს**, რამდენადაც საქმე ეხება მისი წილის შესაბამის **თანამფლობელობას**. მას შეუძლია მისი თანამფლობელობის აღიარება მოითხოვოს (სსკ, მუხლი 155, IV). ამიტომ მას აგრეთვე შეუძლია **მთლიანი ნივთის გადაცემის** მოთხოვნა დააყენოს; ამასთან მას არ აქვს უფლება შესრულება მხოლოდ თავისთვის მოითხოვოს, არამედ მან უნდა მოითხოვოს შესრულება ყველა თანამესაკუთრის მიმართ ერთობლივად.<sup>5</sup>

საკუთრების უფლების გარდა სხვა უფლებებიც, მაგალითად აღნაგობა, უზურფრუქტი, გირავნობის უფლება იძლევიან უფლებამოსილებას მფლობელობაზე. ამ საწინააღმდეგო უფლებების მფლობელებს ნივთის მფლობელობა გარანტირებული (უზურფრუქტი რომ ჰქონდეთ), 172-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაწესი ამ შემთხვევებსაც მოიცავს.

**მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია.** მესაკუთრეს შეუძლია ისარგებლოს თავისი საკუთრების უფლების დასადასტურებლად სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებული პრეზუმფციებით უძრავი ნივთების შემთხვევაში 312-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლის მიხედვითაც რეესტრის მონაცემთა მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. მოძრავი ნივთების შემთხვევაში კი მოქმედებს 158-ე მუხლით გათვალისწინებული პრეზუმფცია - ნივთის მფლობელი ივარაუდება მის მესაკუთრედ.<sup>6</sup> საყურადღებოა, რომ 158-ე მუხლით გათვალისწინებული პრეზუმფცია მოქმედებს მხოლოდ საკუთარი თავისთვის მფლობელისათვის და არა სხვისი ნივთის მფლობელისათვის.<sup>7</sup>

პრეზუმფცია მოქმედებს მანამ, სანამ იგი უარყოფილი არ იქნება.<sup>8</sup> მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია განაგრძობს არსებობას მაშინაც, როდესაც მფლობელობითი ურთიერთობა თავდაპირველ შემადგენლობაზე მფლობელობის სურვილის შემდგომი მიტოვებისას აღარ არსებობს სახეზე. თუკი მესაკუთრემ დაამტკიცა 312-ე მუხლის ან 158-ე მუხლის წინაპირობების არსებობა, მფლობელი, თავის მხრივ ვალდებულია საკუთრების უფლების არარსებობა ამტკიცოს. იგი არ არის ვალდებული უარყოს საკუთრების უფლების შექმნის ყველა შესაძლო საფუძველი, არამედ მხოლოდ ისინი, რომელსაც მესაკუთრე შეეხო. მაგალითად, თუკი ავტომანქანის მფლობელი და ავტომანქანის სარეგისტრაციო მოწმობაში მფლობელად რეგისტრირებული პირი დაობენ ავტომობილის საკუთრების უფლებაზე, მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია უთითებს მფლობელზე, როგორც მესაკუთრეზე. ავტომანქანის დოკუმენტში მითითებული სხვაგვარი მფლობელობა არ არის საკმარისი მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფციის უარსაყოფად,

<sup>5</sup> შეად. *Wolf/Wellenhofer*, Sachenrecht, §21, Rn.10.

<sup>6</sup> ამასთან დაკავშირებით შეად. *ზარანდია თ.*, ნივთის მფლობელი ივარაუდება მის მესაკუთრედ - პრეზუმფციის გამოყენების წინაპირობები და გამონაკლისები, აკაკი ლაზარტყავას საუბილეო კრებული, თბ., 2012, 200-208.

<sup>7</sup> შეად. *Wolf/Wellenhofer*, Sachenrecht, §21, Rn.11.

<sup>8</sup> შეად. *ფუტკარაძე რ.*, პრეზუმფციის პრობლემა თანამედროვე სამოქალაქო სამართალში, სამართალი, №7, 2001, 25 და შემდგ.

რადგან ავტომატის მფლობელი, აგრეთვე ავტომატის დოკუმენტის მესაკუთრედ ივარაუდება, რადგან ეს დოკუმენტი წარმოადგენს მოწმობას 928-ე მუხლის შესაბამისად.<sup>9</sup>

თუკი მფლობელი წარმოადგენს მხოლოდ **თანამფლობელს**, მაშინ მის სასარგებლოდ არსებობს თანასაკუთრების ვარაუდი. თუკი თანამფლობელი უთითებს, რომ სხვა თანამფლობელები მხოლოდ სხვისი ნივთის მფლობელები არიან და მხოლოდ ის ფლობს საკუთარი თავისთვის, მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფციით, მხოლოდ მისი ერთპიროვნული საკუთრება ივარაუდება.<sup>10</sup>

თუკი მაგალითად შპს-ის დირექტორი ახორციელებს მფლობელობას საზოგადოებისათვის, მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია მეტყველებს საზოგადოების საკუთრების არსებობაზე. მაგრამ თუკი ყოფილი დირექტორი საკუთარი თავისთვის ახორციელებს ფლობას, მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია მეტყველებს უკვე მისი საკუთრების უფლების არსებობის შესახებ.<sup>11</sup>

### III. გამოსათხოვი, დასაბრუნებელი ნივთი

172-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნა ეხება როგორც **მოდრავი** ასევე **უძრავი** ნივთების უკან დაბრუნებას (მაგ. საცხოვრებელი ბინა, ჩვენს შემთხვევაში საცხოვრებელი კოტეჯი). იგი მოიცავს ყოველთვის მხოლოდ კონკრეტულ ნივთს, და არა სხვა ნივთებს, რომლებიც თავდაპირველი ნივთის ადგილზე არსებობენ. ამდენად, **172-ე მუხლის პირველი ნაწილი არ იძლევა არანაირი ღირებულების ვინდიკაციის შესაძლებლობას. იგი მიმართულია კონკრეტული ნივთის უკან გადაცემაზე და არა ფულადი ღირებულების გამოთხოვაზე.** სწორედ ამ მოსაზრებებით, სავინდიკაციო მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობა სადავოა მოხმარებად ნივთებთან მიმართებით,<sup>12</sup> რადგან მოხმარებადი ნივთების (ფული, საწვავი და სხვა) ჩვეულებრივი დანიშნულება მათი მოხმარებით ვლინდება, შესაბამისად, შესაძლებელია სავინდიკაციო მოთხოვნის წარდგენის მომენტში ასეთი ნივთი უკვე მოხმარებული და გალეული იყოს და შესაბამისად მისი უკან გამოთხოვა ვერ განხორციელდეს.

### IV. მოთხოვნის ადრესატის მფლობელობა, მოთხოვნები არაპირდაპირი მფლობელის მიმართ

მოთხოვნის ადრესატს უნდა ჰქონდეს მიმდინარე, არსებული მფლობელობა. ნივთის დაბრუნების ვალდებულება ეკისრება მფლობელს მანამ, სანამ იგი მფლობელს წარმოადგენს. სხვა პირის სასარგებლოდ ნივთის ფაქტობრივი მფლობელი არ

---

<sup>9</sup> შეად. *Wolf/Wellenhofer*, Sachenrecht, §21, Rn.13.

<sup>10</sup> შეად. *ზარანდია*, ნივთის მფლობელი ივარაუდება მის მესაკუთრედ - პრეზუმფციის გამოყენების წინაპირობები და გამონაკლისები, აკაკი ლაბარტყავას საიბილეო კრებული, თბ., 2012, 205 და შემდგ.

<sup>11</sup> შეად. *Wolf/Wellenhofer*, Sachenrecht, §21, Rn.15.

<sup>12</sup> შეად. *ჩაჩავა ს.*, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2010, 142 და შემდგ;

წარმოადგენს მფლობელს უფლებრივი გაგებით და აქედან გამომდინარე არ წარმოადგენს მოთხოვნის სათანადო ადრესატს. კარგავს რა მფლობელი მფლობელობას ან გადასცემს იგი მას სხვა პირს, ამგვარად მოთხოვნა 172-ე მუხლიდან გამომდინარე მის მიმართ აღარ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, არამედ იგი მიმართული უნდა იყოს ახალი მფლობელის მიმართ.

საკუთრების გამოთხოვის უფლება არსებობს არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ აგრეთვე არაპირდაპირი მფლობელის მიმართაც. არაპირდაპირი მფლობელისაგან გაბატონებული შეხედულების თანახმად მესაკუთრეს შეუძლია არჩევისამებრ მოითხოვოს მოთხოვნის დათმობის გზით არაპირდაპირი მფლობელობის მოთხოვნის უფლება ან პირდაპირი მფლობელობის გადაცემა. ამგვარად მესაკუთრეს შეუძლია განსაკუთრებით იმ შემთხვევაზე მოახდინოს რეაგირება, როდესაც პირდაპირი მფლობელი ნივთს ამასობაში არაპირდაპირ მფლობელს უკან გადასცემს.<sup>13</sup>

## V. მფლობელობის უფლებამოსილება

მოთხოვნა 172-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად არ არსებობს, თუკი მფლობელს მესაკუთრის მიმართ გააჩნია მფლობელობის ნამდვილი უფლება. მისი ფორმულირების საწინააღმდეგოდ 162-ე მუხლი არ შეიცავს არანაირ შესაგებელს, არამედ ex officio გასათვალისწინებელ შეცდომებს, და მართლზომიერი მფლობელის დამცავ დანაწესს, რომ დაუშვებელია მართლზომიერ მფლობელს ჩამოერთვას მფლობელობა.

მფლობელობის უფლება სახეზე არ არის, როდესაც იგი თავიდანვე არ არსებობდა, ან მოგვიანებით შეწყდა. ამგვარად დამქირავებელი ხელშეკრულების ნამდვილი მოშლის ან ხელშეკრულების მოშლის ვადის გასვლის შემდგომ ხდება არაუფლებამოსილი მფლობელი. მაგრამ მფლობელობის უფლება სახეზე არ არის არა იმიტომ, რადგანაც მფლობელი თავის მფლობელობის უფლებას არღვევს, მაგ. როგორც დამქირავებელი თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს ნივთთან დაკავშირებით არღვევს. მაშინ მოთხოვნები სახელშეკრულებო სამართლიდან უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული.<sup>14</sup> სამოქალაქო კოდექსის 162-ე მუხლით გათვალისწინებული მართლზომიერი მფლობელობა შესაძლებელია წარმოიქმნას:

- სანივთო უფლებებიდან;
- ვალდებულებითი უფლებებიდან;
- კანონის საფუძველზე და სხვ.

### ა) სანივთო მფლობელობის უფლებები

მფლობელობის უფლება შესაძლებელია სანივთო უფლებიდან წარმოიშვას, როგორებიცაა აღნაგობა, უზურფრუქტი, სერვიტუტი, იპოთეკა ან გირავნობიდან. სანივთო უფლება მოქმედებს აბსოლუტურად ნებისმიერი პირის მიმართ, მაშასადამე, აგრეთვე შესაბამისი მესაკუთრის მიმართაც.<sup>15</sup>

<sup>13</sup> შეად. *Wolf/Wellenhofer*, Sachenrecht, §21, Rn.18.

<sup>14</sup> შეად. *Wolf/Wellenhofer*, Sachenrecht, §21, Rn.20.

<sup>15</sup> შეად. *Wolf/Wellenhofer*, Sachenrecht, §21, Rn.21.

### **ბ) ვალდებულებით სამართლებრივი მფლობელობის უფლებები**

მფლობელობა შესაძლოა წარმოიშვას ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობებიდან, როგორცაა ქირავნობა, იჯარა, თხოვება ან ნასყიდობა. მფლობელობის უფლება შესაძლებელია მისი მფლობელის მიერ იმ სანივთო უფლების გადაცემის გზით (მაგ. გირავნობა), რომლისგანაც მფლობელობის უფლება გამომდინარეობს ან ვალდებულებითსამართლებრივი მოთხოვნის დათმობის გზით მესამე პირზე, როგორც ახალ მფლობელზე იქნეს გადაცემული. არ არის აუცილებელი, რომ ნივთის ამჟამინდელი პირდაპირი მფლობელი წარმოადგენდეს მფლობელობის შუამავალს. იგი აგრეთვე შესაძლებელია იყოს საკუთარი თავისთვის მფლობელი, მაგ. ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც მან აქამდე მფლობელობაზე უფლებამოსილ პირთან დადო. გადამწყვეტია მხოლოდ, რომ მფლობელი თავის მფლობელობის უფლებას თავდაპირველად მფლობელობაზე უფლებამოსილი პირისგან აწარმოებს.<sup>16</sup>

### **გ) მფლობელობის უფლება კანონისმიერი სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე**

მფლობელობის უფლება აგრეთვე შესაძლებელია კანონისმიერი სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე წარმოიქმნას. ამგვარად საქორწინო კავშირის ვალდებულებიდან გამომდინარეობს მეუღლეებისათვის თანამფლობელობის უფლება ქორწინებისთვის საცხოვრებელ ბინასა და საოჯახო ნივთებზე, რომლებიც მეორე მეუღლის ერთპიროვნულ საკუთრებაშია. მფლობელობის უფლება აგრეთვე რჩება ცალ-ცალკე ცხოვრების შემდეგაც მანამ, სანამ კანონიერი განქორწინება არ განხორციელდება.<sup>17</sup> აგრეთვე მშობლების მიერ შვილებზე ზრუნვის უფლება მშობლებს ანიჭებთ მფლობელობის უფლებას შვილის საკუთრებაში არსებულ ნივთებზე. გარდა ამისა, მფლობელობის უფლება წარმოიქმნება დავალების შემსრულებლის სასარგებლოდ დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულების შემთხვევაში (თუკი არსებობს ამ შესრულების საფუძველი, ანუ უფლებამოსილება). აგრეთვე მიუხედავად იმისა, რომ დავალების შემსრულებელმა მოთხოვნისას ნებისმიერ დროს ნივთი უნდა დააბრუნოს, იგი წარმოადგენს უფლებამოსილ მფლობელს მანამ, სანამ ნივთის გამოთხოვის მოთხოვნა არ განხორციელდება.<sup>18</sup>

### **დ) მფლობელობის უფლება მესაკუთრის შეცვლის შედეგად**

მფლობელობის უფლება პირდაპირ მესაკუთრის მიმართ უნდა არსებობდეს. მფლობელობის სანივთო უფლებების შემთხვევაში ეს არ არის პრობლემატური, რადგან ისინი ამის გარეშეც ნებისმიერი პირის მიმართ აბსოლუტურად მოქმედებენ. მესაკუთრის შეცვლისას შესაძლებელია სანივთო უფლება აგრეთვე ახალი მესაკუთრის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული. ეხება რა მფლობელობის უფლება სავალდებულო სამართლებრივ ურთიერთობას, მაშინ უძრავი ნივთების შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ ახალმა

<sup>16</sup> შეად. *Wolf/Wellenhofer*, Sachenrecht, §21, Rn.24.

<sup>17</sup> შეად. *Wolf/Wellenhofer*, Sachenrecht, §21, Rn.25.

<sup>18</sup> შეად. *Wolf/Wellenhofer*, Sachenrecht, §21, Rn.25.

მესაკუთრემ მფლობელობის უფლება ქირავნობიდან და იჯარიდან გამომდინარე თავის მიმართ მოქმედად მიიჩნოს. სამოქალაქო კოდექსის 209-ე მუხლის თანახმად, თუ პირი შეიძენს გაქირავებულ ბინას, მაშინ იგი იკავებს გამქირავებლის ადგილს.

## VI. მტკიცების ტვირთი

ზოგადი მტკიცებითსამართლებრივი პრინციპებიდან გამომდინარე მოთხოვნაზე უფლებამოსილმა პირმა მისთვის სასარგებლო მოთხოვნის წინაპირობები, მეორე მხარემ კი მისთვის ხელსაყრელი თავდაცვითი საშუალებების წინაპირობები უნდა დაამტკიცოს. იმით, რომ 172-ე მუხლის პირველი ნაწილი საკუთრების გამოთხოვის უფლებას მხოლოდ საკუთრებასა და მფლობელობაზე დამოკიდებულს ხდის, მესაკუთრე ატარებს მტკიცების ტვირთს მხოლოდ ამ წინაპირობებისათვის.<sup>19</sup> ეს ნიშნავს, რომ მესაკუთრეს, რომელსაც თავისი საკუთრების უფლება და მფლობელობა სხვა პირისა აქვს დასამტკიცებელი (დასასაბუთებელი) თავის მოთხოვნას დაიკმაყოფილებს, თუკი მფლობელს არ შეუძლია თავის მხრივ მისი მფლობელობის უფლების დასაბუთება.<sup>20</sup>

## VII. ურთიერთობა/კავშირი კანონისმიერი სანაცვლო ანაზღაურების მოთხოვნებთან და მემკვიდრეობით მოთხოვნებთან

მოთხოვნა 172-ე მუხლიდან გამომდინარე გამოიყენება აგრეთვე კანონისმიერი მოთხოვნების გვერდით მაგ. უსაფუძვლო გამდიდრებიდან, დელიქტიდან და ა.შ. გამომდინარე. 976-ე მუხლის II ნაწილი არ ეწინააღმდეგება 172-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნას. არაუფლებამოსილი პირის მიერ ბათილი განკარგვისას მესაკუთრეს შეუძლია აირჩიოს მას სურს 172-ე მუხლიდან გამომდინარე ნივთის დაბრუნების მოთხოვნა თუ ბათილი განკარგვის მოწონებით 982-ე მუხლით გათვალისწინებული არაუფლებამოსილი პირისგან გასხვისების შედეგად მიღებული შემოსავლის მიღება.

ვინდევაცია 172-ე მუხლის საფუძველზე შესაძლოა გამოყენებულ იქნას მემკვიდრეობის მიღების დროს მოანდერძის მიერ მემკვიდრისათვის არასწორად დატოვებული ნივთის მიმართაც (სსკ, მუხლი 1335, I ) ან იმ შემთხვევების მიმართ, როდესაც გარდაცვლილის ქონებაში ფარულად არის სხვა პირის ქონება. ამ შემთხვევაშიც კანონი ითვალისწინებს ამ ქონების გამოვლენისა და სათანადო პირისათვის გადაცემის ვალდებულებას (სსკ, მუხლი 1335, II).

## VIII. სამართლებრივი შედეგი: გამოთხოვნა (ნივთის გადაცემა)

მოთხოვნა 172-ე მუხლიდან გამომდინარე მიმართულია ნივთის მესაკუთრისათვის დასაბრუნებლად. ნივთის უკან გამოთხოვნის უფლების საფუძველზე წარმოიქმნება კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობა მესაკუთრესა და მფლობელს შორის,

<sup>19</sup> შეად. რომის სამართლის ძეგლები, გაიუსის ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო *ნუგ ზარ სურგულაძემ*, თბ., 2011, II, 194, 101.

<sup>20</sup> შეად. *Wolf/Wellenhofer*, Sachenrecht, §21, Rn.7.

რომელიც წარმოშობს (ვალდებულების) ყურადღებით შესრულების ვალდებულებას. აქედან შესაძლებელია წარმოიქმნას დამატებითი ვალდებულებები (გვერდითი ვალდებულებები), მაგ. მითითების ვალდებულებები, რომელთა დარღვევამაც შესაძლოა გამოიწვიოს 394 მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე მოთხოვნების წარმოქმნა.<sup>21</sup> შესრულების ადგილისათვის გამოიყენება 362-ე მუხლის ზოგადი რეგულაცია. როგორც წესი, ნივთი იქ უნდა იქნეს დაბრუნებული, სადაც იგი იმ მომენტისათვის იმყოფება. შესაბამისად სხვა გარემოებების არარსებობისას კეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ მოქმედებს ე.წ. წაღების ვალდებულება.<sup>22</sup>

## IX. მესაკუთრის უფლებამოსილებანი ნივთთან მიმართებით, უფლება არ ისარგებლოს ნივთით

მოსარჩელე თავის სასარგებლო არგუმენტად მიუთითებდა, რომ მეცნიერებათა აკადემია არ სარგებლობდა სადავო კოტეჯით. მართლაც, მეცნიერებათა აკადემია მხოლოდ სეზონურად იყენებდა მას. ჰქონდა თუ არა მას ამის უფლებამოსილება?

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ - ერთ სხვა გადაწყვეტილებაში სასამართლო აღნიშნავს: „საკუთრების აბსოლუტური უფლებიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია არ ფლობდეს კუთვნილ ნივთს, ისევე, როგორც მესაკუთრეს შეუძლია არ ისარგებლოს კუთვნილი ნივთით. ამდენად მესაკუთრეს აქვს საკუთარი ნივთის ფლობისა და სარგებლობის თავისუფლება... ეს კი გულისხმობს მესაკუთრის თავისუფლებას, ნებისმიერ დროს დაეუფლოს კუთვნილ ნივთს ან ისარგებლოს ამ ნივთით.“<sup>23</sup>

საკუთრების უფლებაზე საუბრისას ხშირად გამოყოფენ ამ უფლების ექსკლუზიურ ხასიათს. საკუთრების ექსკლუზიური ხასიათი თვით კერძო საკუთრების კონცეფციისათვის არის დამახასიათებელი. უბრალოდ და ბანალურად, საკუთრების ექსკლუზიური ხასიათი ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ მესაკუთრეა უფლებამოსილი იმ უპირატესობებზე, რომელსაც ნივთზე საკუთრების უფლება მას ანიჭებს. ექსკლუზიურობა, უპირველესად მესაკუთრეს ანიჭებს ძალაუფლებას, დაუპირისპირდეს ნებისმიერი პირის ჩარევას მისი საკუთრების უფლებაში.<sup>24</sup> ამდენად, საკუთრება ანიჭებს მესაკუთრეს მონოპოლიას, რომელიც, გარკვეული შეზღუდვების ქვეშ მაინც ექცევა. მაგალითად, სამეზობლო სამართალი მესაკუთრეს ამ შეზღუდვების ერთობლიობას უქვემდებარებს (სსკ, მუხლი 174 და შემდგ.). საჯარო ხელისუფლება საერთო

<sup>21</sup> შეად. *Wolf/Wellenhofer*, *Sachenrecht*, §21, Rn.31.

<sup>22</sup> წაღების ვალდებულებისას მოვალემ შესრულება თავის საცხოვრებელ ადგილზე უნდა განახორციელოს და შესრულების შედეგიც ამ ადგილას უნდა დადგეს. წაღების ვალდებულებისას კრედიტორმა შესრულება მოვალისგან უნდა წაიღოს, შეად. *Wolf/Wellenhofer*, *Sachenrecht*, §21, Rn.32, ვალდებულების შესრულების ადგილთან დაკავშირებით შეად. ასევე. *ზარანდია*, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, თბ., 10 და შემდგ; ასევე, *ძლიერიშვილი ზ.*, სახელშეკრულებო სამართალი, *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.*, თბ., 2014, 469.

<sup>23</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილება, 16.09.2005.

<sup>24</sup> შეად. *Simler*, *les biens*, 2006, 35.

ინტერესისათვის, თავს ახვევს მესაკუთრეს მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან შეზღუდვებს უბრალო ემისიებიდან ექსპროპრიაციამდე. სხვა კუთხით, ექსკლუზიურობა და პლურალიზმი შეუთავსებელი არ არის. ამდენად „საკუთრება... მესაკუთრეს აძლევს უფლებამოსილებას თანახმა იყოს/დაუშვას, ან არ დაუშვას/გამორიცხოს მესამე პირების მიერ მის საკუთრებაში არსებული ნივთის მფლობელობა ან სარგებლობა.<sup>25</sup> ამდენად, მესაკუთრის პოზიტიური უფლებამოსილება, გამოიყენოს საკუთარი ნივთი სურვილისამებრ, შევსებულია უფლებამოსილებით, **გამორიცხოს მესამე პირის ნებისმიერი ზემოქმედება მასზე**. სხვა პირთა გამორიცხვის უფლებამოსილება იცავს საკუთრების უფლებას მის მთლიან შინაარსში და ამიტომ იგი მიმართულია საკუთრებაზე ნებისმიერი სახის ზემოქმედების წინააღმდეგ. მესაკუთრის უფლებამოსილების განხორციელება დამოუკიდებელია იმისაგან, მესაკუთრეს სურს თავისი ნივთი თავად გამოიყენოს თუ ტოვებს მას გამოყენების გარეშე.<sup>26</sup> ამდენად, სადავო კოტეჯი წარმოადგენს მეცნიერებათა აკადემიის საკუთრებას, რომელსაც 170-ე მუხლის თანახმად უფლება აქვს არ დაუშვას სხვა პირთა მიერ მისი საკუთრებით სარგებლობა. აღნიშნული გულისხმობს, რომ მესაკუთრე უფლებამოსილია გამორიცხოს ნებისმიერი მესამე პირი მისი საკუთრებით სარგებლობისას. ამასთან სამოქალაქო კოდექსის 170 მუხლის III ნაწილი განმარტავს, რომ მესაკუთრის სარგებლობის უფლება, მოიცავს ასევე შესაძლებლობას, არ ისარგებლოს პირმა თავისი ნივთით (გამონაკლისს წარმოადგენს ამ გამოუყენებლობის ან მოუვლელობის საზოგადო ინტერესების საწინააღმდეგო შედეგი, რაც ამ შემთხვევაში არ დასტურდება). ამდენად, ნივთის გამოუყენებლობა, ან მხოლოდ სეზონური გამოყენება, არ ართმევს მესაკუთრეს უფლებას, არ დაუშვას ამ ნივთით სხვა პირის სარგებლობა.<sup>27</sup>

მიწის ნაკვეთებთან და შენობებთან მიმართებით, მესამე პირის გამორიცხვის უფლება, შესაძლებელია სახლის ხელშეუხებლობის უფლებით (საკუთარი ბინის თავისუფლად და დაუბრკოლებლად მოხმარების უფლებით) იქნეს უზრუნველყოფილი. აღნიშნული ეხება მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებას ან მფლობელობას და მის მფლობელს შესაძლებლობას ანიჭებს, როგორც წესი, თავისუფლად გადაწყვიტოს, ვის მიანიჭებს მიწის ნაკვეთზე შემოსვლის უფლებას და ვის არა. თუმცა შეზღუდვები შესაძლებელია იქიდან გამომდინარეობდეს, რომ მდებარეობა ზოგადად ღია საჯარო მიმოსვლისათვის და შესაბამისად უფლებამოსილი პირი გამოხატავს მზაობას, ნებისმიერ პირს, რომელიც მოქმედებს ჩვეულებრივ ფარგლებში, მიანიჭოს შესვლის უფლება. ამგვარ შემთხვევაში, კონკრეტული მესამე პირის გამორიცხვა საჭიროებს პიროვნული უფლების და თანასწორობის უფლების არსებითი საფუძვლის გათვალისწინებას.<sup>28</sup>

## **X. საკუთრების მუდმივი ხასიათი VS სავინდიკაციო მოთხოვნის ხანდაზმულობა**

სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის

<sup>25</sup> შეად. *Dukeminier, Krier*, Property, Aspen Law and Business, 2002, 99.

<sup>26</sup> შეად. *Wolf/Wellenhofer*, Sachenrecht, §2, Rn. 4.

<sup>27</sup> შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლო, №33/401-01, 05.09.2001.

<sup>28</sup> შეად. *Wolf/Wellenhofer*, Sachenrecht, §2, Rn. 5.

უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა.<sup>29</sup> კანონით განსაზღვრულია ის გამონაკლისები, რომლებზეც ხანდაზმულობის ვადის მოქმედება არ ვრცელდება. მათ მიეკუთვნება: პირადი არაქონებრივი უფლებები, მენაბრეთა მოთხოვნები ბანკსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი ანაბრების გამო (სსკ, მუხლი 128, II). ხანდაზმულობის საგანი არის ფარდობითი უფლება – მოთხოვნა – და არა აბსოლუტური უფლება. მაგალითად, ხანდაზმულობა არ ვრცელდება საკუთრების უფლებაზე: მესაკუთრე მარადიულად რჩება მესაკუთრედ, მაგრამ ხანდაზმულობა ვრცელდება მესაკუთრის სავინდიკაციო მოთხოვნაზე – გამოითხოვოს სხვისი უკანონო მფლობელობიდან თავისი ნივთი. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ მესაკუთრე, თუმცა რჩება ნივთის მესაკუთრედ, კარგავს მფლობელისაგან ნივთის გამოთხოვის უფლებას, თუკი იგი გაუშვებს ხანდაზმულობის ვადას.<sup>30</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ არ ითვალისწინებს სავინდიკაციო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადას და ერთი შეხედვით ეს ვადა ზოგადი ათწლიანი ვადის ფარგლებში მოიაზრება. ამასთან უძრავ და მოძრავ ნივთებზე საკუთრების ხანდაზმულობით შეძენისათვის კანონით დადგენილია განსხვავებული წინაპირობები და განსხვავებული ვადები: კერძოდ, თუკი პირი მოძრავ ნივთს 5 წლის განმავლობაში უწყვეტად ფლობს, როგორც საკუთარს, მოიპოვებს მასზე საკუთრების უფლებას (სსკ, 165 I). ამასთან მოძრავი ნივთის შეძენა დაუშვებელია, თუკი სახეზეა არაკეთილსინდისიერი ფლობა (სსკ, 165 II). უძრავ ნივთებთან მიმართებით მოთხოვნები უფრო მკაცრია და მხოლოდ 15 წლის მანძილზე რეესტრში რეგისტრაციის ფაქტი და პირის მიერ ნივთის საკუთრად ფლობა ითვლება საკუთრების ხანდაზმულობით შეძენის წინაპირობებად (სსკ, მუხლი 167). ამასთან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507 მუხლის IV ნაწილის თანახმად 167-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობით საკუთრების შეძენის ვადის ათვლა დაიწყო 1993 წლის 23 ივლისიდან, როდესაც საქართველოში ამოქმედდა საკუთრების უფლების შესახებ საქართველოს კანონი.<sup>31</sup> ამდენად, ე.წ. შეძენითი ხანდაზმულობით, საკუთრების შეძენა შესაძლებელია 5 და 15 წლიანი ვადის გასვლის შემდგომ. აღსანიშნავია, რომ უძრავ ნივთებთან მიმართებით კანონით დადგენილი შეძენითი ხანდაზმულობის 15 წლიანი ვადა უფრო ხანგრძლივი ვადაა, ვიდრე ხანდაზმულობის ზოგადი 10 წლიანი ვადა. ამ ჭრილში მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომელიც საინტერესო მსჯელობას აყალიბებს სავინდიკაციო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, კერძოდ ამ გადაწყვეტილების თანახმად „საკუთრების აბსოლუტური უფლებიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია არ ფლობდეს კუთვნილ ნივთს, ისევე, როგორც მესაკუთრეს შეუძლია არ ისარგებლოს კუთვნილი ნივთით. ამდენად მესაკუთრეს აქვს საკუთარი ნივთის ფლობისა და სარგებლობის თავისუფლება... ეს კი

<sup>29</sup> ხანდაზმულობის ტერმინის საკითხთან დაკავშირებით იხ. ლომიძე, ხანდაზმულობა, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, რედაქტორი ვერაძე გ., წიგნი I, თბ., 2010, 370 და შემდგ.

<sup>30</sup> შეად. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 120 და შემდგ.

<sup>31</sup> შეად. პრაქტიკის ანალიზი, ლაზარაშვილი ლ., სასამართლო პრაქტიკის კომენტარი სამოქალაქო და საკორპორაციო სამართალში, თბ., 2003, 12.

გულისხმობს მესაკუთრის თავისუფლებას, ნებისმიერ დროს დაეუფლოს კუთვნილ ნივთს ან ისარგებლოს ამ ნივთით, მათ შორის მოითხოვოს უკანონო მფლობელობიდან მისი გამოთხოვა. შესაბამისად, მესაკუთრის აღნიშნული თავისუფლების ხანდაზმულობის შემზღვევადი დანაწესისადმი დაქვემდებარება ეწინააღმდეგება საკუთრების ფუნქციას, მის აბსოლუტურ ბუნებას, საქართველოს კონსტიტუციისა და სამოქალაქო კოდექსის აღნიშნულ ნორმებს, სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებს.<sup>32</sup>

პირველი შეხედვით, იმ ფონზე, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს სავინდიკაციო მოთხოვნის ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას, ამ გადაწყვეტილებით მოხდა მითითება იმ გარემოებაზე, რომ სავინდიკაციო მოთხოვნაზე ასეთი ვადა არც უნდა გავრცელდეს. ამით სასამართლომ დაადგინა ასე ვთქვათ საკუთრების უფლების „მუდმივი ხასიათი“, მაგრამ მისი ფარგლები მაინც შეზღუდულია. ქვეყანაზე არც ადამიანია მარადიული, არც ნივთები. საკუთრების უფლება თაობიდან თაობას გადაეცემა და ეს გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 21 მუხლით, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მხოლოდ ეს მიუთითებს საკუთრების უფლების მუდმივ ხასიათზე, რადგან გადაცემადია არამუდმივი უფლებებიც, ისეთი უფლებები, რომელზედაც ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა. თუ მაინც შევთანხმდებით, რომ საკუთრების უფლებას მუდმივი ხასიათი უნდა მივანიჭოთ, ეს მხოლოდ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ უმეტესი სხვა უფლებებისაგან განსხვავებით, იგი არ იკარგება უფლების განუხორციელებლობის გამო. სხვა სიტყვებით, იგი არ ექვემდებარება მანუალირებელ ხანდაზმულობას. თუ თანმიმდევრულები ვიქნებით, გამოვა, რომ რაც არ უნდა ხანგრძლივი იყოს უფლების განუხორციელებლობის ვადა, თუნდაც რამდენიმე საუკუნე, მესაკუთრეს შეუძლია განახორციელოს საკუთარი უფლება.<sup>33</sup> თუმცა, უნდა ითქვას, რომ რეალურად ასეთი ვინდიკაცია ალბათ იშვიათად მიაღწევს მიზანს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ასეთი „დაგვიანებული გამოღვიძებები“ შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებს მივაკუთვნოთ, ასევე ასე „დროში დაკარგული“ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე გამოუყენებელი უფლების დამტკიცება თავისთავად ძალიან ძნელი გახდება. მაგრამ ყველაზე მეტად იმიტომ, რომ მესაკუთრე, რომელიც იყენებს „დაგვიანებულ ვინდიკაციას“ რისკავს დაუპირისპირდეს ეგრეთ წოდებულ „შეძენით ხანდაზმულობას“.

გერმანულ სამართალში სავინდიკაციო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა 30 წელია (§197 I). საყურადღებოა, რომ BGB განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები მათ შორის ვადებთან დაკავშირებითაც, თუმცა სავინდიკაციო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა დარჩა უცვლელი. საყურადღებოა ისიც, რომ მოძრავი ნივთების შემთხვევაში, ამ ვადის ამოწურვამდე შესაძლებელია კეთლსინდისიერი მფლობელის მიერ (საკუთარი თავისთვის მფლობელის მიერ) ნივთის მფლობელობითი ხანდაზმულობით შეძენა (მოძრავი ნივთების შეძენითი ხანდაზმულობისათვის გერმანიაში საჭიროა 10 წელი, §198).<sup>34</sup> სხვა სანივთო უფლებებისათვის, როგორც წესი, მოქმედებს ხანდაზმულობის ვადა - 3 წელი.

<sup>32</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილება, 16.09.2005.

<sup>33</sup> შეად. *Simler*, Les biens, Presses universitaires de Grenoble, 2006, 38 და შემდგ.

<sup>34</sup> შეად. *Wolf/Wellenhofer*, Sachenrecht, §21, Rn.30.



## თამარ ზარანდია\*

### საკუთრების უფლების გადაცემა მოძრავ ნივთებზე. საკუთრების წარმოშობა მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებზე. ნორმათა კოლიზია

საქმე №ას-658-625-2014\*\*

#### საკვანძო მუხლები

1. მოძრავ ნივთზე საკუთრების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი.

2. ნივთის გადაცემად ითვლება: შემძენისათვის ნივთის ჩაბარება პირდაპირ მფლობელობაში; არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემა ხელშეკრულებით, რომლის დროსაც წინა მესაკუთრე შეიძლება დარჩეს პირდაპირ მფლობელად; მესაკუთრის მიერ შემძენისათვის მესამე პირისაგან მფლობელობის მოთხოვნის უფლების მინიჭება. რსკ-ის 186-ე მუხლი, მოძრავ ნივთზე საკუთრების შეძენის საფუძველები).

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე პირის საკუთრების უფლების წარმოშობა იურიდიულ ძალას იძენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან (საქართველოს 1995 წლის 4 აპრილის კანონი „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“, მუხლი 9<sup>1</sup>).

#### ფაქტები:

მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებები იყო შემდეგი: გ.დ-მ დ. გ-საგან შეიძინა ავტომანქანა, რომელიც შემდგომ გ. დ-ს მიჰყიდა. სსიპ შემოსავლების სამსახურმა აღნიშნული ავტომანქანა გ.დ-ს ჩამოართვა იმ მიზეზით, რომ ავტომანქანა ირიცხებოდა დ. ბ-ის სახელზე, რომელსაც შემოსავლების სამსახურის მიმართ დავალიანება გააჩნდა.

#### გადაწყვეტილება

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლით რეგულირებულია მოძრავი ნივთის შეძენის წესი და დადგენილია, რომ საკუთრების გადასაცემად აუცილებელია მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი. ნორმის მე-2 ნაწილით კანონმდებელი ამომწურავად ადგენს შემთხვევებს,

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი.

\*\* საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება.

საკუთრების გადაცემის იურიდიული შედეგის დადგომისათვის თუ რა განიხილება ნივთის გადაცემად, ასეთად კი, მიჩნეულია შემდეგი: შემძენისათვის ნივთის ჩაბარება პირდაპირ მფლობელობაში; არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემა ხელშეკრულებით, რომლის დროსაც წინა მესაკუთრე შეიძლება დარჩეს პირდაპირ მფლობელად; მესაკუთრის მიერ შემძენისათვის მესამე პირისაგან მფლობელობის მოთხოვნის უფლების მინიჭება. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნასყიდობის საგანზე უფლებრივი ნაკლის არსებობის გარკვევის მიზნით, უნდა დადგინდეს, სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ ავტომანქანის დაყადაღების დროისათვის დ. ბ-ი იყო თუ არა მოძრავი ნივთის მესაკუთრე. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ამ კითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს, ვინაიდან მხარეთა შორის სადავო არ არის ის გარემოება, რომ ავტომანქანა დ. ბ-მ მფლობელობაში გადასცა დ. გ-ს, ხოლო დ. გ-მ - გ. დ-ს. ასევე დადგენილია ნივთის ღირებულების გადახდის ფაქტი, რაც უდავოდ მოწმობს, რომ დ. ბ-ს, მას შემდეგ, რაც ნივთი დ. გ-ს გადასცა, ამ ნივთზე საკუთრების უფლება აღარ გააჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში ნივთი კვლავ დ.ბ-ს სახელზე ირიცხებოდა.

**საკასაციო სასამართლომ განმარტა,** რომ საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველები ამომწურავადაა დადგენილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის სამართლებრივ რეჟიმს. ამავე კოდექსის 186-197-ე მუხლებით განსაზღვრულია რა მოძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის საფუძველები, ეს წესები თანაბრად ვრცელდება ყველა მოძრავ ნივთზე და იგი არ ადგენს მოძრავ ნივთზე საკუთრების შესაძენად სავალდებულო რეგისტრაციას. რეგისტრაციის განხორციელება არ წარმოადგენს სამოქალაქოსამართლებრივ აქტს, იგი მხოლოდ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძველს ქმნის და თავისი არსით ადმინისტრაციული სამართლის სფეროს განეკუთვნება (იხ. ასევე, სუსგ Nას-914-954-2011). საკასაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 489-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტა, რომ, ნორმის მიზნებიდან გამომდინარე, ნასყიდობის საგანზე მესამე პირის უფლებად შეიძლება განვიხილოთ ყველა სანივთო უფლება; მავალდებულებელი უფლებები, რომლებიც შემძენის წინააღმდეგაა მიმართული; საჯარო სამართლებრივი შეზღუდვები, მათ შორის გამყიდველის იმგვარი ვალდებულებები, რაც ამ ნივთის დაყადაღების საფრთხეს წარმოშობს. საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, რომ დ. ბ-სა და დ. გ-ს შორის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას, ან 2009 წლის 21 ივლისს, გ. დ-ის მიერ ავტომობილის შეძენის დროისათვის, ნივთზე სსიპ შემოსავლების სამსახურს პრეტენზია გააჩნდა, ანუ ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროისათვის ნივთზე უფლებრივი ნაკლის არსებობა დადგენილი არ იყო. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 491-ე მუხლით განმტკიცებულია მყიდველის უფლება, ნივთის ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა, თუმცა, ნასყიდობის ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ამ უფლების რეალიზაციისათვის კანონითვეა დადგენილი მისი გამოყენების წინაპირობები, ნორმის თანახმად, მყიდველს შეუძლია ნივთის ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა 352-ე მუხლის მიხედვით. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების თანამდევნი შედეგის - მხარეთა ორმხრივი რესტიტუციისათვის, მოსარჩელემ

უნდა მიუთითოს და დაამტკიცოს ა) მოპასუხის მიერ ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევისა და ბ) ვალდებულების შესრულების თაობაზე კრედიტორის (მოსარჩელის) მიერ მოვალის გაფრთხილების ან მისთვის დამატებითი ვადის დაწესების ფაქტი (სკ-ის 405.1 მუხლი). სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის (განსაზღვრავს რა ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ შედეგს), გამოყენება კი დაიშვება მხოლოდ ამავე კოდექსის 405-ე მუხლთან ერთობლიობაში, რომელიც ხელშეკრულებიდან გასვლის წესისა და სავალდებულო პირობების მარეგულირებელ დანაწესს წარმოადგენს.

## **ანალიზი**

მოცემული გადაწყვეტილება მეორე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა ამ საკითხთან მიმართებით. პირველი გადაწყვეტილება, რომელიც უზენაესმა სასამართლომ 2011 წლის 27 ოქტომბერს მიიღო ( ას-914-954-2011 ) და რომელზე მითითებასაც ახდენს აღნიშნული გადაწყვეტილება, ასევე შეეხება მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებზე საკუთრების გადაცემის წესს. საქართველოს უზენაესი სასამართლო დარჩა თავისი პრაქტიკის ერთგული და გააკეთა მნიშვნელოვანი განმარტებანი, რომელიც მოცემული ანალიზის ფარგლებში ორ ნაწილად არის დაყოფილი. პირველი თავი შეეხებოდა მოძრავ ნივთებზე საკუთრების გადასვლის წესს ქართულ სამართალში (I), რომლის ფარგლებშიც ჩვენ შევეხებით როგორც ამ წესის ზოგად მიმოხილვას (ა), ასევე დეტალურად შევეხებით საკუთრების უფლების გადაცემას 186-ე მუხლის საფუძველზე (ბ), ნამდვილი უფლების არსს (გ), შემძენზე ნივთის გადაცემის მოთხოვნას (დ), მითითებით შეძენას (ე) გამსხვიებლის უფლებამოსილებებს (ვ), განკარგვის უფლებამოსილების გამორიცხვას გარიგებით (ზ), „მოკლე ხელით“ გადაცემას (თ) არაპირდაპირი მფლობელობის შესახებ შეთანხმების გზით საკუთრების გადაცემას (ი) და მფლობელობის უფლების მინიჭებით (კ). მეორე ნაწილი კი ეხება კონკრეტულად მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებით არსებულ მოწესრიგებასა და უზენაესი სასამართლოს მიერ ამ ორი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებით ჩამოყალიბებულ პრაქტიკას (II).

### **I. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემა**

#### **ა) ზოგადი მიმოხილვა**

ქართულ სამართალში მოძრავ ნივთებთან მიმართებით სახეზეა საკუთრების გადაცემის კაუზალური მოდელი, რომელიც მჭიდრო კავშირშია ნივთის გადაცემასთან. ნივთის გადაცემა, როგორც საკუთრების უფლების გადასვლის აუცილებელი პირობა, წარმოადგენს საჯაროობის პრინციპის გამოვლინებას, რომელიც უზრუნველყოფს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებისათვის სანივთო უფლებების არსებობის განსაზღვრის შესაძლებლობას. საჯაროობის პრინციპის უზრუნველყოფა უძრავ ქონებასთან მიმართებით უზრუნველყოფილია საჯარო რეესტრის ჩანაწერებით, ხოლო მოძრავი ნივთების ბრუნვის პირობებში – ნივთის ფლობის კონსტრუქციის დახმარებით. ამდენად, როგორც ქართულ სამართალში, მოძრავი ქონების შესაძენად აუცილებელია

მფლობელობის ახალ მესაკუთრეზე გადასვლა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლი).

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, შემძენისთვის ნივთის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემის გარდა, ნივთის გადაცემად ითვლება აგრეთვე მისი არაპირდაპირ მფლობელობაში გადაცემა, როდესაც ხელშეკრულების მიხედვით წინა მესაკუთრე რჩება პირდაპირ მფლობელად, ხოლო შემძენს ენიჭება მესამე პირისგან მფლობელობის მოთხოვნის უფლება. აქედან გამომდინარე, ქართული სამართალი უშვებს საკუთრების უფლების გადასვლისას ნივთის გადაცემის შეცვლას მფლობელობის კონსტიტუციის დადგენით და მესამე პირისგან ნივთის გამოთხოვნის უფლების დათმობით.

### **ბ) სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის მიმოხილვა**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლი აწესრიგებს მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემას. ამავე წესებს ექვემდებარება ე.წ. მფლობელის ქალაქდების, როგორცაა მაგ. საწარმდგენლო აქციების, საწარმდგენლო ფასიანი ქალაქდების, საწარმდგენლო ჩეკებზე საკუთრების უფლების გადაცემა.<sup>1</sup>

აღსანიშნავია, რომ 186-ე მუხლი არ შეიცავს რაიმე სახის მოთხოვნის საფუძვლებს, ის მხოლოდ ასახავს საკუთრების უფლების ნამდვილი გადატანის წინაპირობებს. 186-ე მუხლის თანახმად საკუთრების წარმოშობისათვის აუცილებელია ერთი მხრივ ნამდვილი უფლების არსებობა და მეორე მხრივ ნივთის გადაცემა. როდესაც მხარეთა შეთანხმება გამსხვისებლის გასხვისების სურვილს და შემძენის შეძენის სურვილს გამოხატავს, მფლობელობის გადაცემა ემსახურება საკუთრების უფლების გადასვლის საჯაროობის მიზანს. თუკი შემძენს უკვე აქვს ნივთი, არ არსებობს ნივთის გადაცემის საჭიროება. ნივთის გადაცემა წარმოქმნის სირთულეებს, თუკი ნივთი მფლობელობაში აქვს მესამე პირს, მაგალითად დამქირავებელს. ამგვარ შემთხვევებში შესაძლებელია გადაცემა ე.წ. გადაცემის სუროგატებით (სსკ 186 მუხლის მეორე ნაწილი) ჩანაცვლდეს. იგივე მოქმედებს, როდესაც გამსხვისებელს სურს საკუთრების უფლების გადაცემა, თუმცა ამავდროულად მას სურს ნივთის პირდაპირ მფლობელად დარჩეს.

**186-ე მუხლის მნიშვნელობით აუცილებელია გამსხვისებლის უფლებამოსილების არსებობა საკუთრების უფლების გადაცემაზე, ამდენად გამსხვისებელი უნდა იყოს განკარგვაზე უფლებამოსილი.** როგორც წესი, განკარგვაზე უფლებამოსილია თავად მესაკუთრე (ან მისი წარმომადგენელი). ამასთან გამსხვისებელს, რომელიც წარმომადგენს პირდაპირ თუ არაპირდაპირ მფლობელს, შეუძლია 158-ე მუხლით გათვალისწინებული ვარაუდი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს.

თანამესაკუთრეებს 959-ე მუხლის შესაბამისად, შეუძლიათ თავიანთი წილი თავად განკარგონ, საზიარო საგნის განკარგვა კი შესაძლებელია მხოლოდ ერთობლივად. თუკი თანამესაკუთრეები ერთობლივად განკარგავენ თავიანთ საერთო საკუთრებას, სახეზეა მხოლოდ ყველა თანამესაკუთრის ერთი განკარგვითი გარიგება.<sup>2</sup>

<sup>1</sup> შდრ. *Wolf/Wellenhofer*, Sachenrecht, §7, Rn. 1.

<sup>2</sup> შდრ. *Wolf/Wellenhofer*, Sachenrecht, §7, Rn. 19.

გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია **მესაკუთრეს განკარგვის უფლებამოსილება არ გააჩნდეს**. მაგალითად განკარგვის უფლებამოსილება მერყევია, თუ მესაკუთრის მიერ ნივთის გასხვისება უკვე მოხდა **პირობადებული საკუთრების** სახით (188-ე მუხლი), იგი ნასყიდობის ფასის სრულად გადახდამდე რჩევა ნივთის მესაკუთრედ, მაგრამ მისი განკარგვის უფლებამოსილება მერყევია. განკარგვის შეზღუდვა არსებობს მაგალითად მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებულ ქონებასთან მიმართებითაც (მუხლი 1160); მეუღლეების თანხმობის გარეშე ამგვარი განკარგვები ბათილია.

მესაკუთრის გარდა შესაძლოა განკარგვაზე უფლებამოსილი სხვა პირებიც იყვნენ, ან კიდევ, არაუფლებამოსილი პირის მიერ განკარგვის შემთხვევაში შესაძლოა იყოს ნამდვილი, თუკი იგი ხორციელდება უფლებამოსილი პირის წინასწარი თანხმობით (მუხლი 102 I) ამდენად, მესაკუთრეს შეუძლია სხვა პირი **განკარგვაზე უფლებამოსილ პირად აქციოს საკუთარი სახელით**. ამასთან, როდესაც მესაკუთრე კარგავს განკარგვის უფლებამოსილებას, იკარგება აგრეთვე მესამე პირის განკარგვის უფლებამოსილებაც. 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გაცემული განკარგვის უფლებამოსილება შესაძლებელია როგორც მინდობილობა, სურვილისამებრ შეიზღუდოს. თუმცა განკარგვაზე უფლებამოსილების მინიჭება განსხვავებულ უნდა იქნეს განკარგვაზე მინდობილობისაგან, რომელიც იძლევა უფლებამოსილებას მხოლოდ სხვისი სახელით განკარგვისათვის.<sup>3</sup> გარდა ამისა, განკარგვა ხდება ნამდვილი, თუ უფლებამოსილი პირი მას მოიწონებს (მუხლი 102 II). ამდენად, მესაკუთრეს შეუძლია **არაუფლებამოსილი პირის განკარგვა მისი ნივთისა შემდგომ მოიწონოს**, ამ შემთხვევაში, არაუფლებამოსილი პირის განკარგვა ex tunc- ნამდვილი გახდება (მუხლი 101).

განკარგვაზე არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული განკარგვა ზოგადად ბათილია. თუმცა სხვაგვარადაა საქმე, როდესაც კანონი უშვებს კეთილსინდისიერი შეძენის შესაძლებლობას ან როდესაც განკარგვაზე უფლებამოსილი პირი განხორციელებს ბათილი განკარგვის მოწონებას<sup>4</sup> სამოქალაქო კოდექსის 102-ე მუხლი II ნაწილის შესაბამისად.

**ამდენად, სსკ 186-ე მუხლის საფუძველზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის აუცილებელია (1) ნამდვილი უფლების საფუძველზე (2) ნივთის გადაცემა**. ამასთან საკუთრების უფლების გადასვლისათვის აუცილებელია, რომ მხარეთა შეთანხმება საკუთრების უფლების გადასვლას ისახავდეს მიზნად.

ამასთან, როდესაც ხდება საკუთრების შეძენა მოძრავ ნივთზე, აუცილებელია, რომ საქმე ეხებოდეს კონკრეტულ ნივთს (განსაზღვრულობის პრინციპი). განსაზღვრულობა სახეზე უნდა იყოს შეთანხმების მომენტისათვის და იმგვარად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ ნებისმიერ მესამე პირს, როგორც ობიექტურ დამკვირვებელს, უნდა შეეძლოს გადაცემული ნივთის სხვა ნივთებისაგან განსხვავება დაბრკოლებების გარეშე.<sup>5</sup> ჯერ კიდევ დაუკონკრეტებელი, განუსაზღვრელი ნივთი, თუკი იგი განსაზღვრადია, ე.ი. საკუთრების უფლების გადასვლისას შესაძლებელია დაკონკრეტდეს

<sup>3</sup> შდრ. *Wolf/Wellenhofer*, Sachenrecht, §7, Rn. 21.

<sup>4</sup> შდრ. *Wolf/Wellenhofer*, Sachenrecht, §7, Rn. 23.

<sup>5</sup> *Wolf/Wellenhofer*, Sachenrecht, §7, Rn. 6.

და უნდა გადაეცეს შემძენს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს ნივთი გამოცალკევდება და საკუთრების უფლების გადაცემის აღნიშნული წინაპირობა შესრულდება.<sup>6</sup>

### გ) ნამდვილი უფლება

186-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი. ტერმინ „ნამდვილ უფლებასთან“ დაკავშირებით ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში გამოითქვა განსხვავებული მოსაზრებები. ერთ-ერთი ამ მოსაზრების მიხედვით, „ნამდვილი უფლების“ ფორმულირება წარმოადგენს ტერმინოლოგიური შეცდომის შედეგს და მის ნაცვლად სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლში მითითებული უნდა იყოს „ნამდვილი შეთანხმება“.<sup>7</sup> არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ტერმინი „ნამდვილი უფლება“ გაგებულ უნდა იქნეს ზოგადად, როგორც „მოთხოვნის უფლება“.<sup>8</sup> აღნიშნული შეესაბამება «Anspruch»-ის გაგებას გერმანულ სამართალში, რადგან გადაცემის საფუძველად ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულების გარდა, ასევე შეიძლება გვევლინებოდეს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება, ამ შემთხვევაში ნამდვილ შეთანხმებაზე მითითება იქნებოდა არაზუსტი.<sup>9</sup> ბოლო მოსაზრება გასაზიარებელი უნდა იყოს. მართალია, საკუთრების გადაცემის მოთხოვნის უფლება, როგორც წესი, ვალდებულებითი ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშობა, მაგრამ აღნიშნული არ გამორიცხავს მის წარმოშობას კანონის საფუძველზე, მაგალითად, დელიქტის ან დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ნორმების საფუძველზე. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლში „ნამდვილ უფლებაზე“ მითითება მიანიშნებს საკუთრების უფლების გადაცემის კაუზალური სისტემის არსებობაზე.<sup>10</sup>

### დ) შემძენზე ნივთის გადაცემა

#### დ.ა) 186-ე მუხლის II ნაწილის პირველი ალტერნატივა - შემძენისათვის ნივთის ჩაბარება პირდაპირ მფლობელობაში

ნივთის გადაცემად ითვლება პირდაპირი მფლობელობის ორმხრივად სასურველი გადატანა გამსხვისებლიდან შემძენზე. ამ აქტით უფლების ცვლილება გარე დამკვირვებლისათვის შესამჩნევი ხდება. თუმცა 186-ე მუხლის შესაბამისად გადაცემა მხოლოდ მაშინ ითვლება განხორციელებულად, როდესაც შემძენის მხრიდან

<sup>6</sup> შდრ. *Wolf/Wellenhofer*, Sachenrecht, §7, Rn. 6.

<sup>7</sup> შდრ. *Chechelashvili Z.*, Some Defects in the Civil Code of Georgia, <[http://www.tarasei.narod.ru/read/st16.htm#\\_ftn1](http://www.tarasei.narod.ru/read/st16.htm#_ftn1)>, 13.11.2010.

<sup>8</sup> შდრ. *ჩაჩავა ს.*, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, ჟურნ. ქართული სამართლის მიმოხილვა, №7, 2004-4, 760-782.

<sup>9</sup> შდრ. *დანელია ე.*, გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების მაგალითზე, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეც. გამოშვება, 2008, 43-44.

<sup>10</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ სამართალს მთლიანად არ უთქვამს უარი აბსტრაქციის პრინციპზე, აქაც არსებობს გამონაკლისი. მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მოპოვების წესისაგან განსხვავებით ქართულ სამართალში მოთხოვნის უფლების დათმობა წარმოადგენს აბსტრაქტულ გარიგებას, იგი არ არის დაკავშირებული გადაცემის სამართლებრივ საფუძველთან (კაუზასთან), *ზოიძე ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, 193; *ჭიჭელაშვილი ზ.*, სანივთო სამართალი, 238.

მფლობელობის მოპოვება, ხოლო გამსხვისებლის მხრიდან **მფლობელობის სრული დაკარგვა** სახეზე. მხოლოდ თანამფლობელობის მინიჭება არ უნდა იყოს საკმარისი საკუთრების წარმოსაშობად. მფლობელობის უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში გადაცემა მხოლოდ მაშინ ითვლება განხორციელებულად, როდესაც შემძენი ნივთს ფაქტობრივად თავისთვის იღებს. ნივთის გადაცემა კონკრეტულ განსაზღვრულ შეთანხმებას უნდა ეხებოდეს. ნივთის თვითნებურად აღება არ ნიშნავს გადაცემას 186-ე მუხლის მნიშვნელობით.<sup>11</sup> ამ კონტექსტში საინტერესო იქნება ასევე 186-ე მუხლით გათვალისწინებული ნივთის გადაცემასთან გათანაბრებული სხვა შემთხვევების განხილვაც.

#### **დ.ბ) გადაცემა მესამე პირის ჩართვით**

თანამედროვე ეკონომიკის პირობებში, რომელიც რაციონალიზმის ყველა შესაძლებლობას იყენებს და როდესაც ცალკეული პირები მესამე პირების დახმარებით სარგებლობენ ნივთის გადაცემის ცნება არ შეიძლება შეიზღუდოს იმით, რომ გამსხვისებელმა ნივთი საკუთარი ხელიდან პირდაპირ შემძენს გადასცეს ხელში. ზოგ შემთხვევაში აუცილებელია, რომ ნივთზე ბატონობის წარმოქმნის სხვა ფორმებიც საკმარისი იყოს საკუთრების უფლების გადასვლისათვის.<sup>12</sup> ნივთის გადაცემის პროცესში შესაძლებელია ერთ ან ორივე მხარეს მესამე პირი მონაწილეობდეს, როგორც სხვა პირის სასარგებლოდ ნივთის ფაქტობრივი მფლობელი.

#### **ე) მითითებით (სხვისი სურვილით) შექმნა**

საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებული ურთიერთობების რაციონალურობის და გამარტივებული შესრულების ინტერესიდან გამომდინარე მართლმსაჯულება ერთი ნაბიჯით კიდევ უფრო წინ წავიდა და აგრეთვე განაცხადა უარი იმაზე, რომ სავალდებულოა მესამე პირი ან მეოთხე თანამონაწილე წარმოადგენდეს პირდაპირ მფლობელს. საკმარისია, როდესაც გამსხვისებლის მხრიდან მესამე პირი ნივთს გამსხვისებლის **მითითებით** გასცემს ან თუკი შემძენის მხრიდან ნივთი შემძენის მითითებით მესამე პირზე გადაიცემა.<sup>13</sup> მითითების შესრულება იმის ილუსტრირებაა, რომ მიმითებელს შეუძლია მფლობელობის გადაცემით ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის განხორციელება.

ამგვარად სამოქალაქო ბრუნვა იცნობს გადაცემასთან დაკავშირებით **შესრულების შემოკლებებს**.<sup>14</sup> გამსხვისებელი არ არის ვალდებული ყოველთვის თავად, პირადად გადასცეს ნივთი, არამედ მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩართოს სხვა პირი ამ მოქმედების განხორციელებაში და მაგ., თავის მიმწოდებელს მიუთითოს, რომ მან პირდაპირ მყიდველს მიაწოდოს ნივთი. ასევეა მყიდველის შემთხვევაშიც: მყიდველი არ უნდა იყოს ვალდებული, რომ ნივთი თავად, პირადად მიიღოს. მასაც აქვს შესაძლებლობა,

<sup>11</sup> შდრ. *Wolf/Wellenhofer*, Sachenrecht, §7, Rn. 7.

<sup>12</sup> შეად. *Wolf/Wellenhofer*, Sachenrecht, §7, Rn. 8.

<sup>13</sup> შეად. *Wolf/Wellenhofer*, Sachenrecht, §7, Rn. 15.

<sup>14</sup> შეად. *ჭეჭელაშვილი ზ.*, სანივთო სამართალი, თბ., 2014, 200 და შემდგ.

ნივთი მიიღოს სხვა პირების ჩართულობით. როდესაც სახეზეა ეგრეთწოდებული ჯაჭვური გარიგება, შესაძლებელია ორივეს კომბინირება განხორციელდეს.<sup>15</sup>

### ვ) გამსხვისებლის უფლებამოსილება

სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის მნიშვნელობით აუცილებელია გამსხვისებლის უფლებამოსილების არსებობა საკუთრების უფლების გადაცემაზე, ამდენად გამსხვისებელი უნდა იყოს **განკარგვაზე უფლებამოსილი პირი**. როგორც წესი, განკარგვაზე უფლებამოსილია თავად მესაკუთრე (ან მისი წარმომადგენელი). ამასთან გამსხვისებელს, რომელიც წარმოადგენს პირდაპირ თუ არაპირდაპირ მფლობელს, შეუძლია 158-ე მუხლით გათვალისწინებული ვარაუდი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს.

თანამესაკუთრეებს სამოქალაქო კოდექსის 959-ე მუხლის შესაბამისად, შეუძლიათ თავიანთი წილი თავად განკარგონ, საზიარო საგნის განკარგვა კი შესაძლებელია მხოლოდ ერთობლივად.<sup>16</sup>

გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია **მესაკუთრეს განკარგვის უფლებამოსილება არ გააჩნდეს**. მაგ., განკარგვის უფლებამოსილება სადავოა, თუ მესაკუთრის მიერ ნივთის გასხვისება უკვე მოხდა **პირობადებული საკუთრების** სახით (სსკ, მუხლი 188), იგი ნასყიდობის ფასის სრულად გადახდამდე რჩევა ნივთის მესაკუთრედ, მაგრამ მისი განკარგვის უფლებამოსილება მერყევიანია.<sup>17</sup> განკარგვის შეზღუდვა არსებობს მაგ., მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებულ ქონებასთან მიმართებითაც (სსკ, მუხლი 1160); მეუღლეების თანხმობის გარეშე ამგვარი განკარგვები ბათილია.

მესაკუთრის გარდა შესაძლოა განკარგვაზე უფლებამოსილი სხვა პირებიც იყვნენ, ან კიდევ, არაუფლებამოსილი პირის მიერ განკარგვის შემთხვევაში შესაძლოა იყოს ნამდვილი, თუკი იგი ხორციელდება უფლებამოსილი პირის წინასწარი თანხმობით (სსკ, მუხლი 102 I ) ამდენად, მესაკუთრეს შეუძლია სხვა პირი **განკარგვაზე უფლებამოსილ პირად აქციოს საკუთარი სახელით**. ამასთან, როდესაც მესაკუთრე კარგავს განკარგვის უფლებამოსილებას, იკარგება აგრეთვე მესამე პირის განკარგვის უფლებამოსილებაც. 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გაცემული განკარგვის უფლებამოსილება შესაძლებელია როგორც მინდობილობა, სურვილისამებრ შეიზღუდოს. თუმცა განკარგვაზე უფლებამოსილების მინიჭება განსხვავებულ უნდა იქნეს განკარგვაზე მინდობილობისაგან, რომელიც იძლევა უფლებამოსილებას მხოლოდ სხვისი სახელით განკარგვისათვის.<sup>18</sup> გარდა ამისა, განკარგვა ხდება ნამდვილი, თუ უფლებამოსილი პირი მას მოიწონებს (სსკ, მუხლი 102, II). ამდენად, მესაკუთრეს შეუძლია **არაუფლებამოსილი პირის განკარგვა მისი ნივთისა შემდგომ მოიწონოს**, ამ შემთხვევაში, არაუფლებამოსილი პირის განკარგვა ex tunc- ნამდვილი გახდება (სსკ, მუხლი 101).

განკარგვაზე არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული განკარგვა ზოგადად ბათილია. თუმცა სხვაგვარადაა საქმე, როდესაც კანონი უშვებს

<sup>15</sup> შეად. *Wolf/Wellenhofer*, Sachenrecht, §7, Rn. 16.

<sup>16</sup> შეად. *ბიჭიაძე მ.*, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბ., 2016, 63 და შემდგ.

<sup>17</sup> შეად. *ბზეკალავა ე.*, პირობადებული საკუთრება ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით (შედარებითი ანალიზი), ბესარიონ ზოიძე 60, თბ., 2013, 29 და შემდგ.

<sup>18</sup> შეად. *Wolf/Wellenhofer*, Sachenrecht, §7, Rn. 21.

კეთილსინდისიერი შეძენის შესაძლებლობას ან როდესაც განკარგვაზე უფლებამოსილი პირი განახორციელებს ბათილი განკარგვის მოწონებას სამოქალაქო კოდექსის 102-ე მუხლი II ნაწილის შესაბამისად.

### **ზ) განკარგვის უფლებამოსილების გამორიცხვა გარიგებით**

საყურადღებოა, რომ განკარგვის უფლებამოსილება არ შეიძლება გარიგების გზით სრულად გამორიცხოს ან შეიზღუდოს, რადგან ეს საზიანოა სამოქალაქო ბრუნვისათვის. თუკი მხარეები შეთანხმდნენ რაიმე საფუძვლით განკარგვაზე დროებით უარის თქმის თაობაზე, მაგრამ განკარგვა მაინც განხორციელდა, განკარგვა კი იქნება ნამდვილი, თუმცა წარმოქმნის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ვალდებულების დარღვევის გამო.<sup>19</sup>

### **თ) „მოკლე ხელით“ გადაცემა**

საყურადღებოა, რომ გერმანული სამართალი იცნობს ე.წ. „მოკლე ხელით“ გადაცემის წესს (BGB §929-ეს მეორე წინადადება). თუკი შემძენი უკვე წარმოადგენს ნივთის პირდაპირ ან არაპირდაპირ მფლობელს, მაშინ ნივთის გადაცემის მოთხოვნა აღარ დგება. შესაბამისად §929 მეორე წინადადება ადგენს, რომ სანივთო შეთანხმება საკმარისია საკუთრების უფლების გადასაცემად.<sup>20</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლით პირდაპირ არ არის მოწესრიგებული ეს შემთხვევა, როდესაც ნივთის შემძენი უკვე ფლობს ნივთს ხელშეკრულების დადების მომენტში და შესაბამისად არ არის ნივთზე მფლობელობის გადაცემის საჭიროება (Traditio brevi manu). განსხვავება საკუთრების გადაცემის კლასიკური შემთხვევისაგან მდგომარეობს იმაში, რომ მფლობელობა წარმოიშობა უფრო ადრე, ვიდრე მოხდება მესაკუთრესა და შემძენს შორის ვალდებულებით სამართლებრივი გარიგების დადება. ვინაიდან სახეზე არ არის რაიმე განსაკუთრებული ახალი წესი, შესაძლებელია გაზიარებულ იქნას მოსაზრება, რომ ეს შემთხვევა შესაძლებელია მოაზრებულ იქნას 186 II ნაწილით გათვალისწინებულ მფლობელობის გადაცემის შემთხვევებში.<sup>21</sup>

### **ი) არაპირდაპირი მფლობელობის შესახებ შეთანხმების გზით საკუთრების უფლების გადაცემა (186 II ნაწილის მეორე ალტერნატივა)**

ცალკეულ შემთხვევებში მხარეები შესაძლოა იმით იყვნენ დაინტერესებულნი, რომ საკუთრების უფლების გადაცემა შემძენზე მაშინვე განხორციელდეს, მაგრამ მფლობელობა (დროებით) ისევ გამსხვისებელს დარჩეს. აღნიშნულის შესაძლებლობას იძლევა 186-ე მუხლის II ნაწილი. ამის საჭიროება სახეზეა, მაგ., როდესაც მყიდველი ნივთს, მაგ. კაბას, რომლის საფასურიც მან უკვე გადაიხადა და შესაბამისად მისი მესაკუთრე უნდა გახდეს,

<sup>19</sup> შეად. *Wolf/Wellenhofer*, Sachenrecht, §7, Rn. 26.

<sup>20</sup> შეად. *კროპპოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, 699 და შემდგ.

<sup>21</sup> შეად. *თოთლაძე ლ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 186, <<http://www.gccc.ge>>, საწინააღმდეგო მოსაზრებით, *ჭეჭელაშვილი ზ.*, სანივთო სამართალი, 2014, 204, ასევე, *ასათიანი თ.*, მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის ძირითადი ასპექტები, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2013, 51 და შემდგ.

გამყიდველთან გარკვეული ხნის განმავლობაში ტოვებს, რადგან მან, მაგ., უნდა დაამოკლოს კაბა. ასევე, შესაძლებელია, მყიდველს ჰქონდეს ინტერესი, რომ მის მიერ შეძენილი ნივთები (მაგ. სამშენებლო მასალები) დარჩეს დასაწყობებული გამყიდველთან, სანამ მას დასჭირდება ამ მასალის გამოყენება.<sup>22</sup>

ამდენად, ამ შემთხვევებში სახეზე არ არის გამსხვისებლის მიერ მფლობელობის სრულად დაკარგვა, თუმცა საკუთრების უფლების გადაცემა შესაძლებელია განხორციელდეს 186-ე მუხლის II ნაწილის მეორე ალტერნატივით. იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს პირდაპირი მფლობელობის გამსხვისებელთან დატოვება, ეს ნორმა, უარს ამბობს გადაცემის აუცილებლობაზე და მის სანაცვლოდ ითვალისწინებს შეთანხმებას არაპირდაპირი მფლობელობის შესახებ 155-ე მუხლის III ნაწილის მნიშვნელობით. **არაპირდაპირი მფლობელობითი ურთიერთობა როგორც გადაცემის სუროგატი** ცვლის გადაცემას. როგორც არაპირდაპირი მფლობელობითი ურთიერთობა მხედველობაში მიიღება ნებისმიერი სამართლებრივი ურთიერთობა გამსხვისებელს, როგორც მფლობელსა და შემძენს შორის, რომლის საფუძველზეც შემძენი არაპირდაპირ მფლობელობას იღებს. აღნიშნული წესი წარმოადგენს გამონაკლისს ტრადიციის პრინციპიდან (*constitutum possessorium*), როდესაც თავდაპირველ მესაკუთრესა და შემძენს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე წინა მესაკუთრე რჩება ნივთის პირდაპირ მფლობელად.<sup>23</sup>

**კ) საკუთრების უფლების გადაცემა მესაკუთრის მიერ შემძენისათვის მესამე პირისაგან მფლობელობის მოთხოვნის უფლების მიწიჭებით (186 II ნაწილის მესამე ალტერნატივა)**

საკუთრების უფლების გადასვლა აგრეთვე შესაძლებელია, თუკი მესაკუთრე შემძენს გადასცემს მესამე პირისაგან, რომელიც ახორციელებს მფლობელობას, მფლობელობის გამოთხოვის უფლებას. ამდენად, თუკი მესამე პირი ახორციელებს პირდაპირ მფლობელობას, ხოლო მესაკუთრე არაპირდაპირი მფლობელია, მაშინ მესაკუთრეს ნივთზე საკუთრების უფლება შემძენზე იმით შეუძლია გადასცეს, რომ იგი მას გადასცემს არაპირდაპირ მფლობელობას. ამ შემთხვევაში გამოიყენება გადაცემის სუროგატი - მოთხოვნის დათმობა არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემის მიზნებისათვის.<sup>24</sup> ამდენად, ამ შემთხვევაში აუცილებელი წინაპირობაა, რომ მხარეები შეთანხმდნენ საკუთრების უფლების გადასვლაზე და მნიშვნელოვანია, რომ ნივთი მესამე პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ მფლობელობაში იმყოფებოდეს. კანონმდებელი ამ შემთხვევაში იყენებს მოთხოვნის დათმობის ინსტიტუტს სამოქალაქო ბრუნვის გამარტივების მიზნით.<sup>25</sup>

<sup>22</sup> შეად. *Wolf/Wellenhofer*, Sachenrecht, §7, Rn. 28.

<sup>23</sup> შეად. *თოთლაძე ლ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 186, < <http://www.gccc.ge>>, *ასათიანი თ.*, მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის ძირითადი ასპექტები, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2013, 47 და შემდგ.

<sup>24</sup> შეად. *Wolf/Wellenhofer*, Sachenrecht, §7, Rn. 38.

<sup>25</sup> შეად. *ასათიანი თ.*, მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის ძირითადი ასპექტები, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2013, 48 და შემდგ.

## II. ავტომობილი

### ა) ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა

ავტომობილის მფლობელობა ხორციელდება არა მხოლოდ ნივთის მფლობელობით, არამედ ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის მფლობელობით. სარეგისტრაციო მოწმობა შეადგენს ავტომობილის აუცილებელ აქსესუარს ავტომანქანის მისი მესაკუთრის სახელზე რეგისტრაციისთვის. მართალია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით ავტომანქანის რეგისტრაცია ნივთზე საკუთრების წარმოშობის აუცილებელ წინაპირობას არ წარმოადგენს,<sup>26</sup> მაგრამ „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში 2009 წელს განხორციელებული დამატებით, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისისა, მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე პირის საკუთრების უფლების წარმოშობა იურიდიულ ძალას იძენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან.<sup>27</sup> ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ წესის „მფლობელი ივარაუდება მესაკუთრედ“ დაცვით ვერ ისარგებლებს პირი, რომელმაც შეიძინა ავტომობილი მხოლოდ მფლობელობის ფაქტზე დაყრდნობით, ისე, რომ არ გადაამოწმა, ჰქონდა თუ არა გამსხვისებელს თავის სახელზე რეგისტრირებული ავტომობილი ამ დოკუმენტით, რადგან ამ შემთხვევაში ავტომობილის სარეგისტრაციო მოწმობა მისი ნამდვილი მესაკუთრის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. ასეთ დროს, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც ავტომობილის სარეგისტრაციო მოწმობის გადაუცემლობა გამართლებულია სხვადასხვა გარემოებით,<sup>28</sup> შესაძლებელია შემქმნის კეთილსინდისიერების გამორიცხვა, რადგან ავტომობილის შექმნისას ავტომობილის სარეგისტრაციო მოწმობა ჩვეულებრივ მოითხოვება და მხოლოდ მფლობელობის ფაქტი აქ საკუთრების ვარაუდს არ უნდა იწვევდეს.

ავტომობილებთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ მართალია ავტომობილის მფლობელობა ხორციელდება არა მხოლოდ ნივთის მფლობელობით, არამედ ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის მფლობელობით, მაგრამ **ავტომობილის სარეგისტრაციო მოწმობის გადაცემა თავისთავად** არ წარმოადგენს საკუთრების უფლების შექმნის წინაპირობას. სარეგისტრაციო მოწმობის გადაცემა ასევე არ ანაცვლებს ავტომობილის გადაცემას, რადგან ავტომობილის სარეგისტრაციო მოწმობა არ წარმოადგენს ფასიან ქალაქს, რომელიც იძლევა მასში აღნიშნული ნივთის საკუთრების უფლებას. ამდენად, საავტომობილო მოწმობაში პირის შეტანას, ასევე არ აქვს პირდაპირი შედეგი საკუთრებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე. ამას ადასტურებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაც, საქართველოს უზენაესი სასამართლოს

<sup>26</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, №ას-914-954-2011, 27.10.2011.

<sup>27</sup> საქართველოს 2009 წლის 17 ივლისის კანონი „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე, №1544 - სსმ I, №21, 03.08.2009 წ., მუხ. 127.

<sup>28</sup> მაგალითად, დამკვიდრებული ტრადიციით, რადგან პროფესიონალებს შორის მიღებულია, რომ გამყიდველს 15 დღე აქვს გაყიდულ ავტომანქანასთან დაკავშირებული დოკუმენტების გადასაცემად.

მოცემული გადაწყვეტილებითაც დადასტურდა, რომ ავტომანქანის რეგისტრაცია ნივთზე საკუთრების წარმოშობის აუცილებელ წინაპირობას არ წარმოადგენს.<sup>29</sup> ამასთან საყურადღებოა, რომ „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში 2009 წელს განხორციელებული დამატებით, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისისა, მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე პირის საკუთრების უფლების წარმოშობა იურიდიულ ძალას იძენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან.<sup>30</sup> თუმცა, აღნიშნული კანონის მიზანი არ არის მოძრავ ნივთებთან დაკავშირებით საკუთრების გადაცემის წესის დადგენა. თუკი ავტომანქანის გადაცემა განხორციელდა, ხოლო გამყიდველი ავტომობილის ტექნიკურ მოწმობას ჯერ კიდევ თავად იტოვებს, ასეთ შემთხვევაში ხშირად კონკლუდენტურად შეთანხმებული პირობადებული საკუთრებაა სახეზე.<sup>31</sup>

### ბ) „უნდა სცოდნოდა“ - არცოდნა უხეში გაუფრთხილებლობის გამო

უხეში გაუფრთხილებლობა სახეზეა, როდესაც პირი უჩვეულოდ დიდი მოცულობით არ იჩენს სამოქალაქო ბრუნვისათვის აუცილებელ სიფრთხილეს. მაგ. ავტომანქანის გაყიდვისას, როგორც წესი, უხეშ გაუფრთხილებლობასთან გვაქვს საქმე, როდესაც მყიდველი არ ითხოვს ავტომანქანის სარეგისტრაციო მოწმობის წარდგენას საკუთრების უფლების შესახებ ინფორმაციის დასაზუსტებლად, რადგან სარეგისტრაციო მოწმობა ავტომობილის აუცილებელი ატრიბუტია.<sup>32</sup> თუმცა, აქ შესაძლოა იყოს გამონაკლისებიც, მაგ., გერმანულ სამართალში, ავტომანქანებით ავტორიზებული მოვაჭრისაგან ახალი ავტომანქანის შეძენისას შესაძლებელია კეთილსინდისიერი შეძენა მოწმობის წარდგენის გარეშე განხორციელდეს. თუმცა შემძენს შეუძლია აგრეთვე ახალი ავტომანქანის ყიდვისასაც იმოქმედოს უხეში გაუფრთხილებლობით, როდესაც მაგ., მან მისი სამსახურებრივი გამოცდილებიდან გამომდინარე, უნდა იცოდეს, რომ ავტომანქანის დამამზადებელი როგორც წესი საკუთრებას ინარჩუნებს. საზღვარგარეთ გამოშვებული ავტომანქანების შეძენისას, როგორც წესი, მოქმედებს სხვადასხვა გზით ინფორმაციის მოპოვების ვალდებულება.<sup>33</sup> ამდენად სარეგისტრაციო მოწმობის შეუმოწმებლობა შესაძლოა გამართლებულ იყოს, მაგრამ ასეთი გამამართლებელი გარემოებების არარსებობისას კეთილსინდისიერი შეძენა სახეზე არ არის, რადგან ავტომობილის სარეგისტრაციო მოწმობა ჩვეულებრივ მოითხოვება.<sup>34</sup>

<sup>29</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, განჩინება №ას-914-954-2011, 27.10.2011.

<sup>30</sup> საქართველოს 2009 წლის 17 ივლისის კანონი „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე, №1544 - სსმ I, №21, 03.08.2009 წ., მუხ. 127.

<sup>31</sup> *Wolf/Wellenhofer, Sachenrecht*, §7, Rn. 7.

<sup>32</sup> შეად. ზარანდია თ., ნივთის მფლობელი ივარაუდება მის მესაკუთრედ - პრეზუმფციის გამოყენების წინაპირობები და გამონაკლისები, აკაკი ლაბარტყავას საიბილეო კრებული, თბ., 2012, 205.

<sup>33</sup> შეად. *Wolf/Wellenhofer, Sachenrecht*, §8, Rn. 17.

<sup>34</sup> შეად. ზარანდია თ., ნივთის მფლობელი ივარაუდება მის მესაკუთრედ - პრეზუმფციის გამოყენების წინაპირობები და გამონაკლისები, აკაკი ლაბარტყავას საიბილეო კრებული, თბ., 2012, 205.

თუკი შემძენმა წარმოადგენინა ავტომანქანის სარეგისტრაციო მოწმობა გამსხვისებელს, მას, როგორც როგორც წესი, შეუძლია კეთილსინდისიერად შეძენა, თუკი იგი ავტომანქანის სარეგისტრაციო მოწმობაში მითითებული მფლობელისგან იძენს.<sup>35</sup> აღნიშნული მოქმედებს ზოგადად იმ შემთხვევებზეც, როდესაც მესამე პირი ავტომობილის მოწმობის წარდგენით, საკუთარ თავს გაასაღებს მასში მითითებულ მფლობელად (სხვის სახელს ამოფარებული მოქმედება). საყურადღებოა, რომ ავტომობილის მოწმობაში მითითებული იურიდიული პირისაგან შეძენის შემთხვევაში, უნდა შემოწმდეს ამ იურიდიული პირისათვის მოქმედი პირების უფლებამოსილებები. თუკი გამსხვისებელი წარმოადგენს ავტომობილის სარეგისტრაციო მოწმობას და დადგინდება, რომ მასში მითითებული პირი არ ემთხვევა გამსხვისებელს, როგორც წესი, შემძენს ეკისრება მოწმობაში მითითებული მონაცემის გადამოწმებისა და გამოკვლევის ვალდებულება იმის დასადგენად, აქვს თუ არა გამსხვისებელს ავტომობილის გასხვისების უფლებამოსილება.<sup>36</sup> თუკი შემძენი არ ახორციელებს ამ მოქმედებას, რაც გონივრული წინდახედულების ფარგლებში მოიაზრება, შესაძლოა მიჩნეულ იქნას, რომ იგი მოქმედებს უხეში გაუფრთხილებლობით.

მაგ., მეორადი ავტომობილის შეძენა საბაზრო ფასისათვის სრულიად შეუსაბამო ნასყიდობის ფასით, წარმოადგენს მინიშნებას საკუთრების უფლების არარსებობაზე; ისევე როგორც ძვირადღირებული მუსიკალური ინსტრუმენტის შეძენა საბაზრო ღირებულებასთან შედარებით საკმაოდ დაბალ ფასად იმ ადგილზე, სადაც, ჩვეულებრივ მსგავსი საგნებით ვაჭრობა არ ხდება, როგორც წესი, კეთილსინდისიერად არ ხორციელდება; ასევე სხვა საეჭვო გარემოებების არსებობა შესაძლოა მიუთითებდეს იმაზე, რომ გამსხვისებელს არა აქვს გასხვისების უფლებამოსილება.<sup>37</sup>

როგორც წესი, ნივთის შემძენი არ ამტკიცებს თავის კეთილსინდისიერებას. პირი, რომელიც სადავოდ ხდის მოძრავი ნივთის კეთილსინდისიერ შეძენას, ვალდებულია თავად დაამტკიცოს შემძენის არაკეთილსინდისიერება და ამასთან, შემძენის კეთილსინდისიერება ივარაუდება. მტკიცების ტვირთის ეს წესი გამომდინარეობს 187-ე მუხლის ფორმულირებიდან, რომელიც კეთილსინდისიერების ფაქტს არ მიუთითებს, როგორც საკუთრების მოპოვების შემადგენლობის ნიშანს, არამედ შემძენის არაკეთილსინდისიერების ფაქტი არის საკუთრების შეძენის დამაბრკოლებელი გარემოება.<sup>38</sup>

საყურადღებოა, რომ იმ შემთხვევებში, სადაც, როგორც წესი, მხოლოდ **პირობადებული საკუთრების სახით** ხდება მიწოდება, შემძენი, რომელიც საქონელს არა პირდაპირ დამმზადებლისგან, არამედ გადამყიდველისგან ანდა გადამმუშავებლისგან იღებს საკუთრებაში, ვალდებულია იცოდეს პირობადებული საკუთრების არსებობა. თუკი

---

<sup>35</sup> ავტომანქანაზე საკუთრების წარმოშობის თავისებურებების შესახებ იხ. *ტაკაშვილი ს.*, მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობის სამართლებრივი მოწესრიგება ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ბესარიონ ზოიძე 60, თბ., 2013, 47 და შემდგ.

<sup>36</sup> შეად. *Wolf/Wellenhofer*, *Sachenrecht*, §8, Rn. 18.

<sup>37</sup> შეად. *Wolf/Wellenhofer*, *Sachenrecht*, §8, Rn. 19.

<sup>38</sup> შეად. *თოთლაძე ლ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 187, < <http://www.gccc.ge> >.

იგი არ მოიპოვებს ინფორმაციას საკუთრებით ურთიერთობებთან დაკავშირებით, მაშინ იგი მოქმედებს უხეში გაუფრთხილებლობით. ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში ფორმულარის სახით მითითებული განმარტება, რომ მიწოდებული საქონელი თავისუფალია მესამე პირების უფლებებისაგან, არ ანაცვლებს ინფორმაციის მოპოვების ვალდებულებას.<sup>39</sup> ამგვარი კერძო შემთხვევებისა და განსაკუთრებული ეჭვის გამომწვევი გარემოებების გარდა, რომელიც შესაძლოა მხედველობაში იქნეს მიღებული, საზოგადოდ, შემძენისათვის, არ მოქმედებს გამსხვისებლის გასხვისების უფლებამოსილების შემოწმების (მისი მესაკუთრედ ყოფნა არყოფნის) გამოკვლევის ვალდებულება.

---

<sup>39</sup> შეად. *Wolf/Wellenhofer*, Sachenrecht, §8, Rn. 19.

## თამარ ზოიძე\*

### შეზღუდული სანივთო უფლებები და აუცილებელი გზა. საკუთრების უფლების შეზღუდვა აუცილებელი გზის დადგენით

საქმე №ას-1416-1548-2004\*\*

„თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის“ კომპანია როინ ახალკაცის წინააღმდეგ

თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო-, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად. იმ მეზობლებს, რომელთა ნაკვეთზედაც გადის აუცილებელი გზა ან გაყვანილობა, უნდა მიეცეთ შესაბამისი კომპენსაცია, რომელიც, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება ერთჯერადი გადახდით გამოიხატოს. (სამოქალაქო კოდექსის 180-ე I მუხლი)

აუცილებელი გზის ან გაყვანილობის თემის ვალდებულება არ წარმოიშობა, თუკი უკვე არსებული დაკავშირება მიწის ნაკვეთისა გაუქმდა მესაკუთრის თვითნებური მოქმედებით. (სამოქალაქო კოდექსის 180-ე II მუხლი)

აღნაგობის უფლების წარმოშობისა და შეძენის მიმართ შესაბამისად გამოიყენება უძრავი ნივთის შეძენის წესები. (სამოქალაქო კოდექსის 234-ე I მუხლი)

მიწის ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება შეიძლება სხვა მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრის სასარგებლოდ ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული), რომ ამ მესაკუთრეს უფლება ჰქონდეს, ცალკეულ შემთხვევებში ისარგებლოს ამ ნაკვეთით, ან აიკრძალოს ამ ნაკვეთზე ზოგიერთი მოქმედების განხორციელება, ანდა გამოირიცხოს დატვირთული ნაკვეთის მესაკუთრის ზოგიერთი უფლების გამოყენება სხვა ნაკვეთის მიმართ (სერვიტუტი). სერვიტუტის დადგენის მიმართ გამოიყენება უძრავი ნივთის შეძენისათვის გათვალისწინებული წესები. (სამოქალაქო კოდექსის 247-ე I მუხლი)

საჯარო რეესტრი არის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობის, მათში ცვლილებების და მათი შეწყვეტის, ასევე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების წარმოშობის და მასში ცვლილებების შესახებ მონაცემთა ერთობლიობა. (სამოქალაქო კოდექსის 311-ე I მუხლი)

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქტორი.

\*\* საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2005 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება.

## ფაქტები:

საქართველოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიების გავლით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ“ საერთაშორისო ხელშეკრულებით საქართველოს სახელმწიფომ თანხმობა განაცხადა აღნიშნული მილსადენის პროექტების განხორციელებაზე შესაბამისი ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულებების დადებით და შემდგომი რატიფიკაციით, რომელთაც აქვთ საერთაშორისო ხელშეკრულების უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად.

ამჟამად მოსარჩელე მიწის უფლებების შექმნის პროცესში, რაც საჭიროა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის მშენებლობისა და ფუნქციონირებისათვის. მილსადენის მარშრუტი კვეთს კერძო საკუთრებაში არსებულ მთელ რიგ მიწის ნაკვეთებს ახალციხის რ-ნში, კერძოდ ვალეს საკრებულოს ტერიტორიაზე.

მილსადენმა კომპანიამ სათანადო კომპენსაციის გადახდით შეიძინა საკუთრების უფლება მიწის ნაკვეთების შესაბამის ნაწილებზე. მოპასუხეებმა როინ ახალკაცმა და ჯემალ თავაძემ უარი განაცხადეს მოსარჩელესთან გარიგების დადებაზე იმ მოტივით, რომ მათ არ აკმაყოფილებდათ შეთავაზებული ფასი -1824 და 6634 ლარი.

აღნიშნულის გამო ნავთობის მილსადენმა კომპანიამ სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა მოპასუხეების მიწის ნაკვეთზე აუცილებელი გზის უფლების დადასტურება და ამ უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს, რომ მათ გააჩნიათ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება, რომელიც აბსოლუტურია და არ შეიძლება შეზღუდოს კომპანიამ.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა და კომპანიას მიენიჭა აუცილებელი გზის უფლება მოპასუხეების სახელზე რიცხულ მიწის ნაკვეთებზე. აუცილებელი გზის უფლება გატარდა საჯარო რეესტრში.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა როინ ახალკაცმა და მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება იმ საფუძველზე, რომ სასამართლომ მიიღო ფაქტობრივად და სამართლებრივად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, იგნორირება გაუკეთა მის საკუთრების უფლებას, რომელიც აღიარებულია და უზრუნველყოფილია კონსტიტუციით. სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამეზობლო სამართლის ნორმები, კერძოდ პროექტის მონაწილეებმა უფლებები არასახელმწიფო მიწაზე უნდა მოიპოვონ მიწის მესაკუთრისათვის და მოსარგებლეებისათვის გონივრული ანაზღაურების შემდეგ. სასამართლომ აუცილებელი გზის უფლების მინიჭებით პრაქტიკულად მოახდინა საკუთრების უფლების ჩამორთმევა და თანაც კომპენსაციის გადახდის გარეშე.

კომპანიას მიწის ნაკვეთზე მშენებლობის განხორციელებისათვის უნდა დაედო სანივთო გარიგება და მოეპოვებინა აღნაგობის უფლება, სასამართლომ უსაფუძვლოდ მიაქცია აღნიშნული გადაწყვეტილება დაუყონებლივ აღსასრულებლად, რადგანაც სახეზე იყო აღიარებითი სარჩელი და არა მიკუთვნებითი, რომელიც აღსრულებას ექვემდებარება.

სააპელაციო სასამართლომ 2004 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გააუქმა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება როინ ახალკაცის მიწის ნაკვეთზე მოსარჩელისათვის აუცილებელი გზის უფლების მინიჭების ნაწილში და მიღებული ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. მილსადენ კომპანიას მიენიჭა სერვიტუტის უფლება როინ ახალკაცის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე და შესაბამისად ახალციხის რაიონული მიწის მართვის სამმართველოს დაევალა სერვიტუტის უფლების რეგისტრაციაში გატარება ნავთობის მილსადენი კომპანიის სასარგებლოდ.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა როინ ახალკაცის წარმომადგენელმა და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველზე, რომ სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სკ-ის 247-ე მუხლი, რადგან მოსარჩელეს სერვიტუტის უფლების დადგენა არ მოუთხოვია, სასამართლომ კი მიაკუთვნა მხარეს ის, რაც მას არ მოუთხოვია.

კასატორი მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა წარმოადგენდა აღნაგობის უფლების დადგენას, რომელიც სასამართლომ არ გამოიყენა.

კასატორი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულების მიხედვით უნდა მოხდეს სათანადო ანაზღაურება ნებისმიერი უფლების სანაცვლოდ არასახელმწიფო მიწის მიმართ და მხოლოდ ამის შემდგომ წარმოემოზა უფლებები კომპანიას, რაც სასამართლომ არასწორად არ გაიზიარა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2004 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიიღო ახალი გადაწყვეტილება.

**მოსარჩელის არგუმენტაციით**, მან სათანადო კომპენსაციის გადახდით შეიძინა საკუთრების უფლება მიწის ნაკვეთების შესაბამის ნაწილებზე. მოპასუხეებმა როინ ახალკაცმა და ჯემალ თავაძემ კი უარი განაცხადეს მოსარჩელესთან გარიგების დადებაზე იმ მოტივით, რომ მათ არ აკმაყოფილებდათ შეთავაზებული ფასი.

**მოპასუხის არგუმენტაციით**, სასამართლოს მიერ მოხდა საკუთრების ჩამორთმევა კომპენსაციის გარეშე, რასაც მოწმობს მოსარჩელის მიერ შექმნილი და წარმოდგენილი დოკუმენტი „აუცილებელი გზის უფლების პირობების“ შესახებ. კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიუთითა ის გარემოება, რომ სერვიტუტი წარმოშობილი აქვს მოსარჩელეს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე და სასამართლოს უნდა მოეხდინა ამ უფლების დადასტურება და რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

კასატორი მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა წარმოადგენდა აღნაგობის უფლების დადგენას, რომელიც სასამართლომ არ გამოიყენა.

კასატორი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულების მიხედვით უნდა მოხდეს სათანადო ანაზღაურება ნებისმიერი უფლების სანაცვლოდ არასახელმწიფო მიწის მიმართ და მხოლოდ ამის შემდგომ წარმოემოზა უფლებები კომპანიას, რაც სასამართლომ არასწორად არ გაიზიარა.

## გადაწყვეტილება

საკასაციო სასამართლომ საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოშობილია საქართველოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიების გავლით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ“ საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრული მილსადენის საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლობასთან დაკავშირებით. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე დადებულია ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულება, რომლითაც სახელმწიფო ხელისუფლება საექსპორტო მილსადენის პროექტის მონაწილეებს ანიჭებს მთელ რიგ უფლებებს, კერძოდ, 4.1. მუხლის თანახმად, მათ აქვთ აბსოლუტური, შეუზღუდავი უფლება და პრივილეგია, განახორციელონ და ადასრულონ პროექტი. მათ აქვთ საკუთრებაში მიღების, სავალდებულო გასხვისების, კერძო საკუთრების ფულადი კომპენსაციის სანაცვლოდ ჩამორთმევის, ექსპროპრიაციის და, აგრეთვე, სხვა უფლებები, რაც ამლევს პროექტის მონაწილეებს საშუალებას, უზრუნველყონ, აწარმოონ და გადაუხადონ შესაბამის პირებს სათანადო ანაზღაურება არასახელმწიფო მიწის მიმართ მიწაზე უფლებების სანაცვლოდ. ამავე ხელშეკრულების შესაბამისად, საექსპორტო მილსადენის მონაწილენი უფლებამოსილნი არიან, დადონ გარიგებანი არასახელმწიფო მიწასთან დაკავშირებით, ამასთან, მათ გააჩნიათ მიწის ექსკლუზიური სარგებლობის, ფლობის და კონტროლის უფლება, შესვლისა და გამოსვლის უფლება, მიწაზე ან მიწის ქვეშ მშენებლობის უფლება (4.1. მუხლი I, II, IV).

სწორედ აღნიშნული მილსადენის მშენებლობისას წარმოეშვა „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის“ კომპანიას მოთხოვნა, ესარგებლა როინ ახალკაცის მიწის ნაკვეთით და მან სასამართლოში დაყენებული სარჩელით მოითხოვა აუცილებელი გზის უფლების აღიარება მოპასუხის მიწის ნაკვეთზე. კასატორი მიიჩნევს, რომ კომპანიის მიერ დაყენებული მოთხოვნა სამართლებრივი თვალსაზრისით არასწორია, რადგან იგი უნდა გამომდინარეობდეს არა აუცილებელი გზის, არამედ აღნაგობის უფლების მოთხოვნიდან. პალატა თვლის, რომ კასატორის ეგ არგუმენტი არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს.

სსკ-ის 234-ე მუხლის თანახმად, აღნაგობის წარმოშობისა და შექმნის მიმართ გამოიყენება უძრავი ნივთების შექმნის წესები. უძრავი ნივთის შექმნა კი უკავშირდება გარიგების დადებას, რაც გარიგების ნებელობიდან გამომდინარეობს. მოცემულ დავაში ერთი პირი უარს ამბობს მეორესთან ურთიერთობაზე, მეორეს კი წარმოეშვა ამ პირის ქონების გამოყენების აუცილებლობა. სამოქალაქო კანონმდებლობა ასეთ შემთხვევას უკავშირებს თმენის ვალდებულებას, რაც აუცილებლობის შემთხვევაში სხვისი ქონების გამოყენების შესაძლებლობასთანაა დაკავშირებული.

სსკ-ის 180-ე მუხლის თანახმად, თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო- ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს, რომ

მან ითმინოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად.“ მხარეები არ უარყოფენ იმ გარემოებას, რომ კომპანიას მიწის ნაკვეთი შეძენილი აქვს ნავთობის მილსადენის გასაყვანად, ხოლო შეძენილი ნაკვეთის ჯეროვანი გამოყენებისათვის კომპანიას ესაჭიროება აუცილებელი კავშირი ნავთობის ქსელთან. ასეთ შემთხვევაში მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეს, სსკ-ის აღნიშნული ნორმის საფუძველზე, წარმოეშობა თმენის ვალდებულება, რაც უკავშირდება სწორედ მითითებული ნორმის გამოყენებას და არა აღნაგობის ან სერვიტუტის უფლების მოპოვებას.

სსკ-ის 247-ე მუხლის თანახმად, მიწის ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება შეიძლება სხვა მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრის სასარგებლოდ ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული), რომ ამ მესაკუთრეს უფლება ჰქონდეს, ცალკეულ შემთხვევებში ისარგებლოს ამ ნაკვეთით, ან აიკრძალოს ამ ნაკვეთზე ზოგიერთი მოქმედების განხორციელება, ანდა გამოირიცხოს დატვირთული ნაკვეთის მესაკუთრის ზოგიერთი უფლების გამოყენება სხვა ნაკვეთის მიმართ.

მითითებული ნორმისა და სსკ-ის 180-ე მუხლის შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ თუ სერვიტუტი უკავშირდება მიწის ნაკვეთის გარკვეული უფლებით შესაძლო დატვირთვას, აუცილებელი გზა ცალსახად გულისხმობს ნივთის ასეთი უფლებით დატვირთვის იმპერატიულ მოთხოვნას. მოცემულ შემთხვევაში ობიექტურმა საჭიროებამ წარმოშვა აუცილებელი პირობა სხვისი ნივთით სარგებლობისა, რასაც კანონმდებლობა მკაფიო შედეგს - აუცილებელი გზის უფლებას უკავშირებს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ აუცილებელი გზის გამო თმენის ვალდებულებას კანონმდებლობა უკავშირებს შესაბამისი კომპენსაციის გადახდის ვალდებულებას (სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილი), მაგრამ ვინაიდან ასეთი სახის მოთხოვნა როინ ახალკაცის მიერ სასამართლოს წინაშე არ დასმულა, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს აღნიშნულის თაობაზე.

სსკ-ის 311-ე მუხლის თანახმად, საჯარო რეესტრში შეიტანება უძრავ ნივთებზე საკუთრების და სხვა სანივთო უფლებები. აუცილებელი გზა წარმოადგენს სანივთო უფლებას. სასამართლოს მიერ აღიარებულია „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ მილსადენის კომპანიის სანივთო უფლება როინ ახალკაცის მიწის ნაკვეთზე. ამდენად, მითითებული ნორმის საფუძველზე კომპანია უფლებამოსილია მოახდინოს ამ უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობას, რასაც შედეგად მოჰყვა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება. ამიტომ იგი უნდა გაუქმდეს და მიღებული ახალი გადაწყვეტილებით „თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის“ კომპანიის მოთხოვნა როინ ახალკაცის მიწის ნაკვეთის მიმართ აუცილებელი გზის უფლების აღიარების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს.

## **ანალიზი**

სამართლებრივი პრობლემის სრულყოფილი აღქმისთვის აუცილებელია სააპელაციო და საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი ანალიზის

ურთიერთშედეგება, სადაც შეიმჩნევა ერთმანეთის გამომრიცხავი სამართლებრივი დასკვნები სანივთო უფლების დადგენაში. მნიშვნელოვანია, აღნიშნული პრობლემები თეზისების სახით ჩამოყალიბდეს და მსჯელობა სწორედ ამ მეთოდის გამოყენებით განხორციელდეს: აუცილებელი გზა, როგორც კანონისმიერი სანივთო უფლება (I); აუცილებელი გზისა და სერვიტუტის ურთიერთმიმართება (II);

## I. აუცილებელი გზა, როგორც კანონისმიერი სანივთო უფლება

აუცილებელი გზა სანივთო უფლებების კატეგორიას მიეკუთვნება. რომლის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. აღსანიშნავია, რომ სანივთო სამართლის ბუნებიდან გამომდინარე, ნებისმიერი სანივთო უფლების როგორც წარმოშობა, ისევე მისი შეწყვეტა დაკავშირებულია ამ უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან. გამონაკლისი ამ შემთხვევაში არც აუცილებელი გზაა, რომელიც წარმოადგენს კანონისმიერ სანივთო უფლებას. რა შინაარსის და რა დატვირთვების მატარებელია აუცილებელი გზა, მას კანონმდებელი ადგენს იმ შემთხვევისათვის, როდესაც მხარეთა შორის კონსენსუსს არ აქვს ადგილი. ეს იქნება სხვის მიწის ნაკვეთზე გავლის უფლება თუ მისი სხვადასხვა მიზნებისათვის გამოყენება. მაგალითად, მესაკუთრე, რომლის ნაკვეთზეც სავალდებულოა ვინმეს ან რაიმეს გატარება და სხვა ალტერნატივა არ არსებობს, ის ვალდებულია ითმინოს აღნიშნული ზემოქმედება. ე.ი. კანონით დგინდება ე.წ. თმენის ვალდებულება. კანონი აგრეთვე შესაბამისი კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას ანიჭებს მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს ერთჯერადი გადახდის ფორმით.

დასახელებულ სასამართლო გადაწყვეტილებაში მოსარჩელემ, ნავთობის მილსადენმა კომპანიამ, ვინაიდან ვერ მიაღწია შეთანხმებას მიწის ნაკვეთის შექმნის თაობაზე შეთავაზებული კომპენსაციის სანაცვლოდ, მან სასამართლოს მიმართა და მოითხოვა აუცილებელი გზის უფლების დადგენა ამ ნაკვეთზე. მაშასადამე, მხარეთა შეთანხმების არარსებობისას, ერთადერთი სამართლებრივი გზა, რის საფუძველზეც, მას კერძო საკუთრების მიწაზე, კერძოდ, მოპასუხეების ნაკვეთზე მილსადენის გაყვანის უფლება დაუდგინდებოდა, გახლავთ 180-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი.

სსკ-ის 180-ე მუხლიდან ჩანს, რომ მეზობელი ნაკვეთის დასახელებული მიზნებისათვის გამოყენება ობიექტური გარემოებით უნდა იყოს გამოწვეული და არა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის სპეციალური ზრახვებით. ობიექტური გარემოება მაშინაა, როცა მიწის ნაკვეთი მთლიანადაა იზოლირებული საჯარო გზებისგან ან მისი დიდი ნაწილია ამგვარ მდგომარეობაში. ან კიდევ საამისოდ ადრე არსებობდა ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი გზა, მაგრამ ამჟამად შეუძლებელია მისი ამ მიზნით გამოყენება.<sup>164</sup>

გაუგებარია, თუ რატომ მიანიჭა სააპელაციო სასამართლომ 2004 წლის გადაწყვეტილებით, სერვიტუტის უფლება ნავთობის მილსადენ კომპანიას როინ ახალკაცის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რის თაობაზეც არც ერთ მხარეს არ დაუყენებია მოთხოვნა თავიანთ სასარჩელო განცხადებაში.

<sup>164</sup> ზოიძე ბ., სანივთო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბ., 2003, 126.

აღსანიშნავია ის, რომ სერვიტუტის წარმოშობა ყოველთვის მხარეთა ნების საფუძველზე დგინდება ანუ იქ, სადაც მხარეთა ურთიერთგაცვლით ნებას, შეთანხმებას არ აქვს ადგილი - ისარგებლოს სხვისი ნაკვეთით გარკვეული ვადით, უფლება წარმოშობილად არ ჩაითვლება. აუცილებელი გზის დადგენა სერვიტუტის გზითაც შესაძლებელია. თუმცა აქ მხარეთა შეთანხმებას უნდა ჰქონდეს ადგილი. სერვიტუტის დადგენა აუცილებლობიდან არ გამომდინარეობს. ის ნებისმიერ შემთხვევაში შესაძლებელია წარმოიშვას. იქ, სადაც მხარეთა ნება გამორიცხულია, კანონი ერევა უხეშად და სწორედ კანონისმიერი უფლების დადგენის გზით, ხდება სამართლებრივი კონფლიქტის მოწესრიგება.

მაგალითად, უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „სერვიტუტისათვის, როგორც სანივთო გარიგებისათვის, აუცილებელია ნების ნამდვილობა, რაც გულისხმობს კონტრაქტისათვის ნების თავისუფალ გამოხატვას ამ გარიგების მარეგულირებელი ნორმების ფარგლებში. სანივთო გარიგებათა კანონის ნორმებით შეზღუდვა განასხვავებს სანივთო გარიგებას ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობისას წარმოშობილი გარიგებებისაგან, რა დროსაც კერძო სამართლის სუბიექტები უზრუნველყოფილი არიან სახელშეკრულებო თავისუფლებით. ვალდებულებითი და სანივთო გარიგებებს შორის ასეთი განსხვავების მიუხედავად, ორივე გარიგებისათვის დამახასიათებელია მხარეთა ნების გამოხატვის აუცილებლობა, რაც გამორიცხავს გარიგების დადების მოთხოვნის დაკმაყოფილებას სასამართლო წესით.“

165

იგივე არგუმენტაცია შეიძლება მოვიყვანოთ მაშინ, როდესაც კასატორი როინ ახალკაცი მიიჩნევს, რომ კომპანიის მიერ დაყენებული მოთხოვნა სამართლებრივი თვალსაზრისით არასწორია, რადგან იგი უნდა გამომდინარეობდეს არა აუცილებელი გზის, არამედ აღნაგობის უფლების მოთხოვნიდან. რა თქმა უნდა, აქ აღნაგობა არც უფლების შინაარსიდან გამომდინარეობს. აღნაგობის შინაარსი, მისი მიზნობრიობა სულ სხვა რამეშია. კერძოდ კი, მეაღნაგე ვალდებულია მოცემულ მიწის ნაკვეთზე ააშენოს შენობა-ნაგებობა და შესაბამისად ამ უფლების შეწყვეტის შემდგომ, მან უნდა გადაუხადოს მესაკუთრეს შენობის ღირებულების 2/3. მაშასადამე, აღნაგობის უფლება განსხვავებულ სამართლებრივ ურთიერთობას გვთავაზობს, ვიდრე ეს სერვიტუტის თუ აუცილებელი გზის შემთხვევაშია. თუმცა, მისი დადგენა გამორიცხულია არა მხოლოდ ამ მოტივით, არამედ მხარეთა ნების არარსებობის გამო.

საკასაციო სასამართლო სწორად უთითებს სსკ-ის 234-ე მუხლს. კერძოდ კი, „აღნაგობის წარმოშობისა და შექმნის მიმართ გამოიყენება უძრავი ნივთების შექმნის წესები. უძრავი ნივთის შექმნა კი უკავშირდება გარიგების დადებას, რაც გარიგების ნებელობიდან გამომდინარეობს. მოცემულ დავაში ერთი პირი უარს ამბობს მეორესთან ურთიერთობაზე, მეორეს კი წარმოუშვა ამ პირის ქონების გამოყენების აუცილებლობა. სამოქალაქო კანონმდებლობა ასეთ შემთხვევას უკავშირებს თმენის ვალდებულებას, რაც

---

<sup>165</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2005 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე N.ას-1108-1312-05.

აუცილებლობის შემთხვევაში სხვისი ქონების გამოყენების შესაძლებლობასთანაა დაკავშირებული.“

## II. აუცილებელი გზა, როგორც საკუთრების უფლების შეზღუდვის საფუძველი

საკუთრების უფლებას სუბსტანციურად მბოჭავი ხასიათი აქვს. მისი შეზღუდვა შესაძლებელია ნებისმიერ სამართლებრივ ურთიერთობაში თუ არსებობს ამისთვის საპატიო საფუძველი. მართალია, სსკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილი ამბობს, რომ „მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელმწიკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. “როგორც ხედავთ, კანონი აწესებს გარკვეულ წინაპირობებს, რომლის გამორიცხვის შემთხვევაში მხარეს საკუთარი ნივთის სრული სარგებლობის უფლება ეძლევა. მამასადამე, აღნიშნული ძალაუფლება არ უნდა გახდეს სხვისთვის ზიანის მიყენების საშუალება. იქ სადაც საკუთრების უფლების გამოყენებით, ისე რომ არ არის ამის აუცილებლობა, ირღვევა სხვისი უფლება, შეიძლება გახდეს მესაკუთრის უფლებების შეზღუდვის საფუძველი. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „უფლების ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება საკუთრებით ისეთი სარგებლობა, რომლითაც მხოლოდ სხვებს ადგებათ ზიანი ისე, რომ არ არის გამოკვეთილი მესაკუთრის ინტერესის უპირატესობა, და მისი მოქმედების აუცილებლობა გაუმართლებელია.“

ამ კონკრეტულ სასამართლო დავაში, საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენების ნიშნები არცერთ სასამართლოს არ დაუდგენია. შეთანხმების მიუღწევლობას ჰქონდა ადგილი, ანუ იყო იმის მცდელობა რომ დადებულიყო ნასყიდობის ხელშეკრულება, რაც წარუმატებლად დამთავრდა, შემდგომ ერთ-ერთი მხარე მოითხოვდა აღნაგობის უფლებას, სადაც მეორე მხარის ნება არ ფიგურირებდა. შესაბამისად, ერთადერთი გზა, რისი მეშვეობითაც მხარეს უფლება ეძლეოდა გაეყვანა აღნიშნულ ნაკვეთზე სპეციალური მიწები, ეს იყო კანონისმიერი უფლების დადგენა - 180-ე მუხლით დადგენილი შემთხვევა.

შესაძლებელია გაჩნდეს შეკითხვა: შეიძლებოდა თუ არა მესაკუთრეს ჩამორთმეოდა აღნიშნული მიწის ნაკვეთი სათანადო კომპენსაციის გაცემის სანაცვლოდ? აღნიშნული მოვლენა ხომ საერთაშორისო ხელშეკრულებით იყო დამტკიცებული და ეს ფაქტი, არამარტო კონკრეტული კომპანიის ინტერესებს, არამედ ქვეყნებს შორის, პოლიტიკური თუ ეკონომიკური თვალსაზრისით, ურთიერთობის გამყარების და ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის ერთგვარი გარანტი იყო. როგორც გადაწყვეტილებიდან ირკვევა, საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, კერძოდ, 4.1. მუხლის თანახმად, მათ აქვთ აბსოლუტური, შეუზღუდავი უფლება და პრივილეგია, განახორციელონ და აღასრულონ პროექტი. მათ მილსადენ კომპანიას აქვს საკუთრებაში მიწების, სავალდებულო გასხვისების, კერძო საკუთრების ფულადი კომპენსაციის სანაცვლოდ ჩამორთმევის, ექსპროპრიაციის და, ადა, აგრეთვე, გრეთვე, სხვა უფლებები, რაც აძლევს პროექტის მონაწილეებს საშუალებას, უზრუნველყოფონ, აწარმოონ და გადაუხადონ

შესაბამის პირებს სათანადო ანაზღაურება არასახელმწიფო მიწაზე უფლებების სანაცვლოდ. ამავე ხელშეკრულების შესაბამისად, საექსპორტო მილსადენის მონაწილენი უფლებამოსილნი არიან, დადონ გარიგებანი არასახელმწიფო მიწასთან დაკავშირებით, ამასთან, მათ გააჩნიათ მიწის ექსკლუზიური სარგებლობის, ფლობის და კონტროლის უფლება, შესვლისა და გამოსვლის უფლება, მიწაზე ან მიწის ქვეშ მშენებლობის უფლება.

მოსარჩელემ, თავისი მიზნების განსახორციელებლად გამოიყენა სსკ-ის 180-ე მუხლით დადგენილი საშუალება, რაც აგრეთვე კომპენსაციის გადახდის ვალდებულებასაც ითვალისწინებს სადავო მიწის ნაკვეთის მესაკუთრისთვის. თუმცა ვინაიდან სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულის თაობაზე არ იყო მოთხოვნა, სასამართლოს არ უმსჯელია.

## თამარ ზოიძე\*

კეთილსინდისიერი იპოთეკარის უფლებები. საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია.

საქმე №ას-957-900-2010\*\*

### ზაზა დოლიძე ლევან შანავას წინააღმდეგ

რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე. ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა (სამოქალაქო კოდექსის 312-ე I მუხლი).

იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვიისებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემდგომში იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტობა. (სამოქალაქო კოდექსის 312-ე II მუხლი)

### ფაქტები:

მოსარჩელე ზაზა დოლიძემ, 1998 წლის 17 ნოემბერს შეიძინა ქ. თბილისში, ... გამზირზე#20-ში მდებარე ბინა. 2006 წლის ივნისიდან აღნიშნულ ბინაში დროებით საცხოვრებლად მერაბ ბერიძე გადავიდა, რომელთანაც ქირავნობაზე იყვნენ შეთანხმებული. სხვადასხვა მიზეზის გამო, მოსარჩელემ ქირავნობის შეწყვეტა გადაწყვიტა, რის შესახებაც მერაბ ბერიძეს აცნობა. იგი ბინის დაცლას და ქირის გადახდას 2006 წლის 25 დეკემბრისათვის აპირებდა. დაახლოებით იმავე პერიოდში მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ ბინაში უცხო პირები იყვნენ მისული და მეზობლების წინაშე აცხადებდნენ, რომ ბინა მერაბ ბერიძის ვალების უზრუნველსაყოფად იყო დატვირთული. ამ ფაქტის შესამოწმებლად მან საჯარო რეესტრს მიმართა და გაარკვია, რომ ბინა მერაბ ბერიძის სახელზე იყო რეგისტრირებული, ხოლო რეგისტრაციის საფუძველად მასა და მერაბ ბერიძეს შორის დადებული ხელშეკრულება იყო მითითებული.

მოსარჩელის მტკიცებით, მას მოპასუხესთან ამგვარი ხელშეკრულება არ დაუდია, ამასთან, ხელშეკრულებაში მითითებულმა ნოტარიუსმა მის მიმართვაზე აცნობა, რომ აღნიშნული ხელშეკრულება არ დაუმოწმებია და ამ ნომრით სხვა სანოტარო მოქმედება იყო შესრულებული.

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქტორი.

\*\* საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება.

2007 წლის 8 იანვარს ზაზა დოლიძემ თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელის აღმვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადებით მიმართა და მომავალი მოპასუხის, მ. ბ-ძის სახელზე რეგისტრირებულ, ქ. თბილისში, ... გამზირზე #20-ში, მდებარე #30 ბინაზე ყადაღის დადება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 16 იანვრის განჩინებით ზაზა დოლიძის განცხადება სარჩელის წინასწარი უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა, მერაბ ბერიძის სახელზე რეგისტრირებულ ქ. თბილისში, ... გამზირზე #20-ში, მდებარე #30 ბინას ყადაღა დაედო.

ზემოთხსენებული ფაქტობრივი გარემოებების გამო, 2007 წლის 22 იანვარს ზაზა დოლიძემ თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა, მოპასუხეებად მერაბ ბერიძე, თამარ ბახტაძე, რომან ჩაჩუა. მამუკა ნემსაძე და ლევან შანავა დაასახელა და აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მოითხოვა:

1. 2005 წლის 29 ნოემბრის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა;

2. საჯარო რეესტრში მერაბ ბერიძის სასარგებლოდ არსებული ჩანაწერის ბათილად ცნობა;

3. ქ. თბილისში, ... გამზირზე #20-ში მდებარე უძრავი ქონების ზაზა დოლიძისათვის დაბრუნება;

4. 2006 წლის 16 აგვისტოს თამარ ბახტაძეს, რომან ჩაჩუას, მამუკა ნემსაძესა, ლევან შანავასა და მერაბ ბერიძეს შორის გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით ზაზა დოლიძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 2005 წლის 29 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი და უძრავი ქონება ზაზა დოლიძეს დაუბრუნდა საკუთრებაში. სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა; მამუკა ნემსაძის შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 15 თებერვლის განაჩენით სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების შედეგად მამუკა ნემსაძის სასარგებლოდ მერაბ ბერიძისათვის დაკისრებული 4400 აშშ დოლარის ამოღების მიზნით სარეალიზაციოდ მიექცა იპოთეკით დატვირთული თბილისში, ... გამზირზე 20-ში მდებარე 30 ბინა, დანარჩენ ნაწილში შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ზაზა დოლიძემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა და მისი შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების, ასევე, 2006 წლის 16, 29 აგვისტოს ხელშეკრულებების ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებით ზაზა დოლიძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ზაზა დოლიძის სარჩელის 2006 წლის 16, 29 აგვისტოს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების იპოთეკის ნაწილში ბათილად ცნობაზე უარის თქმის, მამუკა ნემსაძის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებისა და ზაზა დოლიძისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის – 120

ლარის დაკისრების ნაწილში გაუქმდა; ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ზაზა დოლიძის სარჩელი, 2006 წლის 16, 29 აგვისტოს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების იპოთეკის ნაწილში ბათილად ცნობის შესახებ, დაკმაყოფილდა; 2006 წლის 16 აგვისტოს მერაბ ბერიძეს და თამარ ბახტაძეს, რომან ჩაჩუას, მამუკა ნემსაძეს შორის, ასევე 2006 წლის 29 აგვისტოს მერაბ ბერიძეს და ლევან შანავას შორის დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება სესხის უზრუნველსაყოფად ქ. თბილისში ... გამზირზე #20-ში მდებარე 30 ბინის დატვირთვის ნაწილში ბათილად იქნა ცნობილი; მამუკა ნემსაძის შეგებებული სარჩელი იპოთეკით დატვირთული ზემომითითებული უძრავი ქონების სარეალიზაციოდ მიქცევის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მამუკა ნემსაძემ საკასაციო წესით გაასაჩივრა და მისი გაუქმება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება მერაბ ბერიძესა და ლევან შანავას შორის 2006 წლის 29 აგვისტოს გაფორმებულ იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში და შესაბამისად ამ ნაწილში მიღებული ახალი გადაწყვეტილებით ზაზა დოლიძის სარჩელი არ დაკმაყოფილა.

*მოსარჩელის არგუმენტაციით*, გაუგებარია, როგორ მოხვდა მერაბ ბერიძის ხელში 1998 წლის 17 ნოემბერს გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, ან 2005 წლის 28 ოქტომბერს გაცემული მიწის სარეგისტრაციო განაცხადის რეგისტრაციის ნომერი და საჯარო რეესტრის მიერ ზაზა დოლიძის სახელზე გაცემული ცნობა ყადაღის არ არსებობის შესახებ. ზაზა დოლიძის ჩვენებით, აღნიშნული დოკუმენტები გაყალბებული არ არის, ასევე ემთხვევა მისი პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ნომრები.

*მოპასუხის არგუმენტაციით*, ბინის იპოთეკით დატვირთვისას იგი მერაბ ბერიძის სახელზე იყო რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერების მიმართ კი სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფცია მოქმედებს. აქედან გამომდინარე, იგი წარმოადგენს კეთილსინდისიერ შემძენს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიაკუთვნა საკუთრება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას, რადგან საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, იგი შეზღუდვადი უფლებაა.

## **გადაწყვეტილება**

სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 15 თებერვლის განჩინებით დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები პრეიუდიციური ძალის მქონედ მიიჩნია:

1. მერაბ ბერიძემ 2006 წლის ივნისში ზაზა დოლიძისგან თბილისში, ... გამზირზე #20-ში მდებარე #30 ბინა იქირავა. იგი ბინის მეპატრონეს 2006 წლის დეკემბრამდე ყოველთვიურად 270 აშშ დოლარს უხდიდა;

2. ამავე პერიოდში მერაბ ბერიძემ გამომიებისათვის დაუდგენელ ვითარებაში დაამზადა 2005 წლის 29 ნოემბრით დათარიღებული უძრავი ქონების ნასყიდობის

ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, მან თითქოსდა შეიძინა ზემოთდასახელებული საცხოვრებელი ბინა;

3. აღნიშნული ყალბი ხელშეკრულების გამოყენებით მერაბ ბერიძემ საჯარო რეესტრის სამსახურში 2006 წლის 5 ივნისს ბინა თავის სახელზე დაარეგისტრირა;

4. ამის შემდეგ მერაბ ბერიძე უკავშირდებოდა მოქალაქეებს და მოტყუებით აფორმებდა მათთან სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებებს, რის შემდეგაც მართლსაწინააღმდეგოდ, თაღლითურად ეუფლებოდა მათ კუთვნილ თანხებს, კერძოდ, 2006 წლის 16 აგვისტოს მერაბ ბერიძე დაეუფლა თამარ ბახტაძის 3300 აშშ დოლარს, რომან ჩაჩუას 6600 აშშ დოლარს, მამუკა ნემსაძის 4400 აშშ დოლარს, ხოლო იმავე წლის 20 აგვისტოს – ლევან შანავას კუთვნილ 18 700 აშშ დოლარს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზაზა დოლიძეს არ გამოუვლენია ბინის გასხვისების ნება, რის გამოც ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი, გარდა ამისა, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ 2005 წლის 29 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი, ხოლო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება ძალაში დარჩა, სასამართლომ აღნიშნა, რომ იპოთეკით დატვირთული იყო ზაზა დოლიძის ქონება, რომელიც სესხის ხელშეკრულების მხარეს არ წარმოადგენდა, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მესაკუთრის ნების გამოვლენის გარეშე დადებული იპოთეკის ხელშეკრულების ნამდვილად აღიარება ეწინააღმდეგებოდა საკუთრების აბსოლუტურ ბუნებას.

**საკასაციო სასამართლო**, საკასაციო საჩივრების საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები.

საკასაციო პალატა იზიარებს იმავე საქმეზე მამუკა ნემსაძის საკასაციო საჩივართან დაკავშირებით 2010 წლის 24 მაისს მიღებულ გადაწყვეტილებაში მოყვანილ დასაბუთებას და განმეორებით აღნიშნავს:

სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტობა.

როგორც ვხედავთ, ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე, პირის კეთილსინდისიერ შემძენად მიჩნევისათვის აუცილებელია სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორთა ერთობლიობა. ობიექტური ფაქტორები მოიცავს შემდეგი გარემოებების კუმულაციას:

1. საჯარო რეესტრში უძრავი ქონების მესაკუთრედ უფლების გამსხვისებელი უნდა იყოს დარეგისტრირებული;
2. რეესტრის ჩანაწერების მიმართ შეტანილი არ უნდა იყოს საჩივარი.

რაც შეეხება სუბიექტურ ფაქტორს, აღნიშნული გულისხმობს შემძენის სუბიექტურ დამოკიდებულებას ნამდვილი მესაკუთრის ვინაობისადმი, ანუ, გარიგების დადების მომენტისათვის, შემძენისათვის უცნობი უნდა იყოს რეესტრის ჩანაწერების უზუსტობის თაობაზე.

განსახილველ შემთხვევაში, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადებისას, სადავო უძრავი ქონება მერაბ ბერიძის სახელზე იყო რეგისტრირებული, რეგისტრაციის საფუძველად მითითებული იყო მასსა და ზაზა დოლიძეს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც, თავის მხრივ, სანოტარო წესით იყო დამოწმებული. იმის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, რომ ლევან შანავასთვის ცნობილი იყო ხელშეკრულების სიყალბისა და ნამდვილი მესაკუთრის ვინაობის შესახებ, სასამართლოში წარდგენილი არ ყოფილა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორი კეთილსინდისიერი შემძენია და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ არამართებულია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა აღნიშნული კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

იმავე კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძველი.

ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში არასწორი გადაწყვეტილების მიღება ფაქტობრივი გარემოებების მცდარი სამართლებრივი შეფასებითაა განპირობებული და არ არსებობს მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევის აუცილებლობა, საკასაციო პალატა უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება მერაბ ბერიძესა და ლევან შანავას შორის 2006 წლის 29 აგვისტოს გაფორმებულ იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში მიღებული ახალი გადაწყვეტილებით ზაზა დოლიძის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

## ანალიზი

სამართლებრივი პრობლემის სრულყოფილი აღქმისთვის აუცილებელია სააპელაციო და საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი ანალიზის ურთიერთშედარება, სადაც შეიმჩნევა ერთმანეთის გამომრიცხავი სამართლებრივი დასკვნები. მნიშვნელოვანია, აღნიშნული პრობლემები თეზისების სახით ჩამოყალიბდეს და მსჯელობა სწორედ ამ მეთოდის გამოყენებით განხორციელდეს: საჯარო რეესტრის მონაცემთა სისწორის პრეზუმფცია (I); უფლების კეთილსინდისიერი შექმნა (II); კეთილსინდისიერი იპოთეკარის უფლებები (III); კეთილსინდისიერი შექმნის გამორიცხვა (IV); კეთილსინდისიერი შექმნის კრიტიკა (V); კეთილსინდისიერი შექმნის

## ნეგატიური მოქმედება (VI); კეთილსინდისიერი შეძენის საბოლოო (VII); დასკვნა (VIII);

### I. საჯარო რეესტრის მონაცემთა სისწორის პრეზუმფცია

უძრავი ქონების კეთილსინდისიერ შეძენას საფუძვლად უდევს რეესტრის მონაცემთა სისწორის პრეზუმფცია, ანუ უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულია: რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა.“ ეს კანონმდებლო ნორმა ამოსავალი ნორმაა ქონებაზე საკუთრების შეძენის საადგილმამულო სისტემებისათვის. მასზე საგანგებოდაა ხაზგასმული გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 891-ე პარაგრაფში.<sup>1</sup> ფორმულირება ასეთია: „როცა უფლება რეესტრირებულია საადგილმამულო წიგნში ამა თუ იმ პირის სასარგებლოდ, ივარაუდება, რომ ეს უფლება მას ეკუთვნის. თუკი საადგილმამულო წიგნში რეესტრირებული უფლება შეწყვეტილია, ივარაუდება, რომ ეს უფლება არ არსებობს.“

საადგილმამულო წიგნში საჯარო ნდობის შესახებ ასევე საუბარია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 892-ე პარაგრაფის პირველ აბზაცში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის დებულება ასახავს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 891-ე მუხლის შინაარსს, მთლიანი მუხლი კი მოიცავს 892-ე პარაგრაფის დიდ ნაწილს.

რეესტრის მონაცემთა სისწორის პრეზუმფცია განპირობებულია სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებით. საჯარო რეესტრი წარმოადგენს ბრუნვის მონაწილეთა ურთიერთნდობის სამართლებრივ დაწესებულებას. ერთ-ერთი მხარე, გამსხვისებელი, იქცევა არამართლზომიერად, როცა რეესტრის შეცდომაში შეყვანით აღწევს ისეთი უფლების რეესტრაციას, რომელიც მას არ ეკუთვნის. სანამ არ გარკვეულა არასწორი რეესტრაცია, მანამ ასეთი რეესტრაცია ითვლება სწორად. არასწორი რეესტრაციის გამოსწორება შეიძლება, ვიდრე არ მომხდარა საკუთრების სხვა პირზე გადასვლა. უზუსტო ჩანაწერი უნდა გასწორდეს და ეს 312-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს. მართალია, ამჟამად ძალადაკარგულია სამოქალაქო კოდექსის 313-ე მუხლი, რომელიც ეხებოდა უზუსტო ჩანაწერის შესწორებაზე თანხმობის მოთხოვნას, მაგრამ „საჯარო რეესტრის შესახებ“<sup>2</sup> კანონი შეიცავს სათანადო ნორმებს უსწორობის აღმოსაფხვრელად.

საჯარო რეესტრის სისწორის პრეზუმფცია წარმოადგენს კეთილსინდისიერი სამოქალაქო ბრუნვისადმი წაყენებული მოთხოვნების გამოხატულებას. უძრავი ნივთების ბრუნვის შემთხვევაში იგი სპეციალურად წესრიგდება. ასეთი პრეზუმფცია მოძრავი ნივთების შემთხვევაშიც გვაქვს. აქ მოქმედებს რომის სამართლიდან განვითარებული კლასიკური დებულება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე, ე.ი. ივარაუდება, რომ ის, ვინც ყიდის მოძრავ ნივთს მისი მესაკუთრეა, ვიდრე არ დამტკიცდება საწინააღმდეგო.

<sup>1</sup> Pfeiffer T., Juris Texte Zivil- und Zivilprozesrecht, Juris/Luchterhand, 2005, 225.

<sup>2</sup> იხ. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2008.

საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის ვარაუდი სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვარაუდია, ვინაიდან სახელმწიფოა პასუხისმგებელი რეესტრის წარმოებაზე და სანივთო უფლებების რეგისტრაციაზე. ამდენად, ვინც უფლებამოსილია მოახდინოს უძრავ ნივთებზე უფლებების რეგისტრაცია, ისაა პასუხისმგებელი მათ სისწორეზე. ეს არ გამოირიცხავს ქონებრივი ურთიერთობის სუბიექტის პასუხისმგებლობას.

ამდენად, შემძენის უფლებრივი მდგომარეობა პირდაპირ კავშირშია რეესტრის უტყუარობისა და სისრულის ობიექტურ გარემოებასთან. საჯარო რეესტრის სისწორის ვარაუდი გულისხმობს იმას, რომ რეგისტრირებული უფლება არსებობს და იგი ეკუთვნის რეგისტრირებულ უფლებამოსილ პირს.<sup>3</sup>

რეესტრის სისწორის ვარაუდი ეხება უშუალოდ რეგისტრირებულ ან გაუქმებულ უფლებებს და არა ფაქტებს, რომლებიც მათი წარმოშობისა და გაუქმების გარემოებებს ქმნიან. უფლებამოსილ პირთა ქმედუნარიანობა ან უფლებაუნარიანობა არ წარმოადგენს ვარაუდის საფუძველს, ვინაიდან ისინი არაა რეგისტრაციაუნარიანი.<sup>4</sup>

რეესტრის სისწორის ვარაუდზე დაყრდნობით პირველ რიგში აღიარებულ უნდა იქნას რეგისტრირებული უფლება, მაგრამ ასევე ყველა სხვა უფლებაც, რომლებიც არსებულ (მოქმედ) ან გაუქმებულ უფლებასთანაა დაკავშირებული. ეს ვარაუდი მოქმედებს რეგისტრირებულ დატვირთვებთან მიმართებაშიც.<sup>5</sup>

ამდენად, სისწორის ვარაუდი ეხება რეგისტრირებულ უფლებას სრულად. ამიტომაც ამახვილებს კანონმდებელი ყურადღებას სისრულის პრეზუმფციაზე. ყოველივე ეს საჯარო რეესტრს წარმოაჩენს, როგორც უფლებათა უტყუარობისა და სისრულის გარანტს. უძრავი ქონების შეძენისას ეს გარემოება მთავარია ახალ მესაკუთრეზე საკუთრების გადასვლისათვის.

## II. უფლების კეთილსინდისიერი შეძენა

სამოქალაქო კოდექსი მრავალ ტერმინს იყენებს კეთილსინდისიერების აღსანიშნავად.<sup>6</sup> მაგალითად, „კეთილსინდისიერი შეძენი“, „კეთილსინდისიერი მფლობელი“, კეთილსინდისიერების ცნება ორივე შემთხვევაში ერთნაირია. კეთილსინდისიერია ის, ვინც არ იცის და არც შეიძლება იცოდეს სამართლებრივი ფაქტების ნამდვილი მდგომარეობის შესახებ. სუბიექტმა არ იცის, რომ არამართლზომიერად ფლობს ან იძენს ქონებას. კეთილსინდისიერი შეძენა ემყარება ამ ვითარების არცოდნის პრეზუმფციას. ივარაუდება, რომ შეძენმა არ იცის შეძენის

<sup>3</sup> Prütting H., Sachenrecht, 33. Aufl., C.H.Beck, München, 2008, 77, Rn.210; *ქეჭელაშვილი ზ.*, სანივთო სამართალი, ბონა კაუზა, თბ., 2008, 221.

<sup>4</sup> Prütting H., Sachenrecht, 33.Aufl., C.H.Beck, München, 2008, 78, Rn.211.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> იხ. *ვაშაკიძე გ.*, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, *ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“*, 10/2007-1, 14-58; *კერესელიძე დ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, *ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“*, 7/2004-1, 34; *ჭანტურია ლ.*, *ახვლედიანი ზ.*, *ზოიძე ბ.*, *ჯორბენაძე ს. (რედ.)*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (*ზოიძე ბ.*), სამართალი, თბ., 1999, 55-60.

სამართლებრივი ნაკლის შესახებ. იგი ემყარება სამოქალაქო ბრუნვის კეთილსინდისიერების ვარაუდს. ე.ი. კეთილსინდისიერება ცვლის სინამდვილეს. ის, რაც არაა ნამდვილი, ცხადდება ნამდვილად, ისეთად, როგორც ამას აღიქვამდა ბრუნვის მონაწილე. გამოთქმა - არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა, მხედველობაშია ცოდნა, რასაც ბრუნვისათვის აუცილებელი ყურადღებანიანობა მოითხოვს.

უძრავი ქონების კეთილსინდისიერ შეძენას არეგულირებს სამოქალაქო კოდექსის რამდენიმე მუხლი. კერძოდ ესაა 185-ე მუხლი, რომელშიც ნათქვამია: „შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი იყო მესაკუთრე.“ 312-ე მუხლშიც ანალოგიური აზრია მოცემული, იმ განსხვავებით, რომ იგი არ შემოიფარგლება მარტოდენ საკუთრების უფლებით. ამ მუხლის მეორე ნაწილი ადგენს: „იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა.“ ამ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება იპოთეკა.

რეესტრის ჩანაწერის სისწორის პრეზუმფცია კეთილსინდისიერი შემძენის სასარგებლოდაა დადგენილი. ივარაუდება, რომ შემძენმა არ იცის რეგისტრირებული პირის უფლებამოსილების ნაკლი. შემძენს არ შეიძლება მოეთხოვოს იმაზე მეტი იცოდეს პარტნიორის უფლებამოსილების შესახებ, რაც აღემატება ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის მოთხოვნებს. რეესტრისადმი საჯარო სანდოობას წინ უძღვის პარტნიორის კეთილსინდისიერებისადმი სანდოობა. პარტნიორისადმი სანდოობა კი განაპირობებს საჯარო სანდოობას და შედეგად კეთილსინდისიერ შეძენას.

კეთილსინდისიერი შემძენის დაცვა გერმანული სამართლის თანახმად, წარმოადგენს რომის სამართალში ცნობილი დებულებისაგან გადახვევას, რომელიც გვეუბნება: არავის არ შეუძლია სხვას გადასცეს ის უფლებები, რომელიც მას არ გააჩნია.<sup>7</sup>

სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მიხედვით, საჯარო სანდოობა ეხება გარიგების გზით შეძენილს. სწორედ ამ შემთხვევაში ხდება კეთილსინდისიერების დაცვა. გერმანულ პრაქტიკაში ასეთ გარიგებებს სამოქალაქო კოდექსის 892-ე პარაგრაფის განმარტებისას უწოდებენ „ბრუნვით გარიგებებს“ (Verkehrsgeschäfte). ეს მაშინაა, როცა ქონება გამსხვისებლის ხელიდან გადადის სხვადასხვა პირების ხელში. არავითარი ბრუნვითი გარიგება არ არის, როცა ხდება ქონების გადანაწილება პირებს შორის,<sup>8</sup> როცა გამსხვისებლისა და შემძენის მხარეზე მრავალი პირია და ისინი სამართლებრივად და ეკონომიკურად ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებულები, რომ ყველა შემძენი იმავდროულად გამსხვისებელიცაა.<sup>9</sup> გარიგება უნდა იყოს განკარგვითი, რასაც შედეგად მოჰყვება მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადასვლა. არავითარი განკარგვითი

<sup>7</sup> Жапинский А., Рёрихт А., В Ведение в немецкое право, Москва (Спартак), 2001, 423-424.

<sup>8</sup> об. Münchener Kommentar zum BGB (Wacke), 8 Aufl., C.H. Beck, München, &892, 301.

<sup>9</sup> об. Tiedke K., Gutgläubiger Erwerb im Bürgerlichen Recht, im Handels- und Wertpapierrecht sowie in der Zwangsvollstreckung, Walter de Gruyter, Berlin, New York, 1985, 89; Jauernig O., Kommentar zum BGB, 8 Aufl., C.H. Beck, München, 1997, 980, Rn. 10.

შეძენა არ გვაქვს მარტოდენ უფლებამოსილების გადასვლით. საჭიროა ადგილი ჰქონდეს „უფლების განკარგვას.“ განკარგვითია გარიგება, რომელიც ცვლის სამართლებრივ მდგომარეობას გადაცემით, დატვირთვით, შინაარსის ცვლილებით ან უფლების გაუქმებით. არავითარი განკარგვითი გარიგება არ გვაქვს ქონების კანონის ძალით შეძენისას.<sup>10</sup> განკარგვითი გარიგებისას მნიშვნელობა არ აქვს განკარგვა სასყიდლიანია თუ უსასყიდლო.<sup>11</sup>

### III. კეთილსინდისიერი იპოთეკარის უფლებები

სუბიექტის კეთილსინდისიერი შეფასების საკითხი ყოველთვის არამართლზომიერი მფლობელობის დროს წამოიჭრება. თუკი ნივთის შეძენა ან იპოთეკით დატვირთვა, კანონის ყველა წესის დაცვით მოხდება, რა თქმა უნდა, ულოგიკოა მის სუბიექტურ შეფასებაზე საუბარი. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგადად კეთილსინდისიერება სამოქალაქო სამართლის ფუძემდებლური და საყოველთაო პრინციპია. მისი შეფასება და გათვალისწინება ხდება სამოქალაქო ბრუნვის ნებისმიერ ეტაპზე. სუბიექტის კეთილსინდისიერების შეფასება, კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შედეგად დგინდება. სუბიექტური დამოკიდებულებით წყდება პირი კეთილსინდისიერ შემძენად ჩაითვალოს თუ არაკეთილსინდისიერ შემძენად. ეს ეხება, როგორც მოძრავი ნივთების, ისე უძრავის შეძენას. შემძენში არ იგულისხმება მარტო ნივთის საკუთრებაში შემძენი. იგი გულისხმობს ასევე სხვა უფლების შეძენასაც, რაც სპეციალურადაა აღნიშნული 312-ე მუხლში. კეთილსინდისიერი შეძენის მიმართ კანონმდებელი განსხვავებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს მოძრავი და უძრავი ნივთების მიმართ. მოძრავი ნივთის მიმართ კეთილსინდისიერების შეფასების სტანდარტი უფრო მაღალია, ვიდრე უძრავი ნივთის შეძენისას. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლიდან გამომდინარე, მოძრავი ნივთის შემძენი კეთილსინდისიერად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ მან არ იცოდა ან არ შეეძლო სცოდნოდა, რომ გამსხვივებელი არ იყო ნივთის მესაკუთრე. ამდენად, ამ შემთხვევაში არცოდნა არაკეთილსინდისიერების ტოლფასია. თუმცა, ეს არცოდნა მხოლოდ მაშინ უნდა ჩაითვალოს უპატიებელ გარემოებად, თუკი იგი უხეშ გაუფრთხილებლობასთანაა დაკავშირებული. რაც შეეხება უძრავ ქონებას, 185-ე და 312-ე მუხლები პირის არაკეთილსინდისიერების საფუძვლად მიიჩნევენ არა ცოდნის პრეზუმფციას, არამედ საკუთრივ -ცოდნას. კერძოდ, შემძენი არაკეთილსინდისიერად ჩაითვლება თუკი, მან იცოდა, რომ გამსხვივებელი არ იყო მესაკუთრე. ამდენად, თუკი მან უხეშ გაუფრთხილებლობის გამო არ იცოდა, ის მაინც კეთილსინდისიერ შემძენად ჩაითვლება. იბადება კითხვა, რა უნდა განაპირობებდეს შემძენის ასეთ „შელავათიან“ მდგომარეობაში ჩაყენებას. უნდა ვივარაუდოთ, რომ „საჯარო რეესტრის მონაცემების სანდოობა იმდენად სარწმუნო გარემოებაა, რომ იგი აბათილებს შემძენის უხეშ გაუფრთხილებლობას და მას გამორიცხავს უარყოფით სამართლებრივი შეფასების სივრციდან.

<sup>10</sup> ob. Münchener Kommentar zum BGB (Wacke), 8 Aufl., C.H. Beck, München, 892, 301, Rn. 31., 303, Rn. 36.

<sup>11</sup> Prütting H., Sachenrecht, 33. Aufl., C.H. Beck, München, 2008, 81, Rn.221.

ამრიგად, თუკი შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი პირი არ იყო ამ ნივთის ნამდვილი მესაკუთრე ან გასხვისებაზე უფლებამოსილების მქონე პირი, მაშინ ის ჩაითვლება არაკეთილსინდისიერ შემძენად. უძრავი ნივთების შემთხვევაში რეესტრის ჩანაწერი ამყარებს შემძენის პოზიციას.

მაშასადამე, სამართალი სასწორზე დებს სამართლებრივი ურთიერთობის ორი სუბიექტის უფლებას, მესაკუთრის და კეთილსინდისიერი შემძენის. ანუ როგორც ვხედავთ, „კონფლიქტი ნამდვილი მესაკუთრის ინტერესებსა და სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოების ინტერესებს შორის წამოიჭრა. მას კი სამოქალაქო კოდექსი სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და უსაფრთხოების სასარგებლოდ წყვეტს და რეესტრის ჩანაწერს ანიჭებს უპირატესობას 185-ე, 297-ე და 312-ე მუხლების მიხედვით.“<sup>12</sup>

სააპელაციო სასამართლო აღნიშნულ დავაში მესაკუთრის ინტერესებისკენ გადაიხარა და მოტივად საკუთრების აბსოლუტური ბუნება დაუპირისპირა და იპოთეკის აქსესორულ ხასიათზე ხაზგასმით, ბათილად გამოაცხადა იგი. ის, რომ საკუთრების უფლების წარმოშობისათვის და ზოგადად საკუთრების უფლების ნებისმიერი საწინააღმდეგო უფლებით დატვირთვის შემთხვევაში აუცილებელია ნებელობითი მომენტი მესაკუთრის მხრიდან, ამ მხრივ სააპელაციო სასამართლოს პოზიცია გასაზიარებელია, თუმცა ეს ხდება მაშინ, როდესაც საუბარია მოძრავ ნივთებზე. როგორც წესი, მოძრავი ნივთების მესაკუთრის ნების გარეშე გასხვისების შემთხვევაში, მას ყოველთვის უბრუნდება ნივთი, შემძენის კეთილსინდისიერების მიუხედავად (სსკ-ის 187-ე მუხლის მეორე ნაწილი). როგორც ითქვა, როდესაც სახეზეა უძრავი ნივთი, აქ სასამართლო საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი იპოთეკარის ინტერესებს უჭერს მხარს.

აღსანიშნავია, რომ თუკი ხდება სამართლებრივად უფრო მაღალი ღირებულების უფლების მატარებელი პირის ინტერესების დაცვა, მაგალითად საკუთრების უფლების კეთილსინდისიერი შემძენის, რატომ არ უნდა მოხდეს მასზე უფრო დაბალი რანგის უფლების მატარებელი სუბიექტის, კერძოდ, კეთილსინდისიერი იპოთეკარის ინტერესების ანალოგიური მოტივაციით დაცვა? ანუ მარტივად რომ ვთქვათ, რაიმე საფუძვლით მეტი უფლების შეძენა თუ შეიძლება, რატომ არ შეიძლება ამავე საფუძვლით ნაკლები უფლების შეძენა? (მაშასადამე, ე.წ. „მით უფრო“ დასკვნიდან გამომდინარე).

საკასაციო სასამართლოს პოზიცია ამ მხრივ დამკვიდრებული პრეცედენტის გათვალისწინებით, ბუნებრივია. როგორც საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, საქმეში არსებული გარემოებები არ იწვევდა პირის სუბიექტურ კეთილსინდისიერებაში ეჭვის შეპარვის საფუძველს, ხოლო ობიექტური გარემოებების კუმულატიურად დადგომას, ადგილი ჰქონდა. კერძოდ კი, 1. საჯარო რეესტრში უძრავი ქონების მესაკუთრედ უფლების გამსხვისებელი უნდა იყოს რეგისტრირებული; 2. რეესტრის ჩანაწერების მიმართ შეტანილი არ უნდა იყოს საჩივარი.

აღბათ, უკეთესი იქნებოდა საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების გარდა, გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს უძრავ ნივთზე საკუთრების შეძენის წესს.

---

<sup>12</sup> *ჭანტურია ლ.*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომც. „სამართალი“, 2012, თბ., 66.

#### IV. კეთილსინდისიერი შეძენის გამორიცხვა

კეთილსინდისიერება სუბიექტისადმი წაყენებული მოთხოვნაა და იგი განსხვავდება მართლზომიერებისგან, რაც ნორმატიული აქტებისადმი წაყენებული მოთხოვნაა. როცა პირი იქცევა არაკეთილსინდისიერად, საკუთრების უფლების შეძენა გამორიცხულია. აქ შეფასებაც განსხვავებული კითხვების დასმით ხდება, კერძოდ: შემძენმა იცის რეესტრის უსწორობის შესახებ. უსწორობის ცოდნა გულისხმობს რეესტრში რეგისტრირებული პირის უფლებრივი ნაკლის ცოდნას. მისი შეფასებისას გასათვალისწინებელია შემძენისა და რეესტრში რეგისტრირებული პირის ურთიერთობანი. თავის მხრივ, ეს ურთიერთობაც შეფასებაუნარიანია გარკვეულ ზღვრამდე. შემძენის ცოდნა არ უნდა გასცდეს იმ ფარგლებს, სადაც იწყება ადამიანის პირადი და საოჯახო ცხოვრება. საკმარისია დასაშვებ ზღვარს გადასცდეს ეს ცოდნა, რომ მოხდება ადამიანის პირად თავისუფლებაში შეჭრა. ამიტომაც, შეფასებისას სასამართლოებმა აუცილებლად უნდა გაავლონ გამყოფი ხაზი ცოდნისა და არცოდნის ვალდებულებათა შორის. ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან უნდა გამოჩნდეს აღნიშნული ცოდნა და ასე უნდა გაირკვეს ფაქტების წრე, რომელიც იცის შემძენმა.

გერმანულ ლიტერატურაში საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ რეესტრის მონაცემთა უსწორობის შეფასებისას არაა აუცილებელი ყველა ფაქტები იცოდეს ადამიანმა, რასაც უსწორობა უკავშირდება.<sup>13</sup>

კეთილსინდისიერი შეძენა გამორიცხულია, როცა „ჩანაწერის მიმართ შეტანილია საჩივარი“<sup>14</sup> (მ.312, II). ამ საჩივრის ქვეშ იგულისხმება როგორც თავად რეესტრში, ისე სასამართლოში შეტანილი საჩივარი. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 892-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის პირველ წინადადებაშიც ანალოგიურ საჩივარზეა საუბარი. „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ კანონის 23-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულია: „სარეგისტრაციო წარმოება ჩერდება თუ: ა. გასაჩივრდა უძრავ ნივთზე უფლების დამადასტურებელი საბუთი (საბუთები) და ეს გასაჩივრება აჩერებს დამადასტურებელი საბუთების მოქმედებას და აღნიშნული შეჩერების შესახებ შესაბამისი ორგანოს მიერ ოფიციალურად ეცნობება სარეგისტრაციო სამსახურს; ბ. არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული აქტი, რომელიც ითვალისწინებს რეგისტრაციის პროცესის შეჩერებას. საჩივრის შეტანა უნდა მოხდეს მანამ, სანამ განხორციელდება უძრავ ნივთზე საკუთრების შეძენის რეგისტრაცია.“

ამდენად, გასაჩივრებული უფლება ვერ გახდება შემძენის საკუთრება, თუნდაც მან არ იცოდეს რეესტრის უზუსტობის შესახებ. შემძენის კეთილსინდისიერება შეფასების ობიექტი ხდება მხოლოდ შეძენის შემდეგ. ნამდვილია მხოლოდ უძრავ ქონებაზე უფლებამოსილ პირთა საჩივარი. ასეთი უფლება აქვს ასევე ყველას, ვინც დაინტერესებულია განკარგვის ბათილობით. ეს ინტერესი უნდა იყოს სამართლებრივად ანგარიშგასაწევი და ვარგისი. როცა საჩივარი შეტანილია არა უფლების ნამდვილი

<sup>13</sup> Prütting H., Sachenrecht, 33.Aufl., C.H.Beck, München, 2008, 79, Rn. 215.

<sup>14</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, საკანონმდებლო დამატება, 1997, N31.

შემდგენის, არამედ არაუფლებამოსილი მესამე პირის მიერ, ეს ვერ გახდება ბარიერი კეთილსინდისიერი შემდგენისათვის.<sup>15</sup>

## V. კეთილსინდისიერი შემდგენის კრიტიკა

სამართლის მეცნიერებაში გვხვდება უძრავი ქონების კეთილსინდისიერი შემდგენის საწინააღმდეგო მოსაზრებანიც, ძირითადად პოსტსაბჭოურ ლიტერატურაში. არის აზრი, რომ კეთილსინდისიერი შემდგენის აღიარებით იშლება ზღვარი გარიგების ნამდვილობასა და ბათილობას შორის.<sup>16</sup> ეს პოზიცია არ შეიძლება ჩაითვალოს მართებულად. იგი წინააღმდეგობაში მოდის გაბატონებულ შეხედულებებთან. გასათვალისწინებელია ის, რომ უძრავ ქონებაზე კეთილსინდისიერი შემდგენა არ შემოსაზღვრება მხოლოდ გარიგების დადებით, იგი დაკავშირებულია მთელ რიგ ფაქტობრივ გარემოებებთან, რომლებიც განაპირობებენ კეთილსინდისიერი შემდგენის ნამდვილობას.<sup>17</sup> მართალია გარიგებით საკუთრების დათმობა-გადაცემა ხდება, მაგრამ ისეთი ფაქტორები, როგორცაა მხარეთა სუბიექტური დამოკიდებულებანი, საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, არსებითი მნიშვნელობისაა. განსაკუთრებით კი, ეს უკანასკნელი. საკუთრება, როგორც უფლება საჯარო რეესტრით რეგისტრირებულ ფორმაში ვლინდება. რეესტრის სისწორის პრეზუმფცია აქარწყლებს გარიგების ბათილობას კეთილსინდისიერ შემდგენასთან მიმართებით.

პოსტსაბჭოურ სამართალში კეთილსინდისიერი შემდგენის კრიტიკა იმ მხრივაც ვლინდება, რომ წინააღმდეგობრივად არის მიჩნეული უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემდგენა და მისი ხანდაზმულობის გზით შემდგენა. კერძოდ, ზედმეტადაა მიჩნეული საკუთრების ხანდაზმულობით შემდგენა, როცა შესაძლებელია კეთილსინდისიერების გზით მისი მაშინათვე შემდგენა.<sup>18</sup>

საპირისპირო პოზიციის თანახმად, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საკუთრების ხანდაზმულობით შემდგენისას ის შემთხვევა არის, როცა შესაძლებელია კეთილსინდისიერი შემდგენისაგან ქონების გამოთხოვა.<sup>19</sup>

უფრო სწორი იქნებოდა თქმულიყო, რომ საკუთრების ხანდაზმულობით შემდგენა სპეციფიკურ ურთიერთობებს ეხება. ანუ მის ბუნებას არა მარტო შემდგენის კეთილსინდისიერება განსაზღვრავს, არამედ ურთიერთობის ხასიათიც.

## VI. კეთილსინდისიერი შემდგენის ნეგატიური მოქმედება

---

<sup>15</sup> об. Münchener Kommentar zum BGB (Wacke), Bd.6: Sachenrecht, 4. Aufl; C.H. Beck, München, 2004, 307, Rn.215.

<sup>16</sup> об. Скловский К., Собственность в гражданском праве, Дело, Москва, 1999, 496.

<sup>17</sup> об. Рахмилович В., О праве Собственности на вещь, отчужденную неуправомоченным лицом добросовестному приобретателю (К вопросу о приобретения права от неуправомоченного лица), Сборник Статей: Проблемы современного гражданского права, Городец, Москва, 2000, 134.

<sup>18</sup> об. Скловский К., Собственность в гражданском праве, Дело, Москва, 1999, 107.

<sup>19</sup> об. Рахмилович В., О праве Собственности на вещь, отчужденную неуправомоченным лицом добросовестному приобретателю (К вопросу о приобретения права от неуправомоченного лица), Сборник Статей: Проблемы современного гражданского права, Городец, Москва, 2000, 134.

რეესტრის უტყუარობისა და სანდოობის თვისება უკავშირდება არამარტო პოზიტიურ ქმედებებს, როგორცაა კეთილსინდისიერი შემძენის უფლებამოსილება შეიძინოს უძრავი ქონება, არამედ იგი დაკავშირებულია ნეგატიურ მოქმედებებთანაც. ნეგატიური მოქმედება არ უნდა მოიაზრებოდეს ისე, რომ თითქოს ეს აუარესებს შემძენის უფლებრივ მდგომარეობას. ასეთი მოქმედება გულისხმობს იმას, რომ კეთილსინდისიერი შემძენი იძენს უძრავ ქონებაზე საკუთრებას, რომელიც თავისუფალია ისეთი დატვირთვებისგან, რაც აშკარად (ცხადად) არ გამომდინარეობს საჯარო რეესტრიდან.<sup>20</sup> აქ მოიაზრება დატვირთვები, რომლებიც აშკარა და ნათელია. ეს დატვირთვები უძრავ ნივთზე საკუთრებისაგან განუყოფელი იქნება და, შესაბამისად, შემძენიც შეიძენს ამ თვისების მქონე საკუთრებას. დატვირთვები, რომლებიც მოკლებულია სიცხადეს და , შესაბამისად მისი არსებობაც საეჭვოა, ვერ გახდება საკუთრების ტვირთი ახალი შემძენის ხელში. მაგალითად: იპოთეკა, რომლითაც დატვირთული იყო საკუთრება, არასწორადაა ამოშლილი. კეთილსინდისიერ შემძენზე გადავა იპოთეკისგან დაუტვირთავი საკუთრება, საკუთრება წყდება.

ამდენად, კეთილსინდისიერ შემძენს უნდა ჰქონდეს იმისი რწმენა, რომ უძრავ ქონებას არ ახლავს არავითარი სხვა დატვირთვები, გარდა იმისა, რომელიც რეესტრშია შეტანილი და აშკარა და ბრუნვაუნარიანია. კეთილსინდისიერი შემძენისათვის წყდება ყველა სხვა უფლება, რაც არაა ცხადი რეესტრიდან.<sup>21</sup>

კეთილსინდისიერი შემძენი განკარგვითი შეზღუდვებისას დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ არ არსებობს რეგისტრირებულზე მეტი შეზღუდვები. ამ შეზღუდვებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში სპეციალურად არ აწესრიგებს. რაც შეეხება გერმანიის სამოქალაქო კოდექსს, 832-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის პირველი წინადადების თანახმად: „თუკი პირის უფლებამოსილება უფლების განკარგვაში შეზღუდულია გარკვეული პირის სასარგებლოდ და ეს რეგისტრირებულია საადგილმამულო წიგნში, ეს შეზღუდვა ნამდვილია შემძენისათვის მხოლოდ იმ პირობით, რომ იგი აშკარაა (ნათელია) რეესტრის ჩანაწერიდან ან ცნობილია შემძენისათვის.“

ამ საკანონმდებლოს დებულების შეფასებისას გერმანულ დოქტრინაში ერთმანეთისგან მიჯნავენ აბსოლუტურ განკარგვით შეზღუდვებს და რელატიურ განკარგვით შეზღუდვებს. პირველი მათგანი საჯარო ინტერესებს ემსახურება და არა რეგისტრაციაუნარიანია. აქ არ გამოიყენება საჯარო სანდოობა. ასეთია, თანხმობის ვალდებულება მიწის შემენაზე, ქონების დაყადაღება სისხლის სამართლის პროცესში და ა.შ. მეორე კატეგორია რეგისტრაციაუნარიანია და შესაბამისად საჯარო ნდობითაც სარგებლობს.<sup>22</sup>

აღნიშნულიდან ჩანს, რომ იმას თუ რა სახით გადავა უძრავ ქონებაზე უფლება კეთილსინდისიერი შემძენის ხელში, დიდი მნიშვნელობა სამოქალაქო ბრუნვის დაცვისათვის.

---

<sup>20</sup> Prütting H., Sachenrecht, 33. Aufl., C.H. Beck, München, 2008, 83, Rn. 228.

<sup>21</sup> იქვე.

<sup>22</sup> იქვე, 83, Rn. 229.

## VII. კეთილსინდისიერი შეძენის საბოლოოობა

კეთილსინდისიერი შეძენა საბოლოოდ ნამდვილია. მისი შედეგი ის არის, რომ მიწის ნაკვეთზე ან მასზე უფლებები ნამდვილია და შეიძლება მათი შემდგომი გადაცემა ნებისმიერ პირზე. ეს შეძენა ნამდვილია იმ პირის მიმართაც, რომელმაც იცოდა რეესტრის ჩანაწერის უსწორობის შესახებ, როცა კეთილსინდისიერი შემძენი უძრავ ნივთზე იძენდა საკუთრებას, იგი გახდება მესაკუთრე.<sup>23</sup> მაშასადამე, რეესტრის უსწორობას შეძენის ნამდვილობასთან დაკავშირებით მნიშვნელობა ენიჭება პირველ შემძენთან მიმართებით. მას შემდეგ, რაც პირველი შემძენი დარეგისტრირდება მესაკუთრედ, იგი უკვე მართლზომიერი შემძენის სახეს იღებს. შეძენის შემდეგ ცოდნა ამ შეძენის ხარვეზიანობის შესახებ, არ გახდის მას არაკეთილსინდისიერ შემძენად, ვინაიდან შეძენა უკვე დასრულებულია და შესაბამისად, რეესტრის უსწორობაც გაქარწყლებულია. აქ არ არის ისეთი სიტუაცია, როცა უფლების ხარვეზიანობა თან მისდევს უძრავ ქონებას. ამდენად, ის ფაქტი, რომ მომდევნო შემძენმა პირველი შეძენის მომენტში იცოდა რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის შესახებ, ვერ გახდება შეძენის გაბათილების საფუძველი. მაგალითად, ა. ასხვისებს მიწის ნაკვეთს ბ-ზე. ქონების მესაკუთრეა გ. შეიძენს რა ბ. კეთილსინდისიერების საფუძველზე საკუთრებას, თავის მხრივ ამ ქონებას ასხვისებს დ-ზე, რომელმაც იცის ამ საკუთრების ხარვეზიანობის შესახებ. დ. გახდება მისი მესაკუთრე. აქ გამოიყენება მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, როგორც გაქვითვის საშუალება.<sup>24</sup>

აღნიშნულიდან გამონაკლისია არაუფლებამოსილისაგან უკუშემძენის შემთხვევა. ვთქვათ, დასახელებულ შემთხვევაში, ბ-სგან უკან იბრუნებს საკუთრებას ა. ბრუნვითი გარიგების საფუძველზე. ივარაუდება, რომ ა-მ საკუთრება შეიძინა არაუფლებამოსილისაგან.<sup>25</sup> ეს გარემოებაც იმაზე მეტყველებს, რომ როცა კანონმდებელი შეძენას სწორად მიიჩნევს, მისი შემდგომი შეძენისას, შეძენის ნამდვილობის ობიექტური ფაქტორები განსაზღვრავენ და არა სუბიექტური, რადგანაც კეთილსინდისიერი შეძენა საბოლოოა, არაუფლებამოსილისაგან მისი შეძენაც ნამდვილია.

## VIII. დასკვნა

უძრავ ქონებაზე უფლების კეთილსინდისიერი შეძენის ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ საკასაციო სასამართლოს პოზიცია კეთილსინდისიერი იპოთეკარის დაცვასთან დაკავშირებით საფუძვლიანია. როცა ხდება კეთილსინდისიერი მესაკუთრის დაცვა, დაცული უნდა იყოს კეთილსინდისიერი იპოთეკარიც.

---

<sup>23</sup> იქვე, 84, Rn. 231.

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> იქვე, 84, Rn. 232.

## ვალდებულებითი სამართალი

---

### ლადო ჭანტურია\*

#### საბანკო გარანტიისა და უზრუნველყოფილი ვალდებულების ვადების თანაფარდობა

საქმე Nას-562-871-09\*\*

#### შესავალი

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2009 წლის 20 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება (Nას-562-871-09), რომელმაც საბანკო გარანტიის პრაქტიკაში გამოყენების საკითხზე მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა. გადაწყვეტილება აღსანიშნავია იმიტაც, რომ სასამართლოს ყველა ინსტანციამ ყურადღება გაამახვილა საბანკო გარანტიის, როგორც კრედიტის უზრუნველყოფის საშუალების, არააქცესორულ ხასიათზე და უზრუნველყოფილი ვალდებულებისაგან მის დამოუკიდებლობაზე.

სასამართლომ გადაწყვეტილება დააფუძნა სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, „ბენეფიციარის მოთხოვნა უნდა წარედგინოს გარანტს გარანტიით განსაზღვრული იმ ვადის დამთავრებამდე, რა ვადითაც იგი გაიცა“.

#### საქმის ფაქტობრივი გარემოებები

საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ნარდობის ხელშეკრულების მხარეებმა ვალდებულების შესრულების ვადები ისე შეცვალეს, რომ ამის შესახებ ცვლილება არ შესულა საბანკო გარანტიაში, რომელიც განსაზღვრული ვადით იყო გაცემული. როდესაც მენარდემ (საბანკო გარანტიის ხელშეკრულებაში პრინციპალმა), ვადების არაერთგზის შეცვლის მიუხედავად, ვერ შეძლო ნაკისრი ვალდებულების შესრულება, შემკვეთმა (საბანკო გარანტიაში ბენეფიციარმა) მოითხოვა გარანტისაგან გარანტიით გათვალისწინებული ფულადი თანხის გადახდა. გარანტმა უარი განაცხადა თანხის გადახდაზე გარანტიით გათვალისწინებული ვადის გასვლის გამო. ბენეფიციარმა სადავო გახადა გარანტის უარი ხელშეკრულების შემდეგ დებულებაზე დაყრდნობით: „წინამდებარე გარანტია ძალაშია კონტრაქტის მოქმედების პერიოდში“.

სამივე ინსტანციის სასამართლომ ჩათვალა, რომ საბანკო გარანტია გაცემული იყო გარანტიაში მითითებული ვადით და უზრუნველყოფილი ხელშეკრულების ვადების

---

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, მრავალგზის საპატიო დოქტორი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე.

\*\* საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

შეცვლა პირდაპირ არ იწვევს საბანკო გარანტიის ვადის შეცვლას. აქედან გამომდინარე, სასამართლომ უარი უთხრა მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე. სასამართლომ დაადგინა, რომ გარანტს მოთხოვნები წარედგინა გარანტიების მოქმედების ვადების გასვლის შემდეგ.

### საბანკო გარანტიის დამოუკიდებელი ხასიათი

უზენაესი სასამართლოს აზრით, საბანკო გარანტია დამოუკიდებელია უზრუნველყოფილი ვალდებულებისაგან, კერძოდ, 881-ე მუხლის თანახმად, „გარანტის ვალდებულება დამოუკიდებელია ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის არსებულ ურთიერთობაზე“. აქედან გამომდინარე, საბანკო გარანტია წარმოადგენს დამოუკიდებელ ხელშეკრულებას, რომლითაც ბანკი ან სხვა საკრედიტო ორგანიზაცია ცალმხრივად იძლევა დაპირებას ბენეფიციარს გადაუხადოს ფულადი თანხა (საგარანტიო თანხა) მოვალის (პრინციპალის) მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო.

ამასთანავე, ბანკის მიერ გადახდის დაპირება არის აბსტრაქტული, რადგან არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა საფუძვლით ვერ შეასრულა მოვალემ ვალდებულება. განსხვავებით თავდებობისაგან, სწორედ ამის გამო არ შეუძლია გარანტს მოვალის შესაგებლების გამოყენება ბენეფიციარის მიმართ.<sup>1</sup>

საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი ვალდებულებისაგან აქცევს მას საკრედიტო ურთიერთობებში მიმზიდველ უზრუნველყოფად, რომელიც კრედიტორის სწრაფად დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა. ამის გამო მისი გამოყენების სამართლებრივი წინაპირობები კანონმდებლობით მკაცრად არის განსაზღვრული.

სასამართლოს შეფასებით, „საბანკო გარანტია სხვა უზრუნველყოფის საშუალებებისაგან განსხვავდება თავისი დამოუკიდებლობით - არააქცესორულობით, რაც გულისხმობს იმას, რომ ძირითადი ვალდებულება გავლენას ვერ ახდენს ამ უკანასკნელზე.“ როგორც უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, „ძირითადი ვალდებულების შეწყვეტა არ იწვევს საბანკო გარანტიის შეწყვეტას.“<sup>2</sup>

### საბანკო გარანტია - ცალმხრივი გარიგება თუ ცალმხრივი ხელშეკრულება

ქართულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ საბანკო გარანტია არის ცალმხრივი გარიგება, მაგრამ არა ხელშეკრულება.<sup>3</sup> სასამართლოც აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მხარს უჭერს ამ შეხედულებას.

<sup>1</sup> მაგალითად, *Ulrich K.*, *Kreditsicherungsrecht*, Vahlen, 2011, 29.

<sup>2</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 17 მარტის N ას-781-996-08 გადაწყვეტილება.

<sup>3</sup> *ხოტენაშვილი პ.*, საბანკო (დამოუკიდებელ) გარანტიათა ზოგიერთი საკითხი ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა, 6/2003, 332.

საბანკო გარანტიის ცალმხრივ გარიგებად აღიარების შემთხვევაში გარანტიის ნამდვილობისათვის საკმარისი იქნებოდა გარანტის მიერ ნების გამოვლენა ბენეფიციარის მხრიდან აქცეპტის გარეშე. საბანკო გარანტიის გამოყენების პრაქტიკა სხვა რამეზე მიუთითებს: როგორც წესი, გარანტი და ბენეფიციარი წინასწარ თანხმდებიან ბენეფიციარის მიერ შეთავაზებულ პირობებზე. ბენეფიციარი (კრედიტორი) იღებს მხოლოდ მისი მოთხოვნების შესაბამისად გაცემულ გარანტიას. საბანკო გარანტია გარანტისა და ბენეფიციარის მიერ გარანტიის პირობებზე შეთანხმების შედეგად მიიღწევა.

აღიარებული შეხედულების თანახმად, ბენეფიციარსა და ბანკს შორის ურთიერთობის საფუძველი არის მათ შორის დადებული გარანტიის ხელშეკრულება.<sup>4</sup> ამიტომ 879-ე მუხლში აღნიშნული საბანკო გარანტია არის სწორედ საბანკო გარანტიის ხელშეკრულება.<sup>5</sup> სისტემურადაც საბანკო გარანტია მოთავსებულია სახელშეკრულებო სამართლის ნაწილში.

სასამართლო ფაქტობრივად აღიარებს ამ შეხედულებას, როცა საბანკო გარანტიის ურთიერთობის სტრუქტურას ახასიათებს: „ფაქტობრივად ორი ხელშეკრულება იდება: 1. გარანტსა და პრინციპალს შორის საბანკო გარანტიის გაცემის თაობაზე ორმხრივი, სასყიდლიანი ხელშეკრულება (880-ე მუხლი) და 2. თვით საბანკო გარანტია (879-ე მუხლი).“ ამ უკანასკნელთან მიმართებაში სასამართლო იყენებს ცალმხრივი გარიგების ცნებას, თუმცა უფრო მიზანშეწონილია საბანკო გარანტიის კვალიფიკაცია ცალმხრივ ხელშეკრულებად.

გარანტის ვალდებულებას, რომელსაც სასამართლო „ცალმხრივ ვალდებულებას“ უწოდებს, ლიტერატურაში „დამოუკიდებელ დაპირებას“ უწოდებენ.<sup>6</sup>

### საბანკო გარანტიის ვადის განსაზღვრა

საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოხატულებას წარმოადგენს **გარანტიის საკუთარი ვადები**, რომლებიც არ არის დამოკიდებული უზრუნველყოფილი ხელშეკრულების მოქმედების ვადებზე. განსახილველი გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ის საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობას სწორედ **დამოუკიდებელი ვადის არგუმენტით აფუძნებს**. მოსარჩელის პოზიციაც ვადას, უფრო კონკრეტულად, მის განსაზღვრას უზრუნველყოფილ (ძირითად) ხელშეკრულებასთან მიმართებაში უკავშირდება.

885-ე მუხლის დებულებაზე დაყრდნობით სასამართლო განმარტავს, რომ ბენეფიციარის მოთხოვნა უნდა წარედგინოს გარანტს გარანტიით განსაზღვრული იმ ვადის დამთავრებამდე, რა ვადითაც იგი გაიცა. ამრიგად, საბანკო გარანტიის ვადის განსაზღვრა დავის ცენტრალური საკითხია.

<sup>4</sup> მაგალითად, Welter in Münchener Kommentar zum Handelsgesetzbuch, 2. Aufl. 2009, Bankgarantie, Rn. J 21.

<sup>5</sup> იხ. *კანტურია ლ.*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამომც. „სამართალი“, 2012, 214.

<sup>6</sup> Horn/Staudinger, BGB Kommentar, 13. Aufl. Vorbem zu § 765, Rn. 194.

საბანკო გარანტიის ვადა შეიძლება განსხვავებულად განისაზღვროს. ამასთან დაკავშირებით, სასამართლოს შეფასებით, სამოქალაქო კოდექსის არ შეიცავს იმპერატიულ დანაწესს და მხარეები თავისუფალნი არიან საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის განსაზღვრის წესში, რაც შეიძლება დამოკიდებული იყოს როგორც კალენდარულ თარიღზე, რაიმე პირობაზე, რაიმე მოვლენის დადგომაზე, ასევე რაიმე მოქმედების შესრულებაზე.

*- ვადის განსაზღვრა ძირითადი ვალდებულების მოქმედების ვადით*

ერთ შემთხვევაში ეს ვადა შეიძლება პირდაპირ მიეხდეს უზრუნველყოფილი ხელშეკრულების ვადას, როგორც ეს განსახილველ დავაში თავდაპირველად მოხდა. სასამართლო მიუთითებს, რომ საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა არაორაზროვნად იყო განსაზღვრული ბენეფიციარსა (კრედიტორს) და პრინციპალს (მოვალეს) შორის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების თაობაზე დადებული ხელშეკრულების ვადით.

სასამართლოს აზრით, საბანკო გარანტიის ვადის განსაზღვრისას არ არის სავალდებულო კონკრეტული კალენდარული ვადის მითითება, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გარანტიის ვადა მიეხდეს უზრუნველყოფილი ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

საბანკო გარანტიის ვადა შეიძლება იმაზე მოკლე იყოს, ვიდრე თვით ხელშეკრულების მოქმედების ვადა. ამ ვადის გასვლის შემდეგ, მიუხედავად უზრუნველყოფილი ხელშეკრულების მოქმედებისა, საბანკო გარანტია ბენეფიციარისათვის უვარგისი ხდება,<sup>7</sup> ვინაიდან ბენეფიციარის მოთხოვნა უნდა წარედგინოს გარანტს გარანტიით განსაზღვრული ვადის გასვლამდე.

*- საბანკო გარანტიის მოქმედება „თანხის სრულად გადახდის დროით“*

უზრუნველყოფილ ხელშეკრულებასთან საბანკო გარანტიის ვადის მიზნად არ ნიშნავს ამ უკანასკნელის დამოუკიდებლობის უარყოფას. უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ თავის ადრინდელ გადაწყვეტილებაში ამ საკითხზე გაამახვილა ყურადღება. კერძოდ, უზრუნველყოფილი ხელშეკრულების ვადის გასვლა ავტომატურად არ იწვევს გარანტიის ვადის გასვლას, თუკი გარანტიის ვადა გარკვეული მოქმედების შესრულებით იყო განსაზღვრული. მაგალითად, როცა გარანტიის ხელშეკრულებაში მითითებულია „თანხის სრულად გადახდის დროით“, ეს ნიშნავს, რომ, უზრუნველყოფილი ხელშეკრულების ვადის გასვლის მიუხედავად, გარანტმა უნდა შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება, თუკი „თანხა სრულად არ არის გადახდილი“, ვინაიდან გარანტიის მოქმედების ვადა სწორედ

---

<sup>7</sup> Horn/Staudinger, BGB Kommentar, 13. Aufl. Vorbem zu § 765, Rn. 205.

გადახდის განხორციელებით განისაზღვრა და არა ძირითადი ხელშეკრულების მოქმედების ვადით.<sup>8</sup>

- საბანკო გარანტიის ვადის შეცვლა ავტონომიურად

უზრუნველყოფილი ხელშეკრულების ვადის გაგრძელება ავტომატურად არ იწვევს გარანტიის მოქმედების ვადის გაგრძელებას, თუკი ვადის გაგრძელების შესახებ გარანტთან ცალკე არ არის შეთანხმება მიღწეული, თუნდაც გარანტია გაცემული იყოს ხელშეკრულების მოქმედების ვადისათვის. ეს არის უზენაესი სასამართლოს განსახილველი გადაწყვეტილების ცენტრალური დებულება.

მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში საბანკო გარანტია გაცემულია ხელშეკრულების მოქმედების ვადით, ეს ვადა გარანტისთვის ცნობილია ხელშეკრულების თავდაპირველი (ვადის გაგრძელებამდე არსებული) ვერსიით და მისთვის ხელმიუწვდომელია ინფორმაცია ვადის გაგრძელების თაობაზე. აქედან გამომდინარე, ახალი ვადით გარანტიის გაგრძელება გარანტის ნებისა და მისი თანხმობის გარეშე დაუშვებელია.<sup>9</sup>

### **ბენეფიციარის მიერ გარანტისაგან ხელმეორედ მოთხოვნის არგუმენტი**

გარანტიის დამოუკიდებლობის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მოთხოვნის საფუძველზე განახორციელოს საგარანტიო თანხის გადახდა, მიუხედავად იმისა, მოვალემ შეასრულა თუ არა ნაკისრი ვალდებულება. მაგალითად, 887-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით, გარანტის მიერ ბენეფიციარისაგან მიღებული ხელმეორე მოთხოვნა გარანტმა მაინც უნდა დააკმაყოფილოს.

კასატორი 887-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებაზე დაყრდნობით ითხოვს გარანტისაგან საგარანტიო თანხის გადახდას და ამით ცდილობს გარანტიის ვადას გვერდი აუაროს.

სასამართლოს აზრით, 887-ე მუხლის დანაწესი უზრუნველყოფს საბანკო გარანტიის საიმედოობას და იმავდროულად, კრედიტორის მოლოდინს ვალდებულების შესრულებასთან მიმართებით, მაგრამ მხოლოდ საბანკო გარანტიით გარანტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში და გარანტიის მოქმედების ვადის განმავლობაში. ამრიგად, 887-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების გამოყენების წინაპირობას წარმოადგენს საბანკო გარანტიის ვადის დაცვა.

### **დასკვნითი დებულებები**

<sup>8</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება N კ-62-01.

<sup>9</sup> იხ. *ჭანტურია ლ.*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბ., გამოც. „სამართალი“, 2012, 218-219.

1. საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოხატულებას წარმოადგენს **გარანტიის საკუთარი ვადები**, რომლებიც არ არის დამოკიდებული უზრუნველყოფილი ხელშეკრულების მოქმედების ვადებზე. განსახილველი გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ის საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობას სწორედ **დამოუკიდებელი ვადის არგუმენტით აფუძნებს**.

2. **უზრუნველყოფილი ხელშეკრულების ვადის გაგრძელება ავტომატურად არ იწვევს გარანტიის მოქმედების ვადის გაგრძელებას**, თუკი ვადის გაგრძელების შესახებ გარანტთან ცალკე არ არის შეთანხმება მიღწეული, თუნდაც გარანტია გაცემული იყოს ხელშეკრულების მოქმედების ვადისათვის.

3. სასამართლოს შეფასებით, „საბანკო გარანტია სხვა უზრუნველყოფის საშუალებებისაგან განსხვავდება თავისი დამოუკიდებლობით - არააქცესორულობით, რაც გულისხმობს იმას, რომ ძირითადი ვალდებულება გავლენას ვერ ახდენს ამ უკანასკნელზე.“

4. ბენეფიციარსა და ბანკს შორის ურთიერთობის საფუძველი არის მათ შორის დადებული გარანტიის ხელშეკრულება. ამიტომ 879-ე მუხლში აღნიშნული საბანკო გარანტია არის სწორედ საბანკო გარანტიის ხელშეკრულება. სისტემურადაც საბანკო გარანტია მოთავსებულია სახელშეკრულებო სამართლის ნაწილში.

## თამარ ზარანდია \*

### მიზარების ხელშეკრულების ნორმების გამოყენება. საბანკო სეიფით სარგებლობა

საქმე ას-772-1045-05\*\*

ზ.ნ და ქ.ბ. სს „ს“ -ის (ბანკის) წინააღმდეგ

#### საკვანძო მუხლები

კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგია) (სსკ-ის 5(I) მუხლი).

მიზარების ხელშეკრულებით შემნახველი კისრულობს შეინახოს მიმზარებლის მიერ მისთვის ჩაბარებული მოძრავი ნივთი (სსკ-ის 763-ე მუხლი).

1. მიზარება უსასყიდლოა, თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ შემნახველი ახორციელებს შენახვას სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, მაშინ საზღაური დუმილითაც შეთანხმებულად ჩაითვლება (სსკ-ის 764-ე მუხლი).

2. თუ საზღაურის ოდენობა არ არის განსაზღვრული, მაშინ ტარიფების არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სატარიფო განაკვეთი, ხოლო ტარიფების არარსებობისას ჩვეულებრივი საზღაური.

შემნახველის მოვალეობა უსასყიდლო მიზარებისას თუ მიზარება უსასყიდლოა, მაშინ შემნახველი ვალდებულია ისეთივე კეთილსინდისიერებით შეინახოს ნივთი, როგორითაც საკუთარ ნივთს შეინახავდა (სსკ-ის 765-ე მუხლი).

#### ფაქტები:

მოსარჩელებმა 202 წლის 28 ივლისს სადეპოზიტო სეიფში ძვირფასეულობასთან ერთად შეინახეს ფულადი თანხა - 2300 ლარი, 20000 აშშ დოლარი და 70 000 რუსული რუბლი. როდესაც მათ მოინდომეს სეიფიდან თანხის გატანა, თანხა იქ არ აღმოჩნდა. სეიფი არც დაზიანებული იყო, არც გატეხილი. აღნიშნულთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, თუმცა დამნაშავე პირი ნაპოვნი ვერ იქნა. მოსარჩელები თვლიდნენ, რომ ზიანი მათთვის უნდა აენაზღაურებინა სააქციო საზოგადოება ს-ს

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი.

\*\* საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება.

(შემდგომში ბანკი), რადგან მან არ მიიღო აუცილებელი ზომები იმისათვის, რომ უზრუნველყო სეიფში არსებული ფულადი თანხის დაცულობა.

**რაიონულმა სასამართლომ და შემდგომ საოლქო სასამართლომ** არ დააკმაყოფილეს სარჩელი. სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ მოსარჩელები სარგებლობდნენ სეიფით, რომელსაც ერთდროულად ორი გასაღები ჰქონდა, ერთი ინახებოდა მხარესთან, მეორე - ბანკში. როდესაც მოსარჩელებმა მოინდომეს ფულის გატანა, საკეტის მთლიანობა დაცული იყო, ხოლო რა ოდენობის თანხა და ძვირფასეულობა ინახებოდა სეიფში, ამის შესახებ რაიმე მტკიცებულება მოსარჩელეთა მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა. ამდენად, იმის მიუხედავად, თუ რა სახის ურთიერთობა იყო წარმოშობილი ბანკსა და მოსარჩელებს შორის, მოთხოვნილი ფულადი სახსრების დაკარგვაზე პასუხისმგებლობა ბანკს ვერ დაეკისრებოდა.

**საკასაციო სასამართლომ** შეისწავლა საქმე და დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი შემდეგი დასაბუთებით: სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ ზ.ნ. და ქ.ხ. მართლაც სარგებლობდნენ სადეპოზიტო სეიფით, რომელიც ერთდროულად ორი გასაღებით იღებოდა, რომელიც მხარეებთან ინახებოდა. ასევე დადგენილი იყო, რომ მოსარჩელები ყოველთვის უხდიდნენ ბანკს 70 ლარს. ბანკმა არ იცოდა, თუ რა რაოდენობით თანხა და ძვირფასეულობა ინახებოდა სეიფში. ბანკის წარმომადგენლების განმარტებით სახეზე იყო ზეპირი საიჯარო ხელშეკრულება სადეპოზიტო სეიფის იჯარით გადაცემის თაობაზე. ბანკი, მათი აზრით, მხოლოდ სეიფის მექანიკური დაზიანების შემთხვევაში იყო ვალდებული აენაზღაურებინა ზიანი. სასამართლომ განმარტებით ბანკმა მოსარჩელებს გადასცა სარგებლობისათვის დეპოზიტური სეიფი, თუმცა მოსარჩელების მიერ იქ შენახული ნივთების შესახებ ზუსტი ინფორმაცია მისთვის ცნობილი არ იყო. რადგან ზუსტად ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონმდებლობა არ არსებობს, სასამართლომ ჩათვალა, რომ ასეთ შემთხვევაში ანალოგიით უნდა გამოეყენებინა ყველაზე მსგავსი ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლის ნორმა (სსკ, მუხლი 5), არ გაიზიარა მოპასუხეთა მოსაზრება, რომ სახეზე იყო საიჯარო ურთიერთობა და გამოიყენა მიბარების ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები, ვინაიდან ისინი უფრო მეტად შეესაბამებოდნენ საქმის გარემოებებს. სასამართლომ განმარტებით, სსკ 763 მუხლის თანახმად, მიბარების **ხელშეკრულებით შემნახველი კისრულობს** შეინახოს მიმბარებლის მიერ მისთვის ჩაბარებული მოძრავი ნივთი. მიბარების ხელშეკრულების საგანი ნივთის შენახვისთვის მომსახურების გაწევაა და ამ ურთიერთობის **ობიექტად** შესანახი ნივთი გვევლინება, რომელიც შესაძლებელია იყოს როგორც **ინდივიდუალურად განსაზღვრული, ისე გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული**. ამასთან კანონი განსხვავებულ წესს ადგენს **სასყიდლიან და უსასყიდლო** მიბარებასთან მიმართებით. 765 მუხლი ითვალისწინებს, რომ მაშინაც კი, როდესაც მიბარება უსასყიდლოა, შემნახველი პასუხისმგებელია შენახულ ნივთზე.

კანონის დათქმა, რომ უსასყიდლო მიბარებისას შემნახველი ნივთს ისე უნდა გაუფრთხილდეს, როგორც საკუთარს, მოიაზრებს, რომ შემნახველი პასუხისმგებლობითა და მზრუნველობით ეკიდება საკუთარ ნივთს. ამდენად, საკუთარი ნივთისადმი შემნახველის უყარათო დამოკიდებულება არ ათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისაგან მიბარებულ ნივთთან მიმართებით. აღნიშნულთან მიმართებით სადავოს არ წარმოდგენს ის გარემოება, რომ სასყიდლიანი მიბარების შემთხვევაში შემნახველს გაძლიერებული

გულისხმობს და პასუხისმგებლობა მოეთხოვება, ვიდრე უსასყიდლო მიზარებისას, მიუხედავად იმისა, შენახვისას შეთანხმდნენ თუ არა მხარეები ვალდებულების ფარგლებზე.

### **გადაწყვეტილება**

სასამართლომ ჩათვალა, რომ ბანკმა დაარღვია სადეპოზიტო სეიფით უსაფრთხო სარგებლობის წესები, კერძოდ, სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის დადგენილებით დასტურდებოდა, რომ ფილიალის საცავში დეპოზიტურ სეიფს ჰქონდა საერთო გასაღები, რომელიც ეკიდა სეიფის მარჯვენა კედელზე; არ არსებობდა დეპოზიტური სეიფით მოსარგებლეთა მკაცრი აღრიცხვის ჟურნალი (დაცვის თანამშრომელი ცნობდა სადეპოზიტო სეიფით მოსარგებლე პირებს და ისე უშვებდა მათ), არ არსებობდა ფასეულობათა დაცვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, დეპოზიტურ სეიფებს ადრეც, არაერთხელ აღენიშნებოდა დაზიანებები, მაგრამ ამ დაზიანებეთა აღწერა ბანკის მიერ არ მომხდარა. ამდენად, საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და დააკისრა სს ს-ს მოსარჩელების სასარგებლოს 20 000 აშშ დოლარის, 70 000 რუბლის და 2300 ლარის გადახდა.

### **ანალიზი**

მოცემული გადაწყვეტილებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ გააკეთა მნიშვნელოვანი განმარტებანი მიზარების ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების თაობაზე (I), რა შეიძლება იყოს მიზარების საგანი და როგორია მისი შინაარსი (II), სასამართლომ გააკეთა სამოქალაქო კოდექსის 765-ე მუხლის ანალიზი, რომელსაც მოცემული განხილვის ფარგლებშიც შევეხებით (III), ამასთან გადაწყვეტილების სრულყოფილი ანალიზისათვის მნიშვნელოვანია საკითხთან დაკავშირებით არსებული სასამართლო პრაქტიკის შესწავლა და ისეთი საკითხების წამოწევა, როგორცაა: იმის გამიჯვნა, თუ როდის არის სახეზე მიზარების ხელშეკრულება და როდის უბრალო მეთვალყურეობა (IV), რა მომენტიდან ითვლება მიზარების ხელშეკრულება დადებულად და როგორია მხარეთა სახელშეკრულებო ვალდებულებანი (V), და ბოლოს, როგორია მტკიცების ტვირთი, რაც უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო მოცემული გადაწყვეტილებისა და მიზარების ხელშეკრულების სამართლებრივი შედეგი (IV).

#### **I. მიზარების ხელშეკრულება - ზოგადი მიმოხილვა**

მიზარების ხელშეკრულებით ერთი პირი - შემნახველი, სხვა პირისაგან - მიმზარებლისაგან, იღებს მოძრავ ნივთს, კისრულობს შეინახოს იგი (763), გამოიჩინოს ყურადღება მის მიმართ და დააბრუნოს იგი უნაკლოდ, მიმზარებლის მოთხოვნისთანავე (770). შენახვის ვალდებულება მიზარების ხელშეკრულების მთავარი ელემენტებია, რადგან

ეს ხელშეკრულება ნივთის ნორმალურ მდგომარეობაში შენახვის გარანტიას ეფუძნება<sup>1</sup>. მიზარება შეიძლება იყოს **სასყიდლიანი ან უსასყიდლო**. მიზარების ხელშეკრულება ზოგან რეალურ ხელშეკრულებად განიხილება<sup>2</sup>, რაც რომის სამართლის გავლენით უნდა იყოს ნაკარნახევი. რომაელები მიზარებას განიხილავდნენ როგორც „რეალური ხელშეკრულებებიდან ყველაზე რეალურს“, რადგან რომში მიზარება იყო „მეგობრის სამსახური“, უსასყიდლო, ნდობაზე დამყარებული, *intuitu personae*<sup>3</sup> ნიშნის მატარებელი, და ძირითადად მხოლოდ მიმზარებლის ინტერესში არსებული<sup>4</sup>. მაგალითად, მოგზაური, ლტოლვილი ან მომაკვდავი მეგობარს ან მეზობელს ანდობდა მოუხერხებელ, დიდი ზომის ნივთს ან ძვირფას მოძრავ ქონებას. შენახვის ვალდებულება წარმოიშობოდა ნივთის გადაცემის შემდეგ<sup>5</sup>. თანამედროვე პირობებში მიზარების ხელშეკრულების არსებობა გულისხმობს თანხმობათა გაცვლას შემნახველსა და მიმზარებელს შორის და ამ თვალსაზრისით კონტრაქტი კონსესუალურია<sup>6</sup>. ერთმანეთისაგან განასხვავებენ **კეთილგანწყობით დადებულ ხელშეკრულებებს** (მაგ. ჩუქება - 524, თხოვება - 615) და ე.წ. **თავაზიან ჟესტს**. მიზარების კლასიკური გაგება, როგორც მეგობრის მიერ გაწეული უსასყიდლო სამსახურისა, ბოლომდე არ გამქრალა, რაც ართულებს ერთმანეთისგან უფასო მიზარებისა და თავაზიანი ჟესტის განსხვავებას<sup>7</sup>. ეს უკანასკნელი შეიძლება გამომდინარეობდეს მეგობრული ურთიერთობიდან, მაგრამ თავაზიანი ჟესტის შემთხვევაში მხარე არ ისახავს მიზნად ვალდებულების წარმოშობას. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფაქტობრივ გარემოებებსა და მათ შეფასებას ობიექტური (მიუკერძოებელი) დამკვირვებლის მასშტაბით. როგორც წესი, მეზობლის თხოვნა, რამოდენიმე წუთით ყურადღება მიაქციოთ მის ძალღს, განიხილება, როგორც ხანმოკლე და არასაიმედო გადაცემა. იგი არ წარმოშობს პირის სამართლებრივ ბოჭვას და ვერ განიხილება მიზარების ხელშეკრულებად<sup>8</sup>.

<sup>1</sup> შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლო, ას-150-452-04, განჩინება, 6. 07.204.

<sup>2</sup> შეად. *ახლედნიანი ზ.*, ვალდებულებითი სამართალი, 1999, 202.

<sup>3</sup> პირადი ხასიათის.

<sup>4</sup> იხ. გარიშვილი/ზოფერია, რომის სამართალი, 2013, 403; ასევე, *მეტრეველი ვ.*, რომის სამართალი, 2012, 75; *როდინაძე ვ.*, რომის კერძო სამართალი, 2009, 76.

<sup>5</sup> იხ. *მეტრეველი ვ.*, რომის სამართალი, 2012, 75; *როდინაძე*, რომის კერძო სამართალი, 2009, 75.

<sup>6</sup> მიზარების ხელშეკრულების რეალური კონტრაქტიდან კონსესუალურ ხელშეკრულებამდე ტრანსფორმაციის თაობაზე ასევე იხ. *სუხიტაშვილი დ.*, სკ-ის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, მუხლი 763, გვერდი 27-28.

<sup>7</sup> შეად. „თავაზიანი ბარმენის საქმე“, სადაც ბარმენი დათანხმდა ფოტოალბომის შენახვას, რომელიც შედეგ უნდა ენახა დაინტერესებულ პირს. კითხვაზე, იყო თუ არა სახეზე მიზარება - საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ უარყოფითი პასუხი გასცა და ჩათვალა, რომ ამ შემთხვევაში ნივთის გადაცემა მხოლოდ წმინდა თავაზიანობის ჟესტი იყო, Cass. com., 25 sept., 1984: Bull.civ. IV N°242; RTD civ. 1986. 143, obs. J. Huet, Méga Code Civile, 2012, 3273.

<sup>8</sup> ნაპოვნი ბეჭდის „ერთი წამით“ გადაცემა კინოთეატრის თანამშრომლისთვის, შემდეგ კი ძალიან სწრაფად უკან გამორთმევა მპოვნელის მიერ, არ მიუთითებს მხარეთა შეთანხმებაზე მიზარების შესახებ, Paris, 9 févr. 1956: D. 1956. 701, ამის საპირისპიროდ, შემთხვევა, როდესაც ერთმა პირმა მიიღო ძვირფასი ბეჭედი და შეინახა იგი მოგზაურობამდე, არის მიზარების კონტრაქტი და არა ხანმოკლე და არასაიმედო გადაცემა, Fort-de-France, 1 mars 1996: BICC 1 oct. 1996, n 952, Méga Code Civile, 2012, 3273.

## II. მიზარების ხელშეკრულების საგანი და შინაარსი

მიზარების ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ მოძრავი ნივთები/ცხოველები. ხელშეკრულება არ შეიძლება შეეხებოდეს პირს (ყოველ შემთხვევაში – ცოცხალ სუბიექტს). თუმცა, შემნახველს შეიძლება მეთვალყურეობის ვალდებულება დაეკისროს გარდაცვლილი ადამიანის ცხედარზე<sup>9</sup>. ზედამხედველობა უძრავ ნივთებზე შესაძლებელია განხორციელდეს ქირავნობის ხელშეკრულების (მუხლი 531) ნარდობის ხელშეკრულების (მუხლი 629) ან დავალების ხელშეკრულების (მუხლი 709) საფუძველზე. მიზარების ხელშეკრულებაში ნივთის შენახვა წარმოადგენს ხელშეკრულების საკვანძო ვალდებულებას. მიზარების ხელშეკრულება ხელშეკრულებათა ისეთ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლითაც ერთ-ერთ კონტრაქტს ისეთი საქმიანობის შესრულება ავალეს, რაც დაკავშირებული არ არის განსაზღვრული მატერიალური რეზულტატის მიღწევასთან<sup>10</sup>. ამ ნიშნით განსხვავდება მიზარების ხელშეკრულება სხვა ისეთი ხელშეკრულებებისგან, სადაც ნივთის გადაცემა სახეზეა, მაგრამ სხვა მთავარი ვალდებულების შესრულების მიზნით. ამდენად მიზარებისას სახეზეა „წმინდა“ შენახვის უზრუნველყოფის ნება. მაგალითად, იუველირისათვის ნაკეთობის გადაცემა მისი შეკეთების მიზნით არ წარმოადგენს მიზარების ხელშეკრულებას, თუმცა შესაძლოა შენახვის ვალდებულება ძირითად (შეკეთების) ვალდებულებას ახლდეს. ამასთან ნივთის შენახვის მიზანი მისი უკან დაბრუნებაა.

**1. უსასყიდლობა.** ეჭვგარეშეა, რომ სწორედ რომაული პერიოდიდან, როდესაც მიზარებას „მეგობრული ხელშეკრულების“ სახე ჰქონდა, მომდინარეობს ის, რომ დღესაც მიზარება ატარებს უსასყიდლო ხასიათს, თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული<sup>11</sup>. მიზარების ხელშეკრულება ასევე *intuitu personae* - პირადი ხასიათის ნიშნის მატარებელია, რადგან იგი ნდობის ფაქტორზეა აგებული<sup>12</sup>. თუმცა ასეთი დასკვნის საფუძველს მიზარების კლასიკური გაგება წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს, რომ ხდება ნივთის მიზარება - სანდო ადამიანისათვის შესანახად გადაცემა - მინდობა. მიზარების პირადი ხასიათი და ნდობის ფაქტორი ჯერ კიდევ არის შემორჩენილი მიზარებაში, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო ბრუნვაში თანდათან ადგილს იკავებს მიზარება პროფესიონალთან.

---

<sup>9</sup> შეად. საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, Cass.civ.2, 17 juillet, 1991, Bull.civ. II N°23, საავადმყოფოში გარდაცვლილი პაციენტის მშობლები ჩიოდნენ, რომ გარდაცვალებიდან ოთხი დღის შემდეგ, ცხედრის კუბოში ჩასვენებისას აღმოაჩინეს, რომ იგი დანაწევრებული იყო. საქმის არსებითად განმხილველმა მოსამართლეებმა მიიჩნიეს (ეს მიდგომა გაიზიარა საფრანგეთის საკასაციო სასამართლომაც), რომ საავადმყოფომ, როგორც შემნახველმა, პასუხისმგებლობა აიღო გარკვეული დროის განმავლობაში (იგულისხმება 10 დღემდე პერიოდი) ცხედრის მათი მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნაზე, *Leclerc, Droit des contrats spéciaux, L.G.D.J., 2007, 1018.*

<sup>10</sup> შეად. *ახლედიანი ზ.*, ვალდებულებითი სამართალი, 1999, 203.

<sup>11</sup> შეად. *გარიშვილი მ., ხოფერია მ.*, რომის სამართალი, 2013, 403.

<sup>12</sup> შეად. *Leclerc, Droit des contrats spéciaux, L.G.D.J., 2007, 456, 1026.*

ამდენად, მიზარების რომისსამართლისეული ხედვა თანამედროვე პირობებში არაზუსტი გახდა ამ ინსტიტუტის პროფესიონალიზაციისა და კომერციალიზაციის ფონზე. თუკი უსასყიდლო მიზარების შემთხვევებში შენახვა ძირითადად მიმზარებლის ინტერესებში ხორციელდებოდა, დღეს პროფესიონალთან განხორციელებულ მიზარებაში შემნახველის ეკონომიკური ინტერესი იკვეთება. ამ საქმიანობით იგი გასამრჯელოს იღებს. გარდერობი, ავეჯის შესანახი, სხვადასხვაგვარი საწყობები თუ სასაწყობე საწარმოები - თანამედროვე მიზარებაში კონტრაქტი კვლავ ნდობას ეფუძნება, მაგრამ ფილანტროპია გამონაკლისი გახდა: იურისპრუდენციამ მისგან შედეგები მიიღო; მიუხედავად 764-ე მუხლის პირველი წინადადების დებულებისა, უსასყიდლოა ამ კონტრაქტში აღარ არის არსებითი. მიზარება ანაზღაურებადად ივარაუდება, როდესაც იგი კომერციული საქმიანობის დროს ხორციელდება ან მხარეთა მიერ ასეთად არის შეთანხმებული.

**2. მიზარება სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში.** თანამედროვე სამართალში სახეზეა მიზარების ხელშეკრულების "პროფესიონალიზაცია", რაც გამოიხატება ანაზღაურებადი მიზარების ხელშეკრულების რაოდენობის ზრდაში. ასეთი მიზარება ხორციელდება გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ და დადებულია არა მხოლოდ მიმზარებლის, არამედ ხელშეკრულების მონაწილე ორივე მხარის ინტერესებში. 764 I მეორე წინადადება სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ფარგლებში განხორციელებული მიზარებისას **სასყიდლიანი მიზარების პრეზუმფციას** ადგენს<sup>13</sup>.

**3. საზღაურის ოდენობა.** ამდენად, მუხლი 764 შეიცავს განმარტებით რეგულირებას, რომლის მიხედვითაც საეჭვოობისას სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული მიზარებისას დუმილით მიზარების სასყიდლიანი ხასიათი ივარაუდება. თუკი მიმზარებელი არ შეუთანხმდა შემნახველს შენახვის საზღაურზე, აღნიშნულის განუხორციელებლობა განიხილება როგორც **კონკლუდენტური თანხმობა სატარიფო განაკვეთით დადგენილი ან ჩვეულებრივ მიღებული საზღაურის გადახდაზე.** მაგალითისათვის, საბაჟო ტერმინალზე მოქმედი ტარიფები, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, დუმილითაც შეთანხმებულად ითვლება<sup>14</sup>. 764 მუხლით გათვალისწინებული საზღაური ამ შემთხვევაში არ არის ხარჯების ანაზღაურება 773-ე II მუხლის მიხედვით. მიზარების სასყიდლიანობა სახეზეა, როდესაც გარემოებების ერთობლიობა იძლევა ვარაუდს, რომ საზღაური მოსალოდნელია (მაგალითად, მიზარება პროფესიონალთან). საზღაურის სიდიდე განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. თუკი შეთანხმება არ არსებობს 764 მუხლის მიხედვით შესაბამისი ნიხრით - დადგენილი სტანდარტული ტარიფების შესაბამისად<sup>15</sup> ან ჩვეულებრივ მიღებული ფასის შესაბამისად.

<sup>13</sup> შეად. გარაჟის მესაკუთრისა და ავტომობილის მესაკუთრის შემთხვევა, საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ გააკრიტიკა საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოები, რომელთაც გარაჟის მეპატრონეს დაავალეს, დაემტკიცებინა კლიენტის მიერ ავტომანქანის მიზარების სასყიდლიანობა. გონივრულია ვიფიქროთ, რომ სასყიდლიანი მიზარების პრეზუმფცია თავისთავად არსებობს, როდესაც საქმე ეხება მიზარებას სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ფარგლებში, *Leclerc, Droit des contrats spéciaux, L.G.D.J., 2007, 457, 1026.*

<sup>14</sup> შეად. თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N2/14671-11(53748), გადაწყვეტილება, 30.01.2012.

<sup>15</sup> შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლო, ას-92-437-07, განჩინება, 01.06.2007.

ნივთის განადგურების შემთხვევაში მიმზარებელი თავისუფლდება მომავალში საზღაურის გადახდის ვალდებულებისაგან.

### III. 765-ე მუხლის განმარტება

სამოქალაქო კოდექსის 765-ე მუხლის თანახმად, თუ მიზარება უსასყიდლოა, მაშინ შემნახველი ვალდებულია ისეთივე კეთილსინდისიერებით შეინახოს ნივთი, როგორც საკუთარ ნივთს შეინახავდა. ამ ნორმის მიზანი არის უსასყიდლო შემნახველის პასუხისმგებლობის შემსუბუქება იმ საფუძველით, რომ იგი ანაზღაურების გარეშე მოქმედებს სხვის სასარგებლოდ. ნორმის გამოყენების წინაპირობაა ნამდვილი უსასყიდლო მიზარების ხელშეკრულება და არა უბრალოდ მეგობრული სამსახურის გაწევა ან თავაზიანი ჟესტი (763). უსასყიდლობა არ გვაქვს სახეზე არც მაშინ, როდესაც შენახვასთან დაკავშირებულია სხვა სახის სარგებელი ან მიზარება სასყიდლიანი ხელშეკრულების დამატებითი ვალდებულებას წარმოადგენს.

შემნახველისათვის ნივთის შენახვის ვალდებულება ზოგადად გულისხმობს ვალდებულებას გაუფრთხილდეს მისთვის გადაცემულ ნივთს, მოუაროს მას, დაიცვას იგი მოპარვის, დაკარგვის ან გაფუჭების რისკისგან, რომელიც შეიძლება მომდინარეობდეს მესამე პირისაგან ან ისეთი მოვლენისგან, როგორცაა ხანძარი ან ბუნებრივი კატაკლიზმები. ამასთან, შემნახველის ვალდებულება არ არის ზღვარდაუდებელი და დამოკიდებულია შენახვის ხასიათზე. მაგალითად, შემნახველი, პრინციპში ვერ იქნება პასუხისმგებელი ხანძრის ან ნივთის მოპარვის შემთხვევაში ( ველი , თუკი შენახვა არ წარმოადგენს მის პროფესიულ საქმიანობას. ამდენად, მიზარებული ნივთის შენახვა არ გულისხმობს რაიმე მოჭარბებულ და გადამეტებულ ზრუნვას.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაცული ავტოსადგომიდან მოპარული ავტომობილის ერთ-ერთი შემთხვევის განხილვისას, მიიჩნია, რომ მიზარების სახელშეკრულებო ურთიერთობის დასადგენად არ იყო მნიშვნელოვანი ის გარემოება, რომ ავტომობილის მფლობელი არ იხდიდა ავტომობილის გაჩერების საფასურს, მნიშვნელოვანი იყო თავად დაცულ ავტოსადგომზე ავტომანქანის დაშვების ფაქტი და ავტომობილის მოპარვისათვის გამოწვეული ზიანი დააკისრა შემნახველს<sup>16</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ თუ შემნახველი არ იღებს საზღაურს და ხელშეკრულებასთან მიმართებით არანაირი მატერიალური ინტერესი არა აქვს, გამოყენებულ უნდა იქნეს ბრალის მარტივი პრეზუმფცია. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობისგან გასათავისუფლებლად საკმარისი უნდა იყოს იმის დამტკიცება, რომ შემნახველი ისეთივე კეთილსინდისიერებით ინახავდა ნივთს, როგორც საკუთარ ნივთს შეინახავდა.

1. კეთილსინდისიერების ვალდებულება.სამოქალაქო სამართალი განამტკიცებს კეთილსინდისიერების პრინციპს<sup>17</sup>, რომელიც იმავდროულად მხარეთა მოვალეობაცაა<sup>18</sup>.

<sup>16</sup> თბილისის საქალაქო სასამართლო, N2/741-10, 15.09.2010.

<sup>17</sup> ქართულ სამართალში, გიორგი ვაშაკიძემ კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10/2007-1, 14-58.

<sup>18</sup> შეად. *კანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ. 2011, 86.

კეთილსინდისიერების პრინციპი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს დააკონკრეტოს, მოდიფიცირება გაუკეთოს სამართლის ნორმას, განავითარონ იგი თანამედროვე მოთხოვნებისა და დროის საჭიროების მიხედვით<sup>19</sup>. შენახვის ვალდებულების შინაარსი უსასყიდლო მიზარების შემთხვევებში მსუბუქია, რადგან შენახვა ხორციელდება „მეგობრული დახმარების“ ფარგლებში. შემნახველის კეთილსინდისიერება ამ შემთხვევაში განისაზღვრება შესაძლებელი მიღებული ნივთებისადმი მისი დამოკიდებულებით. კეთილსინდისიერების დათქმით კონკრეტდება ინდივიდის მოქმედების თავისუფლების ფარგლები, რადგან სამართლის ნორმებიდან გამომდინარეობს შემნახველის მიერ ამ ნივთების მიმართ ისეთივე ზრუნვის გამოჩენა, როგორსაც საკუთარი მსგავსი ნივთებისადმი გამოიჩენდა. კეთილსინდისიერების პრინციპს დაქვემდებარებული მოქმედების თავისუფლებიდან გამომდინარეობს სუბიექტის მიერ სხვა პირის ინტერესების გათვალისწინების ვალდებულება იმ მოცულობით, რომელიც არ იწვევს თავად მისი ინტერესების არათანაზომიერ შეზღუდვას<sup>20</sup>. შეფასება ხდება ობიექტური დამკვირვებლის კრიტერიუმით.

**2. „როგორც საკუთარ ნივთს შეინახავდა“.** შენახვა, გათვალისწინებული 765-ე მუხლით, არის ნივთის შენახვის ვალდებულებებს შორის ყველაზე მსუბუქი, რადგან იქ სადაც არ არის შემნახველის ვალდებულება შეინახოს - ისე, როგორც „საკუთარი ნივთები“, მიზარება საერთოდ არ არსებობს. ბრალის არსებობის ან არარსებობის დადგენა შეიძლება მოხდეს იქიდან გამომდინარე, ინახავდა თუ არა არა შემნახველი სხვის ნივთს ისე, როგორც საკუთარს შეინახავდა, თუ იყო რაიმე განსხვავება<sup>21</sup>. უზენაესი სასამართლოს განმარტებით უსასყიდლო მიზარების შემთხვევაშიც შემნახველს გარკვეული პასუხისმგებლობა მოეთხოვება მიზარებული ნივთის შენახვაზე<sup>22</sup>. შემნახველმა უნდა შეინახოს ნივთი, რათა ხელი შეუშალოს მის მოპარვას ან გაფუჭებას. შემნახველს ამ ვალდებულების ძალით მოეთხოვება ნივთის სულ მცირე - ნორმალური მოვლა. მოძრავი ნივთების შემთხვევაში ეს ძირითადად ნივთის დაცვა-შენახვის ვალდებულებაა, ცხოველებთან მიმართებაში კი ნორმალური მზრუნველობა, მათი კვება, გასეირნება და ა.შ. განსაკუთრებული მოვლის ვალდებულებას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ეს შეთანხმებით არის გათვალისწინებული. ამდენად შენახვის ვალდებულებების მასშტაბი დამოკიდებულია მიზარებული ნივთის ბუნებაზე. შეუძლებელია ერთნაირად შეინახო ხელოვნების ნიმუში, დოღის ცხენი და ფასიანი ქალაღებები.

---

<sup>19</sup> Whittaker/Zimmermann, Good faith in European contract law: surveying the legal landscape, Cambridge university press, 2004, 32.

<sup>20</sup> კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 83.

<sup>21</sup> შეად. ფრანგულ სამართალში, შემნახველის მიერ მიმზარებლის ძალის შენახვა, ისე, როგორც ინახავდა საკუთარს, Toulouse, 17 mai 2005: Juris-Data n 282005, შემნახველი, რომელიც ხელს არ აწერს დაზღვევას მიზარებულ ნივთებთან დაკავშირებით, მოქმედებს კანონის დარღვევით, რადგან ასეთ შემთხვევაში იგი ნივთებს არ ინახავს ისე, როგორც საკუთარს შეინახავდა, Aix-en-Provence, 13 mars 1990: Juris-Data n 050192, Méga Code Civile, Dalloz, 2012, 3277 .

<sup>22</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, ას-772-1045-05, გადაწყვეტილება, 5.12.2005.

#### IV. გამოჯენა

1. **მიზარება და მეთვალყურეობა.** შემნახველი მიზარების ხელშეკრულებით კისრულობს ნივთის შენახვის, შენარჩუნების, დაცვის ვალდებულებებს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია განსაჯოს იყო თუ არა სახეზე მიზარება თუ უბრალო მეთვალყურეობის შემთხვევა. მაგალითად ავტოსადგომის მფლობელს ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს როგორც შენახვის ვალდებულებას, ისევე უბრალო მეთვალყურეობის გაწევას და აღნიშნულის თაობაზე დასკვნას მოსამართლე სწორედ მხარეთა ნამდვილი განზრახვის დადგენის შემდეგ აკეთებს.

მიზარების ხელშეკრულება განსხვავდება **დგომა-გაჩერების** შესახებ ხელშეკრულებისაგან, რომელიც შეიძლება შეეხებოდეს, როგორც ავტომობილს (მანქანის პარკინგი), ასევე გემს (ლუზის დაშვება), ან საცხოვრებელ ავტოფურგონს (კემპინგი). ხელშეკრულება, დადებული ტერიტორიის მესაკუთრის/მფლობელის მიერ ადგილის გაქირავებასთან დაკავშირებით, რომლის მიზანს პირისათვის დღიური ქირის გადახდის სანაცვლოდ ადგილის გადაცემა წარმოადგენს, არ მიიჩნევა მიზარების ხელშეკრულებად (მაგ., კემპინგის მესაკუთრე/მფლობელი არ არის პასუხისმგებელი საცხოვრებელი ავტოფურგონის მოპარვაზე, თუკი დადებულია ხელშეკრულება მანქანის გაჩერებასთან დაკავშირებით, რომელიც განიხილება არა როგორც სასყიდლიანი მიზარება, არამედ როგორც ქირავნობის ხელშეკრულება, რომელსაც არ მოსდევს გამქირავებელი მხარისათვის არავითარი პასუხისმგებლობა ნივთის შენახვასთან დაკავშირებით<sup>23</sup>.

**ავტომობილის პარკირება** ავტოსადგომზე თავისთავად არ გულისხმობს, რომ დაიდო მიზარების ხელშეკრულება, თუკი პარკირების ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული<sup>24</sup>. საინტერესოა ავტომატური ბარიერის მქონე პარკინგის გამოყენების საკითხიც. საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ როდესაც პარკინგი იმართება საჯარო დაწესებულების მიერ ექსპლუატატორი არ აგებს პასუხს ავტომანქანის მოპარვის შემთხვევაში, თუ ავტომობილის მესაკუთრე არ დაამტკიცებს პარკინგის მფლობელის ბრალს<sup>25</sup>. ამასთან, როდესაც მიმზარებლისთვის შეუძლებელია მიზარების დამტკიცება (შესვლა-გამოსვლის სისტემის გაუმართაობა), აღნიშნული უნდა შედიოდეს პარკინგის მესაკუთრის რისკის სფეროში<sup>26</sup>. ამდენად, მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ავტოსადგომისაგან განსხვავებით ჩვეულებრივ პარკინგი გვთავაზობს უბრალოდ დაყენების შესაძლებლობას, დაცვის გარეშე, და, თუმცა პასუხისმგებლობა სრულად გამორიცხული არ არის, უბრალო პარკინგის დროს მეთვალყურეობის ვალდებულება მსუბუქია.

სასამართლო პრაქტიკა გვთავაზობს არაერთ გადაწყვეტილებას **ავტოსადგომის გამოყენებასთან დაკავშირებით**. შესაძლებელია ხელშეკრულების გადაქცევა სასყიდლიან მიზარებად, თუკი მიზარების ძირითადი ელემენტები ხელშეკრულებით იქნა

<sup>23</sup> Méga Code Civile, Dalloz, 2012, Art. 1915, 5, 3268.

<sup>24</sup> შეად. ავტობაზრობის პარკირებიდან დაკარგული ავტომობილის შემთხვევა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, ას-938-1217-05, განჩინება, 21.07.2006.

<sup>25</sup> Malaurie, Aynès, Cours de droit civil, lex contrats spéciaux, 1991, 467.

<sup>26</sup> შეად. Méga Code Civile, Dalloz, 2012, 3275.

გათვალისწინებული. იმისათვის, რომ მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულება მიზარების ხელშეკრულებად იქნეს მიჩნეული, კანონი აწესებს მიზარების ხელშეკრულების არსებითი პირობის, კერძოდ შემნახველის მიერ შენახვის ვალდებულების რეგლამენტირებას აღნიშნულ ხელშეკრულებაში. საქართველოს საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნა, რომ მოძრავი ნივთი მაშინ ითვლება ჩაზარებულად, თუ ამის შესახებ მითითებულია პარკირებისათვის გაცემულ ქვითარზე. ამ შემთხვევაში ავტომობილი რეგისტრირდება სპეციალურ ჟურნალში და გაიცემა ქვითარი, რაზეც ერთგვარად შტამპი<sup>27</sup>. სხვა გადაწყვეტილებით სასამართლომ მიზარებად დააკვალიფიცირა ზეპირი შეთანხმება ავტომობილის მესაკუთრესა და დარაჯს შორის. ამასთან მიზარების სუბიექტებად სასამართლომ მიიჩნია ავტომობილის მესაკუთრე და ავტოსერვისის მესაკუთრე, რომლის თანხმობითაც ხდებოდა ღამის საათებში ავტოსერვისის გამოყენება ავტოსადგომად. სწორედ მას დაეკისრა ზიანის ანაზღაურება მოპარული ავტომობილისათვის და არა დარაჯს, რომელიც უშუალოდ ახორციელებდა კონტროლს ავტოსერვისის ტერიტორიაზე<sup>28</sup>. ამის საპირისპიროდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილებით, მიუხედავად იმისა, რომ მიზარებული ავტომობილი გაჩერებული იყო სააქციო საზოგადოების კუთვნილ ტერიტორიაზე, ავტომობილის გატაცების გამო ზიანის ანაზღაურება დაეკისრა დარაჯს, რადგან სააქციო საზოგადოების ტერიტორიაზე ღამის საათებში ავტომანქანების მიღება და მათი მეთვალყურეობა შეთანხმებული არ ყოფილა ქარხნის ადმინისტრაციასთან<sup>29</sup>.

ამდენად მიზარებისა და უზრალო მეთვალყურეობის ერთმანეთისაგან გამიჯვნა ყოველთვის მარტივი არ არის. სწორედ ამით აიხსნება განსხვავებული სასამართლო პრაქტიკა<sup>30</sup>.

**2. პირუტყვის მიზარება.** ხელშეკრულება, რომლითაც პირი, ანაზღაურების სანაცვლოდ იღებს პირუტყვის მოვლა პატრონობის ვალდებულებას, (მაგ. ცხვრის

---

<sup>27</sup> შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლო, ას-938-1217-05, განჩინება, 21.07.2006.

<sup>28</sup> შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლო, ას-900-1178-06, განჩინება, 20.07.2006.

<sup>29</sup> შეად. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, N2/4797-06, 22.02.2007.

<sup>30</sup> შეად. საფრანგეთის სასამართლოს პრაქტიკა, აეროპორტის პარკირების საფასური არის სახელმწიფო-საზოგადოებრივი ქონების პირადი და დროებითი სარგებლობის საფასური, აეროპორტის მხრიდან შენახვის ან მეთვალყურეობის განხორციელების ვალდებულების გარეშე, „ორლის“ აეროპორტის პარკინგის შემთხვევა, Cass. civ.1, 10 mars 1981, Bull.civ. I, n°8, ფრანგული სასამართლო პრაქტიკა ხელშეკრულებას დგომა-გაჩერების შესახებ აიგივებს ქირავნობის ხელშეკრულებასთან, რომელიც არ წარმოშობს შემნახველის არანაირ ვალდებულებას, იქიდან გამომდინარე, რომ ამგვარი შეთანხმების საგანს მხოლოდ კლიენტისათვის განსაზღვრული ადგილით სარგებლობის უფლების გადაცემა წარმოადგენს და რომლისთვისაც იგი განსაზღვრულ საფასურს იხდის, შემთხვევა მოპარული სამგზავრო ავტოფურგონის შესახებ, Cass. civ.1, 3 févr. 1986, Bull.civ. I, n°185; გამონაკლისია, თუკი დამტკიცდება, რომ პარკინგის ან კემპინგის მესაკუთრე, როგორც პროფესიონალი შემნახველი, საკუთარ თავზე იღებდა მოვლისა და შენახვის ვალდებულებას - შემთხვევა პარკინგზე დაყენებული ავტომანქანიდან მაგნიტოფონის მოპარვის შესახებ, Cass. civ.3, 26 oct. 1977, Bull.civ. III, n°362, *Leclerc*, Droit des contrats spéciaux, L.G.D.J., 2007, 454-455.

მიზარება ფერმაში, კვიცის/ცხენის მოთავსება თავლაში, ცხოველის მოთავსება შესაბამის პანსიონში) წარმოადგენს ანაზღაურებად მიზარებას<sup>31</sup>.

**3. საბანკო სეიფი.** მიზარების ხელშეკრულება უნდა განვასხვავოთ საბანკო სეიფით სარგებლობის ხელშეკრულებისგან, რომელიც კლიენტს ბანკში სეიფით სარგებლობის უფლებას აძლევს, ხოლო ბანკი სანაცვლოდ იღებს ამგვარი მომსახურებისათვის განსაზღვრულ საზღაურს. საბანკო დაწესებულებები ამ შემთხვევაში მიმართავენ საბანკო სეიფის ქირავნობის/იჯარის ხელშეკრულებას<sup>32</sup>, თუმცა აღნიშნული უარყოფილ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ იმაზე მითითებით, რომ ამ ხელშეკრულებების ქირავნობის/იჯარის ძირითადი ნიშანი არის ნივთის დამქირავებლის/მოიჯარის სარგებლობის უფლებით მფლობელობაში გადაცემა<sup>33</sup>. საბანკო სეიფზე ბანკი ახორციელებს მეთვალყურეობას და კლიენტისთვის იგი ხელმისაწვდომია მხოლოდ ბანკის თანამშრომლის დახმარებით, რაც ასევე ართულებს ამ ურთიერთობის ქირავნობა/იჯარად კვალიფიკაციას. აღსანიშნავია, რომ ბანკი შემოიფარგლება კლიენტისთვის სეიფის მისაწვდომობის ორგანიზებით, მან არ იცის რა არის შენახვის ობიექტი. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ **სადეპოზიტო სეიფიდან „გამქრალი“ ფულის საქმეზე** ანალოგიით გამოიყენა მიზარების ნორმები და დაადგინა ბანკის პასუხისმგებლობა სეიფში შენახული ნივთების მოპარვის შემთხვევაში იმ პირების მიმართ, რომელთაც სეიფი დაიქირავეს<sup>34</sup>. ამდენად, საბანკო სეიფში შენახვის კონტრაქტი წარმოშობს ბანკისათვის მეთვალყურეობის განსაკუთრებით მკაცრ ვალდებულებას და მათი შენახვისა და მათზე მეთვალყურეობის პასუხისმგებლობის ტვირთი ეკისრება ბანკს. შეიძლება დავასკვნათ, რომ თუკი საბანკო სეიფის მიმართ პრაქტიკაში ქირავნობა წესების გამოყენება ხშირია, იქ მოთავსებულ ნივთებთან მიმართებით, სასამართლო პრაქტიკა მიზარების ხელშეკრულების წესების გამოყენებისაკენ იხრება.

**4. მიზარება გაყიდვის მიზნით,** ნივთის გადაცემის მიზნიდან გამომდინარე, არ შეიძლება გაიგივდეს მიზარებასთან, რადგან იგი არ ისახავს მიზნად ნივთის შენახვის უზუნველყოფას. ეს ხელშეკრულება, რომელსაც ვხვდებით, როგორც კერძო პირებსა და პროფესიონალებს, ასევე პროფესიონალებს შორის, შესაძლოა სხვადასხვაგვარად შეფასდეს, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი ამ ურთიერთობისა არის ის, რომ მთავარი მოქმედება არის გაყიდვა<sup>35</sup>. აქ შესაძლოა რამდენიმე ვარიაცია არსებობდეს: თუკი შენახვა-გაყიდვის შუამავალი თავისუფალია ნივთის გაყიდვის შემთხვევაში ფასის განსაზღვრასთან მიმართებით, რადგან მიმზარებლის მიერ უკვე განსაზღვრულია რა თანხა უნდა მას გაყიდვიდან, ეს შეიძლება შეფასდეს როგორც შუამავლის მიერ განსაზღვრულ ფასად ნივთის შექმნა მისი ხელახალი გაყიდვის პირობით. ამ პირობებში მის საზღაურს

<sup>31</sup> შეად. ფერმაში მიზარებული 14 სული ცხვრისა და 5 სული თხის შემთხვევა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, ას-421-399-2011, განჩინება, 10.05.2011, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლო, ას-368-766-06, განჩინება, 05.03.2007.

<sup>32</sup> შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლო, ას-772-1045-05, გადაწყვეტილება, 05.12.2005, ასევე, 2კ-1608აპ.-07, გადაწყვეტილება, 26.12.2007.

<sup>33</sup> შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლო, ას-772-1045-05 გადაწყვეტილება, 05.12.2005.

<sup>34</sup> შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლო, ას-772-1045-05, გადაწყვეტილება, 05.12.2005.

<sup>35</sup> ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით იხ. *ძლიერიშვილი ზ.*, ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, თბ. 2006, 3-24.

წარმოადგენს განსხვავება გაყიდვის ფასსა და მიმბარებლისათვის მის მიერ გადახდილ ფასს შორის. ამდენად მოქმედება გულისხმობს გაყიდვის უფლების მიცემას, რომელიც ხორციელდება მიმბარებლის სახელით და მისი რწმუნებით. მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც მხარეები წინასწარ თანხმდებიან საზღაურზე ნივთის ახალი შემძენის მიერ გადახდილი თანხის პროცენტის ფორმით. შემთხვევები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს, მაგალითისათვის იპოდრომისათვის გასაყიდად გადაცემული ცხენი, ხელოვანის მიერ გაყიდვის მიზნით გალერისტიკისთვის მინდობილი ნახატი, ავტომანქანის მიბარება ხელსაყრელი შემთხვევისას გასაყიდად გარაჟის მფლობელისათვის ან ავტობაზრობისათვის და ა.შ. კვალიფიკაციისას უმნიშვნელოვანესია იმის დადგენა, საქმე გვაქვს მიბარება-გაყიდვასთან თუ დავალების ხელშეკრულებასთან. ამდენად, მიბარების ხელშეკრულებას არ წარმოადგენს შეთანხმება, რომლის მთავარი მიზანია გადაცემული ნივთის გაყიდვა.

**5. მიბარება და ფართის გამოყოფა.** მიბარების კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, რომ სახეზე იყოს ნივთის შემნახველისათვის ჩაბარება. შემნახველს ნივთის ჩაბარებისას გადაეცემა ამ ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის უფლება. ნივთის გადაცემის მიზანს უნდა წარმოადგენდეს ჩაბარებული ნივთის შენახვა, ხოლო შენახვის მიზანს მისი უკან დაბრუნება<sup>36</sup>. აქედან გამომდინარე მიბარებად არ განიხილება ფართის გამოყოფის (ქირავნობა, იჯარა) შემთხვევები და მხარისათვის ფართის გამოყოფა და ამ ფართით სარგებლობისათვის თანხის გადახდის ფაქტი ცალსახად არ მიუთითებს მხარეთა შორის მიბარების სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის შესახებ<sup>37</sup>.

**6. მიბარება და ნარდობა.** ნარდობის ხელშეკრულების არსებობა არ გამორიცხავს, რომ მენარდეს შემნახველის მოვალეობებიც ეკისრებოდეს, მაგალითად ავტოტექნომსახურების სადგურის მფლობელთან არსებობს ავტომანქანის მიბარების ხელშეკრულებაც, რამდენადაც იგი არის ნარდობის ხელშეკრულების დანამატი, შენახვის თაობაზე დამოუკიდებელი შეთანხმების არარსებობის მიუხედავად. მენარდემ, მიიღო რა ნივთი შესაკეთებლად, ვალდებულია სამუშაოების შესრულებასთან ერთად შეინახოს და შეინარჩუნოს ეს ნივთი შემკვეთის მიერ მის წაღებამდე. თუმცა ნივთის დაზიანების შემთხვევაში პასუხისმგებლობა შეიძლება დაეფუძნოს არა მიბარების ხელშეკრულებას, არამედ ნარდობის ხელშეკრულებას. სხვა მაგალითი: მწვრთნელს ეკისრება ერთდროულად გასაწრთობად მიბარებული ცხენის გაწვრთნისა და მისი საცხოვრებლით უზრუნველყოფაც. თუ ცხოველი დაზიანდება არა წვრთნისას, არამედ მაგალითად თავლაში, მწვრთნელს უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა სასყიდლიანი მიბარების ხელშეკრულებიდან გამომდინარე და შეუძლია პასუხისმგებლობის არიდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანი არ არის დაკავშირებული მის შეცდომასთან<sup>38</sup>.

## V. ხელშეკრულების დადება. სახელშეკრულებო ვალდებულებები

<sup>36</sup> შეად. მიბარებაში ნივთის გადაცემის საბოლოო მიზანი მისი შენახვაა, Dijon, 18 sept., 2008: Juris-Data N370187, Amiens, 8 juin 2004: juris –Data N249894, Méga Code Civile, Dalloz, 2012, Art. 1915, 7, 3272.

<sup>37</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, №ას-496-808-05, განჩინება, 22.12.2005.

<sup>38</sup> იბ. Méga Code Civile, Dalloz, 2012, Art. 1915, 7, 3268-3269.

რომის სამართალში მიბარება განიხილებოდა როგორც რეალური ხელშეკრულება<sup>39</sup>, თუმცა თანამედროვე სამართალში ზოგადი წესების თანახმად მიბარების ხელშეკრულება კონსესუალური ხელშეკრულებად მიიჩნება და წარმოიშობა შეთანხმების მომენტიდან<sup>40</sup>. ხელშეკრულება შესაძლებელია კონკლუდენტურად ნივთის გადაცემით ან სიმბოლურად გასაღების გადაცემით დაიდოს. მაგალითად, ავტომანქანის მიბარება შეიძლება გამომდინარეობდეს შემნახველისათვის გასაღების გადაცემით, მაგალითად, როდესაც პირი უტოვებს ხელოსანს მანქანას სახელოსნოს წინ და გადასცემს გასაღებს. ამის საპირისპიროდ, გასაღების გადაცემის მიუხედავად ნებაყოფლობითი მიბარება არ არსებობს, როდესაც მიბარება გრძელდება მხოლოდ იმ დროის მანძილზე, როდესაც სასტუმროს თანამშრომელი გადააყენებს ავტომობილს სადგომზე<sup>41</sup>. მიბარების ხელშეკრულება **ფორმა თავისუფალია** და მხარეებს შეუძლიათ თავად განსაზღვრონ იგი. ასევე, არ არის სავალდებულო მიმბარებელი აუცილებლად ნივთის მესაკუთრე რომ იყოს. მიბარების ხელშეკრულების დადების შემდეგ მხარეებს წარმოეშობათ ვალდებულებები, კერძოდ, სასყიდლიანი მიბარებისას მიმბარებელს წარმოეშობა საზღაურის გადახდის (775), შემნახველისათვის ნივთის შენახვისათვის გაწეული აუცილებელი ხარჯების (773 I) და ნივთის თვისების გამო შემნახველისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება (769). იგი ვალდებულია დაიბრუნოს ნივთი (771). შემნახველი ვალდებულია განახორციელოს მიბარებული მოძრავი ნივთის შენახვა: უნდა გამოყოს ადგილი ნივთისათვის და იკისროს მისი სათანადო მოვლა<sup>42</sup>. შემნახველის კონტროლი ხორციელდება მთლიან ნივთზე. ცალკეული განსახორციელებელი ქმედებები დამოკიდებულია კონკრეტულ ნივთზე (მაგ. ცხოველების შემთხვევაში შემნახველმა უნდა უზრუნველყოს მათი კვება და გასეირნება). შემნახველის ვალდებულება მოიცავს ნივთის დაცვას განადგურების, დაკარგვისა და დაზიანებისაგან, აგრეთვე ზრუნვას ნივთის შენარჩუნებისათვის. ნივთის დაზიანების ან შემთხვევითი დაღუპვის საფრთხის მატარებელი ჩვეულებრივ არის შემნახველი.

## VI. მტკიცების ტვირთი. სამართლებრივი შედეგები

სასყიდლიანი მიბარების შემთხვევებში ნივთის დაზიანების დროს შემნახველზე ვრცელდება ბრალის პრეზუმფცია, რომელმაც, პასუხისმგებლობისგან გასათავისუფლებლად უნდა დაამტკიცოს, რომ ზიანი არ იყო გამოწვეული მისი

---

<sup>39</sup> იხ. *გარიშვილი მ., ხოფერია მ.*, რომის სამართალი, 2013, 403; ნადარეიშვილი გიორგი, რომის სამოქალაქო სამართალი, თბ. 2009, 97.

<sup>40</sup> შეად. *სუბიტაშვილი დ.*, სკ-ის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, მუხლი 763, 26.

<sup>41</sup> შეად. *Méga Code Civile*, Dalloz, 2012, 3274.

<sup>42</sup> შეად. ძლიერი წვიმის დროს საჯარიმო ავტოსადგომზე დაზიანებული ავტომობილის შემთხვევა, სასამართლომ განსაჯა, რომ როდესაც შემნახველი სპეციალური ავტოსადგომია, იგი ვალდებულია უზრუნველყოს შენახვის აუცილებელი პირობები, გადახუროს ავტოსადგომი და უზრუნველყოს ნივთის დაცვა. იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება №2-14965-12, 26.02.2013.

ბრალეულობით<sup>43</sup>. ამდენად, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ მიმართულებით სრულიად გამართლებულია. საყურადღებოა ასევე, რომ გასაღების გადაცემა (რასაც მოცემულ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი), ან გარდერობის ნომრების გაცემა, უჯრის გასაღების ან თანხის გადახდის მოთხოვნა არის მიზარების ხელშეკრულების მტკიცებულება. მიზარების კლასიკური შეხედულებიდან გამომდინარე, რომლის თანახმადაც, იგი მეგობრის მიერ გაწეული უსასყიდლო სამსახური იყო, მიზარება წარმოადგენდა ცალმხრივ შეთანხმებას, რომელიც ვალდებულებას მხოლოდ შემნახველისათვის წარმოშობდა. თუმცა, სულ უფრო მეტად იკვეთება მიზარების "პროფესიონალიზაცია", რასაც ახლავს გაწეული სამსახურისათვის მისაღები გასამრჯელო. მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხებოდა ბანკის მიერ განხორციელებულ მოქმედებას, რაც ასევე ექცევა „პროფესიული მიზარების“ ქვეშ.

---

<sup>43</sup> შეად. საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკაში პანსიონ „პოლო დე პარიში“ მიზარებულ ცხენთან დაკავშირებული დავა, მიზარებული ცხენი ერთ-ერთ ბოქსში იყო მოთავსებული და მიმზარებელი მისი კვების, მეთვალყურეობისა და მასზე ზრუნვისათვის თანხას იხდიდა. ერთ დღეს იგი პანსიონიდან მოშორებით თავისა და კიდურების არეში მრავლობითი დაზიანებებით იპოვეს. თავდაპირველად მესაკუთრეს უარი ეთქვა ზიანის ანაზღაურებაზე, რადგან მას არ დაუყენებია შემნახველის - ასოციაცია „პოლო დე პარის“ ბრალეულობის საკითხი. საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ გააკრიტიკა საქმის არსებითად გამხილველი სასამართლოები იმის გამო, რომ შემნახველის ბრალეულობის მტკიცების ტვირთი მიმზარებელს დაეკისრა, მაშინ, როცა შემნახველი პასუხისმგებლობისგან მხოლოდ მაშინ უნდა გათავისუფლებულიყო, თუკი დაამტკიცებდა, რომ ზიანის დადგომა მის ბრალეულობას არ გამოუწვევია, Cass. civ.1, 24févr. 1993. Petites Affiches, 22 sept.1993, adde.

## ნათია ჩიტაშვილი\*

პროცენტის დარიცხვის წინაპირობები ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებიდან სესხის ძირითადი თანხის დაფარვამდე. სასესხო ვალდებულების შესრულების პირველადი ვალდებულების მოქმედების პერიოდში გადასახდელი სარგებლისა და ვადის გადაცილების შემდგომ მხარეთა შეთანხმებით დადგენილი პროცენტის/პირგასამტეხლოს ურთიერთმიმართება. ვადაგადაცილების შემდგომ განხორციელებული გადახდების ჩათვლა ძირითადი თანხის, ვადაგადაცილების პროცენტისა თუ მინიმალური საანაზრო პროცენტის ანგარიშში.\*\*

საქმე ას-1701-1685-2011\*\*\*

### გოდერძი კეკუტია ჰაიდარ სურმანიძის წინააღმდეგ\*\*\*\*

*მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტი, თუ კრედიტორს, სხვა საფუძვლიდან გამომდინარე, უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია (სამოქალაქო კოდექსის 403-ე I მუხლი).*

*სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი (სამოქალაქო კოდექსის 623-მუხლი).*

*სესხისათვის მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პროცენტი (სამოქალაქო კოდექსის 625-ე I მუხლი).*

*პირგასამტეხლო - მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა - მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის (სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლი).*

### ფაქტები:

ჰაიდარ სურმანიძემ 2009 წლის 30 ივლისს გოდერძი კეკუტიას ასესხა 50 000 აშშ დოლარი 3 თვის ვადით, ყოველთვიური 5% სარგებლის სანაცვლოდ. გოდერძი კეკუტიამ ჰაიდარს 2010 წლის სექტემბრის ჩათვლით გადაუხადა სარგებელი, ხოლო ამის შემდგომ მას

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი, თსუ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი.

\*\* მაძლობას ვუხდი ჰამბურგის მაქს-პლანკის სახელობის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტს მონიჭებული სტიპენდიისათვის, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი გახდა ინსტიტუტის კვლევითი რესურსების გამოყენებით აღნიშნული პუბლიკაციის მომზადება.

\*\*\* საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

\*\*\*\* გადაწყვეტილების ანალიზისას მხარეთა ნამდვილი ვინაობისა და სახელწოდების ნაცვლად მითითებულია ფსევდო გვარ-სახელი და ორგანიზაციის დასახელება.

სესხი არ დაუბრუნებია და არც სარგებლის გადახდა განხორციელებულა. მხარეთა შორის შეთანხმებული გარიგების პირობების თანახმად, ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში სესხის დაუბრუნებლობის ან სარგებლის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, სესხს დაერიცხებოდა პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0,3%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის ამ საქმესთან დაკავშირებით გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებამდე. ჰაიდარ სურმანიძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში გოდერძი კეკუტიას მიმართ და მოითხოვა სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია.

**მოსარჩელის არგუმენტაციით**, მოპასუხეს უნდა დაეკისროს მის სასარგებლოდ: სესხის ძირითადი თანხა 50000 აშშ დოლარის ოდენობით; სარგებელი 50000 აშშ დოლარის 5% 2010 წლის ოქტომბრის თვიდან სესხის ძირითადი თანხის დაფარვამდე; პირგასამტეხლო სესხის ძირითადი თანხის 50000 აშშ დოლარის 0,15% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 2010 წლის სექტემბრის თვიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა დავალიანების დაფარვის მიზნით მოპასუხის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარეალიზაციოდ მიქცევა.

**მოპასუხის არგუმენტაციით**, რომელმაც სარჩელი ნაწილობრივ - 19 625 აშშ დოლარის ნაწილში ცნო, დამატებით განიმარტა, რომ მოპასუხემ სესხის სახით მიიღო 47 500 აშშ დოლარი, საერთო ჯამში გადახდილი აქვს 27875 აშშ დოლარი, რაც უნდა გამოაკლდეს სესხის ძირითად თანხას. შეთანხმებული პირგასამტეხლოს ოდენობას მოპასუხე არ დაეთანხმა იმ საფუძვლით, რომ ყოველდღიურად 0,15%-ის დაკისრება წარმოადგენს შეუსაბამოდ მაღალ ოდენობას.

მოპასუხის არგუმენტაციით საკასაციო სასამართლოში, მხარეთა შორის გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების 1.2 მუხლის თანახმად, სესხი გაიცა 3 თვის ვადით და სესხის 5%-იანი სარგებლის მოქმედების ვადაც გრძელდებოდა სწორედ 3 თვით - 2009 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით. რადგანაც მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა სესხის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებას, ამ ვადის გასვლის შემდეგ გადახდილი თანხა არ შეიძლება მიჩნეულ იქნას საპროცენტო სარგებლად და ის უნდა გამოაკლდეს სესხის ძირითად თანხას. სესხის ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადების გამო, მისი მოქმედების გაგრძელებისას დაცული უნდა ყოფილიყო ძირითადი ხელშეკრულების ფორმაც, რაც საქმის მასალებით არ დასტურდება და ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებას, ხელშეკრულების 6.1. მუხლის შესაბამისად ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებულად მიჩნევის თაობაზე, დაუსაბუთებელს ხდის. საწინააღმდეგო შემთხვევაშიც კი, ხელშეკრულების ზემოაღნიშნული დათქმიდან გამომდინარე, აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების მაქსიმალური ვადა 4 თვეს წარმოადგენს, სასამართლოს ლოგიკით კი ეს ვადა მხარეთა ნების საწინააღმდეგოდ გაგრძელდა 1 თვეზე მეტი ვადით. ამდენად, ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ გაწეული ხარჯები უნდა მოხმარებოდა ძირითადი ვალის დაფარვასა და პირგასამტეხლოს გადახდას.

## სასამართლო გადაწყვეტილება

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 16 მარტის გადაწყვეტილებით, ჰაიდარ სურმანიძის სარჩელი თანხის დაკისრებისა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შესახებ, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხე გოდერძი კეკუტიას ჰაიდარ სურმანიძის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა სესხის ძირითადი თანხა 50000 აშშ დოლარი. გოდერძი კეკუტიას მოსარჩელის სასარგებლოდ ასევე დაეკისრა სარგებლის - 50000 აშშ დოლარის 5%-ის გადახდა 2010 წლის ოქტომბრის თვიდან, სესხის ძირითადი თანხის დაფარვამდე. ასევე, გოდერძი კეკუტიას ჰაიდარ სურმანიძის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა 90 დღის პირგასამტეხლო 0.03%, დავალიანების დაფარვის მიზნით სარეალიზაციოდ მიექცა კეკუტიას საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარე ქ.თბილისში.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ 50000 აშშ დოლარის გადახდის, 2010 წლის ოქტომბრის თვიდან 50000 აშშ დოლარიდან თანხის საბოლოო გადახდამდე 5%-ის დაკისრების, იპოთეკის საგნის სარეალიზაციოდ მიქცევის და სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში. ამასთან, მოსარჩელემ მოითხოვა მისთვის 23148 აშშ დოლარის დაკისრება, საიდანაც ძირითადი თანხა უნდა დაკისრებოდა მხოლოდ 19625 აშშ დოლარის ოდენობით.

სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება სესხის ძირითადი თანხის სახით 27875 აშშ დოლარის გადახდის თაობაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილისა და 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. სასამართლომ, სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ასევე არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ სესხის ძირითადი თანხის - 27875 აშშ დოლარის გადახდის შესახებ გოდერძი კეკუტიას მიერ ფულადი ვალდებულების (ძირითადი თანხის გადახდის) ნაწილობრივ შესრულების დამადასტურებელი, კრედიტორის მიერ შესრულების მიღების მტკიცებულების წარუდგენლობის გამო.

პალატამ მიუთითა 2009 წლის 30 ივლისის ხელშეკრულების 6.1. პუნქტზე, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების 1 თვის ვადით გაგრძელების თაობაზე, და განმარტა, რომ ხელშეკრულების ვადის გაგრძელება არ იყო დამოკიდებული დამატებით მხარეთა წერილობით შეთანხმებაზე.

სასამართლოს დასკვნით, 2009 წლის 30 ივლისიდან 2010 წლის 30 სექტემბრამდე მსესხებლის მიერ ყოველთვიურად გადახდილი თანხა 2500 აშშ დოლარის ოდენობით, სრულად შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლის ოდენობას, კერძოდ, სესხის სახით გაცემული თანხის 5%-ს, რაც პალატის აზრით, კიდევ ერთხელ ადასტურებს მსესხებლის მიერ 27875 აშშ დოლარის გადახდას სწორედ სარგებლის სახით და არა შეთანხმებას, სესხის ძირითადი თანხის ნაწილ- ნაწილ დაფარვის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით, გოდერძი კეკუტიას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, მოცემულ საქმეზე უცვლელად იქნა დატოვებული საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

სააკუელი პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გოდერძი კეკუტიამ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდება ნაწილობრივ, კერძოდ კეკუტიას დაეკისრება 22125 აშშ დოლარის გადახდა.

სესხის ხელშეკრულების 1.3 მუხლისა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მე-4 პუნქტით განსაზღვრული პირგასამტეხლოს ოდენობის გათვალისწინებით (მხარეს პირგასამტეხლო დაეკისრა მხოლოდ 90 დღისათვის, რაც არცერთ მათგანს არ გაუსაჩივრებია) დასტურდება, რომ კასატორს სულ პირგასამტეხლო გადასახდელი აქვს 1350 აშშ დოლარი, ამ თანხის ზევით განხორციელებული ყოველი შესრულება მიჩნეულ უნდა იქნას ძირითადი თანხის გადახდად. საბანკო კრედიტთან მიმართებით დადგენილია, რომ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისას მოვალეს შეიძლება დაერიცხოს მხოლოდ პირგასამტეხლო და არა სარგებელი, რაც დაუსაბუთებელს ხდის ქვემდგომი სასამართლოების დასკვნას ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 დეკემბრის განჩინებით გოდერძი კეკუტიას საკასაციო საჩივარი 1023 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში დარჩა განუხილველად, ხოლო ამავე პალატის 2012 წლის 17 იანვრის განჩინებით დანარჩენ ნაწილში საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

## ანალიზი

აღნიშნული გადაწყვეტილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის გამოყენების სამართლებრივი წინაპირობების განმარტების თვალსაზრისით. ხსენებული მუხლის მოქმედების სფერო ფართოა და მოიცავს ფულადი ვალდებულებით განსაზღვრულ ნებისმიერი სახელშეკრულებო კონსტრუქციის რეჟიმს, რაც განაპირობებს ნორმის ერთგვაროვანი განმარტების დამკვიდრების აუცილებლობას სასამართლო პრაქტიკაში.

სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის ერთგვაროვანი განმარტება მნიშვნელოვანია სამართლებრივი წესრიგისა და სამოქალაქო ბრუნვის ეკონომიკური სტაბილურობისათვის, რამეთუ ურთიერთსაწინააღმდეგო მიდგომები ნორმის გამოყენების საფუძვლებთან მიმართებით ფულადი ვალდებულებების სფეროში არსებითად განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს აღმოაჩენებს.

სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზი უმთავრესად შესაძლებელია შემდეგი საკითხების ირგვლივ განხორციელდეს: I. ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი. II. მხარეთა ნების განმარტება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებასა და სესხზე სარგებლის დარიცხვასთან მიმართებით. III. ვადის გადაცილების შემდგომ გადახდილი თანხის ჩათვლა ძირითადი სესხის, მინიმალური საანაზრო პროცენტისა ან/და ვადის გადაცილებისათვის განსაზღვრული პროცენტის/პირგასატეხლოს ანგარიშში. IV. სესხისათვის სარგებლის დარიცხვის (625-ე მუხლი) სამართლებრივი წინაპირობები. V. ფულადი თანხის ვადის გადაცილების პროცენტზე დამოუკიდებელი შეთანხმების

**აუცილებლობა და სარგებლის სახით განსაზღვრული პროცენტის გავრცელება (პრეზუმირება) ვადის გადაცილების პერიოდზე.**

### **I. ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი**

საკასაციო სასამართლომ მიუთითა სახელშეკრულებო ვალდებულებიდან გამომდინარე სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებით მხარეთა მტკიცების ტვირთზე და განმარტა შემდეგი: საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების დაუდასტურებლობის შემთხვევაში, სასამართლომ უნდა განსაზღვროს, თუ რომელ მხარეს ეკისრება ამ ფაქტის მტკიცების ტვირთი და ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დააკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა. ამასთან, სასამართლოს განმარტებით, მხარეებს შორის, მტკიცების ტვირთი განაწილებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს დაეკისროთ იმ ფაქტების მტკიცება, რაც მათთვის ობიექტურად შესაძლებელია. პალატის მოსაზრებით, ვალდებულების შესრულება შესაგებლის საფუძველია და პოზიტიურად მტკიცების ფაქტის (მაგალითად, მოცემულ შემთხვევაში - სესხის ძირითადი თანხის დაფარვის) დადასტურება ეკისრება მოპასუხეს.

სამოქალაქო საპროცესო სამართალში არსებობს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტის თანახმად, მტკიცების ტვირთი უნდა განაწილდეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცება, რომელთა არსებობის დასაბუთება მათთვის უფრო მარტივი და ობიექტურად შესაძლებელია. მაგალითად, სამოქალაქო სამართალური თეორიაში მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტის მტკიცების ტვირთი გამსესხებელს ეკისრება.<sup>1</sup> ხოლო მსესხებელს შესაბამისად უნდა დაეკისროს ვალდებულების შესრულების მტკიცების მოვალეობა, როგორც მისი კონტროლის სფეროდან გამომავალი მოქმედებისა.

სააპელაციო სასამართლომ, სამოქალაქო კოდექსის 429-ე I მუხლის თანახმად, არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ სესხის ძირითადი თანხის - 27875 აშშ დოლარის გადახდის შესახებ გოდერძი კეკუტიას მიერ ფულადი ვალდებულების (ძირითადი თანხის გადახდის) ნაწილობრივ შესრულების დამადასტურებელი, კრედიტორის მიერ შესრულების მიღების მტკიცებულების წარუდგენლობის გამო. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სესხის ძირითადი თანხის გადახდის მტკიცებულების არსებობა არ არის მხარეთა მიერ დადასტურებული. აღნიშნულ განმარტებასთან დაკავშირებით შეიძლება იმ კომენტარის გაკეთება, რომ მოცემულ შემთხვევაში მთავარია დადგინდეს, რომ მხარეთა ნებით ერთი თვით არ მომხდარა ხელშეკრულების ვადის გაგრძელება. თუ აღნიშნული დადასტურდება, მაშინ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ განხორციელებული გადახდა სახელშეკრულებო სამართლიანობისა და შესრულების მიზნობრიობის გათვალისწინებით

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: ას-711-670-2011.

უნდა ჩაითვალოს ძირითადი თანხის გადახდის ანგარიშში. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა ხელშეკრულების ვადის გაგრძელების საკითხზე მხარეთა ნების განმარტების გზით დადგენას გულისხმობს.

## **II. მხარეთა ნების განმარტება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებასა და სესხზე სარგებლის დარიცხვასთან მიმართებით**

მხარეთა ნების არსებობის ვარაუდი ხელშეკრულების ვადის გაგრძელებასთან მიმართებით ვერ დაემყარება მხოლოდ იმ ფაქტს, რომ 2009 წლის 30 ივლისიდან 2010 წლის 30 სექტემბრამდე მსესხებლის მიერ ყოველთვიურად გადახდილი თანხა 2500 აშშ დოლარის ოდენობით, სრულად შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლის ოდენობას, კერძოდ, სესხის სახით გაცემული თანხის 5%-ს.

აღნიშნული არ შეიძლება ქმნიდეს ხელშეკრულების გაგრძელებულად განმარტების სამართლებრივ საფუძველს და მსესხებლის მიერ 27875 აშშ დოლარის გადახდას სწორედ სარგებლის სახით. პირიქით, ხელშეკრულების ვადის გაგრძელების თაობაზე შეთანხმების არარსებობის პირობებში, აღნიშნული გადახდა **გონივრულობის საფუძველზე სწორედაც რომ უნდა ასაბუთებდეს შეთანხმებას, მხარეთა ნებას სესხის ძირითადი თანხის ნაწილ-ნაწილ დაფარვის თაობაზე.**

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხის ანდა რაოდენობის ნივთი. საქმის მასალებით დადგენილია, რომ გოდერძი კეკუტიასთან 2009 წლის 30 ივლისს დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე, მსესხებელმა მიიღო 50000 აშშ დოლარი, სამი თვის ვადით. საქმეში წარმოდგენილი სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების 6.1. პუნქტის მიხედვით, მხარეები თანხმდებიან, რომ თუკი მსესხებელი დროულად გადაიხდის სარგებელს, აღნიშნული ხელშეკრულება შეიძლება გაგრძელდეს 1 (ერთი) თვის ვადით იმავე პირობებით. აღნიშნული ფორმულირება ითვალისწინებს სარგებლის დროულად გადახდის შემთხვევაში, ხელშეკრულების გაგრძელების შესაძლებლობას მხარეთა ნების არსებობის შემთხვევაში და არა გარიგების ვადის ავტომატურ განახლებას. სარგებლის დროული გადახდა მოცემული სახელშეკრულებო დათქმიდან გამომდინარე ხელშეკრულების ვადის გაგრძელების სამართლებრივ შედეგს ავტომატურად არ იწვევს, არამედ მისი მოთხოვნის წინაპირობად არის დადგენილი.

ამასთან, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნას დადასტურებული ეს ფაქტები. როგორც სარჩელში მითითებული ფაქტობრივი საფუძველების, ასევე სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელის მიერ გაკეთებული ახსნა-განმარტებების ანალიზით დგინდება,

მოსარჩელე არსად უთითებს, რომ გამსესხებელი და მსესხებელი შეთანხმდნენ ხელშეკრულების დამატებით ერთი თვით გაგრძელებაზე. აქედან გამომდინარე, კასატორის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მხარეებს შორის დადებული გარიგების მოქმედების ვადა სამი თვის შემდგომ არ გაგრძელებულა, საფუძვლიანად იქნა გაზიარებული სასამართლოს მიერ.

### **III. ვადის გადაცილების შემდგომ გადახდილი თანხის ჩათვლა ძირითადი სესხის, მინიმალური საანაზრო პროცენტისა ან/და ვადის გადაცილებისათვის განსაზღვრული პროცენტის/პირგასატეხლოს ანგარიშში**

საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ვლინდება, რომ მოპასუხე გოდერძი კეკუტიას მოსარჩელის მიმართ ეკისრებოდა ფულადი თანხის გადახდის ვალდებულება. სააპელაციო პალატას არ დაუდგენია ის ფაქტი, რომ მხარეები შეთანხმდნენ ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის რაიმე პროცენტზე, მითუმეტეს რომ ამგვარი ფაქტი არც მოსარჩელეს მიუთითებია სარჩელის ფაქტობრივ საფუძვლებში. შესაბამისად, სესხის მოქმედების ვადაში გათვალისწინებული სარგებლის პროცენტზე შეთანხმება ვერ გამოდგება სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად.<sup>2</sup> ამდენად მოსარჩელის მოთხოვნა, რომ მოპასუხეს დაეკისროს მის სასარგებლოდ სარგებელი, 50000 აშშ დოლარის 5% 2010 წლის ოქტომბრის თვიდან სესხის ძირითადი თანხის დაფარვამდე, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა ამ ნაწილში წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია.

სასარჩელო მოთხოვნათა შინაარსიდან ნათელია, რომ მოსარჩელე არ დავობს ხელშეკრულების მოქმედების ვადაში (2009 წლის 30 ივლისიდან 2009 წლის 30 ოქტომბრამდე პერიოდი) გადასახდელი სარგებლის თაობაზე, არამედ ითხოვს სარგებლის დარიცხვას 2010 წლის ოქტომბრის თვიდან სესხის ძირითადი თანხის დაფარვამდე. ამასთან, გაზიარებულ იქნა კასატორის პრეტენზია იმის შესახებ, რომ მოსარჩელეს არ აქვს უფლება ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მოითხოვოს სარგებელი. მოსარჩელე არ შედავებია მოპასუხის იმ პოზიციას, სადაც ეს უკანასკნელი მიუთითებდა, რომ სამი თვის შემდეგ ყოველთვიურად იხდიდა 2500 აშშ დოლარს და ჯამში გადახდილი აქვს 27875 აშშ დოლარი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სესხის ძირითადი თანხის ნაწილში მოპასუხისათვის დასაკისრებელი თანხა უნდა განისაზღვროს (50000-27875) 22125 აშშ დოლარით.

საკასაციო პალატის განსახილველი გადაწყვეტილებით, გაზიარებულ იქნა მხარის მოთხოვნა და ვადაგადაცილების შემდგომ განხორციელებული გადახდა ჩაითვალა სესხის ძირითადი თანხის დაფარვის ანგარიშში. ანალოგიური მიდგომა წარმოჩენილია ერთ-ერთ

---

<sup>2</sup> სარგებლის განსაზღვრა ხელშეკრულების მოქმედების მონაკვეთში არ გულისხმობს პროცენტის სახით მის უპირობო გავრცელებას ვადაგადაცილების შემდგომ პერიოდზე. აღნიშნულ საკითხზე იხილეთ ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: #ას-1092-1023-2012.

უახლეს გადაწყვეტილებაში,<sup>3</sup> სადაც სასამართლო განმარტავს: ნებისმიერი გადახდა, რომელიც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ ფიქსირდება, სესხის ძირითადი თანხის დაფარვას ემსახურება და, შესაბამისად, მითითებული გადახდები სესხის ძირითად თანხას აკლდება.

ვადაგადაცილებული პერიოდისათვის სესხის პროცენტზე დამოუკიდებელი, სპეციალური შეთანხმების არარსებობის პირობებში, კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, გამართლებულია გადახდილი თანხის ძირითადი სესხის ანგარიშში ჩათვლა, თუმცა ვფიქრობთ, რომ აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ პრეზუმირებული მინიმალური საანაბრო პროცენტის გამოკლებით, რომელიც მხარისათვის მინიმალური და უპირობო ზიანია ვადაგადაცილებული პერიოდისათვის. სხვა შემთხვევაში თუ ვადაგადაცილების შემდგომ განხორციელებული ნებისმიერი გადახდა სრულად ძირითადი თანხის ანგარიშში ჩაითვლება საანაბრო პროცენტის გამოკლების გარეშე, აღნიშნული ვადაგადაცილების შემდგომ კრედიტორის მიერ ფულადი თანხებით უპროცენტო სარგებლობის მართლზომიერების აღიარებას ნიშნავს, რაც სამართლიანობისა და ეკონომიკური თანასწორობის პრინციპების რღვევას განაპირობებს. აღნიშნული გამოიწვევს ვალის დაფარვის უპროცენტო განაწილვადებას მინიმალური საანაბრო ზიანის დაკისრების გარეშე.

თუ მხარეთა მიერ ვადაგადაცილების პერიოდისათვის შეთანხმებით დადგენილია პროცენტის გადახდის ვალდებულება, მაშინ ვადის გადაცილების შემდგომ განხორციელებული გადახდიდან სესხის ძირითადი თანხის დაფარვა უნდა მოხდეს შეთანხმებული პროცენტის გამოქვითვით, ვინაიდან ფულადი თანხა, როგორც სესხის დაფარული ნაწილი, კვლავ გამსესხებლის სარგებლობაში ბრუნდება. აღნიშნული კი გამორიცხავს პროცენტის დარიცხვის მოთხოვნის არსებობას, რომელიც არამესაკუთრის მიერ ფულადი თანხის დროებით სარგებლობისათვის განისაზღვრება.

#### **IV. სესხისათვის სარგებლის დარიცხვის (625-ე მუხლი) სამართლებრივი წინაპირობები**

სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მიხედვით, სესხისათვის მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნას პროცენტი. აღნიშნულიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ სარგებლის დადგენა ხორციელდება უშუალოდ სესხით სარგებლობისათვის და არა სესხიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევისათვის.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ 2009 წლის 30 ივლისს მხარეებს შორის დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება სასყიდლიანი იყო, კერძოდ, ყოველთვიური სარგებელი განისაზღვრა სესხის ძირითადი თანხის, 50000 აშშ დოლარის 5%-ით. საქმეში წარმოდგენილი სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების 1.2. პუნქტის მიხედვით, სულ სესხი და სამი თვის სარგებლით

---

<sup>3</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: # ას 992-650-2013.

დასაბრუნებელი თანხა შეადგენს 57500 აშშ დოლარს. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მართებულად განიხილავს კასატორის პოზიციას იმის შესახებ, რომ სარგებლის მოქმედება შეიძლებოდა გაგრძელებულიყო სამი თვის განმავლობაში. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მსესხებლის მიერ 2010 წლის 30 სექტემბრამდე ყოველთვიურად გადახდილი თანხა 2500 აშშ დოლარის ოდენობით სრულად შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლის ოდენობას (5%-ს), რაც ადასტურებს 27875 აშშ დოლარის სარგებლის სახით გადახდას, არ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის დისპოზიციიდან.

საკასაციო პალატის განხილვის უმთავრესი საგანი იყო მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ სესხის ძირითადი თანხისა და სარგებლის დარიცხვის კანონიერება. აღნიშნული გადაწყვეტილებით მკაფიოდ გაიმიჯნა სამოქალაქო კოდექსის 625-ე და 403-ე მუხლების გამოყენების საფუძვლები. კერძოდ, სესხისათვის გათვალისწინებული სარგებლის გადახდა ვრცელდება მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებზე და უკავშირდება ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულების არსებობის პერიოდს.

საკასაციო პალატა აბსოლუტურად სწორად განმარტავს, რომ სარგებლის გადახდის ვალდებულება, რომელიც მხარეებმა გაითვალისწინეს სესხის ხელშეკრულებისათვის, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში. ამრიგად, ხელშეკრულების მოქმედების ვადაში გადასახდელი პროცენტი ის მოგებაა, რომელიც განსაზღვრულია სხვისი ფულადი თანხით დროებითი სარგებლობისათვის.

#### V. ფულადი თანხის ვადის გადაცილების პროცენტზე დამოუკიდებელი შეთანხმების აუცილებლობა და სარგებლის სახით განსაზღვრული პროცენტის გავრცელება (პრეზუმირება) ვადის გადაცილების პერიოდზე

საკასაციო პალატა, სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის შემადგენლობის შემოწმების მიზნით, აღნიშნავს შემდეგს: მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული პროცენტი, თუ კრედიტორს სხვა საფუძვლებიდან გამომდინარე, უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია.<sup>4</sup> სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტი, რომელიც თავისი შინაარსით სარგებელია, განსხვავდება 403-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტისაგან, რომელიც ის ზიანია, რაც განიცადა კრედიტორმა ფულადი თანხის გადახდის ვალდებულების დარღვევის გამო. ამასთან, 403-ე მუხლით სარჩელის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა: მოვალეს შესასრულებელი უნდა ჰქონდეს ფულადი ვალდებულება; ფულადი ვალდებულების შესრულების ვადა უნდა იყოს დარღვეული; უნდა არსებობდეს ცალკე შეთანხმება პროცენტის თაობაზე უშუალოდ ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის.

<sup>4</sup> საქართველოს 2007 წლის 29 ივნისის #5127 - სსმ I კანონი, #27, 17.07.2007.

აღნიშნული განმარტებით, უზენაესმა სასამართლომ დაადგინა მხარეთა დამოუკიდებელი შეთანხმების სავალდებულოება ვადაგადაცილების პერიოდისათვის გამოსაყენებელი საპროცენტო განაკვეთის ოდენობაზე და ამით გამოიციხა სახელშეკრულებო ვადაში მოქმედი სარგებლის პროცენტის სახით ავტომატური, ნაგულისხმევი გავრცელება ვადაგადაცილებული დროის მონაკვეთზე.

სასამართლოს აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ ხელშეკრულებოს მოქმედების ვადაში განსაზღვრული პროცენტი არ შეიძლება ჰიპოთეტურად არსებულ პრეზუმირებულ ზიანად იქნეს მიჩნეული ვადაგადაცილებული პერიოდისთვის, თუ აღნიშნული მხარეთა ნებით არ არის აღიარებული წინასწარი სახელშეკრულებო შეთანხმებით. თუმცა, ამ შემთხვევაში მინიმალური საანაზრე პროცენტის მოთხოვნის უფლება ხელშეუხებელი რჩება, სპეციალური შეთანხმების არარსებობის პირობებში საანაზრე პროცენტის სახით ზიანის მტკიცების აუცილებლობის გარეშე.

ამრიგად, სასამართლო გადაწყვეტილებიდან გამომდინარე შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ მხოლოდ მინიმალური საანაზრე პროცენტი შესაძლებელია იყოს პრეზუმირებული იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულებაში არ არის გამოხატული მხარეთა ნება ვადის გადაცილების პროცენტთან დაკავშირებით. აღნიშნულ დასკვნას კიდევ უფრო ამყარებს სასამართლო პრაქტიკაში არსებული მიდგომა ვადის გადაცილებით გამოწვეულ ზიანთან დაკავშირებით. კერძოდ, ერთ-ერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: სამოქალაქო კოდექსის 411-ე და 412-ე მუხლების შესაბამისად, ზიანის მიყენების ფაქტისა და ზიანის ოდენობის შეფასება განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება, როცა საქმე ეხება ფულად ვალდებულებას. ამგვარი დამოკიდებულება განპირობებულია ფულის განსაკუთრებული თვისებებით, კერძოდ, სცილდევანარიანობის მაღალი ხარისხი ყველა შემთხვევაში ანიჭებს ფულს სარგებლის მოტანის უნარს. ფული ყოველთვის წარმოადგენს შემოსავლის წყაროს, ვინაიდან შეუძლია, შესძინოს მესაკუთრეს არა მხოლოდ მისთვის სასურველი ქონება, არამედ გარკვეული პერიოდული შემოსავალი საბანკო პროცენტის სახით. ამგვარად, ფულადი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება კრედიტორს ყოველთვის აყენებს ზიანს და სხვაგვარი ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისგან განსხვავებით, განსაკუთრებული მტკიცება არ სჭირდება არც ზიანის მიყენების ფაქტის და არც მისი ოდენობის დადგენას.<sup>5</sup>

მსგავსად, სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნა დააკმაყოფილა შემდეგი დასაბუთებით: რომ არა მოპასუხის მიერ განხორციელებული არამართლზომიერი ქმედება (თანხის დაკავება), მოსარჩელე თანხის შეგროვებად ანაზარზე განთავსებით მიიღებდა საპროცენტო სარგებელს.<sup>6</sup> მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება არ ყოფილა მოტივირებული მხარის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებებით, რომელიც ამგვარი ზიანის არსებობას დაადასტურებდა. მხარის მოთხოვნა და სასამართლო გადაწყვეტილება ეფუძნებოდა

<sup>5</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-254-241-2015.

<sup>6</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: №2ბ/873-12.

პრეზუმფციას, რომ იმთავითვე შესაძლებელია ფულის, როგორც ბრუნვაუნარიანი ობიექტისაგან, სარგებლის მიღება.

მსგავს მიდგომას ავითარებს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება<sup>7</sup>, საიდანაც გამომდინარეობს რომ ფულის, როგორც ბრუნვაუნარიანი ობიექტის, არამართლზომიერი დაყოვნება იმთავითვე საანაბრე სარგებლის დაკარგვას უთანაბრდება, რომელიც მიუღებელი შემოსავლის სახით ანაზღაურებას ექვემდებარება ზიანის არსებობის მტკიცების გარეშე. თუ ზიანი მინიმალურ საანაბრე პროცენტს აღემატება, მაშინ ბუნებრივია, ზიანის არსებობის მტკიცების მოთხოვნა კვლავ დღის წესრიგში დგება.<sup>8</sup> აღნიშნული დაშვება რა თქმა უნდა არ გულისხმობს სახელშეკრულებო სარგებლის ავტომატურ გავრცელებას ვადაგადაცილების პერიოდზე სათანადო შეთანხმების არსებობის მიუხედავად.

სრულად გასაზიარებელია უზენაესი სასამართლოს განსახილველი გადაწყვეტილებით<sup>9</sup> დამკვიდრებული განმარტება, რადგან გამსესხებლის მიერ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გათვალისწინებული სახელშეკრულებო სარგებლის იდენტური პროცენტით თანხის გასესხების შესაძლებლობა არ შეიძლება იყოს პრეზუმირებული, მითუმეტეს გამსესხებელი ფიზიკური პირის პირობებში. საკრედიტო დაწესებულების შემთხვევაში კი სასესხო ვალუტის გამოყენებისა და მოგების მიღების ობიექტური შესაძლებლობა არსებობს,<sup>10</sup> რაც პირველადი სახელშეკრულებო რეჟიმის ფარგლებში განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთის ტოლფასია და ბუნებრივია, აღემატება მინიმალურ საანაბრე პროცენტს. ვადის გადაცილების პროცენტზე დამოუკიდებელი შეთანხმება მოვალისათვის მისი შეცნობადობისა და სავარაუდოობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი მოთხოვნა უნდა იყოს. მართალია, შედეგობრივად, ვადაგადაცილებისთვის (ვალდებულების დარღვევისათვის) უფრო ნაკლები ოდენობის ზიანის - მინიმალური საანაბრო პროცენტის პრეზუმირება ხდება, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში სესხის სარგებლობისათვის გათვალისწინებულ პროცენტთან შედარებით, მაგრამ აღნიშნული არ შეიძლება სამართლიანობის თვალსაზრისით რაიმე წინააღმდეგობას წარმოშობდეს, რადგან უფრო დიდი მოცულობის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ხელშეუვალია სათანადო მტკიცებულებების არსებობისას. კერძოდ, სესხის ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტის არსებობა არ გამორიცხავს ფაქტობრივად დამდგარი ზიანის დაკისრების შესაძლებლობას, თუ სახეზე იქნება ზიანის ანაზღაურების ზოგადი სამართლებრივი წინაპირობები. აღნიშნული ზიანი შეიძლება წარმოიშვას მაგალითად, თუ სასესხო ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებამ განაპირობა

<sup>7</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-828-786-2013.

<sup>8</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-848-806-2013. იხ. ასევე, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 288-ე და 289-ე პარაგრაფები.

<sup>9</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: #ას-1701-1685-2011.

<sup>10</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: #ას-1385-1307-2012.

კრედიტორისათვის ზიანის მიყენება მაგალითად, მიუღებელი შემოსავლის სახით. ორმაგი ზიანის არსებობის შემთხვევაში უდიდესი ზიანის ჩათვლის წესი იქნება გამოყენებული.

პირგასამტეხლოს დანიშნულებაა ვალდებულების დარღვევის მინიმალური ზიანის ანგარიშში პირგასამტეხლოს თანხის ჩათვლა. ფუნქციური დანიშნულებით, მინიმალური ზიანი არ წარმოადგენს ფაქტობრივად დამდგარი ზიანის სრულ ანაზღაურებას, არამედ ესაა თანხა, რომელიც უზრუნველყოფს კრედიტორის მოთხოვნის მინიმალურ დაკმაყოფილებას, სწორედ ამიტაა გამართლებული პირგასამტეხლოს სახელშეკრულებო ბუნება, ანუ პირგასამტეხლოს დაკისრებისათვის სავალდებულოა მხარეთა მიერ შესაბამისი ფორმით შეთანხმების მიღწევა, რაც რეგულირებულია სამოქალაქო კოდექსის 418-ე II მუხლით.<sup>11</sup>

სახელშეკრულებო სარგებლისა და ვადაგადაცილების პროცენტის სამართლებრივი კატეგორიების გამიჯვნა, იმთავითვე გულისხმობს შესაბამისი მოთხოვნის საფუძვლების დიფერენცირებას. კერძოდ, 625-ე მუხლი ხელშეკრულების მოქმედების ვადაში განსაზღვრული სარგებლის, პირველადი სახელშეკრულებო მოთხოვნის საფუძველია, ხოლო 403-ე მუხლი - ვადაგადაცილებული პერიოდისათვის ხელშეკრულებით შეთანხმებული პროცენტისა.

ვადის გადაცილების შემდგომ სარგებლის კატეგორიას ენაცვლება პროცენტი ან/და პირგასამტეხლო. მნიშვნელოვანია, რომ პროცენტისა და პირგასამტეხლოს ერთდროული გათვალისწინება შესაძლებელია განხორციელდეს, თუ კრედიტორის მიზანია პირგასამტეხლოს სახით დღიური და პროცენტის სახით თვიური გადასახდელის კუმულაციური განსაზღვრა. ამიტომ ვადაგადაცილებისათვის განსაზღვრული პროცენტი ობიექტურად დამდგარი ზიანის კრიტერიუმებით არ განისაზღვრება და პირგასამტეხლოს მსგავსად, „ზიანის არსებობის მტკიცების ვალდებულებას არ ითვალისწინებს“. მათი გათვალისწინება ხელშეკრულებაში არა მხოლოდ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფას, არამედ ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მხარის სანქცირებას ემსახურება.<sup>12</sup> მართალია, როგორც პირგასამტეხლოს, ისე პროცენტის გამოსახვა თანხობრივი ფორმით ხორციელდება, მაგრამ მათი გამიჯვნის კრიტერიუმი დარიცხვის პერიოდულობაა (დღიური/თვიური შესაბამისად). როგორც ვადის გადაცილების პროცენტის, ისე პირგასამტეხლოს ოდენობა ექვემდებარება მოდიფიცირებას სახელშეკრულებო სამართლიანობის, გონივრულობისა და წონასწარობის პრინციპების შესაბამისად. ამასთან, ფაქტობრივად დამდგარი ზიანი საერთო წესებით ანაზღაურდება იმ სხვაობით, რითაც იგი აღემატება ვადაგადაცილებისათვის განსაზღვრულ პროცენტს ან/და პირგასამტეხლოს.<sup>13</sup>

<sup>11</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-794-759-2014.

<sup>12</sup> *Campbell D.*, Remedies for International Sellers of Goods [2009], Vol. II, Yorkhill Law Publishing, LTU 14-15.

<sup>13</sup> ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საკითხებზე დეტალურად იხილეთ: *Stannard J.E.*, Delay in the Performance of Contractual Obligations, Oxford University Press, Belfast, 2007, 211-293.

## ნათია ჩიტაშვილი\*

მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის განსაზღვრის სამართლებრივი კრიტერიუმები. ხელშეკრულების საფუძველად განსაზღვრული სახელშეკრულებო ინტერესის განუხორციელებლობა, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი წინაპირობა. ბანკიდან მიღებული სესხის პროცენტის ზიანად შეფასების პრობლემატიკა. ფულადი ვალდებულების შესრულება. მიუღებელი შემოსავლისა და ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული შესრულებით მოვალის მიერ მიღებული სარგებლის ერთდროულად დაკმაყოფილების დასაშვებობა.\*\*

### საქმე №ას-459-438-2015\*\*\*

#### შპს „მოდელ ჰაუსი“ შპს „ნიუ ბილდერის“ წინააღმდეგ\*\*\*\*

მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის (სამოქალაქო კოდექსის 394-ე I მუხლი).

იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება (სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო (სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი).

ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს (სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლი).

ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს (სამოქალაქო კოდექსის 418-ე მუხლი).

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი, თსუ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი.

\*\* მაღლობას ვუხედავ ვამბურგის მაქს-პლანკის სახელობის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტს მონიჭებული სტიპენდიისათვის, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი გახდა ინსტიტუტის კვლევითი რესურსების გამოყენებით აღნიშნული პუბლიკაციის მომზადება.

\*\*\* საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება. აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან ურთიერთკავშირში ცალკეულ საკითხებთან მიმართებით მოცემულია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილების ფრაგმენტული ანალიზი.

\*\*\*\* გადაწყვეტილების ანალიზისას მხარეთა ნამდვილი ვინაობის ნაცვლად მითითებულია ფსევდო გვარ-სახელები.

სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო (სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი).

## ფაქტები

2008 წლის 30 აპრილს შპს „მოდელ ჰაუსსა“ და შპს „ნიუ ბილდერს“ შორის გაფორმდა უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ამ უკანასკნელს მოსარჩელისათვის საკუთრებაში უნდა გადაეცა ქალაქ ბათუმში, ჭ.-ის ქ. №5-ში მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსის პირველ სართულზე, მე-6 და მე-8 ღერძებს შორის არსებული კომერციული ფართი (170მ<sup>2</sup>) ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით, რაზეც უნდა გაფორმებულიყო ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება.

ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მყიდველს ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გამყიდველისათვის „ბეს“ სახით უნდა გადაეხადა 10,000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, რაც ჩაითვლებოდა ნასყიდობის საგნის საფასურში, ხოლო დარჩენილი თანხა – 449,000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი უნდა გადახდილიყო მხარეთა მიერ დადგენილი გრაფიკის შესაბამისად. ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად, მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა უნდა დასრულებულიყო 2009 წლის 25 ივლისისათვის. ამ პუნქტით დადგენილი ვადის გაგრძელება დაიშვებოდა მხარეთა შეთანხმებით. ძირითადი ხელშეკრულების დადების შესახებ მზადყოფნის თაობაზე გამყიდველი მყიდველს წერილობით ატყობინებდა 10 დღით ადრე.

ხელშეკრულების თანახმად, გამყიდველის მიზეზით ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების გაუფორმებლობის შემთხვევაში, მყიდველს უფლება ჰქონდა: ა) სასამართლო წესით მოეთხოვა ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დადების ფაქტის დადასტურება და ნასყიდობის საგნის - კომერციული ფართის გადაცემა საკუთრებაში; ბ) ხელშეკრულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხის 0.1% ოდენობით მოეთხოვა პირგასამტეხლო, ზიანის ანაზღაურების სახით თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის 90 დღის განმავლობაში, ხოლო ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ მყიდველს ენიჭებოდა ხელშეკრულების შეწყვეტის, „ბეს“ ორმაგად ანაზღაურებისა და ავანსის სახით გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნის უფლება.

ხელშეკრულების თანახმად, მყიდველის მხრიდან ვალდებულების შესრულების ვადა გადაცილებულად ჩაითვლებოდა, თუ იგი კანონიერი საფუძვლის გარეშე უარს იტყოდა ძირითადი ხელშეკრულების ხელმოწერაზე. ამ შემთხვევაში, აღმოცენდებოდა გამყიდველის უფლება პირგასამტეხლოს მოთხოვნაზე ხელშეკრულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხის 0,1%-ის ოდენობით თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის 90 დღის განმავლობაში, ხოლო ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, გამყიდველს ენიჭებოდა კომერციული ფართის მესამე პირისათვის მიყიდვის უფლებამოსილება. მოცემულ შემთხვევაში, „ბე“ დარჩებოდა მის მიმღებს, ხოლო ავანსის სახით გადახდილი თანხა დაუბრუნდებოდა მყიდველს ნასყიდობის საგნის მესამე პირისათვის მიყიდვისთანავე. მე-8 მუხლით გათვალისწინებულ ფასზე ნაკლებ ფასად

კომერციული ფართის გაყიდვის შემთხვევაში, მყიდველი ვალდებული იყო გამყიდველისათვის გადაეხადა სხვაობა მესამე პირთან გაფორმებულ ნასყიდობის საფასურსა და ამ ხელშეკრულების მე-8 მუხლით განსაზღვრულ სახელშეკრულებო ფასს შორის.

უდავო გარემოებად დადგენილია, რომ სახელშეკრულებო თანხისა და „ბეს“ სრული მოცულობით გადახდა განხორციელდა შპს „მოდელ ჰაუსის“ მიერ. ხოლო ხელშეკრულების საგნად განსაზღვრული კომერციული ფართი შპს „ნიუ ბილდერმა“ გაასხვისა 400,000 აშშ დოლარად. შესაბამისად, მშენებლობის დროული დასრულება და ძირითადი ხელშეკრულების გაფორმება მხარეთა შორის არ განხორციელებულა.

შპს „მოდელ ჰაუსმა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ნიუ ბილდერის“ წინააღმდეგ, რომლითაც მოითხოვა ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი მშენებარე ფართის ღირებულების – 459,000 აშშ დოლარის, „ბეს“ ორმაგი ოდენობით – 20,000 აშშ დოლარის, ზიანის სახით, მშენებარე ფართის ღირებულების გადასახდელად ბანკიდან მიღებული კრედიტის სარგებლის – 61,310 აშშ დოლარის, მიუღებელი შემოსავლის – 118,575 აშშ დოლარის (წელიწადში 22,950 აშშ დოლარი, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თვეში – 1912.5 აშშ დოლარი), პირგასამტეხლოს – 41,310 აშშ დოლარისა და იმ შემოსავლის ანაზღაურება, რომელსაც მოპასუხე უსაფუძვლოდ იღებს მისი კუთვნილი ქონების გამოყენებით (გაქირავებით) 2010 წლის იანვრიდან სარჩელის აღძვრის მომენტისათვის, კერძოდ, 384,000 აშშ დოლარის და გადაწყვეტილების აღსრულებამდე თვეში – 8,000 აშშ დოლარის გადახდა.

**მოსარჩელის არგუმენტაციით**, სამართლებრივი დასაბუთება შემდეგი საკითხების კუთხით განხორციელდა:

**მოპასუხის მიერ ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შემადგენლობა.** მოსარჩელემ მშენებარე ფართის ღირებულება – 459,000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, სრულად გადაიხადა. მოპასუხემ კი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მშენებლობა არ დაასრულა, 2010 წელს მშენებლობის დასრულების შემდგომაც მყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული აშენებული ფართი არ გადასცა და მოსარჩელეს არც მშენებლობის დასრულების შესახებ შეატყობინა, რითაც დაარღვია „უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის №S1/5-170 ხელშეკრულების“ მე-4 მუხლის მე-3 ნაწილისა და მე-10 მუხლის მოთხოვნები.

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის დასადასტურებლად, მოსარჩელემ წარმოადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და შპს „დანი-აუდიტის“ მიერ მომზადებული დასკვნები, რომელთა შესაბამისადაც, მე-5, მე-6 ღერძებს შორის არსებული ფოიე და მის ზევით (თავზე) მე-2 სართულზე არსებული სივრცე არ შეესაბამება პროექტის მოთხოვნებს. არსებული სივრცის მოსპობამ კი იმოქმედა მითითებული ობიექტის საბაზრო ღირებულებაზე და მისი სავარაუდო ღირებულება, მისი მოსარგებლის საუკეთესო და ეფექტური გამოყენების შესაძლებლობებიდან გამომდინარე, საორიენტაციოდ შემცირდა 10-15%-ით. საწინააღმდეგო გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება მოპასუხის მიერ არ იქნა წარმოდგენილი.

ხელშეკრულების მე-5 მუხლის თანახმად, მყიდველს ვალდებულების (ნასყიდობის

ძირითადი ხელშეკრულების დადების) შესრულების ვადა გადაცილებულად ეთვლებოდა იმ შემთხვევაში, თუ იგი კანონიერი საფუძვლის გარეშე უარს იტყოდა ძირითადი ხელშეკრულების ხელმოწერაზე.

**მთავარი სახელშეკრულებო ინტერესის გაქარწყლება - ხელშეკრულების მიზნის ამაოება.** მოსარჩელის მითითებით, „უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის №S1/5-170 ხელშეკრულების“ დადებისას, №შ1/5-170 კომერციულ ფართს, პროექტის შესაბამისად, გააჩნდა შესასვლელი, როგორც ჭ.-ის, ისე, ბ.-ის ქუჩიდან, ფოიე – მე-5 და მე-6 ღერძებს შორის და ფოიეს ზევით მე-2-მე-3 სართულების დონეზე – ღია სივრცე, რაც კომერციული ფართის უნიკალურ მახასიათებელს და მოსარჩელის მხრიდან ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების დადების მთავარ ინტერესს წარმოადგენდა, ვინაიდან ამ ფართში მოსარჩელეს დაგეგმილი ჰქონდა ერთ-ერთი ბრენდის – „K.-ის“ მიერ წარმოებული მამაკაცის ტანსაცმლით ვაჭრობის ექსკლუზიური პრესტიჟული ობიექტის მოწყობა.

მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხემ №შ1/5-170 კომერციული ფართის ფაქტობრივი მესაკუთრის (მოსარჩელის) თანხმობის გარეშე და ამ უკანასკნელის ინტერესების საზიანოდ გააუქმა ფართში შესასვლელი ბ.-ის ქუჩიდან, გააუქმა აგრეთვე, საერთო სარგებლობის ფოიე და მის თავზე არსებული სივრცე იქ მოპასუხის მიერ დამატებითი კომერციული ფართების მოწყობით, რითაც №შ1/5-170 კომერციულმა ფართმა დაკარგა თავისი პირვანდელი სახე და დანიშნულება, პოტენციურ მომხმარებელს შეეზღუდა ობიექტში თავისუფლად მოხვედრის, გამოფენილი ნიმუშების დათვალიერების შესაძლებლობა და სარეკლამო სივრცე. ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული №შ1/5-170 კომერციული ფართი დღეის მდგომარეობით მდებარეობს გასართობი ცენტრის სარგებლობაში არსებულ ერთიან ფართში და არ შეესაბამება „უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის №S1/5-170 ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულს. მოპასუხის მიერ განხორციელებული გადაკეთების შედეგად, მოსარჩელეს მოესპო შეძენილი კომერციული ფართის საუკეთესო და ეფექტური გამოყენების შესაძლებლობა, რადგან კომპანია „K.“-მ შეწყვიტა ხელშეკრულება მოსარჩელესთან.

**ბანკისთვის გადახდილი პროცენტი, როგორც ქონებრივი ზიანი.** მოსარჩელემ განმარტა, რომ მშენებარე ფართის ღირებულებას იხდიდა ბანკიდან კრედიტის სახით მიღებული თანხით. კრედიტის მიღებისათვის პროცენტის სახით გადახდილმა თანხამ შეადგინა 61,310 აშშ დოლარი, რომელიც მხარის განმარტებით უნდა შეფასდეს მის მიმართ დამდგარ ქონებრივ დანაკლისად - ზიანად.

**ვალდებულების დარღვევის ფაქტიდან გამომდინარე „ბეს“ ორმაგად ანაზღაურების საკითხი.** მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედებიდან გამომდინარე, მოსარჩელემ დააყენა „ბეს“ სახით გადახდილი 10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ორმაგი ოდენობით დაბრუნების მოთხოვნა.

**პირგასამტეხლოს ანაზღაურების საკითხი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.** პირგასამტეხლოს სახით, მოსარჩელემ მოითხოვა 459,000 აშშ დოლარის 0.1% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის,<sup>1</sup> 90 დღის განმავლობაში, რაც ჯამში, 41,310 აშშ

---

<sup>1</sup> დღიურად დარიცხული პროცენტის მოთხოვნა მიუთითებს პირგასამტეხლოს არსებობაზე და მიჯნავს მას პროცენტის მოთხოვნის სამართლებრივი კონცეფციისგან.

დოლარს შეადგენს.

**მოპასუხის უსაფუძვლო გამდიდრება.** მოსარჩელემ მიიჩნია, რომ მოპასუხე უსაფუძვლოდ გამდიდრდა 384,000 აშშ დოლარით. სახელდობრ, 2010 წლის იანვრიდან მოპასუხე სხვადასხვა სუბიექტებზე, მათ შორის, უცხო ფირმებზე (ინდოელებზე) აქირავებდა ფართს, ამჟამად კი, ფართი გრძელვადიანი იჯარით გადაცემული აქვს სხვა სამეწარმეო სუბიექტისთვის. პირველ ეტაპზე, საიჯარო თანხა შეადგენდა თვეში 8,000 აშშ დოლარს, შემდგომში ზრდის პერსპექტივით.

შპს „მოდელ ჰაუსმა“ ზიანისა და მისი ოდენობის არსებობა დაუკავშირა: ა) მშენებარე ფართის ღირებულების გადასახდელად ბანკიდან მიღებული კრედიტის გამო, პროცენტების სახით გადახდილ თანხას (61,310 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი); ბ) მოპასუხისათვის გადახდილი მშენებარე ფართის ღირებულების სარგებლიან ანაბარზე განთავსების შედეგად მისაღებს შემოსავალს (წლიური 5%, რაც სარჩელის აღძვრის მომენტისათვის შეადგენს 118575 აშშ დოლარს, წელიწადში – 22950 აშშ დოლარს, ხოლო, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თვეში – 1912.5 აშშ დოლარს); გ) მოპასუხის მიერ მიღებულ და მისაღებ შემოსავალს, რომელსაც ეს უკანასკნელი უსაფუძვლოდ იღებდა და იღებს მოსარჩელის კუთვნილი ქონების გამოყენებით/გაქირავებით (თვეში 8000 აშშ დოლარის ოდენობით 2010 წლის იანვრიდან სასამართლოში სარჩელის აღძვრის მომენტისათვის 384000 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად 8000 აშშ დოლარი).

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და საპასუხო განმარტება გააკეთა ცალკეულ საკითხებთან მიმართებით.

### ***მოპასუხის არგუმენტაციით,***

ა) უარყოფილი იქნა კომერციული ფართის უნიკალური მახასიათებლების აღიარება ხელშეკრულების დადების უმთავრეს სამართლებრივ საფუძვლად. მოპასუხის განმარტებით, კომპლექსი შედგებოდა ე.წ. კომერციული და საცხოვრებელი ბლოკებისაგან. მხარეთა შორის გაფორმებული „უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის №S1/5-170 ხელშეკრულება“ შეეხებოდა კომერციულ ბლოკში განთავსებულ უძრავ ქონებას. მოპასუხის მტკიცებით, საკითხი ეხება მხოლოდ კომერციულ ბლოკში განთავსებულ უძრავ ქონებას ინდივიდუალური მახასიათებლების არსებობის ხაზგასმის გარეშე;

ბ) უარყოფილ იქნა მოვალის მიერ ვადის გადაცილების და, შესაბამისად, ვალდებულების დარღვევის არსებობა. მოპასუხის მტკიცებით, კომერციულ ბლოკში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები დასრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში – 2009 წლის 25 ივლისს, ხოლო კომპლექსის შიდა სარემონტო და მოსაპირკეთებელი სამუშაოები დასრულდა 2010 წელს და ამავე წელს შევიდა ექსპლოატაციაში კომერციული ბლოკი.

გ) უარყოფილ იქნა შეტყობინების ვალდებულების დარღვევის არსებობა.

მოპასუხის მტკიცებით, ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულია არა მშენებლობის დასრულების შესახებ მყიდველისათვის ინფორმაციის მიწოდება, არამედ, ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დადების

შესახებ მზაობის დაფიქსირება. მოპასუხის მითითებით, მიუხედავად მისი არაერთი გაფრთხილებისა, გაფორმებულიყო ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება, მოსარჩელე თავიდანვე ცდილობდა, თავი აერიდებინა ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების გაფორმებისათვის.

**დ) განხორციელდა შეტყობინების საჭიროების არაარსებობის მტკიცება.** მოპასუხის მითითებით, მოსარჩელისათვის, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა მშენება- რეკონსტრუქციის უძრავი ქონების შემძენისათვის, ცნობილი იყო სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისა და მისი დასრულების შესახებ. მისთვის ცნობილი იყო მოპასუხის მზადყოფნაც, დადებულიყო ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება ჯერ კიდევ, 2011წლის დასაწყისიდან. მიუხედავად მოსარჩელის არაერთი გაფრთხილებისა, გაფორმებულიყო ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება, მოსარჩელე თავიდანვე ცდილობდა, თავი აერიდებინა ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების გაფორმებისათვის.

**ე) განხორციელდა ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების გაფორმების სანაცვლო ვალდებულების შეუსრულებლობაზე აპელირება.**

მოპასუხემ აღნიშნა, რომ მოსარჩელე ყოველთვის ცდილობდა წერილებში დაეფიქსირებინა არარსებული ფაქტები. ხელშეკრულების შეწყვეტამდე პერიოდის განმავლობაში მოსარჩელისათვის გადასაცემი უძრავი ქონება სრულად შეესაბამებოდა, როგორც ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების მე-9 მუხლით, ისე, პროექტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მოპასუხის მითითებით, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნა ითვალისწინებდა არა ხელშეკრულების შეწყვეტამდე უძრავი ქონების მდგომარეობას, არამედ მისი ექსპერტიზის ჩატარების მომენტისათვის (14.07.2013წ.) არსებულ მდგომარეობას. მხარეებს შორის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება შეწყდა სწორედ მოსარჩელის მიერ ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულების შეუსრულებლობის გამო.

**ვ) სადავო გახდა საკრედიტო ხელშეკრულების მიზნობრიობა.** კერძოდ, კრედიტის შპს „ნიუ ბილდერის“ კომპლექსში განთავსებული ფართის შესაძენად აღების ფაქტი. მოპასუხემ მიიჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებიდან არ ირკვეოდა სესხის უშუალოდ „ნიუ ბილდერის“ კომპლექსში არსებული უძრავი ქონების შესაძენად გაცემის ფაქტი. ამასთან, როგორც წესი, უძრავი ქონების შესაძენად აღებული სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით იტვირთება შესაძენი უძრავი ქონება და შპს „ნიუ ბილდერი“ ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების ფარგლებში კლიენტის სესხის უზრუნველსაყოფად ყოველთვის იპოთეკით ტვირთავდა ჯერ კიდევ, მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, რაც კონკრეტულ შემთხვევაში, არ მომხდარა.

კონკრეტულ შემთხვევაში დღის წესრიგში დგება საკითხი, კრედიტის მიღებისათვის გადახდილი პროცენტი, რამდენად შეიძლება აკმაყოფილებდეს ზიანის სავარაუდოობის კრიტერიუმს და რამდენად შეიძლება აღიქმებოდეს მხარის მიერ საკუთარი ვალდებულების დარღვევის გონივრულად სავარაუდო და თანამდევ შედეგად ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობის გამოთვლის კუთხით.

**ზ) სადავო გახდა საბანკო ანაზრის მინიმალური საპროცენტო განაკვეთის მიუღებელ შემოსავლად კვალიფიცირების საკითხი ვალდებულების შესრულების სახელშეკრულებო**

**ინტერესთან მიმართებით.** მხარის მოსაზრებით, მოსარჩელეს 459,000 აშშ დოლარი გადახდილი აქვს უძრავი ქონების შეძენის მიზნით, შესაბამისად, მის ინტერესს წარმოადგენდა უძრავი ქონების შეძენა და არა ნასყიდობის საფასურის ბანკში ანაბარზე განთავსება და სარგებლის მიღება. მოსარჩელისათვის, როგორც ხელშეკრულებით, ასევე, მისთვის გაგზავნილი წერილებიდან ცნობილია მის მიერ გადახდილი თანხის უკან დაბრუნების პირობები.

თ) **დაზუსტდა სახელშეკრულებო ფასისა და „ბეს“ უკან დაბრუნების პირობები.** კერძოდ, მოპასუხემ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 5.4 პუნქტის თანახმად, „ბე“ რჩება გამყიდველს და დარჩენილი თანხა დაუბრუნდება მყიდველს ნასყიდობის საგნის მესამე პირისათვის მიყიდვის შემდეგ. ნასყიდობის საგნის მესამე პირისათვის წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ფასზე ნაკლებ ფასად მიყიდვის შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია, გამყიდველს გადაუხადოს სხვაობა. აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, მყიდველის მიერ გადახდილი თანხის უკან დაბრუნების ვალდებულება ჯერ არ წარმოშობილა, რადგან მესამე პირს უძრავი ქონება არ შეუძენია. უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება დაარღვია სწორედ მოსარჩელემ, რის გამოც, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება მას ეკისრება. საქმის მასალებით არ დასტურდება იჯარით ქონების გადაცემის ფაქტი, სარჩელზე თანდართული იჯარის ხელშეკრულება გაფორმებულია 2012 წლის პირველ ნოემბერს.

### **საქმის პროცედურული ისტორია**

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით შპს „მოდელ ჰაუსის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. შპს „ნიუ ბილდერს“ დაეკისრა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების საფასურის – 459,000 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს – 41,310 აშშ დოლარის გადახდა. სარჩელი მოთხოვნის დარჩენილ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

### **ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით,**

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა შპს „მოდელ ჰაუსის“ მიერ, რომელმაც მოითხოვა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება, კერძოდ: ა) მშენებარე ფართის ღირებულების გადასახდელად ბანკიდან აღებული კრედიტის სარგებლის – 61,310 აშშ დოლარის; ბ) იმ შემოსავლის ანაზღაურება, რომელსაც მოპასუხე უსაფუძვლოდ იღებს მისი კუთვნილი ქონების გამოყენებით (გაქირავებით), რომლის ოდენობა 2010 წლის იანვრიდან სარჩელის აღძვრის მომენტისათვის შეადგენს 384,000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში და გადაწყვეტილების აღსრულებამდე

ყოველთვიურად 8,000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში; გ) მიუღებელი შემოსავლის, კერძოდ, ნასყიდობის საფასურის ანაზღაურება განთავსების შემთხვევაში, წლიურ 5%-ს, რაც სარჩელის აღძვრის მომენტისათვის შეადგენს 118,575 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში და ყოველთვიურად - 1,912.5 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში.

აგრეთვე, სააპელაციო საჩივარი წარადგინა შპს „ნიუ ბილდერმა“ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიუღებელი შემოსავლის დაკისრებაზე უარის თქმისა და პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში, გაუქმდა და ამ ნაწილში, მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, შპს „ნიუ ბილდერს“ დაეკისრა შპს „მოდელ ჰაუსის-ის“ სასარგებლოდ მიუღებელი შემოსავლის – 39,652,5 აშშ დოლარის გადახდა სარჩელის შეტანის მომენტისათვის, ხოლო სარჩელის აღძვრიდან – 2013 წლის 26 დეკემბრიდან ყოველთვიურად – 1,912,5 აშშ დოლარის ანაზღაურება გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ასევე, პირგასამტეხლოს – 28,917 აშშ დოლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „ნიუ ბილდერმა“ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ძირითადი თანხის ნაწილში 459,000 აშშ დოლარისა და 390 000 აშშ დოლარის სხვაობის დაკისრება, აგრეთვე, მიუღებელი შემოსავლისა და პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

### **საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება**

1.საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით შპს „ნიუ ბილდერს“ დაეკისრა შპს „მოდელ ჰაუსის“-ის სასარგებლოდ 459,000 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს - 28,917 აშშ დოლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სესხზე გადახდილი სარგებლის (პროცენტის) მოთხოვნის ნაწილში აპელანტის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული ნაწილში გადაწყვეტილება საკასაციო წესით არ გასაჩივრებულა და შესაბამისად, საკასაციო პალატას არ მიეცა შესაძლებლობა ემსჯელა აღნიშნული მოთხოვნის საფუძლიანობის შესახებ.

2.საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად ცნო და არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა ზიანის სახით მინიმალური საანაზრო პროცენტის მიუღებელი შემოსავლის სახით ანაზღაურების შესახებ.

3.საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ პირგასამტეხლოს დაკისრებისა და მეორე შემთხვევაში, მისი ოდენობის შემცირების მართლზომიერებასთან მიმართებით საკასაციო საჩივრით გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სწორი და დასაბუთებულია და არ არსებობს მისი გაუქმების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები. საკასაციო პალატის დასაბუთებით, პირგასამტეხლოს შემცირებისას საქმის განმხილველმა სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობამ სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლით, გამოიყენა პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირების

კანონით მინიჭებული შესაძლებლობა მხარის ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებების მხედველობაში მიღებით.

## ანალიზი

სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლებში საფუძვლიანი მსჯელობა კომპლექსურად არაერთი მიმართულებით განხორციელდა: I. ხელშეკრულების საგნის ინდივიდუალური სამართლებრივი ბუნება. II. უნაკლო ნივთის დროული გადაცემის შესახებ ხელშეკრულების დადების ძირითადი ვალდებულებისა და კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა. III. სესხისათვის გადახდილი საბანკო პროცენტის ზიანად დაკვალიფიცირების პრობლემატიკა. IV. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების შეზღუდვა სახელშეკრულებო შეთანხმებით. V. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების ზოგადი სტანდარტები. VI. ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების თავისებურება. VII. საბანკო ანაზღაურების მინიმალური სარგებელი, როგორც მიუღებელი შემოსავალი და მისი არასრულყოფილი დასაბუთება მოსარჩელის მიერ. VIII. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების რეალიზებით მისაღები სახელშეკრულებო თანხის გამოუყენებლობით გამოწვეული მიუღებელი სარგებელი, როგორც ზიანი. IX. მიუღებელი შემოსავლის გამოთვლა როგორც პირველადი, ისე მეორადი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მდგომარეობის გათვალისწინებით

X. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების სამართლებრივი წინაპირობების განმარტება სასამართლოს მიერ XI. კომერციული ფართის სასყიდლიანი განკარგვის შეუძლებლობით განპირობებული მიუღებელი შემოსავალი. XII. შესრულებისა და სარგებლის უკან დაბრუნების მოთხოვნა, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების თანამდევი შედეგი

## I. ხელშეკრულების საგნის ინდივიდუალური სამართლებრივი ბუნება

სასამართლოს დასაბუთებით, მხარემ შეუკვეთა კონკრეტულ მისამართზე მდებარე კომპლექსში, იდენტიფიცირებულ მისამართზე განთავსებული განსაზღვრული ფართი (კომერციული) და გადაიხადა მისი ღირებულება. სასამართლოს პოზიცია მართებულია, რამეთუ მოცემულ შემთხვევაში შესრულების საგანი მკაცრად ინდივიდუალიზებულია, იდენტიფიცირებულია მისი განლაგება მრავალფუნქციურ კომპლექსში და შესაბამისად, აქცენტირებულია შესრულების საგნის მდებარეობით და მახასიათებლებით განპირობებული სახელშეკრულებო ინტერესის არსებითობა. აღნიშნულ სახელშეკრულებო ურთიერთობაში ნათელია, რომ მხარის უმთავრესი სახელშეკრულებო ინტერესი ფართის უნიკალური მახასიათებლებით იყო მოტივირებული. აღნიშნული მახასიათებლები შესაძლებელია ხელშეკრულების იმ უმთავრეს საფუძვლად იქნეს მიჩნეული, რომელთა არსებობასაც შპს „მოდელ ჰაუსმა“ ხელშეკრულების ნამდვილობა დაუკავშირა. კომერციული ფართის მახასიათებლების ხელშეკრულების ნამდვილობის წინაპირობად მიჩნევის საფუძველია ის გარემოებაც, რომ კრედიტორისათვის აღნიშნული მახასიათებლები მომავალი მოგების მიღების კომერციულ ინტერესს უკავშირდებოდა.

## II. უნაკლო ნივთის დროული გადაცემის შესახებ ხელშეკრულების დადების ძირითადი ვალდებულებისა და კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა

სასამართლოს დასაბუთებიდან გამომდინარე, ვალდებულების დარღვევა გამოიხატა ძირითადი ხელშეკრულების დადების მომენტისათვის უნაკლო ნივთის გადაუცემლობით და ნივთის მდგომარეობის შესახებ მხარისათვის, კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის საფუძველზე, შეუტყობინებლობით. ხელშეკრულების საგანი საკუთრების უფლების გადასვლის მომენტისათვის შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო წინარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ნივთის მახასიათებლებთან. ამასთან, კეთილსინდისიერების პრინციპი ნაგულისხმევად ითვალისწინებდა ნივთის აღნიშნული თვისობრივი მახასიათებლების შესახებ შეტყობინების გონივრულობას.

ხელშეკრულების დადების მზადყოფნის თაობაზე შეტყობინების ვალდებულება, შეთანხმებაში პირდაპირ გაუთვალისწინებლობის პირობებშიც კი, ხელშეკრულების შესრულებისათვის აუცილებელი თანამშრომლობისა და თანაქმედების ვალდებულების გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს. ხელშეკრულება არის ინსტრუმენტი, რომელიც მხარეთა ლეგიტიმური მოლოდინის აღსრულებისათვის მოითხოვს მუდმივ ურთიერთთანამშრომლობას და თანაქმედების ვალდებულების განხორციელებას. შეტყობინება ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად აუცილებელ მხარეთა გულისხმიერების ვალდებულების გამოხატულებად უნდა განიმარტოს და მისი შეუსრულებლობა, როგორც ვალდებულების დარღვევის დამოუკიდებელი სახე, სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების წინაპირობად უნდა იქნეს შეფასებული.<sup>2</sup>

მოცემულ შემთხვევაში ძირითადი ვალდებულების დარღვევა ხელშეკრულების გაუფორმებლობით გამოიხატა. მშენებლობის დროულად დაუსრულებლობით და შემდგომში დასრულების შესახებ მხარისათვის შეუტყობინებლობით, მხარემ წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა განახორციელა.

კომერციული ფართის გადაკეთება და ხელშეკრულებით შეთანხმებული უნიკალური მახასიათებლების მოდიფიცირება, რაც გარიგების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა, შესაძლებელია განხილულ იქნეს მოპასუხის ბრალეულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებად, რომელმაც შეუძლებელი გახადა ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულების განხორციელება. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში ვალდებულების დარღვევის სახედ მოვალის ბრალით დაფუძნებული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ვლინდება.

## III. სესხისათვის გადახდილი საბანკო პროცენტის ზიანად დაკვალიფიცირების პრობლემატიკა

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სესხზე გადახდილი სარგებელი არ შეიძლება ზიანად იქნეს მიჩნეული, რადგან მოპასუხის მხრიდან, ვალდებულების

---

<sup>2</sup> გულისხმიერების ვალდებულების შეუსრულებლობა, როგორც ვალდებულების დარღვევის დამოუკიდებელი სახე ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველად განიმარტება სსკ-ის 405-ე III მუხლის „ბ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე.

ჯეროვანი შესრულების შემთხვევაშიც კი, საკრედიტო ურთიერთობის ფარგლებში მოსარჩელე ვალდებული იყო გადაეხადა შეთანხმებული პროცენტი.

ზოგადად, სახელშეკრულებო სამართლის ერთ-ერთი მიზანია არა მხოლოდ მიყენებული ზიანის ანაზღაურება კრედიტორისათვის, არამედ მისი იმ პირობებში ჩაყენება, რომელიც იარსებებდა ვალდებულების შესრულების შემთხვევაში.<sup>3</sup> ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის შემთხვევაში ნავარაუდევია სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენის ორიენტირი არის განმტკიცებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 249-ე (1) პარაგრაფში.<sup>4</sup>

სწორედ ამ თვალსაზრისით არის გასათვალისწინებელი მხარის სახელშეკრულებო ინტერესი შესრულების მიმართ. კომპენსატორული ზიანის ანაზღაურება გულისხმობს მოსარჩელის იმ მდგომარეობაში ჩაყენებას, რომელსაც ვალდებულების შესრულება უზრუნველყოფს კრედიტორისათვის.<sup>5</sup> მსგავსად, ზიანის აღნიშნულ ფუნქციაზე მიუთითებენ მოსამართლეები საერთო სამართლის ქვეყნებში<sup>6</sup> და ემყარებიან გადაწყვეტილებას *parke B in Robinson v Harman*<sup>7</sup>.

სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის განმარტებიდან სწორედ ის გამომდინარეობს, რომ ზიანის ანაზღაურებისათვის აუცილებელია განხორციელდეს იმ ვითარების აღდგენა, რომელიც იარსებებდა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების დადგომამდე, ე.ი. ვალდებულების დარღვევამდე. აღნიშნული მუხლი კიდევ ერთხელ ასახელებს ვალდებულების დარღვევას, მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ზიანის ანაზღაურების წინაპირობად. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ზიანი არის ის ქონებრივი დანაკლისი, რომელიც არ იარსებებდა ვალდებულების დარღვევის არარსებობის შემთხვევაში, ე.ი. ვალდებულების ჯეროვანი შესრულების პირობებში. სასამართლოს განმარტებასთან კავშირში შეიძლება ითქვას, რომ საბანკო სესხისათვის გადახდილი პროცენტი ის თანხაა, რომელსაც მხარე გადაიხდიდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შემთხვევაშიც და ამ ლოგიკით არ შეიძლება ზიანად იქნეს მიჩნეული.

თუმცა, აღნიშნული კუთხით, შესაძლებელია კიდევ დაზუსტდეს ზიანის ანაზღაურების წინაპირობები. სამოქალაქო კოდექსის 414-ე მუხლის თანახმად, ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები ის ინტერესი, რომელიც

---

<sup>3</sup> იხ. *Barnett K.*, Accounting for Profit for Breach of Contract, Hart Publishing, United Kingdom, 2012, 212.

<sup>4</sup> იხ. *Plamer V.V. (ed.)*, The Recovery of Non-pecuniary Loss in European Contract Law, Cambridge University Press, The Common Core of European Private Law, Cambridge Printing House, United Kingdom, 2015, 129.

<sup>5</sup> *Smith L.*, Understanding Specific Performance, წიგნში: *McKendrick E., Cohen N. (eds.)*, Comparative Remedies for Breach of Contract, Hart Publishing, Oxford and Portland Oregon, 2005, 222.

<sup>6</sup> *McKendrick E., Worthington K.*, Damages for Non-Pecuniary Loss, წიგნში: *McKendrick E., Cohen N. (eds.)*, Comparative Remedies for Breach of Contract, Hart Publishing, Oxford and Portland, USA, 2005, 287.

<sup>7</sup> 1848 1 Exch 850, 855. იხ. *McKendrick E., Worthington K.*, Damages for Non-pecuniary Loss, წიგნში: *Comparative Remedies for Breach of Contract*, Hart Publishing, Oxford and Portland, USA, 2005, 287-288.

კრედიტორს ჰქონდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ. მოცემულ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ მხარემ საბანკო სესხისათვის გადახდილი პროცენტი ჩათვალა იმ დასაშვებ ქონებრივ ტვირთად, რომელიც მისთვის გონივრულად გასაღები იყო სახელშეკრულებო ინტერესის განხორციელების სანაცვლოდ. ამ შემთხვევაში კრედიტის მიღებისათვის პროცენტის სახით გადახდილი თანხა ის დანაკლისია, რომლის გაღება ნებაყოფლობით ხდება კრედიტორის მიერ სახელშეკრულებო მოლოდინის შესრულების სანაცვლოდ და, რომელიც წარმოადგენს მისაღები შესრულების საპირწონედ მყიდველის მიერ თანაზომიერად მიჩნეული „ქონებრივი მსხვერპლის“ გონივრულ ზღვარს.

თუმცა, სახელშეკრულები მოლოდინის განუხორციელებლობის პირობებში რამდენად შეიძლება ბანკისათვის გადახდილი პროცენტი კვლავ რჩებოდეს მხარისათვის მისაღებ და დასაშვებ ქონებრივ დანაკლისად, შეიძლება სადავო გახდეს. ე.ი. თუ ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში საბანკო სესხისათვის პროცენტის გადახდა მხარისათვის მისაღებ ეკონომიკურ ტვირთად ითვლება, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, გადახდილი პროცენტი აღარ ემსახურება სახელშეკრულებო ინტერესის განხორციელების მიზნობრიობას და შეიძლება ზიანად კვალიფიცირდებოდეს.

აღნიშნული პერსპექტივიდან საკითხის გაანალიზებისას ბანკისათვის გადახდილი პროცენტი შეიძლება ზიანად იქნეს დაკვალიფიცირებული. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში განმარტებას მოითხოვს საკითხი, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელ გარემოებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენის წესი სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის თანახმად. თუ აქ იგულისხმება ვალდებულების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა, მაშინ ბუნებრივია, რომ ვალდებულების დარღვევის არარსებობის პირობებში, სახეზე უნდა იყოს ჯეროვანი შესრულება და განხორციელებული სახელშეკრულებო ინტერესი. აღნიშნული მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში მოაზრებულ უნდა იქნეს სესხის ხელშეკრულების დადებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა, რამეთუ სესხის ხელშეკრულება არ დაიდებოდა მოსალოდნელი სახელშეკრულებო ინტერესის - კომერციული ფართის საკუთრებაში გადაცემის ლეგიტიმური მოლოდინის გარეშე.

საპირისპიროდ ზემოაღნიშნულისა, შეიძლება არსებობდეს არგუმენტაცია, რომ სესხად აღებული თანხა მხარეს ისევ ურბუნდება ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებით და ამ შემთხვევაში ის თავისუფალია, სახელშეკრულებო ინტერესი კვლავ დაიკმაყოფილოს სხვა კონტრაქტთან ხელშეკრულების დადებით. შესაბამისად, თუ თავდაპირველად მოსალოდნელი სახელშეკრულებო ინტერესის განხორციელება, სესხად აღებული თანხის ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების საფუძველზე უკან დაბრუნების შემთხვევაში, სხვა კონტრაქტორთან მაინც არის შესაძლებელი, მაშინ სადავოა ბანკისათვის გადახდილი სარგებლის ზიანად მიჩნევის შესაძლებლობა. მხარე მაინც გადაიხდიდა საბანკო სარგებელს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების რეალიზებით მიღებული თანხა რომ ესესხა ბანკისგან სხვა კომერციული ფართის ნასყიდობისთვის. მოცემულ შემთხვევაში, მყიდველი

უსაფუძვლოდ გამდიდრებულად ჩაითვლება.

მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ არასრულყოფილად დაასაბუთა სესხისათვის გადახდილი საბანკო სარგებლის ზიანის სახით არსებობა, რადგან არ დაუკავშირა ის განუხორციელებელ სახელშეკრულებო ინტერესს. რამაც თავისთავად განაპირობა აღნიშნული სარგებლის ზიანად დაკვალიფიცირების შეუძლებლობა სასამართლოს მიერ.<sup>8</sup>

მოსარჩელეს არსებული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე შეეძლო თავისუფლად დაემტკიცებინა, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველზე მისთვის დაბრუნებული თანხით შეუძლებელია თავდაპირველი სახელშეკრულებო ინტერესის განხორციელება, რადგან პარტნიორმა ბრენდულმა კომპანიამ მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობა შეწყვიტა და, შესაბამისად, გაქარწყლდა კომერციული ფართის შესყიდვის ინტერესი და მიზანი. ვინაიდან, მხარე საბანკო კრედიტს არ აიღებდა და, შესაბამისად, სარგებელს არ გადაიხდიდა, თუ ეცოდინებოდა, რომ კომერციული ფართის გადაცემა არ მოხდებოდა და ხელშემკვერელი კომპანია მასთან პარტნიორულ ურთიერთობას შეწყვეტდა. მოცემულ შემთხვევაში სესხად აღებული თანხისთვის უმიზნოდ გადახდილი სარგებელი კომერციული ფართის მიღებისა და იქ ბრენდული მაღაზიის განთავსების ინტერესის განუხორციელებლობის პირობებში, მხარისათვის სწორედ ზიანად ტრანსფორმირდება და ასეთად შეფასდებოდა კიდევ სასამართლოს მიერ, მოსარჩელის მხრიდან ხელშეკრულების საფუძველად მიჩნეული ლეგიტიმური ინტერესის რღვევისა და სახელშეკრულები მიზნის გაქარწყლების ჯეროვანი დასაბუთება რომ განხორციელებულიყო.

#### **IV. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების შეზღუდვა სახელშეკრულებო შეთანხმებით**

სააპელაციო სასამართლომ სწორად არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელეს არ ჰქონდა უფლება, მოეთხოვა გადაცემული თანხის უკან დაბრუნება. ხელშეკრულების მე-5 მუხლის თანახმად, მოსარჩელის მიერ კანონიერი საფუძვლის გარეშე ძირითადი ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, გამყიდველს აქვს უფლება, დადგენილი წესით მოითხოვოს პირგასამტეხლო ღირებულების 0.1% 90 კალენდარული დღის განმავლობაში და ამ ვადის უშედეგოდ

---

<sup>8</sup> ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ერთ-ერთ მსგავს საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში (საქართველოს სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება №28/4331-11) სასამართლომ დაასაბუთა: „არ არსებობს იურიდიული მნიშვნელობის მიზეზობრივი კავშირი ვალდებულების დარღვევასა და დარიცხულ სარგებელს შორის... იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოპასუხე ჯეროვნად შეასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას, აღნიშნული მაინც არ გამორიცხავდა სარგებლის დარიცხვას მიღებულ კრედიტზე.“ შესაბამისად, სასამართლომ ვალდებულების დარღვევასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი არარსებულად ცნო და გამორიცხა ზიანის ანაზღაურების დასაშვებობა.

გასვლის შემდეგ მყიდველის შეტყობინების გარეშე ქონება მიყიდოს მესამე პირს და გადახდილი თანხა (ზიანის ჩათვლის გამოკლებით) დაუბრუნოს მყიდველს გაყიდვისთანავე.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, რომ ამგვარი შეთანხმების არსებობაც კი, არ გამორიცხავს მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობას გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნის ნაწილში. ხელშეკრულების მითითებული პუნქტი არ არეგულირებს მოპასუხის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებულ ურთიერთობას, რადგან განსახილველი პუნქტით გათვალისწინებული იყო შემკვეთის მიერ კანონიერი საფუძვლის გარეშე ძირითადი ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარის თმის შემთხვევა. მხოლოდ კანონით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში დაუბრუნდებოდა მოსარჩელეს გადახდილი თანხა ბინის ხელახალი გაყიდვის პირობით. ამდენად, სასამართლოს მართებული მოსაზრებით, მოსარჩელის მოთხოვნა ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული თანხის უკან დაბრუნების თაობაზე დასაბუთებულად ჩაითვალა.

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის მექანიზმია, რომლითაც სამოქალაქო სამართალი დარღვეული უფლების აღდგენის სამართლებრივ გარანტიებს აწესებს და კერძო სამართლის დაცვითი ფუნქციის რეალიზებას ახდენს. შესაბამისად, კანონით გათვალისწინებული მეორადი მოთხოვნის უფლებების, როგორც სამართლებრივი დაცვის საშუალებების, შეზღუდვა თუ გამორიცხვა მხარეთა სახელშეკრულები შეთანხმებით სახელშეკრულებო სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების პრინციპთა ხელყოფის გარეშე უნდა განხორციელდეს. ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგებისა და განსახორციელებელი შესრულების უკან დაბრუნების მხარეთა ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები მნიშვნელოვანად შემზღუდავია და შესაძლებელია მათი ნამდვილობის საკითხი შეფასების საკითხი გახდეს პირობის უჩვეულობის გამო.

## V. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების ზოგადი სტანდარტები

*„ბოლო პერიოდში სასამართლოები მიმართავენ ზიანის ოდენობის განსაზღვრის ახალ მეთოდებს, რადგან არაფერი უკრძალავს მათ არატრადიციული მეთოდების გამოყენებას იმ დათქმით, რომ აღნიშნული მეთოდები თავსებადია ზიანის დაკისრების საყოველთაოდ აღიარებულ მიზნებთან.“<sup>9</sup>*

მიუღებელი შემოსავლის განსაზღვრის ნორმატიული წესი მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლში, რომლის თანახმად, მიუღებელი შემოსავალი გულისხმობს

<sup>9</sup> Corbin A.L., Perillo J.M. (ed.), 11 Corbin on Contracts, Rev. Ed., 2005, 232–233.

წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს, რომელიც მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა მოვლენები რომ მართლზომიერების ფარგლებში განვითარებულიყო.<sup>10</sup> საკანონმდებლო სტანდარტის არსებობის პირობებშიც, მიუღებელი შემოსავლის დასაბუთება კვლავ მოკლებულია სამართლებრივ კონკრეტიკას და აბსტრაქტულობის მაღალი ხარისხით ხასიათდება.

სამომავლო ზიანის დასადასტურებლად არ არსებობს მტკიცების წინასწარ დადგენილი ერთიანი სტანდარტი ან არგუმენტაციის ერთხმად აღიარებული ფორმულა, რომელსაც ყველა მოსამართლე უფპირობოდ გაიზიარებდა, რადგან მიუღებელი შემოსავლის დასაბუთება ყოველთვის მოითხოვს საკითხის ინდივიდუალიზაციას. შესაბამისად, ამ სფეროში ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრება კონცეფტუალურად მსგავს შემთხვევებშიც კი შეიძლება რთული აღმოჩნდეს საქმის კონკრეტული გარემოებების თავისებურებების მხედველობაში მიღებით.

მიუხედავად ამისა, ზიანის, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედების თანამდევი შედეგის, არსებობა ობიექტურ მონაცემებს უნდა ემყარებოდეს და არ უნდა შორდებოდეს სამართლებრივ და ეკონომიკურ განსაზღვრულობას. ერთ-ერთი სასამართლო გადაწყვეტილებით,<sup>11</sup> ზიანის არსებობის ფაქტი მიუღებელი შემოსავლის მტკიცების<sup>12</sup> პროცესშიც მაკვალიფიცირებელი გარემოებაა, კერძოდ, მან გამოხატვა უნდა ჰპოვოს ეკონომიკურ ერთეულში და მისი მიღება შესაძლებელი უნდა იყოს ობიექტურად, სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების საფუძველზე.

მსგავსად, ერთ-ერთ საქმეზე უზენაესი სასამართლოს განმარტებით დადგინდა, რომ „მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით უნდა განისაზღვროს ზიანის ანაზღაურება, ისე რომ ამას არ მოჰყვეს მეორე მხარის უსაფუძვლო გამდიდრება“<sup>13</sup>. მიუღებელი შემოსავლის დასადასტურებლად აუცილებელია მტკიცებულებების არსებობა აშკარა ქონებრივი დანაკლისის დასაბუთებლად, უსაფუძვლო გამდიდრების გამორიცხვისთვის. ამდენად მიუღებელი შემოსავლის განსაზღვრულობის კრიტერიუმებით შემოფარგვლა უსაფუძვლო გამდიდრების და სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა ინტერესთა წონასწორობის რღვევის პრევენციას ახდენს.

## VI. ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების თავისებურება

<sup>10</sup> *რობაქიძე ი., ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი*, თბ., 2014, 653.

<sup>11</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-848-806-2013.

<sup>12</sup> მიუღებელი შემოსავლის მტკიცების საგნისა და მიზეზობრივი კავშირის შესახებ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ს-218-210-2013. ასევე, სამეცნიერო ნაშრომი: *გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო სამართლის პროცესში, გამომცემლობა „მერიდიანი“*, თბ., 2013.

<sup>13</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-307-291-2011.

უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ხაზს უსვამს სამოქალაქო კოდექსის 411-ე და 412-ე მუხლების საფუძველზე ზიანის მიყენების ფაქტისა და ზიანის ოდენობის შეფასების თავისებურებას ფულადი ვალდებულების შესრულების კონტექსტში.

სასამართლოს განმარტებით, ამგვარი დამოკიდებულება განპირობებულია ფულის განსაკუთრებული თვისებებით. კერძოდ, სციდვაუნარიანობის მაღალი ხარისხი ყველა შემთხვევაში ანიჭებს ფულს სარგებლის მოტანის უნარს. ფული ყოველთვის წარმოადგენს შემოსავლის წყაროს, ვინაიდან შეუძლია, შესძინოს მესაკუთრეს არა მხოლოდ მისთვის სასურველი ქონება, არამედ გარკვეული პერიოდული შემოსავალი საბანკო პროცენტის სახით. ამგვარად, ფულადი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება კრედიტორს ყოველთვის აყენებს ზიანს და სხვაგვარი ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისგან განსხვავებით, განსაკუთრებული მტკიცება არ სჭირდება არც ზიანის მიყენების ფაქტის და არც მისი ოდენობის დადგენას<sup>14</sup>. მსგავსად აღნიშნულისა, ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საფუძველად მსგავსი დასაბუთება განავითარა. კერძოდ, პალატის განმარტებით, მოპასუხის მიერ განხორციელებული არამართლზომიერი ქმედების (თანხის დაკავება) არარსებობის შემთხვევაში, მოსარჩელე თანხის შეგროვებად ანაზღაურებად განთავსებით მიიღებდა საპროცენტო სარგებელს<sup>15</sup>.

აღნიშნულ გადაწყვეტილებებში ხაზგასმულია ფულის, როგორც ბრუნვაუნარიანი ობიექტისგან სარგებლის მიღების რეალური შესაძლებლობის თავისთავადი არსებობა. თუმცა, აღნიშნული იმთავითვე არ გულისხმობს მოსარჩელის მტკიცების ტვირთის არაგონივრულ შემცირებას. არამედ იგი პირდაპირპროპორციულად მნიშვნელოვანია მოსამართლის როლისა, მიუღებელი შემოსავლის განმარტების, არსებობის დასაბუთებისა და ოდენობის განსაზღვრის პროცესში. მხოლოდ მოსამართლის როლისა და მხარეთა მტკიცების ტვირთის ზრდის პირობებში გახდება შესაძლებელი რომ მიუღებელი შემოსავალი არარეალურ და აბსტრაქტული შინაარსის მოთხოვნად არ იქცეს და მოხდეს მტკიცებულებებისა და გარემოებების კომპლექსურად შეფასება.

## **VII. საბანკო ანაზღაურების მინიმალური სარგებელი, როგორც მიუღებელი შემოსავალი და მისი არასრულყოფილი დასაბუთება მოსარჩელის მიერ**

მოსარჩელის მითითებით, მან ვერ მიიღო 459,000 აშშ დოლარის სარგებელი, რასაც მიიღებდა მინიმალური წლიური 5%-იანი საბანკო პროცენტის სახით 2008 წლის სექტემბრიდან დღემდე, რაც წელიწადში შეადგენს 22,950 აშშ დოლარს, ხოლო სარჩელის სასამართლოში შეტანის მომენტისათვის – 118,575 აშშ დოლარს.

საბანკო ანაზღაურების პროცენტის მოთხოვნასთან დაკავშირებით განვითარებული სასამართლო პოზიციის თანახმად, ვინაიდან ხელშეკრულება ითვალისწინებდა სახელშეკრულებო ფასის ძირითადი ხელშეკრულების დადებამდე გადახდის

<sup>14</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-254-241-2015.

<sup>15</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 31 მაისის №28/873-12 გადაწყვეტილება.

ვალდებულებას, ბუნებრივია, ბანკისგან სესხად მიღებულ თანხას მოსარჩელე სხვაგვარად ვერ განკარგავდა, რაც გამორიცხავს საანაბრო პროცენტის მიღების შესაძლებლობასაც.

მოცემულ შემთხვევაში რა თქმა უნდა მართებულია საკასაციო სასამართლოს პოზიცია და დაუსაბუთებელია საბანკო ანაბრის სარგებლის მოთხოვნა ხელშეკრულების დადების მომენტიდან (2008 წლიდან), რამეთუ პირველადი სახელშეკრულებო ვალდებულების ფარგლებში მხარეს კომერციული ფართის შეძენის ინტერესი ამომრავებდა და არა საბანკო ანაბრით შემოსავლის მიღების მიზანი.

უდავოა, რომ თუ ხელშეკრულება ჯეროვნად შესრულებდებოდა, კრედიტორი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე გახდებოდა კომერციული ფართის მესაკუთრე, შესაბამისად, მას საანაბრო პროცენტის მიღების უფლება არ ექნებოდა, რადგან ხელშეკრულება საფასურის წინასწარ გადახდას ითვალისწინებდა. მაგრამ ვითარება იცვლება იმ შემთხვევაში, როდესაც შპს „ნიუ ბილდერის“ მიერ ხელშეკრულების საგნად განსაზღვრული კომერციული ფართის მოდიფიცირება განხორციელდა, უძრავი ქონება გასხვისდა, ბრენდულმა მაღაზიამ შეწყვიტა ხელშეკრულება შპს „მოდელ ჰაუსთან“ და ხელშეკრულების დარღვევის საფუძველზე კრედიტორს მიენიჭა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება. ხელშეკრულებიდან გასვლისა და სახელშეკრულებო თანხის უკან დაბრუნების უფლების აღმოცენების მომენტიდან, საანაბრო პროცენტის მოთხოვნის შესაძლებლობის საკითხი მომდევნო თავში იქნება განხილული.

#### **VIII. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების რეალიზებით მისაღები სახელშეკრულებო თანხის გამოყენებლობით გამოწვეული მიუღებელი სარგებელი, როგორც ზიანი**

მოსარჩელეს შეეძლო ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების რეალიზებით მისაღები თანხის ოდენობიდან მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნა მნიშვნელოვან ინტერესად წარმოეჩინა თუ იგი დარღვეულ სახელშეკრულებო მოლოდინზე მოახდენდა აქცენტირებას და მიუღებელი შემოსავლის დასაბუთებას სახელშეკრულებო ინტერესის პრიზმაში განახორციელებდა. კერძოდ, მოსარჩელის მხრიდან კეთილგონივრული იქნებოდა რომ განხორციელებულიყო მიუღებელი შემოსავლის სახით ანაბრის პროცენტის მოთხოვნის შემდეგი დასაბუთება:

იმ პირობებში, როდესაც პირველადი სახელშეკრულებო ვალდებულება არ შესრულდა, ფართმა დაკარგა კომერციული დანიშნულება, კომპანია „K“ -მ შეწყვიტა თანამშრომლობა მოსარჩელესთან და ბიზნეს ურთიერთობა გაწყდა, შესაძლებელია თავისუფლად ითქვას, რომ მხარემ დაკარგა სხვა კომერციული ფართის შეძენის ინტერესიც ბიზნეს-ურთიერთობის რღვევის გამო. შესაბამისად, მას ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების რეალიზებით დაბრუნებული თანხის სხვა მიზნობრიობით (და არა კვლავ კომერციული ფართის შესყიდვის მიზნით) გამოყენების შესაძლებლობა და ინტერესი შეიძლებოდა ჰქონოდა (მაგ. თანხის ანაბარზე განთავსების).

ამრიგად, თუ მხარე დაასაბუთებდა, რომ პირველადი სახელშეკრულებო ვალდებულების ფარგლებში არსებული კომერციული ფართის შესყიდვის მიზანი გაქარწყლდა, როდესაც ბრენდულმა მაღაზიამ გააუქმა მასთან ხელშეკრულება, მაშინ

მოსარჩელე შეძლებდა დაემტკიცებინა, რომ მოპასუხის მიერ ვალდებულების დარღვევის შემდეგ მას აღარ შეიძლებოდა ჰქონოდა კომერციული ფართის შესყიდვის სამომავლო ინტერესი ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ. მხოლოდ აღნიშნულ შემთხვევაში შეძლებდა მხარე დაესაბუთებინა, რომ შესაძლებელია მას ჰქონოდა ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველზე უკან მიღებული სახელშეკრულებო ფასის ანაბარზე განთავსების რეალური შესაძლებლობა და საანაბრო პროცენტის მიღების ინტერესი.

მხარის მიერ მიუღებელი შემოსავლის ამდაგვარი დასაბუთების არსებობის შემთხვევაში, მხარეს შეეძლო საანაბრო პროცენტის მიღების ინტერესი დაესაბუთებინა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების აღმოცენების მომენტიდან. მოცემულ შემთხვევაში მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნის საფუძველად სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლთან ერთად 352-ე V მუხლის მითითებაც იქნებოდა შესაძლებელი.<sup>16</sup> რადგან მხარემ ვერ დაასაბუთა, ახალი კომერციული ფართის შესყიდვის ინტერესის გაქარწყლება კომპანია „K“-სთან მისი ბიზნესურთიერთობების რღვევის გათვალისწინებით, შესაბამისად, ვერ დასაბუთდა, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების საფუძველზე სახელშეკრულებო თანხის დაბრუნების ვალდებულების მოპასუხის მიერ შესრულების შემთხვევაში, აღნიშნული თანხის ანაბარზე შეტანისა და საანაბრო პროცენტის მიღების რეალური შესაძლებლობა.

ამიტომაც სასამართლომ პირველადი სახელშეკრულებო ვალდებულების ფარგლებში არსებული კომერციული ფართის შესყიდვის ინტერესი უცვლელად მიიჩნია ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების შემთხვევაშიც. შესაბამისად, გამოირიცხა საანაბრო პროცენტის პრეზუმირებულ ზიანად აღირება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საკასაციო სასამართლო მხარეთა მიერ შეთავაზებული დასაბუთების, სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებისა და საფუძველების გათვალისწინებით, მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებულ საკითხს აბსოლუტურად მართებულად და ლოგიკურად წყვეტს. სასამართლოს აღნიშნული პოზიცია ქვემოთ მოყვანილ არგუმენტაციაში გამოვლინდა.

### **IX. მიუღებელი შემოსავლის გამოთვლა როგორც პირველადი, ისე მეორადი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მდგომარეობის გათვალისწინებით**

მეორადი მოთხოვნის უფლებების აღმოცენება სწორედ ვალდებულების დარღვევის დაფუძნების მომენტს უკავშირდება და ქონებრივი ზიანის გამოთვლისას სწორედ პირველადი ვალდებულების დარღვევისა და მეორადი მოთხოვნის უფლებების სამართლებრივ რეჟიმში ტრანსფორმაციის ეტაპი მიიღება მხედველობაში.

მიუღებელი შემოსავლის გამოთვლისას მნიშვნელოვანია აღდგეს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა პირველადი თუ მეორადი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. მხარემ სასარჩელო მოთხოვნაში არ დაასაბუთა შპს „ნიუ ბილდერთან“ გაფორმებული ხელშეკრულების დარღვევისა და ბიზნეს პარტნიორის დაკარგვის შემდეგ,

<sup>16</sup> ამ მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე ვალდებულებათა [შესრულებისა და სარგებლის უკან დაბრუნების მოვალეობის. შენიშვნა ნ.ჩ.] დარღვევისათვის 394-ე მუხლის მიხედვით კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

სამომავლოდ კომერციული ფართის შექმნის ინტერესის დაკარგვა/არარსებობა და მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნა არ დააყენა როგორც პირველადი, ისე მეორადი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მდგომარეობის გათვალისწინებით. მხოლოდ სათანადო დასაბუთება თუ წარმოაჩენდა სახელშეკრულებო თანხის სხვაგვარად გამოყენების ინტერესს და საანაბრო პროცენტის მიღების რეალურ შესაძლებლობას ვალდებულების დარღვევის დაფუძნებისა და ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების აღმოცენების მომენტიდან.

#### **X. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების სამართლებრივი წინაპირობების განმარტება სასამართლოს მიერ**

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან მიმართებით, საკასაციო პალატამ უპირველესად, შეაფასა ზიანის, როგორც მეორადი მოთხოვნის, წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლების არსებობა. საკასაციო პალატის განმარტებით, ზიანი არის კანონით გათვალისწინებული ანაზღაურებადი სხვაობა „უნდა-ყოფილიყო“ და „არის მდგომარეობას“ შორის (სხვაობის ჰიპოთეზა) და ამ თვალსაზრისით, საკასაციო პალატის განმარტების საგანი გახდა სამოქალაქო კოდექსის 394-ე I და 408-ე I მუხლები.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ნორმით დადგენილ ზიანის ანაზღაურების, როგორც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ვალდებულებაში, სწორედ იმ ფაქტობრივი მდგომარეობის აღდგენა იგულისხმება, რომელიც იარსებებდა, რომ არა ვალდებულების დარღვევა (*Total reparation-ის პრინციპი*). ამასთანავე, მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენად მაღალია მოვალის ბრალეულობის (განზრახვა თუ გაუფრთხილებლობა) ხარისხი ზიანის დადგომაში. თუმცა ეს წესი იზღუდება, თუ კრედიტორი თანაბრალეულია.

პალატის განმარტებით, სრული ანაზღაურება ეხება არა საერთოდ ზიანს, რომელიც შეიძლება ვინმემ განიცადოს, არამედ იმ ზიანს, რომელიც სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლებიდან გამომდინარე ანაზღაურებადია. ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. როდესაც ხელშეკრულების მხარე კისრულობს ვალდებულებას, მას მხედველობაში აქვს მხოლოდ იმ რისკის აღება, რომელიც კანონზომიერად არის დაკავშირებული ხელშეკრულების შესრულებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მისგან შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც ხელშეკრულების დარღვევის ნორმალურ შედეგად აღიქმება.

სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლი მოვალეს ათავისუფლებს ისეთი რისკებისაგან, რაც მიუღებელია ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეულებრივი პრინციპებისათვის. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მის მიერ განცდილი ზიანი არის ხელშეკრულების დარღვევის ჩვეულებრივი და ნორმალური შედეგი. ზიანის სავარაუდობა დგინდება გონივრულობის თვალსაზრისით და არ განისაზღვრება კონკრეტული ხელშეკრულების დამრღვევის სუბიექტური შესაძლებლობებით. მოვალემ ზიანი ყოველთვის უნდა აანაზღაუროს, მაგრამ ხელშეკრულებით ნაკისრი რისკის ფარგლებში.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის ის არგუმენტი, რომ 459,000 აშშ დოლარის საკრედიტო დაწესებულებაში ანაბარზე განთავსების შემთხვევაში, იგი მიიღებდა შემოსავალს წლიურ 5%-ს პროცენტის სახით, საკასაციო პალატამ, ზიანის ანაზღაურების დაკისრების საკმარის საფუძვლად არ მიიჩნია დაგანმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 408-ე I მუხლის, 411-ე და 412-ე მუხლების ამოსავალი დებულება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მიუღებელი შემოსავალი, ანუ ანაცდური მოგება (*lucrum cessans*). სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, მიუღებლად მიიჩნევა შემოსავალი, რომელიც კრედიტორს არ მიუღია და რომელსაც იგი მიიღებდა მოვალეს რომ ვალდებულება ჯეროვნად შეესრულებინა. მიუღებელი შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება.

მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (*pure economic loss*), რომელიც ხელშეკრულების მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, ხელშეკრულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.<sup>17</sup> იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების, მოქმედებისა და დამდგარი შედეგის ის ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ექვსის საფუძველს.

მოცემული საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ მყიდველს 459,000 აშშ დოლარი გადახდილი ჰქონდა უძრავი ქონების შეძენის მიზნით, შესაბამისად, მის ინტერესს წარმოადგენდა უძრავი ქონების შეძენა და არა ნასყიდობის საფასურის ბანკში ანაბარზე განთავსება და ამ გზით, სარგებლის მიღება. აღნიშნულის საპირისპირო მტკიცება მოსარჩელის მიერ საქმეში არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, არ დადასტურდა მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების არსებობა.

## **XI. კომერციული ფართის სასყიდლიანი განკარგვის შეუძლებლობით განპირობებული მიუღებელი შემოსავალი**

საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ვლინდება, რომ შპს „მოდელ ჰაუსს“ დაგეგმილი ჰქონდა ხელშეკრულების საგნად განსაზღვრულ კომერციულ ფართში ერთ-ერთი ბრენდის – „K.-ის“ მიერ წარმოებული მამაკაცის ტანსაცმლით ვაჭრობის ექსკლუზიური პრესტიჟული ობიექტის მოწყობა. ვინაიდან აღნიშნულმა პარტნიორმა მოსარჩელესთან ხელშეკრულება შეწყვიტა მისი მხრიდან ვაჭრობის დაგეგმილი ობიექტის მოწყობის შეუძლებლობის გამო, მხარემ დაკარგა მოგების მიღების რეალური შესაძლებლობა კომერციული ფართის სასყიდლიანი განკარგვის შეუძლებლობიდან გამომდინარე. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ **მოსარჩელემ მიუღებელი შემოსავლის**

<sup>17</sup> მიუღებელი შემოსავლის განსაზღვრისათვის ჯეროვანი შესრულების სტანდარტზე იხ. უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-1586-1585-2011.

ანაზღაურება მხოლოდ მინიმალური საანაზრო პროცენტის კუთხით დააყენა და არა ქონების სასყიდლიანი გამოუყენებლობით დაკარგული შემოსავლის სახით. საქმის მასალებით უტყუარად დასტურდებოდა ქონების კომერციული მიზნებისთვის გამოყენების პირდაპირი სახელშეკრულებო მიზანი, რომელიც ქონების შეძენის მთავარ საფუძველს წარმოადგენდა. შესაბამისად, კონტრაქტის მიერ შემხვედრი ვალდებულების დარღვევის შედეგად კომერციული სახელშეკრულებო ინტერესის გაქარწყლება მხარისათვის მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის არსებობის სავარაუდოობის წინაპირობას აფუძნებს მოპასუხე მხარისთვის<sup>18</sup> განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ფართის კომერციული მიზნებისათვის გამოყენების მიზანი იმთავითვე იყო ხელშეკრულებით განსაზღვრული კომერციული ფართის ინდივიდუალური მახასიათებლებიდან გამომდინარე.

ქონების სასყიდლიანი გამოუყენებლობით დაკარგული შემოსავლის სახით ზიანის მოსარჩელის მიერ მოთხოვნისა და შესაბამისი დასაბუთების შემთხვევაში, სარჩელს შეიძლება დაკმაყოფილების რეალური პერსპექტივა ჰქონოდა, რადგან დადასტურებული იყო მოგების მიღების თავსებადობა უშუალო სახელშეკრულებო მიზანთან და გამოკვეთილი იყო კონკრეტული ბიზნეს პარტნიორი.

## **XII. შესრულებისა და სარგებლის უკან დაბრუნების მოთხოვნა, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების თანამდევი შედეგი**

შპს „მოდელ ჰაუსი“ სასარჩელო მოთხოვნაში მიუთითებდა, რომ მოპასუხე უსაფუძვლოდ გამდიდრდა 384,000 აშშ დოლარით. სახელდობრ, 2010 წლის იანვრიდან მოპასუხე სხვადასხვა სუბიექტებზე, მათ შორის, უცხო ფირმებზე (ინდოელებზე) აქირავებდა ფართს, სარჩელის წარდგენის დროისათვის კი, ფართი გრძელვადიანი იჯარით იქნა გადაცემული სხვა სამეწარმეო სუბიექტისთვის. პირველ ეტაპზე, საიჯარო თანხა შეადგენდა თვეში 8,000 აშშ დოლარს, შემდგომში ზრდის პერსპექტივით.

საქალაქო და სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის აღნიშნული მოთხოვნა არ გაიზიარა იმ საფუძველით, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომერციული ფართი, მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების შეწყვეტის გამო, წარმოადგენდა მოპასუხის საკუთრებას, რაც გამორიცხავს, ამ კუთხით მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტს.

მართებულად უნდა ჩაითვალოს სასამართლოთა პოზიცია ზემოაღნიშნულ მოთხოვნაზე, რომელიც თავიდანვე არასწორად იქნა დაყენებული მოსარჩელის მიერ.

მოცემულ შემთხვევაში სხვა სუბიექტებზე ფართის გაქირავებით მიღებული შემოსავლის მოთხოვნის საფუძველი უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების ნაცვლად უნდა ყოფილიყო ხელშეკრულებიდან გასვლის გზით შესრულებასთან ერთად (გადახდილი სახელშეკრულებო ფასი) შესრულებით განპირობებული სარგებლის

---

<sup>18</sup> სსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების წინაპირობები - სავარაუდოობა და მიზეზობრიობა.

მოთხოვნის სამართლებრივი ნორმა - სამოქალაქო კოდექსის 352-ე I მუხლი<sup>19</sup>. აღნიშნული ნორმატიული დებულების თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული *შესრულება და სარგებელი* მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება).<sup>20</sup>

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი უნდა ყოფილიყო მშენებლისათვის გადაცემული თანხის გამოყენებით აშენებული უძრავი ქონების გაქირავებით მიღებული სარგებელი. მოსარჩელის მტკიცება უნდა განვითარებულიყო იმ მიმართულებით, რომ გადახდილი სახელშეკრულებო ფასი, შპს „მოდელ ჰაუსის“ შესრულება გამიზნული იყო კომერციული ფართის აშენებისთვის. ამიტომაც კომერციული ფართის გაქირავებიდან მიღებული სარგებელი მოსარჩელის მიერ უნდა განმარტებულიყო *შესრულებით მიღებულ სარგებლად*.

ამასთან, მნიშვნელოვანია რომ მოცემულ ვითარებაში დადასტურებულია მოპასუხის მიერ ობიექტურად მიღებული სარგებელი (გაქირავებით მიღებული შემოსავალი). ამიტომაც მოცემულ შემთხვევაში სარგებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებას რეალური პერსპექტივა შეიძლება ჰქონოდა თუ მოსარჩელე აღნიშნულ მოთხოვნას ხელშეკრულებიდან გასვლის ნორმაზე დაამყარებდა, რადგან სახეზეა მოპასუხის მიერ ქონების გამოყენებით მიღებული რეალური, ობიექტურად არსებული შემოსავალი და არა პოტენციური სარგებელი, რომელიც ხელშეკრულების ფასის მიმღებ მხარეს აღნიშნული თანხის გამოყენების შედეგად თეორიულად შეიძლება მიეღო.

შესრულების სარგებლის უკან დაბრუნების მოთხოვნა კიდევ უფრო რეალისტურად გამოიყურება იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე არ ითხოვდა ფართის სასყიდლიანი განკარგვის გზით მისაღები მოგების ანაზღაურებას მიუღებელი შემოსავლის სახით. თუმცა, მოსარჩელეს არც ეს მოთხოვნა დაუყენებია სასამართლოს წინაშე, რითაც თავისთავად გამორიცხა მისი დაკმაყოფილების თეორიული შესაძლებლობა. აღნიშნულ პირობებში, ბუნებრივია, შესრულებით მიღებული სარგებლისა და კომერციული ფართის სავაჭრო ობიექტად გამოყენების შემთხვევაში მისაღები სარგებლის ერთდროული მოთხოვნა მხარის მიერ დაუშვებელი იქნებოდა. მოცემული მოთხოვნების კონკურენციისას მოპასუხის მიერ მიღებული ობიექტურად დადასტურებული სარგებლის მოთხოვნა სასამართლოს მხრიდან უფრო საფუძვლიანად შეიძლებლობა მიჩნეულიყო, მოსარჩელის მიერ მისაღებ და სავარაუდო შემოსავალთან მიმართებით. ვინაიდან მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებმა ზემოაღნიშნული არცერთი მოთხოვნა არ გააერთიანა, სასამართლოს არ მიეცა მათ საფუძვლიანობაზე მსჯელობის შესაძლებლობა.

---

<sup>19</sup> ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველზე შესრულებისა და სარგებლის უკან დაბრუნების მოთხოვნაზე იხილეთ უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: საქმე №ას-708-674-2015.

<sup>20</sup> შესრულებისა და სარგებლის უკან დაბრუნების მოთხოვნაზე იხილეთ უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-837-788-2015.

ნათია ჩიტაშვილი\*

პირგასამტეხლოს გადახდისგან განთავისუფლება. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების პირობების მისადაგება. დამატებითი კრედიტის გაცემის დავალდებულება\*\*

საქმე № ას-7-6-2010\*\*\*

ი/მ ამირ ხაზარბეგიშვილი სს „ტოტალ კაპიტალის“ წინააღმდეგ\*\*\*\*

სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი (სამოქალაქო კოდექსის მე-8 III მუხლი).

ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას (სამოქალაქო კოდექსის 361-ე II მუხლი).

ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული (სამოქალაქო კოდექსის 401-ე მუხლი).

იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ვალდებული იყო თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა (სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლი).

მოვალე ვადის გადაცილების დროს პასუხს აგებს ყოველგვარი გაუფრთხილებლობისათვის. იგი პასუხს აგებს შემთხვევითობისთვისაც, თუ არ დაამტკიცებს, რომ ზიანი შეიძლებოდა დამდგარიყო ვალდებულების დროული შესრულების დროსაც (სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი).

თუ ორმხრივ ხელშეკრულებაში მოვალეს უფლება აქვს უარი თქვას მისთვის დაკისრებულ ვალდებულებაზე, ხოლო გარემოება, რომელიც მას აძლევს ამის

---

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი.

\*\* მაღლობას ვუხედი ჰამბურგის მაქს-პლანკის სახელობის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტს მონიჭებული სტიპენდიისათვის, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი გახდა ინსტიტუტის კვლევითი რესურსების გამოყენებით აღნიშნული პუბლიკაციის მომზადება.

\*\*\* საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება. ასევე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ოქტომბრის განჩინება.

\*\*\*\* გადაწყვეტილების ანალიზისას მხარეთა ნამდვილი ვინაობისა და სახელწოდების ნაცვლად მითითებულია ფსევდო გვარ-სახელი და ორგანიზაციის დასახელება.

უფლებას, გამოწვეულია კრედიტორის ბრალით, მაშინ იგი ინარჩუნებს საპასუხო შესრულების მიღების უფლებას (სამოქალაქო კოდექსის 406-ე მუხლი).

1. თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა.

2. გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა.

3. მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს. თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე (სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი).

მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ესენია:

ა) ფაქტები, რომლებსაც სასამართლო საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნევს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე „ა“ მუხლი).

1. საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა ((სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე I „ბ“ მუხლი).

## ფაქტები

2008 წლის 14 მარტს ი/მ ამირ ხაზარბეგიშვილსა და სს „ტოტალ კაპიტალს“ შორის დადებული 10-წლიანი გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით, სესხის საკრედიტო ლიმიტი განისაზღვრა 130 000 აშშ დოლარით.

გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების 9.1 პუნქტის თანახმად, კრედიტის დაბრუნების გრაფიკით გათვალისწინებულ ვადაში ბანკის ანგარიშზე თანხის ჩაურიცხველობა, მას ანიჭებდა შესაბამისი გადასახდელი თანხის 0,5%-ის ოდენობით მსესხებელზე პირგასამტეხლოს დაკისრების უფლებამოსილებას.

ამავე ხელშეკრულების მე-11 მუხლი ითვალისწინებდა მხარეთა დროებით განთავისუფლებას პასუხისმგებლობისგან ფორსმაჟორული გარემოების მოქმედების პერიოდში, თუ შეუსრულებლობა გამოწვეული იქნებოდა გადაულახავი ძალის გავლენით. ხელშეკრულების თანახმად, ფორსმაჟორული გარემოების წარმოშობა აღმოაცენებდა დაუყოვნებლივი წერილობითი შეტყობინების ვალდებულებას მეორე მხარისათვის. ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებდა ვალდებულების შესრულების

შეჩერებას ფორსმაჟორული გარემოების მოქმედების პერიოდში და შესრულების გადავადებას დაუძლეველი გარემოების ლიკვიდაციამდე.

გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების 3.4 პუნქტის მიხედვით და მის ფარგლებში, ბანკის მიერ ყოველი მომდევნო საბანკო პროდუქტის, ტრანშების გაცემა იწარმოებდა მსესხებლის მიერ, წინა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების საფუძველზე და/ან მოქმედი კრედიტის პირობებში ბანკის მოთხოვნების დაკმაყოფილებისას. ამავე მუხლის 3.5 პუნქტის თანახმად, გენერალური ხელშეკრულების პირობები ძალაშია ამ ხელშეკრულების და მის საფუძველზე გაფორმებული საბანკო პროდუქტით მომსახურების შესახებ ყველა დამატებითი ხელშეკრულების მოქმედებისას.

ამრიგად, ბანკის მიერ გაცემულ კრედიტებზე სრულად ვრცელდებოდა გენერალური ხელშეკრულებით დადგენილი პირობები და უზრუნველყოფა. შესაბამისად მსესხებელი კისრულობდა ვალდებულებას, ჯეროვნად შეესრულებინა როგორც გენერალური, ისე მის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ყველა ვალდებულება.

საქმეში არსებული 2008 წლის 19 მარტის დამატებითი საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად, გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში, სხვადასხვა მიზნების განხორციელებისათვის *ო/მ ამირ ხაზარბეგიშვილს* სამი წლის ვადით გამოეყო 80 000 აშშ დოლარის კრედიტი და სესხის დაფარვის გრაფიკით განესაზღვრა სესხის შეტანის ოდენობა და ვადები. საქმეში არსებული 2008 წლის 29 მაისის დამატებითი ხელშეკრულებით, გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში, *ო/მ ამირ ხაზარბეგიშვილს* სამი წლის ვადით, საბრუნავი საშუალებების შეძენის მიზნით, გამოეყო 20 000 აშშ დოლარის კრედიტი და შედგენილ იქნა სესხის დაფარვის გრაფიკი.

2008 წლის 14 მარტის გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების, ასევე 19 მარტისა და 29 მაისის დამატებითი საკრედიტო შეთანხმებებით განსაზღვრულ ვადაში ინდივიდუალური მეწარმის მიერ არ განხორციელდა სესხის ძირითადი თანხისა და საპროცენტო სარგებლის დაფარვა. შესაბამისად, ბანკმა *ო/მ ამირ ხაზარბეგიშვილს* დააკისრა საჯარიმო თანხის გადახდა.

*ო/მ ამირ ხაზარბეგიშვილმა* სარჩელით მიმართა სასამართლოს სს „ტოტალ კაპიტალის“ ფოთის ფილიალის მიმართ სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ვადაგადაცილების საფუძველით 2007, 23 აშშ დოლარის ოდენობით დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდისაგან განთავისუფლების, გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადაში დამატებითი სასესხო ხელშეკრულებების რესტრუქტურისა და აუთვისებელი კრედიტის ოდენობით, სამეწარმეო საქმიანობის რეფინანსირების შესახებ მოთხოვნით.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით, *ამირ ხაზარბეგიშვილის* სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ინდივიდუალურმა მეწარმემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2009 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება *ო/მ ამირ ხაზარბეგიშვილმა* გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება იმ საფუძველით, რომ სასამართლომ არასრულად განიხილა სააპელაციო საარჩელი და

წარმოდგენილი მტკიცებულებები სათანადოდ არ გამოიკვლია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ გააუქმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს.

*მოსარჩელის არგუმენტაციით* პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოში, მოსარჩელის შემოსავლის შემცირება განაპირობა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომით და მსოფლიო ფინანსური კრიზისით გამოწვეულმა საბაზრო პირობების ცვლილებამ, როგორც ფორსმაჟორულმა გარემოებამ.

მოსარჩელის არგუმენტაციით საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, დამატებით მტკიცებას არ საჭიროებს პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლად მითითებული ფორსმაჟორული გარემოების არსებობა - 2008 წლის საომარი მდგომარეობით გამოწვეული კრიზისი, რომელიც დასტურდება სატელევიზიო არხის ჩანაწერებით. ამისდა მიუხედავად, აღნიშნული საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია და დადასტურებას არ საჭიროებს.

ასევე მოსარჩელე აქცენტს აკეთებს საომარი მდგომარეობით გამოწვეულ ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტზე, რითაც გამოკვეთს შესაბამისი მიზეზობრივი კავშირის არსებობას ვალდებულების შესრულების დამაბრკოლებელ გარემოებასა და ვალდებულების დარღვევას შორის.

მოსარჩელის განმარტებით, სასამართლოს მიერ არ იქნა შეფასებული *ო/მ ამირ ხაზარბეგიშვილის* მიერ კრიზისული ვითარების დარეგულირების მიზნით ინიცირებული მოლაპარაკება ბანკთან. ბანკი მონოპოლიური მდგომარეობის გამოყენებით უყურადღებოდ მოეკიდა კლიენტის ინტერესებს, რამაც გამოიწვია მისი ფინანსური გადახდისუნარიობა. ომისა და ფინანსური კრიზისით გამოწვეული სავაჭრო ბრუნვის მნიშვნელოვანი ვარდნის გავლენით კასატორი საბანკო ვალდებულებების შესრულებას ახორციელებდა მხოლოდ საბრუნავი საშუალებების ხარჯზე ვალდებულების დარღვევის მომენტამდე.

ბანკის მიერ რეფინანსირების შემთხვევაში საკატორი უზრუნველყოფდა მცირე საწარმოო ხაზის აღდგენასა და სადავო დავალიანების დაფარვას. რეფინანსირების განუხორციელებლობით ბანკმა დაარღვია არა მხოლოდ გულისხმიერების, არამედ ძირითადი ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებდა კასატორისათვის კრედიტის გაცემას 130 000 აშშ დოლარის ოდენობით.

*მოპასუხის არგუმენტაციით*, *ო/მ ამირ ხაზარბეგიშვილის* მიერ ვალდებულების დარღვევა გამოიხატა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში სესხის დაფარვის განუხორციელებლობით. მოპასუხის მტკიცებით, არ არსებობს პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება ფორსმაჟორის სახით, რამეთუ ფორსმაჟორული მდგომარეობა სახელმწიფოს მიერ არ იქნა გამოცხადებული. ამასთან, დავალიანების პატიების შესაძლებლობა არ იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული.

## **გადაწყვეტილება**

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 19-ე მუხლის

პირველი ნაწილით და 401-ე მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ დაუძლეველი ძალა იმ შემთხვევაში ათავისუფლებს მოვალეს ვადის გადაცილებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ იგი პირდაპირ იქნება დაკავშირებული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობასთან, ამასთან, ხელშეკრულების დადებისას ამ გარემოების გათვალისწინება არ შეიძლებოდა.

პალატის მითითებით, *ო/მ ამირ ხაზარბეგიშვილმა* დაარღვია რა 2008 წლის 14 მარტის გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებითა და 2008 წლის 19 მარტის, ასევე 2008 წლის 29 მაისის დამატებითი საკრედიტო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულება, მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში სესხის ძირითადი თანხა და საპროცენტო სარგებელი არ გადაიხადა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის შესაბამისად, ბანკმა საჯარიმო თანხის გადახდა მას სწორად დააკისრა.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდის ვადის გადაცილება გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით. პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ დაუძლეველ ძალად მიჩნეული 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებები არ შეიძლება ჩაითვალოს 2009 წლის თებერვალში ვალდებულების შეუსრულებლობის საპატიო მიზეზად, ვინაიდან ამ დრომდე იგი ვალდებულების შესრულებას კვლავ აგრძელებდა, ხოლო საქმის მასალებით არ დასტურდება 2009 წლის თებერვლისათვის სხვა ისეთი ახალი გარემოება, რაც მოვალისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, პირდაპირ იქნებოდა დაკავშირებული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობასთან, ამასთან, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების თაობაზე სახელმწიფოს რაიმე დოკუმენტი არ მიუღია.

სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლისა და 406-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოთხოვნა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების (რესტრუქტურირაციის) და 2008 წლის 14 მარტის გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში დამატებით 30000 აშშ დოლარის სესხის გაცემაზე მოწინააღმდეგე მხარის დავალდებულების თაობაზე. პალატის მითითებით, გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.4 პუნქტითა და 2.2 მუხლით, მხარეთა მიერ განისაზღვრა, რომ ამ ხელშეკრულების ფარგლებში ბანკის მიერ ყოველი მომდევნო საბანკო პროდუქტის გაცემა იწარმოებოდა მსესხებლის მიერ წინა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისას და/ან მოქმედი კრედიტის პირობებში ბანკის მოთხოვნების დაკმაყოფილებისას. გენერალური ხელშეკრულების დადება არ ნიშნავდა სესხის შეპირებას და ამ მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილ საბანკო პროდუქტებს მსესხებელი მიიღებდა, მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით დადგენილი პირობების დაკმაყოფილებისას, ბანკის შეხებულებისამებრ მსესხებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. *ო/მ ამირ ხაზარბეგიშვილმა* დაარღვია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდის პირობები. ამასთან, გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში დამატებით 3000 აშშ დოლარის კრედიტის მოთხოვნა ბანკს წერილობით წარუდგინა მის მიერ სესხის დაფარვის ვადის დარღვევის შემდეგ, 2009 წლის 18 თებერვალს, რის გამოც პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეული არ იყო არც ბანკის ბრალით და არც დაუძლეველი ძალით,

რაც გამორიცხავს 2008 წლის 14 მარტის გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში დამატებით 30000 აშშ დოლარის სესხის გაცემაზე მოწინააღმდეგე მხარის დავალდებულების შესაძლებლობას.

სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, როგორც გენერალური ხელშეკრულების შინაარსით ირკვევა, ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ყოველი საბანკო პროდუქტების მიზნობრიობა განისაზღვრებოდა შესაბამისი კონკრეტული ხელშეკრულებებით და ამ ხელშეკრულების დადებას, რაიმე განსაკუთრებული პირობა არ ედო საფუძვლად. სავაჭრო სფეროში ბრუნვის თავისებურებიდან გამომდინარე ყოველთვის არსებობს ეკონომიკური კრიზისის რისკი. ამდენად, მოსარჩელეს მითითება მსოფლიო ეკონომიკური კრიზისზე (რამაც საქართველოზეც ჰკოვა ასახვა და ხელი შეუწყო 2008 წლის აგვისტოს საომარმა მოვლენებმა) არ შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით განსაზღვრულ ისეთ პირობად, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით უკვე განსაზღვრული პირობების შეცვლას.

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ *ი/მ ამირ ხაზარბეგიშვილის* საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად დააბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. კანონის ეს დანაწესი საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლად მიუთითებს ისეთ გარემოებას, როდესაც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება არ ეფუძნება სწორ ფაქტობრივ დასაბუთებას. გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტთა მითითება სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლზე და 401-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოების – დაუძლეველი ძალის გამო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ სრულად არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები და გარემოებები, კერძოდ: მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ დაუძლეველ ძალად მიჩნეული 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებები არ შეიძლება ჩაითვალოს 2009 წლის თებერვალში ვალდებულების შეუსრულებლობის საპატიო მიზეზად, ვინაიდან ამ დრომდე იგი ვალდებულების შესრულებას კვლავ აგრძელებდა, ხოლო საქმის მასალებით არ დასტურდება 2009 წლის თებერვლისათვის სხვა ისეთი ახალი გარემოება, რაც მოვალისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, პირდაპირ იქნებოდა დაკავშირებული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობასთან, ამასთან, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების თაობაზე სახელმწიფოს რაიმე დოკუმენტი არ მიუღია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნულ

დასკვნებს, კერძოდ: სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის ფარგლებში დაზარალებულმა მხარემ უნდა ამტკიცოს, რომ მოვლენის დადგომამ ვალდებულების შესრულება გახადა უკიდურესად მძიმე (განუხორციელებელი); ხელშეკრულება დაიდო იმ ძირითადი ვარაუდით, რომ მოვლენა არ დადგებოდა და რომ ხელშეკრულებით ვალდებულ პირს არ ჰქონდა გათვალისწინებული მოვლენის დადგომის რისკი (ამასთან, განუხორციელებლობა არ უნდა იყოს გამოწვეული მოვალის ბრალით); მითითებული ნორმა არ ითვალისწინებს პერიოდს, თუ რა დროის განმავლობაში უნდა მოითხოვოს დაზარალებულმა მხარემ შეცვლილი გარემოების შესაბამისი პირობების ხელშეკრულებაში ასახვა, მაგრამ მითითებული ნორმის არსიდან იკვეთება, რომ ასეთი მოთხოვნა ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ, შეცვლილი გარემოების დადგომისთანავე. ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ შეცვლილი გარემოების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება, მოთხოვნა გარემოების წარმოშობის მომენტიდან მოგვიანებითაც წარმოიშვას. აღნიშნულს განაპირობებს ის რეალობა, რომ ზოგ შემთხვევაში გარემოებათა შეცვლა ხდება თანდათან, გარკვეული დროის გასვლის შემდეგაც, ანუ მოცემულ შემთხვევაში შეცვლილი გარემოების საფუძვლის – ომის უარყოფითი ეკონომიკური შედეგები, როგორც წესი, არ სრულდება საომარი მოქმედებების დასრულებასთან ერთად და მას ზოგ შემთხვევაში საკმაოდ ხანგრძლივი განვითარება აქვს. ამდენად, საფუძველს მოკლებულია გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებული დასკვნა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი არ შეიძლება იყოს საფუძველი 6 თვის შემდეგ ვალდებულების შესრულების გაგრძელების შეუძლებლობისა. აღნიშნულთან დაკავშირებით შეფასებას საჭიროებს *ო/მ ამირ ხაზარბეგიშვილის* მიერ ვალდებულების დარღვევამდე – 2009 წლის თებერვლამდე ბანკის მიმართ განხორციელებული შეტყობინებები მოსალოდნელ პრობლემებთან დაკავშირებით, ასევე მოსარჩელე მხარის – *ო/მ ამირ ხაზარბეგიშვილის* განმარტება ბანკის წინაშე განხორციელებული ზეპირი შეტყობინებების შესახებ, რომელიც მოწინააღმდეგე მხარეს სადავოდ არ გაუხდია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უსაფუძვლოა სასამართლოს მითითება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების თაობაზე სახელმწიფოს მიერ გამოცემული დოკუმენტის არარსებობის შესახებ, ვინაიდან ასეთი დოკუმენტის არარსებობა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტის არსებობის დადგენისათვის აუცილებელი არ არის.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს კასატორის მითითებას, რომ 2008 წლის აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის “ა” ქვეპუნქტის თანახმად, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია და იგი დამტკიცებას არ საჭიროებს. მხარეთა შორის სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ ორივე მხარე არის რა მეწარმე სუბიექტი, ბანკის მიერ სესხი გაცემულია სწორედ კასატორის სამეწარმეო საქმიანობისა და მატერიალური მდგომარეობის დეტალური და გულმოდგინე შესწავლით. გამსესხებლის მიერ სესხის გაცემას საფუძვლად დაედო მსესხებლის, როგორც მიმდინარე, ასევე სამომავლო სამეწარმეო საქმიანობის – ბიზნეს-გეგმის გამოკვლევის შედეგად მეწარმის საქმიანობის პერსპექტიულობასა და გაცემული სესხის დაბრუნების საიმედოობაში დარწმუნება. ამ დასკვნას ამყარებს ბანკის მიერ მეწარმეზე სესხის განმეორებით გაცემა.

კეთილსინდისიერების ფარგლებში ხელშეკრულების ორივე მხარე თანაბარწილად ვალდებულია, ხელი შეუწყოს ხელშეკრულების შესრულებას, ამასთან, სამოქალაქო კოდექსი ამავე პრინციპზე დაყრდნობით მხარეს ზოგ შემთხვევაში უფრო მეტს აკისრებს, ვიდრე ხელშეკრულებით აქვს ნაკისრი. სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას. ამავე კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. ამდენად, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართლის აღიარებული ზოგადი დათქმაა, რომელიც განმტკიცებულია სამოქალაქო კანონმდებლობით. მართალია, ნორმათა უმრავლესობა მასზე პირდაპირ არ უთითებს, მაგრამ მაინც მას ემყარება, ვინაიდან სამოქალაქო მართლწესრიგი სწორედ ამ პრინციპზეა დაფუძნებული. კეთილსინდისიერი ქცევა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ერთმანეთის უფლებებისადმი გულისხმიერებითა და პატივისცემით მოქმედებას გულისხმობს. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და ამავე დროს, აშკარად უსამართლო შედეგის თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობასა და სიმყარეს.

ამავდროულად, სამოქალაქო კოდექსის ფუძემდებლურ პრინციპს წარმოადგენს რა ვალდებულების ჯეროვანი შესრულება (სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლი), მოვალე მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება გათავისუფლდეს ამ ვალდებულების შესრულებისაგან.

აღნიშნული ნორმების არსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ბანკი, რომელსაც კონტრაჰენტი გულმოდგინე შემოწმებით ჰყავს შერჩეული, კეთილსინდისიერების ფარგლებში ვალდებულია, გაითვალისწინოს შეცვლილი ვითარება ხელშეკრულების პირობებთან მიმართებით და ამით ხელი შეუწყოს ვალდებულების შესრულებას. ამასთან დაკავშირებით შეფასება უნდა მიეცეს მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგად გაზრდილი პრობლემური სესხების გამო მიღებული სახელმწიფო დახმარების შედეგად კომერციულმა ბანკებმა განახორციელეს საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებში ცვლილებების შეტანა. საგულისხმოა, რომ მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა საკასაციო სასამართლოს სხდომაზე დაადასტურა ამგვარი მოქმედების – სახელშეკრულებო შეღავათების განხორციელება სხვა კონტრაჰენტებთან მიმართებაში.

სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის თანახმად, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა. გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა,

არასწორი აღმოჩნდა.

ამავე კოდექსის 401-ე მუხლის მიხედვით, ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული. აღნიშნული ნორმებით სამოქალაქო კოდექსი ადგენს სახელშეკრულებო შესრულების ვადის გადაცილებისას მოვალის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ და შემზღუდავ გარემოებებს. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორ ინსტიტუტს შორის არსებითი განსხვავებაა, კერძოდ, შესრულების შეუძლებლობისას ვალდებულების შესრულება მთლიანად გამორიცხულია, ანუ ამ შემთხვევაში ისეთ სუბიექტურ თუ ობიექტურ გარემოებებთან გვაქვს საქმე, რომელიც გამორიცხავს ვალდებულების შესრულების შესაძლებლობას, ხოლო შეცვლილი გარემოებების შემთხვევაში შესრულების შესაძლებლობა მაინც არსებობს, თუმცა შესრულება გართულებულია, რადგან ხელშეკრულების დადების პერიოდში არსებული გარემოებანი კარდინალურად შეცვლილია. შეცვლილი გარემოება იმდენად ართულებს შესრულებას, რომ მისი ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით მოთხოვნა ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვისთვის დამახასიათებელ სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს. შეცვლილი გარემოებების საწყისი, წარმომშობი მიზეზი შეიძლება იყოს როგორც ფორსმაჟორი, ისე სხვა გარემოებები, რომელიც რეალურად ართულებს შესრულებას.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი: სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გამოყენება დასაშვებია ამავე მუხლით გათვალისწინებული შემდეგი აუცილებელი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში: 1. შეცვლილმა გარემოებებმა უნდა გამოიწვიოს ვალდებულების შესრულების უკიდურესი დამძიმება; 2. გარემოება აშკარად უნდა შეიცვალოს ხელშეკრულების დადების შემდეგ; 3. გარემოებების შეცვლის გონივრულად გათვალისწინება ხელშეკრულების დადების დროს შესაძლებელი არ უნდა იყოს, ანუ შეცვლილი გარემოებები არ უნდა შედიოდეს დაზარალებული მხარის კონტროლის სფეროში; 4. ხელშეკრულებით არ უნდა იყოს გათვალისწინებული გარემოებების შეცვლის რისკის დაზარალებული მხარისათვის დაკისრება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელშეკრულებო პირობა მოქმედებს და 398-ე მუხლის გამოყენება დაუშვებელია; 5. ხელშეკრულების შესრულების გართულება გამოწვეული უნდა იყოს სწორედ აშკარად შეცვლილ გარემოებათა გამო, ანუ არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.

მითითებული ნორმა განსაზღვრავს შესრულების გართულების შედეგების თავიდან აცილების მიზნით კონტრაქტთა ხელახალ შეთანხმებას ხელშეკრულების შექმნილი ვითარებისადმი მისადაგებული პირობებით. ამასთან, მხარეთა ამგვარი შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დაზარალებული მხარის უფლების დაცვა უზრუნველყოფილია სასამართლო წესით.

ამდენად, დავის განმხილველმა სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას უნდა გამორიცხოს, კრედიტორის მიერ ხელშეკრულების თავდაპირველი პირობებით შესრულების მოთხოვნა, შექმნილი ვითარების ფონზე ხომ არ გამოიწვევს მოვალის მძიმე მდგომარეობით ბოროტად სარგებლობას. ამავდროულად, ახალი სახელშეკრულებო პირობების შემუშავებისას (რომლითაც შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება ხდება), გათვალისწინებულ უნდა იქნეს ორივე მხარის ის ინტერესები, რომელიც მათ გააჩნდათ

ამჟამად მოქმედი ხელშეკრულების დადებისას. აღნიშნული გულისხმობს, იმ ინტერესის გათვალისწინებას, რაც კრედიტორს გააჩნია ხელშეკრულების დადებისას (მოგება, სარგებელი და სხვა), მაგრამ ინტერესი გაითვალისწინება შეცვლილი გარემოების შესაბამისად.

ნორმით აღწერილ ვითარებაში სამართლებრივი შედეგი ცალსახაა – მხარეებმა ხელშეკრულება უნდა მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს ან უარი თქვან ხელშეკრულებაზე. აღნიშნული ნორმის მესამე ნაწილით მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს. თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს და მხარეთა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი დგება. შეცვლილი გარემოებისადმი მისადაგებაზე კრედიტორის უარი არ ათავისუფლებს მოვალეს მიღებული შესრულების (სესხის) დაბრუნებისაგან. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს 398-ე პირველი ნაწილის დათქმა, რომლითაც შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მიუსადაგებლობის შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა.

გასაჩივრებული განჩინებით სასამართლომ ისე გამოიცილა სადავო ხელშეკრულების დადების შემდგომ გარემოებათა შეცვლის არსებობა, რომ გადაწყვეტილების კვლევიტ ნაწილში მითითებულ არსებით საკითხებზე არ უმსჯელია. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გამოყენების კანონიერება დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ამ ნორმის აუცილებელ წინაპირობებთან მიმართებაში უნდა შემოწმდეს.

## ანალიზი

სამართლებრივი პრობლემის სრულყოფილი აღქმისთვის მნიშვნელოვანია სააპელაციო და საკასაციო სასამართლოს სამართლებრივ პოზიციათა ურთიერთკავშირში განხილვა, რომელიც კონცეფტუალურად წინააღმდეგობრივ მიდგომებს ავლენს პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საკითხთან მიმართებით. მნიშვნელოვანია, აღნიშნული ანალიზი შემდეგი საკითხების მიმართულებით განხორციელდეს: სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების წინაპირობები (I); მოვლენის წარმოშობის გათვალისწინების შეუძლებლობა (1); მიზეზობრივი კავშირი (2); ფორსმაჟორული გარემოების აღიარება უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ (3); შეტყობინების ვალდებულება როგორც ხელშეკრულების გადარჩენისკენ მიმართული ღონისძიება (4); ვალდებულების შესრულების გართულების დამატებითი სამართლებრივი წინაპირობების განმარტება (5); ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად აუცილებელი თანამშრომლობის ვალდებულება (II); ვალდებულების შესრულების გართულების სამართლებრივ კატეგორიად აღიარება (III); სახელშეკრულებო თავისუფლების რეალიზება და მხარეთა სახელშეკრულებო ნების აღსრულების მიზანი (IV).

## I. სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების წინაპირობები

სსკ-ის 398-ე I მუხლის თანახმად, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება განსაზღვრული სამართლებრივი წინაპირობების არსებობას უკავშირდება. აღნიშნული წინაპირობები არსებითად ფორსმაჟორის სამართლებრივ წინაპირობებს ემთხვევა: (1) ხელშეკრულების საფუძვლად მიჩნეული გარემოებების (2) აშკარა (არსებითი) ცვლილების (3) აღმოცენება ხელშეკრულების დადების შემდგომ; (4) გარემოებათა წინასწარ გათვალისწინების შეუძლებლობა – არაგანჭვრეტადობა, გაუთვალისწინებლობა; (5) გარემოებათა წინასწარ გათვალისწინების შემთხვევაში: (ა) მხარეთა მიერ ხელშეკრულების არდადება (*ე.ი. სახელშეკრულებო ინტერესის არარსებობა ხელშეკრულების დადების მიმართ*) ან (ბ) მის განსხვავებულ შინაარსზე შეთანხმება.

უცხოური სამოქალაქო სამართლით ვალდებულების შესრულების გართულების დაკვალიფიცირების აუცილებელ საფუძვლებად განსაზღვრულია სხვა წინაპირობებიც, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიერ პირდაპირ ფორმულირებული არ არის, მაგრამ ნაგულისხმევად შეიძლება გამოდინარეობდეს. კერძოდ, ვალდებულების შეუსრულებლობის რისკის გამორიცხვა მხარის პასუხისმგებლობის სფეროდან, შესაბამისად, დაბრკოლების არსებობა მოვალის კონტროლის სფეროს მიღმა, დაბრკოლების თავიდან აცილების – დაძლევის ან მისი შედეგების აღმოფხვრის – შემცირების შეუძლებლობა, მხარეთა არაბრალეულობა, შეცვლილი გარემოებების დადგომისთანავე, კონტრაქტის მიმართ შეტყობინების ვალდებულების დაცვა, მიზეზობრივი კავშირი შეცვლილ გარემოებებსა და ვალდებულების შესრულების დაბრკოლებას შორის.

სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას იმსჯელა პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების ორ უმნიშვნელოვანეს წინაპირობაზე. კერძოდ, მოვლენის წარმოშობის გათვალისწინების შეუძლებლობასა და მიზეზობრივ კავშირზე, რომელიც უნდა არსებობდეს დაუძლეველ ძალასა და შეუსრულებლობას შორის.

## II. მოვლენის წარმოშობის გათვალისწინების შეუძლებლობა

ფორსმაჟორული გარემოების გათვალისწინების შეუძლებლობა მოვალის ბრალეულობის გამომრიცხავ კრიტერიუმად არის მიჩნეული უცხოურ სასამართლო პრაქტიკაში.<sup>1</sup> მსგავსად, იურიდიულ დოქტრინაშიც მხარე პასუხისმგებლად ცხადდება იმ დაბრკოლებისა და მისი შედეგებისათვის, რომელთა აღმოცენების შესაძლებლობაც მისთვის გონივ-

---

<sup>1</sup> მხარის კონტროლის სფეროს მიღმა არსებული დაბრკოლებისა და წინასწარ გათვალისწინების ვალდებულების შესახებ საინტერესოა მასტრიქტის სასამართლოს გადაწყვეტილება. *District Court (Rechtbank) Maastricht, 9 July, 2008, [120428/HAZA 07-550]*, <<http://cisgw3.law.pace.edu/cases/080709n1.html#cx>>.

რულად მოსალოდნელი იყო.<sup>2</sup> თუ ხელშეკრულების დადების დროს მხარეს წინასწარ შეემლო დაბრკოლების წარმოშობა ევარაუდა და მან აღნიშნულის მხედველობაში მიღებით არ გაატარა შესაბამისი ზომები,<sup>3</sup> მაშინ მასვე ეკისრება აღნიშნული გარემოების დადგომის რისკიც.<sup>4</sup> ზემოხსენებული წინაპირობა მნიშვნელოვნად უკავშირდება მოვალის „გაუფრთხილებლობის“, „დაუდევრობის“ საკითხს.<sup>5</sup> ამ შემთხვევაში მოვალის ბრალი გარემოების გაუთვალისწინებლობით ან მისი შედეგების თავიდან აცილების განუხორციელებლობით ვლინდება.

სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ სავაჭრო სფეროში, ბრუნვის თავისებურებიდან გამომდინარე, ყოველთვის არსებობს ეკონომიკური კრიზისის რისკი, რაც ობიექტურად გათვალისწინებადია. ამდენად, მოსარჩელეს მითითება მსოფლიო ეკონომიკური კრიზისზე (რამაც საქართველოზეც ჰპოვა ასახვა და ხელი შეუწყო 2008 წლის აგვისტოს საომარმა მოვლენებმა) არ შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით განსაზღვრულ ისეთ პირობად, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით უკვე განსაზღვრული პირობების შეცვლას.

სააპელაციო სასამართლომ აქცენტი გააკეთა მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისზე, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველზე, მაშინ როდესაც მოსარჩელე ფორსმაჟორულ გარემოებად უთითებს 2008 წლის საომარ მდგომარეობას, მის მიერ გამოწვეულ კრიზისს და არა მხოლოდ მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს. ბუნებრივია, ომი მეტია ვიდრე სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი ჩვეული ეკონომიკური კრიზისის ან მისი რისკის დასაშვები და გონივრული ზღვარი, რომლის გათვალისწინებაც გონივრულად შეიძლება მოეთხოვოს სამოქალაქო ურთიერთობის მეწარმე სუბიექტს.

იურიდიულ დოქტრინაში განმარტებულია, რომ არა მხოლოდ დაბრკოლების, არამედ მისი წარმოშობის მომენტის გათვალისწინება არ უნდა იყოს მხარისათვის გონივრულად სავარაუდო. მაგალითად, თანამედროვე მსოფლიოში ომი, შტორმი, ემბარგო

---

<sup>2</sup> *Kofod R.*, *Hardship in International Sales CISG and the UNIDROIT Principles*, University of Copenhagen-Faculty of Law, Pace Law School Institute of International Commercial Law, 2011, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/kofod.html>>; *Huber P.*, *Mullis A.*, *The CISG A New Textbook for Students and Practitioners*, Selliers, European Law Publishers, 2007, 192; *Tallon D.*, Section IV. Exemptions, 572-596, in *Commentary on the International Sales Law, The 1980 Vienna Sales Convention*, Bianca M. & Bonell M.J, GiuffrèMilan, Milan, 1987.

<sup>3</sup> *Schlechtriem P.*, *Schwenzer I.*, *Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG)*, 3<sup>rd</sup> ed., Oxford University Press, 2010, 1068.

<sup>4</sup> *Liu Ch.*, *Newman M.S. (ed.) Remedies in International Sales, Perspectives from CISG, UNIDROIT Principles and PECL*, JurisNet, LLC, Huntington, New York, 2007, 677; *Bar Ch.*, *Clive E.*, *Schulte-Nölke H.*, *Beale H.*, *Herre J.*, *Huet J.*, *Storme M.*, *Swann S.*, *Varul P.*, *Vaneziano A.*, *Zoll F. (eds.)*, *Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Draft Common Frame of Reference, Study Group on a European Civil Code and Research Group on EC Private Law (Acquis Group)*, Sellier, European Law Publishers GmbH, Munich, 2009, 740, <[http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law_en.pdf)>.

<sup>5</sup> *Firoozmand M.R.*, *Changed Circumstances and Immutability of Contract: a Comparative Analysis of Force Majeure and Related Doctrines*, *Bus. L. Int'l*, Vol. 8, № 2, 2007, 164, <[http://heinonline.org/HOL/Welcome?message=Please%20log%20in&url=%2FHOL%2FPrint%3Fhandle%3Dhein.journals%2Fblawintnl2007%26div%3D17%26collection%3Djournals%26set\\_as\\_cursor%3D1%26men\\_tab%3Dsrchresults](http://heinonline.org/HOL/Welcome?message=Please%20log%20in&url=%2FHOL%2FPrint%3Fhandle%3Dhein.journals%2Fblawintnl2007%26div%3D17%26collection%3Djournals%26set_as_cursor%3D1%26men_tab%3Dsrchresults)>.

აბსტრაქტულად, შესაძლებელია სავარაუდო იყოს,<sup>6</sup> მაგრამ პასუხისმგებლობის გამორიცხვისთვის აუცილებელია, რომ დაბრკოლების წარმოშობის კონკრეტული დრო არ იყოს მოსალოდნელი.<sup>7</sup> თეორიულად ნებისმიერი ადამიანისათვის თანამედროვე პოლიტიკურ რეალობაში შესაძლებელია მოსალოდნელი იყოს საომარი მოქმედებების დაწყება, მაგრამ კონკრეტულად მისი წარმოშობის მომენტრი არ უნდა იყოს სავარაუდო ხელშეკრულების დადების დროს. ამასთან, პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია არა მოვალის მიერ დაბრკოლების გათვალისწინების სუბიექტური შესაძლებლობის, არამედ იმავე მდგომარეობაში მყოფი საშუალო შესაძლებლობების მქონე პირის უნარის გონივრული შეფასება ობიექტური თვალთახედვიდან.<sup>8</sup>

პროფესიონალს მისი ცოდნისა და გამოცდილების ფარგლებში მოეთხოვება მოვლენების პროგნოზირება. მაგალითად, სავაჭრო ურთიერთობების მონაწილეთათვის გონივრულად სავარაუდოა ნედლეულის ფასის ცვალებადობის მაღალი რისკის არსებობა. თუმცა, პასუხისმგებლობის დაკისრება არ შეიძლება სავაჭრო ჩვეულებებში გაუთვითცნობიერებელ მომხმარებელზე. თანამედროვე პირობებში ვალუტის კურსისა და საბაზრო ფასების ცვლილების რისკი ძალიან მაღალი ხარისხით არსებობს განსაკუთრებით გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებში. თუმცა იგივე წესი ვერ გავრცელდება მოულოდნელ და მკვეთრ ცვლილებებზე.<sup>9</sup>

ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებთან<sup>10</sup> (შემდგომში – ევროპული პრინციპები) და უნიდრუას საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპებთან<sup>11</sup> (შემდგომში – უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები) შედარებით, რომლებიც მხოლოდ შეცვლილი გარემოების წარმოშობის გათვალისწინების შეუძლებლობის კრიტერიუმს იცნობენ, ევროპული კერძო სამართლის პრინციპები, განმარტებები და მოდელური

---

<sup>6</sup> Secretariat Commentary, Guide to CISG Article 79, 2006, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/text/secomm/secomm-79.html>>; *Perillo J.*, Force Majeure and Hardship under the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, *Contratación internacional. Comentarios a los Principios sobre los Contratos Comerciales Internacionales del Unidroit*, Universidad Nacional Autónoma de México - Universidad Panamericana, 1998, 121, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/perillo3.html?>>.

<sup>7</sup> *Jones R., Moens G.*, *International Trade Business Law Review*, Vol. 10, 2006, 306.

<sup>8</sup> *Honnold J.*, Impediments Excusing Party From Damages ("Force Majeure"), *Uniform Law for International Sales under the 1980 United Nations Convention*, 3<sup>rd</sup> ed., Kluwer Law International, The Hague, 1999, 472-495, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/ho79.html>>.

<sup>9</sup> *Bar Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Beale H., Herre J., Huet J., Storme M., Swann S., Varul P., Vaneziano A., Zoll F.(eds.)*, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Draft Common Frame of Reference, Study Group on a European Civil Code and Research Group on EC Private Law (Acquis Group), Sellier, European Law Publishers GmbH, Munich, 2009, 740, <[http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law_en.pdf)>.

<sup>10</sup> *ob.* Principles of European Contract Law, Parts I and II - Revised 1998, Part III - 2002, <<http://www.jus.uio.no/lm/eu.contract.principles.parts.1.to.3.2002/>>; ასევე, *Lando O., Beale H.*, Principles of European Contract Law, Part I, II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000.

<sup>11</sup> *ob.* UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (UNIDROIT Contract Principles ან UPICC), International Institute for the Unification of Private Law (UNIDROIT), Rome, 2004. ასევე, <<http://www.unidroit.org/english/principles/contracts/principles2004/integralversionprinciples2004-e.pdf>>.

წესები – *Draft Common Frame of Reference*<sup>12</sup> (*შემდგომში - DCFR*) მოთხოვნად აწესებს მოვლენების მასშტაბურობის, მოცულობისა და ინტენსივობის გონივრულად გათვალისწინების შეუძლებლობას.<sup>13</sup>

იურიდიულ დოქტრინასა და პრაქტიკაში მიჩნეულია, რომ შესრულების გართულების თვალსაზრისით შესაძლებელია სავარაუდო იყოს შემდეგი მოვლენები: პროდუქციის ფასის მკვეთრი ცვლილებები ბაზარზე,<sup>14</sup> არასასურველი ეკონომიკური ძვრები, სავალუტო კურსის მკვეთრი ცვლილებები, უცხოურ ვალუტაში გადახდის აკრძალვა ცენტრალური ბანკის მიერ ხელშეკრულების დადების შემდეგ<sup>15</sup> და სხვა.

აღნიშნული კრიტერიუმის ზუსტი განსაზღვრა და მტკიცება მხარის მიერ ძალიან რთულია<sup>16</sup> და, უმრავლეს შემთხვევაში, დამოკიდებულია იმაზე სასამართლო მოვლენის დამოუკიდებელ, განკერძოებულ შეფასებას მოახდენს თუ – მისი შედეგების ანალიზს.<sup>17</sup>

### III. მიზეზობრივი კავშირი

სახელშეკრულებო სამართალში პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა მიზეზობრივი კავშირის არსებობა შესრულების შეუძლებლობასა და მის გამომწვევ გარემოებას შორის.<sup>18</sup> მიზეზობრივი კავშირის არსებობის მტკიცების ტვირთი მოვალეს ეკისრება.<sup>19</sup>

---

<sup>12</sup> *Bar Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Beale H., Herre J., Huet J., Storme M., Swann S., Varul P., Vaneziano A., Zoll F. (eds.), Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Draft Common Frame of Reference, Study Group on a European Civil Code and Research Group on EC Private Law (Acquis Group), Sellier, European Law Publishers GmbH, Munich, 2009. “Draft Common Frame of Reference”, უნიფიკაციის ამ დოკუმენტის დასახელების ზუსტი ქართული შესატყვისის მოძებნა ნაგულისხმევი დედააზრის ზედმიწევნითი შენარჩუნებით განსაკუთრებით რთულია, შესაბამისად, იგი ინგლისური აბრევიატურის სახით – *DCFR* იქნება ნაშრომში გამოყენებული.*

<sup>13</sup> იხ. *DCFR*-ის III.-1:110(2) (b) მუხლი.

<sup>14</sup> *Lookofsky J., The 1980 United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, Herbots J. (ed.), Blanpain R. (gen. eds.), International Encyclopedia of Laws - Contracts, Suppl. 29, 2000, 162, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/lookofsky.html>>; Schwenger I., Force Majeure and Hardship in International Sales Contracts, VUWLR, Vol. 39, 2008, 716, <<http://www.austlii.edu.au/nz/journals/VUWLawRw/2008/39.pdf>>.*

<sup>15</sup> *Fucci R.F., Hardship and Changed Circumstances as Grounds for Adjustment or Non-Performance of Contracts, Practical Considerations in International Infrastructure Investment and Finance, Thelen Reid & Priest LLP, American Bar Association Section of International Law, 2006, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/fucci.html>>.*

<sup>16</sup> Secretariat Commentary on Art. 65 of the 1978 Draft [draft Counterpart of the CISG, art.79], Comment 5, <[www.cisg.law.pace.edu/cisg/text/secomm/secomm-79.html](http://www.cisg.law.pace.edu/cisg/text/secomm/secomm-79.html)>, მითითებულია: *Liu Ch., Newman M.S. (ed.) Remedies in International Sales, Perspectives from CISG, UNIDROIT Principles and PECL, JurisNet, LLC, Huntington, New York, 2007, 679.*

<sup>17</sup> *Wright C., Force Majeure Clauses and the Insurability of Force Majeure Risks, The Construction Lawyer, Vol. 23, 2003, 19, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/conlaw23&div=46&g\\_sent=1&collection=journals](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/conlaw23&div=46&g_sent=1&collection=journals)>.*

<sup>18</sup> *Liu Ch., Newman M.S. (ed.), Remedies in International Sales, Perspectives from CISG, UNIDROIT Principles and PECL, JurisNet, LLC, Huntington, New York, 2007, 684.*

<sup>19</sup> ICC Arbitration Case № 7197/1992, მითითებულია: *Flambouras D.P., The Doctrines of Impossibility of Performance and Clausula Rebus SIC Stantibus in the 1980 Convention on Contracts for the*

შესაძლებელია ფორსმაჟორული გარემოების უარყოფითი შედეგების მოქმედება აღნიშნული გარემოების არსებობის შეწყვეტის შემდეგაც გრძელდებოდეს, რაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების პირობების ფუნდამენტური შეცვლის გამო არაგონივრულს და უსამართლოს ხდის შეუსრულებლობისათვის მოვალეზე პასუხისმგებლობის დაკისრებას. „დაუძლეველი ძალის, მაგალითად, ომის დასრულება კონკრეტული სუბიექტისათვის ფორსმაჟორული მდგომარეობიდან ავტომატურ გამოსვლას არ ნიშნავს. მაგალითად, რკინიგზა, რომელიც საომარი მდგომარეობის გამო ჩაკეტილი იყო და ომის დასრულების შემდეგაც არ აღდგა, მხარისათვის კვლავ დაბრკოლებას წარმოადგენს ვალდებულების შესრულების თავლსაზრისით, ამიტომ მხარეს შეუძლია დაასაბუთოს, რომ მისთვის დაუძლეველი მდგომარეობა კვლავ გრძელდება.“<sup>20</sup>

ფორსმაჟორის არსებობისას გამოსაყენებელი სამართლებრივი დაცვის მექანიზმებია ვალდებულების შეჩერება<sup>21</sup> და შესრულების ვადის გადავადება ფორსმაჟორული გარემოების მოქმედების ხანგრძლივობით<sup>22</sup> ან ხელშეკრულების შეწყვეტა<sup>23</sup>, გამომდინარე იქედან, ფორსმაჟორით გამოწვეულია შესრულების დროებითი თუ მუდმივი შეუძლებლობა.<sup>24</sup> როდესაც საუბარია ფორსმაჟორული გარემოების მოქმედების პერიოდზე, იგი ფართოდ უნდა განიმარტოს და მასში მოაზრებულ უნდა იქნეს დროის ის პერიოდი, რომელშიც ფორსმაჟორული გარემოებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები არსებობს და შესრულების დამაბრკოლებელი ზეგავლენა გრძელდება.

„მოვალე პასუხისმგებლობისგან განთავსუფლდება მხოლოდ იმ დროისათვის, რა დროის განმავლობაშიც ვალდებულების შესრულება შეუძლებელია.“<sup>25</sup>

მოცემულ შემთხვევაში მხარეთა სახელშეკრულებო დათქმით, მართალია, პირდაპირ არ არის გათვალისწინებული ფორსმაჟორული გარემოების მოქმედების პერიოდი, მაგრამ სახელშეკრულებო დებულება სიტყვა-სიტყვით არ უნდა განიმარტოს, არამედ მოხდეს

---

International Sale of Goods and the Principles of European Contract Law - A Comparative Analysis, Pace Intl'l L. Rev., Vol. 13, 2001, 273,

<<http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/pacintlwr13&collection=journals&page=261>>.

<sup>20</sup> მოწონელიძე ნ., ფორსმაჟორის დროს ვალდებულების შეუსრულებლობა და მისი სამართლებრივი შედეგები, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, ჟურნ. „კერძო სამართლის მიმოხილვა“, №1, 2015, 56-57.

<sup>21</sup> მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2014 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილებაში საქმეზე: №ას-834-792-2013 აღნიშნულია, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადა გადაიწევს იმ ვადით, რა ვადითაც იარსებებს ფორსმაჟორული გარემოება.

<sup>22</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2012 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-1300-1320-2011.

<sup>23</sup> Berger K.P., Renegotiation and Adaptation of International Investment Contracts: The Role of Contract Drafters and Arbitrators., Vanderbilt Journal of Transnational Law, Vol. 36, 2003, 1352, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/vantl36&div=55&g\\_sent=1&collection=journals#1380](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/vantl36&div=55&g_sent=1&collection=journals#1380)>.

<sup>24</sup> Böckstiegel K., Hardship, Force Majeure and Special Risks Clauses in International Contracts, წიგნში: Horn N. (Ed.), Adaptation and Renegotiation of Contracts in International Trade and Finance, Kluwer: Deventer, 1985, 159.

<sup>25</sup> მოწონელიძე ნ., ფორსმაჟორის დროს ვალდებულების შეუსრულებლობა და მისი სამართლებრივი შედეგები, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, ჟურნ. „კერძო სამართლის მიმოხილვა“, №1, 2015, 56.

მისი ფართოდ გაანალიზება იმ მნიშვნელობის შესაბამისად, რასაც შეიძლება დათქმა გონივრულად მოიაზრებდეს. კერძოდ, ფორსმაჟორული დათქმის განმტკიცების მიზანი მოცემულ შემთხვევაში მხარის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებაა და ეს წესი გონივრულია რომ უნდა მოქმედებდეს მანამ, სანამ ფორსმაჟორი აბრკოლებს ან შეუძლებელს ხდის შესრულებას. შესაბამისად, ლოგიკური და თელეოლოგიური განმარტების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მხარეთა მიზანი ფორსმაჟორული გარემოების მოქმედების პირობებში მხარის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებაა. ამიტომაც გონივრულია, რომ ფორსმაჟორის მოქმედება მოიცავდეს მისი არსებობის დასრულებიდან პერიოდსაც უარყოფითი შედეგების მოქმედების დასასრულამდე.

სამწუხაროდ, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდის ვადის გადაცილება გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით, რაც ხელშეკრულების მე-11 მუხლის თანახმად, მხარის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველად იყო განსაზღვრული.<sup>26</sup> პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ დაუძლეველ ძალად მიჩნეული 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებები არ შეიძლება ჩაითვალოს 2009 წლის თებერვალში ვალდებულების შეუსრულებლობის საპატიო მიზეზად, ვინაიდან ამ დრომდე იგი ვალდებულების შესრულებას კვლავ აგრძელებდა, ხოლო საქმის მასალებით არ დასტურდება 2009 წლის თებერვლისათვის სხვა ისეთი ახალი გარემოება, რაც მოვალისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, პირდაპირ იქნებოდა დაკავშირებული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობასთან.

საინტერესოა საკასაციო სასამართლოს განმარტება მიზეზობრივი კავშირის საკითხზე: შეცვლილი გარემოების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება მოთხოვნა გარემოების წარმოშობის მომენტიდან მოგვიანებითაც წარმოიშვას. აღნიშნულს განაპირობებს ის რეალობა, რომ ზოგ შემთხვევაში გარემოებათა შეცვლა ხდება თანდათან, გარკვეული დროის გასვლის შემდეგაც, ანუ მოცემულ შემთხვევაში შეცვლილი გარემოების საფუძვლის – ომის უარყოფითი ეკონომიკური შედეგები, როგორც წესი, არ სრულდება საომარი მოქმედებების დასრულებასთან ერთად და მას ზოგ შემთხვევაში საკმაოდ ხანგრძლივი განვითარება აქვს. საფუძველს მოკლებულია გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებული დასკვნა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი არ შეიძლება იყოს საფუძველი 6 თვის შემდეგ ვალდებულების შესრულების გაგრძელების შეუძლებლობისა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტების თანახმად, საომარი მოქმედებების დასრულების შემდგომ მხარე კვლავ აგრძელებდა ვალდებულების შესრულებას, რაც უნდა გამორიცხავდეს ფორსმაჟორული გარემოების მოქმედების დასრულების შემდგომ

---

<sup>26</sup> მნიშვნელოვანია, რომ ფორსმაჟორის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველად გამოყენებას არ სჭირდება სპეციალურად ხელშეკრულებაში გათვალისწინება თუ მხარეთა მიზანი ფორსმაჟორული მოვლენის შეფასების კრიტერიუმების, უარყოფითი ზემოქმედების მასშტაბების აღწერა ან კანონით გათვალისწინებულისგან განსხვავებული პასუხისმგებლობის რეჟიმის დადგენა არ არის. პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება ასევე არ სჭირდება ხელშეკრულებაში იმის მითითებას, რომ პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების პერიოდი ფორსმაჟორული მოვლენით გამოწვეული შედეგების მოქმედების პერიოდს მოიცავს.

პერიოდში შესრულების შეუძლებლობის საფუძველით პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებას მიზეზობრივი კავშირის არარსებობის გამო. აღნიშნულის საპასუხოდ უნდა იქნეს მოყვანილი საქმეში არსებული მასალები, რომელთა თანახმადაც, მხარე ვალდებულების შესრულების შეუძლებლობამდე მხოლოდ საბრუნავი საშუალებების ხარჯზე უზრუნველყოფდა ვალდებულების შესრულებას. აღნიშნული რეზერვების ამოწურვის შემდგომ დაფუძნდა შესრულების შეუძლებლობა. ამრიგად, ფორსმაჟორული გარემოების გავლენით მხარისათვის იმდენად უკიდურესად გართულდა ვალდებულების შესრულება, რომ ის საბრუნავი საშუალებების რეზერვის გამოყენებით ახორციელებდა შესრულებას, თუმცა საბოლოოდ მაინც წარმოიშვა შესრულების შეუძლებლობა. მხარეს მოეთხოვება ძალისხმევა მიმართოს ვალდებულების შესრულებისკენ და არ დაელოდოს იმ გარემოებების აღმოცენებას, რომელიც შემდგომ მისი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი გახდება.<sup>27</sup> ამ საერთაშორისო სტანდარტის გათვალისწინებით მხარე ომით გამოწვეული ფინანსური კრიზისის გავლენით გართულებული შესრულების პირობებში ყოველმხრივ შეეცადა ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის თავიდან აცილებას, საბრუნავი საშუალებების ხარჯზეც კი. ამიტომ, სასამართლოს მტკიცება, მიზეზობრივი კავშირის არარსებობის შესახებ მოყვანილი არგუმენტაციით, უსაფუძველოა.

## 1. ფორსმაჟორული გარემოების აღიარება უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ

ხშირად მხარეები პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების განმსაზღვრელი დათქმის ამოქმედების წინაპირობად ადგენენ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს, სავაჭრო თუ ნოტარიუსთა პალატის მიერ ფორსმაჟორული მოვლენის არსებობის დადასტურებას.<sup>28</sup> მაგალითად, საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული დაძაბული ვითარების გამო, საინვესტიციო ხელშეკრულების შეწყვეტის ფაქტი საქართველოს სავაჭრო პალატამ<sup>29</sup> კონკრეტული მხარეებისათვის ფორსმაჟორულ გარემოებად ცნო.

საინტერესოა, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა მიიჩნევა თუ არა ფორსმაჟორული გარემოების დამდგენ ექსკლუზიურ ორგანოდ, თუ დაუძლეველი ძალა არ შეიძლება წარმოადგენდეს მარტოოდენ სავაჭრო-სამრეწველო პალატის შეფასების საგანს და იგი შესაძლებელია შეფასებულ იქნეს ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ან

---

<sup>27</sup> Liu Ch., Force Majeure Perspectives from the CISG, UNIDROIT Principles, PECL and Case Law, 2<sup>nd</sup> ed., Case annotated update, Pace Law School Institute of International Commercial Law, 2005, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/liu6.html>>.

<sup>28</sup> UNCITRAL – Legal Guide on Drawing Up International Contracts for the Construction of Industrial Works, Prepared by the United Nations Commission on International Trade Law, United Nations, New York, A/CN.9/SER.B/2, 1988, 240, <[http://www.uncitral.org/pdf/english/texts/procurem/construction/Legal\\_Guide\\_e.pdf](http://www.uncitral.org/pdf/english/texts/procurem/construction/Legal_Guide_e.pdf)>.

<sup>29</sup> „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ საქართველოს 2001 წლის 26 ოქტომბრის №1131 კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ ნებაყოფლობით წარდგენილი განაცხადის საფუძველზე, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა ახორციელებს ფორსმაჟორისა და საგარეო ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გარემოებების დამოწმებას.

სხვა დამოუკიდებელი დაწესებულების მიერ.<sup>30</sup> აღნიშნული საკითხი შესაძლებელია მხარეთა სახელშეკრულებო დათქმით დარეგულირდეს და კონტრაქტებმა თავად განსაზღვრონ ფორსმაჟორული გარემოების შეფასებაზე უფლებამოსილი სუბიექტი. ერთ-ერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებულია: სავაჭრო-სამრეწველო პალატა ამოწმებს ფორსმაჟორის არსებობას, ანუ იმ გარემოებას, რომელიც შესაძლებელია ჩაითვალოს დაუძლეველ ძალად, ხოლო პირთა პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტა მის კომპეტენციაში არ შედის.<sup>31</sup>

სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებით, პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება გამორიცხულია, რადგან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების თაობაზე სახელმწიფოს რაიმე დოკუმენტი არ მიუღია. საკასაციო სასამართლომ სწორად განმარტა, რომ უსაფუძვლოა სასამართლოს მითითება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების თაობაზე სახელმწიფოს მიერ გამოცემული დოკუმენტის არარსებობის შესახებ, ვინაიდან ასეთი დოკუმენტის არსებობა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტის დადგენისათვის აუცილებელი არ არის. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს კასატორის მითითებას, რომ 2008 წლის აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია და იგი დამტკიცებას არ საჭიროებს.

ამრიგად, პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების ერთ-ერთი წინაპირობაა ფორსმაჟორული გარემოების აღიარება უფლებამოსილი ორგანოს მიერ. თუმცა, ეს წესი ფორსმაჟორული მოვლენის ბუნებიდან გამომდინარე შესაძლებელია ყოველთვის ერთგვაროვანი არ იყოს.

## **2. შეტყობინების ვალდებულება როგორც ხელშეკრულების გადარჩენისკენ მიმართული ღონისძიება**

მხარეთა განმარტებებისა და საქმეში არსებული მასალების მიხედვით *ო/მ ამირ ხაზარბეგიშვილი*მა ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია 2009 წლის იანვრიდან, რის გამოც 2009 წლის 20 თებერვლის მდგომარეობით მას გადასახდელად დაერიცხა ვადაგადასული დავალიანება 6587 აშშ დოლარის ოდენობით, საიდანაც ჯარიმას შეადგენდა 2152 აშშ დოლარი. 2008 წლის 9 დეკემბერს *ო/მ ამირ ხაზარბეგიშვილი*მა მოითხოვა გენერალური ხელშეკრულებით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში დამატებით 30000 აშშ დოლარის კრედიტის გაცემა (რეფინანსირება), ხოლო სესხის ხელშეკრულების პირობების შეცვლის მოთხოვნით (რესტრუქტურისაცია) კონტრაქტს მიმართა 2009 წლის 18 თებერვალს. აღნიშნული მოთხოვნა ხელშემკვრელი მხარის მიერ არ დაკმაყოფილდა.

2008 წლის 9 დეკემბერს ჯერ კიდევ ხორციელდება *ო/მ ამირ ხაზარბეგიშვილის* მიერ ვალდებულების შესრულება, თუმცა ომით გამოწვეული კრიზისის გავლენით იგი

<sup>30</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2014 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-1118-1065-2013.

<sup>31</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-418-391-2010.

უკიდურესად გართულებულია და ჯერ შესრულების შეუძლებლობა დაფუძნებული არ არის. 30000 აშშ დოლარის კრედიტის გაცემის მოთხოვნა წარმოადგენდა შეტყობინების ვალდებულების რეალიზებას მოვალის მხრიდან და ამასთან, ხელშეკრულების გადარჩენისკენ და ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფისკენ მიმართულ ქმედებას, რომელსაც უკიდურესად დამძიმებული ვალდებულება ჩიხიდან და შესრულების შეუძლებლობის წარმოშობის რისკის სფეროდან უნდა გამოეყვანა.

საკასაციო სასამართლოც სრულიად მართებულად ყურადღებას ამახვილებს შეტყობინების ვალდებულების მნიშვნელობაზე და მიუთითებს *ი/მ ამირ ხაზარბეგიშვილის* მიერ ვალდებულების დარღვევამდე განხორციელებულ რამდენიმე შეტყობინებაზე შესრულების მოსალოდნელ პრობლემებთან დაკავშირებით, რომელიც მოწინააღმდეგე მხარეს სადავოდ არ გაუხდია.

უნიფიცირებული სამართლის ინსტრუმენტები<sup>32</sup> განამტკიცებს კრედიტორისათვის გონივრულ ვადაში მოვალის მიერ შეტყობინების ვალდებულებას დაბრკოლების, მისი ხარისხის, ხანგრძლივობისა და შესაძლო შედეგების შესახებ.<sup>33</sup> შეტყობინების მიზანია, მოხდეს მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება ან მათი შემცირება. შეტყობინების ვალდებულება თანამშრომლობის ვალდებულებისა<sup>34</sup> და კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლინებაა<sup>35</sup> სახელშეკრულებო ურთიერთობაში. თუ შეტყობინება ხორციელდება ხელშეკრულების შესატყვისი შესრულების შეუძლებლობის შესახებ, მაშინ მიზანშეწონილია შეტყობინების შინაარსი მოიცავდეს ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების შეთავაზებასაც,<sup>36</sup> რაც იყო სწორედ 30 000 აშშ დოლარის მოთხოვნა. აღნიშნული მოთხოვნის მიზანი იყო მომხდარიყო ვალდებულების შესრულების წინაშე მდგარი დაბრკოლებების გადალახვა და მოსალოდნელი დარღვევის პრევენცია.

### 3. ვალდებულების შესრულების გართულების დამატებითი სამართლებრივი წინაპირობების განმარტება

საკასაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის განმარტების საფუძველზე განსაზღვრა ვალდებულების შესრულების გართულების დაფუძნების

---

<sup>32</sup> ევროპული პრინციპების 8:108-ე (3), უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 7.1.7-ე, ვენის კონვენციის 79-ე მუხლები.

<sup>33</sup> *Flambouras D.P.*, The Doctrines of Impossibility of Performance and Clausula Rebus Sic Stantibus in the 1980 Vienna Convention on Contracts for the International Sale of Goods and the Principles of European Contract Law: A Comparative Analysis, *Pace Int'l L. Rev.*, Vol. 13, 2001, 264, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/flambouras1.html>>, მითითებულია: *Liu Ch., Newman M.S.(eds.) Remedies in International Sales, Perspectives from CISG, UNIDROIT Principles and PECL*, JurisNet, LLC, Huntington, New York, 2007, 704.

<sup>34</sup> *Schlechtriem P., Schwenger I.*, Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 3<sup>rd</sup> ed., Oxford University Press, 2010, 1081.

<sup>35</sup> *Schwenger I., Hachem P., Kee Ch.*, Global Sales and Contract Law, Oxford University Press, New York, 2012, 666.

<sup>36</sup> *Schlechtriem P., Schwenger I.*, Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 3<sup>rd</sup> ed., Oxford University Press, 2010, 1081.

აღნიშნული მუხლით პირდაპირ არაფორმულირებული, მაგრამ ნაგულისხმევი და უცხოურ სამართლებრივ სისტემებში აღიარებული სამართლებრივი წინაპირობები. კერძოდ, საკასაციო სასამართლოს რეკომენდაციით, საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს 398-ე მუხლის გამოყენების შემდეგი წინაპირობები: 1. შეცვლილმა გარემოებებმა უნდა გამოიწვიოს ვალდებულების შესრულების უკიდურესი დამძიმება; 2. გარემოება აშკარად უნდა შეიცვალოს ხელშეკრულების დადების შემდეგ; 3. გარემოებების შეცვლის გონივრულად გათვალისწინება ხელშეკრულების დადების დროს შესაძლებელი არ უნდა იყოს, ანუ შეცვლილი გარემოებები არ უნდა შედიოდეს დაზარალებული მხარის კონტროლის სფეროში; 4. ხელშეკრულებით არ უნდა იყოს გათვალისწინებული გარემოებების შეცვლის რისკის დაზარალებული მხარისათვის დაკისრება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელშეკრულებო პირობა მოქმედებს და 398-ე მუხლის გამოყენება დაუშვებელია; 5. ხელშეკრულების შესრულების გართულება გამოწვეული უნდა იყოს სწორედ აშკარად შეცვლილ გარემოებათა გამო, ანუ არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.

შესრულების გართულების სამართლებრივი წინაპირობების განსაზღვრით, სასამართლომ აღნიშნული სამართლებრივი კატეგორიის სამართლებრივი არსის განმარტება დაამკვიდრა.

### **III. ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად აუცილებელი თანამშრომლობის ვალდებულება**

მოვალის მიერ 30000 აშშ დოლარის მოთხოვნის საპასუხოდ, ბანკმა არ განახორციელა ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად აუცილებელი თანამშრომლობის ვალდებულება. გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების 3.4 პუნქტის მიხედვით და მის ფარგლებში, ბანკის მიერ ყოველი მომდევნო საბანკო პროდუქტის, ტრანშების გაცემა იწარმოებდა მსესხებლის მიერ, წინა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების საფუძველზე და/ან მოქმედი კრედიტის პირობებში ბანკის მოთხოვნების დაკმაყოფილებისას. მართალია, გენერალური ხელშეკრულების დადება არ ნიშნავდა სესხის შეპირებას და ამ მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილ საბანკო პროდუქტებს მსესხებელი მიიღებდა მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით დადგენილი პირობების დაკმაყოფილებისას, ბანკის შეხედულებისამებრ მსესხებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. თუმცა, თუ კრედიტორი ხელშეკრულების შესრულებისათვის აუცილებელი თანამშრომლობის ვალდებულების საფუძველზე დასთანხმებოდა ხელშეკრულების აღნიშნული წესის ცვლილებას და მოახდენდა მის ადაპტაციას შეცვლილი გარემოებებისადმი, აღნიშნული კონტრაქტებს სამომავლოდ ფორსმაჟორის საფუძველით წარმოშობილ შესრულების შეუძლებლობას, ე.ი. ვალდებულების დარღვევას, თავიდან აარიდებდა.

აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარეებს დასკვნა, რომ ვინაიდან არსებობდა ბანკის მხრიდან ვალდებულების დარღვევის თავიდან აცილების შესაძლებლობა, რომელიც არ განხორციელდა თანამშრომლობის, გულისხმიერებისა და კეთილსინდისიერების ვალდებულების დარღვევის გამო, შესაძლებელია ითქვას, რომ კრედიტორია პასუხისმგებელი ვალდებულების დარღვევისათვის. მხარე რომელიც არ

იყენებს მოსალოდნელი დარღვევის თავიდან აცილების შესაძლებლობას, თავად ხდება პასუხისმგებელი დარღვევისათვის. სამოქალაქო კოდექსის 405-ე III „გ“ მუხლის თანახმად, ხელშეკრულებაზე უარი დაუშვებელია, თუ ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორი მთლიანად ან უმთავრესად თვითონ არის პასუხისმგებელი. ამასთან, ზიანის ანაზღაურების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზოგადად, მეორადი მოთხოვნის უფლებების გამოყენების წინაპირობაა მოვალის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც ამ შემთხვევაში, კრედიტორის მხარეს არსებობს.

პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების მიზნით, მხარე ვერ დაეყრდნობა მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტს, თუ ვალდებულების დარღვევა მისი, როგორც კრედიტორის, ქმედებითა თუ უმოქმედობით იქნა გამოწვეული. ამ შემთხვევაში მოვალის პასუხისმგებლობის გამორიცხვის საფუძვლად შესაძლებელია ფორსმაჟორიც იქნეს გამოყენებული, რამეთუ ვალდებულების შეუსრულებლობა მოვალის კონტროლის სფეროს მიღმა არსებულმა დაბრკოლებამ – კრედიტორის ქმედებამ განაპირობა.<sup>37</sup>

თუ ვალდებულების დარღვევაზე სრულად კრედიტორია პასუხისმგებელი, სამართლებრივი სისტემები უპირობოდ გამორიცხავენ მის მიერ ნებისმიერი მეორადი მოთხოვნის გამოყენების უფლებამოსილებას.<sup>38</sup> ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, კრედიტორს ვალდებულების დარღვევისას ეზღუდება სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების უფლებამოსილება.<sup>39</sup> მაგალითად, ევროპული პრინციპების 8:101-ე (3) მუხლის თანახმად, კრედიტორი მოკლებულია სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების შესაძლებლობას იმდენად, რამდენადაც საკუთარი ქმედებით ხელი შეუწყო ვალდებულების შეუსრულებლობას. თუ კრედიტორის მიერ ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანი ნაწილობრივ მოვალის ქმედების შედეგითაა, მაშინ კრედიტორი სამართლებრივი დაცვის საშუალებებს სრულად ვერ გამოიყენებს, იმ შემთხვევისაგან განსხვავებით, როდესაც შეუსრულებლობისათვის მხოლოდ მოვალეა პასუხისმგებელი.<sup>40</sup> თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის გაუფრთხილებელ ბრალს უპირისპირდება კონტრაქტის შემხვედრი

---

<sup>37</sup> მოცემულ შემთხვევაში ფორსმაჟორთან შედარებით (სათანადო წინაპირობების არსებობისას) მოვალის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძვლად უპირატესად გამოსაყენებელია სახელშეკრულებო კონტრაქტის (კრედიტორის) მიერ გამოწვეული ვალდებულების დარღვევა (*exemption due to interference by the other party*) (ვენის კონვენციის 80-ე მუხლი), რადგან ფორსმაჟორის საფუძვლით კრედიტორს მხოლოდ ზიანის ანაზღაურებისა და შესრულების მოთხოვნის უფლებები ეზღუდება, ხოლო მეორე საფუძვლის გამოყენების შემთხვევაში კი, შესრულებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებთან ერთად გამოირიცხება ხელშეკრულებიდან გასვლის, ფასის შემცირებისა და ვადამოსული პროცენტის მოთხოვნის უფლებებიც. იხ. *Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration*, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 115.

<sup>38</sup> *Schwenzer I., Hachem P., Kee Ch.*, *Global Sales and Contract Law*, Oxford University Press, New York, 2012, 676.

<sup>39</sup> იქვე, 360.

<sup>40</sup> იქვე, 361.

განზრახი ბრალი, მაშინ ამ უკანასკნელს წარმოემოზა ზიანის სრული ოდენობით ანაზღაურების ვალდებულება.<sup>41</sup>

ვალდებულების დარღვევაში შემხვედრი ბრალის არსებობისას განისაზღვრება თითოეული მხარის ბრალეულობის ხვედრითი წილი დამდგარი ზიანის წარმოშობაში და პასუხისმგებლობა განისაზღვრება ზიანის ოდენობაში მათი წილობრივი მონაწილეობის მიხედვით. შერეული ბრალის არსებობისას დამდგარი ზიანის სრული ოდენობით ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრება არა ზიანის მიმყენებელს, არამედ მისი პასუხისმგებლობა მცირდება იმ ნაწილში, რითაც დაზარალებულმა ხელი შეუწყო ზიანის წარმოშობას და ზიანის შემცირებული ოდენობა დაეკისრება დაზარალებულ მხარეს.

ამრიგად, თუ დამდგარი ზიანი ხელშეკრულების მონაწილეთა ერთობლივი ბრალეული ქმედების შედეგია, მაშინ პასუხისმგებლობა ორივე მხარეზე გადანაწილდება ბრალეულობის ხარისხის გათვალისწინებით.<sup>42</sup>

მოცემულ შემთხვევაში კრედიტორის ვალდებულების დარღვევა გულისხმობს ვალდებულების დარღვევაში გამოიხატა, რამეთუ მან არ შეუწყო ხელი ხელშეკრულების ადაპტაციას და ვალდებულების შესრულებისკენ მიმართულ ღონისძიებებს (რეფინანსირებას).

სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეებს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად ეკისრებათ ურთიერთთანამშრომლობის ვალდებულება.<sup>43</sup> უცხოურ სამართლებრივ სისტემებში აღიარებულია, რომ ფორსმაჟორული გარემოების არსებობისას უფლებამოსილ კონტრაქტს ეკისრება დაზარალებულ მხარესთან თანამშრომლობისა და ყველა გონივრული საშუალებით მისი დახმარების ვალდებულება, რომ შეამციროს უარყოფითი შედეგების მოქმედება. აღნიშნული დახმარება შესაძლებელია გულისხმობდეს ასევე, მომსახურების ორგანიზებასა და გაწევას.<sup>44</sup> ევროპული პრინციპების თანახმად, ურთიერთთანამშრომლობის ვალდებულების შეუსრულებლობა, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვალდებულების დარღვევის დამოუკიდებელ სახეს აფუძნებს და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გამოყენების უფლებას აღმოაჩენებს.<sup>45</sup> მოლაპარაკების წარმოება ხელშეკრულების ადაპტაციის მიზნით, მხარეთა თანაქმედების ვალდებულების გამოხატულებად უნდა განიმარტოს. თანამშრომლობის ვალდებულება განსაკუთრებით ორიენტირებულია სახელშეკრულებო ურთიერთობის

---

<sup>41</sup> *Larenz K., Canaris C.W., Lehrbuch, §31 I e, Grunsky W. in Münchener Kommentar to §254, № 7. OLG, Munich, 23 Feb. 1990, NJW-RR 1990, 828 at 829, Heinrichs H. in Palandt O. to §254, №51, მითითებულია: Gordley J., Foundations of Private Law: Property, Tort, Contract, Unjust Enrichment, Oxford University Press, New York, 2006, 411.*

<sup>42</sup> *ქანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 482-483.*

<sup>43</sup> იხ. ევროპული პრინციპების 1:201-ე მუხლი.

<sup>44</sup> *Espenschied L.E., Contract Drafting, Powerful Prose in Transactional Practice, American Bar Association Publishing, 2010, 61.*

<sup>45</sup> *Busch D., Hondius E., Kooten H.V., Schelhaas H.N., Schrama W. (eds.), The Principles of European Contract Law and Dutch Law: A Commentary, Kluwer Law International, Ars Aequi Libri, Nijmegen, 2002, 52.*

დაცვასა და ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფაზე.<sup>46</sup>

ხელშეკრულება არის ინსტრუმენტი, რომელიც მხარეთა ლეგიტიმური მოლოდინის აღსრულებისათვის მოითხოვს მუდმივ ურთიერთთანამშრომლობას და თანაქმედების ვალდებულების განხორციელებას. ურთიერთთანამშრომლობის ვალდებულება, როგორც მხარეთა ქცევის სახელმძღვანელო პრინციპი, სახელშეკრულებო მოლაპარაკებას შეცვლილი გარემოებების აღმოცენების უპირობოდ თანამდევ პროცესად მოიაზრებს.<sup>47</sup>

სახელშეკრულებო მოლაპარაკებაში კეთილსინდისიერი მონაწილეობა მხარის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის საშუალებებით სარგებლობის წინაპირობაა.<sup>48</sup> DCFR-ის თანახმად,<sup>49</sup> მხარე ვალდებულების შესრულების, სანაცვლო შესრულების მოთხოვნის უფლების განხორციელების, ვალდებულების შესრულებისათვის გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის საშუალებების, ასევე, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელების პროცესში ვალდებულია იმოქმედოს კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად. აღნიშნული ვალდებულება არ შეიძლება შეიზღუდოს ან გამოირიცხოს შეთანხმებით, ან სხვა სამართლებრივი აქტით. ხსენებული მოვალეობის შეუსრულებლობა წაართმევს მხარეს მისი მოთხოვნებისა და სამართლებრივი დაცვის საშუალებების განხორციელების უფლებას.

თუ მხარე კეთილსინდისიერების პრინციპის უხეში დარღვევით, გონივრული ბიზნესის ინტერესებისა და სხვა პატივსადები მიზეზის გარეშე უარს განაცხადებს ან შეწყვეტს მოლაპარაკების წარმოებას მაშინ, როდესაც ნებისმიერი გონიერი ადამიანი დიდ ძალისხმევას გაიღებდა ანალოგიურ ვითარებაში,<sup>50</sup> დაზარალებული მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მან განიცადა ხელშემკვრელი მხარის მოლაპარაკებაში ჩართვის იმედიტა და შეთანხმების მიღწევის მოლოდინით გამოწვეული დაყოვნებით.<sup>51</sup>

ევროპული პრინციპების 6:111-ე (3) მუხლის ძალით, სასამართლო უფლებამოსილია ზიანის ანაზღაურება დააკისროს იმ მხარეს, რომელმაც უარი განაცხადა მოლაპარაკების

---

<sup>46</sup> *Ciematniece I.*, Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 65.

<sup>47</sup> *Uribe M.*, The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives, Intersentia, 2011, 238.

<sup>48</sup> *Bar Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Beale H., Herre J., Huet J., Storme M., Swann S., Varul P., Vaneziano A., Zoll F.(eds.)*, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Draft Common Frame of Reference, Study Group on a European Civil Code and Research Group on EC Private Law (Acquis Group), Sellier, European Law Publishers GmbH, Munich, 2009, 741, <[http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law_en.pdf)>.

<sup>49</sup> იბ. III.-1:103-ე მუხლი.

<sup>50</sup> *Berger K.P.*, Renegotiation and Adaptation of International Investment Contracts: The Role of Contract Drafters and Arbitrators, Vand. J. Transnat'l L., Vol. 36, 2003, 1369, <<http://www-prod.law.vanderbilt.edu/publications/journal-of-transnational-law/archives/volume-36-number-4/download.aspx?id=1888>>.

<sup>51</sup> *Uribe M.*, The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives, Intersentia, 2011, 210.

წარმოებაზე ან ჩაშალა იგი კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ.<sup>52</sup> აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ზიანის ანაზღაურების განმტკიცება სსკ-ით მხარეთა მიერ მოლაპარაკების კეთილსინდისიერად წარმოების გარანტიას შექმნის.

სახელშეკრულებო მოლაპარაკების წარუმატებლობა არ იწვევს ხელშეკრულების ავტომატურ შეწყვეტას.<sup>53</sup> თუ მხარეთა შორის ხელშეკრულების ადაპტაციის მიზნით წარმოებული მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა, მაშინ სანქციის სახით, შესაძლებელია, მოხდეს მიმართვა ობიექტური მესამე პირისათვის (სასამართლო, არბიტრაჟი და ა.შ.) ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგების მოთხოვნით. შესაძლებელია, მხარეებმა ხელშეკრულებით მოაწესრიგონ სასამართლოს ან საარბიტრაჟო ტრიბუნალის უფლებამოსილების ფარგლები ხელშეკრულების მისადაგების მიმართ.<sup>54</sup>

ბანკის არაგულისხმიერი ქმედება იმითაც ვლინებდა, რომ მან რეაგირების გარეშე დატოვა მოვალის მიერ განხორციელებული არაერთი შეტყობინება შესრულების მიმართ არსებული პრობლემების შესახებ.

ამრიგად, 2008 წლის დეკემბერში 30 000 აშშ დოლარის გაცემაზე უარით უკვე გარდუვალი გახდა 2009 წლის იანვარში ფორსმაჟორული გარემოებებით გამოწვეული ვალდებულების შესრულების გართულების შესრულების შეუძლებლობად ტრანსფორმაცია.

საკასაციო სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია გარემოება, რომ ორივე მხარე არის რა მეწარმე სუბიექტი, ბანკის მიერ სესხი გაცემულია სწორედ კასატორის სამეწარმეო საქმიანობისა და მატერიალური მდგომარეობის დეტალური და გულმოდგინე შესწავლით. გამსესხებლის მიერ სესხის გაცემას საფუძვლად დაედო მსესხებლის, როგორც მიმდინარე, ასევე სამომავლო სამეწარმეო საქმიანობის – ბიზნესგეგმის გამოკვლევის შედეგად მეწარმის საქმიანობის პერსპექტიულობასა და გაცემული სესხის დაბრუნების საიმედოობაში დარწმუნება. ამ დასკვნას ამყარებს ბანკის მიერ მეწარმეზე სესხის განმეორებით გაცემა.

ამრიგად, თანამშრომლობის ვალდებულების შესრულება, რაც 30 000 აშშ დოლარის გაცემას გულისხმობდა, გონივრულ საფუძველზე იქნებოდა დამყარებული, მიზნობრიობის დასაბუთების საჭიროების გარეშე.

საკასაციო სასამართლო საინტერესოდ ხსნის თანამშრომლობის ვალდებულების შინაარსს: კეთილსინდისიერების ფარგლებში ხელშეკრულების ორივე მხარე

---

<sup>52</sup> იხ. *Lando O., Beale H.*, Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 326; *Tallon D.*, წიგნში: *Hartkamp A.S., Hesselink M., Hondius E.H., du Perron E., Joustra C., Veldman M.(eds.)*, Towards a European Civil Code, 3<sup>rd</sup> ed., Kluwer Law International, 2004, 501; *Ciematniece I.*, Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 39.

<sup>53</sup> *BGH LM §242 (Bb) BGB Nr. 57; BGH WM 1958, 700.*

<sup>54</sup> *Faruque A.*, Possible Role of the Arbitration in the Adaptation of Petroleum Contracts by Third Parties, *Asian Int'l Arb. J.*, Vol. 2, 2006, 152, <[www.heinonline.org/HOL/LuceneSearch?specialcollection=&terms=creator%3A%22%20A1%20Faruque,%20Abdullah%22&yearlo=&yearhi=&subject=ANY&journal=ALL&sortby=relevance&collection=journals&searchtype=advanced&submit=Search&base=js&all=true](http://www.heinonline.org/HOL/LuceneSearch?specialcollection=&terms=creator%3A%22%20A1%20Faruque,%20Abdullah%22&yearlo=&yearhi=&subject=ANY&journal=ALL&sortby=relevance&collection=journals&searchtype=advanced&submit=Search&base=js&all=true)>.

თანაბარწილად ვალდებულია, ხელი შეუწყოს ხელშეკრულების შესრულებას, ამასთან, სამოქალაქო კოდექსი ამავე პრინციპზე დაყრდნობით მხარეს ზოგ შემთხვევაში უფრო მეტს აკისრებს, ვიდრე ხელშეკრულებით აქვს ნაკისრი. სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას. ამავე კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. ამდენად, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართლის აღიარებული ზოგადი დათქმაა, რომელიც განმტკიცებულია სამოქალაქო კანონმდებლობით. მართალია, ნორმათა უმრავლესობა მასზე პირდაპირ არ უთითებს, მაგრამ მაინც მას ემყარება, ვინაიდან სამოქალაქო მართლწესრიგი სწორედ ამ პრინციპზეა დაფუძნებული. კეთილსინდისიერი ქცევა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ერთმანეთის უფლებებისადმი გულისხმიერებითა და პატივისცემით მოქმედებას გულისხმობს. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და ამავე დროს, აშკარად უსამართლო შედეგის თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობასა და სიმყარეს.

მოვალის მხრიდან ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად საკასაციო სასამართლო მართებულად, კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით აკისრებს კრედიტორს შეცვლილი ვითარების გათვალისწინების ვალდებულებას ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის გზით, რაც შესრულებაზე ორიენტირებული სამართლებრივი სისტემის წევრი სასამართლოს ბუნებრივი და საერთაშორისო ტენდენციებთან მიახლოებული პოზიციაა.

#### **IV. ვალდებულების შესრულების გართულების სამართლებრივ კატეგორიად აღიარება**

უმნიშვნელოვანესია საკასაციო სასამართლოს განმარტება შესრულების შეუძლებლობისა და შეცვლილი გარემოებებით გართულებული ვალდებულების გამოჯვნის საკითხთან დაკავშირებით: შესრულების შეუძლებლობისას ვალდებულების შესრულება მთლიანად გამორიცხულია, ანუ ამ შემთხვევაში ისეთ სუბიექტურ თუ ობიექტურ გარემოებებთან გვაქვს საქმე, რომელიც გამორიცხავს ვალდებულების შესრულების შესაძლებლობას, ხოლო შეცვლილი გარემოებების შემთხვევაში შესრულების შესაძლებლობა მაინც არსებობს, თუმცა შესრულება გართულებულია, რადგან ხელშეკრულების დადების პერიოდში არსებული გარემოებანი კარდინალურად შეცვლილია. შეცვლილი გარემოება იმდენად ართულებს შესრულებას, რომ მისი ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით მოთხოვნა ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვისთვის დამახასიათებელ სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს. შეცვლილი გარემოებების საწყისი, წარმომშობი მიზეზი შეიძლება იყოს როგორც ფორსმაჟორი, ისე სხვა გარემოებები, რომელიც რეალურად ართულებს შესრულებას.

აღნიშნული გადაწყვეტილებით საკასაციო სასამართლო ქართულ სამართლებრივ სივრცეში ამკვიდრებს ვალდებულების შესრულების გართულების სამართლებრივ კატეგორიას და მას არსობრივად მიჯნავს ფორსმაჟორის, როგორც შესრულების შეუძლებლობის, სამართლებრივი კატეგორიისგან. ვალდებულების შესრულების გართულება კი საერთაშორისო დონეზე აღიარებულია ზოგად სახელშეკრულებო პრინციპად.

ზოგადი სახელშეკრულებო პრინციპები უნიფიცირებული და განზოგადებული სამართლებრივი კონსტრუქციებია, რომლებიც გამოიყენება საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა საყოველთაოდ, საერთაშორისო დონეზე აღიარებული პრინციპების მნიშვნელობით. ზოგადი სახელშეკრულებო პრინციპები შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ხარვეზული და ღია ნორმების, ასევე, ხელშეკრულების პირობების განმარტებისა დაშვებების ქმედით მექანიზმად შეიძლება იქნეს განხილული.

ფორსმაჟორი და ვალდებულების შესრულების გართულება, როგორც შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლების და ხელშეკრულების ადაპტაციის საფუძველი, საერთაშორისო კომერციულ და სავაჭრო სამართალში აღიარებულია სახელშეკრულებო სამართლის უზოგადეს პრინციპებად. აღნიშნული კონცეფციები აერთიანებს სხვადასხვა სამართლებრივი სისტემისთვის ნიშანდობლივ, მაგრამ განზოგადებულ და ნეიტრალურ სამართლებრივ მახასიათებლებს და საკუთარ ცნებაში მოიაზრებს აუცილებელი, ძირითადი წინაპირობების სისტემურ ერთობლიობას.

უცხოურ სამართლებრივ სისტემებში და უნიფიცირებულ კერძო სამართალში აღიარებულია, რომ შეცვლილი გარემოებების აღმოცენება სახელშეკრულებო ურთიერთობაში ფორსმაჟორისა (რომანულ სამართალში – *vis major*) და შესრულების გართულების (*hardship*) ორ ფუძემდებლურ, საბაზისო კონცეფციას აფუძნებს<sup>55</sup> თანამდევი სამართლებრივი შედეგებით. შესრულების გართულება არსებობს მაშინ, როდესაც ხელშეკრულების დადების შემდგომ აღმოცენებული გარემოებების გავლენით<sup>56</sup> ვალდებულების აღსრულება მოულოდნელად არაგონივრულად მძიმე ტვირთს აკისრებს მოვალეს.<sup>57</sup> შესრულების გართულება გულისხმობს ობიექტურად განხორციელებადი ვალდებულების შესრულების უკიდურეს დამძიმებას, რომელიც ობიექტურად არ გამორიცხავს შესრულების შესაძლებლო-

---

<sup>55</sup> *Lando O.*, Salient Features of the Principles of European Contract Law: A Comparison with the UCC, *Pace Int'l L. Rev.*, Vol. 13, Issue 2, 2001, 27, <<http://digitalcommons.pace.edu/pilr/vol13/iss2/4/>>; *Horn N.*, Changes in Circumstances and the Revision of Contracts in some European Laws and International Law, in: *Horn N. (ed.)*, *Adaptation and Renegotiation of Contracts in International Trade and Finance*, Antwerp, Boston, London, Frankfurt a.M., 1985, 16, <[http://translex.uni-koeln.de/113700/highlight\\_horn-\\_changes\\_circumstances\\_and\\_the\\_revision\\_contracts\\_some\\_european\\_laws\\_and\\_international\\_law\\_horn\\_adaptation\\_and\\_renegotiation\\_contracts\\_inter\\_not\\_national\\_trade\\_and\\_finance](http://translex.uni-koeln.de/113700/highlight_horn-_changes_circumstances_and_the_revision_contracts_some_european_laws_and_international_law_horn_adaptation_and_renegotiation_contracts_inter_not_national_trade_and_finance)>; *Ciematniece I.*, *Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts*, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 9, 13.

<sup>56</sup> *Yorio E.*, *The S.*, *Contract Enforcement*, 2<sup>nd</sup> ed., Wolters Kluwer Law and Business, Aspen Publishers, 2011, 5-6.

<sup>57</sup> *Sharpe R.J.*, *Injunctions and Specific Performance*, 2<sup>nd</sup> ed., 1992, 10-10, 10-11, მითითებულია: *Yorio E.*, *The S.*, *Contract Enforcement*, 2<sup>nd</sup> ed., Wolters Kluwer Law and Business, Aspen Publishers, 2011, 5-6.

ბას<sup>58</sup> და რომლის პირობებშიც მხარეთა ინტერესების უპირველესი სამართლებრივი დაცვის საშუალება შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგებაა.<sup>59</sup>

უცხოური სასამართლო პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ ვალდებულების შესრულების გართულების, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველის, განზოგადება და უნიფიცირება ცალკეული ქვეყნის მართლწესრიგში უმთავრესად სამართალშეფარდების ეტაპზე განხორციელდა. ვალდებულების შესრულების გართულების ცნების უნიფიცირებისა და ზოგად სახელშეკრულებო პრინციპად ფორმირების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასევე, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება.<sup>60</sup>

ვალდებულების შესრულების გართულება ზოგად სახელშეკრულებო პრინციპად არის აღიარებული უნიფიცირებულ სამართალში. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპები, ევროპული პრინციპები და *DCFR*, რომლებიც ითვალისწინებენ შესრულების გართულების დამოუკიდებელი მუხლებით რეგულირებას.<sup>61</sup>

საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა შესახებ<sup>62</sup> (შემდგომში – ვენის კონვენცია) 79-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის გამორიცხვის წინაპირობებს და მისგან განთავისუფლების საფუძველია უმთავრესად შესრულების არაბრალეული შეუძლებლობის \_ ფორსმაჟორის არსებობისას. თუმცა, სასამართლო პრაქტიკის მიერ, ვენის კონვენციის ხსენებული ნორმა პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველად იქნა აღიარებული შესრულების უკიდურესი გართულების პირობებშიც. 1994 წელს უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების მიღებით, პირველად საერთაშორისო კომერციული სამართლის ნორმათა განვითარების ისტორიაში, შესრულების გართულების კონცეფციის მოქმედება აღიარებულ იქნა სახელშეკრულებო შეთანხმებისგან დამოუკიდებლად. ეს იყო ხელშეკრულების უზენაესობის პრინციპიდან გამონაკლისის აღიარება შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების ადაპტაციის სახით.<sup>63</sup>

სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს შეცვლილ გარემოებებთან დაკავშირებული პრობლემატიკის რეგლამენტაციას *შესრულების გართულების* სახელწოდებით. თუმცა,

---

<sup>58</sup> *Pizer L.K., Smith M.R. (eds. in Chief), Southerington T., Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) 2002-2003*, Kluwer Law International, The Hague, London, New York, 2004, 261.

<sup>59</sup> *ჩიტაშვილი ნ.*, შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ გამომცემლობა, თბ., 2015, 16.

<sup>60</sup> *European Court of Justice, Judgment of 11 July, 1968, Case 4/68, Rec. 1968, 563*, <<http://eur-lex.europa.eu/legal-content/ES/TXT/?uri=CELEX:61970CJ0011>>.

<sup>61</sup> *Garro M.A.*, Comparison between Provisions of the CISG Regarding Exemption of Liability for Damages (Art. 79) and the Counterpart Provisions of the UNIDROIT Principles, Art. 7.1.7, 2005, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/principles/uni79.html>>; *Schwenzer I.*, Force Majeure and Hardship in International Sales Contracts, *VUWLR*, Vol. 39, 2008, 712, <[www.austlii.edu.au/nz/journals/VUWLawRw/2008/39.pdf](http://www.austlii.edu.au/nz/journals/VUWLawRw/2008/39.pdf)>.

<sup>62</sup> *ob.* United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) 1980, United Nations Commission on International Trade Law, United Nations, New York, November, 2010 (United Nations' Publication – Sales № E.10. V.14); ასევე, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/text/text.html>>.

<sup>63</sup> *Ciematniece I.*, Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 35.

ქართული კანონმდებლობით განმტკიცებული კონცეფციები არსობრივად ვალდებულების შესრულების გართულებისა და ფორსმაჟორის უზოგადეს სამართლებრივ პრინციპებს ეხმიანება. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ კი ვალდებულების შესრულების დამძიმების კატეგორია ვალდებულების შესრულების გართულების სამართლებრივი ტერმინის ქვეშ გააერთიანა და მისი გამოყენების სამართლებრივი წინაპირობების განსაზღვრით მნიშვნელოვნად დაუახლოვა ის საერთაშორისო დონეზე აღიარებული შესრულების გართულების კატეგორიას.

სასამართლოს ყოველთვის ენიჭებოდა განსაკუთრებული როლი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველთა განზოგადების, სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების საერთო მახასიათებლების კომპრომისული შეჯერებისა და მათი უნიფიკაციის პროცესში. ამის ნათელი მაგალითია, შეცვლილი გარემოებების დოქტრინის აღმოცენება გერმანიის სასამართლოს წიაღში და პრეცედენტული სამართლის პირმშო ინსტიტუტის განმტკიცება საკანონმდებლო დონეზე ვალდებულებითი სამართლის ფუნდამენტური რეფორმის საფუძველზე.

## V. სახელშეკრულებო თავისუფლების რეალიზება და მხარეთა სახელშეკრულებო ნების აღსრულების მიზანი

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ადმინისტრაციული ტრიბუნალის გადაწყვეტილებით<sup>64</sup> სასამართლოს ფუნქციად განიმარტა მხარეთა ნების შესატყვისად ხელშეკრულების შინაარსის დადგენა.

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების საბაზისო საფუძველედ კეთილსინდისიერების, თანამშრომლობისა და მოქნილობის პრინციპები სახელდება. სასამართლო ახორციელებს მხარეთა სახელშეკრულებო მიზნების განმარტების გზით დადგენას. შესაბამისად, ადაპტირებული ხელშეკრულება თავდაპირველი სახელშეკრულებო ინტერესებისა და მიზნების ამსახველი უნდა იყოს,<sup>65</sup> მხოლოდ მათი განხორციელების მოდიფიცირებული ფორმებით. მხარეთა ინტერესები თანაბარწილად ბალანსირებული უნდა იყოს, თუ სამართლიანობა სახელმძღვანელო პრინციპია ადაპტაციის პროცესში.<sup>66</sup> შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება ალტერნატიული შესრულების უზრუნველყოფაა, რომლითაც აღსრულდება მხარეთა სახელშეკრულებო ნება.

ნებისმიერი შეთანხმება მხარეთა ეკვივალენტური უფლება-მოვალეობების წონასწორობის პრინციპს ემყარება.<sup>67</sup> ადაპტაციის პროცესში კეთილსინდისიერების პრიზმაში უნდა შეფასდეს სახელშეკრულებო წონასწორობის რღვევის ხარისხი. ამ

<sup>64</sup> *ILO Administrative Tribunal Judgement 701, November 1985, B. against PAHO (WHO).*

<sup>65</sup> *Uribe M., The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives, Intersentia, 2011, 237.*

<sup>66</sup> *Kull A., Mistake, Frustration, and the Windfall Principle of Contract Remedies, Hastings L.J., Vol. 43, 1991-1992, 38, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/hastlj43&div=11&g\\_sent=-1&collection=journals](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/hastlj43&div=11&g_sent=-1&collection=journals)>.*

<sup>67</sup> *ICC Arbitration Case № 2291, 1976 Lunet 989 (1976).*

პირობებში ხელშეკრულების მოდიფიცირება მხარეთა სამართლიანი შედეგების უზრუნველყოფის მექანიზმად იქცევა.<sup>68</sup> ამრიგად, ხელშეკრულების ეკონომიკური წონასწორობის აღდგენა ხორციელდება მხარეთა თავდაპირველი ნების, ინტერესების დადგენის, შეცვლილი გარემოებების ჭრილში მათი გააზრებისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვის გზით.<sup>69</sup>

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გამორჩეულია შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების პრაქტიკის განვითარებისათვის, რამეთუ მან განსაზღვრა შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების პროცესში სახელმძღვანელო პრინციპები და კრიტერიუმები. უპირველესად, ის მნიშვნელოვნად მიიჩნევს თავდაპირველი შინაარსით შესრულების მოთხოვნის გონივრულობისა და სიმძიმის შეფასებას მხარეთა სამართლიანი ინტერესებისა და თანასწორუფლებიანობის რეალიზების თვალსაზრისით. კერძოდ, სასამართლო ადგენს: დავის განმხილველმა სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას უნდა გამოიცილოს, კრედიტორის მიერ ხელშეკრულების თავდაპირველი პირობებით შესრულების მოთხოვნა, შექმნილი ვითარების ფონზე ხომ არ გამოიწვევს მოვალის მძიმე მდგომარეობით ბოროტად სარგებლობას. მოცემულ შემთხვევაში აშკარად ვლინდება, რომ საკასაციო სასამართლო ანიჭებს პრიმატს შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგებას ეკვივალენტური და თანაზომიერი ინტერესების განხორციელების უზრუნველსაყოფად თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვით.

კონტინენტური ევროპის მართლწესრიგთა დიდ ნაწილში ვალდებულების შესრულების გართულების პირობებში ხელშეკრულების შეწყვეტასთან ან მის მკაცრ აღსრულებასთან შედარებით შეთანხმების პირობების ადაპტაცია შეცვლილი გარემოებებისადმი უპირველესი სამართლებრივი დაცვის საშუალებაა, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა სამომავლო ეკონომიკური ინტერესებისა და ურთიერთობების შენარჩუნებას ხელშეკრულების თავდაპირველი პირობების ფორმალური აღსრულების ნაცვლად. ხელშეკრულების ადაპტაციის პრიმატის რეალიზებას მის შეწყვეტასთან ან მკაცრ აღსრულებასთან მიმართებით, სამართლებრივი სისტემები უზრუნველყოფენ მოლაპარაკების სავალდებულოობის საკანონმდებლო დანაწესის განმტკიცებით. აღნიშნული ფუნდამენტური ღირებულება განსაკუთრებით კონტინენტური სამართლის სისტემისათვის.

ხელშეკრულების ადაპტაცია აზღვევს მხარეებს ხელშეკრულების შეწყვეტისა და უარყოფითი შედეგების მექანიკური გადანაწილებისაგან, ასევე ხელშეკრულებიდან გასვლის არაგონივრული შედეგებისაგან, რამეთუ ხშირად შესრულების და სარგებლის უკან დაბრუნება მხარეთათვის განსაკუთრებით საზიანოა.

---

<sup>68</sup> *Ciematniece I.*, Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 22.

<sup>69</sup> *Karampatzos A.*, Supervening Hardship as Subdivision of the General Frustration Rule: A Comparative Analysis with Reference to Anglo-American, German, French and Greek Law, Eur. Rev. Private L., Kluwer Law International, The Netherlands, Vol. 13, № 2, 2005, 111, <[http://www.heinonline.org/HOL/Print?handle=hein.kluwer/erpl0013&div=13&collection=kluwer&set\\_as\\_cursor=0&men\\_tab=srchresults](http://www.heinonline.org/HOL/Print?handle=hein.kluwer/erpl0013&div=13&collection=kluwer&set_as_cursor=0&men_tab=srchresults)>.

ხელშეკრულების ადაპტაციის ამოცანის წინაშე მდგომი სასამართლო ხელშეკრულების უზენაესობისა და სამართლიანობის პრინციპთა შორის უპირატესობის საკითხს სვამს. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა კი სამართლიანობის უნივერსალური პრინციპის უზრუნველყოფისთვის ხელშეკრულების დაურღვევლობის პრინციპის კანონიერი და თანაზომიერი შეზღუდვის აუცილებლობას გულისხმობს. თანამედროვე სამართლებრივი სისტემები აღიარებენ, რომ კერძოსამართლებრივი პრინციპების შეზღუდვა დასაშვებია სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა ინტერესების განხორციელების, სამართლიანობის პრინციპთა უზრუნველყოფისა და საჯარო წესრიგის დაცვის ამოცანის განხორციელებისათვის.

საკასაციო სასამართლოს პოზიციიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლომ შეცვლილი გარემოებებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების მხარეებზე გადანაწილებისას უნდა უზრუნველყოს მოვალისათვის შესრულების ტვირთის გონივრული სიმძიმე.<sup>70</sup> ბუნებრივია, სახელშეკრულებო წონასწორობის აბსოლუტური აღდგენა და დაზარალებული მხარის სრულად განთავისუფლება შეცვლილი გარემოებებით გამოწვეული უარყოფითი შედეგებისაგან, განუხორციელებელია და აღნიშნული ვერც იქნება სასამართლოს ამოცანა ადაპტაციის პროცესში.<sup>71</sup>

აღნიშნულის შესაბამისად, სასამართლო აღგენს, რომ ახალი სახელშეკრულებო პირობების შემუშავებისას (რომლითაც შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება ხდება), გათვალისწინებულ უნდა იქნეს ორივე მხარის ის ინტერესები, რომელიც მათ გააჩნდათ ამჟამად მოქმედი ხელშეკრულების დადებისას. აღნიშნული გულისხმობს, იმ ინტერესის გათვალისწინებას, რაც კრედიტორს გააჩნია ხელშეკრულების დადებისას (მოგება, სარგებელი და სხვა), მაგრამ ინტერესი გაითვალისწინება შეცვლილი გარემოების შესაბამისად. აქ მნიშვნელოვანია სარგებლისა და შესრულების ღირებულების თანაზომიერების უზრუნველყოფა.

სასამართლოს განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ ხელშეკრულების მოდიფიცირება გულისხმობს იმ სახელშეკრულებოსამართლებრივი მექანიზმების შექმნას სასამართლოს მიერ, რომელიც შეცვლილ ვითარებაშიც უზრუნველყოფს მხარეთა ინტერესებისა და ეკონომიკური სარგებლიანობის განხორციელებას. ამასთან, ხელშეკრულების ადაპტაცია სასამართლოს ხელში იქცევა შესრულების მძიმე ეკონომიკური ტვირთისაგან განთავისუფლებისა და სახელშეკრულებო სამართლიანობის მიღწევის ინსტრუმენტად.

სასამართლოს პოზიციიდან ნათლად ვლინდება, რომ სახელშეკრულებო პირობების მოდიფიცირება და არაეკვივალენტური ურთიერთსანაცვლო შესრულების დაბალანსება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების თავდაპირველი სუბსტანციის დაურღვევლად და მხარეთა ინტერესთა სისტემის მაქსიმალური შენარჩუნებით.

---

<sup>70</sup> *Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles: Exemption for Nonperformance in International Arbitration*, Kluwer Law International: Alphen aan den Rijn, 2009, 499.

<sup>71</sup> იხ. უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 6.2.1-ე, ევროპული პრინციპების 6:111-ე (1) და *DCFR*-ის III – 1:110-ე მუხლები.

## ნათია ჩიტაშვილი\*

მორალური ზიანის ანაზღაურების ზოგადი სამართლებრივი წინაპირობები. მორალური ზიანის ანაზღაურებით უზრუნველყოფილი მიზანი. სუბიექტის ღირსება და ჯანმრთელობის დაზიანება, როგორც მორალური ზიანის ანაზღაურების კანონით გათვალისწინებული საფუძველი; სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედება და მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი წინაპირობა. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები. ხელშეკრულებით დაცული არაქონებრივი ინტერესი, როგორც მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობა.\*\*

დადული კავთელაპე სს „თრეველ სეიფის“ წინააღმდეგ\*\*\*

საქმე №ას-979-940-2014\*\*\*\*

*ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია (საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი).*

*ვინაიდან ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის დამახასიათებელი ღირსების და თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება წარმოადგენს თავისუფლების, სამართლიანობის და საყოველთაო მშვიდობის საფუძველს (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, პრეამბულა).*

*ვინაიდან გაერთიანებული ერების ხალხებმა წესდებაში დაადასტურეს თავიანთი რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ღირებულების და კაცებისა და ქალების თანასწორუფლებიანობისადმი და გადაწყვიტეს ხელი შეუწყონ სოციალურ პროგრესსა და ცხოვრების უკეთეს დონეს მეტი თავისუფლების პირობებში (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, პრეამბულა).*

*ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება (საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი).*

*ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და*

---

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი, თსუ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი.

\*\* მადლობას ვუხდით ჰამბურგის მაქს-პლანკის სახელობის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტს მონიჭებული სტიპენდიისათვის, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი გახდა ინსტიტუტის კვლევითი რესურსების გამოყენებით აღნიშნული პუბლიკაციის მომზადება.

\*\*\* გადაწყვეტილების ანალიზისას მხარეთა ნამდვილი ვინაობის ნაცვლად მითითებულია ფსევდო გვარ-სახელები.

\*\*\*\* საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება.

უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, პირველი მუხლი).

ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის 1. არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. 2. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც (სსკ-ის 413-ე მუხლი).

2. პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. 6. ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმოყოფის ბრალისა. ხოლო, თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმოყოფს. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად. (სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილები).

პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი (სსკ-ის 992-ე მუხლი).

1. გადამზიდველი პასუხს აგებს ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისა და დაზიანებისათვის, თუ ტვირთი დაზიანდა ან დაიკარგა მისი მიღებიდან ჩაბარებამდე დროის შუალედში, ასევე – მიტანის ვადის გადაცილებისათვის. 2. გადამზიდველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ ტვირთის დაკარგვა, დაზიანება ან მიტანის ვადის გადაცილება უფლებამოსილი პირის ბრალით ანდა ამავე პირის ისეთი მითითებით მოხდა, რომელზედაც გადამზიდველი პასუხს არ აგებს; აგრეთვე, თუ ტვირთის ნაკლი ისეთი გარემოებებითაა გამოწვეული, რომელთა თავიდან აცილებაც გადამზიდველს არ შეუძლო და არც მათი შედეგები შეიძლებოდა თავიდან აეცილებინა. 3. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების მიზნით გადამზიდველს არ შეუძლია მიუთითოს არც გადაზიდვისათვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალების ნაკლზე და არც ამ საშუალების გამჭირავებლის ან დამჭირავებლის მომსახურე პერსონალის ბრალზე. 4. გადამზიდველი 687-ე მუხლის 25-ე ნაწილებით გათვალისწინებული პირობების არსებობისას თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ ტვირთის დაკარგვა ან დაზიანება ქვემოთ დასახელებულ გარემოებებთან დაკავშირებული განსაკუთრებული საფრთხისგან წარმოიშვა, კერძოდ, როცა: ა) გამოიყენება ღია, გადაუხურავი სატრანსპორტო საშუალება, თუ მისი გამოყენება პირდაპირ იყო შეთანხმებული და ზედნადებში აღნიშნული; ბ) ტვირთი არ არის შეფუთული ან უხარისხოდაა შეფუთული, რაც, ტვირთის ხასიათიდან გამომდინარე, დაკარგვის ან დაზიანების საფრთხეს ქმნის; გ) ტვირთის დათვალიერება, დატვირთვა, დაწყობა ან გადმოტვირთვა ხდება გამგზავნის,

მიმღების ან მათთვის მოქმედი მესამე პირის მიერ; დ) ცალკეული ტვირთების თავისებურებათა გამო მოსალოდნელია მათი მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვის, ან დაზიანების, კერძოდ, დამტვრევის, დაჟანგვის, კოროზიის, გახშობის, დაღვრის, ნორმალური დანაკარგის ან მწერებისა და მღრღნელების ზემოქმედების საფრთხე; ე) გადასაზიდი ტვირთი არასაკმარისადაა აღნიშნული ან დანომრილი; ვ) გადასაყვანია ცხოველები (სსკ-ის 686-ე მუხლი).

## ფაქტები

ავიაკომპანია „სეიფ თრეველს“ 2013 წლის 13 ივლისს, 10:20 საათზე რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკიდან საქართველოში უნდა ჩამოესვენებინა დადული კავთელაძის შვილის (მამული ცხვედაძის) ცხედარი. განსაზღვრულ დღეს, 10:20 საათზე აპელანტი დადული კავთელაძე და სხვა ჭირისუფლები იმყოფებოდნენ აეროპორტში და ელოდებოდნენ მიცვალებულის ჩამოსვენებას. თბილისში ჩამოფრენილ თვითმფრინავში მამული ცხვედაძის ცხედარი არ აღმოჩნდა, რადგან ავიაკომპანიამ ცხედარი შეცდომით გადააგზავნა სამხრეთ კორეაში; მხარეთა განმარტებებისა და ავია ზედნადებების თანახმად, ცხედარი საქართველოში ჩამოსვენებულ იქნა მხოლოდ 2013 წლის 14 ივლისს, 17:20 საათზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს მიერ სარწმუნოდ იქნა მიჩნეული აპელანტის განმარტება, რომ მას ავიახაზების წარმომადგენლის მიერ არ მიეწოდა ინფორმაცია, თუ რატომ არ აღმოჩნდა მამული ცხვედაძის ცხედარი 2013 წლის 13 ივლისს, 10:20 საათზე ჩამოფრენილ ავიაკომპანიის კუთვნილ თვითმფრინავში და თუ სად იმყოფებოდა ის იმჟამად. იმის გათვალისწინებით, რომ მიცვალებულის გასაპატიოსნებლად ჩასატარებელი რიტუალები გარკვეულ დროს მოითხოვდა, აპელანტს 14 ივლისსაც შეეზღუდა შვილის სათანადო პატივით დაკრძალვის შესაძლებლობა. ყოველივე ზემოაღნიშნულმა, მშობლის მძიმე მორალური ტანჯვა და ტკივილი გამოიწვია.

## გადაწყვეტილება

საქმის პროცედურული ისტორია: დადული კავთელაძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „თრეველ სეიფის“ მიმართ მორალური ზიანის - 80 000 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნით. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა დადული კავთელაძემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით დადული კავთელაძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხეს კავთელაძის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის - 10 000 ლარის ანაზღაურება. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ავიახაზების მხრიდან მამული ცხვედაძის ცხედრის ადგილსამყოფლის დროულად

შეუტყობინებლობით დადული კავთელაძეს შეელახა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სიკეთე - ღირსება, შესაბამისად, მოსარჩელემ განიცადა ძლიერი სულიერი ტკივილი, დაირღვა კონსტიტუციით აღიარებული მისი თავისუფალი განვითარების უფლება. მოსარჩელის მიერ განცდილი მძიმე ფსიქიკური და სულიერი ტანჯვის გამო, სააპელაციო პალატამ პრეზუმირებულ ფაქტად მიიჩნია მორალური ზიანის არსებობა, რომლის გაქარწყლების ვალდებულებაც ზიანის მიმყენებელს ეკისრებოდა. ეს გარემოება კი, ქვემდგომი სასამართლოს შეფასებით, მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს ქმნიდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „სეიფ თრეველმა“, მოითხოვა მისი გაუქმება და საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება. საკასაციო სასამართლომ სს „სეიფ თრეველის“ საკასაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა, თუმცა სააპელაციო სასამართლოსგან განსხვავებული სამოტივაციო დასაბუთების საფუძველზე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

**მოსარჩელის არგუმენტაციით** (საკასაციო სასამართლოში) სააპელაციო სასამართლო გასცდა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და ვარაუდის დონეზე გარკვეული გარემოებები დადასტურებულად მიიჩნია, ისე რომ მხედველობაში არ მიიღო ვალდებულებითი სამართლის ნორმები და გადაწყვეტილება დელიქტური სამართლის, ასევე პირის პატივისა და ღირსების შელახვის მარეგულირებელ ნორმებს დაამყარა, რასაც განსახილველ შემთხვევასთან კავშირი არ აქვს.

გადაზიდვის ხელშეკრულების შესაბამისად, გათვალისწინებული იყო მიმართულებები და არა დრო, თუ როდის და რა მარშრუტით უნდა მომხდარიყო ცხედრის გადმოსვენება, მით უფრო, რომ ხელშეკრულების შესაბამისად მოქმედებდა შეზღუდვები, რომელიც ნათლად არის გაწერილი ხელშეკრულებაში. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად კი, დელიქტური ვალდებულებები სახეზეა მაშინ, როდესაც არ არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო პალატამ უგულებელყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა და დამკვიდრებული განმარტებები დელიქტთან მიმართებით, ასევე გამოიყენა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომელთაც მოცემულ საქმესთან არავითარი შეხება არ აქვთ. გადაწყვეტილება აგებულია იმაზე, რომ მოწინააღმდეგე მხარეს მიადგა ზიანი, შეილახა მისი პატივი და ღირსება ემოციური სტრესის მიყენებით, თუმცა ამის შესახებ რაიმე მტკიცებულება და ფაქტი საქმეში არ არსებობს.

გადაზიდვის დოკუმენტში საერთოდ არ არის მითითებული გადმოსვენების დრო და თარიღი, ხოლო რაზე დაყრდნობით ადასტურებს სასამართლო ამ ფაქტს, მოსარჩელის პოზიციით, გაუგებარია. კასატორის მტკიცებით, ამ გარემოების დადასტურების შემთხვევაშიც კი, მოქმედებს საერთაშორისო ნორმები და ხელშეკრულების დებულებები, რომლებიც გადაზიდვას არეგულირებენ და მხარეთა პასუხისმგებლობას განსაზღვრავენ.

კასატორის პოზიციის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს პალატამ არასწორად მიიჩნია საკმარისად მოსარჩელის მიერ იმის მითითება, რომ მას მოპასუხის წარმომადგენლებმა არ მიაწოდეს ინფორმაცია შვილის ცხედრის ადგილსამყოფელის შესახებ. კასატორი მოქმედებდა ხელშეკრულების ფარგლებში და განზრახ ან გაუფრთხილებლობით რომელიმე მხარისათვის ზიანის მიყენებას ადგილი არ ჰქონია.

მოსარჩელის მტკიცებით, სააპელაციო პალატა ცდილობს პატივისა და ღირსების განმარტებით გაამართლოს მიღებული გადაწყვეტილება, თუმცა მხოლოდ შინაგანი რწმენა, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გადაწყვეტილების მიღებას. მოსარჩელის პოზიციის თანახმად, ასევე არასწორია სააპელაციო სასამართლოს შეფასება, რომ კასატორის მხრიდან შეთავაზებული ავია ბილეთები მიყენებული ტკივილის შემსუბუქებას ემსახურებოდა. შეთავაზება სასამართლოს მხრიდან არაერთი თხოვნის გათვალისწინებით განხორციელდა, რომელიც არა მიყენებული ზარალის კომპენსაციას, არამედ ადამიანური მომენტის გათვალისწინებით მხარისათვის დახმარების გაწევას წარმოადგენდა.

**მოპასუხის არგუმენტაციით (საკასაციო სასამართლოში)** ავიაკომპანიამ ცხედარი შეცდომით გადააგზავნა სამხრეთ კორეაში. ავიახაზების წარმომადგენლის მიერ დადული კავთელაძე არ იქნა ინფორმირებული ცხედრის ადგილსამყოფელის შესახებ. მშობელს შეეზღუდა შვილის სათანადო პატივით დაკრძალვის შესაძლებლობა. ზემოაღნიშნულმა მნიშვნელოვნად შელახა მშობლის პატივი და ღირსება.

## **ანალიზი**

სამართლებრივი პრობლემის სრულყოფილი განხილვისთვის აუცილებელია, გადაწყვეტილების ფარგლებში წარმოდგენილი კონცეპტუალური საკითხების ურთიერთკავშირში ანალიზი: I. **მორალური ზიანის ანაზღაურების ზოგადი სამართლებრივი წინაპირობები**; II. **მორალური ზიანის ანაზღაურებით უზრუნველყოფილი მიზანი**; III. **სუბიექტის ღირსება პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ჭრილში**; IV. **ჯანმრთელობის დაზიანება, როგორც მორალური ზიანის ანაზღაურების კანონით გათვალისწინებული საფუძველი**; V. **სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედება და მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი წინაპირობა**; VI. **მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები**; VII. **ხელშეკრულებით დაცული არაქონებრივი ინტერესი, როგორც მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობა**.

### **I. მორალური ზიანის ანაზღაურების ზოგადი სამართლებრივი წინაპირობები**

არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების წინაპირობები არც თუ ისე მკაფიოდ არის გამოკვეთილი სამოქალაქო სამართალში. ხშირ შემთხვევაში ის დამოკიდებულია თელეოლოგიურ განმარტებაზე და მოსამართლის პერსპექტივიდან შეფასებით

კატეგორიას წარმოადგენს, რაც თავის მხრივ, გულისხმობს საკითხის ინდივიდუალიზაციას.<sup>1</sup>

ზიანის ანაზღაურება კანონით განსაზღვრულ სამართლებრივ საფუძვლებს უკავშირდება. საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად აღნიშნა, რომ ზიანი შეიძლება იყოს, ერთი მხრივ, მატერიალური, ხელშესახები,<sup>2</sup> ობიექტურად არსებული და, მეორე მხრივ, მორალური, რომელიც გაიგივებულია სულიერ განცდასა და ფიზიკურ ტანჯვასთან. „თავისი არსით, არაქონებრივი ანუ მორალური ზიანი არის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტანჯვა, რომელსაც პირი განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესად კი არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფის გამო.“<sup>3</sup> მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილება, როდესაც ზიანი სამართლებრივად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის მახასიათებელია ადამიანის ფსიქიკური და სულიერი ბუნების სფეროში ნეგატიური ზემოქმედების მოხდენა, რაც გამოიხატება ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვით, რომელიც თავისთავად მნიშვნელოვან ზიანად აღიქმება.

ზიანის განმაპირობებელი მართლსაწინააღმდეგო ქმედება უნდა იწვევდეს დაზარალებულის სულიერ და ფიზიკურ ტანჯვას და ხელყოფდეს მოქალაქის კანონით გათვალისწინებულ არამატერიალურ სამართლებრივ სიკეთეს. განსახილველ სამართალურთიერთობაში გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევა მართლსაწინააღმდეგო ქმედების წინაპირობის სახით არსებობს.

მოცემულ შემთხვევაში, უდავოდაა დადგენილი მოპასუხის მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევის, მართლსაწინააღმდეგო ქმედების, ფაქტი, კერძოდ ის, რომ სს „სეიფ თრეველის“ მიერ უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად მოხდა ცხედრის სამხრეთ კორეაში გადასვენება. ასევე დადგენილია და კასატორს დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია იმ გარემოების თაობაზე, რომ ვალდებულების დარღვევისთანავე მან მოსარჩელეს არ აცნობა მიზეზი, თუ რამ განაპირობა ნეშტის კონკრეტული რეისით ჩამოუსვენებლობა, სად იმყოფებოდა იგი და როდის მოხდებოდა მისი დანიშნულების ადგილას გადატანა. კასატორს არც იმის

---

<sup>1</sup> მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი წინაპირობების განმარტების თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა ქართული სასამართლო პრეცედენტები. მაგალითად შესაძლებელია დასახელდეს არაერთი სასამართლო განჩინება: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-594-562-2015; 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-1156-1176-2011; 2015 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-889-839-2015; 2015 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-547-519-2015 და სხვა.

<sup>2</sup> მორალური ზიანის, როგორც „არახელშესახები ზიანის“ ინგლისურენოვანი და ლათინური შესატყვისია ასევე: „*intangible loss*“ - *aequum et bonum*. იხ. ex § 847(1) BGB of 1896/1900: *damages for pain and suffering*.

<sup>3</sup> რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, 2007 წლის 25 ივლისი, 69.

მტკიცება შემოუთავაზებია სასამართლოსათვის, რომ ვალდებულების დარღვევა გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით ან სხვა საპატიო მიზეზით.

სასამართლოს განმარტებით, ანაზღაურების მიღებისათვის განმსაზღვრელ კრიტერიუმს წარმოადგენს პიროვნებისათვის ფიზიკური ან ზნეობრივი ტანჯვის მიყენება. მორალური ზიანი ადამიანის ფსიქიკის სფეროში ნეგატიური ცვლილების არსებობისას დგინდება და აღნიშნულ პროცესში გადამწყვეტ როლს ასრულებს ზიანის სიმძიმე. მსუბუქი სულიერი განცდები, მსგავსად მსუბუქი ფიზიკური ტკივილისა, მხედველობაში არ მიიღება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო სამართალში მოქმედებს პრინციპი, რომლის თანახმად, არავის შეიძლება დაეკისროს უარყოფის მტკიცების ტვირთი. შესაბამისად, იმ გარემოების დამტკიცება, რომ ავიაკომპანიის წარმომადგენელმა დროულად და ამომწურავად მიაწოდა მომხდარის თაობაზე ინფორმაცია აპელანტს, ავიაკომპანიას ეკისრებოდა, რომელმაც ეს გარემოება ვერ დაადასტურა. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ ავიაკომპანიის მიერ ცხედრის თბილისში დაგვიანებით ჩამოსვენებითა და აღნიშნულის გამომწვევი მიზეზებისა და ცხედრის ადგილსამყოფელის მოსარჩელისათვის დროულად და სრულყოფილად შეუტყობინებლობით, დადული კავთელაძემ განიცადა ძლიერი სულიერი ტკივილი. სრულად იქნა გაზიარებული განსვენებული მშობლის განმარტება, რომ მან დათქმულ დროს გარდაცვლილი შვილის ჩამოუსვენებლობით განიცადა დიდი ემოციური სტრესი. გარდაცვლილი შვილის დაგვიანებით ჩამოსვენება რომ მოსარჩელის ემოციურ განცდებს გამოიწვევდა სადავოდ არც მოპასუხის წარმომადგენელს გაუხდია.

მძიმე ფსიქიკური განცდებისა და სულიერი ტანჯვისას მოქმედებს ე.წ მორალური ზიანის პრეზუმფცია და ზიანის მიმყენებლის მიერ საწინააღმდეგოს დადასტურებამდე ივარაუდება, რომ პირმა მძიმე სულიერი ტკივილი განიცადა.

ამრიგად, მორალური ზიანის არსებობა პრეზუმირებულ ფაქტად იქნა სასამართლოს მიერ აღიარებული. მსგავსად, საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკაში<sup>4</sup> პიროვნული უფლებების ხელყოფისას ზიანის არსებობის დადასტურება არ არის აუცილებელი მოთხოვნა კომპენსაციის დაკისრებისათვის. მაგალითად, პერსონალური უფლების ხელყოფა, როგორც ფაქტის, დადასტურება თავისთავად ქმნის საკმარის საფუძველს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებისათვის.

საბერძნეთის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, პიროვნულობის ცნება შესაძლებელია გაგებულ იქნეს როგორც კონსტიტუციით დაცული ღირებულებების

---

<sup>4</sup> ob. See in particular *Première Chambre civile de la Cour de cassation*, 5 November 1996, №9414.798, *Société Prisma Presse*, *Bulletin civil I*, №378; note by *Laulom* (1997); observations by *Jourdain* (1997); *Hauser* (1997); *Ravanas* (1997); *Viney* (1997); *adde Première Chambre civile de la Cour de cassation*, 12 December 2000, appeal №98-21.161, *Bulletin civil I*, №321; Note, *Saint-Pau* (2001); *Caron* (2001); *Hauser* (2001); *Première Chambre civile de la Cour de cassation*, მითითებულია: *Hondius E., Janssen A., Disgotgement of Profits, Gain-based Remedies throughout the World*, *International Academy of Comparative Law*, Springer Cham Heidelberg New York Dordrecht London, Springer International Publishing Switzerland, 2015, 128.

სისტემა (მუხლი 2(1)), რომელიც მოიაზრებს ადამიანის მორალურ სუბსტანციას<sup>5</sup>. ამიტომაც, მორალური ზიანი განიმარტება როგორც კონკრეტული ინდივიდის პიროვნების პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფის შედეგი და უშუალოდ დაზარალებულ სუბიექტს მიემართება.

## II. მორალური ზიანის ანაზღაურებით უზრუნველყოფილი მიზანი

„მორალური ზიანის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: პირველი - დააკმაყოფილოს დაზარალებული; მეორე - ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე; მესამე - თავიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ. აღნიშნული სამი - სატისფაქციური, რეპრეციული და პრევენციული ფუნქციების კომბინაცია წარმოადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების ერთიან მიზანს, რაც უნდა აისახოს მორალური ზიანის ფულად ანაზღაურებაში.“<sup>6</sup>

ზოგადად, სახელშეკრულებო სამართლის ერთ-ერთი მიზანია არა მხოლოდ მიყენებული ზიანის ანაზღაურება კრედიტორისათვის, არამედ მისი იმ პირობებში ჩაყენება, რომელიც იარსებებდა ვალდებულების შესრულების შემთხვევაში.<sup>7</sup> სწორედ ამ თვალსაზრისით არის გასათვალისწინებელი მხარის სახელშეკრულებო ინტერესი შესრულების მიმართ. კომპენსატორული ზიანის ანაზღაურება გულისხმობს მოსარჩელის იმ მდგომარეობაში ჩაყენებას, რომელსაც ვალდებულების შესრულება უზრუნველყოფს კრედიტორისათვის.<sup>8</sup> მსგავსად, ზიანის აღნიშნულ ფუნქციაზე მიუთითებენ მოსამართლეები საერთო სამართლის ქვეყნებში<sup>9</sup> და ემყარებიან გადაწყვეტილებას *parke B in Robinson v Harman*<sup>10</sup>.

ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის შემთხვევაში ნავარაუდები სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენის ორიენტირი არის განმტკიცებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 249-ე (1) პარაგრაფში.<sup>11</sup>

<sup>5</sup> Supreme Court Decision 854/2002; Court of Thessaloniki Decision 16923/2003. ‘NOMOS’ database, მითითებულია: *Bruggemeier G., Ciacchi A.C., O’callaghan P.*, Personality Rights in European Tort Law, Cambridge University Press, 2010, 100.

<sup>6</sup> *ძლიერიშვილი ზ.*, სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2012, 111.

<sup>7</sup> *Barnett K.*, Accounting for Profit for Breach of Contract, Hart Publishing, United Kingdom, 2012, 212.

<sup>8</sup> *Smith L.*, Understanding Specific Performance, წიგნში: *McKendrick E., Cohen N. (eds.)*, Comparative Remedies for Breach of Contract, Hart Publishing, Oxford and Portland Oregon, 2005, 222.

<sup>9</sup> *McKendrick E., Worthington K.*, Damages for Non-Pecuniary Loss, წიგნში: *McKendrick E., Cohen N. (eds.)*, Comparative Remedies for Breach of Contract, Hart Publishing, Oxford and Portland, USA, 2005, 287.

<sup>10</sup> 1848 1 Exch 850, 855. იხ. *McKendrick E., Worthington K.*, Damages for Non-pecuniary Loss, წიგნში: *Comparative Remedies for Breach of Contract*, Hart Publishing, Oxford and Portland, USA, 2005, 287-288.

<sup>11</sup> იხ. ასევე, *Plamer V.V. (ed.)*, The Recovery of Non-pecuniary Loss in European Contract Law, Cambridge University Press, The Common Core of European Private Law, Cambridge Printing House, United Kingdom, 2015, 129.

ზიანის ანაზღაურების ზოგადი წინაპირობების შემოწმებასთან ერთად, მორალური ზიანის ანაზღაურებისას გასათვალისწინებელია გარკვეული თავისებურებები: არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზანი განსხვავდება სხვა ტიპის ზიანის დაკისრებით უზრუნველყოფილი მიზნისგან.<sup>12</sup> რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია განხორციელდეს მისი სრული კომპენსაცია,<sup>13</sup> შესაბამისად, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება მიზნად არ ისახავს მიყენებული ზიანის სრულ რესტიტუციას, „რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრული კომპენსაცია.“<sup>14</sup> მორალური ზიანის ანაზღაურებისას შეუძლებელია და აბსურდულია იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც კრედიტორს ჯეროვანი შესრულების პირობებში, ვალდებულების დარღვევამდე არსებულ პირობებში ჩააყენებდა.<sup>15</sup> ამ ტიპის ზიანის ანაზღაურება მხოლოდ დაზარალებულის სულიერი ტანჯვის შემსუბუქების და „ემოციური ბალანსის აღდგენის მიზანს ემსახურება“.<sup>16</sup>

იურიდიულ ლიტერატურაში მორალური ზიანისათვის მახასიათებელ ერთ-ერთ უმთავრეს კრიტერიუმად სახელდება ადამიანური ტანჯვა და ემოციური სტრესი. ამიტომაც, მორალური ზიანის ანაზღაურება ასოცირებულია ადამიანური განცდების, გრძნობების დაცვისა და მათი შემსუბუქების მიზანთან.<sup>17</sup>

### III. სუბიექტის ღირსება პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ქრილში

პირადი უფლებების<sup>18</sup> მრავალფეროვნება განაპირობებს მათი დაცვის განსხვავებული მექანიზმების არსებობას. ზოგადი პიროვნული უფლებების ტერმინოლოგიური ქოლგის

---

<sup>12</sup> *Hondius E., Janssen A.*, Disgotgement of Profits, Gain-based Remedies throughout the World, International Academy of Comparative Law, Springer Cham Heidelberg New York Dordrecht London, Springer International Publishing Switzerland, 2015, 258.

<sup>13</sup> *Bloomfield K.*, Recovering Nonpecuniary Damages for Breach of Contract Under Louisiana Law, Vol. 47, №3, Developments in the Law, 1985-1986 - Part II, 1987, 558, <<http://digitalcommons.law.lsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=5031&context=lalrev>>.

<sup>14</sup> რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, 2007 წლის 25 ივლისი, 70.

<sup>15</sup> *McKendrick E., Cohen N. (eds.)*, Comparative Remedies for Breach of Contract, Hart Publishing, Oxford and Portland, USA, 2005, 288.

<sup>16</sup> *Koziol H.*, Basic Questions of Tort Law from a Germanic Perspective, 2<sup>nd</sup> Vol., Jan Sramek Verlag, Vienna, Graz, 2015, 571. იხ. ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-547-519-2015.

<sup>17</sup> მოტალური ტანჯვისა და ემოციური სტრესის, როგორც მორალური ზიანის ფუნდამენტური მახასიათებლის შესახებ იხილეთ *Plamer V.V. (ed.)*, The Recovery of Non-pecuaniry Loss in European Contract Law, Cambridge University Press, The Common Core of European Private Law, Cambridge Printing House, United Kingdom, 2015, 6, შემდგომი მითითებებით. იურიდიულ ლიტერატურაში ასევე ფართოდ განიხილება მორალური ზიანის განმარტებისთვის სხვა მნიშვნელოვანი კრიტერიუმების არსებობის აუცილებლობა, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ტანჯვისა და ემოციური სტრესის მახასიათებლებით.

<sup>18</sup> სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ „პირადი“, „პირადი არაქონებრივი უფლებების“ ნაცვლად ტერმინ „პიროვნული უფლებების“ დამკვიდრების მიზანშეწონილობის შესახებ იხ. *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 132-133.

ფარგლებში გაერთიანებული მრავალი პიროვნული ინტერესიდან შესაძლებელია გამოიყოს პატივი და ღირსება<sup>19</sup>, რომელიც დაცულია დელიქტური სამართლით.<sup>20</sup>

სააპელაციო პალატამ მიუთითა სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილებზე, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ პუნქტზე, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრეამბულაში განმარტებულ ღირსების ცნებაზე, კონვენციის მე-13 ოქმზე, რომლითაც გაუქმდა სიკვდილით დასჯა და აღნიშნა, რომ ადამიანის ღირსების ფართო და ფუნდამენტური გაგება უდევს საფუძვლად სამართლებრივი სახელმწიფოს უმთავრეს პრინციპს – ადამიანის უფლებებით სახელმწიფოს ბოჭვას, ისევე როგორც, საზოგადოდ, წარმომადგენლობით დემოკრატias, რომელიც გონიერი, თავისუფალი ნებისა და პასუხისმგებლობის მქონე ინდივიდთა ერთობლივ მმართველობას გულისხმობს. თავისუფალი პიროვნება და მისი ღირსება საქართველოს კონსტიტუციის უზენაესი ღირებულებაა. ღირსების უფლება ვრცელდება გვამზე და გარდაცვლილი ადამიანის ხსოვნაზეც. პალატამ ასევე იხელმძღვანელა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებებით და აღნიშნა, რომ „ღირსება“, სამოქალაქო სამართლებრივი გაგებით, შეიძლება განიმარტოს როგორც საკუთარი მორალური თუ სხვა თვისებების, უნარის, საზოგადოების წინაშე მისი ვალის მოხდის, საკუთარი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასება თვით პიროვნების მიერ.<sup>21</sup> ღირსება განპირობებულია თავისთავად პიროვნების არსებობით. იგი არა რელატიური, არამედ აბსოლუტური უფლებაა.<sup>22</sup> ეს თვითშეფასება ემყარება მორალური თუ სხვა თვისებების შეფასების საზოგადოების მიერ აღიარებულ კრიტერიუმებს. ღირსების ძირითადი უფლებით ადამიანის დაცვა უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციის<sup>23</sup> მე-16 მუხლით აღიარებული საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან კავშირში. პალატამ აღნიშნა ისიც, რომ საქართველოში მიცვალებულის სათანადოდ დატირება და უკანასკნელ გზაზე პატივისცემით მისი გაცილება ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ ტრადიციას წარმოადგენს.

პალატის განმარტებით, მოსარჩელის პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას წარმოადგენდა მისი გარდაცვლილი შვილის საქართველოში არსებული წეს-ჩვეულების შესაბამისად დატირება და უკანასკნელად გამომშვიდობება. დედის მიერ შვილის ცხედრის პირველად ნახვა დაკავშირებულია უდიდეს სულიერ ტკივილთან,

<sup>19</sup> რომაულ სამართალში ე.წ. *dignitas* და *fama*.

<sup>20</sup> *Brügge-meier G., Ciacchi A.C., O'callaghan P., Personality Rights in European Tort Law, Cambridge University Press, 2010, 6.*

<sup>21</sup> პატივი, განსხვავებით ღირსებისაგან, უფრო ობიექტური კრიტერიუმით, პატივის სოციო-ფუნქციური მნიშვნელობით (პრესტიჟი, რეპუტაცია) განიმარტება. იხ. *Brügge-meier G., Ciacchi A.C., O'callaghan P., Personality Rights in European Tort Law, Cambridge University Press, 2010, 568.*

<sup>22</sup> *Brügge-meier G., Ciacchi A.C., O'callaghan P., Personality Rights in European Tort Law, Cambridge University Press, 2010, 569.*

<sup>23</sup> მაგალითად, გერმანიის კონსტიტუცია აღიარებულია ღირსების უფლების დაცვის სამოდელო სამართლებრივ აქტად (გერმანიის კონსტიტუციის მუხლი 1 (1)). *Brügge-meier G., Ciacchi A.C., O'callaghan P., Personality Rights in European Tort Law, Cambridge University Press, 2010, 569.* ასევე, პატივი, ღირსება და რეპუტაცია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (German Civil Code - Bürgerliches Gesetzbuch, Bundesministerium der Justiz, Juris GmbH, Saarbrücken, 2005) 823-ე (1) პარაგრაფით დაცული პიროვნული ინტერესებისა და სიკეთების სფეროში მოიაზრება.

რასაც დიდი ემოციური ძალისხმევა და შემზადება სჭირდება. ცხვედაძის გარდაცვალებიდან ჩამოსვენების თარიღამდე გასული პერიოდის მხედველობაში მიღებით, სააპელაციო პალატამ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა, რომ მას, ცხედრის შენახვის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, ჩამოსვენების დღესვე ჰქონდა განზრახული საქართველოში დამკვიდრებული წეს-ჩვეულებების დაცვით შვილის დაკრძალვა.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სს „სეიფ თრეველის“ მხრიდან ცხვედაძის ცხედრის ადგილსამყოფელის დროულად შეუტყობინებლობით დადული კავთელაძეს შეეღობა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სიკეთე - ღირსება, შესაბამისად, მოსარჩელემ განიცადა ძლიერი სულიერი ტკივილი, დაირღვა კონსტიტუციით აღიარებული მისი თავისუფალი განვითარების უფლება. მოსარჩელის მიერ განცდილი მძიმე ფსიქიკური და სულიერი ტანჯვის გამო, სააპელაციო პალატამ პრეზუმირებულ ფაქტად მიიჩნია მორალური ზიანის არსებობა, რომლის გაქარწყლების ვალდებულებაც ზიანის მიმყენებელს ეკისრებოდა. ეს გარემოება კი, ქვემდგომი სასამართლოს შეფასებით, მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს ქმნიდა.

ფაქტობრივად, მამული ცხადაძის ცხედრის ჩამოსვენება განხორციელდა 2013 წლის 14 ივლისს, საღამოს, 17:20 საათზე. იმის გათვალისწინებით, რომ მიცვალებულის გასაპატოსნებლად ჩასატარებელი რიტუალები გარკვეულ დროს მოითხოვდა, აპელანტს 14 ივლისსაც შეეზღუდა შვილის სათანადო პატივით დაკრძალვის შესაძლებლობა. პალატამ აღნიშნა, რომ მოპასუხის ბრალით მოსარჩელის შვილის ცხედრის ჩამოსვენება რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკიდან საქართველოში განხორციელდა 31 საათის დაგვიანებით. ავიაკომპანიის ქმედებებით (ინფორმაციის არადროული მიწოდებით) შეიღობა მოსარჩელის ღირსება და მას მიაღდა დიდი სულიერი ტკივილი.

#### **IV. ჯანმრთელობის დაზიანება, როგორც მორალური ზიანის ანაზღაურების კანონით გათვალისწინებული საფუძველი**

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სასარჩელო მოთხოვნის (მორალური ზიანის ანაზღაურება) სამართლებრივ საფუძველს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია იმ წინაპირობების ანალიზი, რომელთა არსებობასაც უკავშირდება ნორმით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგი. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში<sup>24</sup> გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.<sup>25</sup>

<sup>24</sup> *Bar Ch.*, Principles of European Law, Non-contractual Liability Arising Out of Damage Caused to Another, Sellier, European Law Publishers, Germany, 2009, 329.

<sup>25</sup> მსგავსად, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას სხეულის, ჯანმრთელობის დაზიანებისათვის (ასევე, სექსუალური თავისუფლების ან ავტონომიის დარღვევისათვის) ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (German Civil Code - Bürgerliches Gesetzbuch,

სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება ადამიანის სიცოცხლის იმგვარი ხელყოფაა, რომელიც დაზარალებულს არასრულფასოვნად და ზოგ შემთხვევაში, არაშრომისუნარიანად აქცევს, სხეულის და/ან ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანი უშუალოდ სამართალდარღვევიდან შეიძლება არც გამომდინარეობდეს, არამედ მისი თანმდევი შედეგი იყოს (როგორცაა, უშედეგო მკურნალობა, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობა, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა, ცხოვრების წესისა და რითმის შეცვლა, მკურნალობის უშედეგობის გამო ცხოვრების ხალისის დაქვეითება, ნერვული დაძაბულობა, რაც პირს არასრულფასოვნების კომპლექსსა თუ სხვა ნეგატიურ განცდებს უყალიბებს). თუმცა, ასეთ დროს, სავალდებულოა, დასტურდებოდეს, რომ დაზარალებულის მორალური განცდები და სულიერი ტანჯვა სხეულისა თუ ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგია. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის მახასიათებელი თვისება არის ადამიანის ფსიქიკური და სულიერი ბუნების სფეროში ნეგატიური ზემოქმედების მოხდენა, რაც გამოიხატება ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოცემული ნორმით გათვალისწინებული მიზნის სწორად დადგენას. კერძოსამართლებრივ ურთიერთობებს ჩვეულებრივ, შესაძლოა, თან ახლდეს მორალური, სულიერი განცდები, მაგრამ სამოქალაქო პასუხისმგებლობა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ე.ი კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, თუ რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეუძლია დაზარალებულს, მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის.<sup>26</sup> განსახილველი ნორმის მიზანია, შეამციროს, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და წესრიგი.

ამ თვალსაზრისით, ინგლისისა და გერმანიის სამართალი ითვალისწინებს შემზღუდავ მიდგომას არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხის მიმართ და მას უმთავრესად ითვალისწინებს მორალური ტანჯვისა და ტკივილით მიყენებული ზიანის შემთხვევაში. აღნიშნულ სამართლებრივ სისტემებში სხვა ტიპის მორალური ზიანის ანაზღაურება, როგორცაა მაგალითად, დაკარგული სიამოვნებისთვის, გამოირიცხება კანონით დაცულ სამართლებრივ სიკეთეთა წრიდან. ევროპული კერძო სამართლის პრინციპებმა, განმარტებებმა და მოდელურმა წესებმა (*Draft Common Frame of Reference (DCFR)*)<sup>27</sup> მიზნობრივად გააფართოვა ზიანის კატეგორიები, მათ ჩამონათვალში

---

Bundesministerium der Justiz, Juris GmbH, Saarbrücken, 2005) 253-ე (2) პარაგრაფი; ავსტრალიის სამოქალაქო კოდექსის 1325-ე პარაგრაფი.

<sup>26</sup> ანალოგიური შინაარსის შეზღუდვას ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 253-ე (1) პარაგრაფი. იხ. ასევე, *Plamer V.V. (ed.), The Recovery of Non-pecuniary Loss in European Contract Law*, Cambridge University Press, *The Common Core of European Private Law*, Cambridge Printing House, United Kingdom, 2015, 152.

<sup>27</sup> *Bar Ch., Clive E., Schulte-Nölke H., Beale H., Herre J., Huet J., Storme M., Swann S., Varul P., Vaneziano A., Zoll F. (eds.), Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Draft Common Frame of Reference*, Study Group on a European Civil Code and Research Group on EC Private Law (Acquis Group), Sellier, European Law Publishers GmbH, Munich, 2009. "Draft Common

შეუზღუდად მოიცვა მორალური ზიანი და პრაქტიკულად გაუთანაბრა მისი ანაზღაურების შესაძლებლობები ქონებრივ ზიანს.<sup>28</sup> კერძოდ, მორალური ტკივილი, ტანჯვა და ცხოვრების ხარისხის გაუარესება გამოკვეთილად განიმარტა ზიანად DCFR-ის III.-3:701(3) მუხლით. საერთო ევროპულმა ნასყიდობის სამართალმა (CESL) Art. 2(c) მუხლით ანაზღაურებადი ზიანის კატეგორიიდან გამორიცხა ცხოვრების პირობების გაუარესება და დაკარგული სიამოვნება, მაგრამ ძალაში დატოვა მორალური ტანჯვისა და ტკივილით მიყენებული ზიანის სავალდებულო ანაზღაურების წესი.<sup>29</sup>

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიზანშეწონილია, მოხმობილ იქნეს ავსტრიასა და გერმანიაში არსებული დამოკიდებულება საკითხისადმი.

ავსტრიის უზენაესი სასამართლო (*Austrian Supreme Court, OGH*) ფართოდ იყენებდა უფლებამოსილებას და მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ავრცელებდა ფართო დიაპაზონის საქმეებზე. დამკვიდრებული პრაქტიკა მნიშვნელოვნად შეიცვალა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის<sup>30</sup> 253-ე პარაგრაფის<sup>31</sup> გავლენით.<sup>32</sup> 1908 წელს წელს ავსტრიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით<sup>33</sup> განისაზღვრა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება შესაძლებელია მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. მსგავსი შემზღუდავი მიდგომა ავსტრიის სამართლებრივმა სისტემამ საკმაოდ დიდი ხნის პერიოდით შეინარჩუნა.

პიროვნულობის დაცვის სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმების კონსოლიდაცია და იმპლემენტაცია გერმანიაში მოხდა 1958 წლის ნიშანსვეტი გადაწყვეტილებით, რომლის საფუძველზე განხორციელდა ობიექტური და გონივრული

---

Frame of Reference”, უნიფიკაციის ამ დოკუმენტის დასახელების ზუსტი ქართული შესატყვისის მოძებნა ნაგულისხმევი დედააზრის ზედმიწევნითი შენარჩუნებით განსაკუთრებით რთულია, შესაბამისად, იგი ინგლისური აბრევიატურის სახით - DCFR იქნება წინამდებარე კვლევაში გამოყენებული.

<sup>28</sup> *Plamer V.V. (ed.), The Recovery of Non-pecuniary Loss in European Contract Law*, Cambridge University Press, *The Common Core of European Private Law*, Cambridge Printing House, United Kingdom, 2015, 2.

<sup>29</sup> *Penadés J.P., Velencoso L.M. (eds.), Purnhagen K. (series ed.), European Perspectives on the Common European Sales Law*, Vol. 4, Springer, Springer International Publishing Switzerland, Springer Cham Heidelberg New York Dordrecht London, 2015, 130-131.

<sup>30</sup> *German Civil Code - Bürgerliches Gesetzbuch*, Bundesministerium der Justiz, Juris GmbH, Saarbrücken, 2005.

<sup>31</sup> აღნიშნული პარაგრაფის თანახმად, ზიანის ანაზღაურება ფულადი სახით შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს ასევე არაფინანსური ზიანისათვის კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში (1) (2) თუ ზიანის ანაზღაურების დაკისრება მოთხოვნილია სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანებისათვის, თავისუფლებისა თუ სექსუალური თვითგანსაზღვრის უფლების ხელყოფისათვის, მაშინ შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს გონივრული ოდენობის კომპენსაცია ფულადი სახით ნებისმიერი არაფინანსური ზიანისათვის.

<sup>32</sup> *Bydlinski F.*, [1965] JBI 178179, მითითებულია: *Rogers H.W.V. (ed.), Damages for Non-pecuniary Loss in a Comparative Perspective*, Springer Wien New York, Tort and Insurance Law, Vol. 2, European Center of Tort and Insurance Law, 2001, 1.

<sup>33</sup> *OGH, GIU Neue Folge, GIU New Series, GIUNF, no 4185*, მითითებულია: *Rogers H.W.V. (ed.), Damages for Non-pecuniary Loss in a Comparative Perspective*, Springer Wien New York, Tort and Insurance Law, Vol. 2, European Center of Tort and Insurance Law, 2001, 1.

ფულადი კომპენსაციის დაკისრება მორალური ტანჯვისა და ტკივილისათვის, რომლის საფუძველზეც სასამართლომ დადგენილად ცნო პიროვნულობის უხეში ხელყოფა.<sup>34</sup>

სამართლის მიერ დაცული ერთ-ერთი სიკეთე, რომლის ხელყოფისთვის დაზარალებულმა შეიძლება მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება, ადამიანის ჯანმრთელობაა. სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება სიკეთის იმგვარი ხელყოფაა, რომელიც დაზარალებულს არასრულფასოვნად და, ზოგიერთ შემთხვევაში, არაშრომისუნარიანად აქცევს. სხეულის ან/და ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანი უშუალოდ სამართალდარღვევიდან შეიძლება არც გამომდინარეობდეს, არამედ მისი თანმდევი შედეგი იყოს (როგორცაა უშედეგო მკურნალობა, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობა, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა, ცხოვრების წესისა და რითმის შეცვლა, მკურნალობის უშედეგობის გამო ცხოვრების ხალისის დაქვეითება, ნერვული დაძაბულობა, რაც პირს არასრულფასოვნების კომპლექსსა თუ სხვა ნეგატიურ განცდებს უყალიბებს), თუმცა, ასეთ დროს, სავალდებულოა, დასტურდებოდეს, რომ დაზარალებულის მორალური განცდები და სულიერი ტანჯვა სხეულისა თუ ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგია.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დადული კავთელადის მიერ სარჩელში მითითებულ გარემოებაზე, რომ შვილის ცხედრის შეთანხმებულ დროს ჩამოუსვენებლობის, ასევე ინფორმაციის არადროული მიწოდების შედეგად მან ძლიერი სულიერი სტრესი განიცადა, ამ გარემოებამ მის ფსიქიკას დაღი დაასვა და გავლენა იქონია ემოციურ მდგრადობაზე. პალატა დამატებით მოიხმობს დადული კავთელადის განმარტებას, რომელიც მან სააპელაციო სასამართლოში წერილობით წარადგინა: გარდაცვლილი შვილის ცხედარი, შორ მანძილზე გადაადგილების გამო, ცუდ მდგომარეობაში იყო და მშობელს არ მიეცა მისი ნახვის, ასევე ჩასასვენებლით დაკრძალვის შესაძლებლობა. აღნიშნულმა კი, მძიმედ იმოქმედა მოსარჩელის ჯანმრთელობაზე.

ამ განცხადებაში მოყვანილი გარემოებები სააპელაციო პალატას დაუშვებლად არ უცვნია, კასატორს კი, სადავოდ არ გაუხდია გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოება ჩამოსვენების დღეს მამული ცხადადის დაკრძალვის შეუძლებლობის შესახებ. გარდა აღნიშნულისა, გასათვალისწინებელია სარჩელზე დართული სს „სეიფ თრეველის“ დირექტორის წერილი, სადაც მოპასუხე მწუხარებას გამოთქვამს მამული ცხადადის გარდაცვალების გამო, განუმარტავს დადული კავთელადის რომ ვალდებულების დარღვევის გამო, მას რაიმე პასუხისმგებლობა არ დაეკისრება და, ჰუმანურობიდან გამომდინარე, ადამიანური ტკივილის შესამსუბუქებლად, სთავაზობს ერთი წლის განმავლობაში ევროპის მიმართულებით სამი უფასო ბილეთით სარგებლობას. რაიმე მტკიცებულება, რაც, მომხდარი შემთხვევის გამო, ავიაკომპანიის მხრიდან მოსარჩელის მიმართ ფსიქოლოგიური თუ სხვა მორალური დაზარების გაწევას დაადასტურებდა, საქმეში არ მოიპოვება.

---

<sup>34</sup> BGH, 14.02.1958, BGHZ 26, 349; NJW 1958, 827; JZ 1958, 571, მითითებულია წიგნში: *Brügge-meier G., Ciacchi A.C., O'callaghan P., Personality Rights in European Tort Law*, Cambridge University Press, 2010, 23.

საკასაციო სასამართლო მტკიცების საგნად არ მიიჩნევს და სრულად ეთანხმება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში გადმოცემულ შეფასებებს მიცვალებულის უკანასკნელ გზაზე საქართველოში დამკვიდრებული სათანადო პატივით გაცილების, ასევე დედის მიერ შვილის ცხედრის პირველად ნახვასთან დაკავშირებული სულიერი ტკივილის თაობაზე და მიიჩნევს, რომ ამგვარ ვითარებაში მყოფი პირისათვის შვილის ცხედრის ადგილსამყოფელის, ასევე იმის დროულად შეუტყობინებლობა, თუ რა მიზეზით არ აღმოჩნდა ნეშტი კონკრეტულ რეისზე, იძლევა პრეზუმფციის დაშვების შესაძლებლობას, რომ ავიაკომპანიის მხრიდან ვალდებულების დარღვევით განცდილი ზემოაღნიშნული ნეგატიური ფაქტორებიდან გამომდინარე, მოსარჩელის ჯანმრთელობას მიაღდა იმგვარი ზიანი, რასაც შედეგად პირის სულიერი ტანჯვა, ძლიერი ემოციური სტრესი მოჰყვა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პრეზუმირებული ფაქტი ისეთი ფაქტია, რომელიც არ შედის მტკიცების საგანში, ხოლო პრეზუმფციის გაქარწყლების ტვირთი ეკისრება იმ მხარეს, რომლის საწინააღმდეგოდაც მოქმედებს პრეზუმფცია (ვისთვისაც არახელსაყრელი შედეგის მომტანია). ამგვარი მტკიცებულება მოპასუხის მხრიდან არ წარმოდგენილა, საკასაციო საჩივარში აღნიშნულია მხოლოდ ის, რომ ავიაკომპანია ხელშეკრულების ფარგლებში მოქმედებდა და მას მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება განზრახული არ ჰქონია.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით კი, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დადგენილად მიჩნეული ფაქტები (მოპასუხის მხრიდან ვალდებულების დარღვევა, ზიანის დადგომა, მიზეზობრივი კავშირი მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის) იძლევა სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლით გათვალისწინებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შემადგენლობას.

#### **V. სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედება და მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი წინაპირობა**

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად არასწორად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი, რადგან აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული დანაწესი მოცემული შემთხვევისაგან განსხვავებულ ურთიერთობას შეეხება. 2004 წლის 24 ივნისის საქართველოს კანონით „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელიც ამოქმედდა 2004 წლის 16 ივლისიდან, ახლებურად მოწესრიგდა მე-18 მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა და ნორმის მე-2 ნაწილით განსაზღვრული უფლებების რეალიზაცია, სსკ-ის ზოგად ნორმებთან ერთად, შესაძლებელი გახდა სპეციალური კანონით - „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, რომელიც პირის პატივის, ღირსებისა თუ საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში სამართლებრივ ბალანსს სიტყვის და/ან გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გზით ადგენს. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მოსაზრებით, სპეციალური კანონით რეგულირებული სამართლებრივი ურთიერთობა სახეზე არ არის. ნიშანდობლივია ისიც, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მოხმობილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებები შეეხება სწორედ გამოხატვის თავისუფლების ჭრილში შეფასებულ ღირსების ცნებას.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, განსახილველი სამართალურთიერთობა გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურებას შეეხება. გადაზიდვის სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი არცერთი ნორმა, გადაზიდვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო, მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. სამოქალაქო კოდექსის 686-ე I მუხლით განსაზღვრულია გადამზიდველის პასუხისმგებლობის საფუძვლები და დადგენილია, რომ იგი პასუხს აგებს ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისა და დაზიანებისათვის, თუ ტვირთი დაზიანდა ან დაიკარგა მისი მიღებიდან ჩაბარებამდე დროის შუალედში, ასევე – მიტანის ვადის გადაცილებისათვის. საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს ასევე საქართველოს საჰაერო კოდექსის 78-ე მუხლს, რომლის პირველი ნაწილი ტვირთის დაგვიანებით გადაზიდვისათვის გადამზიდვის პასუხისმგებლობას ადგენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო ნორმის მე-2 ნაწილით მოწესრიგებულია ამგვარ შემთხვევაში მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესი და დადგენილია, რომ გადამყვან-გადამზიდველის პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ იგი ვერ დაამტკიცებს, რომ ყველა ზომა მიიღო ზიანის თავიდან ასაცილებლად ან მისი თავიდან აცილება შეუძლებელი იყო. ასეთ მტკიცებულებათა წარდგენამდე მიიჩნევა, რომ ტვირთის, ბარგის ან მგზავრის პირადი ნივთების მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვა, დაზიანება ან დაგვიანებით გადაზიდვა მოხდა გადამყვან-გადამზიდველის მიზეზით.

შესაბამისად, სასამართლომ გადამყვან-გადამზიდველის მართლსაწინააღმდეგო ქმედება - სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა<sup>35</sup> განმარტა მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობად და არა დელიქტური სამართლით დაცული სიკეთის - პატივისა და ღირსების ხელყოფა.

## VII. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები

მორალური ზიანი ანაზღაურდება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად ფულადი ანაზღაურების სახით. ჯანმრთელობის მდგომარეობის

---

<sup>35</sup> ლუიზიანას შტატის სამოქალაქო კოდექსის 1934-ე (1) მუხლი ითვალისწინებს, რომ ჩვეულებრივ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ანაზღაურებას ექვემდებარება მხარეთათვის ობიექტურად სავარაუდო ზიანი, რომლის დადგომის შესაძლებლობასაც მხარე ითვალისწინებდა ან შეეძლო რომ გაეთვალისწინებინა. თუმცა, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სახელშეკრულებო ვალდებულება არაკეთილსინდისიერად განხორციელდა, მაშინ მხარე ყოველგვარი ზიანისათვის არის პასუხისმგებელი მიუხედავად იმისა, გათვალისწინებდა იყო თუ არა ამგვარი ზიანის არსებობა. მოცემულ შემთხვევაში მითითებული ნორმა დასაშვებად მიიჩნეეს მორალური ზიანის ანაზღაურებას. იხ. *Conway W.B., Moral Damages For Breach of Contract: The Effect On Recovery Of An Obligor's Bad Faith*, Louisiana Law Review, Vol. 42, #1, 1981, 282-283, <<http://digitalcommons.law.lsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=4612&context=lalrev>>; იხ. ასევე, *Bloomfield K., Recovering Nonpecuniary Damages for Breach of Contract Under Louisiana Law*, Vol. 47, #3 Developments in the Law, 1985-1986 - Part II, 1987, 541-558, <<http://digitalcommons.law.lsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=5031&context=lalrev>>.

დაზიანებით შესაძლებელია ერთდროულად მოთხოვნილ იქნეს როგორც მკურნალობის ხარჯების, ასევე მორალური ზიანის ანაზღაურება. ქონებრივი ზიანის ანაზღაურებასთან ერთად მორალური ზიანის ანაზღაურების წესი უცხოურ სასამართლო პრაქტიკაში განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება<sup>36</sup> ისეთი პირადი უფლებების ხელყოფის შემთხვევაში, როგორცაა პიროვნების ჯანმრთელობა, პატივი, ღირსება და თავისუფლება.<sup>37</sup>

413-ე მუხლის თანახმად, მორალური ზიანის ოდენობის შეფასება უნდა მოხდეს გონივრულად და სამართლიანად. მისი ფარგლები განისაზღვრება სასამართლოს მიერ და აღნიშნულ პროცესში ძირითადი კრიტერიუმებია: დამრღვევის ბრალის ხარისხი; მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან დაკავშირებული დაზარალებულის ქმედებები, მისი შესაძლო ბრალეულობა<sup>38</sup>; ფიზიკური და მორალური ტანჯვის სიმძიმე; დარღვეული უფლების ხასიათი; სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანების ტიპი და სიმძიმე; ჯანმრთელობის მოშლის პერიოდი (ხანგრძლივობა); უფლების ხელყოფის ადგილი, დრო, საშუალება და დავის სხვა ფაქტობრივი გარემოებები; შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხი (მნიშვნელოვანი, უმნიშვნელო ან მუდმივი); ზიანის მიმყენებლის და ყველა მონაწილე მხარის სოციალური, პროფესიული და ქონებრივი მდგომარეობა<sup>39</sup> (მოვალე გადახდისუნარიანი, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილება აღსრულებადი უნდა იყოს); მოთხოვნილი კომპენსაციის გონივრულობა და სამართლიანობა; ხელყოფის გავლენა დაზარალებულის სოციალურ და პროფესიულ ცხოვრებაზე.<sup>40</sup>

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა შეფასდეს მორალური ზიანის პრევენციული ფუნქციით უზრუნველყოფილი მიზნის გათვალისწინებით. ერთ-ერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებულია: „მორალური ზიანის ანაზღაურების პრევენციული ფუნქციის განხორციელებისათვის მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ფაქტორს, როგორცაა სამართალდარღვევის განმეორების საშიშროება ზიანის მიმყენებლის მიერ, ამასთან, ანაზღაურება უნდა იყოს გონივრული და სამართლიანი. ფულადი კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უზომოდ გაზრდილი და არ უნდა მოწყდეს რეალობას, მისი მიზანი არ უნდა იყოს მოპასუხის დასჯა. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ხელყოფის ხასიათი, მისი გავლენა პირის არამატერიალურ სიკეთეზე“.<sup>41</sup>

---

<sup>36</sup> *Koziol H.*, Basic Questions of Tort Law from a Germanic Perspective, 2<sup>nd</sup> Vol., Jan Sramek Verlag, Vienna, Graz, 2015, 572.

<sup>37</sup> *Brüggemeier G., Ciacchi A.C., O'callaghan P.*, Personality Rights in European Tort Law, Cambridge University Press, 2010, 104.

<sup>38</sup> *Koziol H.*, Basic Questions of Tort Law from a Germanic Perspective, 2<sup>nd</sup> Vol., Jan Sramek Verlag, Vienna, Graz, 2015, 574.

<sup>39</sup> *Koziol H.*, Basic Questions of Tort Law from a Germanic Perspective, 2<sup>nd</sup> Vol., Jan Sramek Verlag, Vienna, Graz, 2015, 574.

<sup>40</sup> *Brüggemeier G., Ciacchi A.C., O'callaghan P.*, Personality Rights in European Tort Law, Cambridge University Press, 2010, 104.

<sup>41</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-547-519-2015.

არაქონებრივი ზიანის არსებობისას მოქმედებს მისი ანაზღაურების გამოკვეთილი პრეზუმფცია. ის ფაქტი, რომ შეუძლებელია აღნიშნული ზიანის ფულადი სახით ზუსტად გამოხატვა-შეფასება,<sup>42</sup> ბუნებრივი არ გულისხმობს მის ანაზღაურების შესაძლებლობის ავტომატურ გამორიცხვას.<sup>43</sup> მოსამართლე ნაგულისხმევად აღჭურვილია დისკრეციული უფლებამოსილებით,<sup>44</sup> განსაზღვროს ზიანის ოდენობა საქმის არსის გათვალისწინებით.<sup>45</sup> მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს მორალური ზიანის, როგორც სამართლებრივი კატეგორიის, მიზანს - შეუმსუბუქოს დაზარალებულს სულიერი მდგომარეობა.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მიყენებული მორალური ზიანის საკომპენსაციოდ მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა 10 000 ლარის გადახდა. საკასაციო სასამართლო სავსებით იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობას მორალური ზიანის ფუნქციის, მისი პრევენციული ბუნებისა და მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ოდენობის სასამართლოს მიერ განსაზღვრის თაობაზე, თუმცა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, რადგანაც კასატორს დაკისრებული კომპენსაციის ოდენობა სადავოდ არ გაუხდია, მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს დაკისრებული თანხის პროპორციულობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

მორალური ზიანის ფულადი ფორმით განსაზღვრის და მისი ფარგლების დადგენის<sup>46</sup> სირთულეს განაპირობებს აღნიშნული ზიანის ნეგატიური მეთოდით განმარტება სამართლებრივ ლიტერატურაში. კერძოდ, არაქონებრივია ყველა ის ზიანი, რომელიც არ ექცევა ქონებრივი ზიანის კატეგორიაში<sup>47</sup> და მისი განმარტების დადგენა პოზიტიური

---

<sup>42</sup> *Mckendrick E., Worthington K., Damages for Non-Pecuniary Loss*, წიგნში: *McKendrick E., Cohen N. (eds.), Comparative Remedies for Breach of Contract*, Hart Publishing, Oxford and Portland, USA, 2005, 321.

<sup>43</sup> *Bloomfield K., Recovering Nonpecuniary Damages for Breach of Contract Under Louisiana Law*, Vol. 47, № 3 *Developments in the Law*, 1985-1986 - Part II, 1987, 557-558, <<http://digitalcommons.law.lsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=5031&context=lalrev>>.

<sup>44</sup> *Koziol H., Basic Questions of Tort Law from a Germanic Perspective*, 2<sup>nd</sup> Vol., Jan Sramek Verlag, Vienna, Graz, 2015, 574.

<sup>45</sup> See *Chambre Civile de la Cour de cassation*, 23 May 1911, *Dalloz Périodique* 1912, part 1, 421, მითითებულია: *Hondius E., Janssen A., Disgotgement of Profits, Gain-based Remedies throughout the World*, International Academy of Comparative Law, Springer Cham Heidelberg New York Dordrecht London, Springer International Publishing Switzerland, 2015, 128.

<sup>46</sup> *Plamer V.V. (ed.), The Recovery of Non-pecuniry Loss in European Contract Law*, Cambridge University Press, *The Common Core of European Private Law*, Cambridge Printing House, United Kingdom, 2015, 152.

<sup>47</sup> *Rogers H.W.V., Damages for Non-pecuniary Loss in a Comparative Perspective*, Springer, Vienna, 2001, 54.

ფორმულირების გზით, ურთულესი და პრაქტიკულად შეუძლებელია.<sup>48</sup> დოქტრინალური განმარტების თანახმად, არაქონებრივია ზიანი, რომელიც არის იმ საქონლის ან ინტერესთა ხელყოფის შედეგი, რომელთაც არ აქვთ ეკონომიკური ფასი ან ღირებულება სასაქონლო ბაზარზე.<sup>49</sup> ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება<sup>50</sup>, სადაც სასამართლოს მიერ მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ერთ-ერთ მთავარ საფუძვლად განიმარტა პრეზუმფცია იმისა, რომ ფულადი ღირებულების მქონე საგნების ხელყოფა არ შეიძლება გახდეს აღნიშნულით ნაწარმოები მეორადი - მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობა. ამიტომაც, მორალურად განიმარტება ზიანი, რომელიც არის არაქონებრივი ღირებულების ხელყოფის შედეგი.<sup>51</sup>

## VI. ხელშეკრულებით დაცული არაქონებრივი ინტერესი, როგორც მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობა

ხელშეკრულების დარღვევის საფუძველზე მორალური ზიანი შესაძლებელია აღმოცენდეს როგორც ხელშეკრულებით პირდაპირ დაცული არაქონებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგი. ასეთ შემთხვევაში მორალური ზიანი ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი არაქონებრივი ინტერესის განუხორციელებლობის, როგორც ვალდებულების დარღვევის, უშუალო შედეგია და იგი „პოზიტიურ ზიანად“ განიმარტება.<sup>52</sup> თუმცა, სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობამ (განსაკუთრებით სამომხმარებლო ურთიერთობებში)<sup>53</sup> შესაძლებელია გამოიწვიოს მორალური ზიანი, როგორც ვალდებულების დარღვევის თანამდევი, ნაწარმოები შედეგი.<sup>54</sup> ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხელშეკრულების უშუალო მიზანი არაქონებრივი ინტერესის განხორციელება არ არის, მაგრამ ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა მეორად შედეგად არაქონებრივი ინტერესის შელახვას განაპირობებს. ინგლისურ სასამართლო პრაქტიკაში ანაზღაურებას ექვემდებარება ისეთი

---

<sup>48</sup> *Zimmermann R.*, Comparative Report, წიგნში: *Winiger B., Koziol H., Koch B., Zimmermann R. (eds.)*, Digest of European Tort Law, Vol. 2., Essential Cases on Damage, Vienna, De Gruyter, 2011, 708.

<sup>49</sup> *Lindenbergh S.D., Kippersluis P. P.M.*, Non Pecuniary Losses წიგნში: *Faure M. (ed.)*, Tort Law and Economics, Encyclopedia of Law and Economics, 2009, 215-227.

<sup>50</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: *ნას-1156-1176-2011*.

<sup>51</sup> აღნიშნულ თემაზე იხ. ასევე, *Plamer V.V. (ed.)*, The Recovery of Non-pecuniary Loss in European Contract Law, Cambridge University Press, The Common Core of European Private Law, Cambridge Printing House, United Kingdom, 2015, 5.

<sup>52</sup> *Mckendrick E., Worthington K.*, Damages for Non-Pecuniary Loss, წიგნში: *McKendrick E., Cohen N. (eds.)*, Comparative Remedies for Breach of Contract, Hart Publishing, Oxford and Portland, USA, 2005, 288, 301.

<sup>53</sup> *Mckendrick E., Worthington K.*, Damages for Non-Pecuniary Loss, წიგნში: *McKendrick E., Cohen N. (eds.)*, Comparative Remedies for Breach of Contract, Hart Publishing, Oxford and Portland, USA, 2005, 306.

<sup>54</sup> *Mckendrick E., Worthington K.*, Damages for Non-Pecuniary Loss, წიგნში: *McKendrick E., Cohen N. (eds.)*, Comparative Remedies for Breach of Contract, Hart Publishing, Oxford and Portland, USA, 2005, 288.

ნაწარმოები შინაარსის მორალური ზიანი, რომელიც არის ჯანმრთელობის დაზიანების, რეპუტაციის დაკარგვის, ფსიქიკის დაზიანების ან ფსიქიკური ავადმყოფობის, ფიზიკური დისკომფორტის, ფსიქიკური სტრესის ან იმედგაცრუების შედეგი.<sup>55</sup>

მსგავსი კატეგორიის საქმეებშიც არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება მნიშვნელოვან შეზღუდვას ექვემდებარება. მაგალითად, ინგლისის სასამართლო პრაქტიკაში, მნიშვნელოვანი შეზღუდვები მოქმედებს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხელშეკრულების მხარეებზე მეწარმეები არიან წარმოდგენილნი.<sup>56</sup> ასეთ ვითარებაში სასამართლოები ემყარებიან პრეზუმფციას, რომ მეწარმეთა შორის შეთანხმება უმთავრესად ფინანსური მდგომარეობის გამოუჯობესების ეკონომიკურ ინტერესს ემყარება და, შესაბამისად, ანაზღაურების საფუძველიც ხელყოფილი კომერციული ინტერესია. იმ შემთხვევაში, თუ მეწარმე-სუბიექტებით დადგენილ ურთიერთობაში წამყვანი ინტერესი შესრულებაა და არა შესრულებით მიღებული ეკონომიკური სარგებელი, მაშინ სასამართლოები პრიორიტეტულ მოთხოვნად დამატებით შესრულებას განსაზღვრავენ თავდაპირველი სახელშეკრულებო ინტერესის უზრუნველსაყოფად.<sup>57</sup>

სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ჯანმრთელობის დაზიანებისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი, ზემოჩამოთვლილი სხვა შემთხვევებისგან განსხვავებით, უცხოურ სასამართლო პრაქტიკაში რთულ დასაბუთებას არ ექვემდებარება და დადებითად წყდება. აღნიშნულ შემთხვევაში მთავარია გამოირიცხოს, რომ ჯანმრთელობის დაზიანება არ არის ვალდებულების დარღვევის არაუშუალო, არასავარაუდო, მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან მიზეზობრივ კავშირში არმყოფი შედეგი.<sup>58</sup> ნაწარმოები სახით დამდგარი მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეფასდეს რამდენად აღიქმება აღნიშნული ზიანი მოცემული სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის ნორმალურ შედეგად, რათა დაკმაყოფილებულ იქნეს ვალდებულების დამრღვევი მხარის პერსპექტივიდან ზიანის სავარაუდოობის სამართლებრივი კრიტერიუმი.

დაცული სამართლებრივი სიკეთის მიხედვით, ხელშეკრულებათა ზემოაღნიშნული კატეგორიზაცია განსახილველ საქმეში შესაძლებელია შემდეგი სახით შეფასდეს:

---

<sup>55</sup> *Mckendrick E., Worthington K., Damages for Non-Pecuniary Loss*, წიგნში: *McKendrick E., Cohen N. (eds.), Comparative Remedies for Breach of Contract*, Hart Publishing, Oxford and Portland, USA, 2005, 309.

<sup>56</sup> *Hayes v James and Charles Dodd, [1990] 2 All ER 815, 823-824.*

<sup>57</sup> *Mckendrick E., Worthington K., Damages for Non-Pecuniary Loss*, წიგნში: *McKendrick E., Cohen N. (eds.), Comparative Remedies for Breach of Contract*, Hart Publishing, Oxford and Portland, USA, 2005, 306.

<sup>58</sup> იხ. *Grant v Australian Knitting Mills Ltd, [1936] AC 85* მოთხოვნილია: *Mckendrick E., Worthington K., Damages for Non-Pecuniary Loss*, წიგნში: *McKendrick E., Cohen N. (eds.), Comparative Remedies for Breach of Contract*, Hart Publishing, Oxford and Portland, USA, 2005, 309. აღნიშნულ საქმეში სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების აუცილებელ წინაპირობად სასამართლომ არ განიხილა ბრალის არსებობა. ბრალეულობის პრეზუმფციის პირობებში სასამართლომ მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მიზეზობრიობა და მორალური ზიანის არსებობა დაასაბუთა.

გარდაცვლილი შვილის ცხედრის დროული გადმოსვენება ბუნებრივია, არ იყო ხელშეკრულებით დაცული ქონებრივი ინტერესი. არამედ, მოცემულ შემთხვევაში ძირითადი ვალდებულების შესრულება მოვალის მხრიდან შესრულების შინაარსისა და საქმის სენსიტიურობის გათვალისწინებით, განსაკუთრებული გულისხმიერების გამოვლენას საჭიროებდა. გარდაცვლილი შვილის ცხედრის დროული გადმოსვენების ვალდებულების განუხორციელებლობამ არა კომერციული ინტერესის კარგვა, არამედ პირის მორალური და ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია და ამ თვალსაზრისით, ხელყო კანონით დაცული სიკეთე - ჯანმრთელობა.

შესაბამისად, განსახილველ საქმეში სახეზეა ისეთი შემთხვევა, როდესაც ძირითადი ვალდებულების ჯეროვანი და გულისხმიერი განხორციელება (ცხედრის დროული ჩამოსვენება) არაქონებრივი ინტერესის რეალიზებასაც იწვევს ხელშეკრულებით უზრუნველყოფილ თანმდევ შედეგად<sup>59</sup> და შესაბამის სახელშეკრულებო მოლოდინს უყალიბებს კრედიტორს. ამიტომაც, მოცემულ შემთხვევაში ძირითადი ვალდებულების ჯეროვანი განხორციელება არაქონებრივი ინტერესის დაცვასაც მოიაზრებს არა ხელშეკრულების პირდაპირ შეთანხმებულ, არამედ გადამზიდველის ნაგულისხმევ მოვალეობად.<sup>60</sup> აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ზიანის სავარაუდოობის კრიტერიუმიც დაკმაყოფილებულად შეიძლება ჩაითვალოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განხილული გადაწყვეტილება ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ სახელშეკრულებო სამართალმა შესაძლებელია მოიცვას არაქონებრივი ინტერესის დაცვის სამართლებრივი მექანიზმები. სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში „აღიარებულ უნდა იქნეს ის რეალობა, რომ სახელშეკრულებო პირობის შესრულებით მიღებული ფასეულობა შეიძლება გასცდეს მხოლოდ ფინანსური პოზიციების გაძლიერების ეკონომიკურ ინტერესს“<sup>61</sup> და თანამდევ შედეგად არაქონებრივი ინტერესის განხორციელება განაპირობოს.

თანდათანობით უცხოურ სასამართლო პრაქტიკაში ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი „შესრულების ინტერესის“ ფარგლები გაფართოვდა და მან არაქონებრივი სახელშეკრულებო ინტერესებიც გააერთიანა ლეგიტიმური სახელშეკრულებო მოლოდინის სფეროში. აღნიშნულს მნიშვნელოვნად განაპირობებს იმ ფაქტის მზარდი აღიარება, რომ მომხმარებლები და დასაქმებულები მხოლოდ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ინტერესით არ ერთვებიან სახელშეკრულებო ურთიერთობებში. ეს რეალობა განაპირობებს ზიანის გაფართოებული გაგების დამკვიდრების აუცილებლობას, რომელიც ეკონომიკურ ინტერესთან ერთად იქნება

---

<sup>59</sup> „added value of the contract performance” - ხელშეკრულების შესრულების დამატებითი სიკეთე, ფასეულობა. *Mckendrick E., Worthington K., Damages for Non-Pecuniary Loss*, წიგნში: *McKendrick E., Cohen N. (eds.), Comparative Remedies for Breach of Contract*, Hart Publishing, Oxford and Portland, USA, 2005, 304-305.

<sup>60</sup> აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებით იხილეთ: *Mckendrick E., Worthington K., Damages for Non-Pecuniary Loss*, წიგნში: *McKendrick E., Cohen N. (eds.), Comparative Remedies for Breach of Contract*, Hart Publishing, Oxford and Portland, USA, 2005, 303-304.

<sup>61</sup> სასამართლოს განმარტება საქმეზე: *Ruxley Electronics and Construction Ltd v Forsyth, [1996] AC 344, 360.*

თანამედროვე საზოგადოების ღირებულებებისა<sup>62</sup> და სახელშეკრულებო მოლოდინების მომცველი. აღნიშნულ პროცესში კი სასამართლოს როლი არაქონებრივი სახელშეკრულებო ინტერესების განმარტების, მათი ანაზღაურების შეზღუდვებისა და საამისოდ აუცილებელი კრიტერიუმების განზოგადების თვალსაზრისით, შეუცვლელია.

---

<sup>62</sup> *McKendrick E., Worthington K., Damages for Non-Pecuniary Loss*, წიგნში: *McKendrick E., Cohen N. (eds.), Comparative Remedies for Breach of Contract*, Hart Publishing, Oxford and Portland, USA, 2005, 322.

## ნათია ჩიტაშვილი\*

**ზიანის ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი წინაპირობების მტკიცების ტვირთის მოცულობა და ფარგლები. ბრალეულობის პრეზუმფცია. პასუხისმგებლობის ნაგულისხმევი რისკის სფეროს განმარტება.\*\***

საქმე № ას-456-431-2014\*\*\*

**ზენა ცუცქერიძე ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის წინააღმდეგ\*\*\*\***

თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. (სამოქალაქო კოდექსის 415-ე I მუხლი).

თუ ზიანი მიყენებულია შენობიდან საგნის გადაგდებით, გადავარდნით ან გადაღვრით, პასუხს აგებს პირი, რომელსაც დაკავებული აქვს სადგომი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზიანი დადგა დაუძლეველი ძალის მოქმედებით ან დაზარალებულის ბრალით (1004-ე II მუხლი).

1. სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. 2. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე I-II მუხლი).

სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი).

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი, თსუ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი.

\*\* მაღლობას ვუხედი ჰამბურგის მაქს-პლანკის სახელობის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტს მონიჭებული სტიპენდიისათვის, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი გახდა ინსტიტუტის კვლევითი რესურსების გამოყენებით აღნიშნული პუბლიკაციის მომზადება.

\*\*\* საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილება. ასევე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება.

\*\*\*\* გადაწყვეტილების ანალიზისას მხარის ნამდვილი ვინაობის ნაცვლად მითითებულია ფსევდო გვარ-სახელი.

1. მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები. 2. თუ მხარეებმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და სასამართლოში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, ვისთანაც უნდა იყოს ისინი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე I-II მუხლი).

1. სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. 2. მტკიცებულებათა მიუღებლობის, მათ გამოთხოვაზე უარის თქმის ან საქმიდან მათი ამოღების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც ცალკე არ გასაჩივრდება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლი).

თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას საქმეზე (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლი).

საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებზე დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე V მუხლი).

ფიზიკური პირის ზესნა ცუცქირიძის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა განთავსებული იყო რა ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის უკან მდებარე, თანამშრომლებისათვის განკუთვნილ ავტოსადგომზე, გამგეობის შენობიდან ჩამოვარდნილი ფანჯრის მინის ნამსხვრევით დაზიანდა ავტომობილის საქარე მინა და ძარას ზედი.

გამგეობამ უარი განაცხადა ზესნა ცუცქირიძის მიერ წარმოდგენილი ავტომანქანის შეკეთების ხარჯების ანაზღაურებაზე, რომლის კომპენსირება დაზარალებულმა შემდგომში მოითხოვა სასამართლო წესით.

აუდიტორული დასკვნით დადგინდა, რომ მიყენებულმა ზიანმა, რომელიც დაზიანებული ავტომანქანის შეკეთების ღირებულებით გამოიხატა, შეადგინა 1150 ლარი. ჭიათურის მაგისტრატი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ზესნა ცუცქირიძის სარჩელი დაკმაყოფილდა და გამგეობას დაეკისრა 1150 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურება.

ჭიათურის მაგისტრატი სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ქიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით ქიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად. 391-ე მუხლის გამოყენების წინაპირობების ანალიზის საფუძველზე ქიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი და მას უარი ეთქვა განხილვაზე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.

*მოსარჩელის არგუმენტაციით* პირველი ინსტანციის სასამართლოში, მანქანის დაზიანება გამგეობის შენობიდან ჩამოვარდნილმა ფანჯრის მინის ნამსხვრევმა გამოიწვია, რაც აღნიშნულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს ქმნის.

*მოპასუხის არგუმენტაციით* პირველი ინსტანციის სასამართლოში, მანქანის დაზიანება გამოიწვია დაუძლეველმა ძალამ, რამეთუ მინის ჩამოვარდა მოხდა ქარის ზემოქმედების შედეგად. აღნიშნული პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველად უნდა იქნეს გამოყენებული.

მოპასუხის არგუმენტაციით საკასაციო სასამართლოში, სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. კასატორმა მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტა, რომ *ზესნა ცუცქირიძეს* საკუთარი ავტომანქანა გაჩერებული ჰყავდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის ეზოში, მხოლოდ მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისათვის განკუთვნილ ავტოსადგომზე. ამიტომ, არასწორია სასამართლოს მიერ იმ მოსაზრების გაზიარება, რომ *ზესნა ცუცქირიძეს* რაიმე საფრთხის შემცველ და აკრძალულ ადგილზე მანქანა არ გაუჩერებია, რადგანაც აღნიშნული ადგილი მხოლოდ მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა ავტოსადგომს წარმოადგენს.

სასამართლომ მართალია გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1004-ე მუხლის მე-2 ნაწილი, მაგრამ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მინის გადავარდნა მართლაც დაუძლეველი ძალით იყო გამოწვეული.

სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში ზოგადად შეეხო საქმეში არსებულ უტყუარ მტკიცებულებებს, არ გაითვალისწინა კანონის ის ნორმები, რომლებიც უნდა გაეთვალისწინებინა და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გამოიტანა გადაწყვეტილება.

## სასამართლოს გადაწყვეტილება

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მითითებით, რაიმე მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ ზიანი გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით და, რომ მოსარჩელემ საფრთხის შემცველ და აკრძალულ ადგილას გააჩერა ავტომანქანა, აპელანტმა ვერ წარმოადგინა. სააპელაციო სასამართლომ მთლიანად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სადავოდ მიიჩნია ზიანის გამომწვევ მიზეზად ფორსმაჟორის კვალიფიკაცია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის, ასევე, მე-4, 102-ე და 103-ე მუხლების საფუძველზე პალატამ განმარტა, რომ მხარეები თავად განსაზღვრავენ მტკიცებულებათა წრეს მოთხოვნის საფუძვლის, თუ მოთხოვნის საპირისპიროს დასადასტურებლად. მოპასუხე მხარემ მისი პოზიციის გასამყარებლად ვერ მიუთითა კონკრეტულ მტკიცებულებებზე და ვერ წარმოადგინა ისინი, ასევე ვერ წარმოადგინა მტკიცებულება იმაზე, რომ *ზესნა ცუცქირიძემ* საფრთხის შემცველ და აკრძალულ ადგილზე გააჩერა მანქანა და რომ მას მიუძღვის ბრალი ზიანის დადგომაში. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის საპროცესო ვალდებულება უზრუნველყო, რის გამოც, დადგინდა ზიანის არსებობის ფაქტი, მისი გამოწვევა მოპასუხის ბრალეულობით და მიზეზობრივი კავშირის არსებობა მომხდარ ფაქტსა და დამდგარ შედეგს შორის.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, სწორად მიიჩნია, რომ მოპასუხე მხარემ ვერ დაადასტურა მის მიერ მითითებული გარემოებების არსებობა, ხოლო *ზესნა ცუცქირიძემ* დაასაბუთა სარჩელის საფუძვლიანობა, რის გამოც სწორად იქნა სარჩელი დაკმაყოფილებული.

იმის გათვალისწინებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, *ზესნა ცუცქირიძის* სარჩელის დაკმაყოფილებით არსებითად სწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული გარემოება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლის თანახმად, ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა და არ არსებობდა მისი გაუქმების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველები.

საკასაციო სასამართლომ საქმის შესწავლის საფუძველზე მიიჩნია, რომ ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით განსაზღვრულ არცერთ წინაპირობას.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავებულობის საფუძველით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, რის საფუძველზეც საკასაციო საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.

## ანალიზი

სააპელაციო და საკასაციო სასამართლოთა სამართლებრივ პოზიციათა ურთიეთკავშირში ანალიზის გზით გადაწყვეტილებათა დოქტრინალური განზოგადება შესაძლებელია რამდენიმე მიმართულებით განხორციელდეს: (I) დაუძლეველი ძალა როგორც პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი (II) ზიანის მიმყენების ბრალეულობის პრეზუმფცია და მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხი (III) პასუხისმგებლობის რისკისა და კონტროლის სფერო (IV) დაზარალებულის ბრალი როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხველი/შემამსუბუქებელი საფუძველი

### I. დაუძლეველი ძალა როგორც პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი

საქმეში პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველად დასახელებულ იქნა გარემოება, რომ მანქანის დაზიანება გამოიწვია დაუძლეველმა ძალამ, რამეთუ მინის ჩამოვარდა მოხდა ქარის ზემოქმედების შედეგად. სასამართლომ ფორსმაჟორული მოვლენის გავლენით ზიანის წარმოშობა დაუსაბუთებლად ცნო. აღნიშნულს შეიძლება ჰქოდეს ამგვარი დოქტრინალური დასაბუთება:

დაუძლეველი ძალის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველად მითითება აუცილებლად მოითხოვს მისი წინაპირობების არსებობის გამოკვლევას დამდგარ ზიანთან მიზეზშედეგობრივ ურთიერთკავშირში. დაუძლეველი ძალა საკუთარ ცნებაში მოიაზრებს ნიშანდობლივი სამართლებრივი მახასიათებლების სისტემურ ერთობლიობას, რომელთა მხოლოდ კუმულაციური არსებობა ქმნის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს. დაუძლეველი ძალის კონცეფცია ერთგვაროვნად არის განმარტებული უნიფიცირებული სამართლის ინსტრუმენტებში.

დაუძლეველი ძალის სამართლებრივი ბუნების ანალიზი ავლენს მის რამდენიმე არსებით, კლასიკურ ნიშანს. კერძოდ, (ა) მოვლენა მხარის კონტროლის სფეროს მიღმა აღმოცენდა,<sup>1</sup> (ბ) არ არსებობს მოვლენის წარმოშობის გონივრულად გათვალისწინების<sup>2</sup> (გ)

---

<sup>1</sup> *Flechtner M.H.*, Issues Relating to Exemption (“Force Majeure”) Under Article 79 of the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (“CISG”), Legal Studies Research Paper Series, Pittsburgh, Pennsylvania, 2008, 7, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1118124](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1118124)>; *Honnold J.O., Flechtner H. M. (ed.)*, Uniform Law for International Sales under the 1980 United Nations Convention, 4<sup>th</sup> ed., Wolters Kluwer Law and Business, Austin, Boston, Chicago, New York, The Netherlands, 2009, 613; *Trakman L.E.*, Declaring Force Majeure: Veracity or Sham? Un. of New South Wales, 2007, 15, <[http://works.bepress.com/leon\\_trakman/4](http://works.bepress.com/leon_trakman/4)>.

<sup>2</sup> *Flechtner H.*, Issues Relating to Exemption (“Force Majeure”) Under Article 79 of the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG), Uniform Law for International Sales under the 1980 United Nations Convention, *Honnold J.*, 4<sup>th</sup> ed., The Hague: Kluwer Law International, Forthcoming, University of Pittsburgh - School of Law, 2008, 10-13, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1118124##>](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1118124##>); № *Lee W.*, Exemptions of Contract Liability Under the 1980 United Nations Convention, *Dick. J. Int'l. L.*, 1990, 386, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/lee.html>>.

ასევე, დაუძლეველი ძალის შედეგების თავიდან აცილების ან მათი აღმოფხვრის ობიექტური შესაძლებლობა.<sup>3</sup> ამასთან, დაუძლეველი ძალის მქონე მოვლენა უშუალოდ უნდა იყოს შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზი.<sup>4</sup>

ზემოჩამოთვლილი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების ცენტრალური მნიშვნელობის უზოგადესი წინაპირობებია დაუძლეველი ძალის საფუძვლით პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების კონტექსტში.<sup>5</sup>

დაუძლეველი ძალა, როგორც წესი, უჩვეულო, ექსტრაორდინალურ მოვლენად არის იურიდიულ მეცნიერებასა და პრაქტიკაში აღიარებული. თუ კონკრეტული მოვლენის (მაგალითად, ამ შემთხვევაში - ქარის) ფორსმაჟორული ხასიათი და დაუძლეველი ზემოქმედება კონკრეტულ დღესა და ადგილას საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი არ არის,<sup>6</sup> მაშინ ის კომპეტენტური სახელწიფო ორგანოს ან ნეიტრალური მესამე პირისგან არსებობის დადასტურებას მოითხოვს. ამიტომაც, პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების ერთ-ერთი წინაპირობაა დაუძლეველი ძალის ფორსმაჟორულ გარემოებად აღიარება უფლებამოსილი ორგანოს მიერ. თუმცა, ეს წესი მოვლენის ბუნებიდან გამომდინარე შესაძლებელია ყოველთვის ერთმნიშვნელოვნად გამოსაყენებელი არ იყოს.

---

მსგავსად, უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 7.1.7-ე და ევროპული პრინციპების 8:108-ე მუხლები აწესრიგებს ხელშეკრულების დადების შემდგომ აღმოცენებულ შესრულების შეუძლებლობას. იხ. *Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 379.* შეად. *Schwenzer I., Force Majeure and Hardship in International Sales Contracts, VUWLR, Vol. 39, 2008, 718,* <<http://www.austlii.edu.au/nz/journals/VUWLawRw/2008/39.pdf>>.

<sup>3</sup> *Basedow J., Towards a Universal Doctrine of Breach of Contract: The Impact of the CISG, Int'l Rev. L. & Econ., Vol. 25, 2005, 497,* <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/basedow.html>>; *Lindström N., Changed Circumstances and Hardship in the International Sale of Goods, NJCL, 2006/1, 8-10,* <[http://www.njcl.fi/1\\_2006/commentary1.pdf](http://www.njcl.fi/1_2006/commentary1.pdf)>; *Lee W., Exemptions of Contract Liability Under the 1980 United Nations Convention, Dick. J. Int'l L., 1990, 388-391,* <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/lee.html>>; *Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 107;* *Nottage L., Changing Contract Lenses: Unexpected Supervening Events in English, New Zealand, U.S., Japanese, and International Sales Law and Practice, 2008, 403,* <<http://ssrn.com/abstract=1105240>>; *Pizer L.K., Smith M.R. (eds in Chief), Southerington T., Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) 2002-2003, Kluwer Law International, The Hague, London, New York, 2004, 285;* ფორსმაჟორის აღნიშნულ წინაპირობებს განამტკიცებს ასევე საერთაშორისო სავაჭრო პალატაც: იხ. ICC Publication Num. 421, "Force Majeure and Hardship", 1985, მითითებულია: *DiMatteo L.A., The Law of International Contracting, Kluwer Law International, The Hague, London, Boston, 2000, 57.*

<sup>4</sup> *Schlechtriem P., Schwenzer I., Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 3<sup>rd</sup> ed., Oxford University Press, 2010, 1067;* *King V.K., Hardship as an Impediment to Performance in Terms of Article of the CISG, North-West University, November, 2010, 8.*

<sup>5</sup> *Flechtner H., Article 79 of the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) as Rorschach Test: The Homeward Trend and Exemption for Delivering Non-Conforming Goods, Pace Int'l L. Rev., Vol. 19, 2007/1, 30,* <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/flechtner7.html>>.

<sup>6</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

თუმცა პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებისათვის საკმარისია არა მხოლოდ ფორსმაჟორული მოვლენის არსებობის განყენებული დადასტურება, არამედ ისეთი „დაუძლეველი, გადაულახავი დაბრკოლების“<sup>7</sup> აღმოცენება, რომელიც გამორიცხავს მისი მართვის, თავიდან აცილების<sup>8</sup>, უარყოფითი შედეგების აღმოფხვრის ან მათი შემცირების შესაძლებლობას<sup>9</sup> ჩვეულებრივი ადამიანის მიერ, რომელიც იჩენს გონივრულ წინდახედულებასა და ზრუნვას.<sup>10</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა შესახებ“ (შემდგომში – ვენის კონვენცია) ოფიციალური კომენტარის თანახმად, მოვალეს პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების სხვა წინაპირობებთან ერთად ეკისრება ფორსმაჟორის ზემოაღნიშნული ერთ-ერთი კლასიკური წინაპირობის მტკიცების ტვირთი.<sup>11</sup> მესაკურეს ეკისრება ქონებაზე ზრუნვისა და მისი სათანადო მდგომარეობაში შენარჩუნების ვალდებულება უსაფრთხოებისა და წინდახედულების ყველა ზომის მიღებითა და დაცვით, რათა მაქსიმალურად გამოირიცხოს ფორსმაჟორულ მოვლენათა ზემოქმედებით გამოწვეული დაზიანება.

თუ მხარე არღვევს ქონების უსაფრთხო მდგომარეობაში შენარჩუნების ვალდებულებას, მაშინ ფორსმაჟორი მისი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველი ვერ გახდება.<sup>12</sup>

მნიშვნელოვანია, რომ საყოველთაოდ აღიარებული ფორსმაჟორული მოვლენა საჭიროა იყოს ფორსმაჟორული ეფექტების მქონე მხარის სუბიექტურ კონტექსტშიც. შესაბამისად, პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებისათვის აუცილებელია

---

<sup>7</sup> *Busch D., Hondius E.*, The Principles of European Contract Law and Dutch Law: A Commentary (Perspectives on Company Law S.), Kluwer Law International, 1<sup>st</sup> ed., August 27, 2002, 341; *Liu Ch.*, Remedies for Non-performance - Perspectives from CISG, UNIDROIT Principles and PECL, 2003, 319, <[http://www.jus.uio.no/pace/remedies\\_for\\_non\\_performance\\_perspectives\\_from\\_cisg\\_upicc\\_and\\_pecl.chengwei\\_liu/portrait.pdf](http://www.jus.uio.no/pace/remedies_for_non_performance_perspectives_from_cisg_upicc_and_pecl.chengwei_liu/portrait.pdf)>; *Reimann M., Zimmermann R.*, The Oxford Handbook of Comparative Law, Oxford University Press, USA, 2008, 926.

<sup>8</sup> *Osadare B.*, Force Majeure and the Performance Excuse: A Review of the English Doctrine of Frustration and Article 2-615 of the Uniform Commercial Code., 2010, 6.

<sup>9</sup> *Lando O., Beale H.*, Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 381; *Krüger K.*, Financial Force Majeure, The Extent of Efforts which the Seller Must Take to Overcome Impediments for Performance in Contracts for the Sale of Goods under Scandinavian Law - Remarks on the Impact of CISG Art. 79, Stockholm 1999, <[http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/kruger2.html#\\_Toc434290086](http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/kruger2.html#_Toc434290086)>; *Liu Ch., Newman M.S.(ed.)*, Remedies in International Sales, Perspectives from CISG, UNIDROIT Principles and PECL, JurisNet, LLC, Huntington, New York, 2007, 681-683.

<sup>10</sup> *Firoozmand M.R.*, Changed Circumstances and Immutability of Contract: a Comparative Analysis of Force Majeure and Related Doctrines, Bus. L. Int'l, Vol. 8, №2, 2007, 164, <[http://heinonline.org/HOL/Welcome?message=Please%20log%20in&url=%2FHOL%2FPrint%3Fhandle%3Dhein.journals%2Fblawintl2007%26div%3D17%26collection%3Djournals%26set\\_as\\_cursor%3D1%26men\\_tab%3Dsrchresults](http://heinonline.org/HOL/Welcome?message=Please%20log%20in&url=%2FHOL%2FPrint%3Fhandle%3Dhein.journals%2Fblawintl2007%26div%3D17%26collection%3Djournals%26set_as_cursor%3D1%26men_tab%3Dsrchresults)>.

<sup>11</sup> *Pizer L.K., Smith M.R. (eds. in Chief), Southerington T.*, Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) 2002-2003, Kluwer Law International, The Hague, London, New York, 2004, 288; Secretariat Commentary, Guide to CISG Article 79, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/text/secomm/secomm-79.html>>.

<sup>12</sup> *Liu Ch.*, Force Majeure Perspectives from the CISG, UNIDROIT Principles, PECL and Case Law, 2<sup>nd</sup> ed., Case annotated update, Pace Law School Institute of International Commercial Law, 2005, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/liu6.html>>.

ფორსმაჟორის სუბიექტური და ობიექტური<sup>13</sup> ასპექტების ერთობლიობის დადასტურება. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისათვის გადაწყვეტია არა თავისთავად ფორსმაჟორული გარემოების არსებობის განყენებული დასაბუთება, არამედ ფორსმაჟორსა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის დამტკიცება.

მართალია, ტერმინი „ფორსმაჟორი“ თავისი ეტიმოლოგიით დაუძლეველ მოვლენას გულისხმობს, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში პასუხისმგებლობის გამორიცხვისთვის მნიშვნელოვანია იმ გარემოებების ანალიზი, თუ რამდენად დაცული იყო წინდახედულების ზომები, რომელიც ქონებას ფორსმაჟორული მოვლენის ზემოქმედებას თავიდან ააცილებდა. ამ შემთხვევაში გასაანალიზებელია არა თავად ფორსმაჟორული მოვლენის თავიდან აცილების, არამედ მისი შესაძლო ზემოქმედების თავიდან არიდების შესაძლებლობა. მოცემულ შემთხვევაში ბრალეულობა შეიძლება ფორსმაჟორის პირობებშიც არსებობდეს და იგი შეიძლება გამოიხატოს წინდახედულების სტანდარტის დარღვევით ქარის უაყოფითი ზემოქმედების შესაძლებლობის დაშვების კუთხით.

ამრიგად, კონკრეტულ ადგილზე მომხდარი სტიქიური მოვლენა არ შეიძლება აღნიშნულ ტერიატორიაზე წარმოშობილი ყველა სახელშეკრულებო თუ კანონისმიერი ვალდებულებისგან ავტომატური განთავისუფლების მართლზომიერი საფუძველი გახდეს. პასუხისმგებლობის გამორიცხვისთვის მხარემ უნდა დაასაბუთოს არა მხოლოდ მიზეზობრივი კავშირის არსებობა, არამედ ფორსმაჟორის უაყოფითი შედეგების თავიდან აცილების, შემცირების ან აღმოფხვრის სუბიექტური შეუძლებლობა.

სასამართლოს პოზიციით, მტკიცებულება რომ ზიანი გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით და, რომ მოსარჩელემ საფრთხის შემცვლელ და აკრძალულ ადგილას გააჩერა ავტომანქანა, მხარემ ვერ წარმოადგინა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლომ სადავოდ მიიჩნია ზიანის გამომწვევ მიზეზად ფორსმაჟორის კვალიფიკაცია.

როდესაც სასამართლომ ფორსმაჟორის არსებობა დაუსაბუთებლად მიიჩნია მოპასუხის მხრიდან და პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების აღნიშნული საფუძველის მტკიცების ტვირთი მასვე დააკისრა, ამით მან იმთავითვე აღიარა, ფორსმაჟორის სამართლებრივი კონცეფციის იურიდიული ბუნების, მისი სამართლებრივი წინაპირობების განსაზღვრის და აღნიშნული კონცეფციის იურიდიული განმარტების (ცნების) ჩამოყალიბების აუცილებლობა.

ფორსმაჟორის სუბიექტური და ობიექტური მხარის მტკიცების აუცილებლობა პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის ფორსმაჟორის ცნების, აღნიშნული სამართლებრივი კატეგორიის დეფინიციის<sup>14</sup>, წინაპირობებისა და თანამდევი

<sup>13</sup> ომი, როგორც საყოველთაოდ აღიარებული ფორსმაჟორული მოვლენა, ობიექტური კუთხით, არსებობის დადასტურებას არ საჭიროებს. თუმცა, მნიშვნელოვანია სუბიექტურ შეუძლებლობასთან ერთად მისი კუმულაციური არსებობა.

<sup>14</sup> დაუძლეველი ძალის არასრულყოფილ საკანონმდებლო დეფინიციას იძლევა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე V მუხლი: დაუძლეველ ძალად ითვლება ისეთი საგანგებო ან განსაკუთრებული გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის საგადასახადო კოდექსით დადგენილ ვალდებულებათა შესრულებას. ნათელია, რომ აღნიშნული განმარტება ამომწურავად არ განსაზღვრავს ფორსმაჟორის სამართლებრივ მახასიათებლებსა და

სამართლებრივი შედეგების საკანონმდებლო მოწესრიგებისა და სასამართლო განმარტების საკითხს სვამს სამართალშემოქმედებისა და სამართალშეფარდების განმახორციელებელი ხელისუფლების წინაშე. ფორსმაჟორის ზოგადსახელშეკრულებო პრინციპად დამკვიდრება და გამოყენება პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლად იმთავითვე გულისხმობს აღნიშნული კატეგორიის სამართლებრივი მოწესრიგების აუცილებლობას საქართველოს სამოქალაქო კოდექსით<sup>15</sup> (შემდგომში - სსკ).<sup>16</sup> აღნიშნული გადაწყვეტილებით ამ კუთხით განსახორციელებელ საკანონმდებლო მოწესრიგების აუცილებლობას კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი.

## II. ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის პრეზუმფცია და მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხი

სასამართლომ დაუსაბუთებლად ცნო რა ფორსმაჟორის საფუძვლით ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან განთავისუფლება, ბრალი ზიანის მიმყენებლისთვის ავტომატურად შერაცხულად აღიარა.

სამოქალაქო პასუხისმგებლობა როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანისათვის დადგება ზიანის, მართლწინააღმდეგობის, მიზეზობრივი კავშირისა და ბრალის ერთდროულად არსებობის შემთხვევაში (სსკ-ის 394-ე და 992-ე მუხლები აღნიშნული წინაპირობების მომცველია). შესაბამისად, ცივილისტიკაში გამოიყენება ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპი,<sup>17</sup> რომლის თანახმად, ზიანის მიმყენებელი მიიჩნევა ბრალეულად თუ ის ბრალეულობის არარსებობის მომენტს არ დაამტკიცებს.<sup>18</sup> დელიქტურსამართლებრივ პასუხისმგებლობას<sup>19</sup> ახასიათებს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპი.<sup>20</sup>

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მტკიცების ტვირთმა მოიცვა მხოლოდ ზიანის არსებობის ფაქტის, მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა და მათ შორის მიზეზობრივი

---

წინაპირობებს, რომელიც არსებითაა პასუხისმგებლობის გამორიცხვისა და სახელშეკრულებო ვალდებულებისაგან განთავისუფლების საკითხის განხილვისათვის.

<sup>15</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური გამოცემა, "უწყებანი", საკანონმდებლო დამატება, №31, 1997.

<sup>16</sup> მნიშვნელოვანია, რომ გერმანიის სამოქალაქო სჯულდება მის რამდენიმე პარაგრაფში შეიცავს დაუძლეველ ძალაზე მითითებას ( §206, §651- და §701-), თუმცა მისი დეფინიცია საკანონმდებლო დონეზე ჩამოყალიბებული არ არის და ფორსმაჟორის ზოგადი სამართლებრივი კატეგორიის განმარტება გერმანიის სასამართლო პრაქტიკამ განახორციელა.

<sup>17</sup> *Dam C. V.*, European Tort Law, 2<sup>nd</sup> ed., Oxford University Press, United Kingdom, 2013, 302.

<sup>18</sup> *ჭანტურია ლ. (რედ.)*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მე-4, ტ. მე-2, თბ., 2001, 378-387, მითითებულია *ბიჭია მ.*, კერძო ცხოვრებისა და საადვოკატო საიდუმლოების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვა, დავიტ ბატონიშვილის საანართლის ინსტიტუტე, ჟურნ. „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა“, 2013, №1, 17, <file:///C:/Users/Admin/Downloads/sisxlis%20samarTlis%20saerTaSoriso%20sasamarTlo%20da%20misi%20kompetencia.pdf>.

<sup>19</sup> ისევე როგორც ზოგადად, სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

<sup>20</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: ას-1363-1588-05; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2005 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: №: ას-121-467-05.

კავშირის არსებობის დასაბუთება. მოსარჩელის მიერ მტკიცების ტვირთის საპროცესო ვალდებულება შესრულებულად ჩაითვალა მისი მხრიდან მოპასუხის ბრალეულობის დასაბუთების გარეშე. მტკიცების ტვირთის მსგავსი განაწილებით ხაზი გაესვა ბრალეულობის პრეზუმფციის არსებობას დელიქტურ სამართალში. ამის შესაბამისადვე ხორციელდება მტკიცების ტვირთის განაწილება დაზარალებულსა და ზიანის მიმყენებელს შორის: დაზარალებული, რომელიც მიმართავს სასამართლოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, ვალდებულია, დაამტკიცოს მისთვის ზიანის არსებობის ფაქტი, ასევე მიზეზობრივი კავშირის არსებობა ზიანის მიმყენებლის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. ზიანის მიმყენებელმა, თავის მხრივ, უნდა დაამტკიცოს მის ქმედებაში მართლწინააღმდეგობის და ბრალის არარსებობა.<sup>21</sup> ბრალი ავტომატურად არსებულად განიხილება ვალდებულების დარღვევის დაფუძნებისთანავე.

თუმცა აუცილებლად უნდა ითქვას, რომ აღნიშნულიდან არ გამომდინარეობს დასკვნა, რომ ბრალი დელიქტური პასუხისმგებლობის უმნიშვნელო ელემენტია. ბრალეულობის პრეზუმფციის არსებობა არ ნიშნავს მკაცრი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარებას, ის მხოლოდ იმის გამომხატველია, რომ მოპასუხეს ეკისრება არაბრალეულობის მტკიცების ტვირთი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისათვის. ამ პირობებში ბრალი კვლავ დელიქტური პასუხისმგებლობის ფუძემდებლურ ელემენტად რჩება.<sup>22</sup> სისხლის სამართლის პროცესისგან განსხვავებით, სადაც მოქმედებს უდანაშაულობის პრეზუმფცია და გამორიცხულია „საფუძვლიანი ეჭვის“ არსებობის კრიტერიუმი, სამოქალაქო სამართლის საქმეებზე მტკიცების ტვირთის გაცილებით დაბალი სტანდარტი ვრცელდება.<sup>23</sup> პოლონეთის სამოქალაქო კოდექსის 435-ე მუხლის ინტერპრეტაციიდან გამომდინარეობს, რომ პასუხისმგებლობის (ბრალეულობის)<sup>24</sup> პრეზუმფცია არ შეიძლება მოქმედებდეს თუ ზიანი ფორსმაჟორული გარემოებით არის გამოწვეული.<sup>25</sup> თუმცა, ამ შემთხვევაშიც მხარის მტკიცების ტვირთი ფორსმაჟორის წინაპირობებისა და ზიანთან მიზეზობრიობის დადასტურების ვალდებულებას მოიცავს. ფორსმაჟორი მტკიცების ტვირთისგან და შესრულების ვალდებულებისგან ავტომატური განთავისუფლების საფუძველი არ ხდება.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მოცემულ საქმეში მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში ემყარება მოპასუხის ბრალეულობას, მაგრამ აღნიშნულის მტკიცებას არ ახორციელებს მოპასუხის ბრალეულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე. მოპასუხე

---

<sup>21</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: ას-497-471-2014; 2015 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-954-916-2014; 2014 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: საქმე №ას-308-290-2014; 2014 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: ას-805-764-2013; 2005 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: №: ას-33-406-05.

<sup>22</sup> Gutta N. B., *The Enforcement of EU Competition Rules by Civil Law*, Maklu Competition Series, Antwerpen, Apeldoorn, Portland, 2014, 209.

<sup>23</sup> Gutta N. B., *The Enforcement of EU Competition Rules by Civil Law*, Maklu Competition Series, Antwerpen, Apeldoorn, Portland, 2014, 211.

<sup>24</sup> შენიშვნა ნ.ჩ.

<sup>25</sup> Dominik Lasok (ed.), Brugge F.J.M. (gen. ed.), *Polish Civil Law*, No. 18, Vol. III, A.W. SIJTHOFF-LEIDEN, Netherlands, 1975, 226.

თავად ამტკიცებს ბრალის არარსებობას. მოსარჩელისათვის საკმარისია დაეყრდნოს მოპასუხის მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობას<sup>26</sup>

### III. პასუხისმგებლობის რისკისა და კონტროლის სფერო

ბრალეულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის და ბრალეულობის ნაგულისხმევი მიკუთვნება ზიანის მიმყენებელზე პირდაპირ უკავშირდება მხარის რისკისა და კონტროლის სფეროს. რადგან ზიანის განმაპირობებელი ქმედება გამომდინარეობს ზიანის მიმყენებლის კონტროლისა და განკარგულების სფეროდან, აღნიშნული პასუხისმგებლობის მისი რისკის სფეროსადმი მიკუთვნებას განაპირობებს.

ვენის კონვენციის თანახმად, პირს პასუხისმგებლობად შეერაცხება მისი კონტროლის სფეროში განხორციელებული ქმედება.<sup>27</sup> თუმცა, პასუხისმგებლობის დადგენა მისი გამომრიცხველი კრიტერიუმების გათვალისწინებით ხორციელდება.<sup>28</sup> ვენის კონვენციის უნიფიცირებული აქტი განამტკიცებს მკაცრი პასუხისმგებლობის პრინციპს, და ამავდროულად, სათანადო წინაპირობების არსებობისას აღიარებს პასუხისმგებლობის გამორიცხვის საფუძვლებს.<sup>29</sup>

ვინაიდან ზიანის მიყენების წყარო შენობის სახით მოპასუხის განკარგულების სფეროში არსებობს და ამასთან, დასაბუთებული არ არის დაუძლეველი ძალის მაპროვოცირებელი მოქმედება, დამდგარი ზიანისათვის ბრალეულად მოპასუხის ნაგულისხმევი აღიარება ხდება. ამ შემთხვევაში ბრალი შესაძლებელია შენობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ღონისძიებების განუხორციელებლობით გამოიხატოს.

შენობის ფანჯრების სათანადო მოვლასა და მის უნაკლო, უსაფრთხო მდგომარეობაში დაცვაზე პასუხისმგებელი ის პირია, ვის განკარგულებაშიც იმყოფება ქონება. აღნიშნული ქონების შემთხვევითი დაზიანების რისკი მისი კონტროლის სფეროში მოიაზრება. ამიტომ ამ ქონების დაზიანებით გამოწვეული უარყოფითი შედეგებისათვის თავადვეა პასუხისმგებელი.

*პოსნერმა* და *როსენფილდმა* პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საკითხის განსაზღვრისათვის განავითარეს თეორია რისკის მატარებელი მხარის შესახებ.<sup>30</sup> ხსენებუ-

<sup>26</sup> *გაგუა ი.*, მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ გამომცემლობა, 2012, 131.

<sup>27</sup> *Lindström N.*, Changed Circumstances and Hardship in the International Sale of Goods, NJCL, 2006/1, 2, <[http://www.njcl.fi/1\\_2006/commentary1.pdf](http://www.njcl.fi/1_2006/commentary1.pdf)>.

<sup>28</sup> *Lookofsky J.*, The 1980 United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, *Herbots J. (ed.)*, *Blanpain R. (gen. ed.)*, International Encyclopedia of Laws - Contracts, Suppl. 29, 2000, 152, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/lookofsky.html>>.

<sup>29</sup> *Schwenzer I.*, *Hachem P.*, *Kee Ch.*, Global Sales and Contract Law, Oxford University Press, New York, 2012, 650.

<sup>30</sup> *Posner R.A.*, *Rosenfield A.M.*, Impossibility and Related Doctrines in Contract Law: An Economic Analysis, *J. Legal Stud.*, Vol. 6, 1977, 83-118; *Jenkins S.H.*, Exemption for Nonperformance: UCC, CISG, UNIDROIT Principles -- A Comparative Assessment, *Tul. L. Rev.*, Vol. 72, 1998, 2017, <<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/jenkins.html>>.

ლი თეორიის თანახმად, პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საკითხი მჭიდროდ უკავშირდება რისკის გადანაწილების პრობლემას, რამეთუ პასუხისმგებლობის შერაცხვა უნდა განხორციელდეს რისკის უმთავრესად მატარებელ მხარეზე.<sup>31</sup>

პირის პასუხისმგებლობის დადგენისათვის უნდა განისაზღვროს, შეეძლო თუ არა სუბიექტს თავიდან აცილებინა რისკის განხორციელება,<sup>32</sup> მისი გამომწვევი მოქმედება ან შეემცირებინა მისი შედეგები წინასწარ თუ შემდგომში შესაბამისი წინდახედულების ზომების მიღებით. ამ შემთხვევაში დამდგარი ზიანი მისი რისკის სფეროში მოიაზრება.<sup>33</sup> პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისათვის რისკის საკითხი უნდა გადაწყდეს იმის მიხედვით, ჰქონდა თუ არა სუბიექტს იმ გარემოების კონტროლის უნარი, რამაც ზიანის მიყენება განაპირობა; რაც შეეხება მეორე კრიტერიუმს, რომელიც რისკის წინასწარ გათვალისწინების შეუძლებლობას ეხება, უნდა ითქვას, რომ ზოგადად ქარი ექსტრაორდინალურ, უჩვეულო და იშვიათ სტიქიურ მოვლენას არ წარმოადგენს და შეიძლება ითქვას რომ თეორიულად, აბსტრაქტულად\* ის ყოველთვის პროგნოზირებადია. ამიტომაც არსებობს წინდახედულების ზომების მიღების ობიექტრი შესაძლებლობა აღნიშნული მოვლენის პროგნოზის გათვალისწინებით, შესაბამისად, ქონების მესაკუთრეს მოეთხოვება იმ ზომების მიღება ქონების შესაბამის მდგომარეობაში დაცვის მიზნით, რომელიც სტიქიური მოვლენების ზემოქმედებას მაქსიმალურად შეამცირებს ან განახორციელებს მათ პრევენციას. რამდენად ხშირი უნდა იყოს მოვლენა იმისათვის რომ არ ჩაითვალოს უჩვეულოდ და შესაბამისად, არაპროგნოზირებადად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასებით გზით დადგენადაა.<sup>34</sup> სტიქიური მოვლენის უჩვეულობის საკითხი კონკრეტული ტერიტორიის გეოგრაფიული თავიებურებების მხედველობაში მიღებით უნდა გადაწყდეს. ზოგადად უნდა ითქვას რომ მოვლენის პროგნოზირებადობის კრიტერიუმთან შედარებით, უფრო დიდი მნიშვნელობა ექცევა მისი თავიდან აცილების, უარყოფითი შედეგების შემცირების ან პრევენციის შესაძლებლობების ანალიზს.

ზიანის მიყენების შემთხვევაში პირის პასუხისმგებლობის მასშტაბი განისაზღვრება იმდენად არა მისი ქცევით, არამედ იმ სფეროთი, სადაც ხორციელდება<sup>35</sup> დამაბრკოლებელი ზემოქმედება. ვინაიდან ქონება მფლობელის კონტროლის სფეროში მოიაზრება, შესაბამისად, შემთხვევითი დალუპვის რისკიც მას ესკირება, სწორედ აღნიშნული ქმნის მისთვის პასუხისმგებლობის შერაცხვის საფუძველს.

---

<sup>31</sup> *Goldber V.P.*, Framing Contract Law, An Economic Perspective, Harvard University Press, Cambridge, Massachusetts and London, England, 2006, 325-326.

<sup>32</sup> *Goldber V.P.*, Framing Contract Law, An Economic Perspective, Harvard University Press, Cambridge, Massachusetts and London, England, 2006, 326; *Buxbaum R.M.*, Modification and Adaptation of Contracts: American Legal Developments, 1985, 33-34, წიგნში: *Horn N.(ed.)*, Adaptation and Renegotiation of Contracts in International Trade and Finance, Deventer/The Netherlands, Kluwer Law and Taxation Publishers, 1985.

<sup>33</sup> *Posner R. A.*, *Rosenfield A.M.*, Impossibility and Related Doctrines in Contract Law: An Economic Analysis, J. Legal Stud., Vol. 6, 1977, 87, <<http://www.jstor.org/stable/pdfplus/724191.pdf?acceptTC=true>>.

<sup>34</sup> *McKendrick E*, Contract Law, Text, Cases Materials, Third Edition, Germany, 2008, 727.

<sup>35</sup> *კელეგრიზო ბ.*, სუბიექტური თუ ობიექტური სახელმწიფოებო პასუხისმგებლობა? საიუბილეო კრებული "სერგო ჯორბენაძე – 70", თბ., 1996, 160.

ფორსმაჟორის საფუძვლით პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისათვის პირს უნდა დაემტკიცებინა, რომ შენობის ფანჯრების უსაფრთხოებისა და გამძლეობისათვის ყველა წინდახედულების ზომა იქნა მიღებული, ქონება დაცული იყო სათანადო მდგომარეობაში, თუმცა ამისდა მიუხედავად ფორსმაჟორული მოვლენის ზემოქმედებამ მაინც გამოიყვანა იგი მწყობრიდან. აღნიშნული დოკუმენტალურად უნდა ყოფილიყო მოპასუხის მიერ დასაბუთებული. მართალია, მოსარჩელეს კონკრეტულად არ წარმოუდგენია მტკიცებულებები გამგეობის ბრალთან დაკავშირებით, მაგრამ ვინაიდან გამგეობა რისკის მატარებელი მხარეა მისი კონტროლის სფეროსა და განკარგულების ფარგლებიდან გამომდინარე, ამ საფუძვლით ბრალეულობა სასამართლომ ნაგულისხმევად მოპასუხისათვის შერაცხულად ცნო.

#### IV. დაზარალებულის ბრალი როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხველი/შემამსუბუქებელი საფუძველი

სააპელაციო სასამართლომ განიხილა სსკ-ის 1004-ე II მუხლით დადგენილი სადგომის დამკავებლის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების გამომრიცხველი ორივე წინაპირობა, როგორც დაუძლეველი ძალის, ისე დაზარალებულის ბრალის სახით.

დაზარალებულის ბრალის სსკ-ის 1004-ე II მუხლით დადგენილ წინაპირობაზე უნდა ითქვას, რომ პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების მიზნით, მხარე ვერ დაეყრდნობა თავისთავად მოპასუხის მიერ ზიანის მიყენების ფაქტს, თუ ზიანი თავისი ქმედებით ან უმოქმედობით იქნა გამოწვეული. ამ შემთხვევაში იმ პირის პასუხისმგებლობის გამორიცხვისთვის, რომლისგანაც მომდინარეობს ზიანი, შესაძლებელია ფორსმაჟორიც იქნეს გამოყენებული, რამეთუ ზიანის მიყენება მოვალის კონტროლის სფეროს მიღმა არსებულმა დაბრკოლებამ – დაზარალებულის ქმედებამ განაპირობა.<sup>36</sup> თუ ზიანის მიყენებაზე სრულად დაზარალებულია პასუხისმგებელი (ბრალეული), სამართლებრივი სისტემები უპირობოდ გამორიცხავენ მის მიერ ნებისმიერი სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოყენებას.<sup>37</sup>

სასამართლოს დასაბუთებით, გამგეობამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება იმაზე, რომ *ზესნა ცუცქირიძემ* საფრთხის შემცველ და აკრძალულ ადგილზე გააჩერა მანქანა და რომ დაზარალებულს მიუძღვის ბრალი ზიანის დადგომაში (შეხვედრი ბრალი).

<sup>36</sup> მოცემულ შემთხვევაში ფორსმაჟორთან შედარებით (სათანადო წინაპირობების არსებობისას) მოვალის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლად უპირატესად გამოსაყენებელია სახელშეკრულებო კონტრაქტის (კრედიტორის) მიერ გამოწვეული ვალდებულების დარღვევა (*exemption due to interference by the other party*) (ვენის კონვენციის 80-ე მუხლი), რადგან ფორსმაჟორის საფუძვლით კრედიტორს მხოლოდ ზიანის ანაზღაურებისა და შესრულების მოთხოვნის უფლებები ეზღუდება, ხოლო მეორე საფუძვლის გამოყენების შემთხვევაში კი, შესრულებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებთან ერთად გამოირიცხება ხელშეკრულებიდან გასვლის, ფასის შემცირებისა და ვადამოსული პროცენტის მოთხოვნის უფლებებიც. იხ. *Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Non-performance in International Arbitration*, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 115.

<sup>37</sup> *Schwenzer I., Hachem P., Kee Ch.*, *Global Sales and Contract Law*, Oxford University Press, New York, 2012, 676.

სამოქალაქო სამართალში ბრალის ფორმის დიფერენცირება პასუხისმგებლობის დიფერენცირებას არ იწვევს. მნიშვნელობა არ აქვს, თუ რამდენად მაღალია მოვალის ბრალეულობის (განზრახვა თუ გაუფრთხილებლობა) ხარისხი ზიანის დადგომაში. ზიანი სრული მოცულობით ანაზღაურდება გაუფრთხილებელი ბრალის შემთხვევაშიც. თუმცა აღნიშნული წესი იცვლება შემხვედრი ბრალის<sup>38</sup> არსებობისას, თუ კრედიტორი თანაბრალეულია.<sup>39</sup> შერეული ბრალის არსებობისას სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრის წესი არატრადიციულია და გულისხმობს არა ზიანის ანაზღაურებას დაზარალებულის მიერ, არამედ ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობის შემცირებას და ზიანის შესაბამისი ნაწილის დაზარალებულზე დაკისრებას.<sup>40</sup> ამ ვითარებაში არსებული ზიანი მოვალისა და დაზარალებულის ერთობლივი მოქმედების განყოფილი შედეგია, რომლის გაყოფა მიზეზობრიობის მიხედვით, ანუ იმის დადგენა, თუ ზიანის რა ნაწილი იქნა მიყენებული თითოეულის მიერ, შეუძლებელია. ამიტომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება მხარეთა ბრალეულობის ხარისხით — უფრო მეტად თუ რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული.<sup>41</sup>

კრედიტორის ბრალი ვალდებულების შეუსრულებლობაში მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მისი მხრიდან მეორადი მოთხოვნის უფლებების გამოყენების შესაძლებლობაზე. „კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, კრედიტორს ვალდებულების დარღვევისას ეზღუდება სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების უფლებამოსილება.“<sup>42</sup> მაგალითად, ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების<sup>43</sup> (შემდგომში – ევროპული პრინციპები)<sup>44</sup> 8:101 III მუხლის თანახმად, კრედიტორი მოკლებულია სამართლებრივი დაცვის საშუალებების

<sup>38</sup> კონტრაჰენტთა შერეული ბრალი.

<sup>39</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-459-438-2015.

<sup>40</sup> *Иоффе О.С.*, Ответственность по советскому гражданскому праву, Л., 1955, 163, მითითებულია *ქიჩაშვილი ქ.*, ბრალი როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, „სამართლის ჟურნალი“, თსუ გამომცემლობა, №1, 2009, 97.

<sup>41</sup> *ზოიძე ბ., ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი გ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 481.

<sup>42</sup> *Lando O., Beale H.*, Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 360, მითითებულია: *ჩიტაშვილი ნ.*, ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, „სამართლის ჟურნალი“, თსუ გამომცემლობა, №1, 2009, 199.

<sup>43</sup> იხ. Principles of European Contract Law – Parts I and II - Revised 1998, Part III – 2002, <<http://www.jus.uio.no/lm/eu.contract.principles.parts.1.to.3.2002/>>. იხ. ასევე, *Lando O., Beale H.*, Principles of European Contract Law, Part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000.

<sup>44</sup> ე.წ. "რბილი სამართლის" კოდიფიკაციები შემუშავებულ იქნა პრაქტიკოსებისა და მეცნიერებისგან შემდგარი კერძო ჯგუფების მიერ, რომლებსაც არ ჰქონდათ საკანონმდებლო ხელისუფლება, რის გამოც მათ მიერ მიღებულ აქტებს ხშირად "პრინციპების" და არა "წესების" სახელით მოიხსენიებენ. "პრინციპები" ამ შემთხვევაში ატარებენ არა სახელმძღვანელო სტანდარტების მნიშვნელობას, არამედ გამოხატავენ დებულებების უნივერსალურ, ზოგად ხასიათს.

გამოყენების შესაძლებლობას იმდენად, რამდენადაც საკუთარი ქმედებით ხელი შეუწყო ვალდებულების შეუსრულებლობას. "თუ კრედიტორის მიერ ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანი ნაწილობრივ მოვალის ქმედების შედეგითაა, მაშინ კრედიტორი სამართლებრივი დაცვის საშუალებებს სრულად ვერ გამოიყენებს, იმ შემთხვევისაგან განსხვავებით, როდესაც შეუსრულებლობისათვის მხოლოდ მოვალეა პასუხისმგებელი."<sup>45</sup>

ვალდებულების დარღვევაში შემხვედრი ბრალის არსებობისას განისაზღვრება თითოეული მხარის ბრალეულობის ხვედრითი წილი დამდგარი ზიანის წარმოშობაში და პასუხისმგებლობა განისაზღვრება ზიანის ოდენობაში მათი წილობრივი მონაწილეობის მიხედვით. შერეული ბრალის არსებობისას დამდგარი ზიანის სრული ოდენობით ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრება არა ზიანის მიმყენებელს, არამედ მისი პასუხისმგებლობა მცირდება იმ ნაწილში, რითაც დაზარალებულმა ხელი შეუწყო ზიანის წარმოშობას და ზიანის შემცირებული ოდენობა დაეკისრება დაზარალებულ მხარეს. ამრიგად, თუ დამდგარი ზიანი ხელშეკრულების მონაწილეთა ერთობლივი ბრალეული ქმედების შედეგია, მაშინ პასუხისმგებლობა ორივე მხარეზე გადანაწილდება ბრალეულობის ხარისხის გათვალისწინებით.<sup>46</sup>

ამიტომაც, მოპასუხის მტკიცების ტვირთი მოიცავს არა მხოლოდ საკუთარი არაბრალეულობის დადასტურების ვალდებულებას, არამედ პასუხისმგებლობის შემსუბუქების ან მისგან სრული განთავისუფლებისათვის მას შეუძლია ასევე მოსარჩელის ბრალეულობაც დაადასტუროს. მოცემულ შემთხვევაში შემხვედრი ბრალის ფორმისა და ხარისხის გათვალისწინებით განაწილდება პასუხისმგებლობის ფარგლები და ასანაზღაურებელი ზიანის პროპორციული თანაფარდობა.

სასამართლოს დასაბუთება ნათელია, რადგან მოპასუხეს ეკისრება მოსარჩელის მოთხოვნის საპირისპიროს დასაბუთების მტკიცების ტვირთიც. კერძოდ, გამგეობას მისი ბრალეულობისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის გამორიცხვისათვის უნდა დაესაბუთებინა *ზესნა ცუცქირიძის* ბრალეულობა. მოპასუხეს მოსარჩელის ბრალეულობა რომ დაედასტურებინა, საკუთარ პასუხისმგებლობას გამორიცხავდა ან შეამცირებდა მას, მოსარჩელის ბრალეულობის ხარისხის გათვალისწინებით სსკ-ის 415-ეს საფუძველზე.

*ზესნა ცუცქირიძის* შემხვედრი ბრალეულობის დადგენისათვის მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტის თანამშრომლეთა ავტოსადგომზე მანქანის გაჩერების ფაქტის ანალიზი. მხოლოდ განსაზღვრულ პირთა წრისათვის გამიზნულ ავტოსადგომზე ავტომობილის დაყენება თავისთავად არ გულისხმობს მის საფრთხისშემცველ ადგილზე გაჩერებას, რამეთუ მხარე აცნობიერებდა მხოლოდ მოცემულ ადგილზე მანქანის განთავსების დაუშვებლობას და არა მოსალოდნელი დაზიანების შესაძლებლობას. მოცემულ შემთხვევაში მხარე არ შეიძლება ითვალისწინებდეს მანქანის დაზიანების

---

<sup>45</sup> *Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 361, მითითებულია: ჩიტაშვილი ნ., ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, „სამართლის ჟურნალი“, თსუ გამომცემლობა, №1, 2009, 199.*

<sup>46</sup> *ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 482-483.*

ალბათობის გონივრულ ვარაუდს და ადგილის საფრთხის შემცველობას თავად ავტომობილის დაუშვებელ ადგილზე გაჩერების ფაქტიდან გამომდინარე. მართლსაწინააღმდეგო ქმედების განმახორციელებელ პირს მხედველობაში აქვს მხოლოდ იმ რისკის გაღება, რომელიც კანონზომიერად არის დაკავშირებული აღნიშნულ ქმედებასთან და მის გონივრულად სავარაუდო, ჩვეულ და თანამდევ შედეგად აღიქმება. მართლსაწინააღმდეგო ქმედებით სუბიექტი, ქმედების შინაარსიდან და ხელყოფის საგნიდან გამომდინარე, იმთავითვე კისრულობს აღნიშნული ქმედებისათვის ნიშანდობლივი პასუხისმგებლობის რისკის ფარგლებს. მოცემულ შემთხვევაში მანქანის დაზიანება არ შეიძლება მიზეზშედეგობრივ კავშირში განიხილებოდეს მანქანის არასწორი განთავსების ფაქტთან.

მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების ცოდნასა და მათი გაცნობიერების შესაძლებლობას უნიფიცირებული სამართალი<sup>47</sup> და ზოგადად, იურიდიული დოქტრინა პასუხისმგებლობისათვის განმსაზღვრელ დატვირთვას ანიჭებს. მოცემულ შემთხვევაში გამორიცხულია მანქანის მესაკუთრის ბრალი, რადგან სახეზე არ არის ბრალის ინტელექტუალური (კოგნიტური) ელემენტი.

მანქანის გამგეობის ეზოში გაჩერებით მხარეს არ შეეძლო ამ ქმედების მართლწინააღმდეგობა ევარაუდა, მანქანის შესაძლო დაზიანების და მისი მოცულობის გათვალისწინებით, ამიტომ პირის ბრალეულობა არ შეიძლება დაკავშირებული იყოს დამდგარ ზიანთან. რამეთუ ასეთი დაზიანება არ შეიძლებოდა წინასწარ სავარაუდო ყოფილიყო როგორც მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედების თანამდევ შედეგი.<sup>48</sup>

რამდენადაც მხარეს არ შეეძლო ამ ქმედების მართლწინააღმდეგობა ევარაუდა, მანქანის შესაძლო დაზიანების გათვალისწინებით, ამიტომ პირის ბრალეულობა არ შეიძლება დაკავშირებული იყოს დამდგარ ზიანთან. რამეთუ ასეთი დაზიანება არ შეიძლებოდა წინასწარ სავარაუდო ყოფილიყო როგორც მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედების თანამდევ შედეგი.<sup>49</sup>

სასამართლომ მტკიცებულებებით უზრუნველყოფილად არ მიიჩნია და შესაბამისად, დაუსაბუთებლად ცნო 1004-ე II მუხლით განსაზღვრული ზიანის ანაზღაურების გამორიცხვის ყველა წინაპირობის არსებობა. კერძოდ: 1. ზიანი დადგა დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით (ან) 2. ზიანი დადგა დაზარალებულის ბრალით.

განხილულ სასამართლო გადაწყვეტილებებში შემოთავაზებული პასუხისმგებლობის დადგენის წესი თავსებადია როგორც ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკასთან, ისე იურიდიული მეცნიერების კონცეფტუალურ მიდგომებთან.

---

<sup>47</sup> ევროპული პრინციპების 1:301 (5), 2:104, 3:102 (2), 3:204 (2), 3:205(1)(3), 3:208, 3:209 (1), 3:301(1), 4:109(1), 4:103 (1), 4:111(2), 4:113 (1), 4:114, 4:117(1), 6:101(2)(3), 6:110(3), 6:111(2), 7:101(2), 8:103 (b), 8:108(3), 9:102(3), 9:303(2)(3), 9:503 მუხლები.

<sup>48</sup> სსკ-ის 412-ე მუხლი.

<sup>49</sup> სსკ-ის 412-ე მუხლი.

## თამარ ზოიძე\*

უხარისხო ელექტროენერჯის მიწოდებით გამოწვეული მატერიალური ზიანის ანაზღაურება. მორალური ზიანის ანაზღაურება ქონებრივი სიკეთის ხელყოფისას. მტკიცების ტვირთი ზიანის ანაზღაურებისას.

საქმე Nას-1156-1176-2011\*\*

დავით რევაზიშვილი სს „ენერგორესურსი ჯორჯიას“ წინააღმდეგ

თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუძვირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით (სამოქალაქო კოდექსის 408-ე II მუხლი).

დაზარალებულს უფლება აქვს მკურნალობის ხარჯები მოითხოვოს წინასწარ. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა აუცილებელი ხდება პროფესიული გადამზადება (სამოქალაქო კოდექსის 408-ე III მუხლი).

ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს (სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლი).

არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით (სამოქალაქო კოდექსის 413-ე I მუხლი).

სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც (სამოქალაქო კოდექსის 413-ე II მუხლი).

პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი (სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი).

## ფაქტები

2003 წლის 13 მაისს 14:15 საათზე ქ. თბილისში, ჟ-ას ქ. #12-ში საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე გაჩნდა ხანძარი, რომლის შედეგად დაზიანდა დავით რევაზიშვილის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ მობინადრეებს ელექტროენერჯია მიეწოდებოდათ სს „ენერგორესურსი ჯორჯიას“ ქვესადგურ მთაწმინდის #7 ფიდერიდან. შემთხვევის დღეს სარემონტო სამუშაოების გამო, #7 ფიდერი გარკვეული პერიოდულობით რამდენიმეჯერ ჩაირთო და გამოირთო. ამასთან მაღალმა

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქტორი.

\*\* საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება.

მაზვამ გამოიწვია მოკლე ჩართვა და შემდგომ გაჩნდა ხანძარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 23.05.2008 წლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ ბინაში გაჩენილი ხანძარი გამოწვეულია მოპასუხე ორგანიზაციის მართლსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედებით. კერძოდ, ხანძრის გამომწვევი მიზეზი გახდა სს „ენერგორესურსი ჯორჯიას“ მიერ უხარისხო პროდუქციის - ელექტროენერჯის მიწოდება. ხანძრის შედეგად განადგურდა დავით რევაზიშვილის მოძრავი ნივთები და კუთვნილი ბინა.

2002 წლის 30 ივლისს დავით რევაზიშვილის ქალიშვილს, ნინო რევაზიშვილს, დაუდგინდა სიცოცხლისათვის საშიში დაავადება - საკვერცხეების პაპილარული ადენოკარცინომა. სისტემური მკურნალობის მიუხედავად, 2004 წლიდან მოცემულია ავთვისებიანი პათოლოგიური პროცესის უარყოფითი დინამიკა ნინო რევაზიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმებით. 2005 წლის 22 ივლისს ნინო რევაზიშვილი გარდაიცვალა.

2003 წლიდან დავით რევაზიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. კერძოდ, მას განუვითარდა გულის მძიმე პათოლოგია მიცემციმე არითმიისა და მასთან დაკავშირებული გულის შორსწასული უკმარისობის სახით. 2007 წლიდან ის დაავადებულია მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტით, 2009 წლის ივნისისთვის გულ-სისხლძარღვთა დაავადების დიაგნოზით და ა.შ. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო მოსარჩელე სისტემატურად მკურნალობდა სხვადასხვა სამკურნალო დაწესებულებებში.

ზემოთ ხსენებული ფაქტობრივი გარემოებების გამო, დავით რევაზიშვილმა თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა სარჩელი სს „ენერგორესურსი ჯორჯიას“ წინააღმდეგ და მოითხოვა: ნინო რევაზიშვილის გარდაცვალებით მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 15,000 აშშ დოლარი დაკისრება სს „ენერგორესურსი ჯორჯიასთვის“, აგრეთვე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისათვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება 15,000 აშშ დოლარის ფარგლებში, აგრეთვე მკურნალობისთვის გასაწევი და სამომავლოდ გასაწევი ხარჯების ანაზღაურების დაკისრება, სს „ენერგორესურსი ჯორჯიასთვის“ მატერიალური ზიანის - 12,000 აშშ დოლარის ანაზღაურების დაკისრება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით დავით რევაზიშვილის სახელზე სს „ენერგორესურსი ჯორჯიას“ მიმართ მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე მიღებულ იქნა წინასწარი გადაწყვეტილება, რითაც დადგენილ იქნა ის, რომ ნინო რევაზიშვილის გარდაცვალება წარმოადგენს სს „ენერგორესურსი ჯორჯიას“ მართლსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედების შედეგს, რითაც დავით რევაზიშვილს მიადგა მორალური ზიანი. აგრეთვე, დადგინდა, რომ დავით რევაზიშვილს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება წარმოადგენდა სს „ენერგორესურსი ჯორჯიას“ მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული მოქმედების შედეგს, რითაც დავით რევაზიშვილს მიადგა მატერიალური ზიანი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „ენერგორესურსი ჯორჯიამ“, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოსთვის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით სს „ენერგორესურსი ჯორჯიას“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის 2010 წლის 8 ივნისის წინასწარი გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დადგენილ იქნა, რომ ნინო რევაზიშვილის გარდაცვალება წარმოადგენს სს „ენერგორესურსი ჯორჯიას“ მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული მოქმედების შედეგს, რითაც დავით რევაზიშვილს მიადგა მორალური ზიანი და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „ენერგორესურსი ჯორჯიამ“, მოითხოვა მისი გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა სარჩელი და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განხილვისთვის დაუბრუნა იმავე სასამართლოს.

*მოსარჩელის არგუმენტაციით*, 13.05.2003 წელს მის საცხოვრებელ სახლში გაჩენილი ხანძარი, მასთან დაკავშირებული ფსიქოემოციური სტრესი და ხანძრის გამო გამოწვეული უარყოფითი ფაქტორები: უბინაობა, გაუთვალისწინებელი ვალები, საფუძვლად დაედო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას და ამჟამინდელ მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობას, ასევე მისი ქალიშვილის, ნინო რევაზიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას, ონკოდაავადების რეციდივს და საბოლოოდ მის გარდაცვალებას.

*მოპასუხის არგუმენტაციით*, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი სს „ენერგორესურსი ჯორჯიას“ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის და განსხვავებული ვერც სასამართლოს ინიციატივით დანიშნულმა ექსპერტიზამ დაადასტურა, სასამართლომ მაინც დადგენილად მიიჩნია ის, რომ დავით რევაზიშვილის ჯანმრთელობის გაუარესება წარმოადგენდა სს „ენერგორესურსი ჯორჯიას“ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული მოქმედების შედეგს, თუმცა რაში გამოიხატებოდა აღნიშნული ქმედება და როგორ უკავშირდება იგი დამდგარ შედეგს, გადაწყვეტილებაში ამასთან დაკავშირებით არაფერია ასახული.

## **გადაწყვეტილება**

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ თავად მოსარჩელის მიერ სასამართლოში წარდგენილი დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრ „ვექტორის“ №28/კ დასკვნა, რომელსაც დაეყრდნო პირველი ინსტანციის სასამართლო ნინო რევაზიშვილის გარდაცვალების მიზეზად სს „ენერგორესურსი ჯორჯიას“ მართლსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედების მიჩნევისას, არ იყო საკმარისი მტკიცებულება იმის დასადგენად, რომ 13.05.2003 წელს საცხოვრებელ სახლში გაჩენილი ხანძარი (მასთან დაკავშირებული ფსიქოემოციური სტრესი) და ხანძრის გამო გამოწვეული უარყოფითი ფაქტორები (უბინაობა, გაუთვალისწინებელი ვალები) წარმოადგენს ნინო რევაზიშვილის

ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების და ამის შედეგად მისი გარდაცვალების გამომწვევ უშუალო შედეგს.

სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე მითითებით და იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში არ იყო წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მიზეზობრივ კავშირს სს „ენერგორესურს ჯორჯიას“ მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს – ნინო რევაზიშვილის გარდაცვალებას შორის, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული სს „ენერგორესურს ჯორჯიას“ ნინო რევაზიშვილის გარდაცვალებით მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 15000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში დავით რევაზიშვილის სარჩელზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა.

რაც შეეხება გადაწყვეტილებას იმ ნაწილში, რომლითაც დადგინდა, რომ დავით რევაზიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება წარმოადგენდა სს „ენერგორესურს ჯორჯიას“ მართლსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედების შედეგს, რითაც დავით რევაზიშვილს მიადგა მატერიალური და მორალური ზიანი, პალატამ მიიჩნია, რომ იგი უცვლელად უნდა დარჩენილიყო შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 01.04.2011წ. №692/40 დასკვნისა და სასამართლო ექსპერტიზის ცენტრი „ვექტორის“ №29/კ დასკვნის საფუძველზე, სააპელაციო პალატამ დადგინდა, რომ 13.05.2003 წელს დავით რევაზიშვილის საცხოვრებელ სახლში გაჩენილი ხანძარი (მასთან დაკავშირებული ფსიქოემოციური სტრესი) და ხანძრის გამო გამოწვეული უარყოფითი ფაქტორები (უბინაობა, გაუთვალისწინებელი ვალები, ქრონიკული სტრესული სიტუაცია) სხვა ფაქტორებთან ერთად (ასაკი, 2003 წლამდე დიაგნოსტირებული კარდიოლოგიური პათოლოგიის ბუნებრივი პროგრესირება, გენეტიკური წინასწარგანწყობა და ა.შ.) წარმოადგენს მისი ჯანმრთელობის გაუარესებისა და მისი ამჟამინდელი მდგომარეობის განვითარების ერთ-ერთ მიზეზს.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ის გარემოება, რომ დავით რევაზიშვილის ჯანმრთელობის გაუარესებაში და მისი ამჟამინდელი მდგომარეობის განვითარებაში 13.05.2003 წელს ნ. ს.-შ-ის საცხოვრებელ სახლში გაჩენილ ხანძართან (მასთან დაკავშირებული ფსიქო-ემოციური სტრესი) და ხანძრის გამო გამოწვეულ უარყოფითი ფაქტორებთან (უბინაობა, გაუთვალისწინებელი ვალები, ქრონიკული სტრესული სიტუაცია) ერთად მონაწილეობდნენ სხვა ფაქტორებიც (ასაკი, 2003 წლამდე დიაგნოსტირებული კარდიოლოგიური პათოლოგიის ბუნებრივი პროგრესირება, გენეტიკური წინასწარგანწყობა და ა.შ.) განმსაზღვრელი იყო მოთხოვნის მოცულობის (ოდენობა) დადგენისას და არ შეიძლება მიჩნეულიყო აღნიშნულ ნაწილში სარჩელზე საერთოდ უარის თქმის საფუძველად.

აღნიშნულ ნაწილში გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების სამართლებრივ საფუძველად სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 413-ე მუხლებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სს „ენერგორესურს ჯორჯიას“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 08.06.2010 წლის წინასწარი გადაწყვეტილება უნდა გაუქმებულიყო იმ ნაწილში, რომლითაც დადგინდა, რომ დავით რევაზიშვილის გარდაცვალება წარმოადგენდა სს

„ენერგორესურს ჯორჯიას“ მართლსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედების შედეგს, რითაც ამ უკანასკნელს მიადგა მორალური ზიანი (გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი) და ამ ნაწილში მიღებული ახალი გადაწყვეტილებით არ უნდა დაკმაყოფილებულიყო სარჩელი ნინო რევაზიშვილის გარდაცვალებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 08.06.2010 წლის წინასწარი გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში გაუქმებას არ ექვემდებარებოდა.

ამასთან, სააპელაციო პალატამ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 246-ე მუხლზე მითითებით და იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობდა ნინო რევაზიშვილის გარდაცვალებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი საფუძველი, მიიჩნია, რომ დასახელებული ნორმის თანახმად, უქმდება გასაჩივრებული წინასწარი გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დადგენილ იქნა, რომ ნინო რევაზიშვილის გარდაცვალება წარმოადგენს სს „ენერგორესურს ჯორჯიას“ მართლსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედების შედეგს, რითაც დავით რევაზიშვილს მიადგა მორალური ზიანი და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ამ ნაწილში ერთიანად არ კმაყოფილდება.

**საკასაციო სასამართლო** საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „ენერგორესურს ჯორჯიას“ საკასაციო საჩივარი უნდა ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაზე ვრცელდება მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, ამასთან ერთად, მატერიალური ზიანის ნაწილში არ არის გათვალისწინებული ყველა ის აუცილებელი ფაქტობრივი გარემოება, რომლებიც ქმნიან მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს, შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 246-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების აუცილებლობას.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კონკრეტული ურთიერთობის თავისებურების გათვალისწინებით არ არსებობს მორალური ზიანის ანაზღაურების ნორმატიული საფუძველი, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკმაოდ დიდი მნიშვნელობა გააჩნია ამ ნორმით გათვალისწინებული მიზნის სწორად დადგენას. კერძო სამართლით გათვალისწინებული სხვადასხვა ურთიერთობების შედეგად შეიძლება ადგილი ჰქონდეს მორალურ, სულიერ ტანჯვას, მაგრამ მისი ანაზღაურება განპირობებულია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ე.ი კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, თუ რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეიძლება დაზარალებულმა მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის. ამდენად, კანონის მიზანია, შეამციროს, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და წესრიგი.

სამართლის მიერ დაცული ერთ-ერთი სიკეთე, რომლის ხელყოფის შედეგად დაზარალებულმა შეიძლება მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანისათვის ანაზღაურება წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობა, კერძოდ, განსახილველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის.

განსახილველი ნორმით დადგენილი შედეგის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობის ხელყოფა, რის შედეგად დაზარალებულმა, ასევე განიცადა სულიერი ტანჯვა, ფსიქიკური სტრესი. სხეულის დაზიანებასა ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებაში უნდა ვიგულისხმოთ ისეთი ზემოქმედება, რომელიც ხელყოფს ადამიანის სხეულს ან ადამიანის ორგანიზმის შინაგან პროცესებს. განსახილველ შემთხვევაში პირველადი ზიანი გამოწვეული იყო სს „ენერგორესურს ჯორჯიას“ მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედებით, რომლითაც ხელყოფილ იქნა ს.-შ-ის არა ჯანმრთელობა, არამედ - ქონება (კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება).

განსახილველი ნორმის ზემოაღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, არაქონებრივი ზიანისათვის ანაზღაურება გათვალისწინებულია ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად გამოწვეული სულიერი, ფსიქიკური ტანჯვის გამო, და არა - ქონებრივი ზიანის გამო სულიერი ტანჯვით გამოწვეული ჯანმრთელობის მოშლის შემთხვევებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული ნორმის მოქმედება შეიძლება გავრცელდეს ნებისმიერ ქონებრივი ვალდებულების დარღვევისას განცდილი სულიერი ტანჯვის შედეგად ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესებაზე.

ამდენად, 13.05.2003 წელს საცხოვრებელ სახლში გაჩენილ ხანძართან დაკავშირებული ფსიქოემოციური სტრესი და ხანძრის გამო გამოწვეული ისეთი უარყოფითი ფაქტორები, როგორცაა უბინაობა, გაუთვალისწინებელი ვალები და ამ ფაქტორების შედეგად დავით რევაზიშვილის ჯანმრთელობის გაუარესება არ წარმოადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ზუსტად იმის გათვალისწინებით, რომ სს „ენერგორესურს ჯორჯიას“ მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედებით ხელყოფილ იქნა არა ჯანმრთელობა, არამედ ქონება, არ შეიძლება მას დაეკისროს, ასევე მატერიალური პასუხისმგებლობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, კერძოდ, განსახილველი ნორმის გამოყენების სამართლებრივ წინაპირობას წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით.

როგორც უკვე აღნიშნა, კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობები (სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება, მის შედეგად შრომის უნარის დაკარგვა ან შემცირება, ანდა მისი მოთხოვნილებების გაზრდა),

რომელშიც იგულისხმება ისეთი ქმედება, რომელიც მიმართულია ადამიანის სხეულის ან ადამიანის ორგანიზმის შინაგანი პროცესების წინააღმდეგ.

აღნიშნულთან მიმართებაში საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 01.04.2011 წლის №692/40 დასკვნისა და სასამართლო ექსპერტიზის ცენტრ „ვექტორის“ №29/კ დასკვნის საფუძველზე, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 13.05.2003 წელს ნ. ს.-შ-ის საცხოვრებელ სახლში გაჩენილი ხანძარი (მასთან დაკავშირებული ფსიქო-ემოციური სტრესი) და ხანძრის გამო გამოწვეული უარყოფითი ფაქტორები (უბინაობა, გაუთვალისწინებელი ვალები, ქრონიკული სტრესული სიტუაცია) სხვა ფაქტორებთან ერთად (ასაკი, 2003 წლამდე დიაგნოსტიკური კარდიოლოგიური პათოლოგიის ბუნებრივი პროგრესირება, გენეტიკური წინასწარგანწყობა და ა.შ.) წარმოადგენს დავით რევაზიშვილის ჯანმრთელობის გაუარესებისა და მისი ამჟამინდელი მდგომარეობის განვითარების ერთ-ერთ მიზეზს.

ამდენად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დავით რევაზიშვილის ჯანმრთელობის გაუარესება და მისი ამჟამინდელი მდგომარეობის განვითარება განპირობებული იყო არა ს/ს „ენერგორესურს ჯორჯიას“ მიერ დავით რევაზიშვილის ჯანმრთელობის ხელყოფით, არამედ მის საცხოვრებელ სახლში გაჩენილი ხანძრის შედეგად გამოწვეული ფსიქოსოციალური ფაქტორებით, რომლის არსებობის ფაქტი ასევე არ დასტურდება, როგორც სს „ენერგორესურს ჯორჯიას“ უშუალო გამომწვევი შედეგი. ამდენად, არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული წინაპირობები.

საკასაციო პალატა, ასევე აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო არ მსჯელობს დავით რევაზიშვილის ქონებრივ ზიანზე, რომელიც ეხება სადავო პერიოდში აღებულ კრედიტს (ვალებს), შესაბამისად, ამ ნაწილში გადაწყვეტილების შემოწმება შეუძლებელია, რაც უნდა გაუქმდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად.

მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აუცილებელია ფაქტობრივი გარემოებების დიფერენცირება. სააპელაციო სასამართლო ერთიან კონტექსტში იხილავს ნ.ს.-შ-ის ჯანმრთელობისა და მისი სოციალური პირობების გაუარესების ფაქტორებს.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან არ იკვეთება ფაქტები, რომლებიც მიუთითებენ დავით რევაზიშვილის იმ ქონებრივ ზიანზე, რომელიც ეხება სადავო პერიოდში მის მიერ აღებულ ვალებს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ უნდა გაარკვიოს, ამ ვალებზე მითითებით დავით რევაზიშვილი ყურადღებას ამახვილებს, როგორც ფსიქოსტრესული სიტუაციის გამომწვევი მიზეზზე (რაც, როგორც უკვე აღინიშნა, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია) თუ ასევე იმ ქონებრივ ზიანზე, რაც უნდა აანაზღაუროს სს „ენერგორესურს ჯორჯიამ“.

იმ შემთხვევაში, თუ დავით რევაზიშვილის მიერ ვალებზე (მის მიერ აღებული კრედიტზე) მითითება წარმოადგენს ქონებრივი დანაკლისის (ზიანის) მოთხოვნის საფუძველს, მაშინ უნდა გაირკვეს და დადგინდეს ფაქტობრივი გარემოებები მის მიერ

სადავო პერიოდში აღებული ვალების თაობაზე, კერძოდ, აღნიშნული ვალები რამდენად წარმოადგენს პირველადი ზიანის (ხანძრის შედეგად დამწვარი ქონება) ნაწარმოებ ზიანს, შესაბამისად, ეს უკანასკნელი რამდენად წარმოადგენს ხანძრის შედეგად გამოწვეული ზიანის უშუალო შედეგს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლი).

ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს ამ ნაწილში სადავო ურთიერთობის განხილვისას რამდენად მიზანშეწონილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 246-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენება.

## **ანალიზი**

სამართლებრივი პრობლემის სრულყოფილი აღქმისთვის აუცილებელია სააპელაციო და საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი ანალიზის ურთიერთშედარება, სადაც შეიმჩნევა ერთმანეთის გამომრიცხავი სამართლებრივი დასკვნები ზიანის ანაზღაურების დაკისრების საკითხთან მიმართებით. მნიშვნელოვანია, აღნიშნული პრობლემები თეზისების სახით ჩამოყალიბდეს და მსჯელობა სწორედ ამ მეთოდის გამოყენებით განხორციელდეს: **მორალური ზიანის დაკისრების წინაპირობები სამოქალაქო სამართალში (I); მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მქონე სუბიექტი (II); მტკიცების ტვირთი ზიანის დაკისრებისას (III);**

### **I. მორალური ზიანის დაკისრების წინაპირობები სამოქალაქო სამართალში**

მორალური ზიანის ანაზღაურებას კანონმდებელი განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება. მითუმეტეს, რომ მისი მოთხოვნის საფუძველი სამართალდარღვევის მძიმე და განსაკუთრებულ შემთხვევას უკავშირდება. იმისდა მიხედვით, თუ რა სახის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფასთან გვაქვს საქმე, მორალური ზიანის ოდენობა, მისი ფარგლები ადეკვატურად განისაზღვრება. მორალური ზიანის მოთხოვნის საფუძველი საყოველთაო უფლებების დარღვევის შედეგია. როგორცაა, ადამიანის სიცოცხლის, სხეულის, ჯანმრთელობის ხელშეუხებლობის უფლება, საქმიანი რეპუტაციის, სახელის უფლება. ეს ის ძირითადი უფლებებია, რომლებიც ნებისმიერი ქვეყნის კონსტიტუციით არის დაცული და გარანტირებული. მოცემულ კონტექსტში გაჩნდება კითხვა - რა კატეგორიის უფლებას მიეკუთვნება საკუთრების უფლება? გაბატონებული აზრით, ის აბსოლუტური უფლებაა, კერძოდ კი, მსგავსად სხვა საყოველთაო პერსონალური უფლებებისა, ამ უფლების მატარებელი პირის წინაშე ვალდებულია პირთა განუსაზღვრელი წრე, თავი შეიკავოს არამართლზომიერი მოქმედებისგან. როგორც საკუთრების, ისე სხვა ქონებრივი სიკეთის დარღვევას შეიძლება თან მოყვეს, როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური (მორალური) ზიანი. ანაზღაურებას შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ სამართლებრივად შეფასებაუნარიანი და ანგარიშგასაწევი მორალური ზიანი. გასათვალისწინებელია, რომ კანონმდებელი ნორმატიულად, იმპერატიულად ადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევებს და შესაბამისი ნორმის გამოყენების წინაპირობებს.

ქონებრივი სიკეთის ხელყოფის შემთხვევა ფაქტობრივად სამოქალაქო კოდექსით

გათვალისწინებული ნებისმიერი სამართლებრივი ურთიერთობის დარღვევის შედეგია. მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მორალურად მისაღები და აღიარებული უნდა იყოს. მატერიალური ქონებრივი საგნების, ნივთების განადგურება-ხელყოფის შედეგად გამოწვეული მატერიალური ზიანი არამატერიალურ - ნაწარმოებ ზიანთან ვერ მიგვიყვანს. პირველადი ზიანი თავიდანვე არამატერიალურ ხასიათს უნდა ატარებდეს. შესაძლოა სადავო გახდეს ეს საკითხი იმ კუთხით, რომ ზოგიერთი მატერიალური ნივთის განადგურებით მიღებული „შოკი“ შეიძლება უფრო მძიმე აღმოჩნდეს ადამიანისთვის, ვიდრე ის, რაც ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებითაა გამოწვეული. ეს ყველაფერი შეფასებითია.

მორალური ზიანის დაკისრების მიზანს გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია. მას საკომპენსაციო თუ სარეალიზაციო ხასიათი გააჩნია პირველადი სულიერი თუ ფიზიკური მდგომარეობის აღდგენისათვის. სიკეთის დარღვევის რანგისა და ხარისხის მიხედვით კი, განისაზღვრება მორალური ზიანის ოდენობა.

არამატერიალური (მორალური) ზიანის ანაზღაურება მატერიალური სახით დაკავშირებულია იმ სულიერ განცდებთან, რომელიც მიადგა დაზარალებულს არამართლზომიერი, არაკეთილსინდისიერი, არაპროფესიონალური მოქმედების შედეგად. მაგალითად, არასწორი მკურნალობით გამოწვეული სულიერი სტრესი, ძლიერი ამორალური მოქმედებით დამდგარი ტანჯვა. გასათვალისწინებელია ის, რომ ცალკეულ შემთხვევებში არამატერიალური ზიანის ანაზღაურება მატერიალურზე უფრო მნიშვნელოვანია.

როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, „მორალური ზიანის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: პირველი - დააკმაყოფილოს დაზარალებული; მეორე - ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმცემებელზე; მესამე - თავიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ. აღნიშნული სამი - სატისფაქციური, რეპრესიული და პრევენციული ფუნქციების კომბინაცია წარმოადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების ერთიან მიზანს, რაც უნდა აისახოს მორალური ზიანის ფულად ანაზღაურებაში.“<sup>1</sup>

სასამართლო პრაქტიკაში კი მორალური ზიანის განმარტებისას გამოიკვეთა შემდეგი მოსაზრებები: „მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს ხელყოფილი უფლებების რესტიტუციას არ შეადგენს, რადგან მიცემებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრული კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას. კომპენსაციის მიზანია მოსარჩელის გამართლება საზოგადოების თვალში და მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების შემსუბუქება. კომპენსაცია ასევე მიმართულია უარყოფითი ემოციების გასაქარწყლებლად.“<sup>2</sup>

<sup>1</sup> ძლიერიშვილი ზ., სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, ნომერი?? თბ., 2012, 111.

<sup>2</sup> კვანტალიანი ნ., პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2014, 155-156.

## II. მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მქონე სუბიექტი

მეორე მნიშვნელოვანი საკითხია თუ ვის წარმოეშობა მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება? რა თქმა უნდა, პირველ რიგში დაზარალებულს. თუ პირი არასრულწლოვანია, მის კანონიერ წარმომადგენელს. მაგრამ რა ხდება, როდესაც დაზარალებული პირი გარდაიცვლება და სწორედ ამ გარდაცვალებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშობა? წარმოეშობათ თუ არა მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მის მემკვიდრეებს მატერიალურ ზიანთან ერთად ან მისგან დამოუკიდებლად? კითხვაზე პასუხს ამ უფლების მკაცრი ხასიათი იძლევა. მორალური ზიანი ყოველთვის კონკრეტული სუბიექტის პიროვნებასთან არის დაკავშირებული. მაგალითად, ექიმის არასწორი დანიშნულების შედეგად პაციენტი გარდაიცვალა, გააჩნიათ თუ არა მის ნათესავებს მატერიალურ ზიანთან ერთად მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება? ექნებათ მათ ეს უფლება, თუკი ამის შესახებ კანონში პირდაპირ არის მითითებული.

ხშირად დაზარალებულის ახლობელი ნათესავისათვის მიყენებული ფიზიკური თუ სულიერი ტანჯვა აღემატება თვით დაზარალებულის მიერ განცდილი მორალური ზიანის სიძლიერეს. ლოგიკურად ისმის კითხვა - რამდენად საფუძვლიანია ახლობლების მიერ მორალური ზიანის კომპენსაციის მოთხოვნა? არ არის გამორიცხული, რომ ახლობლის მიერ განცდილი ფიზიკური ან სულიერი ტანჯვა შეიძლება აღემატებოდეს თვით დაზარალებულზე მიყენებულ მორალურ ზიანს. არ ნიშნავს ეს რომ მან მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება? თუ ასე მივუდგებით, მაშინ მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების მქონე სუბიექტთა წრე იმდენად გაფართოვდება, რომ მორალური ზიანის კომპენსაციის დანიშნულება, აზრს დაკარგავდა. ამიტომაც მიზანშეწონილია, მორალური ზიანი აუნაზღაურდეს მხოლოდ იმ პირს, ვინც უშუალოდ განიცადა ფიზიკური და სულიერი ტანჯვა. სულ სხვა შემთხვევაა, როცა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით დგება ადამიანის სიკვდილი, რაც იწვევს მის ახლობელთა ფიზიკურ და სულიერ ტანჯვას. არის აზრი, რომ ამ შემთხვევაში დასაშვებია ნათესავმა მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება. მაგრამ ვინ არიან ეს ნათესავები? მაგალითად, ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ასეთ პირებს მიეკუთვნებიან გარდაცვლილის პირველი და მეორე ხარისხის ნათესავები და გარდაცვლილის ოჯახის წევრები. აქედან გაუგებარია, თუ ვინ იგულისხმება ოჯახის წევრებში. ამ პირთა ჩამონათვალი ზედმეტად აფართოებს მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილ პირებს. ამიტომ, უფრო სწორია, ასეთი უფლება მიეცეს გარდაცვლილის მეუღლეს, მშობლებს, შვილებს და დედამამიშვილებს.<sup>3</sup>

შესაბამისად, დავით რევაზიშვილის მოთხოვნა სამართლებრივ ჩარჩოებში ჯდება, ვინაიდან მორალური ზიანის მოთხოვნის სუბიექტი თავისუფლად შეგვიძლია მივიჩნიოთ გარდაცვლილის მშობელი.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია აქვე, უზენაესი სასამართლოს

<sup>3</sup> იხ. ჩიკვაშვილი შ., პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2003, 33-34,

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე Nბს-1107-1096), სადაც მშობლების მოთხოვნა უკანონო მსჯავრდების შედეგად შვილის სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებული გარემოებებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, სასამართლოს მიერ ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული. „სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის შვილის ან სხვა ახლობლის სიცოცხლის ხელყოფის გამო მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება, ანუ მორალური ზიანი, რომელიც არ ატარებს რესტიტუციის მნიშვნელობას, ფულადი კომპენსაციით შეიძლება აუნაზღაურდეს მხოლოდ დაზარალებულს და არა მის უფლებამონაცვლეს, ამასთანავე, აღნიშნული არ გამორიცხავს გარდაცვლილის მშობლებისათვის მორალური ზიანის ანაზღაურებას, თუ ზიანი მათ უშუალოდ დანაშაულით მიადგათ.“<sup>4</sup>

დასადგენია ასევე, თუ რა მოიაზრება ადამიანის სხეულის, ჯანმრთელობის თუ სიკვდილის შედეგად დამდგარ ზიანში. სხეულის თუ ჯანმრთელობის დაზიანებით დამდგარ ზიანში შეიძლება ვივარაუდოთ ყველა ის ხარჯი, რაც აუცილებელი იყო იმ მდგომარეობის აღსადგენად, რაც არსებობდა სხეულის თუ ჯანმრთელობის დაზიანებამდე. ეს შეიძლება იყოს მკურნალობის ხარჯები: ოპერაციის, ანალიზების, ექიმის კონსულტაციის, თერაპიის, რეაბილიტაციის შემდგომი პერიოდის და ა.შ. სიკვდილის შემდგომ დამდგარ ზიანში პირველ რიგში დაკრძალვის ხარჯები იგულისხმება. უფრო მეტად თუ ჩავუღრმავდებით ამ თემას, შეიძლება გამოვყოთ ცალკეული ცხოვრებისეული შემთხვევები და ასე განვსაზღვროთ, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ჯანმრთელობის, სხეულის დაზიანებად და ვის რა სახის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ექნება. მაგალითად, ორსული ქალი, რომელსაც ზიანი მიადგა ორსულობის პერიოდში არასწორი მკურნალობის შედეგად, რამაც ბავშვის ფიზიკური განუვითარებლობა გამოიწვია, ბადებს კითხვას: ვის წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების უფლება და რა სახის - მატერიალური თუ მორალური? ემბრიონს, როგორც სამართლის სუბიექტს, რისი მოთხოვნის უფლება გააჩნია?

გერმანულ სამართალშიც ანალოგიური საკითხები დისკუსიის საგანია დღემდე. კერძოდ, „რამდენად შეიძლება ჩავთვალოთ ჯანმრთელობის ან სხეულის დაზიანებად, როდესაც დაზარალებული ზიანის მიყენების დროს უკვე დაზარალებული იყო. „ბავშვი, როგორც ზიანი“ - აღარ არის დღესდღეობით განხილვის საგანი, კერძოდ, როდესაც ბავშვი დედის მუცლადყოფნის პერიოდში შესაძლოა დაზიანებულ იქნეს დედის ავტოავარიაში მოხვედრის შედეგად, ან დედის მიმამე სულიერი მდგომარეობის შედეგად, რაც გამოწვეული იქნება მამის ავტოავარიაში მოხვედრის გამო. იგივე ვითარებაა ჯანმრთელობის დაზიანებისას, როდესაც ემბრიონი ექიმების არასწორი მოქმედებით, კერძოდ, დაზარალების პროცესის მიმდინარეობისას ზიანდება. სიფილისით დაზარალებულ ბავშვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა, როცა მოპასუხე

---

<sup>4</sup> რუსიაშვილი გ., ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ზიანის ანაზღაურება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2013, 271.

საავადმყოფომ დედას სიფილისით დაავადებული სისხლი გადაუსხა იმ დროს, როდესაც ბავშვი ჯერ კიდევ დაბადებული არ იყო.“<sup>5</sup>

ჯანმრთელობა შეიძლება დაზიანდეს ფსიქიკური ზემოქმედების შედეგად. მნიშვნელოვანია ისეთი შემთხვევა, როცა ძალიან ახლობელი ადამიანის გარდაცვალების ფაქტის გაგებისას დაზარალებულს „სულიერი შოკი“ ემართება. საჭიროა ჯანმრთელობის უფრო მძიმე, პათოლოგიური გადახრები, შოკირებული ახლობლის შემთხვევაში. ვინაიდან ჯანმრთელობის დაზიანება დაზარალებულის მწვავე სულიერი რეაქციითაა გამოწვეული, აქ საუბარია ე.წ. „ფსიქიკურ მიზეზობრიობაზე.“ მაგალითად, ა-ს მეუღლე ბ. გ-ს ბრალეული მოქმედებით გამოწვეული ავტოავარიის შედეგად გარდაიცვალა. როცა ა-მ ამის შესახებ შეიტყო, მან სულიერი შოკი განიცადა, რაც შემდეგ დეპრესიაში, უძილობასა და პერიოდულად ისტერიულ ტირილში გადაიზარდა. ა. იძულებული გახდა გაეწვო სამედიცინო მკურნალობის კურსი, რაც მას 2500 ლარი დაუჯდა. ა-მ გ-სგან მოითხოვა მკურნალობის ხარჯების გადახდა სსკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე და არამატერიალური (მორალური) ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 413-ე მუხლის მიხედვით.“<sup>6</sup>

სხეულის დაზიანებაში მოიაზრება ნებისმიერი დაზიანება ადამიანის სხეულბრივი ხელშეუხებლობისა. მას მიეკუთვნება ნაკლის მქონე მედიკამენტის მიღებით ან წუნდებული საკვები პროდუქტის დაგემოვნებით გამოწვეული დაზიანება. სხეულის დაზიანების საკვალიფიკაციოდ აუცილებელია ადგილი ჰქონდეს ჯანმრთელობის ნორმალური მდგომარეობიდან გადახრას.<sup>7</sup>

ადამიანის სიცოცხლის დაზიანებაში კანონმდებელმა სიკვდილი მოიაზრა. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები, რომელიც ადამიანის სიკვდილის შემდეგ წარმოიშობა, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823-ე პარაგრაფის თანახმად, აქვს იმ პირს, ვინც სიკვდილის შემდეგ მატერიალური დაზიანების მოთხოვნას გარდაცვლილის მიმართ კარგავს. თუკი ფიზიკურ დაზიანებას გარკვეული დროის გასვლის შემდეგ სიკვდილამდე მიყვავართ, დაზარალებულს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები წარმოეშობა, როგორცაა მაგალითად ექიმის მომსახურების, მკურნალობის ხარჯები, სიკვდილის შემდეგ კი დაკრძალვის ხარჯები.<sup>8</sup> მესამე პირთა მოთხოვნებში შედის აგრეთვე სხვა ქონებრივი უფლებები, როგორცაა მიუღებელი სარგებელი მომსახურების არმიღების შედეგად. მოთხოვნები, რომელიც სიკვდილამდე დაზარალებულს წარმოეშვა, შესაძლებელია მემკვიდრეობით გადავიდეს.<sup>9</sup>

სსკ-ის 992-ე მუხლით დაცულ სიკეთეთა შორის ადამიანის სიცოცხლე უმთავრესია, რადგანაც გარდაცვალებით პირის უფლებათუნარიანობა წყდება. მისი სიცოცხლის მოსპობით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გარდაცვლილის ახლობლებს წარმოეშობათ. თუმცა, არის აზრი, რომ მათ არა აქვთ უფლება სსკ-ის 413-ე მუხლის მეორე

<sup>5</sup> იხ. *Kötz H., Wagner G., Deliktrecht*, 11 Auflage, Verlag Franz Vahlen, München, 2010, Rn.139, 64.

<sup>6</sup> მარიამიძე გ., დელიქტური ვალდებულებანი, I გამოცემა, გამომცემლობა „რაიზი“, თბილისი, 2011, 37.

<sup>7</sup> იხ. *Rolland W., Produkthaftungsrecht*, Teil II, Kommentar, 1990, Rn. 24, 19.

<sup>8</sup> იხ. *Kötz H., Wagner G., Deliktrecht*, 11 Auflage, Verlag Franz Vahlen, München, 2010, Rn.135, 62.

<sup>9</sup> იხ. *Rolland W., Produkthaftungsrecht*, Teil II, Kommentar, Köln, 1990, Rn. 23,19.

ნაწილის საფუძველზე, მოითხოვონ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება.<sup>10</sup> ვფიქრობთ, რომ ასეთი მიდგომა არასწორია, პირის გარდაცვალების შემთხვევაში ახლობელს უნდა ჰქონდეს მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება.

### III. მტკიცების ტვირთი ზიანის დაკისრებისას

სამოქალაქო სამართლის მატერიალური ნორმები, მტკიცების ტვირთს სრულად დაზარალებულს აკისრებს. აქ რა თქმა უნდა, ზიანის მტკიცება მოიაზრება. თუკი დაზარალებული ვერ დაამტკიცებს, სამართალდარღვევის შემადგენლობის თითოეული კომპონენტის არსებობას, დაუმტკიცებლობის შედეგებს თვითონ იმკობს. რაც შეეხება „ანგლო-ამერიკულ სამართალსა და რომის კერძო სამართალს, მათ შორის არსებობს კონცეპტუალური განსხვავება დელიქტის ცალკეული ელემენტის მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების კუთხით. რომის კერძოს სამართალში ზიანის მიმყენებელი პირის გარეგნულად გამოხატული ქმედება, მართლწინააღმდეგობა, საზიანოობა, ბრალეულობა და დასჯადობა, პრეზუმირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოსარჩელეს ეკისრება ზიანის დადგომისა, ზიანსა და ზიანის მიმყენებელი პირის ქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირის მტკიცების ტვირთი. ანგლო-ამერიკულ სამართალში მოსარჩელე ატარებს დელიქტის ექვსივე ელემენტის მტკიცების ტვირთს, მათ შორის ბრალის. ანუ იმ დროს, როდესაც რომის კერძო სამართალში მოქმედებდა ბრალეულობის პრეზუმფცია, ანგლო-ამერიკულ სამართალში მოქმედებს საწინააღმდეგო, არაბრალეული პრეზუმფციის პრინციპი. აღნიშნულ განსხვავებას სასამართლო პრაქტიკისათვის არსებითი მნიშვნელობა გააჩნია. ბრალის მტკიცება ადვილი საქმე არ არის, ბრალის მტკიცების ტვირთის მოხსნა მოსარჩელეს ანიჭებს სამოქალაქო-საპროცესო უპირატესობას მოპასუხესთან შედარებით.“<sup>11</sup>

მთავარი ამ კონკრეტული დავის შემთხვევაში გახლდათ ის, თუ რამდენად შეეძლო დაზარალებულს ხანძრის გაჩენასა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას შორის დაედგინა მიზეზობრივი კავშირი. იყო თუ არა ხანძრის გაჩენის შედეგი პირდაპირ კავშირში მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან, ასევე მისი ქალიშვილის ნინო რევაზიშვილი დაავადების პროვოცირებასთან. რა თქმა უნდა, ძალიან რთული იქნებოდა ამ გარემოებების დამტკიცება დაზარალებულისთვის, საქმეში სათანადო ექსპერტების დასკვნების არსებობის მიუხედავად, საკმარისი არ იყო მოპასუხე მხარისთვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. თუმცა, როგორც გადაწყვეტილებიდან ირკვევა, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, დავით რევაზიშვილის ჯანმრთელობის გაუარესება და ხანძრის შედეგს შორის არსებული მიზეზობრივი კავშირი, ხოლო განსხვავებით საქალაქო სასამართლოსგან, ნინო რევაზიშვილის დაავადების პროვოცირებასა და ხანძრის შედეგად განვითარებულ მოვლენებს შორის, მიზეზობრივი კავშირის არსებობა არ დაუდგენია. კონკრეტული დავიდან კი არ დასტურდება ის, რომ

<sup>10</sup> *მარიამიძე გ.*, დელიქტური ვალდებულებანი, I გამოცემა, გამომცემლობა „რაიზი“, თბ., 2011, 31.

<sup>11</sup> *ოსაკავე კ.*, ანგლო-ამერიკულ სამართალში მორალური ზიანის ცნება, კლასიფიკაცია და ანაზღაურება, თარგმანი თ. შოთაძის მიერ, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2015, 22-23.

**„ზიანი უნდა იყოს ზიანის მიმყენებელი პირის ქმედების შედეგი. მიზეზობრივი კავშირის გარეშე არ არსებობს დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძვლები.“<sup>12</sup>**

საკასაციო სასამართლომ მოთხოვნის საფუძვლად კი დაადგინა არა არამატერიალური ქონებრივი სიკეთის ხელყოფა, არამედ მატერიალური სიკეთის ხელყოფა, კერძოდ ხანძრის გაჩენის შედეგად გამოწვეული ქონებრივი დანაკლისის შედეგად განვითარებული სოციალური მოვლენები, რომელიც სსკ-ის თანახმად, არ იძლევა არამატერიალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს. მართალია, მტკიცების ტვირთი სწორი თანმიმდევრობით იქნა განხორციელებული, მაგრამ მას სამართლებრივ შედეგზე გავლენის მოხდება არ შეეძლო.

---

<sup>12</sup> იქვე, 19.

## თამარ ზოიძე\*

საკუთრების უფლების შეზღუდვა სამოქალაქო სამართალში. მორალის და სამართლის ურთიერთმიმართება. ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო

### საქმე Nას-2/155\*\*

#### გია ასათიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებელი მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ (სსკ-ის 529-ე I მუხლი).

თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ(სსკ-ის 529-ე II მუხლი).

დაბრუნების დროის მიუხედავად, პირს უფლება აქვს მოითხოვოს ის შენარჩუნებული ქონება, რომელიც მისი გარდაცვლილად გამოცხადების შემდეგ უსასყიდლოდ გადაეცა სხვა პირს (სსკ-ის 23-ე II მუხლი).

სამკვიდროს გაყოფისას თითოეული მემკვიდრის წილში ჩაითვლება იმ ქონების ღირებულება, რომელიც მან საჩუქრის სახით მიიღო მამკვიდრებლისაგან სამკვიდროს გახსნამდე ხუთი წლის განმავლობაში (სსკ-ის 1455-ე მუხლი).

საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება (კონსტიტუციის 21-ე I მუხლი).

აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი (კონსტიტუციის 21-ე II მუხლი).

აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით. ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან (კონსტიტუციის 21-ე III მუხლი).

### ფაქტები

2001 წლის 26 მარტს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა გია ასათიანმა და მოითხოვა სსკ-ის სსკ-ის 529-ე მუხლის კონსტიტუციურობის

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქტორი.

\*\* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება.

შემოწმება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით.

**მოსარჩელის არგუმენტაციით**, სსკ-ის 529-ე მუხლი „ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო“ არაკონსტიტუციურია და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს.

სადავო მუხლის მიხედვით, ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებელი მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავი მიმართ; თუ ჩუქება გაუქმდა, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილი იქნეს მჩუქებლის მიერ; ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.

მოსარჩელის აზრით მას შემდეგ, რაც მჩუქებელი დასაჩუქრებულს გადასცემს ქონებას, დასაჩუქრებელი ხდება ამ ქონების მესაკუთრე და მხარეებს შორის ყველანაირი ურთიერთობა წყდება. სადავო მუხლი კი ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ.

მოსარჩელე მიიჩნევს, რომ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია საკუთრების უფლების შეზღუდვა კანონის განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. საკუთრების ჩამორთმევა ყოველთვის განპირობებული უნდა იყოს „საზოგადოებრივი საჭიროებით.“ რაც შეეხება მძიმე შეურაცხყოფას და დიდ უმადურობას,“ ეს პირადი ურთიერთობის სფეროა და მას არა აქვს კავშირი საზოგადოებრივ საჭიროებასთან. ამიტომაც ც ამ საფუძვლით ჩუქების გაუქმება კონსტიტუციის საწინააღმდეგოა.

**მოპასუხის არგუმენტაციით**, დასაჩუქრებულს ქონება საკუთრებაში გადაეცემა მისი თანხმობით, შესაბამისად ყველა თანმდევ შედეგზე დასაჩუქრებელი თავისი ნებით გამოთქვამს თანხმობას. ამდენად, იგი წინასწარვე აცნობიერებს, რომ შესაძლებელია კანონით განსაზღვრული პირობების არსებობისას მოხდეს ნაჩუქარი ნივთის უკან გამოთხოვა და ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ამ ხელშეკრულების უსასყიდლო ხასიათი, რაც განპირობებულია მხარეთა შორის არსებული განსაკუთრებული ურთიერთობით. სწორედ ეს წარმოადგენს კიდევ ჩუქების მოტივს. ჩუქების გაუქმების შემთხვევები, კერძოდ კი, დასაჩუქრებულის მხრიდან მძიმე შეურაცხყოფის მიყენება ან დიდი უმადურობის გამოჩენა მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ, სპობს იმ საფუძველს, რამაც ჩუქება წარმოშვა და ამდენად გამართლებულია. დასაჩუქრებულის მხრიდან ზნეობრივი ვალდებულების იგნორირება სავსებით სამართლიანად იწვევს მჩუქებლის მხრიდან ჩუქების გაუქმების შესაძლებლობას.

მოპასუხის აზრით, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც მხარეთა ნების საწინააღმდეგოდ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისას შეიძლება მოხდეს საკუთრების შეზღუდვა ან ჩამორთმევა. სადავო ურთიერთობა კი არის კერძოსამართლებრივი ურთიერთობა და საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, მით უფრო, რომ მსგავს დანაწესებს შეიცავს სხვა ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობაც.

სპეციალისტის აზრით, სამართალი ყოველთვის დაკავშირებული იყო ზნეობასთან.

ზნეობა სამართლის ფუნდამენტია და უზნეო სამართალი თავის თავს აუქმებს. ჩუქება ქონების უსასყიდლო გადაცემას გულისხმობს, რაც ზნეობრივი მხარეა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სადავო მუხლის სახით, სამართალი ზნეობის მხარდამჭერად გვევლინება, რადგან უმადურობა არის სიკეთეზე ბოროტებით პასუხის გაცემა. უმადურობა ზნეობრივი მოთხოვნების დარღვევაა. სპეციალისტის დასკვნით, სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის გაუქმება სრულიად მიზანშეუწონელი და გაუმართლებელია.

### **გადაწყვეტილება**

საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ საქმის არსებითად განხილვის შედეგად, კონსტიტუციური სარჩელის მონაცემების, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეთა გამოსვლების, სპეციალისტის დასკვნისა და საქმეში არსებული წერილობით მტკიცებულებების გაანალიზების საფუძველზე დაადგინა გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო გარემოებანი. მან არ დააკმაყოფილა გათვალისწინებული კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ სსკ-ის 529-ე მუხლის კონსტიტუციურობის თაობაზე საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით.

1.სსკ-ის 529-ე მუხლის სადავო ნორმა ნაჩუქრობის შინაარსის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს. მჩუქებლის უფლება, უკან დაიბრუნოს გაჩუქებული ქონება, ჩუქების ურთიერთობის მაღალი ზნეობრივი ხასიათითაა განპირობებული. ნაჩუქრობა ისტორიულად ჩამოყალიბდა, როგორც ზნეობრივ საძირკველზე დაფუძნებული ურთიერთობა. როგორც თავის დასკვნაში კიდევ აღნიშნა საქმეზე მოწვეულმა სპეციალისტმა, „სამართალში და განსაკუთრებით სამოქალაქო სამართალში ყოველთვის აუცილებელია სამართალსა და ზნეობას შორის ფუნდამენტური ურთიერთობის გათვალისწინება. აუცილებელია იმ მსგავსებისა და განსხვავების გათვალისწინება, რომელიც არსებობს სამართლებრივ შეფასებასა და ზნეობრივ შეფასებას, სამართლებრივ ღირებულებასა და ზნეობრივ ღირებულებას შორის.“ ნაჩუქრობა წარმოადგენს სამართლისა და ზნეობის ურთიერთკავშირის იდეალურ გამოვლინებას. აქ ის შემთხვევა გვაქვს, როდესაც ეთიკურ-ზნეობრივი იმპერატივებითაა დატვირთული მთელი ურთიერთობა, მისი წარმოშობიდან გაუქმების მოტივის ჩათვლით. ამიტომაცაა, რომ მჩუქებლის მიერ ქონებრივი სიკეთის უსასყიდლოდ გაცემა პირდაპირ ენასკვება დასაჩუქრებულის მხრიდან მართალია არასამაგიერო, მაგრამ ზნეობრივად ქცევის ვალდებულებას. ზნეობრივად სავალდებულო მოქმედების შესრულება კი არ შეიძლება განვიხილოთ თავისუფლების შეზღუდვად. სწორედ ასეთი ვალდებულება უნდა დაუპირისპირდეს მჩუქებლის მიერ გაღებულ ქონებრივ სიკეთეს. ნაჩუქრობის ეს იდეალურ-სამართლებრივი ნიშან-თვისება აუცილებლად გასათვალისწინებელია 529-ე მუხლის კონსტიტუციურობის შეფასებისას.

მხედველობაშია მისაღები ის თავისებურებანი, რაც დამახასიათებელია უსასყიდლობის ნიადაგზე წარმოშობილი საკუთრებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაშიც საკუთრების უფლება როგორც წესი, სახეზეა ყველა მისი ნიშან-თვისებით, ზოგჯერ იგი ნაკლები მოუდევრობითა და სიმტკიცით ხასიათდება, ვიდრე ამას ადგილი აქვს საკუთრების სასყიდლიანი გზით შემენისას. ამიტომაცაა, რომ ისტორიულად ერთ-

ერთ ყველაზე მტკიცე და მოუშლელ საკუთრებად „ნასყიდი“ ითვლებოდა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 529-ე მუხლის გარდა, იცნობს სხვა შემთხვევებსაც, როცა უსასყიდლოდ შეძენილი ქონება გარკვეული საფუძვლით მისი თავდაპირველი მესაკუთრის ხელში ბრუნდება. კოდექსის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ...პირს უფლება აქვს მოითხოვოს ის შენარჩუნებული ქონება, რომელიც მისი გარდაცვლილად გამოცხადების შემდეგ უსასყიდლოდ გადაეცა სხვა პირს.“ 1455-ე მუხლის ძალით კი, მამკვიდრებლისაგან საჩუქრის სახით მიღებული ქონება მემკვიდრეს თავის სამკვიდრო წილში ეთვლება, რაც იმის შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ეს ქონება მისი საკუთრება არც კი ყოფილიყო. ამიტომაცაა, რომ კოდექსის 529-ე მუხლი ზოგადად უსასყიდლობის საფუძველზე წარმოშობილი საკუთრების მოშლის ერთ-ერთ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ.

2. მხედველობაშია მისაღები ის განსხვავება, რაც შეიძლება არსებობდეს საკუთრების წარმოშობის სანივთო და ვალდებულებითსამართლებრივ საშუალებებს შორის. სასამართლო კოლეგია ვერ დაეთანხმება მოსარჩელეს იმაში, რომ თითქოს სანივთო უფლებებზე არ შეიძლება გავლენას ახდენდეს ვალდებულებითი, იგივე შეფარდებითი უფლებები. როგორც ნაჩუქრობის შემთხვევიდან გამოჩნდა, საკუთრების უფლება სხვადასხვა სამართლებრივად ანგარიშგასაწევი საფუძვლით შეიძლება დაკავშირებული (მიბმული) იყოს იმ სახელშეკრულებო ურთიერთობასთან, რომლის საფუძველზეც იგი წარმოიშვა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, შესაძლებელია ახალი საკუთრების შემდგომი სამართლებრივი კავშირურთიერთობა მისი წარმოშობის წყაროსთან. სწორედ ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე ნაჩუქრობისას. ნაჩუქრობა, როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობა ავალდებულებს დასაჩუქრებულს. ეს ვალდებულება 529-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში კონკრეტული პირობის სახით კი არაა მოცემული, არამედ ზნეობრივ-სამართლებრივი ვალდებულების სახით არსებობს და გარდა საზოგადო ხასიათისა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ნაჩუქრობის სუბსტანციის იმანენტურ ნიშან-თვისებას წარმოადგენს. ეს ვალდებულება სადავო მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მჩუქებლის მიმართ მძიმე შეურაცხყოფის მიყენებისა და დიდი უმადურობის გამოჩენისაგან თავის შეკავებაში მდგომარეობს და ვადით შეზღუდული არაა.

3. 529-ე მუხლის შინაარსიდან ჩანს, რომ იგი ეხება მხარეთა შორის არსებული ნაჩუქრობის ურთიერთობის გაუქმებას, რაზედაც მეტყველებს გამოთქმები - „ჩუქება შეიძლება გაუქმდეს“, „თუ ჩუქება გაუქმდება“. ჩუქების ფაქტის შემდეგ მხარეთა შორის ურთიერთობა დამთავრებული რომ ყოფილიყო, მაშინ არც ჩუქების გაუქმებაზე იქნებოდა საუბარი, ვინაიდან შეუძლებელია გაუქმდეს ის, რაც არ არსებობს. საჩუქრის დაბრუნება სწორედ რომ ნაჩუქრობის გაუქმების შედეგია. 529-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ.“ აქედან ჩანს, რომ ნაჩუქარზე საკუთრების უფლების შეწყვეტა ჩუქების გაუქმებას მოსდევს და ნაჩუქრობის სახელშეკრულებო ურთიერთობისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. ამიტომაცაა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სახელშეკრულებო ურთიერთობის ერთი მხარის მიერ თავისი უფლების განხორციელება, რასაც დასაჩუქრებულისაგან საკუთრების დაბრუნება მოსდევს შედეგად, არ შეიძლება განვიხილოთ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გათვალისწინებული

საკუთრების უფლების დარღვევად. მხედველობაშია მისაღები ის, რომ საკუთრების უფლების ჩამორთმევის წესი ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ამას ადგილი აქვს საამისოდ უფლებამოსილი სუბიექტების (სახელმწიფო ორგანოების) მხრიდან საჯარო ამოცანების შესასრულებლად. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის თანახმად, საკუთრების ჩამორთმევა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებით უნდა იყოს განპირობებული. 529-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეუძლებელია ვილაპარაკოთ საკუთრების ჩამორთმევაზე. არ შეიძლება საკუთრების ჩამოსართმევად განვიხილოთ ის შემთხვევა, როდესაც ქონების უკან დაბრუნებას სახელშეკრულებო ურთიერთობა განაპირობებს.

4.სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ ჩუქების მოშლას იწვევს არა ყოველგვარი შეურაცხყოფა და უმადურობა, რაც თავისთავად ზნეობის საწინააღმდეგო მოქმედებად ითვლება, არამედ დასაჩუქრებულის ისეთი ქცევა, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის საზოგადოების არსებობის ზნეობრივი საფუძვლებს. ასეთად კი 529-ე მუხლის პირველი ნაწილი მიიჩნევს მძიმე შეურაცხყოფას და დიდ უმადურობას. ამიტომაც არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს მოსარჩელის პოზიცია, რომლის თანახმადაც საკუთრება როგორც სიკეთე მეტ ფასეულობას წარმოადგენს, ვიდრე ზნეობრივი ქცევა, როგორც ღირებულება. უნდა დავეთანხმოთ სპეციალისტის პოზიციას, რომ ჩუქების გაუქმებით ამ შემთხვევაში სამართალი ასრულებს ზნეობრივ ფასეულობათა მხარდაჭერისა და დაცვის ფუნქციას. ამ საფუძვლით ჩუქების გაუქმება ერთობ მიღებული წესია სამართლის სხვადასხვა სისტემაში. ის, თუ კონკრეტულად რითი გამოიხატება დასაჩუქრებულის მხრიდან სამართლებრივად მნიშვნელოვანი გასაკიცხი მოქმედების განხორციელება, ეს კონკრეტული ფაქტის საქმეა და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე უნდა დადგინდეს.

5. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ ვინაიდან ნაჩუქრობა სახელშეკრულებო ურთიერთობაა, დასაჩუქრებულისათვის წინასწარვეა ცნობილი 529-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები. რადგანაც დასაჩუქრებული თანახმაა მიიღოს საჩუქარი, ივარაუდება, რომ ჩუქების გაუქმების შედეგებიც მისთვის მოულოდნელი არაა, მისი ნება ფორმალურად თანხმობაშია ხელშეკრულების შინაარსთან. ამიტომაც ულოგიკო და უსაფუძვლოა იმის მტკიცება, რომ 529-ე მუხლით ილახება დასაჩუქრებულის, როგორც მესაკუთრის ინტერესები.

## ანალიზი

სამართლებრივი პრობლემის სრულყოფილი აღქმისთვის აუცილებელია პრობლემა შესწავლილი იქნეს როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ისე საერთო სასამართლოების პრეცედენტის გათვალისწინებით. პრობლემის შესწავლისას წინა პლანზე წამოიწია ის საკითხები, როგორცაა: **მორალის გავლენა სამართალზე - ჩუქება „ავალდებულებს (I); ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საფუძვლები (სსკ-ის 529-ე მუხლი) (II); საკუთრების უფლების შეზღუდვა სამოქალაქო სამართალში (III);**

## I. მორალის გავლენა სამართალზე - ჩუქება „ვალდებულებს“

ჩუქება ხელშეკრულების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. სამართლებრივ ურთიერთობას წარმოშობს საპასუხო შესრულების მიღების გარეშე. ანუ მას ექვივალენტური ხასიათი არ გააჩნია. „ჩუქების უსასყიდლოება იმ ფაქტით გამოიხატება, რომ მჩუქებელს უფლება არა აქვს, მოითხოვოს დასაჩუქრებულისგან შემხვედრი დაკმაყოფილება.“<sup>1</sup> უსასყიდლო ხასიათი მას ხელშეკრულების სხვა ხელშეკრულებებისგან განასხვავებს. კერძოდ კი, მასზე მორალურზნეობრივი ფაქტორები ზემოქმედებენ და ამ ურთიერთობის წარმოშობა-შეწყვეტაზე დიდ გავლენას ახდენენ. ხშირ შემთხვევაში ამ ხელშეკრულების დადებას გამჩუქებელსა და დასაჩუქრებულს შორის არსებული ახლო ურთიერთობა განაპირობებს. საკითხავია სახელშეკრულებო ბოჭვა თუ გვაქვს ამ შემთხვევაში? იქ, სადაც საპასუხო შესრულება და მოთხოვნის უფლება მხარეებს შორის არ არსებობს, სამართლებრივად მბოჭავი ხასიათი მას არ ექნება. „ჩუქების ხელშეკრულებაში ნივთის უსასყიდლოდ გადაცემის სურვილის კაუზად აღიარება იწვევს ჩუქების ხელშეკრულებად აღიარებას, განსხვავებით ინგლისური სამართლისაგან, რომელიც ჩუქებას არ მიიჩნევს ხელშეკრულებად სწორედ საპასუხოს შესრულების არარსებობის გამო.“<sup>2</sup> ამ ურთიერთობის წარმოშობა ყოველთვის გარკვეულ მიზანს ემსახურება და მხარეთა შორის არსებული ურთიერთობაა (ხშირად ახლო ურთიერთობა) ხელშეკრულების დადების მოტივი. დასაჩუქრებული იტვირთება თუ არა ვალდებულებით გამჩუქებლის წინაშე, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის ვალდებულებაზეა საუბარი - სამართლებრივზე, მორალურზე თუ მორალურ-სამართლებრივზე. სამართლებრივ ვალდებულებას რაც შეეხება, მისი უსასყიდლოებიდან გამომდინარე დასაჩუქრებულს რაიმე შემხვედრი ვალდებულება არ ეკისრება. მორალური თვალსაზრისით, დასაჩუქრებული ვალდებული ხდება მჩუქებლის წინაშე იქონიოს კეთილი განწყობა, პატივისცემა. „იგი ვალდებული იყო მადლიერების გრძნობით მოპყრობოდა მჩუქებელს. ისე არ უნდა მომხდარიყო, რომ „კაცმა კაცს ვენახი აჩუქა და იმან ყურძენიც აღარ აჭამაო.“<sup>3</sup> რადგანაც დასაჩუქრებულმა თანხმობა განაცხადა საჩუქარზე, ამით მან მორალური ვალდებულებითაც დაიმძიმა თავი. კერძოდ, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, როგორც სამართლებრივად, ისე მორალურად მას შეუძლია ნაჩუქრობის ურთიერთობის დამყარებაზე უარის თქმა. შესაძლებელია უარის თქმის მოტივი ჩუქების ობიექტიდან გამომდინარეობდეს.

„ჩუქება ავალდებულებს“- მხოლოდ მორალური თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ. ჩუქების მბოჭავი ხასიათი არა საზოგადო ჭრილში, როგორც საკუთრების უფლებასთან გვაქვს, არამედ კონკრეტული პირის მიმართ მოიაზრება. ამ ხელშეკრულების ისტორიული განვითარებიდან ჩანს, რომ ის უხვად იყო დატვირთული მორალურ-ზნეობრივი ვალდებულებებით. შეიძლება ითქვას, აქ მისი „ექვივალენტური“ ხასიათი

<sup>1</sup> *ძლიერიშვილი ზ.*, ჩუქების სამართლებრივი ბუნება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2004, 23.

<sup>2</sup> *დანელია ე.*, გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების მაგალითზე, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოშვება, 2008, N1, 51,

<sup>3</sup> *ფუტკარაძე ი.*, ქართული ვალდებულებითი სამართლის ისტორიის ნარკვევები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1976, 48.

გამოკვეთილი იყო მორალური ვალდებულებიდან გამომდინარე. მაგალითად, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გამოთქმულია აზრი, რომ „დასაჩუქრებული თვით იყო მოწადინებული სამაგიერო საჩუქარი გაეღო. ადამიანი უფრო ხოდა სხვისი ქონების უსასყიდლოდ მიღებას იმის შიშით, რომ მჩუქებლის გავლენაში არ მოქცეულიყო. საქმე ისაა, რომ ძველი წარმოდგენებით, გაჩუქებული ნივთი ინერტულად კი არ იყო მიჩნეული, არამედ თითქოსდა მჩუქებლის პიროვნების რაღაც ნაწილს შეიცავდა. საგანში განივთებული ადამიანი, საკუთრივ მჩუქებელი წარმოიდგინებოდა. ამის გამო მჩუქებელსა და დასაჩუქრებულს შორის მყარდებოდა თავისთავად საგულვებელი შინაგანი კავშირი. საჩუქარი, თუკი სრულად არ იქნებოდა ანაზღაურებული, ამცირებდა დასაჩუქრებულს, საფრთხეში აგდებდა და მჩუქებლისგან დამოკიდებულს ხდიდა მის თავისუფლებას და თვით სიცოცხლესაც კი.“<sup>4</sup> შესაბამისად, ამ ურთიერთობის წარმოშობის საფუძველი და მოტივი მისი შეწყვეტის საფუძველივე ხდება. თუკი მხარეებს შორის აღარ იარსებებდა ის ახლო ურთიერთობა, რაც ნაჩუქრობამდე იყო, ეს ავტომატურად არ მიიჩნეოდა ჩუქების გაუქმების საფუძველად. საკუთრების უფლების ჩამორთმევა უნდა მომხდარიყო საპატიო და ანგარიშგასაწევი მიზეზით.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ჩუქების ბუნების ასახსნელად მნიშვნელოვანია სპეციალისტის მოსაზრება ზნეობისა და სამართლის ურთიერთგავლენაზე. კერძოდ, „სპეციალისტის აზრით, სამართალი ყოველთვის დაკავშირებული იყო ზნეობასთან. ზნეობა სამართლის ფუნდამენტია და უზნეო სამართალი თავის თავს აუქმებს. ჩუქება ქონების უსასყიდლო გადაცემას გულისხმობს, რაც ზნეობრივი მხარეა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სადავო მუხლის სახით, სამართალი ზნეობის მხარდამჭერად გვევლინება, რადგან უმადურობა არის სიკეთეზე ბოროტებით პასუხის გაცემა.“

საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში სწორად აღნიშნა, იმ განსხვავებებზე, რაც შეიძლება არსებობდეს საკუთრების წარმოშობის სანივთო და ვალდებულებითსამართლებრივ საშუალებებს შორის. „ნაჩუქრობა, როგორც სახელმეკრულებო ურთიერთობა ავალდებულებს დასაჩუქრებულს. ეს ვალდებულება 529-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში კონკრეტული პირობის სახით კი არაა მოცემული, არამედ ზნეობრივ-სამართლებრივი ვალდებულების სახით არსებობს და გარდა საზოგადო ხასიათისა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ნაჩუქრობის სუბსტანციის იმანენტურ ნიშან-თვისებას წარმოადგენს. ეს ვალდებულება სადავო მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მჩუქებლის მიმართ მძიმე შეურაცხყოფის მიყენებისა და დიდი უმადურობის გამოჩენისაგან თავის შეკავებაში მდგომარეობს და ვადით შეზღუდული არაა.“

## II. ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საფუძველები (სსკ-ის 529-ე მუხლი)

უმადურობა და მძიმე შეურაცხყოფა მჩუქებლისა და მისი ახლო ნათესავის მიმართ გახლავთ ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საფუძველი. მთავარი პრობლემა გახლავთ ის, თუ როგორ უნდა დააკვალიფიციროს მოსამართლემ პირთა შორის არსებული

<sup>4</sup> იქვე, 52.

ურთიერთობა. რა თქმა უნდა,

ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან უნდა ამოვიდეს და შეაფასოს, აქვს თუ არა სახეზე ადგილი უმადურობას, მძიმე შეურაცხყოფას მჩუქებლის თუ მისი ახლო ნათესავის მიმართ. აგრეთვე აღსანიშნავია ის, რომ „ჩუქების გაუქმება არამართო მაშინაა შესაძლებელია, როცა იგი პირობითია და პირობა არ სრულდება, არამედ მაშინაც, როცა ჩუქების ხელშეკრულება რაიმე პირობას არ ითვალისწინებს.“<sup>5</sup>

განსხვავებული სამართლებრივი შედეგი დადგება, მაშინ როდესაც არაკანონიერ ჩუქებაა სახეზე. მაგალითად, უძრავი ქონების ჩუქება სამისდღემშო რჩენის პირობით. დასაჩუქრებულის საკუთრების უფლების წარმოშობა ნაჩუქარ ქონებაზე არ უნდა იყოს ისეთი პირობის დადგომასთან დაკავშირებული, რომელსაც შემხვედრი ვალდებულების შინაარსი ექნება გამჩუქებელთან მიმართებით. დამოკიდებული განსაკუთრებული პირობის დადგომასთან, მაგალითად, საცხოვრებელი სახლის ჩუქება იმ პირობით, რომ დასაჩუქრებულმა გააკეთოს რემონტი.<sup>6</sup>

აგრეთვე მნიშვნელოვანია ზუსტად დადგინდეს თუ ვის გააჩნია ამ საფუძვლით ჩუქების გაუქმების მოთხოვნის უფლება. ლოგიკურია ის, რომ პირველ რიგში მჩუქებელს, როგორც მორალურად დაზარალებულ მხარეს წარმოემოხა ნაჩუქარი ქონების უკან გამოთხოვის უფლება და ასევე მის ოჯახის წევრებს, თუკი მათ მიმართ იქნება მიმართული მძიმე შეურაცხყოფა თუ უმადურობა.

მართალია კანონი არ იძლევა უმადურობის განმარტებას და ვინ მოიაზრება მჩუქებლის ახლო ნათესავებში, მაგრამ სამოქალაქო სამართლებრივი კომპარატივისტიკა კი გარკვეულ პასუხს იძლევა ამ კითხვებზე. მიღებულია, რომ დასაჩუქრებულის უმადურობად ითვლება: 1. არამართლობითი მოქმედება, რომელიც მიმართულია მჩუქებლის და მისი ოჯახის წევრების ან ახლო ნათესავის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლების, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის წინააღმდეგ. 2. განზრახი მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს მჩუქებლისათვის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის მიყენებას. 3. კანონით განსაზღვრულ მოვალეობაზე - არჩინოს ან იზრუნოს იმაზე, რომ მატერიალურად უზრუნველყოფილი იყოს მჩუქებელი - უარისთქმა და სხვა.<sup>7</sup>

რა თქმა უნდა, ნებისმიერი ქცევა არ უნდა იწვევდეს ჩუქების გაუქმებას. სასამართლო კოლეგიამ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „ჩუქების მოშლას იწვევს არა ყოველგვარი შეურაცხყოფა და უმადურობა, რაც თავისთავად ზნეობის საწინააღმდეგო მოქმედებად ითვლება, არამედ დასაჩუქრებულის ისეთი ქცევა, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის საზოგადოების არსებობის ზნეობრივი საფუძვლებს. ასეთად კი 529-ე მუხლის პირველი ნაწილი მიიჩნევს მძიმე შეურაცხყოფას და დიდ უმადურობას. ამიტომაც არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს მოსარჩელის პოზიცია, რომლის თანახმადაც საკუთრება როგორც სიკეთე მეტ ფასეულობას წარმოადგენს, ვიდრე ზნეობრივი ქცევა, როგორც ღირებულება. უნდა დავეთანხმოთ სპეციალისტის პოზიციას,

<sup>5</sup> *შენგელია რ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი IV, ტომი I, ქალაქი, 2001, 76.

<sup>6</sup> *ნინუა ე.*, უძრავ ქონებაზე საკუთრების წარმოშობა ჩუქებით, ჟურნ. „მართლმსაჯულება, N1, 2008, 87.

<sup>7</sup> იქვე, 76-78.

რომ ჩუქების გაუქმებით ამ შემთხვევაში სამართალი ასრულებს ზნეობრივ ფასეულობათა მხარდაჭერისა და დაცვის ფუნქციას.“

მაგალითად, უზენაესმა სასამართლომ თავი ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში<sup>8</sup> აღნიშნა, რომ „საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მსგავსი მოთხოვნის შემთხვევაში, მოსარჩელის განსასაზღვრია, რომელ ქმედებას მიიჩნევს უმადურობად ან შეურაცხყოფად, თუმცა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ქმედების სიმძიმის ხარისხი ასევე გამჩუქებლის შეფასების საგანია და მის სუბიექტურ აღქმაზეა დამოკიდებული. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კონკრეტული ფაქტი წარმოადგენს თუ არა ისეთი სახის შეურაცხყოფას ან უმადურობას, რაც ჩუქების გაუქმებას შეიძლება დაედოს საფუძვლად, სასამართლოს შეფასების საგანია და არა თავად მოსარჩელის. სასამართლომ მხარეთა ურთიერთდამოკიდებულების, მათი შეხედულებების, თავად ქმედების შეფასების, ასევე კონკრეტულ საზოგადოებაში არსებული წეს-ჩვეულებებისა და დამკვიდრებული მოსაზრებების გათვალისწინებით უნდა განსაზღვროს, იქნეს თუ არა დასაჩუქრებული უმადურობას გამჩუქებლის მიმართ, ან არის თუ არა მისი ქმედება შეურაცხმყოფელი. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია თავად მხარის სუბიექტური დამოკიდებულება კონკრეტული ქმედების მიმართ, მაგრამ გადაწყვეტი ამ ქმედების შეფასებაა, იმ თვალსაზრისით, ობიექტურად, შეიძლება თუ არა, უმადურობად ან შეურაცხყოფად იქნეს მიჩნეული, მით უფრო, რომ სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლიდან გამომდინარე, დასაჩუქრებულის არა ყოველგვარი გასაკიცხი ქმედება იძლევა ჩუქების გაუქმების საფუძველს, არამედ მხოლოდ მძიმე შეურაცხყოფა და დიდი უმადურობა.“

მაშასადამე, სასამართლო ვალდებულია განსაზღვროს დასაჩუქრებულის უმადურობის ხარისხი მჩუქებლის ქცევის გათვალისწინებით და ასევე მანვე უნდა გადაწყვიტოს საკითხის იმის შესახებ, საბოლოოდ წარმოადგენს თუ არა გამოვლენილი უმადურობა ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საფუძველს.<sup>9</sup>

### III. საკუთრების უფლების შეზღუდვა სამოქალაქო სამართალში

საკუთრების უფლება სუბსტანციურად შეზღუდული უფლებაა. ამ შეზღუდვის არაერთ მაგალითს ვხვდებით როგორც სამოქალაქო, ისე კონსტიტუციურ სამართალში. ამ კონკრეტული დავის შემთხვევაში საკუთრების ორ განსხვავებულ შეზღუდვასთან გვაქვს საქმე. ერთი, რომელიც განპირობებულია საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე და მეორე კერძო პირის ინტერესებიდან გამომდინარე.

კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, შეზღუდვა გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის ერთი მონაწილის (დასაჩუქრებულის) შეზღუდვას მეორე მონაწილის (მჩუქებლის) სასარგებლოდ. ამ დროს საკუთრება იზღუდება აშკარად მისი ინტერესების გამო. დიდი უმადურობით გამოწვეული ვნების სუბიექტი მჩუქებელია. როგორც ითქვა ეს განპირობებულია ჩუქების განსაკუთრებული ზნეობრივსამართლებრივი ხასიათით.

<sup>8</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Nას-62-59-2012.

<sup>9</sup> ძლიერიშვილი ზ., ჩუქების სამართლებრივი ბუნება, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2010, 237.

ჩუქებით მჩუქებელი არ ღებულობს რაიმე სამართლებრივ სარგებელს და ამაშია მისი ძირითადი თვისება. მაგრამ, ამასთან იგი არც ვნებას უნდა აყენებდეს მჩუქებელს დასაჩუქრებულის მოქმედებით.

კერძო ინტერესის გავლით, ჩუქების გაუქმების აღიარებით სამართალი იცავს საზოგადო ინტერესებს. საზოგადო ინტერესი გულისხმობს სტაბილურ, უსაფრთხო და ინტერესებით გაწონასწორებულ სამოქალაქო ბრუნვას, როცა ბრუნვის მონაწილეების ქცევები კეთილსინდისიერებაზეა დამყარებული. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კიდევ უფრო ძლიერია ამ ინტერესის გამოხატულება, ვინაიდან დასაჩუქრებულის მოქმედება ძირს უთხრის ნაჩუქრობის, როგორც მორალურ სამართლებრივი ხასიათის ინსტიტუტის არსებობას

**როგორც სასამართლომ აღნიშნა**, „ნაჩუქრობა წარმოადგენს სამართლისა და ზნეობის ურთიერთკავშირის იდეალურ გამოვლინებას. აქ ის შემთხვევა გვაქვს, როდესაც ეთიკურ-ზნეობრივი იმპერატივებითაა დატვირთული მთელი ურთიერთობა, მისი წარმოშობიდან გაუქმების მოტივის ჩათვლით. ამიტომაცაა, რომ მჩუქებლის მიერ ქონებრივი სიკეთის უსასყიდლოდ გაცემა პირდაპირ ენასკვება დასაჩუქრებულის მხრიდან მართალია არასამაგიერო, მაგრამ ზნეობრივად ქცევის ვალდებულებას. ზნეობრივად სავალდებულო მოქმედების შესრულება კი არ შეიძლება განვიხილოთ თავისუფლების შეზღუდვად.“

თუკი ჩვენ დავუშვებდით დიდი უმადურობის შემთხვევაში საკუთრების შენარჩუნებას, ეს იქნებოდა ნაჩუქრობის ინსტიტუტის მორალური შინაარსის გამოფიტვა და მისი ნაჩუქრობის ურთიერთობის მხარეზე (მჩუქებელზე) უარყოფითი ზემოქმედების იარაღად ქცევა, სხვა სიტყვებით, სიკეთეების გაუფასურება და ამისთვის ხელისშეწყობა. ამით სამართალს წაერთმეოდა ის ფუნქცია, რაზედაც ყურადღებას ამახვილებს სასამართლო. კერძოდ, ზნეობრივ ფასეულობებისადმი ხელისშეწყობის ფუნქცია. ბუნებრივია, რაც აქ ითქვა, ვერ იქნება მართო წმინდა კერძო ინტერესი. იგი საზოგადო ინტერესის მნიშვნელოვანი გამოვლინებაა.

საჩუქრის უკან გამოთხოვა ეს საკუთრების შეზღუდვაა და არა ჩამორთმევა. მართალია, დასაჩუქრებულს ნივთი ერთმევა, მაგრამ ეს ჩამორთმევა შეზღუდვის შედეგია და არა მიზანი. იგი ნაჩუქრობის გზით საკუთრების შემენის მოწესრიგების შედეგია.

**საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა**, რომ „საკუთრების უფლების ჩამორთმევის წესი ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ამას ადგილი აქვს საამისოდ უფლებამოსილი სუბიექტების (სახელმწიფო ორგანოების) მხრიდან საჯარო ამოცანების შესასრულებლად. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის თანახმად, საკუთრების ჩამორთმევა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებით უნდა იყოს განპირობებული. 529-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეუძლებელია ვილაპარაკოთ საკუთრების ჩამორთმევაზე. არ შეიძლება საკუთრების ჩამოსართმევად განვიხილოთ ის შემთხვევა, როდესაც ქონების უკან დაბრუნებას სახელშეკრულებო ურთიერთობა განაპირობებს. ამიტომაცაა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სახელშეკრულებო ურთიერთობის ერთი მხარის მიერ თავისი უფლების განხორციელება, რასაც დასაჩუქრებულისაგან საკუთრების დაბრუნება მოსდევს შედეგად, არ შეიძლება განვიხილოთ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გათვალისწინებული საკუთრების უფლების დარღვევად.“

შესაბამისად, „გამჩუქებლის მიერ გაღებული ასეთი „ქონებრივი სიკეთის“

სანაცვლოდ დასაჩუქრებულის მიერ ზნეობრივი სიკეთის გამოვლენის ვალდებულება ამართლებს 529-ე მუხლით გამჩუქებლისთვის მინიჭებულ გამოთხოვის უფლებას, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს დასაჩუქრებულის საკუთრების უფლების შელახვად.<sup>10</sup>

---

<sup>10</sup> ნინუა ე., უძრავ ქონებაზე საკუთრების წარმოშობა ჩუქებით, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, N1, 2008, 92.

თამარ ზოიძე\*

მატერიალური ზიანის ანაზღაურება. დელიქტური პასუხისმგებლობა.  
ელექტროენერგია, როგორც პროდუქტი

საქმე Nას-688-654-2013\*\*

*ნანა ნიორაძე სს „ენერგოწყაროს“ წინააღმდეგ*

ვალდებულების ძალით კრ ედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც (სამოქალაქო კოდექსის 316-ე I მუხლი).

ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან (სამოქალაქო კოდექსის 317-ე I მუხლი).

*იმ პირმა, რომელიც ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება (სამოქალაქო კოდექსის 408-ე I მუხლი).*

*თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 409 მუხლი).*

*პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი (სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი).*

თუ ამა თუ იმ ნაგებობიდან გამომდინარეობს მომეტებული საფრთხე ამ ნაგებობაში წარმოებული, მოთავსებული ან მიწოდებული ენერგიისაგან, ანდა ხანძარსაშიში ან აფეთქებასაშიში, შხამიანი ანდა მომწამვლელი ნივთიერებისაგან, მაშინ ამ ნაგებობის მფლობელი ვალდებულია, თუკი ამ საფრთხის პრაქტიკულ განხორციელებას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანება ანდა ნივთის დაზიანება, აუნაზღაუროს დაზარალებულს აქედან წარმოშობილი ზიანი. იგივე პასუხისმგებლობა გამოიყენება ხანძარსაშიში ან აფეთქებასაშიში, შხამიანი ან მომწამვლელი ნივთიერების მფლობელების მიმართ, როცა ამ ნივთიერებებიდან მომეტებული საფრთხე გამომდინარეობს. (სამოქალაქო კოდექსის 1000-ე I მუხლი).

*თუ ამა თუ იმ ნაგებობიდან ან ნივთიდან გამომდინარეობს მომეტებული საფრთხე სხვაგვარი საფუძვლით, ვიდრე ამ მუხლის პირველ ნაწილშია აღნიშნული, ნაგებობის ან ნივთის მფლობელი ვალდებულია ანალოგიურად აანაზღაუროს საფრთხის*

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქტორი.

\*\* საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება.

განხორციელების შედეგად წარმოშობილი ზიანი (სამოქალაქო კოდექსის 1000-ე II მუხლი).

წუნდებული პროდუქტის მწარმოებელი პასუხს აგებს ამ პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის, მიუხედავად იმისა, იმყოფებოდა თუ არა იგი სახელშეკრულებო ურთიერთობაში დაზარალებულთან.. (სამოქალაქო კოდექსის 1009-ე I მუხლი)

პროდუქტი წუნდებულად მიიჩნევა, თუ იგი არ უზრუნველყოფს იმ საიმედოობას, რომელიც, ყველა გარემოების გათვალისწინებით, მოსალოდნელი იყო ამ პროდუქტისაგან. (სამოქალაქო კოდექსის 1010-ე I მუხლი)

მწარმოებლად მიიჩნევა აგრეთვე პირი, რომელსაც პროდუქტი გააქვს გაყიდვის, გაქირავების ან სხვა ფორმით, სამეურნეო მიზნით, თავისი საქმიანობის სფეროში, ამ კოდექსით გათვალისწინებული პირობების დაცვით (სამოქალაქო კოდექსის 1011-ე III მუხლი).

წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობისას მტკიცების ტვირთი ეკისრება დაზარალებულს (სამოქალაქო კოდექსის 1012-ე მუხლი).

## ფაქტები

2011 წლის 2 დეკემბერს, დაახლოებით 04:00 საათზე, ქ. ბაღდათში, დ.ა-ის მე-2 შესახვევი №5-ში მდებარე სახლის ჩრდილოეთ ნაწილში, რომელიც ეკუთვნით თამარ ნოზაძესა და ეთერ ზარიძეს, გაჩნდა ხანძარი, რომელიც გავრცელდა ნანა ნიორაძის კუთვნილ ნაწილშიც და მთლიანად დაიწვა მისი საცხოვრებელი სახლი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს საექსპერტო კრიმინალისტიკური სამსახურის 2012 წლის 2 მარტის №26/ს.ტ-107/ს.ქ. დასკვნის მიხედვით, 2011 წლის 2 დეკემბერს, ქ. ბაღდათში, ნანა ნიორაძის საცხოვრებელი სახლის ხანძრის გაჩენის შესაძლო მიზეზია მოკლე ჩართვა. ხანძრის კერა დაფიქსირდა, შენობის ჩრდილოეთ მხარეს, სხვენის შუა ნაწილში.

სსიპ ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №009845-2012/02/3 დასკვნის თანახმად, გამოკვლევაზე წარდგენილი TSK 221/06-074 მარკის ელექტრომრიცხველის დაზიანების მიზეზია შემავალი ძაბვის პარალელურად ჩართული კონდესატორის დაზიანება (გაგლეჯა); აღნიშნული კონდესატორის დაზიანება შეიძლება გამოეწვია ნომინალურზე მაღალი ძაბვის მიწოდებას ბინაში შემავალ ქსელში;

სს „ენერგოწყაროს“ დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის ბაღდათის მომსახურეობის ცენტრის თანამშრომლების მიერ შედგენილ ე.წ. „გამოკვლევის აქტში“ დაფიქსირებულია, რომ თამარ ნოზაძესა და ნანა ნიორაძის სპ№306-110 ფიდერის ელგადამცემი ხაზის 63-ე საყრდენზე B ფაზის შლეიფის დაზიანების გამო, ხანძრის გაჩენამდე და ხანძრის შემდეგ ძაბვა არ მიეწოდებოდა. სპ№306-110-ზე დაფიქსირებულია 9 აბონენტი, აქედან 7 სეზონურია და 2 მუდმივი.

საქმეზე წარდგენილი აბონენტის ბარათებით ირკვეოდა, რომ 2010 წლის ნოემბრიდან 2011 წლის 1 იანვრამდე, ნანა ნიორაძესა და თამარ ნოზაძეს ელექტროენერგია არ მოუხმარიათ.

2012 წლის 4 ოქტომბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ნანა ნიორაძემ მოპასუხეების: თამარ ნოზაძის და ეთერ ზარიძის, სს „ენერგოწყაროს“ მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მისთვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად მოპასუხეებისაგან სოლიდარულად 100000 აშშ დოლარის ანაზღაურება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ნანა ნიორაძის სარჩელი სს „ენერგოწყაროს“ მიმართ, ხანძრით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე: სს „ენერგოწყაროს“ ნანა ნიორაძის სასარგებლოდ დაეკისრა 12200 ლარის ანაზღაურება; ამავე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ნანა ნიორაძის სარჩელი მოპასუხეების – თამარ ნოზაძის და ეთერ ზარიძის მიმართ.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა: სს „ენერგორესურსმა“ და ნანა ნიორაძემ.

ნანა ნიორაძის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას წარმოადგენდა სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში დასახელებული გადაწყვეტილების გაუქმება და დაზუსტებული სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, კერძოდ, სს „ენერგოწყაროს“, თამარ ნოზაძის და ეთერ ზარიძისთვის ნანა ნიორაძის სასარგებლოდ ხანძრის შედეგად საცხოვრებელ სახლზე მიყენებული ზიანის – 43095.27 ლარის, აგრეთვე, საყოფაცხოვრებო ნივთების დაზიანებით მიყენებული ზიანის – 15000 ლარის სოლიდარულად დაკისრება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით სს „ენერგოწყაროსს“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ნანა ნიორაძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება სს „ენერგოწყაროს“ ნანა ნიორაძის სასარგებლოდ 12200 ლარის და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 366 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება:

ნანა ნიორაძის დაზუსტებული სარჩელის მოთხოვნა სს „ენერგოწყაროს“ მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ დაკმაყოფილდა;

სს „ენერგოწყაროს“ ნანა ნიორაძის სასარგებლოდ დაეკისრა საცხოვრებელ სახლზე მიყენებული ზიანის – 43095.27 ლარის, ასევე, საყოფაცხოვრებო ნივთების დაზიანებით მიყენებული ზიანის – 15000 ლარის ანაზღაურება;

დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს ზემომითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „ენერგოწყარომ“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „ენერგოწყაროს“ საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად.

**მოსარჩელის არგუმენტაციით**, ხანძრის შედეგად მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირები სს „ენერგორესურსთან“ ერთად იყვნენ თამარ ნოზაძე და ეთერ ზარიძე.

**მოპასუხის არგუმენტაციით**, 2010 წლის 2 დეკემბერს, ქ.ბაღდათში დ.ა-ის მე-2 შესახვევის №5-ში მდებარე ნანა ნიორაძის, თამარ ნოზაძის და ეთერ ზარიძის

საცხოვრებელ სახლს ხანძრის გაჩენის დროს ელექტროენერგია საერთოდ არ მიეწოდებოდა და რომ სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმეები, რომლებმაც აჩვენეს, რომ 2010 წლის 2 დეკემბერს უხარისხო ელექტროენერგია მიეწოდებოდათ, არც ერთი არ წარმოადგენდა იმ მიმართულების აბონენტს, რომელსაც ნანა ნიორაძე მიეკუთვნებოდა.

### **გადაწყვეტილება**

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების შედეგად სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სს „ენერგოწყარო“, როგორც მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელი და უხარისხო პროდუქტის მიმწოდებელი, ვალდებული იყო ანაზღაურებინა ნანა ნიორაძის ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტ ნანა ნიორაძის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ხანძრის შედეგად მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირები სს „ენერგორესურსთან“ ერთად იყვნენ თამარ ნოზაძე და ეთერ ზარიძე.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, ხანძრის კერა, რამაც გამოიწვია ნანა ნიორაძის ქონების დაზიანება მდებარეობდა ქ.ბაღდათში დ.ა-ის მე-2 შესახვევის №5-ში მდებარე სახლის ჩრდილოეთ ნაწილში, რომელიც ეკუთვნოდათ თამარ ნოზაძეს და ეთერ ზარიძეს, მაგრამ მოსარჩელეს არ წარუდგენია იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა მათ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებაზე და ზიანის დადგომაში მონაწილეობაზე. ასეთ ვითარებაში, გამორიცხული იყო მსჯელობა თამარ ნოზაძის და ეთერ ზარიძის ბრალეულობაზე და ზიანის ანაზღაურებაში მათ სოლიდარულ პასუხისმგებლობაზე.

სააპელაციო სასამართლომ დავის გადაწყვეტისას იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 992-ე, მე-1000 მუხლებით.

სსიპ ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №009845-2012/02/3 დასკვნის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს საექსპერტო კრიმინალისტიკური სამსახურის 2012 წლის 2 მარტის №26/ს.ტ-107/ს.ქ. დასკვნის შეფასების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ.ბაღდათში, დ.ა-ის მე-2 შესახვევის №5-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში ხანძრის გამოწვევის მიზეზი იყო ნომინალურზე მაღალი ძაბვის მიწოდება ბინაში შემავალ ქსელში. ვინაიდან, მომეტებული საფრთხის წყარო – დენის ტრანზფორმატორი, საიდანაც ქ.ბაღდათში, დ.ა-ის მე-2 შესახვევის №5-ში მდებარე საცხოვრებელ სახლს მიეწოდებოდა ელექტროენერგია, მოპასუხე სს „ენერგოწყაროს“ კუთვნილებას წარმოადგენდა, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-1000 მუხლის საფუძველზე მოსარჩელის ბინაში ელექტროენერგიით გაჩენილი ხანძრის გამო, მოპასუხე სს „ენერგორესურსს“ გააჩნდა ვალდებულება ზიანის ანაზღაურებაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1009-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 1010-ე მუხლის პირველ ნაწილზე და 1011-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომელთა

მიხედვით, წუნდებული პროდუქტის მწარმოებელი პასუხს აგებს ამ პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის, მიუხედავად იმისა, იმყოფებოდა თუ არა იგი სახელშეკრულებო ურთიერთობაში დაზარალებულთან. პროდუქტი წუნდებულად მიიჩნევა, თუ იგი არ უზრუნველყოფს იმ საიმედოობას, რომელიც, ყველა გარემოების გათვალისწინებით, მოსალოდნელი იყო ამ პროდუქტისაგან. მწარმოებლად მიიჩნევა პირი, რომელსაც პროდუქტი გააქვს გაყიდვის, გაქირავების ან სხვა ფორმით, სამეურნეო მიზნით, თავისი საქმიანობის სფეროში, ამ კოდექსით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

სააპელაციო სასამართლომ, საქმის განხილვისას ასევე იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 409-ე მუხლით, რომელთა თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის (მოპასუხე) სს „ენერგოწყაროს“ წარმომადგენლების მსჯელობა იმის თაობაზე, რომ შპს „ა-ფ-ის“ 2012 წლის 16 ნოემბრის №69 აუდიტორულ დასკვნაში მითითებული მოძრავი ნივთები მოსარჩელეს არ გააჩნდა და რომ ამ ნივთების ღირებულების 15000 ლარით განსაზღვრა არარეალური იყო. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ის გარემოება, რომ მოსარჩელეს გააჩნდა შპს „ა-ფ-ის“ 2012 წლის 16 ნოემბრის №69 აუდიტორულ დასკვნაში მითითებული მოძრავი ნივთები, დასტურდებოდა სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხე ეთერ ზარიძის ჩვენებით.

ვინაიდან, აპელანტმა (მოპასუხემ), სს „ე.-პ.-ო ჯ-ამ“ სასამართლოს ვერ წარუდგინა მოსარჩელის მიერ მითითებული, განადგურებული მოძრავი ნივთების ღირებულების (15000 ლარი) საწინააღმდეგო მტკიცებულება, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სს „ენერგორესურსმა“ ვერ შეძლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, იმ გარემოების დადასტურება, რომ მოსარჩელეს 15000 ლარის ღირებულების მოძრავი ნივთები არ გააჩნდა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტის – სს „ენერგოწყაროს“ წარმომადგენლების მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ ნანა ნიორაძის საცხოვრებელ სახლზე მიყენებული ზიანის ოდენობა უნდა განსაზღვრულიყო შპს „ა. ც. ი-ას“ 2012 წლის 11 ოქტომბრის დასკვნაში დაფიქსირებული ოდენობით – 12200 ლარით. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მითითებული დასკვნით დადგინდა ნანა ნიორაძის სახლის საბაზრო ფასი ადგილმდებარეობის გათვალისწინებით და არა დაზიანებული საცხოვრებელი სახლის პირვანდელი მდგომარეობით აღდგენისათვის საჭირო ღირებულება. ვინაიდან, საცხოვრებელი სახლი მთლიანად განადგურდა, სამოქალაქო კოდექსის 408-409-ე მუხლების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს უნდა მისცემოდა დაზიანებული საცხოვრებელი სახლის პირვანდელი მდგომარეობით აღდგენისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების ღირებულება და აღნიშნულის მიზნით, მისი ოდენობა უნდა განსაზღვრულიყო სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასავლეთ საქართველოს

რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის №000365013 დასკვნის მიხედვით – 43095.27 ლარით.

**საკაპელაციო საჩივრის** საფუძვლები შემდეგში მდგომარეობს:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არასწორ სასამართლო პრაქტიკას დაამკვიდრებს, თუკი ნებისმიერ ხანძარზე (მიუხედავად მის დადგომაში კომპანიის ბრალეული ქმედებისა, შესაბამისი მტკიცებულების არსებობა-არარსებობისა) პასუხისმგებლობა დაეკისრება ენერგოკომპანიას, ხოლო ზიანის ოდენობის განსასაზღვრად საკმარისი იქნება მხოლოდ მხარის სურვილი და არა მტკიცებულების არსებობა, რომელიც დაადასტურებს ზიანის ოდენობას;

საკაპელაციო სასამართლომ, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ისე დააკისრა კასატორს ზიანის ანაზღაურება, რომ არ დაუდგენია მიზეზობრივი კავშირის არსებობა მოსარჩელის საცხოვრებელი სახლის ხანძრის შედეგად განადგურებასა და სს „ენერგოწყაროს“ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას შორის, რაც სამოქალაქო კანონმდებლობით ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ფაქტია, რომ საცხოვრებელი სახლის განადგურება მოხდა ხანძრის შედეგად და მოსარჩელეს მიადგა გარკვეული ოდენობის ზიანი, თუმცა კასატორი კატეგორიულად გამორიცხავს ხანძრის მიზეზად უხარისხო ელექტროენერგიის მიწოდებას და მოკლე ჩართვის არსებობას. იგი განმარტავს, რომ 2011 წლის 29 ნოემბრიდან 3 დეკემბრამდე ზემოთ დასახელებულ უბანს ელექტროენერგია საერთოდ არ მიეწოდებოდა. აღნიშნულს ადასტურებს როგორც ამონაწერები სადისპეჩერო და ქვესადგურის ოპერატიული და განწესების რეგისტრაციის ჟურნალებიდან, აგრეთვე, ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის 2011 წლის 19 დეკემბრის წერილი, ამავე სამსახურის პასუხისმგებელი მორიგის ახსნა-განმარტება, საქმეზე დაკითხული მოწმეების ჩვენებები. ამდენად, არასწორია სააკაპელაციო სასამართლოს მითითება იმ გარემოებაზე, რომ თითქოს სს „ენერგორესურსმა“ ხსენებული ფაქტის დასადასტურებლად სასამართლოში წარადგინა მხოლოდ ბაღდათის მომსახურების ცენტრის თანამშრომლების მიერ შედგენილი ე.წ. „გამოკვლევის აქტი“;

უსაფუძვლოა სააკაპელაციო სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე აპელირება, ვინაიდან აღნიშნული მუხლი ადგენს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის ზოგად წინაპირობებს. ნებისმიერი კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობა, რომელიც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას ემყარება, საფუძვლიანია მაშინ, როდესაც არსებობს ზიანის ანაზღაურების ყველა წინაპირობა. ნორმის შემადგენელი ელემენტებიდან ერთ-ერთის არარსებობა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში, გამორიცხულია სს „ენერგოწყაროს“ ბრალზე საუბარი. ვერც მოსარჩელე და ვერც სასამართლო, ვერანაირად ვერ ადასტურებენ მოპასუხე კომპანიის მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტს და ვერც რაიმე ნორმაზე მიუთითებენ, რომელიც კომპანიამ დაარღვია;

თუკი მივიჩნევთ, რომ ადგილი ჰქონდა სხვენში არსებულ სადენებში განვითარებულ მოკლე ჩართვას (რაც არსებული გარემოებებიდან გამომდინარე ყოველმხრივ გამოირიცხა), შეუძლებელია სს „ენერგორესურსს“ გააჩნდეს რაიმე სახის სუბიექტური დამოკიდებულება. ამ უკანასკნელის ბრალეულობა ვერ იქნება იქ, სადაც არ

ვრცელდება მისი პასუხისმგებლობა. სახლის შიდა სადენების მდგომარეობა ცალსახად სცილდება ენერგოკომპანიის კომპეტენციის სფეროს. ამდენად, არ არსებობს ენერგოკომპანიის რაიმე ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. სასამართლომ უგულებელყო სამოქალაქო კოდექსის 1012-ე მუხლი, რომლის თანახმად, მტკიცების ტვირთი მთლიანად დაზარალებულს ეკისრება. დაზარალებულმა (მოსარჩელემ) წარდგენილი მტკიცებულებებით ვერ დაადასტურა ელექტროენერჯის ზემოქმედების შედეგად ხანძრის გაჩენის ფაქტი, რაც თავისთავად გამორიცხავს ენერგოკომპანიის ბრალის არსებობას. კასატორი ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებში სადავოდ ხდიდა იმ გარემოებას, რომ განსახილველ საქმეზე მოპასუხე უნდა იყოს არა ენერგოკომპანია, არამედ თამარ ნოზაძე (რომელზეც ასევე უთითებდა მოსარჩელე). უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ ნანა ნიორაძის საცხოვრებელ სახლს ხანძარი გადაედო თამარ ნოზაძის სახლში გაჩენილი ხანძრიდან, რაც სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია;

არასწორია სააპელაციო სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის მე-1000 მუხლის გამოყენება. კანონის დასახელებული ნორმა შეეხება პასუხისმგებლობას ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის. ამ შემთხვევაშიც, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება პირს დაეკისრება მხოლოდ ბრალეული მოქმედების შემთხვევაში. ასეთის არსებობა კი უდავოდ გამორიცხულია, რასაც ადასტურებს როგორც სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილება, ასევე საქმეში არსებული სხვა მასალები. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ვერც სამოქალაქო კოდექსის 1009-ე, 1010-ე და 1011-ე მუხლებზე მითითება ჩაითლება სწორად, რადგან აღნიშნული მუხლები არეგულირებს უხარისხო პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობის საკითხს ასეთი პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილების ვერც ერთ პუნქტში ვერ ასაბუთებს სს „ენერგოწყაროს“ მხრიდან უხარისხო პროდუქციის მიწოდების ფაქტის არსებობას და ვერც ასეთ მტკიცებულებაზე მიუთითებს. საქმე აგებულია მხოლოდ ურთიერთსაწინააღმდეგო ექსპერტიზის დასკვნებზე, რომელთაგან არც ერთი არ არის კატეგორიული და ყველა ეყრდნობა შესაძლო ვერსიებს. ხსენებულ დასკვნებში არსებულ ვარაუდებს აშკარად აბათილებს საქმეზე დაკითხული მოწმეთა ჩვენებები და საქმეში არსებული უდავო ფაქტობრივი გარემოებები.

## ანალიზი

სამართლებრივი პრობლემის სრულყოფილი აღქმისთვის აუცილებელია სააპელაციო და საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი ანალიზის ურთიერთშედარება, სადაც შეიმჩნევა ერთმანეთის გამომრიცხავი სამართლებრივი დასკვნები ზიანის ანაზღაურების დაკისრების საკითხთან მიმართებით. მნიშვნელოვანია, აღნიშნული პრობლემები თეზისების სახით ჩამოყალიბდეს და მსჯელობა სწორედ ამ მეთოდის გამოყენებით განხორციელდეს: **დელიქტური ზიანის დაკისრების წინაპირობები სამოქალაქო სამართალში (I); ხელშეკრულების მიუხედავად პასუხისმგებლობა (II); ელექტროენერჯია, როგორც პროდუქტი (III);**

## I. დელიქტური ზიანის დაკისრების წინაპირობები სამოქალაქო სამართალში

კანონისმიერ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობებში ნებისმიერი სახის ზიანის ასანაზღაურებლად, აუცილებელია სახეზე იყოს სამართალდარღვევის კლასიკური შემადგენლობა. ეს არის: ზიანი, მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მიზეზობრივი კავშირი ზიანსა და ქმედებას შორის, ბრალი. ამ კომპონენტების გაუთვალისწინებლობა იწვევს პასუხისმგებლობის დაკისრების ეჭვის ქვეშ დაყენებას ან უკიდურეს შემთხვევაში, პასუხისმგებლობისგან გამორიცხვას. რაც შეეხება ბრალს, რომელიც როგორც დოქტრინაშია განმარტებული, პირის სუბიექტური დამოკიდებულება მართლსაწინააღმდეგო ქმედების მიმართ, შეიძლება გვექონდეს სახეზე ან პირიქით არ გვექონდეს. მაგალითად, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა, იგივე მკაცრი პასუხისმგებლობა სახეზეა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანისას ან წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისას. „სახელმეკრულეზო სამართალში ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა უმეტესად მოვალისა და კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას და გვაროვნულად განსაზღვრული ნივთის დაღუპვისას დგება, ხოლო დელიქტურ სამართალში - მომეტებული საფრთხის წყაროს მიერ ზიანის მიყენების ფაქტს უკავშირდება.“<sup>1</sup>

ამ კონკრეტული სასამართლო დავის განხილვისას, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით უთითებს ბრალის არარსებობის შემთხვევისას პასუხისმგებლობის გამორიცხვაზე, რაც არასწორად მიგვაჩნია. ის რომ ელექტროენერჯის დასაშვებ ზომაზე მეტი სიმძლავრით მიწოდებამ გამოიწვია მოკლე ჩართვა და შედეგად ხანძარი გაჩნდა, არ არის აუცილებელი ამ შემთხვევაში მაინცდამაინც სს „ენერგორესურსი ჯორჯიას“ მხრიდან ბრალის ნიშნები შეიმჩნეოდეს. შეიძლება უბრალოდ მექანიზმი გამოვიდა მწყობრიდან. თუმცა ვინაიდან ეს დანადგარი მისი საკუთრება იყო, რაც დასტურდება საქმეში არსებული მტკიცებულებით, აქედან გამომდინარე, ბრალის არარსებობის მიუხედავად, მისი პასუხისმგებლობა დადგება. მით უფრო ამძიმებს მოპასუხის მდგომარეობას ის გარემოება, როდესაც დაზარალებულის მხრიდან ბრალის ნიშნები გამოირიცხება ზიანის დადგომაში, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ დასტურდება. შესაბამისად, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ აქ სახეზე გვაქვს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა. ასევე არასწორად მიგვაჩნია საკასაციო სასამართლოს განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ „თუკი მივიჩნევთ, რომ ადგილი ჰქონდა სხვენში არსებულ სადენებში განვითარებულ მოკლე ჩართვას (რაც არსებული გარემოებებიდან გამომდინარე ყოველმხრივ გამოირიცხა), შეუძლებელია სს „ენერგორესურსს“ გააჩნდეს რაიმე სახის სუბიექტური დამოკიდებულება. ამ უკანასკნელის ბრალეულობა ვერ იქნება იქ, სადაც არ ვრცელდება მისი პასუხისმგებლობა.“ როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ვერ გამოდგება პასუხისმგებლობის გამორიცხვის არგუმენტად, ვინაიდან არ არის აუცილებელი ბრალის არსებობა ზიანის დაკისრებისას. რთულად დასამტკიცებელ გარემოებას მიეკუთვნება მიზეზობრივი კავშირის დადგენა მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის.

<sup>1</sup> ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლის პასუხისმგებლობის პირობა, „სამართლის ჟურნალი“, #1, 2009, 108.

ქმედებასა და ზიანს შორის არსებული მიზეზობრივი კავშირი შემდეგი თანმიმდევრობით განიხილება: თავდაპირველად საჭიროა ქმედებასა და შედეგს შორის კავშირის დადგენა, ხოლო შემდეგ - ამ შედეგსა და ზიანს შორის კავშირის დადგენა. მაგალითად, ა-მ არასათანადოდ შეაკეთა ბ-ს ავტომანქანა, რის გამოც ბ. შეეჯახა მაღაზიას და მიიღო მრავლობითი დაზიანება. მკურნალობის ხარჯები შეადგენს 20 000 ლარს. ამ მაგალითში მოვალის ქმედებასა და შედეგს შორის კავშირი გამოიხატება ავტომანქანის არასათანადო შეკეთებაში, რითაც ა-ს ჯანმრთელობა დაზიანდა, ხოლო შედეგსა და ზიანს შორის კავშირი იმ თანხით განისაზღვრება, რომელიც ბ-მ გასწია მისი ჯანმრთელობის აღსადგენად.<sup>2</sup>

მართალია საქმეში მოყვანილია არაერთი მტკიცებულება მიზეზობრივი კავშირის არსებობისა მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის, მაგრამ ამ შედეგსა და ზიანს შორის რამდენად არსებობდა ეს ჯაჭვი, სააპელაციო სასამართლომ მტკიცებულებათა შესწავლის გარეშე დადგენილად მიიჩნია, რაც არასწორი შეფასების შედეგია.

## II. ხელშეკრულების მიუხედავად პასუხისმგებლობა

თუ რა ხასიათის სამართლებრივი კავშირია მხარეთა შორის ურთიერთობაში იმის მიხედვით განისაზღვრება მოთხოვნის საფუძველი და პასუხისმგებლობის სახეები. კერძოდ, უნდა დადგინდეს, რა სახის ურთიერთობა აქვთ მხარეებს; არის თუ არა მათ შორის ხელშეკრულება დადებული; დამდგარი შედეგისათვის რის საფუძველზე უნდა ანაზღაურდეს ზიანი? ეს ის შეკითხვებია, რომლებზედაც პასუხის გაცემას მივყავართ პასუხისმგებლობის სახეების გამიჯვნისაკენ.

როგორც სამოქალაქო კოდექსი, ისე იურიდიული დოქტრინა, ერთმანეთისგან მიჯნავს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო, ე.წ. დელიქტურ პასუხისმგებლობას. სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების მხარე არ ასრულებს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას. არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობა კი მაშინ, როდესაც სამართალდამრღვევმა თავისი ქმედებით ზიანი მიაყენა იმ პირს, რომელიც არ იმყოფებოდა მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში. პასუხისმგებლობის ასეთ გამიჯვნას დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც მასზეა დამოკიდებული ასეთ ურთიერთობათა მიმართ სამართალი რომელ ნორმას გამოვიყენებთ.<sup>3</sup>

შესაბამისად, ზუსტად განისაზღვრება მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ რომელ ნორმებს ეყრდნობა იგი - დელიქტური ვალდებულების მომწესრიგებელ ნორმებს თუ ხელშეკრულების შინაარსში ჩადებულ პირობებს?

„პრაქტიკულად ძალზე მნიშვნელოვანია დელიქტური და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის გამიჯვნის საკითხი, რადგან ერთი და იგივე ქმედება შეიძლება

<sup>2</sup> ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბ., 2010, 199.

<sup>3</sup> დუნდუა მ., დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, თსუ იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი“, #1, 2009, 54.

ჩაითვალოს როგორც დელიქტად, ასევე სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევად. თეორიულად ასეთი გამიჯვნა პრობლემას არ წარმოადგენს.“<sup>4</sup>

თუკი მხარის ნებაზეა დამოკიდებული პასუხისმგებლობის რომელ საფუძველს აირჩევს, რა თქმა უნდა, ის იხელმძღვანელებს იმით, თუ რომელი პასუხისმგებლობა უფრო ხელსაყრელი იქნება ზიანის ასანაზღაურებლად. უნდა ითქვას, რომ არცერთი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია იმაზე, რომ მოთხოვნის საფუძველი დელიქტის, გარდა შესაძლებელია ყოფილიყო სახელშეკრულებო ურთიერთობა. მართალია ზოგადად სსკ-ის 317-ე მუხლის პირველ ნაწილზე მიუთითა, როგორც დელიქტის წარმოშობის საფუძველად, მაგრამ ის, რომ მხარეებს შორის ამასთანავე არსებობდა სახელშეკრულებო ურთიერთობა, არ უმსჯელია. შესაძლებელია, სახელშეკრულებო ურთიერთობის დროს წარმოიშვას დელიქტური ზიანი. მაგალითად ავტომობილით გადაყვანის შემთხვევაში, მგზავრმა ავტომშემთხვევის შედეგად მიიღო სხეულის დაზიანება. აქ ვალდებულება წარმოიშობა, როგორც ხელშეკრულებიდან, ისე დელიქტიდან. მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე, ვინაიდან მოსარჩელე იგივე მომხმარებელ, ნანა ნიორაძესა და მოპასუხე სს „ენერგოწყაროს“ შორის აუცილებლად იქნებოდა დადებული ელექტროენერჯის ნასყიდობის ხელშეკრულება.

ამასთან, სააკველაციო სასამართლომ დავის განხილვისას გამოიყენა როგორც დელიქტის ძირითადი წამყვანი ნორმა, სსკ-ის 992-ე მუხლი, ისე კანონისმიერი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის სპეციალური ნორმები, კერძოდ 1009-ე-1016-ე მუხლები, რომელიც წუნდებული პროდუქტით მიყენებულ ზიანს ეხება. სწორედ სსკ-ის 1011-ე მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე, ელექტროენერჯის მწარმოებელ-მიმწოდებლად მიიჩნია სს „ენერგოწყარო.“<sup>5</sup> საკასაციო სასამართლო მართებულად არ მიიჩნევს 992-ე მუხლის გამოყენებას, ვინაიდან ამ მუხლის ამოქმედებას გარკვეული წინაპირობების არსებობა მოყვება თან. კერძოდ, სამართალდარღვევის ოთხივე ელემენტი ერთდრულად სახეზე უნდა იყოს. ბრალის არარსებობა კი გამორიცხავს სსკ-ის 992-ე მუხლის ამოქმედებას. როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა ხშირად გვხვდება დელიქტურ სამართალში. მით უფრო წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანი შეიძლება მწარმოებლის ბრალის მიუხედავად, დადგეს. იგივე ითქმის სსკ-ის 1000-ე მუხლის გამოყენებაზე.

ძირითად შემთხვევაში საკასაციო სასამართლო სათანადო ფაქტების, არგუმენტაციის, მტკიცებულებების ნაკლოვანების გამო გამორიცხავს სს „ენერგოწყაროს“ პასუხისმგებლობას. ამასთან აღნიშნავს, რომ „სასამართლომ უგულვებელყო სამოქალაქო კოდექსის 1012-ე მუხლი, რომლის თანახმად, მტკიცების ტვირთი მთლიანად დაზარალებულს ეკისრება. დაზარალებულმა (მოსარჩელემ) წარდგენილი მტკიცებულებებით ვერ დაადასტურა ელექტროენერჯის ზემოქმედების შედეგად ხანძრის გაჩენის ფაქტი, რაც თავისთავად გამორიცხავს ენერგოკომპანიის ბრალის არსებობას.“ ვერ გავიზიარებ იმ პოზიციას, რომ დაზარალებული ვალდებულია ამტკიცოს,

<sup>4</sup> იქვე, 58.

<sup>5</sup> „მწარმოებლად მიიჩნევა აგრეთვე პირი, რომელსაც პროდუქტი გააქვს გაყიდვის, გაქირავების ან სხვა ფორმით, სამეურნეო მიზნით, თავისი საქმიანობის სფეროში, ამ კოდექსით გათვალისწინებული პირობების დაცვით.“

თუ რამ გამოიწვია ელექტროენერჯის უხარისხობა, ანუ რა იყო მოკლე ჩართვის მიზეზები. მთავარია მან დაამტკიცოს ზიანის არსებობა. ნაკლის მტკიცების ტვირთი მისთვის საქმეში არსებული მტკიცებულებითაც შეიძლება საკმარისად ჩავთვალოთ. ანუ ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს მტკიცების კლასიკური წესისგან გადახვევას სამართლიანობის და თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე. მტკიცების ტვირთის შემობრუნებას კარგად იცნობს გერმანული სამართალი.<sup>6</sup> ალბათ კარგი იქნება თუკი სასამართლო პრაქტიკა დაამკვიდრებს ახალ პრეცედენტს ამ მიმართულებით.

### **ელექტროენერჯია (ელექტროდენი), როგორც პროდუქტი**

მნიშვნელოვანია იმის დადგენა, ჩაითვლება თუ არა ელექტროენერჯია ნივთად და, შესაბამისად, პროდუქტად. უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო კოდექსის ძველ რედაქციაში ელექტროენერჯია 1011-ე მუხლის მოქმედების სფეროში ხვდებოდა. შემდგომ ეს დანაწესი ამოიღეს. თუმცა, საკითხავია, ელექტროენერჯია რამდენად შეიძლება ჩაითვალოს მოძრავი ნივთების კატეგორიაში და, სწორედ მისი ფართო განმარტებიდან გამომდინარე, გაერთიანდეს პროდუქტის ცნებაში. მთავარი კითხვა იქნება შემდეგი: შესაძლებელია წუნდებული ელექტროენერჯით მიყენებული ზიანის ანაზღაურება დადგეს სსკ-ის 1009-ე-1016-ე მუხლების საფუძველზე, თუ, ზოგადად, დელიქტური სარჩელის საფუძველზე? ამ კითხვაზე პასუხს სასამართლო პრაქტიკაც აჩვენებს. თუმცა, რა მიზანი ამოძრავებდა კანონმდებელს მისი 1011-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებისას, ეს დაზუსტებას საჭიროებს.

გერმანული სამართალი და ევროკავშირის დირექტივა ელექტროენერჯიას აერთიანებენ პროდუქტის ცნებაში. მართალია, ევროპული სამართალით, ელექტროენერჯია ნივთი არ არის, ვინაიდან მას სხეულებრიობა არ ახასიათებს, პროდუქტად მაინც ითვლება. თუ ეს პოზიცია იქნება გაზიარებული, პროდუქტად ნივთის ჩათვლისთვის სხეულებრიობის არსებობა საჭირო არაა. უსხეულო სიკეთეები ნივთების კატეგორიაში შეიძლება გაერთიანდეს, ნივთების შესახებ რომაული მოძღვრების საფუძველზე. თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ელექტროენერჯია აღარ არის გათვალისწინებული. შესაძლოა, ელექტროენერჯია ცალკე, სპეციალური მოწესრიგების საგანს წარმოადგენდეს. მაგალითად, გერმანულ დოქტრინაში ის ყოველთვის ცალკეა გამოყოფილი. ProdHaftG-ის მეორე პარაგრაფის პირველი წინადადების თანახმად, ელექტროენერჯია კვალიფიცირდება, როგორც პროდუქტი. ამიტომაცაა, რომ ენერჯით მომმარაგებელი მეწარმეები პასუხს აგებენ იმ ზიანისათვის, რომელიც ძაბვის თამაშის დროს წარმოიშობა.<sup>7</sup>

ელექტროენერჯიის დახასიათებისას, ლიტერატურაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ როცა ხდება ნაკლიანი, უხარისხო ელექტროენერჯის მიწოდება, პასუხისმგებლობის სუბიექტები არიან ელექტროენერჯის მიწოდების უზრუნველმყოფი ორგანოები. რაც შეეხება ელექტროენერჯის მიუწოდებლობას, ის არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც

<sup>6</sup> იხ. *Zweigert K., Kötz H., Einführung in die Rechtsvergleichung*, 3. neubearb. Aufl. Tübingen: Mohr, 1996, 683.

<sup>7</sup> იხ. *Prey .K.P., Das Produkthaftungsgesetz: Die Produkthaftung vorher, das Gesetzgebungsverfahren und der Einfluß auf die bisherige Rechtsprechung zur Produkthaftung*, Regensburg, Jur. Diss. 1990, 39.

წუნდებული პროდუქტი. შესაბამისად, მიწოდების შეწყვეტა არ ექვემდებარება წუნდებული პროდუქტისათვის პასუხისმგებლობას.<sup>8</sup>

შესაბამისად, ვერ გავიზიარებ საკასაციო სასამართლოს პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ სახეზე არ გვაქვს წუნდებული ელექტროენერგიით მიყენებული ზიანის დადგომა, მაშინ, როდესაც ადგილი აქვს ელექტროდენის დასაშვებ ზომაზე მეტი სიმძლავრით მიწოდებას, რომელიც იწვევს მოკლე ჩართვას და შედეგად ხანძარს. არასწორი იქნებოდა სააპელაციო სასამართლოს შეფასება იმ შემთხვევაში, როდესაც ის დენის არმიწოდების შემთხვევას დააკვალიფიცირებდა, როგორც წუნდებული პროდუქტით გამოწვეულ ზიანს.

---

<sup>8</sup> იხ. *Landscheidt C.*, Das neue Produkthaftungsrecht, Verlag neue wirtschafts-briefe, Herne/Berlin, 1990, Rn. 33, 56.

ლადო ჭანტურია\*

დირექტორის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორის წინაშე  
საზოგადოების საგადასახადო დარღვევისათვის

საქმე №ას-1307-1245-2014 და საქმე №ას-1158-1104-2014\*\*

შესავალი

2015 წლის 6 მაისს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიღო ორი გადაწყვეტილება, რომლებშიც კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისათვის კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორების პირადი პასუხისმგებლობა დაადგინა (საქმე № ას-1307-1245-2014 და საქმე №ას-1158-1104-2014).

სასამართლომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.6 მუხლის ფართო ინტერპრეტაციის საფუძველზე საზოგადოების კრედიტორს მიანიჭა უფლება მოსთხოვოს საზოგადოების ხელმძღვანელებს საზოგადოების ვალდებულებების შეუსრულებლობის ან დარღვევისათვის ზიანის ანაზღაურება. **უზენაესმა სასამართლომ ამ გადაწყვეტილებით ფაქტობრივად შექმნა ახალი ნორმა**, რომელმაც გააიოლა კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება. ამით საქმე გვაქვს სამოსამართლო სამართლის ქმნილებასთან, რომელიც შესაძლოა სამეწარმეო საზოგადოებათა დირექტორების წინააღმდეგ მნიშვნელოვანი სასამართლო პროცესების დასაბამი გახდეს.

სასამართლოს განსახილველი გადაწყვეტილებები ეხება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებათა **როგორც პარტნიორების, ისე დირექტორების პასუხისმგებლობას** საზოგადოების კრედიტორების, ამ შემთხვევაში სახელმწიფოს, წინაშე. ვინაიდან დირექტორების პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლები განსხვავდება პარტნიორების „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ საფუძვლებისაგან, ამ კვლევაში განხილული იქნება მხოლოდ დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხი.

გადაწყვეტილებები ყურადღებას იმსახურებს იმ თვალსაზრისით, რომ უზენაესმა სასამართლომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.6 მუხლზე დაყრდნობით დაასაბუთა არა მხოლოდ დირექტორის პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე, არამედ საზოგადოების კრედიტორის უფლება დირექტორისაგან პირდაპირ მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რაც 9.6 მუხლში პირდაპირ არ არის გათვალისწინებული. პარალელურად, სასამართლომ

---

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, მრავალჯეროვანი საპატიო დოქტორი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე.

\*\* საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებები.

უარი თქვა დირექტორისაგან ზიანის ანაზღაურების დასაკისრებლად სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის, ე.ი. დელიქტური პასუხისმგებლობის გამოყენებაზე. საყურადღებოა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის გამოყენების საკითხიც, ვინაიდან ამ მუხლზე დაყრდნობით სასამართლომ არ ჩათვალა სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით დადგენილი გარემოებები გამოკვლევის გარეშე უტყუარად დამტკიცებულად და ის მიიჩნია მხოლოდ ერთ-ერთ მტკიცებულებად.

### **საქმის ფაქტობრივი გარემოებები**

სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების დირექტორებს მსჯავრი დაედოთ განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადების განზრახ თავის არიდებისათვის. საგადასახადო შემოწმების შედეგად და განაჩენით დადგინდა, რომ დირექტორები საზოგადოებას იყენებდნენ არადეკლარირებული შემოსავლის მაგენერირებელი წყაროს დანიშნულებით, რის გამოც საზოგადოებას დაეკისრა გარკვეული თანხის გადახდა. სახელმწიფო, როგორც კრედიტორი, სსიპ შემოსავლების სამსახურის სახით, მოითხოვს პარტნიორებისა და დირექტორისაგან სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე, სახელმწიფოსათვის გადასახადების დამალვით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

დავის საგანია შემდეგი: ეკისრებათ თუ არა საზოგადოების (კომპანიის) დირექტორს პირდაპირ და უშუალოდ, მთელი მათი ქონებით პასუხისმგებლობა საზოგადოების საგადასახადო ვალდებულებებისათვის იმ შემთხვევაში, თუ დადასტურებულია, რომ საზოგადოებას არ შეუძლია აღნიშნული გადაწყვეტილებების შესრულება? უფლებამოსილია თუ არა შემოსავლების სამსახური მოითხოვოს მათგან საზოგადოების საგადასახადო ვალდებულებების ანაზღაურება და რა საფუძველით?

### **სასამართლოს არგუმენტები**

- *დირექტორის მოვალეობები როგორც ფიდუციური მოვალეობები*

უზენაესი სასამართლოს აზრით, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.6 მუხლის მიხედვით, კომპანიის დირექტორს კომპანიის წინაშე აკისრია განსაკუთრებული მოვალეობები, რომელთაც ეწოდება **ფიდუციური მოვალეობები**.

ფიდუციური მოვალეობების ანალიზისას სასამართლო იძლევა ხელმძღვანელობითი საქმიანობის ძირითადი მიზნის განსაზღვრებას - **მოგების მიღება**, რაც განპირობებულია პარტნიორების მიერ საზოგადოებაში განხორციელებული ინვესტიციებიდან სარგებლის მიღების სურვილით და გამოიხატება საზოგადოების მომგებიანი საქმიანობის შედეგად დივიდენდების განაწილებაში. ამ პროცესში საზოგადოების მენეჯმენტს უწევს მაქსიმალური საგადასახადო ოპტიმიზაცია იმგვარად, რომ არ დაირღვეს საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნები.

- *ზრუნვის მოვალეობა*

სხვა მოვალეობებთან ერთად ფიდუციური მოვალეობები მოიცავს დირექტორის მოვალეობას საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად, კერძოდ,

ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის (**ზრუნვის მოვალეობა**).

უზენაესი სასამართლოს აზრით, კანონის ფარგლებში მოქმედების მოვალეობა წარმოადგენს ზრუნვის მოვალეობის შემადგენელ შიდა ვალდებულებას. კერძოდ, „კომპანიის ხელმძღვანელების მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, განსაკუთრებით კორუფციული ქმედებები, დირექტორთა საჯარო ვალდებულებებს, რომ იმოქმედონ კანონის ფარგლებში, გარდაქმნის კომპანიის წინაშე ზრუნვის მოვალეობის შემადგენელ შიდა ვალდებულებად“.

სასამართლო უარს ამბობს დირექტორის მოვალეობათა ერთი ჯგუფის აღსანიშნავად იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებულ ტერმინზე, როგორცაა გულმოდგინების ან გულისხმიერების მოვალეობა,<sup>1</sup> და შემოაქვს გამოთქმა „ზრუნვის მოვალეობა“, რომელიც ინგლისური Duty of Care ან გერმანული Sorgfaltspflicht-ის წარმატებულ გადმოქართულებას წარმოადგესდა რომელიც შეესაბამება 9.6 მუხლის შინაარსს. სავარაუდოა, რომ ზრუნვის მოვალეობა დამკვიდრდება ქართულ იურიდიულ ენაში და შეცვლის აქამდე გამოყენებულ ტერმინებს.

*- ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმფცია*

სასამართლოს განმარტებით, ზრუნვის მოვალეობა მოითხოვს დირექტორისაგან მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოიწვევს კომპანიის მოგების გაზრდას. ეს გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს მაღალი რისკის მატარებელიც და მცდარიც. სასამართლოს აქ შემოაქვს ახალი ცნება „**ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმფცია**“, რომელსაც ქართული სამართალი აქამდე არც ნორმატიულ და არც სამოსამართლო სამართლის დონეზე არ იცნობდა.<sup>2</sup> განსახილველი გადაწყვეტილებები შეიცავს ამ პრეზუმფციის დაკონკრეტების და მის საფუძველზე დირექტორების პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მცდელობას. კერძოდ, „თუ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას, მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გადაწყვეტილებების შედეგებისათვის კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან“.

თვალშისაცემია, რომ სასამართლო შეეცადა ამერიკული Business Judgement Rule-ის საფუძველზე გაემართლებინა დირექტორების სამეწარმეო გადაწყვეტილებები იმ შემთხვევებისათვის, როცა ეს გადაწყვეტილებები მიზნად არ ისახავს საგადასახადო

<sup>1</sup> მაგალითად, *ბურდული ი.*, სააქციო სამართლის საფუძვლები, II ტომი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, 441-445; *ჯუღელი გ.*, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბ., 2010, 253 და ა.შ.

<sup>2</sup> გამონაკლისია იურიდიულ ლიტერატურაში განხილული Business Judgement Rule-ის კონცეფცია. იხ.: მაგალითად, *ჭანტურია ლ.*, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ., გამომც. „სამართალი“, 2006.

კანონმდებლობის დარღვევებს და ამის საფუძველზე საზოგადოების მიერ გადასახადების დამალვას. სასამართლოს აზრით, „არსებობს ორი მიზეზი, რომლის გამოც ხელმძღვანელს არა აქვს მოვალეობა კომპანიის მომგებიანობის გაზრდის მიზნით ჩაერთოს ისეთ საქმიანობაში, რომელიც შედეგად იწვევს საწარმოს მიერ გადასახადების დამალვას: ა. გადასახადებისათვის თავის არიდების სქემის განხორციელება იწვევს მისი განმახორციელებლების პირად სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას; ბ. გადასახადებისათვის თავის არიდების ფინანსური შედეგები შესაძლებელია კატასტროფული აღმოჩნდეს კომპანიისათვის და „მართებული ბიზნეს გადაწყვეტილების“ მიღების სტანდარტი დირექტორს აკისრებს მოვალეობას არ ჩაერთოს გადასახადებისათვის თავის არიდების უკანონო სქემაში“.

თუ რამდენად რელევანტურია „მართებული ბიზნეს გადაწყვეტილების“ ინსტიტუტის განხილვა გადასახადების დამალვის სქემის გამოყენებასთან კონტექსტში, როგორც ამას სასამართლო უწოდებს, არ არის დამაჯერებლად ნაჩვენები. სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს საზოგადოების ხელმძღვანელების ჩართვას ისეთ საქმიანობაში, რომელიც შედეგად იწვევს საწარმოს მიერ გადასახადების დამალვას და, შესაბამისად, ამ დარღვევის მიმართდაუშვებლად მიიჩნევს „მართებული ბიზნეს გადაწყვეტილების“ ინსტიტუტის გამოყენებას.

*- საზოგადოების მიერ დირექტორებისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ვალდებულება*

9.6 მუხლის მიხედვით დირექტორების მიერ ზრუნვის მოვალეობის დარღვევით საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანი მათ უნდა აუნაზღაურონ საზოგადოებას. დირექტორისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა საზოგადოების უფლებაა, მაგრამ ეს უფლება მოვალეობად გადაიქცევა, თუკი „ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად“.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე სასამართლო ადგენს საზოგადოების მიერ დირექტორებისაგან ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, თუკი ა. საწარმოს გააჩნია საგადასახადო ვალდებულება; ბ. სახეზეა ისეთი ვითარება, როცა ანაზღაურება აუცილებელია სახელმწიფოს, როგორც კრედიტორის დასაკმაყოფილებლად.

სასამართლო არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ დასკვნით და იმ შემთხვევაში, როცა აშკარაა, რომ საწარმოსათვის მისი დირექტორის მიმართ პასუხისმგებლობის დაყენებას არავითარი შედეგი არ ექნება, კრედიტორს ანიჭებს ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას პირდაპირ საზოგადოების დირექტორისაგან. პრობლემურია ამ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძებნა, რადგან „მეწარმეთა შესახებ“ კანონი საზოგადოების კრედიტორს არ ანიჭებს დირექტორისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

*- დირექტორის მიმართ კრედიტორის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები*  
მოსარჩელეს შესაძლოა დირექტორებისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ჰქონდეს ან სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის ან „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.6 მუხლის საფუძველზე.

#### *ა. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი*

შემოსავლების სამსახური ზიანის ანაზღაურებას ითხოვს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე, რადგანაც საზოგადოების დირექტორების მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისა და მის შედეგად ზიანის მიყენების ფაქტი სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით არის დადასტურებული.

უზენაესი სასამართლო არ დაეთანხმა მოსარჩელის არგუმენტებს დირექტორებისაგან სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების თაობაზე და უპირატესობა მიანიჭა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.6 მუხლს.

### **ბ. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.6 მუხლი**

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.6 მუხლი განსაზღვრავს საზოგადოების დირექტორების გულმოდგინე ხელმძღვანელობის ზოგად ვალდებულებას და ამ ვალდებულების დარღვევით საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების პირობებს. ამრიგად, 9.6 მუხლი აწესრიგებს დირექტორებსა და საზოგადოებას შორის შიდა პასუხისმგებლობის საკითხებს.

როგორც სასამართლო სწორად აღნიშნავს, 9.6 მუხლი არ ითვალისწინებს საზოგადოების კრედიტორების უფლებას, მოითხოვონ ზიანის ანაზღაურება პირდაპირ დირექტორებისაგან, განსხვავებით გერმანიის სააქციო კანონის 93-ე პარაგრაფის მე-5 აბზაცის პირველი წინადადებისაგან, რომელიც კრედიტორებს ამის უფლებას ანიჭებს, თუკი ისინი საზოგადოებისაგან დაკმაყოფილებას არ მიიღებენ. ასეთი ნორმა ქართული კანონისათვის უცხოა.

უზენაესი სასამართლოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.6 მუხლის საფუძველზე საზოგადოების კრედიტორისათვის დირექტორებისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მინიჭება ფაქტობრივად ნიშნავს ახალი ნორმის შექმნას, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება საკანონმდებლო დანაწესისაგან.

ჩვეულებრივ საზოგადოების დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესებში საზოგადოებას წარმოადგენენ დანარჩენი დირექტორები. სწორედ მათი მოვალეობაა დირექტორების მიმართ საზოგადოების მოთხოვნების გამოყენება. ამ მოვალეობის შეუსრულებლობით ისინი არღვევენ ზრუნვის მოვალეობას და მიყენებული ზიანი უნდა აანაზღაურონ. აქედან გამომდინარე, საზოგადოების კრედიტორებს ამ დირექტორების მიმართაც უნდა ჰქონდეთ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

### **დირექტორის პასუხისმგებლობის საფუძველები**

მიყენებული ზიანისათვის დირექტორის ქონებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება შემოწმდეს როგორც სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის (დელიქტური სამართლის), ისე „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.6 მუხლის (საკორპორაციო სამართლებრივი) საფუძველზე.

### **ა. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.6 მუხლის მიხედვით**

სასამართლოს შეფასებით, საზოგადოების გადასახადებისაგან თავის არიდებაში მონაწილეობით დირექტორმა დაარღვია საზოგადოების წინაშე ზრუნვის მოვალეობა, რაც

იწვევს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.6 მუხლით გათვალისწინებულ შედეგებს, კერძოდ, აღნიშნული მუხლის შესაბამისად, ზრუნვის მოვალეობის დარღვევით საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისათვის დირექტორი პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

9.6 მუხლი შეიცავს სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელთა შიდაკორპორაციული პასუხისმგებლობის ცენტრალურ დებულებას და პასუხისმგებლობის საფუძვლებს.

*- სუბიექტი*

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.6 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის სუბიექტი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორი. დირექტორი პასუხს აგებს მხოლოდ საზოგადოების წინაშე. სხვა პირთა, მაგალითად საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხისმგებლობის შესაძლებლობას ეს ნორმა არ ითვალისწინებს. ამიტომ მისი გამოყენება საზოგადოების კრედიტორების წინაშე დირექტორის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად სადავოა.

*- მოვალეობის დარღვევა*

სასამართლომ მართებულად დაადგინა დირექტორის მიერ ზრუნვის მოვალეობის დარღვევა 9.6 მუხლის საფუძველზე, რაც გამოიხატა დირექტორის მიერ ამკრძალავი კანონის - საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევაში. პრობლემა აქაც ანალოგიურია - ზრუნვის მოვალეობით დირექტორი დაკავშირებულია საზოგადოებასთან და არა საზოგადოების კრედიტორებთან. შესაბამისად, ზრუნვის მოვალეობის დარღვევა 9.6 მუხლის საფუძველზე ვერ მიანიჭებს საზოგადოების კრედიტორს დირექტორისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

ზრუნვის მოვალეობის დარღვევა დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით.

*- ბრალეულობა*

ქართული სამოქალაქო სამართალი განამტკიცებს ბრალს, როგორც სამართალდარღვევის შემადგენლობის უმნიშვნელოვანეს სუბიექტურ ელემენტს (სამოქალაქო კოდექსის 395-ე მუხლი).<sup>3</sup> საზოგადოების წინაშე ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა გულისხმობს ბრალის არსებობას. ქართულ საკორპორაციო სამართალში, გერმანული სამართლის მსგავსად, ხელმძღვანელები პასუხს აგებენ მარტივი გაუფრთხილებლობისათვის.

---

<sup>3</sup> ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარში, წიგნი მე-32001, 380.

მართალია, ბრალის გარეშე არ არსებობს პასუხისმგებლობა, მაგრამ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხში გადამწყვეტ როლს თამაშობს კანონით გათვალისწინებული მოვალეობის დარღვევა. **მოვალეობის დარღვევა გულისხმობს ბრალის არსებობას.**<sup>4</sup>

განსახილველ დავაში დადგენილია დირექტორის მიერ ზრუნვის მოვალეობის ბრალეული დარღვევა.

პასუხისმგებლობის გამომწვევ ბრალეულობასთან დაკავშირებით საგულისხმოა თეორია ხელმძღვანელთა მიერ ე.წ. სასარგებლო კანონდარღვევების შესახებ. ჩვეულებრივ, ასეთი სამართალდარღვევების დროს საზოგადოებას ზიანი კი არ ადგება, არამედ იგი დამატებით შემოსავალსა და სარგებელს იღებს ხოლმე. შესაბამისად, ზიანის არ არსებობა გამორიცხავს საზოგადოების წინაშე დირექტორის პასუხისმგებლობას. განსახილველ შემთხვევაში დირექტორის მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ საზოგადოებას მოუტანა ზიანი, რაც გამოიხატა გადასახადების დამალვამ და ამის გამო საზოგადოებისათვის დაკისრებულმა ზიანის ანაზღაურებამ.

სასამართლო იზიარებს თანამედროვე სამართალში დამკვიდრებულ მოსაზრებას, რომ კანონის დარღვევა, თუნდაც მას სარგებელი მოჰქონდეს საზოგადოებისათვის, არ არის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი.<sup>5</sup>

#### - ზიანი და კაუზალობა

ზიანის ანაზღაურების მოვალეობა გულისხმობს ზიანის არსებობას. ეს ზიანი გამოწვეული უნდა იყოს ხელმძღვანელის მიერ დაკისრებული მოვალეობის დარღვევით. დირექტორების მიერ ზრუნვის მოვალეობის დარღვევით საზოგადოებისა და კრედიტორისათვის ზიანის მიყენების ფაქტი დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენითაც და ქვედა ინსტანციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით.

საყურადღებოა ზიანის დეფინიცია, რომელსაც სასამართლო გვთავაზობს ამ გადაწყვეტილებაში, კერძოდ, „ზიანი არის ქონებრივი ანდა არაქონებრივი და სამართლებრივად დასაძრახი დანაკლისი, რომელსაც უფლებამოსილი პირი განიცდის ვალდებული პირის მოქმედებით ან უმოქმედობით“. ლიტერატურაში არსებული და საერთაშორისოდ მეტნაკლებად აღიარებული განსაზღვრების მიხედვით, „ზიანი არსებობს მაშინ, როცა სახეზეა საზოგადოების ქონების შემცირება ისე, რომ იგი კომპენსირებული არ არის ქონების ნამატით“.<sup>6</sup> ზიანის დადგენისათვის გადამწყვეტია ობიექტური განსხვავება ორ ქონებრივ მდგომარეობას შორის: რომელიც არსებობდა სავარაუდო დარღვევამდე და რომელიც არსებობს სავარაუდო დარღვევის შემდეგ.<sup>7</sup>

<sup>4</sup> დაწვრილებით იხ. *ჰანტურია ლ.*, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ., გამომც. „სამართალი“, 2006, 386-388.

<sup>5</sup> ამ საკითხის მიმოხილვა იხ. *ჰანტურია ლ.*, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ., გამომც. „სამართალი“, 2006, 394.

<sup>6</sup> მაგალითად, Hopt K., in Großkommentar zum AktG (1999) § 93 Rdn. 261.

<sup>7</sup> მაგალითად, Semler J. in Münchener Kommentar zum AktG (2004) § 116, Rn. 488.

*- 9.6 მუხლის მოთხოვნის განხორციელება*

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით დირექტორების წინააღმდეგ მიმართული მოთხოვნის სუბიექტი 9.6 მუხლის მიხედვით არის საზოგადოება. 9.1 და 9.2 მუხლების თანახმად საზოგადოების სახელით საზოგადოების მოთხოვნებს, მათ შორის დირექტორების წინააღმდეგ, წარადგენენ საზოგადოების ხელმძღვანელები - დირექტორები. თუ ამ მოთხოვნის გამოყენება ჩვეულებრივ შემთხვევაში დამოკიდებულია საზოგადოების ნებასა და მის მიზანშეწონილობაზე, 9.6 მუხლის მე-3 წინადადების მიხედვით საზოგადოება ვალდებულია გამოიყენოს დირექტორების წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, თუკი ის აუცილებელია საზოგადოების კრედიტორების დასაკმაყოფილებლად.

განსახილველ შემთხვევაში სახელმწიფოსთვის, როგორც კრედიტორისათვის, ზიანის ანაზღაურების მიზნით საზოგადოებამ დირექტორებისაგან უნდა მოითხოვოს ზრუნვის მოვალეობის დარღვევით საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ამ გარემოებას სასამართლოც უსვამს ხაზს გადაწყვეტილებაში. მაგრამ 9.6 მუხლის საფუძველზე სახელმწიფოს (კრედიტორს) არა აქვს უფლება იგივე გააკეთოს დირექტორის მიმართ. ის არ არის ამ მოთხოვნის სუბიექტი.

9.6 მუხლის მიხედვით, კრედიტორმა შესაძლოა საზოგადოებისაგან მოითხოვოს დირექტორის მიმართ საზოგადოების მოთხოვნის განხორციელება, რათა კრედიტორმა შეძლოს დაკმაყოფილების მიღება. ეს ვარიანტი უფრო მისაღებია, ვიდრე პირდაპირ დირექტორისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მინიჭება.

*- შუალედური დასკვნა*

9.6 მუხლის შინაარსი და მის თანახმად დირექტორთა პასუხისმგებლობის საფუძველების ანალიზი არ იძლევა პასუხისმგებლობის იმ შემადგენლობას, რომელიც საზოგადოების კრედიტორს (სახელმწიფოს) დირექტორებისაგან ზიანის პირდაპირი მოთხოვნის შესაძლებლობას მინიჭებდა.

სასამართლო კრედიტორის უფლებას - პირდაპირ მოითხოვოს დირექტორებისაგან დაკმაყოფილება, ხსნის იმ გარემოებით, რომ საზოგადოებისაგან დირექტორის მიმართ პასუხისმგებლობის დაყენების მოთხოვნას რაიმე შედეგი არ ექნება და ამკარაა, რომ ეს არაპერსპექტიულია. მართალია, გერმანული სააქციო კანონი ასეთი შემთხვევისათვის (პარაგრაფი 93, მე-5 აბზაცი) ითვალისწინებს კრედიტორის უფლებას დირექტორისაგან პირდაპირ მოითხოვოს დაკმაყოფილება, მაგრამ „მეწარმეთა შესახებ“ ქართული კანონი ამგვარ შესაძლებლობას არ იცნობს.

***ბ. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით***

მოსარჩელე საზოგადოების დირექტორისაგან ზიანის ანაზღაურებას ითხოვს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე. ამიტომ უნდა შემოწმდეს, თუ რამდენად შესაძლებელია მოთხოვნის ამ საფუძველის გამოყენება.

*- პასუხისმგებლობის სუბიექტი - ვალდებული პირი*

992-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტური პასუხისმგებლობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი. ვინაიდან „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.6 მუხლით გათვალისწინებული წინაპირობა არ არსებობს, საზოგადოების დირექტორები შეიძლება ჩაითვალოს დელიქტური პასუხისმგებლობის სუბიექტად, ვინაიდან სწორედ მათმა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებამ გამოიწვია სახელმწიფოსათვის ზიანის მიყენება.

*- უფლებამოსილი პირი (სხვა პირი)*

992-ე მუხლის მიხედვით, ნებისმიერი პირი, ვისაც სხვა პირის მართლსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედებით მიაღვა ზიანი, უფლებამოსილია ზიანის მიმყენებლისაგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. თუკი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.6 მუხლი დირექტორებისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას მხოლოდ საზოგადოებას ანიჭებს, 992-ე მუხლი ასეთ შეზღუდვას არ ითვალისწინებს. შესაბამისად, შემოსავლების სამსახურს (სახელმწიფოს), როგორც უფლებამოსილ პირს, შეუძლია დირექტორებისაგან ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს 992-ე მუხლის საფუძველზე.

*- მართლსაწინააღმდეგო ქმედება*

მართლსაწინააღმდეგობა გამოიხატება დირექტორების მიერ მოქმედი კანონმდებლობის, კერძოდ საგადასახადო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებაში და გადასახადების დამალვაში, ერთი მხრივ, და საზოგადოების წინაშე ზრუნვის მოვალეობის დარღვევაში, მეორე მხრივ.

გარდა ამისა, დირექტორებმა ჩაიდინეს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული, მსჯავრი დაედოთ განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადების განზრახ თავის არიდებისათვის.

*- ბრალი*

კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადასტურებულია დირექტორების ბრალი. გარდა ამისა, ზრუნვის მოვალეობის დარღვევა უკვე გულისხმობს პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის საკმარისი ბრალის არსებობას.

*- ზიანი და მიზეზობრივი კავშირი*

დადგენილია სახელმწიფოსათვის ზიანის მიყენების ფაქტი. კერძოდ, სასამართლოს აზრით, სახელმწიფომ ვერ მიიღო კუთვნილი შემოსავალი, რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. ეს ზიანი გამოწვეულია საზოგადოების დირექტორების მართლსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედებით, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებაშიც აღიარებულია.

*- შუალედური დასკვნა*

სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის ანალიზი იძლევა იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მოსარჩელის მოთხოვნა საზოგადოების დირექტორებისაგან გადასახადების დამალვით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ დასაბუთებულია. 992-ე მუხლი არ ითვალისწინებს რაიმე დათქმას ან პირობას,

რომელიც გამორიცხავს შემოსავლების სამსახურის მიერ დირექტორებისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

### **მტკიცების ტვირთი**

მტკიცების ტვირთი საზოგადოების პარტნიორთან დაკავშირებით სასამართლომ ცალკე გამოყო, მაგრამ ღიად დატოვა მტკიცების ტვირთის საკითხი დირექტორთან მიმართებაში. ამ საკითხის დიდი მნიშვნელობისა და აქტუალობის მიუხედავად, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.7 მუხლში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა იგი საერთოდ მოწესრიგების გარეშე დატოვა.<sup>8</sup>

### **სუბსიდიური თუ სოლიდარული პასუხისმგებლობა**

განსხვავებით „გამჭოლი პასუხისმგებლობისაგან“, რომელიც საზოგადოების კრედიტორებს საზოგადოების პარტნიორებისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს, დირექტორების პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე სუბსიდიურია, რასაც სასამართლოც ეთანხმება.

### **დასკვნითი დებულებები**

1. უზენაესმა სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილებებით, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.6 მუხლის ფართო ინტერპრეტაციის საფუძველზე, საზოგადოების კრედიტორს მიაჩნია უფლება მოსთხოვოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელებს საზოგადოების ვალდებულებების შეუსრულებლობის ან დარღვევისათვის ზიანის ანაზღაურება. **უზენაესმა სასამართლომ ამ გადაწყვეტილებებით ფაქტობრივად შექმნა ახალი ნორმა**, რომელმაც გააიოლა კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება. ამით საქმე გვაქვს სამოსამართლო სამართლის ქმნილებასთან, რომელიც შესაძლოა სამეწარმეო საზოგადოებათა დირექტორების წინააღმდეგ მნიშვნელოვანი სასამართლო პროცესების დასაბამი გახდეს.

2. სასამართლომ უარი თქვა დირექტორისაგან ზიანის ანაზღაურების დასაფუძნებლად სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის, ე.ი. დელიქტური პასუხისმგებლობის გამოყენებაზე.

3. უზენაესი სასამართლოს აზრით, კანონის ფარგლებში მოქმედების მოვალეობა წარმოადგენს ზრუნვის მოვალეობის შემადგენელ შიდა ვალდებულებას. კერძოდ, „კომპანიის ხელმძღვანელების მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, განსაკუთრებით კორუფციული ქმედებები, დირექტორთა საჯარო ვალდებულებებს, რომ იმოქმედონ კანონის ფარგლებში, გარდაქმნის კომპანიის წინაშე ზრუნვის მოვალეობის შემადგენელ შიდა ვალდებულებად“.

<sup>8</sup> დირექტორების წინააღმდეგ მიმართულ პროცესებში მტკიცების ტვირთის საკითხი ნახეთ: *ჭანტურია ლ.*, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, გამომც. „სამართალი“, 2006, 455-463.

4. უზენაესმა სასამართლოს შემოიღო ახალი ცნება „**ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმფცია**“, რომელსაც ქართული სამართალი აქამდე არც ნორმატიულ და არც სამოსამართლო სამართლის დონეზე არ იცნობდა. გადაწყვეტილებები შეიცავს ამ პრეზუმფციის დაკონკრეტებისა და მის საფუძველზე დირექტორების პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მცდელობას.

5. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.6 მუხლის შინაარსი და მის თანახმად დირექტორთა პასუხისმგებლობის საფუძველების ანალიზი არ იძლევა პასუხისმგებლობის იმ შემადგენლობას, რომელიც საზოგადოების კრედიტორს (სახელმწიფოს) დირექტორებისაგან ზიანის პირდაპირი მოთხოვნის შესაძლებლობას მიანიჭებდა. „მეწარმეთა შესახებ“ ქართული კანონი ამგვარ შესაძლებლობას არ იცნობს.

6. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის ანალიზი იძლევა იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მოსარჩელის მოთხოვნა საზოგადოების დირექტორებისაგან გადასახადების დამალვით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ დასაბუთებულია. 992-ე მუხლი არ ითვალისწინებს რაიმე დათქმას ან პირობას, რომელიც გამორიცხავს შემოსავლების სამსახურის მიერ დირექტორებისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

## ლადო ჭანტურია\*

პარტნიორის პასუხისმგებლობა საზოგადოების საგადასახადო დარღვევისათვის - სამოსამართლო სამართალში გამჭოლი პასუხისმგებლობის დამკვიდრების მცდელობა

საქმე №ას-1307-1245-2014 და საქმე №ას-1158-1104-2014\*\*

### შესავალი

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2015 წლის 6 მაისს მიიღო ორი გადაწყვეტილება, რომლებშიც კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისათვის კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორების პირადი პასუხისმგებლობა დაადგინა (საქმე Nას-1307-1245-2014 და საქმე Nას-1158-1104-2014).

სასამართლომ მეწარმეთა შესახებ კანონის 3.6 მუხლის საფუძველზე დააკონკრეტა „პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენება“. ასეთად მან ჩათვალა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის მიერ საზოგადოების ხელმძღვანელობა და ისეთი საქმიანობის განხორციელება, „რომელიც მიზნად ისახავს გადასახადებისაგან თავის არიდებას, ანუ როცა საზოგადოება პარტნიორის მიერ გამოიყენება არადეკლარირებული შემოსავლის მაგენერირებელი წყაროს დანიშნულებით“.

სასამართლოს ორივე გადაწყვეტილება ეხება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებათა როგორც პარტნიორების, ისე დირექტორების პასუხისმგებლობას საზოგადოების კრედიტორების, ამ შემთხვევაში სახელმწიფოს, წინაშე. ვინაიდან დირექტორების პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლები განსხვავდება პარტნიორების გამჭოლი პასუხისმგებლობის საფუძვლებისაგან, ის ამ კვლევაში არ იქნება განხილული, თუმცა საერთაშორისო პრაქტიკაში გამჭოლი პასუხისმგებლობის ყველაზე გავრცელებული შემთხვევები სწორედ ერთი და იგივე პირის პარტნიორად და დირექტორად გამოსვლის შემთხვევას უკავშირდება.<sup>1</sup> განსახილველ დავაშიც პარტნიორიც და დირექტორიც ერთი და იგივე პირები არიან.

სასამართლომ დაადგინა, რომ პარტნიორი საზოგადოების მიერ გადასახადების დამალვისათვის სახელმწიფოს წინაშე პირდაპირ აგებს პასუხს, თუკი (1) „საზოგადოება პარტნიორის მიერ გამოიყენება არადეკლარირებული შემოსავლის მაგენერირებელი წყაროს დანიშნულებით“ და (2) საზოგადოების ქონება არ არის საკმარისი კრედიტორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

გადაწყვეტილებები საგულისხმოა იმ თვალსაზრისითაც, რომ სასამართლომ პარტნიორის პასუხისმგებლობა დააფუძნა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 3.6 მუხლზე,

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, მრავალჯობის საპატიო დოქტორი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე.

\*\* საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებები.

<sup>1</sup> მაგალითად, Merkt H., Göthel S.R., US-amerikanisches Gesellschaftsrecht, 2., Aufl. 2006, Rn. 385.

დააკონკრეტა პარტნიორის მიერ „პასუხისმგებლობის შეზღუდვის ბოროტად გამოყენების“ ზოგადი დებულება და ამით შექმნა ე.წ. „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ გამოყენების პირველი ქართული პრეცედენტი. იმავდროულად, სასამართლომ უარი თქვა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის, ე.ი. დელიქტური პასუხისმგებლობის გამოყენებაზე. საყურადღებოა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის გამოყენების საკითხიც, ვინაიდან ამ მუხლზე დაყრდნობით სასამართლომ არ ჩათვალა სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით დადგენილი გარემოებები გამოკვლევის გარეშე უტყუარად დამტკიცებულად და ის მიიჩნია მხოლოდ ერთ-ერთ მტკიცებულებად.

### **საქმის ფაქტობრივი გარემოებები**

სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორებს, რომელთაგან ერთ-ერთი საზოგადოების დირექტორს წარმოადგენს, მსჯავრი დაედოთ განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადების განზრახ თავის არიდებისათვის. საგადასახადო შემოწმების შედეგად და განაჩენით დადგინდა, რომ პარტნიორები და დირექტორები საზოგადოებას იყენებდნენ არადეკლარირებული შემოსავლის მაგენერირებელი წყაროს დანიშნულებით, რის გამოც საზოგადოებას დაეკისრა გარკვეული თანხის გადახდა. სახელმწიფო, როგორც კრედიტორი, სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ სახით, მოითხოვს პარტნიორებისა და დირექტორისგან სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე, სახელმწიფოსათვის გადასახადების დამალვით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

დავის საგანია შემდეგი: ეკისრებათ თუ არა საზოგადოების (კომპანიის) პარტნიორებსა და დირექტორს პირდაპირ და უშუალოდ, მთელი მათი ქონებით პასუხისმგებლობა საზოგადოების საგადასახადო ვალდებულებებისათვის იმ შემთხვევაში, თუ დადასტურებულია, რომ საზოგადოებას არ შეუძლია აღნიშნული გადაწყვეტილებების შესრულება? უფლებამოსილია თუ არა შემოსავლების სამსახური მოითხოვოს მათგან საზოგადოების საგადასახადო ვალდებულებების ანაზღაურება და რა საფუძველით?

### **სასამართლოს არგუმენტები**

სასამართლოს აზრით, საზოგადოების ვალდებულებისათვის საზოგადოების კრედიტორის წინაშე პასუხისმგებლობის დასაფუძნებლად გამოყენებულ უნდა იქნეს ე.წ. „გამჭოლი პასუხისმგებლობა“. ეს უნდა მოხდეს მაშინ, როცა სახეზეა პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენება, კერძოდ, როცა შპს-ის პარტნიორი საზოგადოებაში უშუალოდ ხელმძღვანელობს და ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს გადასახადებისაგან თავის არიდებას, ანუ როცა საზოგადოება პარტნიორის მიერ გამოიყენება არადეკლარირებული შემოსავლის მაგენერირებელი წყაროს დანიშნულებით.

- *პასუხისმგებლობა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე*

მოსარჩელე საზოგადოების პარტნიორებისაგან ზიანის ანაზღაურებას ითხოვს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით დადგენილია, რომ პარტნიორებმა განზრახ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, რაც გამოიხატა განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადებისაგან თავის არიდებაში, ზიანი მიაყენეს სახელმწიფოს. აღსანიშნავია, რომ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა მოსარჩელის მოთხოვნა დააკმაყოფილეს 992-ე მუხლის საფუძველზე.

უზენაესი სასამართლოს აზრით, შემოსავლების სამსახურის მოთხოვნის საფუძველი არის არა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი, არამედ მეწარმეთა შესახებ კანონის 3.6 მუხლი, რომელიც საზოგადოების კრედიტორებს უფლებას ანიჭებს, საზოგადოების პარტნიორების მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურება მოითხოვონ პირდაპირ ამ პარტნიორისგან - „გამჭოლი პასუხისმგებლობა“.

მართალია, უზენაესმა სასამართლომ განსახილველ დავაში „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ შემადგენლობის ნიშნებს მიანიჭა უპირატესობა, 992-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტური პასუხისმგებლობის სრულად გამორიცხვა მაინც დასაფიქრებელია. პირველი, მოპასუხემ ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რადგან მან დაარღვია დამცავი კანონი, როგორცაა საგადასახადო კოდექსი და სისხლის სამართლის კოდექსი; მეორე, მიზეზობრივი კავშირი დამცავი კანონის დარღვევასა და დამდგარ ზიანს შორის დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით; მესამე, დადგენილია, რომ ზიანი გამოიწვია პარტნიორების (მოპასუხეების) მართლსაწინააღმდეგო მოქმედებამ; მეოთხე, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 3.6 მუხლის მიხედვით, პასუხისმგებლობის სუბიექტი შეიძლება იყოს პარტნიორიც.

შუალედური დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 992-ე მუხლის მიხედვით არ არის საფუძველს მოკლებული.

*- პასუხისმგებლობა მეწარმეთა შესახებ კანონის 3.6 მუხლის საფუძველზე*

უზენაესმა სასამართლომ უპირატესობა მიანიჭა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 3.6 მუხლს, რომელიც საზოგადოების კრედიტორების წინაშე საზოგადოების პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის, ე.ი. „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ შესაძლებლობას ითვალისწინებს.

„გამჭოლი პასუხისმგებლობის“ საერთაშორისოდ გავრცელებული შემადგენლობებიდან სასამართლომ გამოყო გადასახადებიდან თავის არიდების შემთხვევა, როცა საზოგადოების პარტნიორების საქმიანობა მიმართულია გადასახადებისაგან თავის არიდების სქემების შექმნისაკენ და საზოგადოება გამოიყენება როგორც გადასახადებისაგან თავის არიდების ინსტრუმენტი. „ალტერ ეგოს“ სახელით ცნობილი დარღვევების ეს ჯგუფი ყველაზე ახლოს დგას განსახილველ შემთხვევასთან. ამ დარღვევების მიზანი არის კანონის გვერდის ავლით საზოგადოების გამოყენება ისეთი

მიზნებისათვის, რაც პარტნიორებს კანონით აკრძალული აქვთ.<sup>2</sup> უფრო კონკრეტულად, საუბარია იმაზე, საზოგადოების მოქმედება გამოწვეულია თუ არა პარტნიორების აქტიურობითა და ზემოქმედებით.

უზენაესი სასამართლოს აზრით, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 3.6 მუხლის დებულება „პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენების შესახებ“ ფართოდ უნდა განიმარტოს და ბოროტად გამოყენებად ჩაითვალოს, როცა შპს-ის პარტნიორი ... საზოგადოებას იყენებს არადეკლარირებული შემოსავლის მაგენერირებელი წყაროს დანიშნულებით. ამ დროს წარმოშობილი ზიანისათვის პარტნიორს, 3.6 მუხლის საფუძველზე, შეიძლება საზოგადოების კრედიტორების წინაშე დაეკისროს პასუხისმგებლობა.

სასამართლოს მსჯელობა პასუხისმგებლობის საფუძველად 3.6 მუხლის გამოყენებისა და პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენების დაკონკრეტებასთან დაკავშირებით დასაბუთებულია. ამით სასამართლომ ძალიან საინტერესო და სასარგებლო პრეცედენტი შექმნა. იმავდროულად, სასამართლოს შეეძლო 3.6 მუხლი სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლთან კავშირში განეხილა.

- სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის მნიშვნელობა

უზენაესმა სასამართლომ, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებისაგან განსხვავებით, სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით დადგენილი ზიანის მიყენების ფაქტი არ მიიჩნია საკმარისად პარტნიორისა და დირექტორზე სადავო ვალდებულების უპირობოდ დაკისრებისათვის. სასამართლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის ვიწრო ინტერპრეტაციის საფუძველზე, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენი სამოქალაქო სამართალწარმოებისას წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ მტკიცებულებას და იგი საჭიროებს შეფასებას სხვა მტკიცებულებებთან ერთად.

უზენაესი სასამართლო დიფერენცირებულად უდგება სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენის სამოქალაქო სამართალწარმოებაში გამოყენების საკითხს. კერძოდ, თუკი მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი იქნებოდა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი, მაშინ განაჩენით დადგენილ ზიანის მიყენების ფაქტს ექნებოდა პრეიუდიუციური მნიშვნელობა. მაგრამ რადგან ამ შემთხვევაში მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი „მეწარმეთა კანონის“ 3.6 მუხლია, განაჩენით დადგენილ ზიანის მიყენების ფაქტს უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთ-ერთი მტკიცებულების მნიშვნელობა. ვფიქრობ, რომ ამგვარი დიფერენცირება არ არის დამაჯერებელი, ვინაიდან ორივე შემთხვევაში (როგორც 992-ე, ისე 3.6 მუხლის დროს) საუბარია სამოქალაქო სამართალწარმოებაზე, რომელშიც სისხლის სამართლის განაჩენით დადგენილი ფაქტები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>17</sup> მუხლისა და 309<sup>20</sup> მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დადგენილად უნდა იქნეს მიჩნეული.

---

<sup>2</sup> იხილეთ ამერიკული სასამართლო პრეცედენტების მიმოხილვა: Merkt H., Göthel S.R., US-amerikanisches Gesellschaftsrecht, 2., Aufl. 2006, Rn. 394.

*- მტკიცების ტვირთი*

სასამართლოს აზრით, პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს.

რადგან სასამართლო სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით დადგენილ ფაქტებს საკმარისად არ მიიჩნევს, მოსარჩელეს მოუწევს დამატებითი მტკიცებულებების წარდგენა, რაც გარკვეულწილად დისონანსში შეიძლება მოვიდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>17</sup> მუხლისა და 309<sup>20</sup> მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსთან.

*- სოლიდარული თუ სუბსიდიური პასუხისმგებლობა*

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც გამჭოლი პასუხისმგებლობის პრობლემას უკავშირდება და რასაც სასამართლო აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ცალკე გამოყოფს, არის პარტნიორის პასუხისმგებლობის ფორმა. კერძოდ, გასარკვევია საკითხი, აგებს პარტნიორი საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს სუბსიდიურად თუ სოლიდარულად?

უზენაესი სასამართლო არ დაეთანხმა მოსარჩელის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საზოგადოების პარტნიორისა და დირექტორის პასუხისმგებლობა საზოგადოების ვალდებულებების მიმართ კომპანიასთან ერთად სოლიდარულია. მეწარმეთა შესახებ კანონის 3.6 მუხლის განმარტების საფუძველზე სასამართლო მიიჩნევს, რომ პარტნიორების პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე სუბსიდიურია. აღსანიშნავია ისიც, რომ სააპელაციო სასამართლომ მხარი დაუჭირა პარტნიორის სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპს და მხოლოდ იმის გამო, რომ ამ ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით არ ყოფილა გასაჩივრებული, ის დარჩა უცვლელი. აქედან გამომდინარე, უზენაესმა სასამართლომ პასუხისმგებლობის საკითხი განიხილა მხოლოდ საურავის ნაწილში და პარტნიორსა და დირექტორს მხოლოდ სუბსიდიური პასუხისმგებლობა დააკისრა.

მიუხედავად იმისა, რომ უზენაესმა სასამართლომ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში პასუხისმგებლობის ფორმის საკითხს ვრცელი მსჯელობა მიუძღვნა და მეტად საყურადღებო არგუმენტებიც წარმოადგინა, მიზანშეწონილია ყურადღების გამახვილება მეწარმეთა შესახებ კანონის 3.6 მუხლის ისტორიულ ანალიზზე. დღეს მოქმედი 3.6 მუხლის შინაარსს კანონის თავდაპირველი რედაქცია 3.4 მუხლში განამტკიცებდა და მაშინდელ 3.2 მუხლზე მითითებით საზოგადოების კრედიტორების წინაშე პარტნიორების სოლიდარულ პასუხისმგებლობას განამტკიცებდა. 1999 წლის ცვლილების შემდეგ მითითება 3.2-ე მუხლზე, როგორც პარტნიორების სოლიდარული პასუხისმგებლობის დამფუძნებელ მუხლზე, ამოღებულ იქნა. ამან წარმოშვა პასუხისმგებლობის ფორმის საკითხში გაუგებრობა, რომლის აღმოფხვრასაც უზენაესი სასამართლო შეეცადა.

მართალია, უზენაესი სასამართლო პარტნიორისა და დირექტორის სუბსიდიური პასუხისმგებლობისკენ იხრება, ვფიქრობ, რომ მათი პასუხისმგებლობა უფრო სოლიდარულია შემდეგი გარემოებების გამო. პირველი, მეწარმეთა შესახებ კანონი არ იცნობს პარტნიორების სუბსიდიური პასუხისმგებლობის ინსტიტუტს; მეორე, კრედიტორის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე კანონი უმეტეს შემთხვევაში

განამტკიცებს პარტნიორების სოლიდარულ პასუხისმგებლობას (მაგალითად, 2.2 და 3.3 მუხლები); მესამე, სისტემურად 3.6 მუხლი კვლავაც არის მეწარმეთა შესახებ კანონის მე-3 მუხლის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მხოლოდ სოლიდარულ პასუხისმგებლობას იცნობს; მეოთხე, კრედიტორის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეუწონელია საზოგადოების მიმართ გადახდევინებისა და აღსრულების ყველა პროცედურის უშედეგოდ გავლა და მხოლოდ ამის შემდეგ პარტნიორებისაგან ვალდებულების შესრულების მოთხოვნა.

იმ შემთხვევაში, თუკი პარტნიორის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე არის სოლიდარული, მაშინ უკვე აზრს კარგავს „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ გამოყენების მეორე წინაპირობა, რომელსაც უზენაესი სასამართლო ამ გადაწყვეტილებებში ავითარებს, კერძოდ, საზოგადოების გადახდისუუნარობა. პარტნიორების გამჭოლი პასუხისმგებლობის წინაპირობა არის არა საზოგადოების გადახდისუუნარობა, არამედ პარტნიორის მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენება, რამაც კრედიტორისათვის ზიანის მიყენება გამოიწვია.

### **გამჭოლი პასუხისმგებლობის საკანონმდებლო ევოლუცია ქართულ სამართალში**

როგორც ზემოთ აღინიშნა, კაპიტალური საზოგადოება (კომპანია), ჩვეულებრივ, საზოგადოების კრედიტორის წინაშე წარმოშობილი ვალდებულებისათვის პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით და საზოგადოების პარტნიორებს ამ ვალდებულებისათვის პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ. ამ ზოგად დებულებას განამტკიცებს „მეწარმეთა შესახებ“ კანონი, მაგალითად, 44.1 და 51.1 მუხლებში. ამ ზოგადი წესიდან არსებობს გამონაკლისი „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ სახით.

იმ ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, რომელთა საკორპორაციო სამართალშიც საზოგადოების პარტნიორების ე.წ. „გამჭოლი პასუხისმგებლობა“ საზოგადოების კრედიტორების წინაშე სამოსამართლო სამართლის საფუძველზე წარმოიშვა, მეწარმეთა შესახებ კანონმა მოახდინა ამ ინსტიტუტის კოდიფიკაცია. აქედან გამომდინარე, გამჭოლი პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი ქართული საკორპორაციო სამართლისათვის უცხო არ არის. აღსანიშნავია ისიც, რომ „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ შემადგენლობის ნიშნები ბევრჯერ შეიცვალა, რაც აიხსნება იმით, რომ იურიდიული პირებისა და სამეწარმეო საზოგადოებების შეზღუდული პასუხისმგებლობის ტრადიციული გაგებიდან გამომდინარე, ქართულ სამართალში ეს ინსტიტუტი ხშირად იყო დისკუსიების საგანი. „გამჭოლი პასუხისმგებლობა“ რელევანტურია მხოლოდ კაპიტალური ტიპის საზოგადოებებისათვის, როგორცაა შპს, სს ან კოოპერატივი ანდა კომანდიტის (შეზღუდული პარტნიორის) პასუხისმგებლობა კომანდიტურ საზოგადოებაში. ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებში სპს-ის პარტნიორისა და კს-ის კომპლემენტარებისათვის საზოგადოების კრედიტორების წინაშე პირდაპირი პასუხისმგებლობა ჩვეულებრივი საკითხია („მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-20 და 34-ე მუხლები).

კანონის 1994 წლის 28 ოქტომბერს მიღებული რედაქციის<sup>3</sup> 3.6 მუხლის თანახმად, საზოგადოების პარტნიორები საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებდნენ უშუალოდ, „თუ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმები ბოროტად იქნა გამოყენებული. ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოების ქონების შერევა სხვა ქონებასთან ან საწარმოს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი კაპიტალის არასრული ფორმირება“.

1999 წლის 9 ივნისის კანონით შეიცვალა გამჭოლი პასუხისმგებლობის შემადგენლობის ნიშნები და აქცენტი გაკეთდა ქონების სათანადო აღრიცხვაზე. ეს იყო რეაქცია იმ მახინჯ პრაქტიკაზე, რომელიც საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შესატანის განხორციელებასთან დაკავშირებით წარმოიშვა.<sup>4</sup> ამ ცვლილებით პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენებად ჩაითვალა, „თუ არ იქნა უზრუნველყოფილი საბუღალტრო წიგნების ისეთი წარმოება, საიდანაც ცალსახად გამომდინარეობს, თუ რომელი ქონება ეკუთვნის და რა ვალდებულებები აკისრია საზოგადოებას და რომელი - არა“.<sup>5</sup>

2008 წლის 14 მარტის კანონმა გამჭოლი პასუხისმგებლობის კონკრეტული შემადგენლობა შეცვალა ზოგადი აბსტრაქტული დებულებით, კერძოდ, პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენებით და მისი დაკონკრეტება სამოსამართლო სამართალს მიანდო. 3.6 მუხლის ამჟამად მოქმედი რედაქციის თანახმად, „კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს“.<sup>6</sup>

ამრიგად, უზენაესი სასამართლოს ზემოთ ნახსენები გადაწყვეტილებები „პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენების“ დაკონკრეტებას და ამით „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ სამოსამართლო სამართლით დამკვიდრების პირველ თვალსაჩინო მცდელობას წარმოადგენს.

### გამჭოლი პასუხისმგებლობის შედარებითსამართლებრივი ანალიზი

ისტორიულად გამჭოლი პასუხისმგებლობა (Piercing the Corporate Veil) ამერიკის საკორპორაციო სამართალში, კერძოდ კი მის სამოსამართლო სამართალში წარმოიშვა და დღემდე პრეცედენტულ სამართლად რჩება. გამონაკლისია ტექსასის შტატი, რომელმაც მოახდინა გამჭოლი პასუხისმგებლობის კოდიფიკაცია.<sup>7</sup> მართალია, კორპორაციისა და მისი პარტნიორების ქონებისა და პასუხისმგებლობის გამიჯვნის საკითხი ამერიკული

<sup>3</sup> საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994, NN 21-22, მუხ. 455.

<sup>4</sup> იხ. *ჭანტურია ლ., ნინიძე თ.*, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-3 გამოცემა, გამომც. „სამართალი“, 2003, 64-65.

<sup>5</sup> საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (სსმ), I, 1999, N 24, მუხ. 110, ამოქმედდა 01.09.1999.

<sup>6</sup> საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი N5913-სსმ I, N7, 26.03.2008 წ., მუხ. 33.

<sup>7</sup> Art. 2.21 Texas Business Corporation Act (1997).

საკორპორაციო სამართლის ფუნდამენტია,<sup>8</sup> მაგრამ ყველგან, სადაც ხდება პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენება, თითქმის გარდაუვალია პარტნიორებისათვის გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრება და კორპორაციული საფარველიდან გაღწევა.<sup>9</sup> იმავდროულად აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ პრაქტიკულად არ ხდება გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრება ღია კორპორაციების აქციონერებისათვის.<sup>10</sup> ამიტომ საზოგადოების კრედიტორების წინაშე პარტნიორების პასუხისმგებლობა უმთავრესად გამოიყენება დახურულ კორპორაციებში, ე.ი შპს-ებში, რომლებშიც პარტნიორების მონაწილეობა კორპორაციის მენეჯმენტში და, შესაბამისად, გავლენა საზოგადოებაზე არსებითია, როგორც წესი, ეს ხდება ერთი პირის კორპორაციებში.<sup>11</sup> აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სწორედ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების პარტნიორთა მიმართ გამოიყენა გამჭოლი პასუხისმგებლობის ინსტიტუტი.

ამერიკულ სამოსამართლო სამართალში შემუშავებულია გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრების კრიტერიუმების საორიენტაციო ნუსხა, რომელიც 19 კითხვისაგან შედგება და რომელთა არსებობა პარტნიორების პასუხისმგებლობის წინაპირობაა. ეს კითხვები გამჭოლი პასუხისმგებლობის შემთხვევათა ცალკეულ ჯგუფებზე მიუთითებენ არაპირდაპირ:<sup>12</sup>

1. ხომ არ მოხდა კორპორაციისა და პარტნიორების ქონების აღრევა (commingling of funds and assets);

2. კორპორაციის ქონება ხომ არ იქნა პარტნიორების პირადი მიზნებისათვის გამოყენებული?

3. აქციების გამოშვებისა და განთავსების დროს დაცული იყო თუ არა კორპორაციული ფორმლობები და პროცედურული წესები?

4. კორპორაციის პარტნიორმა მესამე პირების წინაშე ხომ არ შექმნა იმის შთაბეჭდილება, რომ კორპორაციის ვალდებულებებისათვის ის პირადად აგებს პასუხს?

5. კორპორაციის საბუღალტრო საქმე სათანადოდ იყო თუ არა ნაწარმოები, ხოლო ბორდისა და პარტნიორთა კრებების ოქმები დადგენილი წესის დაცვით შედგენილი?

6. იმყოფებოდა თუ არა ორი ფორმალურად დამოუკიდებელი კორპორაციების ეკონომიკური საკუთრება ფაქტობრივად ერთი პირის ხელში?

7. იყვნენ თუ არა ერთი და იგივე დირექტორები ან აღმასრულებელი მენეჯერები სხვადასხვა კორპორაციებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე?

8. კომერციული რისკის გათვალისწინებით ჰქონდა თუ არა კორპორაციას საკმარისი კაპიტალი?

---

<sup>8</sup> *Kraakman R. R. (edit), The Anatomy of Corporate Law. A Comparative and Funcional Approach, Oxford, New York, 2004, 231.*

<sup>9</sup> *Presser, Piercing the Corporate Veil (2004).*

<sup>10</sup> განსხვავება ღია და დახურული ტიპის კორპორაციებს შორის იხილეთ: *ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ., გამომც. „სამართალი“, 2006, 78-80.*

<sup>11</sup> *იხ. Merkt H., Göthel S. R., US-amerikanisches Gesellschaftsrecht, 2., Aufl. 2006, Rn. 386.*

<sup>12</sup> დაწვრილებით ამ კითხვების ჩამონათვალი იხილეთ: *Merkt H., Göthel S. R., US-amerikanisches Gesellschaftsrecht, Rn. 382.*

9. არსებობდა თუ არა პარტნიორის ქონებისაგან განცალკევებული კორპორაციის ქონება?

10. კორპორაცია ხომ არ იყო გამოყენებული ფიზიკური ან იურიდიული პირის კერძო საქმეების ან საქმეთა ნაწილის საფარველად (shell, conduit)?

11. იმყოფებოდა თუ არა ყველა წილი (აქცია) ერთი პირის ან ერთი ოჯახის ხელში?

12. იყენებდნენ თუ არა კორპორაცია და პარტნიორები ერთი და იმავე ფილიალებს ან წარმომადგენლობებს?

13. ყავდათ თუ არა კორპორაციას და პარტნიორებს ერთი იგივე თანამშრომლები ან ადვოკატები?

14. საზოგადოებას ხომ არ მიეწოდა არასრული ან არასწორი მონაცემები საკუთრების, მენეჯმენტის ან ფინანსური დაინტერესების შესახებ? ხომ არ იყო არაუზრუნველყოფილი სესხები დაფარული?

15. ხომ არ იქნა უგულებელყოფილი აფილირებული საწარმოების ეკონომიკური დამოუკიდებლობის წესები უგულებელყოფილი?

16. კორპორაცია მხოლოდ იმ მიზნით ხომ არ იყო გამოყენებული, რომ სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირებისათვის სამუშაო, მომსახურება ან საქონელი მიეწოდებინათ?

17. კორპორაციის კრედიტორების საზიანოდ ხომ არ იქნა კორპორაციის ქონება პარტნიორებისა ან მესამე პირებისათვის გადანაწილებული?

18. სხვადასხვა საწარმოებს შორის აქტივები და პასივები იმგვარად ხომ არ იქნა გადანაწილებული, რომ საწარმოებს მხოლოდ აქტივები ან მხოლოდ პასივები ერგოთ?

19. კორპორაცია სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის ვალების საკუთარ თავზედ ასაღებად ხომ არ დაფუძნდა?

ამ კითხვებს მხოლოდ საორიენტაციო ხასიათი აქვთ, თუმცა მოიცავენ ყველა იმ პრობლემას ან შემთხვევას, რომელთა არსებობისას პარტნიორთა გამჭოლი პასუხისმგებლობა გამოიყენება. შესაბამისად, ამ შემთხვევების უფრო საფუძვლიანი შესწავლა უდავოდ შეუწყობს ხელს გამჭოლი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის უფრო ფართოდ გამოყენებას სამოსამართლო სამართალში.

### **სასამართლო გადაწყვეტილებათა რამდენიმე სიახლე**

გარდა იმისა, რომ უზენაესმა სასამართლომ „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ გამოყენების ფრიად საინტერესო და საყურადღებო პრეცედენტი შექმნა, გადაწყვეტილებები საგულისხმოა სხვა ასპექტითაც.

#### *- საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენება*

გადაწყვეტილების დასაბუთებისას სასამართლო უთითებს გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების საერთაშორისო პრაქტიკაზე და საკუთარი არგუმენტაციის გასამყარებლად ეყრდნობა სხვა ქვეყნების გამოცდილებას. თუმცა ეს მიმზიდველად გამოიყურება, ამგვარი მიდგომა უდავო როდია. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძებნა უნდა მოხდეს ეროვნული სამართლის საფუძველზე და არა სხვა ქვეყნების საკანონმდებლო ნორმების ან სამოსამართლო სამართალზე

დაყრდნობით. მით უფრო, რომ მეწარმეთა შესახებ კანონი პასუხისმგებლობის სამართლებრივ საფუძველს 3.6 მუხლის სახით შეიცავს. პროცესის მონაწილეთა მოლოდინი არის დავის გადაწყვეტა მოქმედი სამართლის საფუძველზე და არა სხვა ქვეყნების პრეცედენტების მიხედვით, თუკი ეს პრეცედენტები მოცემულ ქვეყანაში არ არის სავალდებულო.

საზოგადოდ, შედარებითსამართლებრივი კვლევები სასამართლო გადაწყვეტილებების მომზადებისას ფართოდ გამოიყენება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს საერთაშორისო კერძო სამართლებრივი დავების განხილვისას, როცა გამოსაყენებელი ქვეყნის სამართალი სწორედ ამგვარი კვლევისა და კვალიფიციური დასკვნების შედგენის საფუძველზე შეიძლება მომზადდეს. მაგრამ მათზე მითითება თვით სასამართლო გადაწყვეტილების ტექსტში არ არის გავრცელებული. მაგალითად, ამერიკული *Business Judgement Rule* საფუძვლად დაედო გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს ერთ-ერთ ცნობილ გადაწყვეტილებას, თუმცა თვით გადაწყვეტილების ტექსტში მასზე მითითება არ ყოფილა.<sup>13</sup> წამყვანი მართლწესრიგების სამოსამართლო სამართლის სულისკვეთებისა და არგუმენტების გამოყენება არ არის უცხო თანამედროვე სამართალში, თუმცა მასზე მითითება სასამართლოს ოფიციალურ დოკუმენტებში მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ხდება.

სასამართლო გადაწყვეტილებებში სასამართლო პრეცედენტების გამოყენება და ციტირება მნიშვნელოვანია, თუმცა როგორც წესი, ამ დროს ხდება ნაციონალური სასამართლოების გადაწყვეტილებათა ციტირება. საერთაშორისო არბიტრაჟების პრაქტიკაში მიღებულია პრეცედენტული გადაწყვეტილებების ციტირების პრაქტიკა.

#### - ლიტერატურის ციტირება

განსახილველი სასამართლო გადაწყვეტილებები ყურადღებას იპყრობს ლიტერატურის ციტირებითაც, რისი ტრადიციაც ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ბოლომდე დამკვიდრებული არ არის. სასურველი იყო ქართული ლიტერატურის გამოყენებაც, რადგან გადაწყვეტილებებში განსახილველ საკითხებზე ქართული სამეცნიერო პუბლიკაციები არსებობს.

ზოგიერთი ქვეყნის, როგორცაა მაგალითად გერმანია, გამოცდილება აჩვენებს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებებში ხშირად ხდება მნიშვნელოვანი სამეცნიერო პუბლიკაციები ციტირება, რაც უდავოდ უწყობს ხელს სასამართლოს საქმიანობასა და იურიდიულ მეცნიერებას შორის კავშირის გაღრმავებას. ამიტომ უზენაესი სასამართლოს ეს სიახლე მისასალმებელია, თუკი უფრო მეტად მოხდება ქართული იურიდიული ლიტერატურის ციტირება.

#### - ტერმინოლოგიური სიახლეები

გადაწყვეტილებები გამოირჩევა ტერმინოლოგიური სიახლეებითაც, რომლებიც ალბათ ქართულ სამართალში დაიმკვიდრებენ თავის ადგილს. საყურადღებოა ისეთი

---

<sup>13</sup> ARAG/Garmenbeck-Entscheidung des BGH: <[https://www.jurion.de/Urteile/BGH/1997-04-21/II-ZR-175\\_95](https://www.jurion.de/Urteile/BGH/1997-04-21/II-ZR-175_95)> .

გამოთქმები, როგორც „ზიანი, როგორც სამართლებრივად დასაძრახი დანაკლისი“, „კორპორაციული საფარვლის გაჭოლვა“, „არაადეკვატური კაპიტალიზაცია“, „ალტერ ეგო“.

2008 წლის 14 მარტის კანონით „მეწარმეთა შესახებ“ კანონში სამეწარმეო საზოგადოებათა საწარმოების სინონიმად დამკვიდრდა კომპანიის ცნება.<sup>14</sup> ამ ტერმინოლოგიურმა სიახლემ ასახვა ჰპოვა განსახილველ გადაწყვეტილებაში. მიუხედავად ამისა, თვალშისაცემია, რომ ეს ტექსტში არცთუ იშვიათად „საზოგადოებას“ და „კომპანიას“ შორის ტერმინოლოგიურ არათანმიმდევრობას იწვევს.

## დასკვნითი დებულებები

1. აღნიშნული გადაწყვეტილებებით სასამართლომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 3.6 მუხლის საფუძველზე დააკონკრეტა „პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენება“. ასეთად მან ჩათვალა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის მიერ საზოგადოების ხელმძღვანელობა და ისეთი საქმიანობის განხორციელება, „რომელიც მიზნად ისახავს გადასახადებისაგან თავის არიდებას, ანუ როცა საზოგადოება პარტნიორის მიერ გამოიყენება არადეკლარირებული შემოსავლის მაგენერირებელი წყაროს დანიშნულებით“.

2. გადაწყვეტილებები საგულისხმოა იმ თვალსაზრისითაც, რომ სასამართლომ პარტნიორის პასუხისმგებლობა დააფუძნა მეწარმეთა შესახებ კანონის 3.6 მუხლზე, დააკონკრეტა პარტნიორის მიერ „პასუხისმგებლობის შეზღუდვის ბოროტად გამოყენების“ ზოგადი დებულება და ამით შექმნა ე.წ. „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ გამოყენების პირველი ქართული პრეცედენტი. იმავდროულად, სასამართლომ უარი თქვა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის, ე.ი. დელიქტური პასუხისმგებლობის გამოყენებაზე.

3. უზენაესმა სასამართლომ, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებისაგან განსხვავებით, სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით დადგენილი ზიანის მიყენების ფაქტი არ მიიჩნია საკმარისად პარტნიორისა და დირექტორისათვის სადავო ვალდებულების უპირობოდ დაკისრებისათვის. სასამართლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის ვიწრო ინტერპრეტაციის საფუძველზე, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენი სამოქალაქო სამართალწარმოებისას წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ მტკიცებულებას და იგი საჭიროებს შეფასებას სხვა მტკიცებულებებთან ერთად.

4. უზენაესი სასამართლო საზოგადოების პარტნიორის პასუხისმგებლობას საზოგადოების კრედიტორების წინაშე სუბსიდიურ პასუხისმგებლობად აფასებს, თუმცა ნორმებისა და არსებული პრაქტიკის ნაღიზის საფუძველზე შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ეს პასუხისმგებლობა არის სოლიდარული.

5. განსახილველი სასამართლო გადაწყვეტილებები ყურადღებას იპყრობს ლიტერატურის ციტირებითაც, რისი ტრადიციაც ქართულ სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული არ არის. სასურველი იყო ქართული ლიტერატურის გამოყენებაც,

---

<sup>14</sup> საქართველოს 2008 წლის 14 მარტის კანონი №5913 - სსმ I, №7, 26.03.2008წ., მუხ.33

რადგან გადაწყვეტილებებში განსახილველ საკითხებზე ქართული სამეცნიერო პუბლიკაციები არსებობს.

6.გადაწყვეტილებები გამოირჩევა ტერმინოლოგიური სიახლეებითაც, რომლებიც ალბათ ქართულ სამართალში დაიმკვიდრებენ თავის ადგილს: „ზიანი როგორც სამართლებრივად დასაძრახი დანაკლისი“, „კორპორაციული საფარვლის გაქოლვა“, „არაადეკვატური კაპიტალიზაცია“, „ალტერ ეგო“.

## საერთაშორისო სამოქალაქო პროცესი საარბიტრაჟო სამართალი

გიორგი ცერცვაძე\*

საქმე # 2b/1637-11\*\*

[შიდა (ადგილობრივი) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება] საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება. საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმა და შინაარსი; არბიტრაჟის კომპეტენცია. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების res judicata ეფექტი ნორმები

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით, „საარბიტრაჟო დათქმა არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე“; ამავე მუხლის მე-2 პუნქტით „საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება დაიდოს ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმის ან ცალკე შეთანხმების ფორმით“, ხოლო მე-3 პუნქტით „საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით“. ამავე კანონის მე-7 პუნქტით „ხელშეკრულებაში არსებული მითითება ნებისმიერ დოკუმენტზე, რომელიც მოიცავს საარბიტრაჟო დათქმას, არის წერილობითი ფორმის საარბიტრაჟო შეთანხმება, თუ ამგვარი მითითება აღნიშნულ დათქმას ხდის ხელშეკრულების ნაწილად“.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლი

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველი ნაწილის „ ბ“ პუნქტით სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს რომ ა) საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო დავის საგანი; ბ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლი

დავის ამა თუ იმ ფორმით დასრულების შემდეგ მხარეებს და მათ უფლებამონაცვლეებს არ უნდა შეეძლოთ ხელახალი დავა წამოიწყონ იმავე მოთხოვნებით,

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ჯეი ენდ თი ქონსალთინგის მმართველი პარტნიორი, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის აკადემიური დირექტორი.

\*\* თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 26 ივლისის განჩინება.

*იმავე საფუძვლებით და სადავო გახადონ ერთხელ უკვე დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობები.*

## **ფაქტები**

2007 წლის 10 იანვარს საფეხბურთო კლუბ ზ-სა და ფეხბურთელ გ. ჭ-ას შორის გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება სამი წლის ვადით. 2008 წლის ოქტომბრის თვეში შეწყდა მხარეებს შორის ხელშეკრულება მათ შორის მომხდარი უთანხმოების გამო.

2011 წლის 11 იანვარს გ. ჭ-ამ მიმართა შპს "საფეხბურთო დავების განმხილველ სპორტულ არბიტრაჟს" მოპასუხე, შპს „საფეხბურთო კლუბი ზ-ი“-ის მიმართ და მოითხოვა, საფეხბურთო კლუბი „ზ-ათვის" ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისათვის კომპენსაციის სახით 29 000 ლარისა და საარბიტრაჟო შენატანის 725 ლარის დაკისრება.

შპს "საფეხბურთო დავების განმხილველი სპორტული არბიტრაჟის" 2011 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებით გ. ჭ-ას სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა. დაეკისრა საფეხბურთო კლუბ "ზ-ნ"-ს გ. ჭ-ას სასარგებლოდ 14.5 თვის კომპენსაციის 29 000 ლარის გადახდა, რაც იანგარიშება ხელშეკრულების გაწყვეტის თარიღიდან მისი მოქმედების ვადის გასვლამდე. დაეკისრა საფეხბურთო კლუბ "ზ-ნ"-ს გ. ჭ-ას სასარგებლოდ საარბიტრაჟო მოსაკრებლის 725 ლარის გადახდა.

2011 წლის 13 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საჩივრით (სარჩელით) მომართა შპს "საფეხბურთო კლუბი ზ-ი"-ს წარმომადგენელმა ო. გ-მა და მოითხოვა, შპს "საფეხბურთო დავების განმხილველი სპორტული არბიტრაჟის" 2011 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება.

## **მოსარჩელის არგუმენტაცია**

საჩივარში აღნიშნულია, რომ 2007 წლის 10 იანვარს შპს „საფეხბურთო კლუბი ზ-სა" და ფეხბურთელ გ. ჭ-ას შორის დაიდო შრომითი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მხარეთა შორის არსებული დავების განმხილველ ორგანოდ განისაზღვრა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია (სფფ). საჩივარის ავტორი შენიშნავს, რომ 2008-09 წლებში შპს "საფეხბურთო კლუბი ზ-სა" და გ. ჭ-ას შორის არსებული დავა განიხილა სფფ-ს ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერების კომისიამ, რომლის გადაწყვეტილებაც იმ პერიოდისათვის მოქმედი სფფ-ს წესდების შესაბამისად, კლუბმა გაასაჩივრა სფფ-ს აღმასკომში, რომელიც უფლებამოსილი იყო განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება. აღმასკომის გადაწყვეტილებით შპს "საფეხბურთო კლუბი ზ-ს" დაეკისრა 7000 ლარის გადახდა. კლუბმა ცნო გადაწყვეტილება და დავაც ამოიწურა.

საჩივრის ძირითადი დასაბუთება აგებულია მასზედ, რომ შპს „საფეხბურთო კლუბი ზ-სა" და ფეხბურთელ გ. ჭ-ას შორის არასოდეს გაფორმებულა საარბიტრაჟო შეთანხმება და არც ხელშეკრულებაში გაკეთებულა რაიმე სახის მითითება საარბიტრაჟო დათქმის შემცველ დოკუმენტზე. მიუხედავად ამისა, არბიტრაჟმა სარჩელი წარმოებაში მიიღო,

კლუბის ქვოტით თავად დანიშნა არბიტრი და შეუდგა საქმის განხილვას, ხოლო შპს „საფეხბურთო კლუბ ზ-მა“ იმთავითვე გააპროტესტა და უკანონოდ ცნო გ. ჭ-ას საარბიტრაჟო სარჩელთან დაკავშირებით არბიტრაჟის მიერ მიღებული აქტები და განხორციელებული პროცედურები.

### **უდავო ფაქტობრივი გარემოებები**

მხარეთა შორის სადავო არაა, რომ შპს „საფეხბურთო კლუბ ზ-სა“ და ფიზიკური პირ გ. ჭ-ას შორის სამართლებრივი ურთიერთობები წარმოიშვა 2007 წლის 10 იანვრის შრომის ხელშეკრულებით. ამ ხელშეკრულების მე-13 მუხლით "ნებისმიერი უთანხმოება მხარეთა შორის, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას კონტრაქტის შესრულების მსვლელობაში, ურთიერთშეთანხმებით უნდა გადაწყდეს. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ ახერხებენ შეთანხმებას, სადავო საკითხები განსახილველად გადაეცემა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, რომლის გადაწყვეტილებათა შესრულება მხარეთათვის სავალდებულოა".

ამდენად, მხარეთა ნების გამოხატვის შედეგად დავის განმხილველ დაწესებულებად მათ შორის 2007 წლის 10 იანვრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებზე განისაზღვრა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და არა რომელიმე კონკრეტული არბიტრაჟი.

### **გადაწყვეტილება**

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტით სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს რომ ა) საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო დავის საგანი; ბ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

მოცემულ საქმეში ადგილი აქვს ზემოხსენებული ნორმით განსაზღვრულ იმ შემთხვევას, როდესაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით, „საარბიტრაჟო დათქმა არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე“; ამავე მუხლის მე-2 მუხლით „საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება დაიდოს ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმის ან ცალკე შეთანხმების ფორმით“, ხოლო მე-3 პუნქტით "საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით". ამავე კანონის მე-7 პუნქტით „ხელშეკრულებაში არსებული მითითება ნებისმიერ დოკუმენტზე, რომელიც მოიცავს საარბიტრაჟო დათქმას, არის წერილობითი ფორმის საარბიტრაჟო შეთანხმება, თუ ამგვარი მითითება აღნიშნულ დათქმას ხდის ხელშეკრულების ნაწილად“.

ხელშეკრულების მოქმედების დროს მოქმედი რეგისტრირებული კავშირის „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ წესდების (რეგისტრირებული 2007 წლის 30 მაისს) მე-11 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით "სფფ-ის თითოეული წევრი ვალდებულია

მოთამაშებთან ან ოფიციალურ პირებთან გაფორმებული ნებისმიერი კონტრაქტით განსაზღვროს, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული ნებისმიერი სადავო საკითხი, რომელიც მოითხოვს გადაწყვეტას, დაექვემდებაროს მხოლოდ სფფ-სთან არსებულ საარბიტრაჟო ტრიბუნალს საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, რომელიც მოაგვარებს უთანხმოებას". მსგავს დებულებებს შეიცავს წესდების მე-12 მუხლიც.

პალატა შენიშნავს, რომ მოდავე მხარეთა შორის ხელშეკრულება 2007 წლის 10 იანვარს დაიდო, ხოლო წესდების ამ პუნქტის შემცველი რედაქცია მარეგისტრირებელმა ორგანომ რეგისტრაციაში გაატარა 2007 წლის 30 მაისს. ანუ ხელშეკრულების დადებისას ეს დებულება არ მოქმედებდა.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით პალატა დადგენილად მიიჩნევს იმას, რომ შპს "საფეხბურთო დავების განმხილველი სპორტული არბიტრაჟი", რომელმაც საბოლოოდ დავა მოაწესრიგა, შეიქმნა მხოლოდ 2010 წლის 22 დეკემბერს ანუ მხარეთა შორის ხელშეკრულების დადებისას და დავის წარმოშობისას იგი არ არსებობდა.

ამდენად, ვიღებთ ისეთ ფაქტობრივ ვითარებას, როდესაც მხარეთა შორის დავის წარმოშობისას - 2008 წლის ოქტომბრის თვეში - მხარეთა შორის შეთანხმებით დავა გადასაწყვეტად უნდა გადასცემოდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, ფედერაციის იმ წესდებით, რომელიც მოგვიანებით ამოქმედდა დავა უნდა გადაეწყვიტა არბიტრაჟს, ხოლო თავად არბიტრაჟი კი არ არსებობდა.

მოწინააღმდეგე მხარეები, მათ შორის თავად არბიტრაჟი თავის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში არბიტრაჟის უფლებამოსილების (კომპეტენციის) დასადასტურებლად უთითებენ იმ გარემოებას, რომ სახელშეკრულებო მითითება ფეხბურთის ფედერაციის მიერ დავის მოგვარებაზე "არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ საარბიტრაჟო დათქმაზე მითითებას წარმოადგენს.

პალატა ამ მსჯელობას ვერ გაიზიარებს, ვინაიდან ზემოაღნიშნული ნორმის გამოყენებისთვის აუცილებელია, რომ ამგვარი მითითება ხელშეკრულების ნაწილი გახდეს. იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომ დავის წარმოშობის და ფედერაციაში თავდაპირველი განხილვის დროისათვის არბიტრაჟი არ არსებობდა, ასეთი ბუნდოვანი და ფაქტობრივ საფუძვლებს მოკლებული დათქმა ვერ გახდება ხელშეკრულების შემდგენელი ნაწილი. მითითება დაწესებულებაზე, რომელიც ხელშეკრულების შეწყვეტიდან ერთი წლის შემდეგ შეიქმნა, ვერ გახდება ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი.

პალატა შენიშნავს, რომ მართალია სხვა არბიტრაჟის კომპეტენციის განსაზღვრისას, მაგრამ იმავე მხარეთა შორის მიმდინარე იმავე დავაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2010 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით არ გაიზიარა მოსაზრება, რომ ფეხბურთის ფედერაციის წესდებაზე მითითება შეიძლება ჩაითვალოს მხარეთა შორის არბიტრაჟზე შეთანხმებად.

ცხადია, რომ მხარეთა შეთანხმება მოიცავდა დათქმას და მხარეთა ნებას, რომ დავა ფედერაციას გადაეწყვიტა, მით უფრო, რომ წესდების მაშინდელი რედაქცია ასეთ პუნქტს არ შეიცავდა, ხოლო მოგვიანებით მიღებული წესდების მოქმედებისას კი თავად არბიტრაჟი არ არსებობდა. ამავე დროს, ფეხბურთის ფედერაციის მიერ მხარეთა ნების რომელიმე სხვა ორგანოსათვის წესდების საფუძველზე დელეგირება არ შეიძლება გახდეს

მხარეთა შეთანხმების შემადგენელი ნაწილი, ვინაიდან იგი მხარეთა ნებას არ ასახავს და ასევე ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 50-ე და 327-ე მუხლებს, შრომის კოდექსის მე-6 მუხლს.

ის გარემოება, რომ 2009 წლის 9 დეკემბერს რეგისტრაციაში გატარდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის" წესდება, ხოლო 2010 წლის 4 ნოემბრის მემორანდუმით შპს „საფეხბურთო კლუბმა ზ-მა“ თანხმობა განაცხადა შპს „საფეხბურთო დაგების განმხილველი სპორტული არბიტრაჟის“ კომპეტენციაზე, ვერ გახდება ამ კონკრეტულ საქმეზე არბიტრაჟის კომპეტენტურად ცნობის საფუძველი, ვინაიდან მემორანდუმში არაა აღნიშნული, რომ მემორანდუმს უკუქცევითი ძალა გააჩნია ანუ მისი მოქმედება ვრცელდება მის ამოქმედებამდე არსებულ ურთიერთობებზე. ასეთი დათქმის არსებობა აუცილებელია, ვინაიდან მის გარეშე გაურკვეველია მასზე ხელმოწერი პირების ნება გაავრცელონ ამ არბიტრაჟის კომპეტენცია მის ამოქმედებამდე არსებულ ურთიერთობებზე.

ამდენად, შპს „საფეხბურთო დაგების განმხილველი სპორტული არბიტრაჟი“ არ იყო უფლებამოსილი (კომპეტენტური) განეხილა გ. ჭ-სა და შპს „საფეხბურთო კლუბ ზ-ს“ შორის წარმოშობილი ურთიერთობა, რის შედეგადაც ადგილი აქვს "არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის „ბ.ბ.“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვითარებას, როდესაც სასამართლო დაადგენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს. საჯარო წესრიგის დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ კანონმდებლის იმპერატიული მოთხოვნა წმინდად შეთანხმება, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე – მოცემულ შემთხვევაში არ ყოფილა. ანუ არბიტრაჟმა განიხილა ის საქმე, სადაც მხარეები მის კომპეტენციაზე არ ყოფილან შეთანხმებულები.

გარდა ზემოხსენებულისა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს დამატებით შემდეგი გარემოებისა გამო.

საქმის მასალებით, კერძოდ, სფფ-ის ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის კომისიის 2009 წლის 22 იანვრის სხდომის ოქმი #9-ით დგინდება, რომ გ. ჭ-ას განცხადების საფუძველზე სკ "ზ-ს" დაევალა საკონტრაქტო ვადის 14,5 თვის ხელფასის გადახდა ფეხბურთელის სასარგებლოდ დადგენილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის 2009 წლის 12 ივნისის #29 ოქმით ირკვევა რომ ამ ორგანომ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება წმინდად „ვინაიდან ფეხბურთელი გ. ჭ-ია 2009 წლის თებერვლის დასაწყისში გადავიდა სკ "ბოლნისის სიონში" სკ. „ ზ-ს“ დაეკისროს ფეხბურთელის სასარგებლოდ 2008 წლის ოქტომბერ (ნახევარი თვის) წმინდად დეკემბრის თვეების და 2009 წლის იანვრის თვის ხელფასის 7 ათასი ლარის გადახდა“.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2007 წლის 10 იანვრის შრომის ხელშეკრულებით მხარეთა შორის სადავო საკითხები განსახილველად გადაეცემოდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, რომლის გადაწყვეტილებათა შესრულება მხარეთათვის სავალდებულო იყო.

2009 წლის 22 იანვრისა და 2009 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებებით ორგანომ, რომელსაც მხარეთა შეთანხმებით ევალებოდა დავების გადაწყვეტა მათ შორის სადავო

საკითხი გადაწყვიტა და მიიღო გადაწყვეტილება. მოწინააღმდეგე მხარის, გ. ჭ-ას წარმომადგენლის ზ. შ-ის განმარტება მასზედ, რომ ფედერაციის აღმასკომს მაშინდელი წესდებით არ ჰქონდა უფლება ეს საკითხი განეხილა, ვერ გახდება პალატის მსჯელობის საგანი, ვინაიდან სასამართლო არ იხილავს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის მიერ 2009 წლის 12 ივლისს მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების საკითხს. ამდენად, მართებულად თუ არამართებულად, გ. ჭ-ასა და სკ „ზ-ს“ შორის 14,5 თვის ხელფასის თაობაზე მიმდინარე დავა ფედერაციის მიერ დასრულდა. საქმეში არსებული მასალებით არ დგინდება რომ ფედერაციის ეს გადაწყვეტილება გაუქმდა, რის გამოც დავა დასრულებულად უნდა ჩაითვალოს.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით დავის დასრულების შემდეგ იგივე დავაზე არბიტრაჟისათვის მიმართვა კი ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლით დადგენილ იმ ზოგად პრინციპს, რომ დავის ამა თუ იმ ფორმით დასრულების შემდეგ მხარეებს და მათ უფლებამონაცვლებს არ უნდა შეეძლოთ ხელახალი დავა წამოიწყონ იმავე მოთხოვნებით, იმავე საფუძვლებით და სადავო გახადონ ერთხელ უკვე დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობები. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეთა შორის დავა დაუსრულებლად გაგრძელდებოდა ამა თუ იმ დაწესებულებაში, რაც უცილობლად ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

## **ანალიზი**

### **სასამართლო გადაწყვეტილების მნიშვნელობა პრაქტიკისათვის**

#### **მცირე ისტორიული ექსკურსი**

ამ გადაწყვეტილების კომენტარის შესავალი ნაწილი საკმაოდ მოცულობითი გამოვიდა იმის გათვალისწინებით, რომ სპორტის სამართალში ქართულ იურიდიულ დოქტრინას ჯერჯერობით თითქმის არაფერი შეუქმნია. მოცემული გადაწყვეტილება სწორედ იმის დასტურია, რომ ამ ახალმა დარგმა ყოველგვარი წინასწარი აკადემიური კვლევის გარეშე შემოდგა ფეხი ქართულ სამართლებრივ სივრცეში და თვის დამკვიდრებას ცდილობს.

სამართალი, ისევე როგორც პოლიტიკა სპორტს ყოველთვის თან ახლდა და მასზე გავლენასაც ახდენდა. ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში ოლიმპიური თამაშებისას მსაჯებს (რომელთა ფუნქციასაც ძირითადად მოსამართლეები ასრულებდნენ) მინიჭებული ჰქონდათ როგორც უშუალოდ თამაშის, ასევე ზოგადად ოლიმპიადის ორგანიზებასთან დაკავშირებული წესების დაცვისა და მათი დარღვევისათვის სანქციების დაკისრების უფლებამოსილება. სანქციებიდან შემოსული ფულით ზევსის ქანდაკებებს აკეთებდნენ და სტადიონის შესასვლელში გამოსაჩენ ადგილას დგამდნენ. მათ შესახებ ყველას უნდა დაეხსომებინა და წესები დაეცვა. ორი ათასწლეულის შემდეგ, მე-18 საუკუნეში ერთერთმა ევროპელმა მოსამართლემ უარი უთხრა მოსარჩელეს ბურთის თამაშის დროს მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე იმ საფუძვლით, რომ სპორტული თამაშის გრაფიკები წინასწარ იყო გაწერილი და ყველასთვის ცნობილი და

რომ სპორტული თამაშები საჯარო ინტერესის სფეროში შედის. თამაშების აკრძალვა სასამართლოს მიერ, თუნდაც ზიანის ანაზღაურების ან მისი პრევენციის მოტივით დაუშვებლად ჩაითვალოს. დღეს ევროპის კავშირის სასამართლო მსჯელობს, ხომ არ მიეკუთვნება სპორტი და მისი მარეგულირებელი სამართალი მხოლოდ კონკრეტული სახელმწიფოს ლოკალური რეგულირების სფეროს და ხომ არ დგას იგი ევროპული სამართლის მიღმა.<sup>1</sup>

სპორტის პოპულარობა იზრდება და მისი გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე უფრო და უფრო ინტენსიური ხდება. შესაბამისად, სპორტული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება ნებისმიერი ცივილიზებული მართლწესრიგის დღის წესრიგში უნდა შედიოდეს და ამ მხრივ გამონაკლისად არც საქართველო უნდა ჩაითვალოს.

### სპორტის სამართლებრივი რეგულირების სპეციფიკა კ ლეხ სპორტივა

სპორტული სამყარო თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ცდილობდა განეციტარებინა ამ სფეროში წარმოშობილი ურთიერთობების მარეგულირებელი ავტონომიური ნორმები. იყო პერიოდი, როდესაც სპორტული წესები სახელმწიფოსა და მართლმსაჯულების სისტემის მხრიდან ჩარევას ნაკლებად ექვემდებარებოდა. საამისოდ არც ინტერესი არსებობდა და ალბათ არც რესურსი. თუმცა სპორტის როლის ზრდამ და განსაკუთრებით ფინანსური თვალსაზრისით მის მომგებიან ბიზნესად ქცევამ სახელმწიფოს ინტერესიც გაზარდა.

მას შემდეგ, რაც სპორტის სამართალზე, როგორც ავტონომიურ მართლწესრიგზე მსჯელობა დაიწყო, თავისთავად დაისვა კითხვა არსებობს თუ არა ერთიანი სპორტული სამართალი სპორტის ყველა სახეობისთვის, როგორც პანაცეა ყველა სპორტული დავის მოწესრიგებისათვის.<sup>2</sup>

არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში სპორტის სამართალი არც თუ ისე განვითარებული სფეროა. ხშირად გვხვდება ბუნდოვანი და ზოგადი ფორმულირებები, რომლებიც რეგულირების ფუნქციას მაინცდამაინც ეფექტურად ვერ ასრულებენ.<sup>3</sup> ამ მხრივ ყველაფერი სუფთა ფურცლიდან უნდა დაიწყოს.

სპორტული ორგანიზაციები დოქტრინასა და პრაქტიკაში ხშირად მოიხსენიებიან, როგორც „არაღიარებული სახელმწიფო ორგანოები თავიანთი ნორმების შექმნისა და მათი იურისდიქციული საკითხების გადაწყვეტის უფლებამოსილებით.“ სასამართლოები აღიარებენ თავისებური „სპორტული მართლწესრიგის“ არსებობას და მიუთითებენ, რომ ეს მართლწესრიგი ხასიათდება მისი სახელით მოქმედი სუბიექტებისა და მათ მიერ

---

<sup>1</sup> *Nafziger J.A.R.*, Introduction: Nafziger J.A.R Transnational Law of Sports, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2013, XIII.

<sup>2</sup> *Vieweg K., Staschik P.*, Phänomen und Bedeutung in der internationalen Sportwelt: *Vieweg K. (Hrsg)*, Lex Sportiva, Beiträge zum Sportrecht, Band 42, Dunker&Humbolt, Berlin, 2015, 19.

<sup>3</sup> დაწვრილებით იხ. *Chanturia L.*, Zu Besonderheiten der Kodifizierung des Sportrechts in den Staaten der GUS: *Trunk A., Rieckhof S. (Hrsg)*., Shneller, höher, weiter! Aktuelle Themen des Sportrechts im östlichen Europa, JosefEul Verlag, Köln, 2014, 31.

მიღებული ნორმების პლურალიზმით. ზოგიერთები უფრო შორსაც მიდიან და აღნიშნავენ რომ „სპორტული მართლწესრიგი“ საკმარისად დამოუკიდებელი და ეფექტურია იმისთვის, რომ ის აღიარებული იქნას გლობალური მართლწესრიგის შემადგენელ ნაწილად.<sup>4</sup>

საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციები და განსაკუთრებით კი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ჩამოყალიბდნენ თავისებურ „ზესახელმწიფოებრივ“ სტრუქტურებად. ერთი მხრივ ეს ორგანიზაციები ჩვეულებრივი კერძო სამართლის იურიდიული პირები არიან, თუმცა მეორე მხრივ ისინი სახელმწიფოს პარალელურად ავითარებენ ისეთ რეგულირებებს, რომელთა შედეგებიც საზოგადოებას არანაკლებ აწუხებს, ვიდრე ყველაზე სერიოზული სამართლებრივი პროცედურის რეზულტატი.<sup>5</sup> ამ ორგანიზაციების ძალაუფლება იმდენად დიდია, რომ ისინი ყველანაირად ცდილობენ შეინარჩუნონ მათ მიერვე შექმნილი „მართლწესრიგის“ ავტონომიურობა. იყო შემთხვევები, როდესაც ფედერაციები და ასოციაციები სპეციალურ სანქციებს იყენებდნენ იმ წევრებისა და თუ სხვა დაკავშირებული პირების მიმართ, ვინც დავას სასამართლოში წარმართავდა და არა მათ მიერ განსაზღვრულ ინსტიტუტებში. ასეთი მიდგომა ერთხმად იქნა აღიარებული როგორც სასამართლოსათვის მიმართვის კონსტიტუციური უფლების ხელყოფა და აქედან გამომდინარე საჯარო წესრიგის დარღვევა,<sup>6</sup> თუმცა ფაქტია, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული პროცედურების გამოყენება სპორტის სფეროში ყოველდღიურად იკრებს ძალას<sup>7</sup> და ახალ და ახალ მიმართულებებს მოიცავს.

ასეა თუ ისე, დოქტრინასა და პრაქტიკაში აქტიურად და თამამად საუბრობენ ე.წ. ლეხ სპორტივა არსებობაზე<sup>8</sup> და ავლებენ პარალელს ლეხ მერცატორია<sup>9</sup>-სთან, რომელიც ასევე ინტენსიური დებატების საგანია საერთაშორისო არბიტრაჟის თეორიტიკოსებსა და პრაქტიკოსებს შორის.<sup>10</sup> ძნელია პასუხი კითხვაზე, რას მოიცავს ლეხ სპორტივა

---

<sup>4</sup> *Rubino-Samartano M.*, International Arbitration Law and Practice, 3<sup>rd</sup> ed., (commercial, investment, online, state-individual, interstate, commodities, U.S. –Iran, UNCITRAL and sports arbitration), Jurisnet, Huntington, New York, 2014, 1686.

<sup>5</sup> *Pinna A.*, The Trials and Tribulations of the CAS: *Blackshaw S., Siekman R., Soek J. (eds.)*, The Court of Arbitration for Sport 1984-2004, T.M.C. Asser Press, The Hague, 2006, 389.

<sup>6</sup> *Pinna A.*, The Trials and Tribulations of the CAS: *Blackshaw S., Siekman R., Soek J. (eds.)*, The Court of Arbitration for Sport 1984-2004, T.M.C. Asser Press, The Hague, 2006, 389.

<sup>7</sup> როდესაც ავტომობილების საერთაშორისო ფედერაციას (FIA) პარიზის სასამართლოში უჩივლეს, ფედერაციის პრეზიდენტმა უკმაყოფილოდ აღნიშნა, რომ ეს იყო 70 წლის განმავლობაში პირველი შემთხვევა, როდესაც წევრის პრეტენზიებზე ფედერაციას სასამართლოში უწევდა პასუხის გაცემა. ფაქტია, რომ მსგავსი საერთაშორისო ფედერაციები, ასოციაციები თუ სხვა ტიპის გაერთიანებები ყოველნაირად ცდილობენ საერთო იურისდიქციის სასამართლოების შეზღუდვას. იხ. *Pinna A.*, The Trials and Tribulations of the CAS: *Blackshaw S., Siekman R., Soek J. (eds.)*, The Court of Arbitration for Sport 1984-2004, T.M.C. Asser Press, The Hague, 2006, 390.

<sup>8</sup> *Nafziger J.A.R.*, Lex Sportiva and CAS: *Blackshaw S., Siekman R., Soek J. (eds.)*, The Court of Arbitration for Sport 1984-2004, T.M.C. Asser Press, The Hague, 2006, 409.

<sup>9</sup> დაწვრილებით ლეხ მერცატორია შესახებ არსებულ მიდგომებზე იხ. *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი) "მერიდიანი", თბილისი, 2012.

<sup>10</sup> *Blackshaw I.S.*, Sport, Mediation and Arbitration, T.M.C. Asser Instituut, Asser International Sports Law Centre, T.M.C. Asser Press, The Hague, 2009, 185.

კონკრეტულად. ის ყველას მიერ ერთხმად აღიარებული არ არის.<sup>11</sup> ტრადიციული, კონსერვატიული შეხედულების თანახმად, ასეთი დარგი საერთოდ არ არსებობს, ხოლო სპორტი, როგორც სოციალური აქტივობისა და ურთიერთობების ერთ-ერთი გამოვლინება რეგულირებულია გლობალური მართლწესრიგის მიერ და არა სპეციალური და ავტონომიური სპორტული სამართლის მიერ.<sup>12</sup> მაღნიშნულის მიუხედავად, რაც დრო გადის, ისინი, ვისაც ლეხ სპორტივა-ს არსებობის სჯერა, აშკარად უმრავლესობაში არიან.<sup>13</sup> ბოლო პერიოდში ზოგიერთი ავტორი სპორტის მარეგულირებელ ნორმებში საერთაშორისო საჯარო სამართლის ელემენტებსაც არ გამორიცხავს.<sup>14</sup> აქვე მიუთითებენ ევროპული სამართლის გავლენაზე ზოგადად სპორტის სფეროზე და კონკრეტულად ლეხ სპორტივა-სთან მიმართებაში.<sup>15</sup> რაც შეეხება საერთაშორისო სამართალს, ჯერჯერობით ის ისეთი ძალით არ შეჭრილა სპორტში, როგორც ეს კერძო სამართალმა გააკეთა. ამ მხრივ გამონაკლისია გაეროს 2005 წლის კონვენციას დოპინგის წინააღმდეგ. გლობალური საერთაშორისო სამართლებრივი შეთანხმებები სპორტის სფეროში მაინც იშვიათობას წარმოადგენს.<sup>16</sup>

მცირე დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ სქოლასტიკური მსჯელობა Lex Sportiva ცნებასა და წყაროებზე,<sup>17</sup> როგორც ამას გერმანელი იურისტები აკეთებენ, ნაკლებად პროდუქტიული ჩანს. ამა თუ იმ ნორმისა თუ ახლად შემოთავაზებული მექანიზმის კონკრეტული სამართლებრივი ეფექტის კვლევა და დასკვნების ისე გამოტანა გაცილებით ეფექტური შეიძლება გამოდგეს.

### სპორტული დავების გადაწყვეტის მექანიზმები

იყო დრო, როცა სასამართლოს ჩარევა სპორტთან დაკავშირებულ სადავო ურთიერთობებში საერთოდ წარმოუდგენელი იყო, თუმცა მოსამართლეები დღეს უფრო

---

<sup>11</sup> *Blackshaw I.S.*, Sport, Mediation and Arbitration, T.M.C. Asser Instituut, Asser International Sports Law Centre, T.M.C. Asser Press, The Hague, 2009, 177. ix. ასევე, *Siekman R.*, Introduction to international and European Sports Law, Asser International Sports Law Series, T.M.C. Asser Press, The Hague, 2012, 1-4.

<sup>12</sup> *Siekman R.C.R.*, Sportrecht, Lex Sportiva und Lex Ludica: *Vieweg K. (Hrsg)*, Lex Sportiva, Beiträge zum Sportrecht, Band 42, Dunker&Humbolt, Berlin, 2015, 61.

<sup>13</sup> *Erbsen A.*, The Substance and Illusion of Lex Sportiva: *Blackshaw S., Siekman R., Soek J. (eds.)*, The Court of Arbitration for Sport 1984-2004, T.M.C. Asser Press, The Hague, 2006, 441.

<sup>14</sup> დაწვრილებით იხ. *Wax A.*, Sportvölkerrecht und Lex Sportiva, *Vieweg K. (Hrsg)*, Lex Sportiva, Beiträge zum Sportrecht, Band 42, Dunker&Humbolt, Berlin, 2015, 91-107. ასევე. *Siekman R.*, Introduction to international and European Sports Law, Asser International Sports Law Series, T.M.C. Asser Press, The Hague, 2012, 13.

<sup>15</sup> დაწვრილებით იხ: *Von Streinz R.*, Europarechtliche Grenzen der Verbandsgerichtbarkeit: Sport is kein europarechtsfreier Raum: *Vieweg K. (Hrsg)*, Lex Sportiva, Beiträge zum Sportrecht, Band 42, Dunker&Humbolt, Berlin, 2015, 121-141. ასევე. *Siekman R.*, Introduction to international and European Sports Law, Asser International Sports Law Series, T.M.C. Asser Press, The Hague, 2012, 43.

<sup>16</sup> *Trunk A.*, Sportrecht im Staaten des östlichen Europa – eine Annäherung aus rechtsvergleichender Sicht: *Trunk A., Rieckhof S. (Hrsg)*, Shneller, höher, weiter! Aktuelle Themen des Sportrechts im östlichen Europa, Josef Eul Verlag, Köln, 2014, 31.

<sup>17</sup> *Vieweg K., Staschik P.*, Phänomen und Bedeutung in der internationalen Sportwelt: *Vieweg K. (Hrsg)*, Lex Sportiva, Beiträge zum Sportrecht, Band 42, Dunker&Humbolt, Berlin, 2015, 21.

აქტიურად იღებენ თავის თავზე უაღრესად სპეციფიკური სპორტული დავების გადაწყვეტის რთულ ამოცანას.<sup>18</sup> ეს ყველაფერი ისე არ უნდა გავიგოთ, რომ სასამართლომ სპორტული დავების თვით სპორტული გაერთიანებების მიერ დადგენილი წესით გადაწყვეტას ბრძოლა უნდა გამოუცხადოს. პირიქით, სასამართლოს მიერ ნორმის განმარტების უკან ყოველთვის უნდა იდგეს სპორტის სფეროში დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების წახალისების სურვილი. მართლმსაჯულება უნდა დაეხმაროს სპორტულ გაერთიანებებს იმ ობიექტური სტანდარტის შემუშავებასა და დაცვაში, რაც მხარეთა კონფლიქტური ინტერესების სამართლიან და დაბალანსებულ დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს. მოსამართლეებს უნდა ახსოვდეთ რომ მათი როლი სპორტული გაერთიანებების მწვრთნელობა კი არა ობიექტური მსაჯობაა. ნებისმიერმა პროფესიონალმა მსაჯმა იცის რომ ჩარევა მინიმალური და აუცილებელი უნდა იყოს, მაშინაც კი როდესაც მოთამაშეები ასეთი ჩარევისაკენ მოუწოდებენ.

ინგლისურმა სასამართლომ ჩოწლეყ საქმეზე აღნიშნა, რომ „სპორტი გაცილებით უკეთესი იქნებოდა, მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები სასამართლოს მსჯელობის საგანი რომ არ ხდებოდა“. თუმცა მეორე მხრივ ასევე სამართლიანად უთითებენ დოქტრინაში, რომ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობა არ ართმევს სპორტსმენს ადამიანურ საწყისს და შესაბამისად ვერაფერი შეეხება მისი ერთერთი ფუნდამენტურ უფლებას ჯ მიმართოს სასამართლოს თუ თვლის რომ მისი უფლებები დარღვეულია.<sup>19</sup> აღნიშნულის მიუხედავად, სპორტული დავების სამართლებრივი გადაწყვეტის ევოლუციამ აჩვენა, რომ დანიშნული პენალტის სასამართლოში გასაჩივრების იდეა მაინცდამაინც რაციონალური არ არის და ეწინააღმდეგება თვით სპორტის იდეას, დანიშნულებას და მიზანს. ამავე დროს, არსებული კითხვების უპასუხოდ დატოვება არანაკლებ ზიანს მიაყენებდა სპორტს.<sup>20</sup>

სპორტული დავების გადაწყვეტის მექანიზმები პირობითად სამ ჯგუფად უნდა დაიყოს. პირველი ჯგუფში შედის იმ სტრუქტურების მიერ შექმნილი ადმინისტრაციული ხასიათის პროცედურები, რომლებიც სპორტის მოცემულ სფეროში ჩაბმულ პირებს აერთიანებენ. აქ იგულისხმება როგორც ეროვნულ დონეზე სპორტის სფეროების მართვაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციები, ასევე საერთაშორისო ფედერაციები, ნაციონალურ დონეზე არსებული ოლიმპიური კომიტეტები და მათი გამაერთიანებელი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი. სპორტული დავის გადაწყვეტის მეორე და ყველაზე ტრადიციული ფორმა სასამართლოა, თუმცა მისი როლი ნელ ნელა მცირდება. და ბოლოს: საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ სპორტული არბიტრაჟის შექმნამ ფაქტობრივად ახალი ერა დაიწყო სპორტული დავების გადაწყვეტის სფეროში და არბიტრაჟი ნელ ნელა იმკვიდრებს ადგილს, როგორც სპორტის სფეროში წარმოშობილ

---

<sup>18</sup> *Reeb M., The Role and Functions of the Court of Arbitration For Sport (CAS): Blackshaw S., Siekman R., Soek J. (eds.), The Court of Arbitration for Sport 1984-2004, T.M.C. Asser Press, The Hague, 2006, 31.*

<sup>19</sup> *Rubino-Samartano M., International Arbitration Law and Practice, 3<sup>rd</sup> ed., (commercial, investment, online, state-individual, interstate, commodities, U.S. –Iran, UNCITRAL and sports arbitration), Jurisnet, Huntington, New York, 2014, 1687.*

<sup>20</sup> *Netzle S., Jurisdiction of Arbitral Tribunals in Sports Matters: Arbitration Agreements by Reference to Regulations of Sports Organizations, Swiss Arbitration Association, Arbitration of Sports-Related Disputes, ASA, Zürich, 1998, 47.*

უთანხმოებათა სამართლებრივი გზით გადაწყვეტის ყველაზე ეფექტური და მოქნილი საშუალება.<sup>21</sup> საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სპორტულმა არბიტრაჟმა თავისი პირველი საქმე 1986 წელს განიხილა.<sup>22</sup>

არბიტრაჟი ჩამოყალიბდა როგორც ამ სფეროში წარმოშობილი დავების მოწესრიგების ყველაზე ეფექტური საშუალება. არბიტრაჟი უფრო მეტად ეფუძნება მხარეთა თანასწორობის, პროცედურის განსაზღვრაში მხარეთა აქტიური ჩართულობისა და მოქნილობის პრინციპებს, რაც სასამართლოს შემთხვევაში თითქმის შეუძლებელია.<sup>23</sup>

სისწრაფე ნებისმიერი დავის გადაწყვეტის დროს მნიშვნელოვანია. ბევრს საუბრობენ სისწრაფესთან სამართლიანობის, ხარისხის, თავისუფლებისა და მოქნილობის მიმართებაზე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯუსტიცე დელაყედ ჯუსტიცე დენიედ (გაჭიანურებული მართლმსაჯულება მართლმსაჯულებაზე უარს უთანაბრდება) პრინციპი განსაკუთრებით ეხება სპორტის სფეროში წარმოშობილ დავებს. თუ დისკვალიფიკაციის საკითხი შეჯიბრის დამთავრების შემდეგ გადაწყდება, მაშინ მის მიმართ მხარეები ყოველგვარ ინტერესს დაკარგავენ. მეორე მხრივ არსებობს ხარისხისა და სისწრაფის ურთიერთმიმართების პრობლემა. როგორც წესი, ძალიან სწრაფად წარმართული პროცესი ხარისხის მაღალ სტანდარტს ვერ უზრუნველყოფს. კითხვა, რომელიც ზოგადად სპორტში ისმის, სპორტული არბიტრაჟებისათვისაც აქტუალურია. მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმას, რამდენად სწრაფია სპორტსმენი, არამედ იმასაც, რამდენად სწრაფად შეუძლიათ არბიტრებს მის მონაწილეობასთან დაკავშირებული დავის, ეფექტურად, მოქნილად და ამავე დროს სამართლიანად გადაწყვეტა.<sup>24</sup>

დღეისათვის უკვე სადავო არ არის, რომ სპორტული დავები და მათი გადაწყვეტა, სპორტული არბიტრაჟის პრაქტიკა აყალიბებს იურისპრუდენციის ახალ მიმართულებას, რომელსაც დამოუკიდებლად არსებობა და განვითარება შეუძლია.<sup>25</sup>

## შუალედური დასკვნა

შერჩეული გადაწყვეტილება სპორტული დავების არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტასთან დაკავშირებული პირველი „პროდუქტია“ რომელიც ქართულმა მართლმსაჯულებამ „მომხმარებელს“ შესთავაზა. თუნდაც ეს ერთი ფაქტი საკმარისია სამომავლო

---

<sup>21</sup> *Nafziger J.A.R.*, Introduction: *Nafziger J.A.R.*, *Transnational Law of Sports*, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2013, XX-XXIII. *dawvrilebiT sportuli arbitraჟის wesebisa da proceduris Sesaxe* ix. *Kaufmann-Kohler G., Bärtsch P.*, *The Ordinary Arbitration Procedure of the Court of Arbitration For Sport: Blackshaw S., Siekman R., Soek J. (eds.)*, *The Court of Arbitration for Sport 1984-2004*, T.M.C. Asser Press, The Hague, 2006, 69-98.

<sup>22</sup> *Kane D.*, *Twenty Years On: An Evolutio of the Court of Arbitration For Sport: Nafziger J.A.R.*, *Transnational Law of Sports*, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2013, 624.

<sup>23</sup> *Netzle S.*, *Jurisdiction of Arbitral Tribunals in Sports Matters: Arbitration Agreements by Reference to Regulations of Sports Organizations*, Swiss Arbitration Association, *Arbitration of Sports-Related Disputes*, ASA, Zürich, 1998, 47.

<sup>24</sup> *Kaufmann\_Kohler G.*, *Arbitration At The Sydney Olympic Games: Blackshaw S., Siekman R., Soek J. (eds.)*, *The Court of Arbitration for Sport 1984-2004*, T.M.C. Asser Press, The Hague, 2006, 125.

<sup>25</sup> *Martens D.R.*, *CAS Landmark Decisions: Blackshaw S., Siekman R., Soek J. (eds.)*, *The Court of Arbitration for Sport 1984-2004*, T.M.C. Asser Press, The Hague, 2006, 245.

პრაქტიკისათვის ამ გადაწყვეტილების მნიშვნელობის აღსანიშნავად. არსებითად სწორი მსჯელობების მიუხედავად, გადაწყვეტილების დასაბუთების ხარისხი მაინც შორსაა სასურველისაგან, როგორც ეს პირველად ნებისმიერი საქმის გაკეთებისას ხდება ხოლმე.

არსებული აკადემიური ვაკუუმის შეძლებისდაგვარად შესავსებად გადაწყვეტილების კომენტარებისას მკითხველის შეფასებისათვის გამოტანილია არა მხოლოდ ის საკითხები, რაც უშუალოდ გადაწყვეტილების ტექსტში გვხვდება და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, არამედ ისიც, რაც გადაწყვეტილებაში ვერ მოხვდა და შესაბამისად მართლმსაჯულების მსჯელობის საგანი ადრე თუ გვიან მაინც გახდება.

### **სპორტული დავები, როგორც საარბიტრაჟო განხილვის საგანი<sup>26</sup>**

#### **„სპორტული დავის“ სამართლებრივი შინაარსი**

ზოგადად სპორტული დავების არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტის საკითხი ექვსი ქვეშ არ შეიძლება იდგეს. საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, რომ სპორტული დავა შეიძლება ყველაზე ფართოდ განიმარტოს და არ მოიცავდეს უშუალოდ სპორტულ თამაშთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. სპორტული არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვისათვის არ არის აუცილებელი დავაში მაინცდამაინც სპორტული ელემენტი დომინირებდეს.<sup>27</sup> მაგალითად, სპორტულ არბიტრაჟს (ჩ.ა.შ) თავისი არსებობის პირველი ოცი წლის მანძილზე არასდროს ჰქონია შემთხვევა რომ დავის განხილვაზე უარი ეთქვას იმ საფუძვლით, რომ დავა სპორტთან არ არის დაკავშირებული. დაწყებული სპონსორობის ხელშეკრულებიდან, დასრულებული სპორტული თამაშის ტრანსლირების უფლებაზე დავით - ნებისმიერი უთანხმოება შეიძლება გახდეს სპორტული არბიტრაჟის მსჯელობის საგანი.<sup>28</sup>

გამოყოფენ სპორტული დავების ოთხ კატეგორიას, რომლებიც შეიძლება იყოს სპორტულმა არბიტრაჟმა განიხილოს: სუფთა კომერციული ხასიათის (ძირითადად სპორტში სპონსორობასთან და სხვა საქმიანობასთან დაკავშირებული) დავები; სპორტული ორგანიზაციების მიერ თავიანთ წევრებთან/თანამშრომლებთან დადებული

---

<sup>26</sup> ამ ერთი შეხედვით მარტივ საკითხზე ყურადღების გამახვილება შემთხვევითი არ არის. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აშკარად იგრძნობა შესაბამისი დასაბუთების ნაკლებობა. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის იურისტმა ფედერაციაში გამართულ ერთერთ შეხვედრაზე პრობლემურ საკითხებს შორის პირველ რიგში დაასახელა არბიტრაჟის მიერ სპორტული დავების განხილვის შეუძლებლობა. რატომღაც ამ საქმეში ჩართულმა იურისტებმა ჩათვალეს, რომ "არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლი გამორიცხავს სპორტულ დავებში არბიტრების ჩართულობას. უფრო მეტიც, ფედერაციის იურისტის განმარტებით, სპორტული დავების არბიტრაჟის მიერ განხილვისათვის კანონში ცვლილებებია საჭირო. როგორც ჩანს, საქართველოში მოვლენები საერთაშორისო დოქტრინისა და პრაქტიკისაგან მოწყვეტით, დამოუკიდებლად ვითარდება, რაც ქართულ ფეხბურთსა და სპორტის სახეობებს მაინცდამაინც სახარბიელო მდგომარეობაში არ აყენებს.

<sup>27</sup> *Luck C., Arbitration in Football: Issues and Problems highlighted by FiFa's Experiences with the Court of Arbitration for Sports*, Shulthess, Zürich, Besel Genf, 2004, 22.

<sup>28</sup> *Reeb M., The Role and Functions of the Court of Arbitration For Sport (CAS): Blackshaw S., Siekman R., Soek J., (eds.), The Court of Arbitration for Sport 1984-2004*, T.M.C. Asser Press, The Hague, 2006, 32.

შრომის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავები; სპორტულ ორგანიზაციებს შორის კომპეტენციების გამიჯვნასთან დაკავშირებული დავები და სპორტში სანქციების გამოყენებასთან დაკავშირებული დავები.<sup>29</sup>

თავდაპირველად სასამართლოები შვეიცარიაში (სადაც სპორტული არბიტრაჟი მდებარეობს) გამორიცხავდნენ უშუალოდ თამაში წესების სამართლებრივი მეთოდებით რევიზიის შესაძლებლობას. თუმცა დრომ აჩვენა, რომ ხშირად ასეთი ზღვრის გავლება არც თუ მარტივია. ამიტომ სასამართლოები ცდილობენ მეტნაკლებად განსაზღვრული კრიტერიუმების შემუშავებას, რაც მოსამართლეებისა თუ არბიტრებისათვის გარკვეული წითელი ხაზების დადგენას ემსახურება.<sup>30</sup>

ყველა სპორტული წესი არ შეიძლება იურიდიული შინაარსის და დატვირთვის მქონედ ჩაითვალოს. მაგალითად, აღიარებულია, რომ უშუალოდ თამაშის წესები არ არის სამართლებრივი ხასიათის და შესაბამისად არ შეიძლება გახდეს სასამართლოს ან არბიტრაჟის მსჯელობის საგანი.<sup>31</sup>

### **სპორტში გამოყენებული სანქციების სამართლებრივი ბუნება და არბიტრაჟის მიერ მათი გამოყენების მიზანშეწონილობა**

ზოგჯერ მხარეები ცდილობენ ეჭვის ქვეშ დააყენონ სპორტული საარბიტრაჟო ტრიბუნალების კომპეტენცია იმ საფუძვლით, რომ მათ მიერ მიღებული სანქციები ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალში არსებული სანქციის ექვივალენტურია, რაც გამორიცხავს არბიტრების მიერ ასეთი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას. შვეიცარული ფედერალური უზენაესი სასამართლო არ თვლის, რომ სპორტის სფეროში გავრცელებული სანქციები რაიმე კავშირშია სისხლის სამართალთან და აქედან გამომდინარე საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ მათ გამოყენებას არ მიიჩნევენ საჯარო წესრიგის დარღვევად.<sup>32</sup> 2001 წელს ამავე სასამართლომ ლობერტს საქმეზე დაადგინა, რომ სპორტში გამოყენებულ სანქციებთან დაკავშირებული დავა შეიძლება იყო საარბიტრაჟო განხილვის საგანი, ვინაიდან ასეთი დავა არაპირდაპირ გულისხმობს მხარეთა ფინანსურ დაინტერესებას და შეიძლება ფართო გაგებით ქონებრივ დავად ჩაითვალოს.<sup>33</sup>

დოქტრინაში ხშირად ავლებენ პარალელს სპორტსმენსა და ჩვეულებრივ დასაქმებულს შორის. თუ დასაქმებულს გაათავისუფლებენ სამსახურიდან, ან მის მიმართ

---

<sup>29</sup> *Samuel A., Gerhart R., Sporting Arbitration and the IOC'S CAS: Blackshaw S., Siekman R., Soek J., (eds.), The Court of Arbitration for Sport 1984-2004, T.M.C. Asser Press, The Hague, 2006, 314.*

<sup>30</sup> *Oschütz F., The Arbitrability of Sport Disputes and the Rules of The Game: Blackshaw S., Siekman R., Soek J., (eds.), The Court of Arbitration for Sport 1984-2004, T.M.C. Asser Press, The Hague, 2006, 202-203.*

<sup>31</sup> *Oschütz F., The Arbitrability of Sport Disputes and the Rules of The Game: Blackshaw S., Siekman R., Soek J., (eds.) The Court of Arbitration for Sport 1984-2004, T.M.C. Asser Press, The Hague, 2006, 200.*

<sup>32</sup> *Paulsson J., Arbitration of International Sport Disputes: Blackshaw S., Siekman R., Soek J. (eds.), The Court of Arbitration for Sport 1984-2004, T.M.C. Asser Press, The Hague, 2006, 46.*

<sup>33</sup> *Rubino-Samartano M., International Arbitration Law and Practice, 3<sup>rd</sup> ed., (commercial, investment, online, state-individual, interstate, commodities, U.S. –Iran, UNCITRAL and sports arbitration), Jurisnet, Huntington, New York, 2014, 1696.*

სხვა დისციპლინურ ზომას გამოიყენებენ, რომელსაც ის პირადად არ ეთანხმება, მაშინ ეს დავა სასამართლოს განსახილველი იქნება. მათთვის სავალდებულო საარბიტრაჟო შეთანხმების შეთავაზება თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით მიზანშეწონილი არ არის. მეორე მხრივ, სპორტსმენი, რომელიც არანაკლებ ბევრს შრომობს, შეიძლება დისკვალიფიციის გამო გამოეთიშოს შეჯიბრებას. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი შეჯიბრში მონაწილეობის ერთერთ პირობად აყენებს სპორტსმენის მიერ სანქციების გამოყენებასთან დაკავშირებული დავების სასამართლოს მიერ განხილვის გამორიცხვას.<sup>34</sup> გამოდის, რომ როდესაც საქმე სანქციების გამოყენებას ეხება, ჩვეულებრივი სპორტსმენი ჩვეულებრივ დასაქმებულზე ნაკლებად დაცულია. მეორე მხრივ, ასევე გასაგებია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პოზიცია, რომელსაც სურს დავების სასამართლოს მიერ განხილვამ არ დააზარალოს შეჯიბრებათა ოლიმპიური კალენდარი და არ გააუარესოს არა მხოლოდ სანქცირებული, არამედ სხვა დანარჩენი სპორტსმენების მდგომარეობაც. ეს საკითხიც შეიძლება განხილულ იქნეს საჯარო წესრიგის შემადგენელ ნაწილად, რაც სასამართლოების მიერ აუცილებლად უნდა შეფასდეს.

იქმნება არასტანდარტული მდგომარეობა, როდესაც ერთი მხრივ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიზანია სპორტული ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარება და არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, მონაწილეთა შორის ერთი სპორტსმენით მეტი იქნება თუ ნაკლები. მეორე მხრივ, ამ ერთი კონკრეტული სპორტსმენისათვის ახალ ოლიმპიადას/სპორტულ ღონისძიებას არავინ ჩაატარებს. ის დარწმუნებული უნდა იყოს, რომ პროცესი, რომელზეც მისი სპორტული მომავალია დამოკიდებული, სწორად წარიმართება.<sup>35</sup> ადგილი აქვს ინტერესთა ისეთ კოლიზიას, რომლის აბსოლუტური დაბალანსებაც შეუძლებელია. ამიტომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პროცესის შეფასებით უნდა დადგინდეს, ჰქონდა თუ არა ადგილი იმ მინიმალური სტანდარტის უგულებელყოფას, რომელიც საჯარო წესრიგის დარღვევაზე საუბრის უფლებას იძლევა.

### ნაციონალური მართლწესრიგის იმპერატიული ნორმები

სპორტული არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება წინააღმდეგობაში აღმოჩნდეს რომელიმე კონკრეტული ნაციონალური მართლწესრიგის მიერ აღიარებულ ძირითად პრინციპებთან (საჯარო წესრიგთან). მაგალითად, ბულგარეთსა და უნგრეთში არბიტრაჟს აკრძალული აქვს შრომითი დავების განხილვა. შესაბამისად, თუ შრომითი არბიტრაჟი მიიღებს გადაწყვეტილებას რომელიმე გუნდის წევრთან დადებული შრომის ხელშეკრულების მიხედვით და გადაწყვეტილების აღსრულება ზემოაღნიშნულ სახელმწიფოებში (ან მათგან ერთერთში მაინც) იქნება

---

<sup>34</sup> *Bitting M.R.*, Mandatory, Binding Arbitration for Olympic Athletes: is the Process Better or Worse for "Job Security"? : *Blackshaw S., Siekman R., Soek J. (eds.)*, The Court of Arbitration for Sport 1984-2004, T.M.C. Asser Press, The Hague, 2006, 368.

<sup>35</sup> *Bitting M.R.*, Mandatory, Binding Arbitration for Olympic Athletes: is the Process Better or Worse for "Job Security"? : *Blackshaw S., Siekman R., Soek J. (eds.)*, The Court of Arbitration for Sport 1984-2004, T.M.C. Asser Press, The Hague, 2006, 385.

მოთხოვნილი, მათ ცნობასა და აღსრულებას სერიოზული საფრთხე შეექმნება.<sup>36</sup> სწორედ ამით არის განპირობებული ფიფას სატრანსფერო რეგლამენტის 22-ე მუხლი, რომელიც ფეხბურთელსა და კლუბს შორის წარმოშობილი შრომის დავის სასამართლოს მიერ გადაწყვეტას შესაძლებლად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილება აღუსრულებელი დარჩებოდა იმ სახელმწიფოებში, სადაც შრომის დავების განხილვა არბიტრაჟს აკრძალული აქვს.<sup>37</sup>

### სპორტული დავები და კონკურენციის სამართალი

ზოგადი პრინციპის თანახმად, სპორტის ნაციონალური ასოციაციები ევროკავშირის სამართლის მიხედვით განიხილებიან, როგორც ეკონომიკური აგენტები და მათზე ვრცელდება ევროპული კონკურენციის სამართალი.<sup>38</sup> სპორტის მნიშვნელობის ზრდა, მისი არნახული კომერციალიზაცია სპორტის სფეროში კეთილსინდისიერი კონკურენციის უზრუნველყოფას ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად აქცევს. ამის გათვალისწინებით შემოდის სპორტის (განსაკუთრებით კი ევროპული ფეხბურთის) რეგულირებაში ევროპული კონკურენციის სამართალი.<sup>39</sup>

თუ კონკურენციის სამართლიდან გამომდინარე დავები არ განეკუთვნება არბიტრაჟის მიერ განსახილველ დავათა კატეგორიას რომელიმე ეროვნული მართლწესრიგის მიხედვით, მაშინ შესაბამისი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ამ მართლწესრიგის ფარგლებში გამორიცხული იქნება.

### შუალედური დასკვნა

სპორტული დავების არბიტრაჟის მიერ განხილვის მიზანშეწონილობა სასამართლო გადაწყვეტილებაში მხოლოდ ზედაპირულად არის ნახსენები. სასამართლო ამ შემთხვევაში კანონის იმ ნორმის ციტირებით შემოიფარგლება, რომლის თანახმადაც, გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, თუ მოცემული დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი. სპორტულ დავებთან თავისი პირველი შეხების მიუხედავად, სასამართლოს არ გასჩენია ლეგიტიმური შეკითხვა, თუ რამდენად შეიძლება ეს ურთიერთობები გახდეს საარბიტრაჟო განხილვის საგანი. საბოლოო ჯამში, სპორტული არბიტრაჟის პირველივე გადაწყვეტილების სასამართლოს მიერ გაუქმებამ უარყოფითი გავლენა იქონია ამ ინსტიტუტის განვითარებაზე. სასამართლოს პოზიცია გაუქმებასთან დაკავშირებით არსებითად სწორი იყო, თუმცა უმჯობესი იქნებოდა სასამართლოს

---

<sup>36</sup> *Blackshaw I.S.*, Sport, Mediation and Arbitration, T.M.C. Asser Instituut, Asser International Sports Law Centre, T.M.C. Asser Press, The Hague, 2009, 187.

<sup>37</sup> *Zimmermann M.*, Vertragsstabilität im internationalen Fussball, unter besonderer Berücksichtigung der Rechtssprechung der FIFA und des CAS, Dike Verlag, Zürich, 2015, 77.

<sup>38</sup> *Siekman R.*, Introduction to international and European Sports Law, Asser International Sports Law Series, T.M.C. Asser Press, The Hague, 2012, 127.

<sup>39</sup> *Schiera T. M.*, Will the European Commission Allow European Football to Reestablish the Competitive Balance That it Helped Destroy?: *Nafziger J.A.R.*, Transnational Law of Sports, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2013, 239-282.

დეტალურად დაესაბუთებინა სპორტული დავების არბიტრაჟის მიერ განხილვის პრინციპული შესაბამისობა კანონთან. ეს იქნებოდა გზავნილი სპორტული სამყაროსათვის, რომ ერთი კონკრეტული გადაწყვეტილების გაუქმება არ გულისხმობს ზოგადად დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების (განსაკუთრებით კი არბიტრაჟის) მიუღებლობას სპორტული დავების მოგვარებისათვის. სასამართლოს მიერ ამ საკითხისადმი სათანადო ყურადღების მიუქცევლობამ კიდევ უფრო გაამყარა სკეპტიკოსების პოზიცია, რომ არბიტრაჟი ვერც ამ შემთხვევაში ასრულებს პრაქტიკულ შედეგზე ორიენტირებული ფუნქციას.

**საარბიტრაჟო შეთანხმების არარსებობა, როგორც საჯარო წესრიგისადმი წინააღმდეგობის საფუძველი – სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების კრიტიკა**

**Incorporation by reference - როგორც სპორტის სფეროში საარბიტრაჟო შეთანხმების დადების ყველაზე გავრცელებული პრაქტიკა**

**Incorporation by refernce და მისი სამართლებრივი შინაარსი სპორტული დავებისათვის**

ფედერაციებისა და ასოციაციების ურთიერთმიმართების ევროპული პრაქტიკა პირამიდის პრინციპზეა აგებული: ამა თუ იმ სპორტის წარმომადგენლები ქმნიან ასოციაციებს. შემდგომში ეს ასოციაციები ერთიანდებიან რეგიონულ და ეროვნულ ფედერაციებში, საბოლოო ჯამში კი ეროვნული ფედერაციების ერთობა ქმნის საერთაშორისო ფედერაციას. პირამიდის სათავეში მყოფი საერთაშორისო ფედერაციები თავიანთ დამფუძნებელ დოკუმენტებში ითვალისწინებენ დავის გადაწყვეტის კონკრეტულ წესს, რომელიც სავალდებულო ხდება ყველა წევრი (ეროვნული, რეგიონული) ფედერაციისათვის. ასეთი ჩანაწერი ნიშნავს (ან უნდა ნიშნავდეს) საერთაშორისო ფედერაციის მიერ დადგენილი დავის გადაწყვეტის წესის სავალდებულობას რეგიონულ და ეროვნულ დონეზე ამა თუ იმ ასოციაციაში გაწევრიანებული სპორტსმენისათვის.<sup>40</sup> ეს მიდგომა ეჭვის ქვეშ დადგა გერმანიის უზენაესი სასამართლოს მიერ 1994 წელს მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ. სასამართლომ არ გამორიცხა მითითებათა ასეთი ჯაჭვის შექმნის გზით საარბიტრაჟო ტრიბუნალის კომპეტენციის დაფუძნება და შესაბამისად საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობა, თუმცა იქვე მიუთითა, რომ პრაქტიკაში ასეთი სრულყოფილი მითითებები არასდროს გვხვდება. როგორც წესი, სპორტსმენი, რომელიც წევრიანდება ამა თუ იმ ფედერაციასა თუ ასოციაციაში, ვერ იქნება გარკვეული, თავის მხრივ კიდევ რომელი გაერთიანებების წევრია მისთვის საინტერესო ფედერაცია და რა ვალდებულება აქვს აღებული იმ ფედერაციაში ამა თუ იმ ორგანიზაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოთ მოყვანილი მიდგომა აქტუალობას კარგავს და გზას უთმობს კონკრეტულ

<sup>40</sup> *Netzle S.*, Jurisdiction of Arbitral Tribunals in Sports Matters: Arbitration Agreements by Reference to Regulations of Sports Organizations, Swiss Arbitration Association, Arbitration of Sports-Related Disputes, ASA, Zürich, 1998, 46.

წევრებთან გაფორმებული ხელშეკრულებების (და ამ ხელშეკრულებებში საარბიტრაჟო შეთანხმების გათვალისწინების) შედარებით ადვილად აღსასრულებელ მიდგომას.<sup>41</sup>

საერთაშორისო ფედერაციების უმრავლესობა სულ უფრო ხშირად ითვალისწინებს საკუთარ წესდებაში სპორტული არბიტრაჟის მიერ დავების გადაწყვეტაზე მითითებას. ასეთ მითითებას სამი მიმართულებით აქვს მნიშვნელობა და შესაბამისი სამართლებრივი შედეგი: ა) ფედერაციის წევრების მიმართ ის პირდაპირ გამოიყენება როგორც საარბიტრაჟო შეთანხმება; ბ) დათქმა ასევე განიხილება ნამდვილ საარბიტრაჟო შეთანხმებად, რომელიც ჩართულია სხვა შეთანხმებაში, თუ ეს უკანასკნელი პირდაპირ უთითებს დავის გადაწყვეტის ფედერაციის წესდებით დადგენილ წესზე და გ) დათქმა შეიძლება გაგებული იქნეს, როგორც ფედერაციის მიერ ნებისმიერი მხარის მოწვევა, რომ მათ შორის წარმოშობილი დავა არბიტრაჟმა გადაწყვიტოს.<sup>42</sup> ამ უკანასკნელ შემთხვევაში საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება განვიხილოთ, როგორც თავისებური ოფერტი დავის გადაწყვეტაზე, რომელიც მბოჭავია ოფერენტისათვის. ასეთი მბოჭავი ოფერტი ნებისმიერ მესამე პირს აძლევს უფლებას აქცეპტის მეშვეობით დადოს საარბიტრაჟო შეთანხმება და დააფუძნოს არბიტრაჟის კომპეტენცია.<sup>43</sup>

საარბიტრაჟო დათქმის ასეთი „სამსახოვნება“ ავალდებულებს სასამართლოს დაადგინოს კონკრეტულად რომელ შემთხვევასთან ჰქონდათ საქმე მხარეებს და შეაფასოს, რამდენად არის დაკმაყოფილებული ამა თუ იმ სცენარისათვის წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნები. მაგალითად, თუ წესდებაში არსებული დათქმა უნდა განხილულიყო საარბიტრაჟო შეთანხმებაზე მოწვევად, არსებობს თუ არა მეორე მხარის თანხმობა ამ შემოთავაზებაზე, რა ფორმით მოხდა დათანხმება, აკმაყოფილებს თუ არა ეს თანხმობა ზოგადად ნამდვილი ნების გამოვლენისათვის სავალდებულო პირობებს და ა.შ.

ლოკალურ (ერთი სახელმწიფოს ფარგლებში) მოქმედ არბიტრაჟს მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა შეეძლოს ფეხბურთელსა და კლუბს შორის დავის გადაწყვეტა, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმებაში ამ კონკრეტულ არბიტრაჟზე პირდაპირ არის აღნიშნული. ამ მოსაზრებიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ინცოროპორატიონ ბყ რეფერენცე ლოკალური არბიტრაჟის კომპეტენციას არ წარმოშობს და მაშინ დავა უნდა განიხილოს ფიფამ ან მის მიერვე უფლებამოსილმა სპორტულმა არბიტრაჟმა.<sup>44</sup> ასეთი მიდგომის გამართლება იმით ხდება, რომ თუ მხარეების პირდაპირი და ერთმნიშვნელოვანი ნება სახეზე არ არის, მაშინ სჯობს დავამ გადაინაცვლოს ფიფას

---

<sup>41</sup> *Netzle S.*, Jurisdiction of Arbitral Tribunals in Sports Matters: Arbitration Agreements by Reference to Regulations of Sports Organizations, Swiss Arbitration Association, Arbitration of Sports-Related Disputes, ASA, Zürich, 1998, 47.

<sup>42</sup> *Netzle S.*, Jurisdiction of Arbitral Tribunals in Sports Matters: Arbitration Agreements by Reference to Regulations of Sports Organizations, Swiss Arbitration Association, Arbitration of Sports-Related Disputes, ASA, Zürich, 1998, 46.

<sup>43</sup> *Netzle S.*, Jurisdiction of Arbitral Tribunals in Sports Matters: Arbitration Agreements by Reference to Regulations of Sports Organizations, Swiss Arbitration Association, Arbitration of Sports-Related Disputes, ASA, Zürich, 1998, 55

<sup>44</sup> *Zimmermann M.*, Vertragsstabilität im internationalen Fussball, unter besonderer Berücksichtigung der Rechtssprechung der FIFA und des CAS, Dike Verlag, Zürich, 2015, 98.

ერთიან სისტემაში, რაც კლუბსა და ფეხბურთელს შორის წარმოშობილ შრომის დავებზე ერთიანი პრაქტიკის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს.<sup>45</sup>

მითითების გზით დადებული შეთანხმება და შესაბამისად ეს მითითებაც უნდა იყოს დოკუმენტში, რომელიც უშუალოდ ხელმოწერილია სპორტსმენის მიერ. ასევე სავალდებულოა შეთანხმება იყოს სპორტსმენისათვის ადვილად გასაგებ ენაზე და რედაქციით, არ შეიცავდეს სხვა ნორმებზე მითითებას და შემდგომ უკუმითითებას და დეტალურად იძლეოდეს ინფორმაციას პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.<sup>46</sup> ამ კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობას შედეგად საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობა მოჰყვება.

მითითების გზით საარბიტრაჟო შეთანხმების დადების ყველაზე ნათელი მაგალითია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წესდება. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წესდება პირდაპირ მიუთითებს, რომ ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული ან ამ თამაშებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა უნდა გადაწყდეს სპორტული არბიტრაჟის მიერ. ყველა მწვრთნელი, ათლეტი ან ოლიმპიურ თამაშებთან სხვაგვარად დაკავშირებული პირი ვალდებულია ხელი მოაწეროს დეკლარაციას, სადაც არის პირდაპირი მითითება ზემოაღნიშნულ საარბიტრაჟო შეთანხმებაზე. დეკლარაციით ხელმომწერი პირი ადასტურებს, რომ მისთვის სრულად მისაღები და გასაგებია ოლიმპიური წესები საარბიტრაჟო შეთანხმების ჩათვლით. დამატებით, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტიდან იღებს წერილობით დასტურს, რომ მათ გააცნეს ოლიმპიური წესები თავიანთ წევრებს, რომლებიც ეთანხმებიან ამ წესებს და მზად არიან იმოქმედონ ამ წესების შესაბამისად. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ათლეტს პრინციპში სხვა გზა არც რჩება გარდა იმისა, რომ დაეთანხმოს ამ წესებს, თუკი ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა სურს.<sup>47</sup>

## **ბ. I Incorporation by reference - პრობლემები სპორტულ პრაქტიკაში**

ზოგადი პრინციპის თანახმად, Incorporation by reference გულისხმობს დავის გადაწყვეტას იმ რეგლამენტის მეშვეობით, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების დადების მომენტში იყო ძალაში.<sup>48</sup>

ლოკალურ არბიტრაჟზე პირდაპირი და ერთმნიშვნელოვანი მითითითება ფიფას აზრით გამორიცხავს შემდგომში ამ არბიტრაჟთან დაკავშირებული პრეტენზიების

---

<sup>45</sup> *Zimmermann M.*, Vertragsstabilität im internationalen Fussball, unter besonderer Berücksichtigung der Rechtssprechung der FIFA und des CAS, Dike Verlag, Zürich, 2015, 99.

<sup>46</sup> *Netzle S.*, Jurisdiction of Arbitral Tribunals in Sports Matters: Arbitration Agreements by Reference to Regulations of Sports Organizations, Swiss Arbitration Association, Arbitration of Sports-Related Disputes, ASA, Zürich, 1998, 51.

<sup>47</sup> *Netzle S.*, Jurisdiction of Arbitral Tribunals in Sports Matters: Arbitration Agreements by Reference to Regulations of Sports Organizations, Swiss Arbitration Association, Arbitration of Sports-Related Disputes, ASA, Zürich, 1998, 53.

<sup>48</sup> *Zimmermann M.*, Vertragsstabilität im internationalen Fussball, unter besonderer Berücksichtigung der Rechtssprechung der FIFA und des CAS, Dike Verlag, Zürich, 2015, 143.

ფიფას მიერ განხილვისა და გადასინჯვის საშუალებას მაშინაც კი, როდესაც ფეხბურთელი ამტკიცებს, რომ მას არ ჰქონდა რეალური შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო არბიტრების შერჩევისა და დანიშვნის პროცედურაში.<sup>49</sup> ასეთი მიდგომა ადვილად ახსნადია: თუ ფეხბურთელი დაეთანხმა ლოკალური არბიტრაჟის კომპეტენციას საარბიტრაჟო შეთანხმების ხელმოწერის გზით, მას ამ შეთანხმებაზე შეტევა შეუძლია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების ან ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის პროცედურის გამოყენებით და არა ფიფას მეშვეობით, რომელსაც არანაირი კავშირი კონკრეტულ არბიტრაჟთან არ გააჩნია.

საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობა სპორტულ დავებში დამოკიდებულია სპორტული ფედერაციებისა და სხვა გაერთიანებების მიერ შემუშავებულ წესებზე და მათ ფორმულირებაზე. ერთი მხრივ ეს წესები ფედერაციების და მათი წევრებისათვის შესასრულებლად სავალდებულოა, თუმცა ხშირად სპორტსმენების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის გაუგებარია ისეთი პროცედურის გამოყენება, რომელიც მათ სასამართლოსაკენ მიმავალ გზას უღობავს და დავის ისეთი გზით გადაწყვეტას სთავაზობს, რომელიც მას ბოლომდე გაცნობიერებული არც კი აქვს.<sup>50</sup>

შვეიცარულმა სასამართლომ ბათილად ცნო საარბიტრაჟო შეთანხმება, რომელიც მითითების გზით ჩართული იყო კალათბურთელებზე გაცემულ სათამაშო ლიცენზიაში. კალათბურთელები აცხადებდნენ, რომ ისინი ბავშვობიდან თამაშობენ, არიან კონკრეტული ფედერაციის წევრები და ყოველთვის ავტომატურად აწერდნენ ხელს თამაშის ლიცენზიის ვადის გაგრძელებას და არ იცოდნენ (არც შეიძლებოდა სცოდნოდათ), რომ პოტენციური დავა არბიტრაჟს უნდა გადაეწყვიტა. სასამართლომ მათი პრეტენზია დასაბუთებულად ჩათვალა და აღნიშნა, რომ მოცემული შემთხვევა ვერ აკმაყოფილებდა მითითების გზით საარბიტრაჟო შეთანხმების დადების სტანდარტებს.<sup>51</sup>

### საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმა

საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმასთან დაკავშირებით კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული სხვაობები მთლიანად ვრცელდება სპორტის სფეროში დადებულ შეთანხმებებზეც. სახელმწიფოთა ნაწილი საარბიტრაჟო შეთანხმების მიმართ არსებულ სავალდებულო წერილობითი ფორმის მოთხოვნას განმარტავს, როგორც ორივე მხარის მიერ დოკუმენტის ხელმოწერის აუცილებლობას. მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ თუ წერილობითი დოკუმენტი არსებობს, მასში ჩართულ საარბიტრაჟო შეთანხმებაზე მხარის თანხმობის დასადგენად ხელმოწერის არსებობა

---

<sup>49</sup> *Zimmermann M.*, Vertragsstabilität im internationalen Fussball, unter besonderer Berücksichtigung der Rechtssprechung der FIFA und des CAS, Dike Verlag, Zürich, 2015, 99.

<sup>50</sup> *Paulsson J.*, Arbitration of International Sport Disputes: *Blackshaw S., Siekman R., Soek J. (eds.)*, The Court of Arbitration for Sport 1984-2004, T.M.C. Asser Press, The Hague, 2006, 41.

<sup>51</sup> *Netzle S.*, Jurisdiction of Arbitral Tribunals in Sports Matters: Arbitration Agreements by Reference to Regulations of Sports Organizations, Swiss Arbitration Association, Arbitration of Sports-Related Disputes, ASA, Zürich, 1998, 51.

სავალდებულო არ არის.<sup>52</sup> ამ მიდგომებს ასევე დაემატა ონლაინ რეჟიმში დოკუმენტების გაცვლისა და ხელმოწერის გამარტივება, რაც კიდევ უფრო მეტი კითხვას აჩენს ასეთი ფორმით დადებული საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობის მიმართ.

### **შუალედური დასკვნა**

სასამართლოს მსჯელობა, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების არარსებობა საჯარო წესრიგის დარღვევის კონკრეტული გამოვლინებაა, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან არ გამომდინარეობს. იურიდიულად ნამდვილი საარბიტრაჟო შეთანხმების არარსებობა გადაწყვეტილების გაუქმების ცალკე (სპეციალური) საფუძველია, რაზეც სასამართლოს თავისუფლად შეეძლო მიეთითებინა. სასამართლოს მსჯელობის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ შედეგი ამ შემთხვევაში მაინც იგივე იქნებოდა, თუმცა საჯარო წესრიგის სასამართლოსეული განმარტება, ამ უკანასკნელის სამართლებრივ ფუნქციასთან შესაბამისობაში არ არის. საჯარო წესრიგი გაუქმების სხვა სპეციალურ საფუძველთაგან ერთერთია და მასზე, როგორც წესი, მაშინ უთითებენ, როდესაც დარღვევა არსებითი ხასიათისაა, მაგრამ ცალკე აღებული არ შეესაბამება, კანონით გათვალისწინებულ რომელიმე კონკრეტულ საფუძველს. ეს უფრო იურიდიული დასაბუთების ტექნიკის საკითხია და ვერ ცვლის სასამართლო დასაბუთების შედეგს, თუმცა მომავალში ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება სასამართლოს აუცილებლად მოუწევს. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ ისეთ მდგომარეობას, როდესაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის ყველა საფუძველი საბოლოო ჯამში საჯარო წესრიგში გაერთიანდება. ასეთი მიდგომა პირდაპირ წინააღმდეგობაშია საერთაშორისო საარბიტრაჟო პრაქტიკასთან და კანონმდებლის მიზანთან.

### **Res Judicata ეფექტის სასამართლოსეული განმარტების კრიტიკა**

#### **სპორტული გაერთიანებებისა და მათი სტრუქტურული ერთეულების მიერ მიღებული გადაწყვეტილების რეს ჯუდიცატა ეფექტი**

საერთაშორისო ფედერაციებისა თუ ოლიმპიური კომიტეტის წესდებების სამართლებრივი ბუნება ერთმნიშვნელოვნად გაგებული არ არის. მაგალითად, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი თავისი წესდებით საკუთარ თავს საერთაშორისო სამართლის ფარგლებში მოქმედ ასოციაციას და იურიდიულ პირს უწოდებს, თუმცა დოქტრინასა და პრაქტიკაში გავრცელებულია აზრი, რომ ეს

---

<sup>52</sup> *Rubino-Samartano M.*, International Arbitration Law and Practice, 3<sup>rd</sup> ed., (commercial, investment, online, state-individual, interstate, commodities, U.S. –Iran, UNCITRAL and sports arbitration), Jurisnet, Huntington, New York, 2014, 1690.

მტკიცება მოკლებულია საფუძველს და სახეზეა ჩვეულებრივი არაკომერციული იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია შვეიცარული სამართლის შესაბამისად.<sup>53</sup>

საერთაშორისო პრაქტიკაში საკმაოდ გავრცელებულია უშუალოდ სპორტული გაერთიანებების ორგანოების მიერ დავის გადაწყვეტა. ზოგჯერ თვით ასეთ გაერთიანებებს აქვთ სადავო საკითხებზე თავიანთი სარეკომენდაციო მოსაზრებების (advisory opinion) გამოთქმის უფლება, თუკი ასეთი მოთხოვნით მათ მიმართავენ. როგორც წესი, მსგავსი მოსაზრებების გაცემის პროცედურა დეტალურად არის ხოლმე მოწესრიგებული.<sup>54</sup> უნდა აღინიშნოს, რომ სარეკომენდაციო მოსაზრებების მიმართ ერთგვაროვანი დამოკიდებულება არ არსებობს და ხშირად ასეთი რეკომენდაციები კრიტიკის საგანიც ხდება.<sup>55</sup>

„საარბიტრაჟო ტრიბუნალი, რომელიც სპორტული გაერთიანების (ასოციაციის) ორგანოა, გამოდის როგორც მხარე და არ ხასიათდება დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესაბამისი ხარისხით. ასეთი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სხვა არაფერია თუ არა ასოციაციის პოზიციის ცალმხრივი გამოხატვა მოცემული დავასთან დაკავშირებით. ეს უფრო მენეჯმენტის აქტია და არა სამართლებრივი დავის გადაწყვეტის აქტი. მხარეს, რომელიც თვლის, რომ ასეთი გადაწყვეტილებით მისი ინტერესების ხელყოფა მოხდა, უნდა ჰქონდეს ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება მაშინაც კი, როცა ის არ არის შესაბამისი ასოციაციის სრულუფლებიანი წევრი. (მაგალითად როდესაც სახეზეა ე.წ. „არაპირდაპირი წევრობა“ - პირი არის ასოციაციის წევრი ხოლო ეს ასოციაცია თავის მხრივ არის სხვა უფრო მსხვილი ასოციაციის წევრი და ექვემდებარება მის წესებს, ან როდესაც პირი ეთანხმება კონკრეტული ასოციაციის წესებს მხოლოდ იმიტომ, რომ მონაწილეობა მიიღოს რაიმე სპორტულ ღონისძიებაში და ა.შ.) ასეთი მენეჯერული გადაწყვეტილება ყოველთვის უნდა ექვემდებარებოდეს სამართლებრივად გადახედვას და კონტროლს. ორგანო, რომელიც ასეთ დავას განიხილავს, არ უნდა იყოს ამა თუ იმ ასოციაციის სტრუქტურული ერთეული, რომელიც შეიძლება დაინტერესებული იყოს საქმის შედეგით.“<sup>56</sup>

როდესაც სასამართლო ფედერაციის ამა თუ იმ ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების res judicata ეფექტზე მსჯელობს, მისი მიღება თვით ამ ორგანოს და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი ბუნებისა და ეფექტის დეტალური შესწავლის გარეშე (როგორც ეს თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააკეთა) რეკომენდირებული არ არის. ხშირად სპორტსმენი ან კლუბი უჩივის თვით ფედერაციას ამავე ფედერაციის ერთერთ ორგანოში, რომელსაც სპორტული გაერთიანების წესდების

---

<sup>53</sup> *Rubino-Samartano M.*, International Arbitration Law and Practice, 3<sup>rd</sup> ed., (commercial, investment, online, state-individual, interstate, commodities, U.S. –Iran, UNCITRAL and sports arbitration), Jurisnet, Huntington, New York, 2014, 1684-1685.

<sup>54</sup> *Sima B.*, The Court of Arbitration for Sport: *Blackshaw S. Siekman R. Soek J. (eds.)*, The Court of Arbitration for Sport 1984-2004, T.M.C. Asser Press, The Hague, 2006, 25.

<sup>55</sup> *Blackshaw I.S.*, Sport, Mediation and Arbitration, T.M.C. Asser Instituut, Asser International Sports Law Centre, T.M.C. Asser Press, The Hague, 2009, 166.

<sup>56</sup> *Gundel vs. International Equestrian Federation*, 8, miTiTebulia: *Paulsson J.* Arbitration of International Sport Disputes: *Blackshaw S. Siekman R. Soek J. (eds.)*, The Court of Arbitration for Sport 1984-2004, T.M.C. Asser Press, The Hague, 2006, 45.

მიხედვით დავების გადაწყვეტის ფუნქცია აქვს მინდობილი. ასეთ შემთხვევაში შვეიცარული ფედერალური სასამართლო თვლის, რომ ფედერაცია პარალელურ რეჟიმში გამოდის როგორც სუბიექტი და როგორც ფორუმი ერთი და იმავე დავაში, რაც გამორიცხავს ასეთი გადაწყვეტილების საარბიტრაჟო გადაწყვეტილებად აღიარებას.<sup>57</sup>

ფაფას წესების მიხედვით, დავა კლუბსა და ფეხბურთელს შორის შეიძლება გადაწყდეს როგორც სასამართლოში, ასევე უშუალოდ ფიფას მიერაც. გერმანულ დოქტრინაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ფიფას მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას არ შეიძლება ჰქონდეს *res judicata* ეფექტი, ვინაიდან ფიფას არ შეუძლია გასცეს სააღსრულებო ფურცელი და შესაბამისად საბოლოო ვერდიქტის აღსრულებით დაასრულოს დავა. დოქტრინაში აღიარებენ, რომ ასეთ განმარტებას შეიძლება მოჰყვეს ფიფას გადაწყვეტილებებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებს შორის განსხვავებები, რაც ერთიანი პრაქტიკის განვითარებას ხელს არ შეუწყობს. მეორე მხრივ, სადავოდ არ ითვლება, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სპორტული არბიტრაჟის გადაწყვეტილებებს აქვს და უნდა ჰქონდეს *res judicata* ეფექტი მათ შორის სასამართლოებთან მიმართებაში. ამ მოსაზრებას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ თვით ფიფას გადაწყვეტილებები შეიძლება გადაისინჯოს და გაუქმდეს სპორტული არბიტრაჟის მიერ.<sup>58</sup>

კლუბსა და ფეხბურთელს შორის წარმოშობილი დავები შეიძლება ფიფას განსჯადი გახდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეროვნულ დონეზე არსებული ფედერაცია ვერ უზრუნველყოფს სამართლიან და პარიტეტის საწყისებზე დამყარებული საარბიტრაჟო განხილვის მხარეებისათვის შეთავაზებას.<sup>59</sup> ამ შემთხვევაში მხოლოდ საარბიტრაჟო განხილვის მექანიზმზე და არა ზოგადად ეროვნული ფედერაციის ფარგლებში დავის გადაწყვეტის სისტემაზე მითითება შეიძლება ისე გავიგოთ, რომ ფედერაციის შიდა პროცედურები არ შეიძლება ჩაითვალოს ყველა შემთხვევაში პარიტეტულ და სამართლიან ფორუმად, რის გამოც ფიფა მხარეებს აძლევს პირდაპირ მისთვის მიმართვის შესაძლებლობას, თუმცა ამის ცალსახად მტკიცება სწორი არ იქნებოდა.

## საარბიტრაჟო გადაწყვეტილების *res judicata* ეფექტი

### საარბიტრაჟო ინსტიტუტის სტრუქტურული დამოუკიდებლობა

დავის გადაწყვეტასთან დაკავშირებით დადებული შეთანხმება საარბიტრაჟო შეთანხმებად მიჩნევსათვის აუცილებელია, რომ როგორც დავის გადასაწყვეტად შერჩეული სტრუქტურა, ასევე თვით დავის გადაწყვეტის წესი იძლეოდეს ამის შესაძლებლობას. მაგალითად, შვეიცარიის ფედერალურმა სასამართლომ ლოზანაში

---

<sup>57</sup> *Paulsson J.*, Arbitration of International Sport Disputes: *Blackshaw S. Siekman R. Soek J. (eds.)* The Court of Arbitration for Sport 1984-2004, T.M.C. Asser Press, The Hague, 2006, 45.

<sup>58</sup> *Zimmermann M.*, Vertragsstabilität im internationalen Fussball, unter besonderer Berücksichtigung der Rechtssprechung der FIFA und des CAS, Dike Verlag, Zürich, 2015, 79-80.

<sup>59</sup> *Zimmermann M.*, Vertragsstabilität im internationalen Fussball, unter besonderer Berücksichtigung der Rechtssprechung der FIFA und des CAS, Dike Verlag, Zürich, 2015, 95.

არსებული სპორტული არბიტრაჟი 1993 წელს მიღებული გადაწყვეტილებით აღიარა სრულფასოვან საარბიტრაჟო მექანიზმად<sup>60</sup> და შესაბამისად გამორიცხა ყოველგვარი შემდგომი ბუნდოვანება მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით.

საფეხბურთო დავების განხილვისა და გადაწყვეტის პირველ ეტაპზე ფიფა ცდილობდა დავების მისი კონტროლის სფეროდან არ გასულიყო, თუმცა რაც დრო გადიოდა, მით უფრო ხშირად უწევდა ამ საკითხებზე მსჯელობა ციურისის სასამართლოს, რომელიც ფიფას ადგილსამყოფელიდან გამომდინარე განსჯად სასამართლოდ ითვლებოდა. ძალიან ხშირად სასამართლო ვერ ითვალისწინებდა საფეხბურთო სპეციფიკას. ფიფას დამატებით უკმაყოფილებას იწვევდა ის ფაქტი, რომ ხშირად მისი სატრანსფერო რეგლამენტის სამართლებრივი ბუნება და სავალდებულო ძალაც დგებოდა ეჭვის ქვეშ. შესაბამისად ევოლუციის შემდეგი ეტაპი საფეხბურთო დავების არბიტრაჟისათვის დაქვემდებარება იყო. ამას მოჰყვა ფიფას ცირკულარი 2002 წელს, რომლითაც ფიფამ აღიარა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სპორტული არბიტრაჟის კომპეტენცია საფეხბურთო დავების გადაწყვეტაზე. საბოლოოდ ეს გადაწყვეტილება ძალაში 2004 წლიდან შევიდა<sup>61</sup> საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სპორტულ არბიტრაჟს მაშინ აქვს კომპეტენცია ფიფასთან დაკავშირებულ დავებზე, როდესაც დავის გადაწყვეტის შიდა მექანიზმები გამოყენებული და ამოწურულია.<sup>62</sup>

სპორტული არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილების *res judicata* ეფექტზე საუბრისას, აუცილებლად უნდა განიმარტოს რას წარმოადგენს ეს არბიტრაჟი სამართლებრივი სტრუქტურის თვალსაზრისით. ჩაშ არ არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი. ის მოქმედებს სპორტული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭოს (International Council of Arbitration for Sport) ბაზაზე და მისი ეგიდით, დავების გადაწყვეტის მიზნით.<sup>63</sup>

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ასევე შექმნა კალათბურთის საარბიტრაჟო ტრიბუნალი 2007 წელს. არც ის არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, თუმცა მის მიერ გადაწყვეტილი დავების რაოდენობა და მისი ჩართულობა სპორტულ პროცესებში ყოველწლიურად იზრდება.<sup>64</sup> 2010 წლამდე კალათბურთის საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებები აპელაციის წესით საჩივრდებოდა საერთაშორისო

---

<sup>60</sup> *Reeb M.*, The Role and Functions of the Court of Arbitration For Sport (CAS): *Blackshaw S. Siekman R. Soek J. (eds.)* The Court of Arbitration for Sport 1984-2004, T.M.C. Asser Press, The Hague, 2006, 33.

<sup>61</sup> *Zimmermann M.*, Vertragsstabilität im internationalen Fussball, unter besonderer Berücksichtigung der Rechtssprechung der FIFA und des CAS, Dike Verlag, Zürich, 2015, 132-133.

<sup>62</sup> *Zimmermann M.*, Vertragsstabilität im internationalen Fussball, unter besonderer Berücksichtigung der Rechtssprechung der FIFA und des CAS, Dike Verlag, Zürich, 2015, 99.

<sup>63</sup> *Rubino-Samartano M.*, International Arbitration Law and Practice, 3<sup>rd</sup> ed., (commercial, investment, online, state-individual, interstate, commodities, U.S. –Iran, UNCITRAL and sports arbitration), Jurisnet, Huntington, New York, 2014, 1698.

<sup>64</sup> *Rubino-Samartano M.*, International Arbitration Law and Practice, 3<sup>rd</sup> ed., (commercial, investment, online, state-individual, interstate, commodities, U.S. –Iran, UNCITRAL and sports arbitration), Jurisnet, Huntington, New York, 2014, 1698.

ოლიმპიური კომიტეტის მიერ დაფუძნებულ სპორტულ არბიტრაჟში, თუმცა 2010 წელს გასაჩივრების შესაძლებლობა გამოირიცხა. პრაქტიკამ აჩვენა, რომ აპელაციის პროცედურას წაგებული მხარე მხოლოდ დროის გასაჭიანურებლად იყენებდა.<sup>65</sup>

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ შექმნილი სპორტული არბიტრაჟის ჰეგემონიური მდგომარეობა ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს ამ ინსტიტუტს მთლიანად „პრივატიზებული“ აქვს სპორტული დავების გადაწყვეტის სფერო. მსგავსი დავების განხილვაში შეიძლება ჩართული აღმოჩნდეს ნებისმიერი სხვა ინსტიტუტიც. ამის მაგალითად დოქტრინაში ასახელებენ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას და ამ ორგანიზაციის მიერ დავების გადაწყვეტის მიზნით შექმნილ საარბიტრაჟო მექანიზმს, რომელსაც ასევე შეუძლია სპორტული დავების გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღება.<sup>66</sup>

## **ბ. არბიტრების დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა**

სპორტული არბიტრაჟის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა მისი დაფუძნების მომენტიდან არის ინტენსიური დებატების საგანი.<sup>67</sup>

შვეიცარიის ფედერალური სასამართლო (რომელსაც სპორტული არბიტრაჟის ადგილსამყოფელიდან გამომდინარე ყველაზე ხშირად უწევს ამ საკითხზე მსჯელობა) ეჭვის ქვეშ არ აყენებს სპორტული არბიტრაჟის კომპეტენციას იმ შემთხვევაშიც, როცა მხარე ერთერთი სპორტული ფედერაციაა.<sup>68</sup>

2003 წელს შვეიცარიის ფედერალურ უზენაეს სასამართლოს მოუწია მსჯელობა რამდენიმე რუსი სპორტსმენის შუამდგომლობაზე, რომლებიც საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟის გადაწყვეტილებას აყენებდნენ ეჭვის ქვეშ იმაზე მითითებით, რომ მეორე მხარე დავაში იყო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, რომელიც თავის მხრივ საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟის ერთერთი სულისჩამდგმელია და დღემდე აფინანსებს მის ბიუჯეტს, მათ შორის არბიტრების მგზავრობისა და ცხოვრების ხარჯების ჩათვლით. სასამართლომ ჩათვალა, რომ მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა ობიექტური კრიტერიუმებია და ისინი არ ითვლება დაკმაყოფილებულად მხოლოდ იმის გამო, რომ რომელიმე მხარეს პერსონალურად შეექმნა გარკვეული წარმოდგენა ან ჩამოუყალიბდა აზრი მიკერძოებულობის შესახებ. საარბიტრაჟო სამყარო საკმაოდ პატარაა. ამიტომ ხშირია შემთხვევა, რომ არბიტრები და მხარეთა წარმომადგენლები ადრეც მუშაობდნენ ერთად, რაც აცილების ან მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების

---

<sup>65</sup> *Rubino-Samartano M.*, International Arbitration Law and Practice, 3<sup>rd</sup> ed., (commercial, investment, online, state-individual, interstate, commodities, U.S. –Iran, UNCITRAL and sports arbitration), Jurisnet, Huntington, New York, 2014, 1715.

<sup>66</sup> დაწვრილებით იხ. *Blackshaw I.S.*, Sport, Mediation and Arbitration, T.M.C. Asser Instituut, Asser International Sports Law Centre, T.M.C. Asser Press, The Hague, 2009, 193-199.

<sup>67</sup> *Pinna A.*, The Trials and Tribulations of the CAS: *Blackshaw S.*, *Siekman R.*, *Soek J.* (eds.), The Court of Arbitration for Sport 1984-2004, T.M.C. Asser Press, The Hague, 2006, 400.

<sup>68</sup> *Plantey A.*, Independence of the CAS Recognised by the Swiss Federal Tribunal: *Blackshaw S.*, *Siekman R.*, *Soek J.* (eds.), The Court of Arbitration for Sport 1984-2004, T.M.C. Asser Press, The Hague, 2006, 51.

საფუძველი არ უნდა გახდეს. იგივეს ამტკიცებს შვეიცარიის უზენაესი სასამართლო ხარჯების ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით და თვლის, რომ ეს არ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების ეჭვის ქვეშ დაყენების საფუძველი.<sup>69</sup> საწინააღმდეგო მოსაზრების მომხრეები თვლიან, რომ ამ დროს სპორტული არბიტრაჟის კომპეტენცია გამორიცხული უნდა იყოს. მათი აზრით ასეთი მიდგომა განპირობებულია ოლიმპიური კომიტეტის როლით საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟის შექმნის საქმეში და კომიტეტის გავლენის ბერკეტების არსებობით ამ სასამართლოზე.<sup>70</sup> ასეა თუ ისე, 2003 წელს Lazutina საქმეზე შვეიცარიის ფედერალური სასამართლოს მიერ გაკეთებულმა განმარტებამ სპორტული არბიტრაჟის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ კითხვები მაინც დატოვა.<sup>71</sup> თუმცა, ამ კითხვების არსებობა ხელს არ უშლის სპორტულ არბიტრაჟს დარჩეს სპორტული დავების გადაწყვეტის უმთავრეს მექანიზმად.

არსებობს მოსაზრება, რომ არბიტრების „ჩაკეტილი სია“, რომლითაც სარგებლობს საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟი, კიდევ უფრო ზრდის მისი მიუკერძოებლობის მიმართ არსებულ ეჭვებს. არბიტრები, რომლებიც ამ სიაში არიან, იმავე დროს მონაწილეობენ სხვა დავებში, როგორც წარმომადგენლები და ეს მათთვის შეზღუდული არ არის. შესაბამისად, მათ, როგორც არბიტრებს ხშირად აქვთ წვდომა ისეთ ინფორმაციასთან და ქეისებთან, რომელიც სხვებისთვის დაფარულია მათი კონფიდენციალურობის გამო. გგამოდის, რომ არბიტრები იღებენ ინფორმაციას და შემდეგ ამ ინფორმაციით აღჭურვილნი არათანაბარ მდგომარეობაში აყენებენ სხვა საქმეზე მოწინააღმდეგე მხარეების წარმომადგენლებს, რომლებსაც წინა საქმესთან წვდომა არ ჰქონიათ მისი კონფიდენციალურობის გამო. როგორც აღნიშნავენ, ამ დროს ადვოკატს, რომელიც არათანაბარ მდგომარეობაშია, უჭირს კლიენტებისათვის იმის ახსნა, თუ რატომ „იწინასწარმეტყველა“ მეორე მხარის წარმომადგენლმა ისეთი შედეგი, რაზეც მეორე მხარეს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა.<sup>72</sup> საკითხავია, ასეთ ინფორმაციასთან წვდომა არბიტრისთვის აკრძალული ილეთის გამოყენებაა თუ მაღალი დონის პროფესიონალის დაქირავება. თუ მეორე მხარეს ასევე სურდა ჰქონოდა „შიდა ინფორმაციაზე“ და განვითარების ტენდენციებზე წვდომა, მასაც შეეძლო აეყვანა ისეთი წარმომადგენელი, რომელიც სხვა საქმეებზე ხშირად ინიშნება არბიტრად. ეს პროტესტი ჰგავს დაბალი კვალიფიკაციის იურისტების ჩივილს, რომ სხვებს ბაზარი გადანაწილებული აქვთ და მათ მსხვილი კლიენტების ხელში ჩაგდების საშუალებას არ აძლევენ. ეს ურთიერთობები

---

<sup>69</sup> *Vrijman E.*, Experiences With Arbitration Before The CAS: Objective Circumstances Or Purely Individual Impressions?: *Blackshaw S., Siekman R., Soek J. (eds.)*, The Court of Arbitration for Sport 1984-2004, T.M.C. Asser Press, The Hague, 2006, 63 -65.

<sup>70</sup> *Plantey A.*, Independence of the CAS Recognised by the Swiss Federal Tribunal: *Blackshaw S., Siekman R., Soek J. (eds.)*, The Court of Arbitration for Sport 1984-2004, T.M.C. Asser Press, The Hague, 2006, 51.

<sup>71</sup> *Rubino-Samartano M.*, International Arbitration Law and Practice, 3<sup>rd</sup> ed., (commercial, investment, online, state-individual, interstate, commodities, U.S. –Iran, UNCITRAL and sports arbitration), Jurisnet, Huntington, New York, 2014, 1694.

<sup>72</sup> *Vrijman E.*, Experiences With Arbitration Before The CAS: Objective Circumstances Or Purely Individual Impressions?: *Blackshaw S., Siekman R., Soek J. (eds.)*, The Court of Arbitration for Sport 1984-2004, T.M.C. Asser Press, The Hague, 2006, 66.

სპორტული დავების გადაწყვეტის სფეროში გაძლიერებული კონკურენციის გამოძახილია და მათი გაპროტესტება არც თუ ისე დასაბუთებულად გამოიყურება.

შეფასება შეიძლება სხვაგვარი აღმოჩნდეს, როდესაც საქმე ეხება არა წარსულ საქმიანობას, არამედ იმ მოვლენებს, რომელიც კონკრეტული საარბიტრაჟო განხილვის პარალელურად ვითარდება. იყო შემთხვევა, როდესაც ერთი მხარის წარმომადგენელი არბიტრობდა პარალელურ განხილვაში, სადაც მეორე მხარის წარმომადგენელიც მონაწილეობდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთერთი მხარის წარმომადგენელი მეორის წარმომადგენელს ერთ პროცესზე ხვდებოდა როგორც ადვოკატს, ხოლო მეორეზე კ როგორც „მოსამართლეს“ - არბიტრს. ადვოკატის განმარტებით, ამან მისი მარწმუნებლის აღშფოთება და სამართლიანი კითხვები გამოიწვია.<sup>73</sup> თუ ამ შემთხვევას ემოციის გარეშე შევხედავთ, ცხადი გახდება, რომ აცილების რაიმე საფუძველი არ არსებობდა. სხვა საქმეზე არბიტრობით მეორე მხარის წარმომადგენელს არ ჰქონდა რეალური ბერკეტი მოეხდინა რაიმე გავლენა მოცემულ საქმეზე, სადაც ის მხოლოდ წარმომადგენელი იყო. თავისთავად მაგალითი ცხადყოფს, რომ ურთიერთობები შეიძლება ისე იყოს გადახლართული ერთმანეთზე, რომ რეალური ბერკეტების არსებობის და არარსებობის საკითხის გარკვევა შეუსრულებელ მისიად იქცეს. სასამართლო უძღურია ამ შემთხვევაში რაიმე უნივერსალური სტანდარტი შეიმუშაოს. გამოსავალი ყოველი კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალური შესწავლა და ანალიზი შეიძლება იყოს.

მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის კითხვები სპორტული არბიტრაჟის მიმართ ახლა უფრო ნაკლებად ჩნდება, ვიდრე თუნდაც ათი ან მეტი წლის წინ. სპორტულმა არბიტრაჟმა ეტაპობრივად მიაღწია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისგან ისეთ დამოუკიდებლობას, რომ ამასთან დაკავშირებით უხერხული კითხვები ნაკლებად იდგეს დღის წესრიგში.<sup>74</sup>

## შუალედური დასკვნა

გადაწყვეტილების *res judicata* ეფექტი შვეიცარიის უზენაესი სასამართლოსათვის პირდაპირ არის მიზნული თვით დავის განხილვის ორგანოსა და მის მიერ დაკომპლექტებული ტრიბუნალის დამოუკიდებლობის ხარისხზე. თუ ორგანოს და ტრიბუნალის უფლებამოსილების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ მათგან მოსალოდნელია დამოუკიდებელი გადაწყვეტილების გამოტანა, ისინი დაინტერესებულნი არ არიან საბოლოო შედეგით და არ იმყოფებიან ერთერთი მხარის უშუალოდ ადმინისტრაციული (ან სხვა) გავლენის ქვეშ, მაშინ მათ მიერ მიღებული

---

<sup>73</sup> *Vrijman E.*, Experiences With Arbitration Before The CAS: Objective Circumstances Or Purely Individual Impressions?: *Blackshaw S., Siekman R., Soek J. (eds.)*, The Court of Arbitration for Sport 1984-2004, T.M.C. Asser Press, The Hague, 2006, 66.

<sup>74</sup> *Kane D.*, Twenty Years On: An Evolution of The Court of Arbitration For Sport: *Nafziger J.A.R.*, Transnational Law of Sports, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2013, 628.

გადაწყვეტილების შეფასება აღსრულებად საარბიტრაჟო გადაწყვეტილებად პრინციპულად შესაძლებელია.<sup>75</sup>

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია საკითხზე, რამდენად შეიძლება აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ჩაითვალოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებად. ამ შემთხვევაში საუბარი არ არის სასამართლოს პოზიციის გამართულობაზე, საუბარია დასაბუთების ხარისხზე, რომელიც გადაწყვეტილებაში შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ დაბალია. სასამართლო საერთოდ არ მიიჩნევს საჭიროდ გარკვიოს დავის გადაწყვეტის რა მექანიზმთან ჰქონდა საქმე ფედერაციის წესდების ძველი რედაქციის მიხედვით, როდესაც არბიტრაჟი ზემოაღნიშნულ დოკუმენტში ხსენებულიც კი არ ყოფილა. სასამართლოს უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე, ხომ არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო აღმასრულებელი კომიტეტი თავისებურ კვაზისარბიტრაჟო პროცედურად. სასამართლომ აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დავა საბოლოოდ გადაწყვეტილად ისე მიიჩნია, რომ საერთოდ არ უმსჯელია, რა სამართლებრივი შინაარსისა და დატვირთვის მატარებელი იყო აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება, რატომ იყო ის საბოლოო და ა.შ.

### საბოლოო შეფასება

სასამართლო ვალდებულია სპორტის სფეროში წარმოშობილი დავების გადაწყვეტაში არბიტრაჟისა და სხვა არასასამართლო მექანიზმების მხარედი როლი გაითვალისწინოს<sup>76</sup> და ისე მიიღოს გადაწყვეტილებები. ერთი მხრივ სასამართლოს განტვირთვის აუცილებლობა და მეორე მხრივ თვით დავების სპეციფიკა უკეთესი ალტერნატივის პოვნის შანსს ნაკლებად ტოვებს. ეს დავები არავის შეუძლია გადაწყვიტოს იმაზე სწორად, სწრაფად და სამართლიანად, ვიდრე თვით სპორტული გაერთიანებების მიერ ჩამოყალიბებულ და განვითარებულ ალტერნატიულ ინსტიტუტებს. მეორე მხრივ ამ სტრატეგიის არჩევა სასამართლოების მიერ არ ნიშნავს მათ სრულ „ჩანაცვლებას“ და უფუნქციოდ დატოვებას. დადასტურებულია და სადავო არავისთვის არის, რომ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებები სასამართლოს მხრიდან ეფექტური მხარდაჭერის გარეშე წარუმატებლობისთვის არის განწირული.

სასამართლოს გადაწყვეტილებაში არსებით და უხეშ შეცდომაზე საუბარი გადაჭარბებული იქნებოდა. აარსებული ხარვეზები სპორტის სამართლის განუვითარებლობით და ამ სფეროში თანამედროვე გამოცდილებისა და პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის ტოტალური ნაკლებობით უნდა აიხსნას.

<sup>75</sup> *Paulsson J., Arbitration of International Sport Disputes: Blackshaw S., Siekman R., Soek J. (eds.), The Court of Arbitration for Sport 1984-2004, T.M.C. Asser Press, The Hague, 2006, 45-46.*

<sup>76</sup> *Sima B., The Court of Arbitration for Sport: Blackshaw S., Siekman R., Soek J. (eds.), The Court of Arbitration for Sport 1984-2004, T.M.C. Asser Press, The Hague, 2006, 29.*

## გიორგი ცერცვაძე \*

სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, აღსრულებაუნარიანი გადაწყვეტილება, სასამართლო და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების გამიჯვნა

საქმე № ა-1985-ს-68-09\*\*

[უცხო ქვეყნის სასამართლო და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება]

### საკვანძო მუხლი

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 68-ე მუხლი

### ფაქტები

*განხილვის საგანი – დიდი ბრიტანეთის მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს დედოფლის პალატის კომერციული სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.*

ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 1999 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილებით პანამური კომპანია Polestar Compania Maritima S.A.-ის სასარგებლოდ საქართველოს სახელმწიფოს დაეკისრა: ვალის ძირითადი თანხა – 1 575 961 აშშ დოლარი; 1996 წლის 18 აპრილიდან 1999 წლის 16 მარტამდე პერიოდის პროცენტი – 277 120 აშშ დოლარი; ვალის ძირითადი თანხის პროცენტი 1999 წლის 17 მარტიდან სრულ დაფარვამდე, განაკვეთით 5,00625%, ყოველდღიურად 216,15 აშშ დოლარი; მოსარჩელის მიერ იურიდიულ მომსახურებაზე გაწეული ხარჯი – 250 785,92 ფუნტი სტერლინგი; მართვის ხარჯები და დანახარჯები – 81 570 აშშ დოლარი; საარბიტრაჟო ხარჯი – 52 270,50 ფუნტი სტერლინგი.

დიდი ბრიტანეთის მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს დედოფლის პალატის კომერციული სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით (გადაწყვეტილება #2005 FOLIO 600) დადასტურდა, რომ 1999 წლის 24 აგვისტოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების თანახმად საქართველოს რესპუბლიკის მიერ Polestar Compania Maritima S.A.-სთვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი თანხები: 1 575 961 აშშ დოლარი; 277 120 აშშ დოლარი, როგორც პროცენტი 1996 წლის 18 აპრილიდან 1999 წლის 16 მარტამდე პერიოდზე; 34 584 აშშ დოლარი, როგორც შემდგომი პროცენტი ვალის

---

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ჯეი ენდ თი ქონსალთინგის მმართველი პარტნიორი, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის აკადემიური დირექტორი.

\*\* საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 26 მარტის განჩინება.

ძირითად თანხაზე – 1 575 961 აშშ დოლარზე – 1999 წლის 17 მარტიდან 1994 წლის აგვისტომდე (საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის თარიღამდე), 160 დღეზე საპროცენტო განაკვეთით 5,00625%, რაც შეადგენს 216,15 აშშ დოლარს დღეში; 81 570 აშშ დოლარი – მართვის ხარჯები და დანახარჯები; 250 785,92 ფუნტი სტერლინგი – სასამართლო ხარჯები და გადასახადები; 52 270,50 ფუნტი სტერლინგი. ჯამში აღნიშნული თანხები შეადგენს 1 969 235 აშშ დოლარსა და 303 056,42 ფუნტ სტერლინგს.

2009 წლის 24 სექტემბერს საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა პანამურმა კომპანია Polestar Compania Maritima S.A.-მ (წარმომადგენელი დავით კიკალეიშვილი), რომელმაც მოითხოვა დიდი ბრიტანეთის მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს დედოფლის პალატის კომერციული სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების (გადაწყვეტილება #2005 FOLIO 600) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

### **განმცხადებლის არგუმენტაცია**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საქმის განხილვისას საკასაციო სასამართლოს მოთხოვნით Polestar Compania Maritima S.A.-მ კიდევ ერთხელ დააზუსტა, რომ იგი არ მოითხოვს ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 1999 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას, არამედ – მხოლოდ დედოფლის პალატის კომერციული სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების ცნობას და აღსრულებას.

### **მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტაცია**

მოწინააღმდეგე მხარე საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ წარმოდგენილ მოსაზრებაში შუამდგომლობა არ ცნო და განმარტა, რომ დიდი ბრიტანეთის მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს დედოფლის პალატის კომერციული სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება და Polestar Compania Maritima S.A.-ის შუამდგომლობის მოთხოვნა ეფუძნება ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 1999 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილებას. საარბიტრაჟო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებაში გამოყენებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლით ერთმნიშვნელოვნადაა დადგენილი სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა – ათი წელი. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა ათი წელი მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება. ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 1999 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილებით დადასტურებული Polestar Compania Maritima S.A.-ის მოთხოვნა ამავე გადაწყვეტილებით გათვალისწინებული თანხების ანაზღაურების თაობაზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არის ხანდაზმული – ხანდაზმულობის ვადა გავიდა 2009 წლის 24 აგვისტოს, Polestar Compania Maritima S.A.-მ

კი საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა 2009 წლის 24 სექტემბერს. ამასთან, მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს დედოფლის პალატის კომერციულ სასამართლოს საქმე არსებითად არ განუხილავს და არ შეუმოწმებია ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 1999 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილების კანონიერება.

### გადაწყვეტილება

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი შუამდგომლობის სასამართლო განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

შუამდგომლობის ავტორი არ მოითხოვს ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 1999 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას, რის შესაძლებლობასაც მას „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“ ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია პირდაპირ აძლევს. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანია მხოლოდ დიდი ბრიტანეთის მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს დედოფლის პალატის კომერციული სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს: „საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს“. ამ შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების ობიექტად მოიაზრება არა კანონიერ ძალაში შესული ნებისმიერი გადაწყვეტილება, არამედ მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობაუნარიანი და აღსრულებადი გადაწყვეტილება.

უცხო ქვეყნის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა ნიშნავს, რომ ამ გადაწყვეტილებას საქართველოს ტერიტორიაზე მოჰყვება იგივე სამართლებრივი შედეგი, რასაც აღნიშნული გადაწყვეტილება მის გამომტან ქვეყანაში ისახავს მიზნად.

ფორმალური ნიშნით დედოფლის პალატის კომერციული სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებაა, მაგრამ არსებითად აკმაყოფილებს თუ არა ცნობაუნარიანობის მოთხოვნას, ამისათვის საჭიროა სწორად შეფასდეს, არსობრივად რა სახის გადაწყვეტილებას წარმოადგენს იგი და რა სამართლებრივი შედეგის დადგენას ისახავს მიზნად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით მხედველობაში იღებს ინგლისის 1996 წლის საარბიტრაჟო აქტის 66(1)-66(3) მუხლების მოთხოვნას, რომელიც ითვალისწინებს შიდასახელმწიფოებრივ ურთიერთობებში არბიტრაჟის გადაწყვეტილებათა იძულებით აღსრულებას სასამართლოსგან ნებართვის მიღების გზით, ასევე, ამავე საარბიტრაჟო აქტის 66(4) მუხლის მოთხოვნას, რომ ნიუ-იორკის კონვენციის ფარგლებში არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულებაზე არ ახდენს გავლენას 66(1)-66(3) მუხლებით დადგენილი დანაწესი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დედოფლის პალატის კომერციული სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება თავისი

არსით წარმოადგენს ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 1999 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილების ინგლისის ტერიტორიაზე იძულებით აღსასრულებლად მიქცევის მიზნით გამოტანილ გადაწყვეტილებას. იგი განკუთვნილია მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი აღსრულების მიზნებისთვის და იძულებითი აღსრულების დაწყების საფუძველია ინგლისში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დედოფლის პალატის კომერციული სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება თავისი არსით არ არის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობაუნარიანი და აღსრულებადი გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი შედეგი – საარბიტრაჟო გადაწყვეტილების იძულებით აღსასრულებლად მიქცევა ინგლისის ტერიტორიაზე – მას საქართველოს ტერიტორიაზე ვერ მოჰყვება. საქართველოში ცნობისა და აღსრულების ობიექტი შეიძლება იყოს ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 1999 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლის ცნობისა და აღსრულების საკითხი შუამდგომლობის განხილვის საგანს არ წარმოადგენს.

## ანალიზი

### სასამართლო გადაწყვეტილების მნიშვნელობა პრაქტიკისთვის

არბიტრაჟი უკვე დიდი ხანია ჩამოყალიბდა დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმად, თავისებურ „კერძო მართლმსაჯულებად“<sup>1</sup>, რომელიც სასამართლოს მხარდაჭერის გარეშე ლეგიტიმურობას კარგავს, თუმცა სასამართლოზე მთლიანად დამოკიდებული არ არის. მართლმსაჯულების ორგანოს არ უნდა ჰქონდეს უფლება გადაკვეთოს ის „წითელი ხაზები“, რომლებიც საერთაშორისო წესრიგმა დაადგინა. დოქტრინაში გამოთქმული ხატოვანი ალეგორია რომ გამოვიყენოთ, მხარეები, არბიტრები და მათი ადვოკატები სასამართლოსგან ითხოვენ დაახლოებით იგივეს, რასაც თინეიჯერი შვილები მშობლებისაგან: ჩაურევლობას, სანამ ჩარევის მოთხოვნა არ იქნება და ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში სპეციალურად დადგენილი წესით მოქმედებას.<sup>2</sup>

აქამდე შეუცვლელად მიჩნეული ზოგადი პრინციპი, რომლის თანახმადაც, უცხოური ელემენტის მონაწილეობით საქმის განხილვისას, (არ აქვს მნიშვნელობა, ეს ცნობისა და აღსრულების პროცედურა იქნება თუ არსებითი განხილვა) სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს უცხოური მატერიალური სამართალი, ხოლო პროცედურის განსაზღვრისას – Lex Fori, ნელ ნელა ცვლილებას განიცდის. სასამართლოები სულ უფრო ხშირად არიან

<sup>1</sup> Scwab/Walter Schiedsgerichtbarkeit 7. Auflage, Beck, Helbing & Lichtenhahn, 2005, 1.

<sup>2</sup> *Laurence S.*, Chapt. 3. State Courts and Document Production in Teresa Giovannini and Alexis Mourre (eds.), *Written Evidence and Discovery in International Arbitration: New Issues and Tendencies*, Dossiers of the ICC Institute of World Business Law, Vol. 6, © Kluwer Law International; International Chamber of Commerce (ICC) 2009, 57–70. (მადლობა ჩემს ყოფილ სტუდენტს, გიორგი კეკელიძეს სტატიის ელექტრონული ვერსიის მოწოდებისათვის).

ვალდებულნი, და უფრო მეტიც - იძულებულნი დაადგინონ უცხოური საპროცესო წესის სამართლებრივი შინაარსი და ისე მიიღონ გადაწყვეტილება.<sup>3</sup>

უზენაესი სასამართლოს ეს კონკრეტული გადაწყვეტილებაც ამ თეზისის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს. გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საკითხზე სრულფასოვანი მსჯელობისა და სამართლებრივი შეფასებისათვის საქართველოს უზენაეს სასამართლოს 1996 წლის ინგლისური საარბიტრაჟო კანონის კონკრეტული ნორმების შინაარსის დადგენა და მათი ინტერპრეტაცია დასჭირდა. სხვაგვარად მსჯელობა, თავად წარმოდგენილი გადაწყვეტილების შინაარსიდან გამომდინარე, უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ეს იყო ახალგაზრდა ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში უნიკალური შემთხვევა, როდესაც ქართველ მოსამართლეს მისთვის აბსოლუტურად უცნობი ფორმისა და შინაარსის მქონე ინსტიტუტის სამართლებრივი შეფასება მოუწია. უზენაესი სასამართლოს დასაბუთების ლაკონიურობის მიუხედავად, შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი, რაც მსგავს საკითხებზე მსჯელობისას ქართველი მოსამართლეებისათვის სახელმძღვანელოდ შეიძლება იქცეს.

კონრად ცვაიგერტის თეზისი - „შედარებითი სამართალი, ინტერპრეტაციის უნივერსალური მეთოდი“ - კვლავაც ძალაშია.<sup>4</sup> თუ სასამართლოს უცხოური სამართლებრივი ინსტიტუტის სამართლებრივი შინაარსის დადგენა, უწევს, მას შედარებითი ანალიზის გარდა სხვა გზა არ რჩება. სასამართლო ვალდებულია ერთი მხრივ დაადგინოს უცხოური სამართლებრივი ინსტიტუტის რეალური დანიშნულება შესაბამის მართლწესრიგში, მერე კი უნდა მოძებნოს მისთვის ყველაზე შესაბამისი ადგილი და ფუნქცია „თავის“ სამართლებრივ სისტემაში. სასამართლო ამ დროს ვერ გაექცევა იმის შეფასებასაც, რამდენად თავსებადია ესა თუ ის უცხოური რეგულირება ნაციონალური სამართლის ძირითად და ფუნდამენტურ პრინციპებთან.

### **სასამართლოს მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები და მათი გავლენა საბოლოო შედეგზე**

გადაწყვეტილება ორიგინალურია იმ მხრივაც, რომ ინგლისური საარბიტრაჟო სამართლის სპეციფიკური ინსტიტუტის სამართლებრივ შინაარსში გასარკვევად საჭირო გახდა წარმოდგენილი შუამდგომლობის დაზუსტება.

პანამაში დაფუძნებულმა კომპანიამ (Polestar) საარბიტრაჟო დავა წამოიწყო ლონდონში საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ და მოიგო კიდევ პროცესი 1999 წელს. 2008 წელს მოსარჩელემ მიმართა Queen's Bench<sup>5</sup>-ის სასამართლოს ლონდონში

<sup>3</sup> *Oberhammer P., Comparative Civil Procedure Before Austrian Courts: Canivet G., Andenas M., Fairgrieve D., (eds.), Comparative Law Before the Courts, The British Institute of International and Comparative Law, London, 2004, 243.*

<sup>4</sup> *Oberhammer P., Comparative Civil Procedure Before Austrian Courts: Canivet G., Andenas M., Fairgrieve D. (eds.), Comparative Law Before the Courts, The British Institute of International and Comparative Law, London, 2004, 245.*

<sup>5</sup> ამ სასამართლოს სახელწოდების პირდაპირი, სიტყვასიტყვითი თარგმანი გარკვეულ უხერხულობას გამოწვევდა. ფუნქციური დანიშნულების მიხედვით თარგმნა ვერ ხერხდება, ვინაიდან მსგავს სასამართლოს ქართული მართლმსაჯულება არ იცნობს. ბევრი ფიქრის შემდეგ

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებისთვის. სასამართლომ დაამტკიცა მოთხოვნილი აღსრულება. 2009 წლის სექტემბერში Polestar-მა მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ინგლისის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნით. წარმოდგენილი მტკიცებულებების წინასწარი შესწავლის შემდეგ სასამართლომ Polestar-ის წარმომადგენელს შესთავაზა, დაეზუსტებინა განცხადების შინაარსი და განემარტა, მისი მიმართვა ეხებოდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას, თუ ამ გადაწყვეტილების აღსრულებაზე ინგლისის სასამართლო გადაწყვეტილებას. Polestar-მა დააზუსტა, რომ ის ითხოვდა 2008 წლის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას. სასამართლო დაეყრდნო ინგლისური საარბიტრაჟო კანონის 66-ე მუხლს და დაადგინა, რომ ეს გადაწყვეტილება არ იყო აღსრულებადი საქართველოში. უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ ინგლისის სასამართლო გადაწყვეტილებაში არაფერი იყო აღსასრულებელი, რადგან იგი, თავის მხრივ, წარმოადგენდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დადასტურებას იმ ერთადერთი მიზნით, რომ გამარტივებულიყო მისი აღსრულება ინგლისში. აღნიშნული არგუმენტაციით უზენაესმა სასამართლომ უარი თქვა გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე, ამასთან, განმარტა, რომ ეს პოზიცია არ უნდა მიჩნეულიყო 1999 წლის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმად, რადგან ეს გადაწყვეტილება არ ყოფილა ამ საქმეში განხილვის საგანი. მხარემ ამკარად და ერთმნიშვნელოვნად გამორიცხა თავის განცხადებაში 1999 წლის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების მოთხოვნა.<sup>6</sup>

ამგვარად, საბოლოო სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის გადამწყვეტი როლი სწორედ მხარის მიერ მოთხოვნის დაზუსტებამ ითამაშა. სასამართლომ თავიდანვე სწორად შეარჩია „საპროცესო სტრატეგია“. მოთხოვნის შინაარსისა და მხარის რეალური სამართლებრივი ინტერესის დაზუსტებამ მას მოქმედების მეტი თავისუფლება მისცა და თავიდანვე გამორიცხა ორმაგი და ბუნდოვანი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა.

### **არბიტრაჟისა და სასამართლოს ურთიერთქმედების ინგლისური სპეციფიკა**

თანამედროვე ინგლისი საარბიტრაჟო განხილვების სასურველ მასპინძლად ითვლება, თუმცა ამ ქვეყანას ტრადიციულად ახასიათებს ორიგინალური რეგულირების არსებობა არბიტრაჟის სფეროში, რაც საერთაშორისო დონეზე აღიარებული არ არის. მაგალითად, ინგლისში შესაძლებელია არბიტრაჟის მიერ განხილული საქმის

---

გადავწყვიტე ისევ ინგლისური სახელწოდება დამეტოვებინა. თანამედროვე პირობებში ელექტრონული რესურსებისა და საძიებო სისტემების მარტივი ხელმისაწვდომობა მკითხველს შესაძლებლობას მისცემს დაინტერესების შემთხვევაში თვითონვე გაერკვეს რას წარმოადგენს Queen's Bench ინგლისური სამართლებრივი სისტემის მიხედვით. ბუნებაში არარსებული ქართული შესატყვისის ძიება პრობლემის ნაკლებად პრაქტიკული და ნამალადევი გადაწყვეტა იქნებოდა.

<sup>6</sup> 2010 წლის 26 მარტის სუსგ ა-1985-ს 68-09-Polestar.

სასამართლოს მიერ არსებითი გადასინჯვა, თუ ასეთი გადასინჯვის მექანიზმი მხარეთა შეთანხმებით პირდაპირ გამორიცხული არ არის.<sup>7</sup>

იყო დრო, როდესაც ინგლისში მიაჩნდათ, რომ „სამართლებრივად მზოქავი გადაწყვეტილების გამოტანა ინგლისის ტერიტორიაზე არ უნდა შეეძლოს არავის ისე, რომ ის მთლიანად თავისუფალი იყო ინგლისური სასამართლოების მიერ გადასინჯვისაგან“. თუმცა გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ეს მიდგომა არსებითად შეიცვალა. უკვე არავისთვის არის სადავო, რომ არბიტრაჟს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, რომლის იძულებით აღსრულებაც შესაძლებელია და რომლის სამართლებრივ დასაბუთების გადახედვის უფლება სასამართლოებს არ აქვთ.<sup>8</sup> ინგლისური მართლმსაჯულება ბოლო რამდენიმე ათეული წელია ცდილობს მხარი დაუჭიროს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების დასაბუთების არსებითად გადასინჯვის გამორიცხვას.<sup>9</sup>

აღნიშნულის მიუხედავად, 1996 წლის საარბიტრაჟო კანონს უარი არ უთქვამს იმ შემკვიდრებაზე, რომელიც არბიტრაჟის რეგულირების თვალსაზრისით მანამდე არსებობდა. საერთაშორისო მიდგომების გათვალისწინებასთან ერთად კანონმდებელმა საჭიროდ ჩათვალა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გადასინჯვის ტრადიციული მექანიზმის შენარჩუნება. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განმარტებული ინგლისის საარბიტრაჟო კანონის 66-ე (1) მუხლი 1996 წლის რეფორმის ნოვაცია არ ყოფილა, მსგავსი ნორმა კანონის 1950 წლის რედაქციაშიც იყო.<sup>10</sup>

## 1996 წლის საარბიტრაჟო კანონის 66-ე მუხლი და მისი დანიშნულება ინგლისური მართლწესრიგისათვის

### ნორმატიული რეგულირება და პრაქტიკა

ინგლისური საარბიტრაჟო კანონის 66-ე მუხლის ფორმულირება განსხვავდება ცნობისა და აღსრულების ზოგადი წესისგან, როდესაც აღსრულება უნდა მოხდეს თუ უარის თქმის საფუძვლები არ არსებობს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ინგლისური სასამართლოს გადასაწყვეტია სურს თუ არა მითითებული ნორმის გამოყენება და მხარის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა მის ავტომატური რეჟიმში დაკმაყოფილებას არ გულისხმობს.<sup>11</sup>

<sup>7</sup> *Reisman M.W., Craig W.L., Park W.W., Paulsson J.*, International Commercial Arbitration, Cases, Materials and Notes on the Resolution of International Business Disputes, Foundation Press, St. Paul, 2015, 913.

<sup>8</sup> *Reisman M.W., Craig W.L., Park W.W., Paulsson J.*, International Commercial Arbitration, Cases, Materials and Notes on the Resolution of International Business Disputes, Foundation Press, St. Paul, 2015, 958.

<sup>9</sup> *Reisman M.W., Craig W.L., Park W.W., Paulsson J.*, International Commercial Arbitration, Cases, Materials and Notes on the Resolution of International Business Disputes, Foundation Press, St. Paul, 2015, 963.

<sup>10</sup> *Merkin R., Flannery L.*, Arbitration Act 1996, 5<sup>th</sup> ed., Informa, Abingdon, 2014, 261. იხ. ასევე, *Lord Mustill, Boyd S.*, Commercial Arbitration, 2<sup>nd</sup> ed., Butterworths, London, 2001, 349.

<sup>11</sup> *Merkin R., Flannery L.*, Arbitration Act 1996, 5<sup>th</sup> ed., Informa, Abingdon, 2014, 263.

ინგლისური საარბიტრაჟო კანონის 66-ე მუხლი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების ეფექტურ საშუალებად მიიჩნევა. ეს ნორმა იძლევა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ისევე აღსრულების შესაძლებლობას, როგორც ეს სასამართლოს შემთხვევაში მოხდებოდა. 66-ე მუხლის პირველი ნაწილი გამორიცხავს სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შინაარსის არსებითად შეცვლას. მაგალითად, თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით მოპასუხეს არ დაკისრებია პროცენტი გადაწყვეტილების აღსრულებამდე, სასამართლო არ იქნება უფლებამოსილი ასეთი გადაწყვეტილება მიიღოს.<sup>12</sup> თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში მხარეთა მორიგების პირობებია ასახული, მაშინ ამის შესახებ ასევე უნდა აღნიშნოს 66-ე (1) მუხლის მიხედვით გამოტანილ გადაწყვეტილებაშიც.<sup>13</sup> 66(1) მუხლს პრაქტიკაში მაშინ მიმართავენ, როდესაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილებასთან მიმართებაში დამატებითი კითხვები არ არსებობს. როგორც ლორდი მასტილი აღნიშნავს, მას იყენებენ in reasonably clear cases.<sup>14</sup> ამიტომ ეს ნორმა ყველაზე ხშირად მაშინ გამოიყენება, როდესაც აღსასრულებლად მხარეს წარმოდგენილი აქვს გადაწყვეტილება რომელიც მორიგების პირობებს ასახავს. სხვაგვარად რომ თქვათ, თუ მორიგების აქტი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში უცვლელად გადავიდა, ასევე უცვლელად გადავა ეს ტექსტი 66 (1) მუხლის შესაბამისად სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაშიც.<sup>15</sup>

66(2) მუხლი შესაძლებლობას იძლევა მოხდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების თავისებური „კონვერტაცია“ სასამართლო გადაწყვეტილებაში ისე, რომ აღსრულდეს ამის შედეგად მიღებული სასამართლო (და არა საარბიტრაჟო) გადაწყვეტილება. თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მხარეს აკისრებს გარკვეული ვადაში გადახდის ვალდებულებას და ეს ვადა უკვე გასულია, მაშინ სასამართლო გადაწყვეტილებაში ეს ვადები ასევე უნდა აისახოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სასამართლო გადაწყვეტილება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ექვივალენტური, მისი ანარეკლი უნდა იყოს.<sup>16</sup>

66 (1) მუხლით შემოთავაზებული სცენარისაგან განსხვავებით, 66 (2) მუხლის მიხედვით „კონვერტაციასთან“ ერთად სასამართლოს ასევე შეუძლია იმსჯელოს და მხარეს დააკისროს პროცენტები იმ შემთხვევაშიც კი, თუ საარბიტრაჟო განხილვისას ეს პროცენტები მოსარჩელეს არც მოუთხოვია.<sup>17</sup>

როგორც წესი, მეორე მხარეს მაქსიმალური ყურადღება გმართებს იმისთვის, რომ მის წინააღმდეგ სასამართლომ არ მიიღოს 66 მუხლით გათვალისწინებული იძულებითი აღსრულების ზომები. ყურადღება მოითხოვება განსაკუთრებით იმიტომ, რომ შუამდგომლობის განხილვისას სასამართლო არ აკისრებს შუამდგომლობის ავტორ მხარეს მეორე მხარის გაფრთხილების ვალდებულებას.<sup>18</sup> ამ უკანასკნელს მხოლოდ მას შემდეგ

---

<sup>12</sup> განსხვავებით 66 (2) მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისაგან, როდესაც სასამართლოს ასეთი უფლებამოსილება მინიჭებული აქვს. იხ. *Merkin R., Flannery L.*, Arbitration Act 1996, 5<sup>th</sup> ed., Informa, Abindgon, 2014, 263.

<sup>13</sup> *Merkin R., Flannery L.*, Arbitration Act 1996, 5<sup>th</sup> ed., Informa, Abindgon, 2014, 262-263.

<sup>14</sup> *Lord Mustill, Boyd S.* Commercial Arbitration, 2<sup>nd</sup> ed., Butterworths, London, 2001, 349.

<sup>15</sup> *Sutton D., Gill J., Gearing M.*, Russell on Arbitration, 23<sup>rd</sup> ed., Sweet & Maxwell, London, 2007, 451.

<sup>16</sup> *Merkin R., Flannery L.*, Arbitration Act 1996, 5<sup>th</sup> ed., Informa, Abindgon, 2014, 263.

<sup>17</sup> *Merkin R., Flannery L.*, Arbitration Act 1996, 5<sup>th</sup> ed., Informa, Abindgon, 2014, 261.

<sup>18</sup> *utton D., Gill J., Gearing M.*, Russell on Arbitration, 23<sup>rd</sup> ed., Sweet & Maxwell, London, 2007, 452.

აცნობებენ ხოლმე, როდესაც სასამართლოს პოზიცია აღსრულებასთან დაკავშირებით უკვე დაფიქსირებული აქვს.

თუ მეორე მხარე არ მიეკუთვნება ინგლისის იურისდიქციას და მისთვის ინგლისური არ არის აპრიორში გასაგები ენა, მაშინ დოკუმენტები სათანადოდ თარგმნილი სახით უნდა გაიგზავნოს.<sup>19</sup>

66(1) და 66 (2) მუხლების შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება ექვემდებარება სააპელაციო წესით გასაჩივრებას. აპელაციის ნებართვა შეიძლება გაცეს როგორც უშუალოდ შუამდგომლობის განმხილველმა მოსამართლემ, ასევე სააპელაციო სასამართლომაც.

სასამართლოს დისკრეცია - გაცეს ან გაცეს აღსრულების ბრძანება 66-ე მუხლის მიხედვით, ასევე გულისხმობს სასამართლოს უფლებას უარი თქვას აღსრულებაზე როდესაც გადაწყვეტილების ფორმა ან მისი შინაარსი არ იძლევა ამის საშუალებას, ან გადაწყვეტილება არსებითად ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს. ამ საფუძვლებზე მითითება შესაძლებელია მიუხედავად იმისა, რომ თვით 66-ე მუხლი უარი თქმის ასეთ საფუძვლებს არ ითვალისწინებს.<sup>20</sup>

მხრეებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სასამართლო გადაწყვეტილებაში „შერწყმა“ და მისი „კონვერტაცია“ ართმევს მათ შანსსა და შესაძლებლობას გამოიყენონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების უნივერსალური საშუალებები.<sup>21</sup> ამ საშუალებებში უპირველეს ყოველისა ნიუ-იორკის კონვენცია და ამ კონვენციით დადგენილი აღსრულებული უნიფიცირებული მექანიზმი იგულისხმება.

**ხანდაზმულობის ვადის „გაცოცხლება“ როგორც 1996 წლის საარბიტრაჟო კანონის 66-ე მუხლის სამართლებრივი შედეგი.**

ინგლისურ დოქტრინასა და პრაქტიკაში ერთხმად აღნიშნავენ, რომ 66 (2) მუხლის უმთავრესი პრაქტიკული უპირატესობა გასული ხანდაზმულობის ვადის „გაცოცხლების“ შესაძლებლობაა.

1980 წლის ინგლისური კანონი ხანდაზმულობის შესახებ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადად აწესებს 6 წელს. თუ საარბიტრაჟო შეთანხმება თავის დროზე ბეჭდით იყო დამოწმებული, მაშინ ეს ვადა 12 წელი იქნება.<sup>22</sup> მითითებული ვადების უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში ინგლისური სამართალი მხარეს აძლევს უფლებას სასამართლოს მოსთხოვოს ამ გადაწყვეტილების „კონვერტაცია“, რაც ხანდაზმულობის ვადას „გააცოცხლებს“ და ექვწლიანი ვადის ათვლაც თავიდან დაიწყება დაიწყება.<sup>23</sup>

ასე მოხდა ED&F Man Sugar Ltd vs. Harayanto საქმეზე. 1982 წელს დადებული ხელშეკრულება შეიცავდა საარბიტრაჟო შეთანხმებას ლონდონის საერთაშორისო

<sup>19</sup> Merkin R., Flannery L., Arbitration Act 1996, 5<sup>th</sup> ed., Informa, Abindgon, 2014, 289-290.

<sup>20</sup> Sutton D., Gill J., Gearing M., Russell on Arbitration, 23<sup>rd</sup> ed., Sweet & Maxwell, London, 2007, 452.

<sup>21</sup> Sutton D., Gill J., Gearing M., Russell on Arbitration, 23<sup>rd</sup> ed., Sweet & Maxwell, London, 2007, 453.

<sup>22</sup> 1980 წლის ხანდაზმულობის აქტის მე-7 და მე-8 მუხლები. ციტირებულია: Sutton D., Gill J., Gearing M., Russell on Arbitration, 23<sup>rd</sup> ed., Sweet & Maxwell, London, 2007, 457.

<sup>23</sup> Merkin R., Flannery L., Arbitration Act 1996, 5<sup>th</sup> ed., Informa, Abindgon, 2014, 261.

საარბიტრაჟო სასამართლოზე მითითებით. 1989 წელს გადაწყვეტილება გამოვიდა მოსარჩელის სასარგებლოდ. იმავე წელს გადაწყვეტილებაზე გაიკა სააღსრულებო ფურცელი 66 (1) მუხლის შესაბამისად, ხოლო 1995 წელს მხარემ მოითხოვა მისი „კონვერტაცია“ სასამართლო გადაწყვეტილებაში და მიაღწია კიდევ შედეგს როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოში.<sup>24</sup>

მდიდარ სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით ინგლისურ დოქტრინაში სადავო არ არის, რომ 66 (2) მუხლი ემსახურება ინგლისის საზღვრებს გარეთ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების, მისი რეალური შედეგის დადგომის ხელშეწყობას.<sup>25</sup>

### შუალედური დასკვნა

ინგლისური კანონმდებლობისა და პრაქტიკის ზემოაღნიშნული მოკლე ანალიზი ნათელს ხდის იმ მიზანს, რომელიც ჰქონდა შუამდგომლობის ავტორს, როდესაც ცნობისა და აღსრულებისათვის სწორედ ასეთი „კონვერტირებული“ გადაწყვეტილება წარადგინა და არა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ 2008 წლის ნოემბრისათვის (როდესაც გადაწყვეტილების „კონვერტაცია“ მოხდა) პანამურ კომპანიას (ან მათ ინგლისელ კონსულტანტს) სწორედ ინგლისური კანონმდებლობის თანახმად უკვე გასული ხანდაზმულობის ვადის „გაცოცხლება“ ჰქონდა მიზნად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს წინაშე დადგა ამოცანა გარკვეულიყო, რამდენად შეძლებდა ინგლისის საარბიტრაჟო კანონის 66-ე (2) მუხლი ინგლისური მართლწესრიგის მიერ მისთვის „დაკისრებული მისიის“ საქართველოში შესრულებას.

**1996 წლის საარბიტრაჟო კანონის 66-ე მუხლის ეფექტი ქართულ სამართლებრივ სივრცეში**

### „ორმაგი აღსრულების“ სამართლებრივი შედეგები

მხარის მიერ მოთხოვნის დაზუსტების შემდეგ საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის ნათელი გახდა, რომ მოთხოვნილი იყო იმ სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოში აღსრულება, რომელმაც თავის მხრივ ინგლისის ტერიტორიაზე გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება მოახდინა. ამგვარად სახეზე იყო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების თავისებური „ორმაგი აღსრულების“ მოთხოვნა. 2008 წლის ინგლისურ სასამართლო გადაწყვეტილებას დამოუკიდებელი, ავტონომიური შინაარსი არ გააჩნდა. მისი ერთადერთი ფუნქცია 1999 წელს მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგების ქართული

<sup>24</sup> მხედველობაშია იმ დროისათვის მოქმედი ანალოგიური შინაარსის ნორმა. 1996 წლის საარბიტრაჟო კანონი ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო ძალაში. იხ. *Merkin R., Flannery L., Arbitration Act 1996*, 5<sup>th</sup> ed., Informa, Abindgon, 2014, 261.

<sup>25</sup> *Hunter M., Landau T., The English Arbitration Act 1996, Text and Notes*, Kluwer Law International, Alphen an den Rijn, 1998, 54.

მართლწესრიგის მიერ აღიარება იყო. სასამართლომ შექმნილი მდგომარეობა დაახლოებით ასე შეაფასა და თავისი დასაბუთებაც ამ მიმართულებით განავითარა.

ვიდრე უშუალოდ „ორმაგი აღსრულების“ შესაძლებლობის შეფასებაზე გადავიდოდე, უნდა აღვნიშნო, რომ Polestar არ იყო პირველი შემთხვევა, როცა შუამდგომლობის ავტორმა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დადასტურება საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სასამართლოში მოითხოვა და შემდგომ ეს სასამართლო (და არა საარბიტრაჟო) გადაწყვეტილება წარუდგინა სასამართლოს აღსრულების მოთხოვნით. საინვესტიციო დავების საერთაშორისო ცენტრის (ICSID) სახელით მოქმედმა ტრიბუნალმა საქართველოს მონაწილეობით მიმდინარე ერთერთ საქმეზე დაადგინა, რომ აღნიშნული დავა არ შეიძლებოდა ყოფილიყო ICSID-ის ტრიბუნალების განხილვის საგანი. ამავე გადაწყვეტილებით საარბიტრაჟო ხარჯი დაეკისრა მოპასუხეს, ანუ საქართველოს.

შუამდგომლობის ავტორმა, იმის ნაცვლად რომ ვაშინგტონის 1965 წლის კონვენციის მიხედვით საქართველოსთვის პირდაპირ მიემართა, მიღებული გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ნიუ-იორკის სასამართლოს მოსთხოვა. სასამართლომ მოთხოვნა დააკმაყოფილა. დოკუმენტაცია, რომელიც დაკავშირებული იყო ნიუ-იორკის სასამართლოს (და არა ICSID ტრიბუნალის) გადაწყვეტილების აღსრულებასთან, გადაეცა ჯერ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და შემდეგ – იუსტიციის სამინისტროს. ამ უკანასკნელმა მასალები უზენაეს სასამართლოს გადაუგზავნა. საბოლოო ჯამში ნიუ-იორკის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნა არ დააკმაყოფილდა სასამართლოსთვის სამართლებრივად გაუმართავი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველით. შუამდგომლობის ავტორმა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზი არ შეავსო.<sup>26</sup> ალბათ ბოლომდე გაუგებარი დარჩება, რატომ მიმართა მოსარჩელემ ნიუ-იორკის სასამართლოს, როცა მას შეეძლო ICSID-ის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნით საქართველოს ხელისუფლებისთვის პირდაპირ მიემართა.

რამდენადაც უცხოური გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებასთან დაკავშირებული შემთხვევები ბევრი არაა საქართველოში, შეიძლება დავასკვნათ, რომ უცხოელი მხარეები ცდილობდნენ „გარდაექმნათ“ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სასამართლო გადაწყვეტილებად, სავარაუდოდ, ცნობა-აღსრულების პროცედურის ბუნდოვანების გამო.

ზემოაღნიშნულის მსგავსად, ესპანეთის უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა შუამდგომლობაზე, რომლის მიზანიც იყო შვედეთის სასამართლოს გადაწყვეტილების ესპანეთში აღსრულება. სასამართლო გადაწყვეტილება ადასტურებდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას და წყვეტდა საარბიტრაჟო და სასამართლო ხარჯების ერთერთი მხარისათვის დაკისრების საკითხს.<sup>27</sup>

ესპანეთის ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ შვედეთის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად გამოიყენა ლუგანოს კონვენცია, რომელიც უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობას აწესრიგებს. ქართული სასამართლოს მსგავსად, ესპანეთის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ რეალურად მხარის მიზანს

<sup>26</sup> 2004 წლის 17 მაისის სუსგ ა-175-ს 19-04.

<sup>27</sup> Börner A., Article III NYC in: Kronkre H., Nacimiento P., Otto D., Portm N. C., Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards: A Global Commentary on the New York Convention, “Kluwer Law International,” Alphen aan den Rijn, 2010, 135.

წარმოადგენდა არა სასამართლო, არამედ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება, ხოლო ლუგანოს კონვენცია არ გამოიყენება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებისთვის. ის გადაწყვეტილება, რომლის აღსრულებაც უნდა ყოფილიყო მოთხოვნილი, ექვემდებარებოდა ნიუ-იორკის კონვენციის მოქმედებას. იმის გამო, რომ მოგებული მხარის რეალური მიზანი იყო აღსრულება, მას უნდა მიემართა ესპანეთში დადგენილი აღსრულების პროცედურისთვის. სასამართლომ დაადგინა, რომ მხარემ ეს არ გააკეთა და უარი თქვა გადაწყვეტილების აღსრულებაზე ნიუ-იორკის კონვენციის III მუხლის საფუძველზე.<sup>28</sup>

ზემოაღნიშნულის მსგავსად, აშშ-ში საარბიტრაჟო განხილვის მხარეს, რომელსაც სურს გადაწყვეტილების აღსრულება სხვა ქვეყანაში, საამისოდ არ სჭირდება რაიმე განჩინება ამერიკული სასამართლოსგან. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ფედერალური სასამართლოს მიერ დამტკიცების შემთხვევები პრაქტიკაში გვხვდება მხოლოდ მაშინ, როცა მხარე ითხოვს ამავე ქვეყანაში აღსრულებას და ასეთ დროს კონვენციით განსაზღვრული პროცედურები აღარ გამოიყენება. ამერიკის სასამართლოებს დეტალურად აქვთ განმარტებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სასამართლოს მიერ დამტკიცებასა და ცნობა-აღსრულებას შორის განსხვავება.<sup>29</sup>

„ორმაგი აღსრულების“ შესაძლებლობა უარყოფილია ნიუ-იორკის კონვენციითაც და არაა საჭირო მოძველებული და გართულებული პროცედურის წარმოება, რომელიც ამცირებს კერძო დავების გადაწყვეტის ეფექტიანობას.<sup>30</sup>

ამგვარად, სასამართლო გადაწყვეტილება, რომლითაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დადასტურება/აღსრულება ხდება ერთ სახელმწიფოში, თავისი შინაარსით არ წარმოადგენს ისეთ გადაწყვეტილებას, რომლის ცნობა და აღსრულებაც მეორე სახელმწიფოში შესაძლებელია. ცნობა და აღსრულება შესაძლებელია მხოლოდ იმ გადაწყვეტილებისა, რომელიც არსებითად წყვეტს დავას. ცნობისა და აღსრულების ცნობა და აღსრულება დაუშვებელია.<sup>31</sup>

### **1996 წლის საარბიტრაჟო კანონის 66-ე მუხლის ეფექტი ქართულ სამართლებრივ სივრცეში ხანდაზმულობის ვადის „გაცოცხლებასთან“ მიმართებაში**

აღბათობის მაღალი ხარისხით 2008 წლის ინგლისური გადაწყვეტილების საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარდგენით შუამდგომლობის ავტორი მიზნად სწორედ ხანდაზმულობასთან დაკავშირებული კითხვებისათვის გვერდის ავლას ისახავდა, თუმცა ასეთი მოსაზრება მთლიანად ინგლისური სამართლის ანალიზს

---

<sup>28</sup> *Börner A.*, Article III NYC in: *Kronkre H., Nacimiento P., Otto D., Portm N. C.*, Recognition and enforcement of Foreign Arbitral Awards: A Global Commentary on the New York Convention, “Kluwer Law International,” Alphen aan den Rijn, 2010, 135.

<sup>29</sup> *Varady T., Barcelo J. J., von Mehren A. T.*, International Commercial Arbitration, a Transnational Perspective, “WEST”, 2009, 717.

<sup>30</sup> *Карабельников Б.Р.*, Признание и приведение в исполнение иностранных арбитражных решений, Москва, 2001, 8.

<sup>31</sup> *Kostkiewicz J.K.*, Grundriss des Schweizerischen Internationalen Privatrechts, Stämpfli, Bern, 2012, 27.

ეყრდნობა და მხედველობაში არ იღებს იმ მართლწესრიგში არსებულ რეგულირებას, სადაც ცნობა და აღსრულება მოითხოვება.

ნიუ-იორკის კონვენცია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების ხანდაზმულობის საკითხს არ არეგულირებს. კონვენციის III მუხლი იმას, თუ რა ვადაში შეუძლია მოგებულ მხარეს მოითხოვოს აღსრულება, გადასაწყვეტად უტოვებს იმ სასამართლოს ადგილის სამართალს, რომელმაც უნდა აღსრულოს გადაწყვეტილება.<sup>32</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 146-ე მუხლის მიხედვით, კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა არ შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შორის შეთანხმებით. ასეთი ხისტი, იმპერატიული რეგულირება საკმარის საფუძვლად უნდა ჩაითვალოს იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ ქართული მართლწესრიგი ვერ დაუშვებს საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სამართლის გამოყენებას ხანდაზმულობასთან მიმართებაში. საარბიტრაჟო განხილვის ადგილს მხარეები ირჩევენ, რაც ავტომატურ რეჟიმში ამ განხილვის მიმართ გამოსაყენებელი საპროცესო სამართლის არჩევასაც ნიშნავს. ხანდაზმულობასთან მიმართებაში ასეთი შეთანხმების დადების შესაძლებლობას სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ გამორიცხავს.

### **შუალედური დასკვნა**

1996 წლის საარბიტრაჟო კანონის 66 (2) მუხლის შესაბამისად საარბიტრაჟო გადაწყვეტილების „კონვერტაციის“ იდეა თავიდანვე არასწორად იქნა შერჩეული ქართული სამართლებრივი რეალობისათვის. ხანდაზმულობის ვადის „გაცოცხლების“ ასეთ შესაძლებლობას საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს და ამავე დროს პირდაპირ გამორიცხავს მხარეთა შეთანხმებით არჩეული ინგლისური ნორმების გამოყენებას.

საერთაშორისო პრაქტიკა და დოქტრინა უარყოფითად არის განწყობილი ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების სხვა ქვეყანაში ცნობისა და აღსრულების მიზნით წარდგენის მიმართაც. შესაბამისად, ქართული სასამართლოს პოზიცია, ამ მიმართულებით სრულად შეესაბამება ზემოაღნიშნული პრაქტიკის ყველაზე მაღალ სტანდარტს.

### **საბოლოო შეფასება**

საქართველოს უზენაესი სასამართლო სიღრმისეულად არ შესულა 1996 წლის ინგლისური საარბიტრაჟო კანონის 66-ე მუხლის ანალიზში, თუმცა თავიდანვე სწორად განსაზღვრა, რომ წარმოდგენილი გადაწყვეტილება ინგლისური მართლწესრიგის „შიდა მოხმარების აქტი“ უფრო იყო, ვიდრე საერთაშორისო დონეზე აღსრულებაუნარიანი გადაწყვეტილება.

---

<sup>32</sup> *Börner A.*, Article III NYC in: *Kronke H., Nacimiento P., Otto D., Portm N. C.*, Recognition and enforcement of Foreign Arbitral Awards: A Global Commentary on the New York Convention, “Kluwer Law International,” Alphen aan den Rijn, 2010, 127.

საკვსაციო სასამართლომ სავსებით დასაბუთებულად მიიჩნია, რომ „დედოფლის პალატის კომერციული სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება თავისი არსით წარმოადგენს ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს 1999 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილების ინგლისის ტერიტორიაზე იძულებით აღსასრულებლად მიქცევის მიზნით გამოტანილ გადაწყვეტილებას. იგი განკუთვნილია მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი აღსრულების მიზნებისთვის და იძულებითი აღსრულების დაწყების საფუძველია ინგლისში.“<sup>33</sup>

იდეალურ სიტუაციაში შესაძლოა სასამართლოსათვის ინგლისური საარბიტრაჟო კანონის შესაბამისი ნორმების და მათთან დაკავშირებული პრაქტიკის უფრო სიღრმისეული ანალიზი მოგვეთხოვა, თუმცა მსგავსი კვლევების წარმოების კუთხით არსებული შეზღუდული რესურსების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სასამართლომ წარმატებით გაართვა თავი უცხოური სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი შეფასების ამოცანას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა ათი წელი მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება. შესაბამისად, 2008 წელს მხარეს რომ ინგლისურის ნაცვლად ქართული სასამართლოსათვის მიემართა 1999 წელს გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნით, ხანდაზმულობის პრობლემა საერთოდ არ დადგებოდა. სასამართლო შეძლებდა 10 წლიანი ვადის დაცვით გადაწყვეტილების დადასტურებას და შესაბამისად მის საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევას.

---

<sup>33</sup> იხ. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი.

## გიორგი ცერცვაძე

სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, საერთაშორისო განსჯადობა

საქმე N ა-2135-ს-46-2015\*

[უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება]

### საკვანძო მუხლი

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 68-ე მუხლი

### ფაქტები

*განხილვის საგანი* – გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარე მოითხოვს – უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება

შპს „ბ.-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების – შპს „ა.-ისა“ და შპს „ს.-ის“ მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე.

უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილებით (საქმე №...) სასარჩელო მოთხოვნები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

1) შპს „ა.-სა“ და შპს „ს.-ას“ (ს/კ ...) შპს „ბ.-ის“ სასარგებლოდ (ს/კ ...) დაეკისრათ ძირითადი ვალის საერთო თანხის 10% (მათ შორის, საურავი და წლიური 3%) 22784,07 აშშ დოლარის გადახდა;

2) შპს „ს.-ას“ შპს „ბ.-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 2010 წლის 19 მაისის №33/2010 კონტრაქტით 185038 აშშ დოლარისა და 29 ცენტის ძირითადი ვალის, 14116 აშშ დოლარისა და 47 ცენტის საურავის, წლიური 3%-ის – 5901 აშშ დოლარისა და 89 ცენტის გადახდა;

3) შპს „ა.-სა“ და შპს „ს.-ას“ შპს „ბ.-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა სასამართლო მოსაკრებლის – 35998,83 გრივნის გადახდა. დანარჩენ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

შპს „ბ.-ის“ წარმომადგენელმა გ. უ.-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება შპს ს.-ისათვის“ 185038 აშშ დოლარისა და 29 ცენტის,

---

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ჯეი ენდ თი ქონსალთინგის მმართველი პარტნიორი, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის აკადემიური დირექტორი.

\*\* საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 26 ოქტომბრის განჩინება.

14116 აშშ დოლარისა და 47 ცენტის, აგრეთვე, 5901 აშშ დოლარისა და 89 ცენტის დაკისრების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივლისის განჩინებით შპს „ბ.-ის“ წარმომადგენელ გ. უ.-ის შუამდგომლობა უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

მოწინააღმდეგე მხარის შპს „ბ.-ის“ გენერალური დირექტორი ი. მ.-ი არ დაეთანხმა წარმოდგენილ შუამდგომლობას და მოითხოვა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 3-ე ნაწილის საფუძველზე, დანიშნა საქმის განხილვა ზეპირი მოსმენით. საქმეზე ორივე მხარის მონაწილეობით ზეპირი მოსმენა გაიმართა 2015 წლის 21 ოქტომბერს.

### **მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტაცია**

მოწინააღმდეგე მხარის (ზეპირი განხილვის შესახებ შუამდგომლობის ავტორის) მოსაზრებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ უნდა ცნოს და აღასრულოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

შპს „ბ.-ის“ გენერალურმა დირექტორმა ი. მ.-მა მიუთითა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტზე, 70-ე მუხლის მე-2, მე-3 პუნქტებზე, 71-ე მუხლის მე-2 პუნქტზე და 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება და მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, სწორედ აღნიშნული საფუძვლის არსებობის გამო, არ უნდა მოხდეს ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება საქართველოში.

შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 თავი განსაზღვრავს საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის შემთხვევებს. მე-9 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ადგილი საქართველოა და მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება დაეფუძნა შპს „ბ.-სა“ და შპს „ს.-ას“ შორის 2010 წლის 19 მაისს დადებული №. ნარდობის ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც შპს „ბ.-მა“, როგორც შემსრულებელმა, აიღო ვალდებულება, რომ უზრუნველყოფდა თბილსრესის №4 ენერგობლოკის ტურბოგენერატორის TBB-165 კაპიტალურად გარემონტებას ქ. გარდაბანში, საქართველო (იხ. ხელშეკრულების 2.1 პუნქტი), ასევე მოსარჩელემ სამუშაოების შესასრულებლად აიღო ვალდებულება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოათავსებდა მასალას და სათადარიგო ნაწილებს ტურბოგენერატორისათვის TBB-165-№4 სადგურის შესაბამისი ნუსხის თანახმად.

შპს „ს.-ის“ გენერალური დირექტორი ი. მ.-ი აღნიშნავს, რომ ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ადგილი საქართველო იყო, შესაბამისად, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, აღნიშნულ დავაზე სწორედ საქართველოს სასამართლოს გააჩნდა საერთაშორისო კომპეტენცია.

შუამდგომლობის ავტორი მიიჩნევს, რომ სახელშეკრულებო დავების განსჯადობის საკითხის გადაწყვეტის დროს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „ბ“ პუნქტი ფაქტობრივად იმეორებს განსჯადობის იმ პრინციპს, რომელიც მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილში, რომლის მიხედვითაც, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

შპს „ს.-ის“ გენერალური დირექტორი ი. მ.-ის მითითებით, მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით, მხარეებმა, როცა გამოხატეს თავიანთი ნება განსჯადი სასამართლოს თაობაზე, ნათლად განსაზღვრეს, რომ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავის შეთანხმების გზით მოუგვარებლობის შემთხვევაში, დავას გადაწყვეტდა სასამართლო მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით, მოპასუხის ადგილსამყოფელი ქვეყნის მატერიალური და პროცესუალური კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. მოცემულ შემთხვევაში კი, მოპასუხეს წარმოადგენდა შპს „ს.-ა“, შესაბამისად, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სწორედ, საქართველოს სასამართლოს უნდა განეხილა სადავო საკითხი.

შუამდგომლობის ავტორი მიუთითებს, რომ მათთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ შპს „ს.-ასთან“ ერთად სარჩელი წარდგენილ იქნა შპს „ავერს-ტაიპის“ – უკრაინული სამეწარმეო საზოგადოების წინააღმდეგაც, რომელიც, როგორც სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ირკვევა, თითქოს წარმოადგენდა შპს ს.-ის“ თავმდებებს შპს „ხ.-თან“ .. წლის .. მათის დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად. შპს „ს.-ის“ გენერალურ დირექტორ ი. მ.-ის განმარტებით, აღნიშნული კომპანიის შესახებ მათთვის არაფერი იყო ცნობილი, შპს „ს.-ას“ შპს „ა.-თან“ რაიმე ურთიერთობა არ გააჩნდა. შუამდგომლობის ავტორს მიაჩნია, რომ მოსარჩელის მიერ უკრაინული საწარმოს ამ პროცესში თავდების სახით ჩართვა განხორციელდა ხელოვნურად, მხოლოდ ერთი მიზნით, გამოგონილი მოპასუხის გამოყენებით, ისე შეეცვალათ სასამართლო განსჯადობა, რომ უკრაინის სასამართლოებს საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია წარმოშობოდათ.

შპს „ს.-ის“ გენერალურ დირექტორ ი. მ.-ს მიაჩნია, რომ საქართველოს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია ამით მაინც არ იცვლება, ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში, შპს „ს.-ის“ მიმართ განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად მთავარია ძირითადი – ნარდობის ხელშეკრულების შესრულების ადგილი განსაზღვრა და ასეთი ადგილი სწორედ საქართველოა.

შუამდგომლობის ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზეც, რომ შპს „ს.-ამ“ 2014 წლის 21 ივლისს №.. წერილით, შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს იმ მოთხოვნით, რომ მის მიერ ზემოაღნიშნული არგუმენტების

გათვალისწინებით არ მომხდარიყო უკრაინული კომპანიის სასარგებლოდ ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს მიერ გამოტანილი 2013 წლის 6 აგვისტოს №... გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, თუმცა შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, რადგანაც უზენაესი სასამართლოს მიერ 2014 წლის 28 ივლისის №ა-2435-14 წერილით განემარტათ, რომ იმ პერიოდისთვის შპს „ბ.-ის“ მიერ არ მომხდარა სასამართლოსათვის შესაბამისი შუამდგომლობით მომართვა სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების მოთხოვნით, ხოლო ამგვარი განხორციელების შედეგად, შპს „ს.-ას“, როგორც მოწინააღმდეგე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდებოდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, შპს „ს.-ის“ გენერალურმა დირექტორმა ი. მ.-მა მოითხოვა შპს „ბ.-ის“ წარმომადგენელ გ. უ.-ის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ასევე, საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა.

### გადაწყვეტილება

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ შპს „ბ.-ის“ წარმომადგენელ გ. უ.-ის შუამდგომლობა უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

1) შპს „ა.-სა“ და შპს „ს.-ას“ შპს „ბ.-ის“ სასარგებლოდ დაეკისრათ ძირითადი ვალის საერთო თანხის 10% (მათ შორის, საურავი და წლიური 3%) 22784,07 აშშ დოლარის გადახდა;

2) შპს „ს.-ას“ შპს „ბ.-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 2010 წლის 19 მაისის №.. კონტრაქტით 185038 აშშ დოლარისა და 29 ცენტის ძირითადი ვალის, 14116 აშშ დოლარისა და 47 ცენტის საურავის, წლიური 3%-ის – 5901 აშშ დოლარისა და 89 ცენტის გადახდა;

3) შპს „ა.-სა“ და შპს „ს.-ას“ შპს „ბ.-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა სასამართლო მოსაკრებლის – 35998,83 გრივნის გადახდა. დანარჩენ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ მოწინააღმდეგე მხარე სათანადო წესით ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე, ასევე წარმოდგენილია ცნობა, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2013 წლის 23 აგვისტოს და უკრაინის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

შპს „ს.-ის“ შუამდგომლობა (შესაგებელი) უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ ეფუძნება ორ საფუძველს:

1) „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, აღნიშნულ დავაზე მხოლოდ საქართველოს სასამართლოს გააჩნდა

საერთაშორისო კომპეტენცია. 2) შპს „ს.-ას“ შპს ა.-თან“ რაიმე ურთიერთობა არ გააჩნდა. მოსარჩელის მიერ უკრაინული საწარმოს ამ პროცესში თავდების სახით ჩართვა განხორციელდა ხელოვნურად, მხოლოდ ერთი მიზნით – გამოგონილი მოპასუხის გამოყენებით, ისე შეეცვალათ სასამართლო განსჯადობა, რომ უკრაინის სასამართლოებს საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია მინიჭებოდათ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კონკრეტულ დავასთან მიმართებით საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის დადგენა არის სამართლისა და არა ფაქტის საკითხი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხარეთა ნების ავტონომია საერთაშორისო კერძო სამართალში მნიშვნელოვან პრაქტიკულ როლს ასრულებს როგორ კოლიზიურ, ასევე, საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივ კონტექსტშიც. საპროცესო სამართალში მხარეთა ნების ავტონომიის საუკეთესო გამოვლინებას წარმოადგენს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სასურველი სასამართლოს საერთაშორისო განსჯადობაზე/საერთაშორისო კომპეტენციაზე შეთანხმების შესაძლებლობა. შეთანხმება სასამართლოს საერთაშორისო განსჯადობაზე/კომპეტენციაზე წარმოადგენს ძირითადი ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებელ და თვითმყოფად ხელშეკრულებას, რომლის ნამდვილობა და ძალაში შესვლა წესრიგდება მატერიალური სამართლით, ხოლო მისი დასაშვებობა/ფორმა და სამართლებრივი შედეგები კი, განისაზღვრება შესაბამისი საპროცესო სამართლით. საქართველოს სინამდვილეში ფორმის საკითხი წყდება „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლით, ხოლო ნამდვილობა და ძალაში შესვლაზე გამოსაყენებელი სამართალი კი, განისაზღვრება „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, სწორად განიმარტოს მხარეთა შორის 2010 წლის 19 მაისს დადებული #33/2010 წლის ხელშეკრულების 12.2-ე მუხლი, კერძოდ, „იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან მოლაპარაკების გზით, მაშინ საქმე ექვემდებარება (საერთო სასამართლოების დაქვემდებარების გარდა) შესაბამის სასამართლოში გადაცემას მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით შესაბამისი სასამართლოს რეგლამენტის, მოპასუხის ქვეყნის მატერიალური და პროცესუალური სამართლის შესაბამისად“.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს მხარეთა შორის .. წლის .. მაისს დადებული #.. წლის ხელშეკრულების 12.2-ე მუხლის ცალკეული გამონათქვამის, კერძოდ, საერთო სასამართლოების დაქვემდებარების გარდა, ბუნდოვნებასთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ ხელშეკრულებათა განმარტების თავისებურება განპირობებულია ურთიერთობათა ორმხრივი (მრავალმხრივი) ხასიათით, დისპოზიციური ნორმების გამოყენებით, სავაჭრო და საქმიანი ჩვეულებებითა და ტრადიციებით, მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობაში ჩამოყალიბებული პრაქტიკით, იმპერატიული ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინების აუცილებლობით და ა.შ.

ხელშეკრულება არის მხარეთა მიერ მიღწეული კონსენსუსის შედეგი, რომელიც, სამართლებრივი თვალსაზრისით, იწვევს მხარეთა მიმართ უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას მათივე ნების საფუძველზე. ხელშეკრულების არსებობისათვის აუცილებელია ორი ან მეტი ნების თანხვედრა, რაც იწვევს მხარეთა

საერთო ნების დადგენის აუცილებლობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელშეკრულების განმარტების არსი მხარეთა მიერ გამოვლენილი საერთო ნების ნამდვილი შინაარსის, ხელშეკრულების რეალური მიზნის დადგენაში მდგომარეობს. სასამართლო მხარეთა ნამდვილ ნებას ადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმარტების პროცესში წარმოიშობა ხელშეკრულების ტექსტში გადმოცემულ დებულებათა შორის წინააღმდეგობა ან შეუსაბამობა.

ყველა იმ გარიგებაში, რომლებშიც ნების გამოვლენის ნამდვილობა დამოკიდებულია მეორე მხარის მიერ ამ ნების მიღებაზე, არცთუ იშვიათად იბადება კითხვა, სწორად გაიგო თუ არა მეორე მხარემ ის, რისი თქმაც ნების გამომვლენ პირს სურდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ გარიგებათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ორი მხარე – ნების გამომვლენი და ნების მიმღები – მონაწილეობს, აშკარა გახდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გამოვლენილი ნების სწორად გაგებას მეორე მხარის მიერ. მრავალი გარემოებით შეიძლება იყოს გამოწვეული, რომ ის, რაც იგულისხმა ნების გამომვლენმა, სხვაგვარად გაიგო მისმა მიმღებმა. აქედან წარმოიშობა გამოვლენილ ნებათა კონფლიქტი, რომელიც საჭიროებს სწორად გადაწყვეტას. ამ კონფლიქტის გადაწყვეტის სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს ნების გამოვლენის განმარტება.

ნების გამოვლენის განმარტება ემსგავსება კანონის განმარტებას: ორივე შემთხვევაში ხდება ბუნდოვანი, საეჭვო აზრის დაზუსტება, მაგრამ, თუ კანონის განმარტებას ზოგადი ხასიათი აქვს, ე.ი. სავალდებულოა და გამოიყენება ყველას მიმართ და მიზნად ისახავს კანონის ბუნდოვანი ადგილების ერთიანი გაგების უზრუნველყოფას, გარიგების (ხელშეკრულების) განმარტების მიზანი უფრო ვიწროა – გარიგების (ხელშეკრულების) მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთობის გარკვევა. ამიტომ ასეთ განმარტებას ძალა აქვს მხოლოდ გარიგების მონაწილეებისათვის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდონ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. ცხადია, რომ ეს „გონივრული განსჯა“ უნდა ემყარებოდეს გარკვეულ კრიტერიუმებს, კერძოდ, ნების გამოვლენის განმარტება უნდა განხორციელდეს ნების მიმღების შემეცნების (გაგების) შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ამგვარი განმარტების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ხელშესახები გარემოება, რომელიც ამ შემთხვევას ახასიათებს.

ხელშეკრულების განმარტების საჭიროებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა ხელშეკრულება, რომლის გამონათქვამებიც ბუნდოვანი, ორაზროვანი ან ურთიერთგამომრიცხავია, აგრეთვე როცა მისი გამონათქვამები შესწორებასა და შევსებას მოითხოვენ.

ხელშეკრულების განმარტების დროს სასამართლო ორ მნიშვნელოვან საკითხს წყვეტს: სასამართლოს ევალება მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში გაკეთებული გამონათქვამების დაზუსტება, ხოლო მეორეს მხრივ, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით ხელშეკრულებაში ღიად დარჩენილი ადგილების ე.წ. ხარვეზების შევსებას ახორციელებს.

„ხელშეკრულების გამონათქვამების განმარტება“ და „ხელშეკრულების შევსებითი განმარტება“ განსხვავებული ცნებებია. სხვადასხვანაირი, ორაზროვანი და მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამების დაზუსტების აუცილებლობას ადგილი აქვს,

როდესაც მხარეები ხელშეკრულების გამონათქვამების მიღმა არსებულ მნიშვნელობებზე დავობენ. ხოლო ხელშეკრულების შევსებით განმარტებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მხარეებს ხელშეკრულების ტექსტში გამორჩენილი აქვთ ცალკეულ საკითხთა მოწესრიგება ან ხელშეკრულების პირობები გარკვეული ხარვეზებითაა მოცემული.

ხელშეკრულების გამონათქვამების განმარტების დროს უნდა დადგინდეს მხარის შინაგანი ნების შესაბამისობა მის გამოხატულებასთან. ხელშეკრულების განმარტების მიზანი მისი შინაარსის დადგენაა. განმარტებას შეიძლება საჭიროებდეს, როგორც მთელი ხელშეკრულება, ასევე, მისი რომელიმე ნაწილი ან თუნდაც რომელიმე პუნქტი (პირობა). ხელშეკრულების პირობები იმგვარად უნდა იქნეს განმარტებული, რომ ყველა მათგანს მიეცეს მნიშვნელობა და არა რომელიმე მათგანს წაერთვას ძალა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მხარეებს .. წლის .. მაისს დადებული ხელშეკრულების 12.2-ე მუხლით არ განუსაზღვრავთ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის განხილვა არბიტრაჟის მიერ, ამიტომაც ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა ექვემდებარება განსახილველად საერთო სასამართლოებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსჯადობაში/კომპეტენციაში იგულისხმება სახელმწიფოს სასამართლო ხელისუფლების გამოყენების ფარგლები. მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი პროცესუალური ნორმების საფუძველზე განსჯადობის დადგენის შემდეგ ხდება საერთაშორისო განსჯადობის საკითხის გადაწყვეტა.

ქვეყნის შიგნით სასამართლო სისტემა თავად განსაზღვრავს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის ფარგლებს. არ არსებობს ეროვნული სამართლის მიერ წინასწარ დადგენილი რაიმე წესი საერთაშორისო კომპეტენციის შესახებ. თითოეული ქვეყნის სასამართლო თავად წყვეტს საერთაშორისო კომპეტენციის საკითხს და მას განიხილავს იმ ჩარჩოებში, რომელ ჩარჩოშიც ის მიიჩნევს, რომ აღნიშნული დავის განხილვა მის კომპეტენციაში შედის.

სახელმწიფოების ნაციონალურ სასამართლოთა საერთაშორისო კომპეტენციის საკითხები, როგორც წესი, რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით ანდა სპეციალური კანონებით „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ.“ საქართველოს კანონში „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის საკითხებს დათმობილი აქვს მთელი მე-2 თავი, რომელიც მოიცავს 13 მუხლს (მე-8 - მე-20 მუხლები).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართალი იცნობს საერთაშორისო კომპეტენციის რამდენიმე სახეს. დოქტრინა ერთმანეთისაგან განასხვავებს პირდაპირ და ირიბ, საერთაშორისო და ადგილობრივ, საერთო და განსაკუთრებულ, ფაკულტატურ და გამომრიცხავ საერთაშორისო კომპეტენციის სახეებს. (უფრო დაწვრილებით იხილეთ: ზვიად გაბისონია, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, 2006; ბაკურ ლილუაშვილი, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება საქართველოში, 2010; ლევან გოთუა, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, 2010; *Svanadze G., Grundlagen des deutsch-georgischen Anerkennungsrecht, Eine rechtsvergleichende Analyse, 2014; Schack, Internationales Zivilverfahrensrecht, 6. Aufl., 2014*)

საერთაშორისო კომპეტენციის ცნება იცნობს ისეთ სახეებს, როგორცაა საერთო და განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია.

საერთო საერთაშორისო კომპეტენცია კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში დაკავშირებულია მოპასუხის საცხოვრებელ ადგილთან (ადგილმდებარეობასთან („actor sequitur forum rei“)). ანალოგიურ მიდგომას ავითარებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის მე-8 და მე-9 მუხლები, კერძოდ, კანონის მე-8 მუხლის მიხედვით, „საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხეს საქართველოში აქვს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.“

კანონის მე-9 მუხლი კი, ითვალისწინებს საერთო საერთაშორისო კომპეტენციის ცალკეულ შემთხვევებს, რომლის არსებობის შემთხვევაშიც საქართველოს სასამართლოებს ენიჭებათ საერთაშორისო კომპეტენცია. ეს იმ შემთხვევაში ხდება, თუ: ა) მოპასუხე რამდენიმე პირია და ერთ-ერთ მათგანს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს; ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ადგილი საქართველოა; გ) სარჩელი ეხება მართლსაწინააღმდეგო ან მასთან გათანაბრებული ქმედებით მიყენებულ ზიანს და ასეთი ქმედების ჩადენა ან ზიანის მიყენება საქართველოში მოხდა; დ) დავა ეხება იმ საწარმოს ფილიალს, რომლის რეზიდენციაც საქართველოშია; ე) მამობის დადგენის ან ალიმენტის გადახდის საქმეებზე ბავშვის ან ალიმენტის მიმღების საცხოვრებელი ადგილი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოშია; ვ) სარჩელის საგანია სამემკვიდრო უფლების დადგენა, სამკვიდრო ქონების გაყოფა და მემკვიდრეობის გარდაცვალებისას საცხოვრებელი ადგილი, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან სამკვიდრო ქონება საქართველოში ჰქონდა.

საერთაშორისო კომპეტენციის განსაზღვრაში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის (ადგილსამყოფელის) პრინციპის გამოყენება მეტად პრაქტიკულია და მომგებიან პირობებს უქმნის პროცესის ორივე მხარეს. მოპასუხეს თავის საცხოვრებელი ადგილის ქვეყანაში გაუადვილდება თავის დაცვა, მაშინ, როცა მოსარჩელისათვის გაცილებით ადვილია პროცესის მოგების შემთხვევაში, მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის ქვეყანაში მოითხოვოს მისი ქონების დაყადაღება და იძულებითი აღსრულება.

საკასაციო პალატა საერთაშორისო კომპეტენციასთან ერთად, ყურადღებას ამახვილებს განსაკუთრებულ საერთაშორისო კომპეტენციაზეც. განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია (“specific contracts”), ძირითადად გამოიყენება ცალკეული სახის სამოქალაქო სამართლებრივი დავების მიმართ.

განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენციის ცალკეულ შემთხვევებს ითვალისწინებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი. აღნიშნული მუხლის მიხედვით, საქართველოს სასამართლოებს განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ მხოლოდ იმ სარჩელებზე, რომლებიც ეხება: ა) უძრავ ქონებას, თუ ეს ქონება საქართველოშია; ბ) იურიდიული პირის ან მისი ორგანოს გადაწყვეტილებათა ნამდვილობას ან შეწყვეტას, როცა ამ იურიდიული პირის ან მისი ორგანოს რეზიდენცია საქართველოშია; გ) საქართველოს სასამართლოების ან სხვა ორგანოების მიერ იურიდიული პირების რეგისტრაციას; დ) პატენტის, სავაჭრო ნიშნის ან სხვა უფლების რეგისტრაციას, როცა ამ უფლებათა რეგისტრაცია ან

რეგისტრაციის მოთხოვნა საქართველოში განხორციელდა; ე) იძულებითი აღსრულების ღონისძიებებს, როცა მათი მოთხოვნა ან განხორციელება საქართველოში მოხდა.

კანონის მიერ გამომრიცხავი საერთაშორისო კომპეტენციის დაწესება გამორიცხავს მათ მიმართ მხარეთა მიერ ხელშეკრულებით კომპეტენციის შეცვლის შესაძლებლობას.

გამომრიცხავი საერთაშორისო კომპეტენცია ეფექტურად გამოიყენება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების აღსრულებისას, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის კანონმდებლობა კონკრეტულ სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ ადგენს გამომრიცხავ საერთაშორისო კომპეტენციას, სასამართლოს უფლება აქვს, ამ მოტივით უარი განაცხადოს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე.

საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში საერთაშორისო კომპეტენციის განსაზღვრისას ხშირად წარმოიშობა პრობლემა ე.წ. „კონკურირებადი „საერთაშორისო იურისდიქციის შესახებ.“ ეს იმ დროს ხდება, როდესაც მოდავე მხარეებს კანონმდებლობით ენიჭებათ უფლება, რამდენიმე შესაძლო სახელმწიფო იურისდიქციიდან, თავად ამოირჩიონ ყველაზე უფრო მომგებიანი ქვეყნის იურისდიქცია. ამ მხრივ საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართალში განასხვავებენ ორი სახის კონკურირებად საერთაშორისო იურისდიქციას. მათ დოქტრინაში ხშირად კომპეტენციურ კონფლიქტსაც უწოდებენ, ესენია:

ა) პოზიტიური კომპეტენციური კონფლიქტი, რომლის დროსაც ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის სასამართლოა კომპეტენტური, განიხილოს ესა თუ ის სამართლებრივი დავა.

ბ) ნეგატიური კომპეტენციური კონფლიქტი, რომლის დროსაც გამომრიცხება რომელიმე სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის გამოყენება კერძო სამართლებრივ დავაში.

იმ შემთხვევაში, როდესაც სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოებს მინიჭებული აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, მოსარჩელე მხარეს უფლება აქვს, აირჩიოს თავისთვის უფრო მომგებიანი ქვეყნის იურისდიქცია, კონკურირებად საერთაშორისო იურისდიქციებს შორის.

პოზიტიური კომპეტენტური კონფლიქტის ყველაზე ცნობილ ფორმად უნდა იქნეს მიჩნეული ე.წ. „ფორუმ შოპინგი“. საერთაშორისო სამოქალაქო დავის მხარეებს, რასაკვირველია, დავის მოგება სურთ. მოსარჩელე მხარე ცდილობს, ისე წარმართოს პროცესი, რომ მისი სარჩელი დაკმაყოფილდეს. ამისათვის, პირველ რიგში, მან დავა იმ ქვეყნის იურისდიქციას უნდა დაუქვემდებაროს, რომელშიც გამარჯვების მეტი შანსი ექნება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უცხო ელემენტის შემცველ დავებთან დაკავშირებით საქართველოს სასამართლოები საკუთარი კომპეტენციის დადგენისას ხელმძღვანელობენ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებებით (თუ საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება, რომლის ხელშემკვრელი მხარეც არის საქართველო, სხვა რამეს არ ითვალისწინებს).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საქართველოს სასამართლოები განიხილავენ სამოქალაქო საქმეებს, რომლებშიც მონაწილეობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები, საწარმოები

და ორგანიზაციები. ასეთ საქმეებთან მიმართებით საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ მაშინ, თუ მოპასუხის რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოშია. ასეთ საქმეებთან მიმართებით საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ მაშინაც, თუ მოპასუხე რამდენიმე პირია და ერთ-ერთი მათგანის საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოშია.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით, საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ იმ შემთხვევაშიც, თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ადგილი საქართველოა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევს უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს საერთო სასამართლოებს მოცემულ საქმეზე გააჩნდათ საერთაშორისო კომპეტენცია, თუმცა ვერ გაიზიარებს მოწინააღმდეგე მხარის - შპს „ს.-ის“ წარმომადგენლის მოსაზრებას, რომ დავის განმხილველი ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოსაც არ გააჩნდა ამ საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს სასამართლოს მოცემულ დავაზე გააჩნდა საერთაშორისო კომპეტენცია შემდეგ გარემოებათა გამო: „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ წესებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა ამ კანონით განსაზღვრულ წესებთან შედარებით (ასევე, გასათვალისწინებელია საქართველოს კონსტიტუციის მე-6- მუხლი და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი).

საქართველოს რესპუბლიკასა და უკრაინას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ ხელშეკრულების (ძალაშია 1996 წლის 6 დეკემბრიდან) 21-ე მუხლის თანახმად, „თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ხელშეკრულების მონაწილე მხართა სასამართლოები კომპეტენტური არიან, განიხილონ სამოქალაქო საქმეები, თუ მოპასუხეს მათ ტერიტორიაზე გააჩნია საცხოვრებელი ადგილი. იურიდიულ პირთა მიმართ წარდგენილ სარჩელებზე ისინი კომპეტენტურნი არიან, თუ მოცემული მხარის ტერიტორიაზე არის იურიდიულ პირთა მმართველობის ორგანო, წარმომადგენლობა ან ფილიალი.

ამავე ხელშეკრულების 40-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ცნობენ და აღასრულებენ იუსტიციის დაწესებულებების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებს სამოქალაქო საქმეებზე, ხოლო 42-ე მუხლის თანახმად კი, აღსრულების წესი რეგულირდება ხელშეკრულების მონაწილე მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს აღსრულება.

სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ კონვენციის (ე.წ. „მინსკის კონვენცია“) მე-20 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ საქმეში მონაწილეობს

რამდენიმე მოპასუხე, რომელთა საცხოვრებელი ადგილი (ადგილსამყოფელი) მდებარეობს სხვადასხვა ხელშემკვრელი მხარეების ტერიტორიაზე, დავა განიხილება ნებისმიერი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის (ადგილსამყოფელის მიხედვით) მოსარჩელის არჩევით. საკუთრების უფლებასთან ან სხვა სანივთო უფლებებთან დაკავშირებულ სარჩელზე კომპეტენტური არიან მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოები ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეში მონაწილე ორი მოპასუხის წინააღმდეგ, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს მოცემულ დავაზე გააჩნდა საერთაშორისო კომპეტენცია.

შპს „ს.-ის“ მეორე არგუმენტთან დაკავშირებით, რომ მას შპს „ა.-თან“ არანაირი ურთიერთობა არ გააჩნდა და მოსარჩელის მიერ უკრაინული საწარმოს ამ პროცესში თავდების სახით ჩართვა განხორციელდა ხელოვნურად, მხოლოდ ერთი მიზნით – გამოგონილი მოპასუხის გამოყენებით, ისე შეეცვალათ სასამართლო განსჯადობა, რომ უკრაინის სასამართლოებს გასჩენოდათ საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საერთაშორისო სამართლებრივ ბრუნვაში მრავალი ქვეყანა მისდევს revision au fond-ის აკრძალვის სახელით ცნობილ პრინციპს, რომელიც კატეგორიულად უარყოფს უცხო ქვეყნის სასამართლოს (არბიტრაჟის) მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსობრივ გადამოწმებას.

საქმეში არსებული მასალების მიხედვით დასტურდება, რომ შპს „ს.-ის“ სასამართლო უწყება და გზავნილი კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა, საქმის განხილვისას კანონით დადგენილი წესით ინფორმირებული იყო, აგრეთვე საქმეში მეორე მოპასუხის არსებობის თაობაზე, რის შესახებაც არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამს. უფრო მეტიც, გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ არ გაუსაჩივრებია გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით და არც კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მოუთხოვია საქმის წარმოების განახლება, ამიტომაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს შპს „ს.-ის“ მოსაზრებას, რომ მოსარჩელის მიერ უკრაინული საწარმოს ამ პროცესში თავდების სახით ჩართვა განხორციელდა ხელოვნურად, მხოლოდ ერთი მიზნით – გამოგონილი მოპასუხის გამოყენებით, ისე შეეცვალათ სასამართლო განსჯადობა, რომ უკრაინის სასამართლოებს გასჩენოდათ საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება სხვა ქვეყანაში ამ უკანასკნელის საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებული აქტია, რომელთა მიმართებით ეს სახელმწიფო სრული სუვერენიტეტითა და თავისუფლებით სარგებლობს.

საერთაშორისო სამართალში მოქმედი „გათანაბრების თეორიის“ თანახმად, უცხოური აქტი უნდა აღქმულ იქნეს და იურიდიულად გაუთანაბრდეს შიდასახელმწიფოებრივ სასამართლო გადაწყვეტილებას, შესაბამისად, ამ სახის სასამართლო გადაწყვეტილებების საპროცესო შედეგებიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით უნდა გადაწყდეს. ეს კონცეფცია ნოსტრიფიკაციის სახელით არის ცნობილი და ემყარება ყველა სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის თანასწორუფლებიანობის მოსაზრებას.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ან უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისას საქმე გვაქვს მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოური აქტის მოქმედების გაფართოვებასთან, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მის ცნობაზე უარის თქმის საფუძვლები. ცნობის ასეთი დამაბრკოლებელი გარემოებები ჩამოთვლილია „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლში.

ამის საპირისპიროდ, შესაბამისი უცხოური აქტის აღსასრულებლად გამოცხადება წარმოადგენს მისთვის მოქმედების უფლების მინიჭებას. ეს იმასთანაც არის დაკავშირებული, რომ თავისთავად ცნობას ნაკლებად მოაქვს მოვალისათვის უშუალო სამართლებრივი შედეგები. პირიქითაა აღსრულებადად გამოცხადების შემთხვევაში, რომელსაც ესაჭიროება ე.წ. სააღსრულებო - ექსეკუტორული (exequatur) პროცესი.

ცნობილია, რომ რომელიმე ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოქმედებს მხოლოდ მისი ქვეყნის ტერიტორიაზე, ამიტომაც უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოქმედებდეს სხვა ქვეყანაში, თუ ამ უკანასკნელმა ის სცნო. მოახდინოს თუ არა სახელმწიფოს მეორე სახელმწიფოს გადაწყვეტილების ცნობა, მხოლოდ მასზეა დამოკიდებული, ამასთან გადაწყვეტილების ცნობის დროს, ის არ უნდა შეიჭრას უცხო ქვეყნის სასამართლო კომპეტენციაში.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა, პირველ რიგში ემსახურება სამოქალაქო ბრუნვისა და მართლმსაჯულების საქმიანობის გამარტივებას. მოდავე მხარისათვის მნიშვნელოვანია, რომ მის მიერ ერთი ქვეყნის სასამართლოში შეტანილი სარჩელით ამოწუროს ყველა ის სადავო საკითხი, რომლითაც ის მოპასუხეს ედავება. თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვა იმდენად რთულია, რომ ხშირად სცილდება არა მარტო ერთი, არამედ რამდენიმე ქვეყნის ფარგლებს. ამიტომ, ხშირად სასამართლო გადაწყვეტილებაც აღსრულებას რამდენიმე ქვეყანაში მოითხოვს. შესაბამისად, თუ რომელიმე უცხო ქვეყანა უარს იტყვის ამგვარი გადაწყვეტილების აღსრულებაზე, მოდავე მხარე იძულებული იქნება, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შეიტანოს სარჩელი ამ ქვეყნის სასამართლოში, რაც დამატების დროსა და ხარჯებს მოითხოვს.

ევროპული დოქტრინის მიხედვით, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გადაწყვეტილება წყვეტს კერძო სამართლებრივ დავას. ამასთან, აღნიშნული დავა გადაწყვეტილი უნდა იყოს ისეთ სასამართლო პროცესზე, რომელზედაც პროცესის მხარეებს თანაბრად ჰქონდათ მინიჭებული უფლებები, დაეცვათ, თავიანთი ინტერესები.

ამიტომაც უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის პრობლემის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია, თუ რა კრიტერიუმების არსებობას უკავშირებს გადაწყვეტილების ცნობას შესაბამისი ქვეყნის სასამართლო. ამგვარი კრიტერიუმები კი, სხვადასხვაა. შესაძლებელია გადაწყვეტილების ცნობისას მოცემული ქვეყნის კანონი ან მის მიერ გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმება პირდაპირ ჩამოთვლიდეს კონკრეტულ პრინციპებს. საქართველოს რესპუბლიკასა და უკრაინას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ ხელშეკრულების (ძალაშია 1996 წლის 6 დეკემბრიდან) 43-ე მუხლის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილების ცნობაზე ან აღსრულების ნებართვაზე შეიძლება უარი ითქვას: თუ შუამდგომლობის აღმძვრელ პირს ან მოპასუხეს არ მიუღია

მონაწილეობა პროცესში იმის გამო, რომ მას ან მის წარმომადგენელს დროულად და სათანადო ფორმით არ ჩაბარდა სასამართლოში გამოძახების უწყება; თუ იმავე სამართლებრივ დავაზე იმავე მხარეებს შორის ხელშეკრულების მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, სადაც უნდა განხორციელდეს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება უკვე არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის დაწესებულებების მიერ ადრე აღძრული იყო წარმოება მოცემულ საქმეზე; თუ ამ ხელშეკრულების დებულებების თანახმად, ან ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში ხელშეკრულების მონაწილე მხარის კანონმდებლობის თანახმად, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, საქმე განეკუთვნება მის დაწესებულებათა განსაკუთრებულ კომპეტენციას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ამ საკითხთან მიმართებით საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში გავრცელება ჰპოვა ე.წ. „სარკისებური ასახვის პრინციპმა“, რომლის მიხედვითაც, გადაწყვეტილების მცნობი სასამართლოს სარკისებურად გადააქვს თავისი ქვეყნის წესები გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციის შესახებ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაზე.

ამ მხრივ სახელმწიფოთა მიერ სხვა ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაზე უარის თქმის საუკეთესო საშუალებად აღიარებულია დათქმა „საჯარო წესრიგის შესახებ“. გარდა ამისა, კანონმდებლობა ითვალისწინებს გადაწყვეტილების ცნობაზე უარის თქმის სხვა შემთხვევებსაც. ასე, მაგალითად, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით: გადაწყვეტილების ცნობა არ მოხდება, თუ, ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ კონვენციის (ე.წ. „მინსკის კონვენცია“) 51-ე მუხლის თანახმად, თითოეული ხელშემკვრელი მხარე ამ კონვენციით გათვალისწინებული პირობებით ცნობს და აღასრულებს სხვა ხელშემკვრელი მხარეების ტერიტორიაზე გამოტანილ იუსტიციის დაწესებულებათა გადაწყვეტილებებს სამოქალაქო და საოჯახო საქმეებზე, ხოლო კონვენციის 53-ე მუხლი კი, ითვალისწინებს, რომ შუამდგომლობა გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვის თაობაზე წარედგინება ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ სასამართლოს, სადაც გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, უკრაინის რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის სამეურნეო სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნის ფარგლებში ცნობილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად.

## ანალიზი

### სასამართლო გადაწყვეტილების მნიშვნელობა პრაქტიკისთვის

ზოგადად, სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება ნებისმიერი სახელმწიფოს სამართლებრივი პოლიტიკის ერთერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. ერთი მხრივ, ეროვნული სამართლებრივი რეჟიმის დაცვა და მისი უზრუნველყოფა, ხოლო მეორე მხრივ, საერთაშორისო ტენდენციებისა და რეალობის მხედველობაში მიღება დაბალანსებული სამართლებრივი პოლიტიკის ერთერთი წინაპირობაა, თუმცა ასეთი შედეგი ადვილად მისაღწევი არ არის. დიდი ხანია რაც *revision au fond*, დოქტრინა, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილებაშიც არის მოხსენიებული, წარსულს ჩაბარდა.<sup>1</sup>

სასამართლოები არსებითად არ შედიან სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების კვლევაში და ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ამომწურავი საფუძვლების შემოწმებით შემოიფარგლებიან. ნებისმიერი სახელმწიფო დაინტერესებული უნდა იყოს ამ პროცედურის ეფექტურობითა და სიმარტივეთ,<sup>2</sup> ვინაიდან ეს პროცედურა თავისებური სავიზიტო ბარათია, რომელიც დანარჩენ მსოფლიოს მოცემული სახელმწიფოს მართლმსაჯულებაზე უქმნის წარმოდგენას.

მეორე მხრივ სიმარტივემ არ უნდა დააზარალოს უცხო სახელმწიფოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ეფექტის კონტროლის ინტერესი. მართლწესრიგთა განსხვავებულობიდან გამომდინარე, ერთი სახელმწიფოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება არსებითად მიუღებელი აღმოჩნდეს მეორესათვის. სწორედ ამ

---

<sup>1</sup> *Revision au fond* - გულისხმობს სასამართლოს მიერ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების შინაარსის არსებით შემოწმებას ცნობისა და აღსრულების პროცედურის ფარგლებში. დაწვრილებით იხ. *Svanadze Grundlagen G., des Deutsch-Georgischen Anerkennungsrechts, Eine Rechtsvergleichende Analyse*, Peter Lang, Frankfurt am Main, 2014, 20-21; *Grolimund P., Schneider A.K., Mosimann N., Private International Law in Switzerland, Swiss Law in nutshell series*, Dike, Zürich, 2013, 139.

<sup>22</sup> *Svanadze G., Grundlagen des deutsch-georgischen Anerkennungsrechts, Eine Rechtsvergleichende Analyse*, Peter Lang, Frankfurt am Main, 2014, 21.

უკანასკნელი შემთხვევების ეფექტური პრევენციაა ცნობისა და აღსრულების მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკის უპირველესი მიზანი.

საერთაშორისო თანამშრომლობის გარეშე ამ მიზნის მიღწევა წარმოუდგენელია.<sup>3</sup>

შეიძლება ითქვას, რომ ფართო გაგებით უცხოური გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება სასამართლოსათვის მიმართვისა და სამართლიანი სასამართლოს კონსტიტუციური უფლების კონკრეტული და კერძო გამოვლინებაა.<sup>4</sup>

ზოგადი პრინციპი, რომლის თანახმადაც, უცხოური ელემენტის მონაწილეობით საქმის განხილვისას, (არ აქვს მნიშვნელობა ეს ცნობისა და აღსრულების პროცედურა იქნება თუ არსებითი განხილვა) სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს ოცხოური მატერიალური სამართალი, ხოლო პროცედურის განსაზღვრისას Lex Fori შეუცვლელია, ნელ ნელა ცვლილებას განიცდის. სასამართლოები სულ უფრო ხშირად არიან იძულებულნი დაადგინონ ოცხოური საპროცესო წესის სამართლებრივი შინაარსი და ისე მიიღონ გადაწყვეტილება.<sup>5</sup>

უნდა ვაღიაროთ, რომ კონრად ცვაიგერტის სიტყვები „შედარებითი სამართალი, ინტერპრეტაციის უნივერსალური მეთოდი“ - კვლავაც ძალაშია.<sup>6</sup> ასევე უნდა დავეთანხმოთ საქართველოს უზენაეს სასამართლოს მითითებას, რომ საქართველოში განსჯადობასთან დაკავშირებული საკითხები სამართლის საკითხია და არა ფაქტის, რაც სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას და აკისრებს ვალდებულებას შედარებითი სამართლის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით კონკრეტული დასკვნები გამოიტანოს.

## **სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მიზნის სასამართლოსეული განმარტება**

### **ცნობისა და აღსრულების პროცედურის მიზანი**

სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მიზანი პირობითად ორგვარად შეიძლება გავიგოთ. ვიწრო გაგებით ეს პროცედურა მიზნად ისახავს იმ მოვალის ინტერესებისა და უფლებების დაცვას, რომლის წინააღმდეგაც არის მიმართული აღსასრულებლად წარდგენილი გადაწყვეტილება,<sup>7</sup> მეორე მხრივ სახელმწიფო, რომელიც სხვა სახელმწიფოს სამართლებრივი აქტებისათვის ეფექტის მინიჭებას საკუთარ

---

<sup>3</sup> *Svanadze G.*, Grundlagen des deutsch-georgischen Anerkennungsrechts, Eine Rechtsvergleichende Analyse, Peter Lang, Frankfurt am Main, 2014, 22.

<sup>4</sup> *Ptak P.*, Der Europäische Vollstreckungstitel und das Rechtliche Gehör des Schuldners, Max-Planck-Institute für ausländischen und internationalen Privatrecht, Mohr Siebeck, Tübingen, 2014, 237.

<sup>5</sup> *Oberhammer P.*, Comparative Civil Procedure Before Austrian Courts: *Canivet G. Andenas M. Fairgrieve D.* (eds.), Comparative Law Before the Courts, The British Institute of International and Comparative Law, London, 2004, 243.

<sup>6</sup> *Oberhammer P.*, Comparative Civil Procedure Before Austrian Courts: *Canivet G., Andenas M., Fairgrieve D.* (eds.), Comparative Law Before the Courts, The British Institute of International and Comparative Law, London, 2004, 245.

<sup>7</sup> *Ptak P.*, Der Europäische Vollstreckungstitel und das Rechtliche Gehör des Schuldners, Max-Planck-Institute für ausländischen und internationalen Privatrecht, Mohr Siebeck, Tübingen, 2014, 237.

ტერიტორიაზე გარკვეულ კონტროლს უკავშირებს, ამოდის სუვერენიტეტის პრინციპიდან<sup>8</sup> და გამორიცხავს საკუთარ ტერიტორიაზე ისეთი სამართლებრივი შედეგის დადგომას, რომელიც მის ძირითად სამართლებრივ პრინციპებს ეწინააღმდეგება.

ცნობა აღსრულების პროცედურის, როგორც უცხოური გადაწყვეტილებების კონტროლის ფორმის ობიექტური საჭიროება განპირობებულია სახელმწიფოებს შორის არსებული სამართლებრივი სხვაობებით, რაც გამორიცხავს ერთი მათგანის მიერ სანქცირებული სამართლებრივი შედეგის პირდაპირ დადგომას მეორის ტერიტორიაზე.<sup>9</sup>

### ცნობისა და აღსრულების სამართლებრივი შინაარსი

კანონმდებლობა, დოქტრინა და პრაქტიკა ერთმანეთისაგან განასხვავებს უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას.

როგორც წესი, კანონმდებლობასა თუ საერთაშორისო ხელშეკრულებებში ტერმინ “ცნობის” სამართლებრივი დეფინიცია ნაკლებად გვხვდება. მაგალითად, არც ქართული და არც გერმანული სამართალი ასეთ ლეგალურ დეფინიციას არ იცნობს.<sup>10</sup> უფრო ხშირია იმ სამართლებრივ შედეგებზე მითითება, რასაც ცნობა და აღსრულება თავის თავში გულისხმობს.<sup>11</sup> ცნობის საგანი შეიძლება იყოს უცხო ქვეყნის სასამართლოს ის გადაწყვეტილება, რომელმაც შესაბამისი საპროცესო წესის დაცვით სამართლებრივად და საბოლოოდ გადასაწყვეტია მოცემულ მხარეებს შორის არსებული დავა.<sup>12</sup> ზოგადად, ტერმინი „გადაწყვეტილება“ ამ შემთხვევაში ფართოდ უნდა გავიგოთ, როგორც კრებითი სახელი უცხო ქვეყნის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტისა, რომელიც შესაბამის სამართლებრივ შედეგს წარმოშობს მხარეებისათვის. შესაბამისად არანაირი მნიშვნელობა არ აქვს რას დავარქმევთ მას განჩინებას, დადგენილებას თუ კიდევ რამე სხვას.<sup>13</sup> გადაწყვეტილებას ასევე მოიაზრებს დაუსრულებელ გადაწყვეტილებასაც, რომელთა წარმატებული აღსრულების პრეცედენტები საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში არსებობს. ამ შემთხვევაში უზენაესმა სასამართლომ ყურადღება გამახვილა იმაზე, რომ გადაწყვეტილებამ საბოლოოდ დაასრულა მხარეთა შორის არსებული დავა და რომ ის კანონიერ ძალაში იყო შესული.<sup>14</sup>

---

<sup>8</sup> *Ptak P.*, Der Europäische Vollstreckungstitel und das Rechtliche Gehör des Schuldners, Max-Planck-Institute für ausländischen und internationalen Privatrecht, Mohr Siebeck, Tübingen, 2014, 237.

<sup>9</sup> *Ptak P.*, Der Europäische Vollstreckungstitel und das Rechtliche Gehör des Schuldners, Max-Planck-Institute für ausländischen und internationalen Privatrecht, Mohr Siebeck, Tübingen, 2014, 237.

<sup>10</sup> *Svanadze G.*, Grundlagen des deutsch-georgischen Anerkennungsrechts, Eine Rechtsvergleichende Analyse, Peter Lang, Frankfurt am Main, 2014, 46.

<sup>11</sup> *Svanadze G.*, Grundlagen des deutsch-georgischen Anerkennungsrechts, Eine Rechtsvergleichende Analyse, Peter Lang, Frankfurt am Main, 2014, 23.

<sup>12</sup> *Svanadze G.*, Grundlagen des deutsch-georgischen Anerkennungsrechts, Eine Rechtsvergleichende Analyse, Peter Lang, Frankfurt am Main, 2014, 50.

<sup>13</sup> *Svanadze G.*, Grundlagen des deutsch-georgischen Anerkennungsrechts, Eine Rechtsvergleichende Analyse, Peter Lang, Frankfurt am Main, 2014, 50.

<sup>14</sup> *Svanadze G.*, Grundlagen des deutsch-georgischen Anerkennungsrechts, Eine Rechtsvergleichende Analyse, Peter Lang, Frankfurt am Main, 2014, 51.

შვეიცარიაში ტერმინი „გადაწყვეტილება“ ცნობისა და აღსრულების მიზნებისათვის ესმით ფართო გაგებით. მასში მოიაზრებენ ნებისმიერ სამართლებრივ აქტს, რომლითაც საჯარო ხელისუფლების ორგანოები წყვეტენ დავებს. მაგალითად მოჰყავთ სამკვიდრო მოწმობა, რომელიც შეიძლება გაცემული იყოს ერთი სახელმწიფოს უფლებამოსილი პირის მიერ, თუმცა ცნობილი და აღსრულებული იყოს სხვა სახელმწიფოში. აქვე შეიძლება მოთავსდეს მედიაციის შედეგად მიღწეული გადაწყვეტილება რომელიც დადასტურებულია სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი პირების მიერ.<sup>15</sup> უფლებამოსილ პირში შეიძლება ვიგულისხმოთ როგორც მოსამართლე, ასევე ნოტარიუსი, სასამართლო აღმასრულებელი ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელსაც სახელმწიფოს მიერ მინიჭებული აქვს ასეთი დადასტურების უფლებამოსილება.

ნიშანდობლივია, რომ საერთაშორისო სამოქალაქო პროცესის მიზნებისათვის ტერმინი „გადაწყვეტილება“ არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება გულისხმობდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას,<sup>16</sup> ვინაიდან ამ უკანასკნელზე და მისი ცნობა აღსრულებაზე ვრცელდება ნიუ-იორკის კონვენციითა და ლოკალური კანონმდებლობით დადგენილი სპეციალური სამართლებრივი რეჟიმი.<sup>17</sup>

აღსრულებაში იგულისხმება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევა. იძულებითი აღსრულება კი ე.წ. მესამე ნაბიჯია ამ გზაზე. პირველია თვით გადაწყვეტილების გამოტანა, მეორე - მისი აღსასრულებლად მიქცევა და მესამე - უშუალოდ აღსრულება.

გავრცელებული მოსაზრებით, გადაწყვეტილების ცნობა არის ერთ სახელმწიფოში გამოტანილი გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგების გავრცელება მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე.<sup>18</sup>

აქ გამოყოფენ თეორიულად შესაძლო რამდენიმე ვარიანტს: 1. უცხოურ გადაწყვეტილებას მოჰყვება ის სამართლებრივი შედეგები, რაც შიდა გადაწყვეტილებას. 2. უცხოურ გადაწყვეტილებას მეორე სახელმწიფოში მოჰყვება მხოლოდ ის სამართლებრივი შედეგები, რაც პირველ სახელმწიფოში შეიძლებოდა მოჰყოლოდა. 3. უცხოურ გადაწყვეტილებას შეიძლება მოჰყვეს მხოლოდ ის შედეგები, რაც როგორც პირველი, ასევე მეორე სახელმწიფოს კანონმდებლობით არის გათვალისწინებული. 4. გადაწყვეტილებას

---

<sup>15</sup> *Grolimund P., Schneider A.K., Mosimann N.*, Private International Law in Switzerland, Swiss Law in nutshell series, Dike, Zürich, 2013, 137.

<sup>16</sup> *Grolimund P., Schneider A.K. Mosimann N.* Private International Law in Switzerland, Swiss Law in nutshell series, Dike, Zürich, 2013, 137.

<sup>17</sup> თუმცა აღსანიშნავია, რომ 2010 წლის 1 იანვრამდე, ანუ „არბიტრაჟის“ შესახებ კანონის ძალაში შესვლამდე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მიმართ საქართველოს უზენაესი სასამართლო ანალოგიით იყენებდა სწორედ სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისათვის „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-71-ე მუხლებით გათვალისწინებული პროცედურას. დაწვრილებით იხ. *Tsertsvadze G.*, Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards in Georgia, <[http://www.mpipriv.de/files/pdf3/2009\\_11\\_19\\_013.pdf](http://www.mpipriv.de/files/pdf3/2009_11_19_013.pdf)>, [18.12.2015].

<sup>18</sup> *Steinbach J.*, Anerkennung und Vollstreckung ausländischer Urteile und Schiedssprüche in der Russischen Föderation Tübinger Schriften zum internationalen und europäischen recht, Duncker & Humblot, Berlin 2003, 63.

შეიძლება მოჰყვეს ნებისმიერი სამართლებრივი შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია პირველი, მეორე, ან ორივე სახელმწიფოს კანონმდებლობით.<sup>19</sup>

ზოგადი პრინციპის თანახმად, მეორე სახელმწიფოში გადაწყვეტილებას არ შეიძლება მოჰყვეს ის სამართლებრივი შედეგი, რომელიც მეორე სახელმწიფოს მართლწესრიგისათვის აბსოლუტურად უცნობია. მაგალითად, ბრიტანული გადაწყვეტილების ცნობას რუსეთის ფედერაციაში არ შეიძლება ამ გადაწყვეტილების პრეცედენტული მნიშვნელობის აღიარება და მისი კანონად ქცევა მოჰყვეს (როგორც ეს მოხდებოდა თვითონ ბრიტანეთში). პრაქტიკა და დოქტრინა უფრო იხრება ე.წ კუმულატიურობის პრინციპისაკენ, რომელიც მეორე სახელმწიფოს მიერ გადაწყვეტილების მხოლოდ იმ სამართლებრივი შედეგების ცნობას გულისხმობს, რომელიც ამ მეორე სახელმწიფოს კანონმდებლობით პრინციპში დასაშვებია.<sup>20</sup>

როგორც აღნიშნავენ, ქართული პრაქტიკა და დოქტრინა ჩამოყალიბებული არ არის, ზემოთ ჩამოთვლილი ალტერნატივებიდან კონკრეტულად რომელ მათგანზე აჩერებს თავის არჩევანს. წარმოდგენილი გადაწყვეტილება ამ მხრივაც გამონაკლისია.

როგორც წესი, ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული ადრინდელი გადაწყვეტილებები დასაბუთების ისეთ ხარისხს, როგორც ეს ამ კონკრეტული გადაწყვეტილების შემთხვევაში გვაქვს, ვერ გვთავაზობენ. როგორც წესი, ამ გადაწყვეტილებათა უმრავლესობა კმაყოფილდება საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 68-ე მუხლზე ზოგადი მითითებით და პირდაპირ ადგენს, ექვემდებარება თუ არა გადაწყვეტილება აღსრულებას.<sup>21</sup>

ცნობისა და აღსრულებისას სასამართლომ ცალ-ცალკე უნდა შეაფასოს ყველა მოთხოვნა, რომელზეც უცხო ქვეყნის სასამართლომ იმსჯელა. თითოეული მათგანი ისე უნდა შეფასდეს, თითქოს ის დამოუკიდებელი სასამართლო პროცესის შედეგად იყო მიღებული. შესაბამისად, ცნობაზე და აღსრულებაზე პასუხისმგებელი სასამართლოს შეფასება შეიძლება რამდენიმე მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში განსხვავებული იყოს და შედეგად გადაწყვეტილების ნაწილობრივ ცნობა და აღსრულება მოჰყვეს.<sup>22</sup>

გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარი არ ნიშნავს სამართლებრივად ნულოვან შედეგს. შესაძლოა უცხოური გადაწყვეტილება ვერ გახდეს აღსრულებადი, თუმცა იგი წარმატებით გამოიყენოს მხარემ როგორც მტკიცებულება გარკვეული ფაქტებისა და გარემოებების დასადასტურებლად.<sup>23</sup>

---

<sup>19</sup> *Steinbach J.*, Anerkennung und Vollstreckung ausländischer Urteile und Schiedssprüche in der Russischen Föderation Tübinger Schriften zum internationalen und europäischen recht, Duncker & Humblot, Berlin, 2003, 64.

<sup>20</sup> *Steinbach J.*, Anerkennung und Vollstreckung ausländischer Urteile und Schiedssprüche in der Russischen Föderation Tübinger Schriften zum internationalen und europäischen recht, Duncker & Humblot, Berlin 2003, 65-66.

<sup>21</sup> *Svanadze G.*, Grundlagen des deutsch-georgischen Anerkennungsrechts, Eine Rechtsvergleichende Analyse, Peter Lang, Frankfurt am Main, 2014, 27.

<sup>22</sup> *Svanadze G.*, Grundlagen des deutsch-georgischen Anerkennungsrechts, Eine Rechtsvergleichende Analyse, Peter Lang, Frankfurt am Main, 2014, 33.

<sup>23</sup> *Svanadze G.*, Grundlagen des deutsch-georgischen Anerkennungsrechts, Eine Rechtsvergleichende Analyse, Peter Lang, Frankfurt am Main, 2014, 35.

ცალსახად შეიძლება ითქვას რომ გერმანული სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს უცხოური გადაწყვეტილების ცნობას (Anerkennung) და მის აღსასრულებლად მიქცევას (Vollstreckbarerklärung).<sup>24</sup>

კიდევ უფრო მეტი კონკრეტიზაცია მოცემულია გერმანულ დოქტრინაში, რომლის თანახმადაც, იძულებითი აღსრულების პროცედურა (Zwangsvollstreckungsverfahren) მოიცავს ორ ეტაპს: აღსასრულებლად მიქცევას (Vollstreckbarerklärung) და უშუალოდ იძულებით აღსრულებას (Exequaturverfahren). ამ უკანასკნელმა ევროკავშირის მასშტაბით ძირეული უნიფიკაცია განიცადა.<sup>25</sup>

res judicata ცნობილი და აღსრულებული გადაწყვეტილებების ერთერთი უმნიშვნელოვანესი მატერიალურ სამართლებრივი შედეგია. გადაწყვეტილების ცნობითა და მისი აღსრულებით საბოლოოდ უნდა დასრულდეს მხარეთა შორის მიმდინარე და გადაწყვეტილებით მოცული დავა. ასეთი დასკვნა ცალსახად გამომდინარეობს სახელმწიფოში სამართლებრივი სტაბილურობის ინტერესიდან.<sup>26</sup> დაუშვებელია, ახალი სარჩელებისა და ახალი სასამართლო პროცესების წამოწყებით რამდენიმე მართლწესრიგის ფარგლებში პარალელური ან ერთმანეთის მომდევნო პროცესების დაუსრულებლად წარმოება.

ევროპული დირექტივის მიხედვით, იმისთვის რომ გადაწყვეტილების აღსრულება ევროკავშირის მეორე წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოხდეს, გადაწყვეტილება და მის შესაბამისად გაცემული სააღსრულებო ფურცელი აღსრულებადი უნდა იყოს იმ სახელმწიფოში, სადაც ის არის გამოცემული.<sup>27</sup>

ზოგადი პრინციპის თანახმად, დაუსრულებელი გადაწყვეტილების გამოტანისას დარღვეულ მოპასუხის უფლებას ვერ დააკომპენსირებს მისი უფლება დაიცვას საკუთარი უფლებების და ინტერესები ცნობისა და აღსრულების პროცედურის რეჟიმში.<sup>28</sup> საქმის არსებითი განხილვა და მისი შედეგი განსხვავდება ცნობისა და აღსრულების პროცედურისაგან თუნდაც იმით, რომ ეს უკანასკნელი, როგორც წესი, ნაკლებად ითვალისწინებს Revision au Fond ანუ არსებითად გადაწყვეტილების გადასინჯვის შესაძლებლობას.

---

<sup>24</sup> *Svanadze G.*, Grundlagen des deutsch-georgischen Anerkennungsrechts, Eine Rechtsvergleichende Analyse, Peter Lang, Frankfurt am Main, 2014, 115.

<sup>25</sup> *Bitter A.*, Vollstreckbarerklärung und Zwangsvollstreckung ausländischer Titel in der Europäischen Union, Max-Planck-Institut für ausländisches und internationales Privatrecht, Studien zum ausländischen und internationalen Privatrecht, Mohr Siebek, Tübingen, 2009, 221.

<sup>26</sup> *Svanadze G.*, Grundlagen des deutsch-georgischen Anerkennungsrechts, Eine Rechtsvergleichende Analyse, Peter Lang, Frankfurt am Main, 2014, 39. *Grolimund P., Schneider A.K., Mosimann N.*, Private International Law in Switzerland, Swiss Law in nutshell series, Dike, Zürich, 2013, 139.

<sup>27</sup> *Bitter A.*, Vollstreckbarerklärung und Zwangsvollstreckung ausländischer Titel in der Europäischen Union, Max-Planck-Institut für ausländisches und internationales Privatrecht, Studien zum ausländischen und internationalen Privatrecht, Mohr Siebek, Tübingen, 2009, 223.

<sup>28</sup> *Ptak P.*, Der Europäische Vollstreckungstitel und das Rechtliche Gehör des Schuldners, Max-Planck-Institute für ausländischen und internationalen Privatrecht, Mohr Siebeck, Tübingen, 2014, 240.

## ცნობისა და აღსრულების წინაპირობები

სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა თვით ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა იმ მართლწესრიგის მიერ დადგენილი წესისა და პროცედურის დაცვით, სადაც არის გამოტანილი ეს გადაწყვეტილება. ეს წესი აღიარებულია როგორც საქართველოს კანონმდებლობაში,<sup>29</sup> ასევე ევროპულ დოქტრინასა და პრაქტიკაში.<sup>30</sup>

ნებისმიერ შემთხვევაში, გამორიცხულია ბათილი ან გაუქმებული გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, ვინაიდან ისინი ზემოაღნიშნულ კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებენ.<sup>31</sup>

სასამართლო გადაწყვეტილებაში საკმაოდ მაღალი კონცენტრაციით არის გამოყენებული საერთაშორისო სამოქალაქო პროცესის დოქტრინა, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს პირდაპირ და არაპირდაპირ საერთაშორისო განსჯადობას. არაპირდაპირია განსჯადობა, როდესაც პასუხი უნდა გაეცეს შეკითხვას - აქვს თუ არა კონკრეტულ სასამართლოს დავის გადაწყვეტის საერთაშორისო კომპეტენცია. პირდაპირი განსჯადობა, როდესაც სასამართლომ უნდა დაადგინოს, აქვს თუ არა მას გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე მსჯელობისათვის საერთაშორისო კომპეტენცია.<sup>32</sup>

ზოგადად, ცნობასა და აღსრულებაზე არ შეიძლება მხარეს უარი ეთქვას იმ მოტივით, რომ მას სხვა სახელმწიფოში იმავე გადაწყვეტილების აღსრულება ან საკუთარი უფლებების დაცვა უფრო მარტივად და იაფად შეუძლია (*kein Einwand der execution non conveniens*).<sup>33</sup>

*Forum non conveniens* ანუ სასამართლოს უფლება უარი თქვას განსჯადობაზე იმ მოტივით, რომ სხვა სასამართლოს იგივე დავის გადაწყვეტა უფრო იაფად და ეფექტურად შეუძლია, კარგავს თავის მნიშვნელობას როგორც აღიარებული ზოგადი პრინციპი.<sup>34</sup> თუმცა ზემოაღნიშნული არ გულისხმობს *forum non conveniens* პრინციპის ცალკეული

---

<sup>29</sup> იხ. საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 71-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>30</sup> *Svanadze G.*, Grundlagen des deutsch-georgischen Anerkennungsrechts, Eine Rechtsvergleichende Analyse, Peter Lang, Frankfurt am Main, 2014, 53. *Grolimund P., Schneider A.K., Mosimann N.*, Private International Law in Switzerland, Swiss Law in nutshell series, Dike, Zürich, 2013, 138.

<sup>31</sup> *Svanadze G.*, Grundlagen des deutsch-georgischen Anerkennungsrechts, Eine Rechtsvergleichende Analyse, Peter Lang, Frankfurt am Main, 2014, 54.

<sup>32</sup> *Svanadze G.*, Grundlagen des deutsch-georgischen Anerkennungsrechts, Eine Rechtsvergleichende Analyse, Peter Lang, Frankfurt am Main, 2014, 77.

<sup>33</sup> *Grothaus J.*, Inlandsvollstreckung mit Auslandswirkung, Die inländische Vollstreckung von Handlungs- und Unterlassungsentscheidungen mit ausländischem Leitungsort, Internationales und Europäisches Privat- und Verfahrensrecht, Nomos, Baden-Baden, 2010, 384.

<sup>34</sup> *König M.*, Die Anwendbarkeit des *forum non conveniens* im deutschen und europäischen Zivilverfahrensrecht, Schriften zum internationalen Privat und Verfahrensrecht, Peter Lang, Frankfurt am Main, 2012, 178.

სპეციალური შემთხვევებისა და გამოვლინებების არსებობას თუნდაც ევროკავშირის საპროცესო სამართალში.<sup>35</sup>

*Forum non Conveniens* დოქტრინის ძირითადი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ის ეყრდნობა „უკეთესი სასამართლოს (ფორუმის)“ აბსტრაქტულ ფორმულას. პრაქტიკული თვალსაზრისით კი გამოდის, რომ ერთმა სასამართლომ ზუსტად უნდა დაადგინოს, რომ მეორე სახელმწიფოს სასამართლოს, ამ უკანასკნელისათვის სავალდებულო ნორმების მიხედვით აქვს განსჯადობა და წესი, რომლითაც ეს სასამართლო იხელმძღვანელებს გაცილებით ეფექტური და იაფია, ვიდრე მოცემულ მომენტში საქმის განმხილველი სასამართლოს ანალოგიური პროცედურა. ერთ სასამართლოს (რამდენად უზრუნველყოფილიც არ უნდა იყოს ის მატერიალურად ტექნიკურად და ინტელექტუალური რესურსის მხრივ) ნაკლებ სავარაუდოა ჰქონდეს იმდენი დრო, რესურსი და კომპეტენცია რომ ზემოაღნიშნულ კითხვაზე ამომწურავი პასუხი გასცეს.<sup>36</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, ანგლო ამერიკული სამართლებრივი სისტემის მიერ შემოთავაზებული ეს პრინციპი ევროპის კონტინენტზე ინტენსიური კრიტიკის საგნად რჩება.

ლუგანოს კონვენცია აღსრულების წინაპირობად ასახელებს გადაწყვეტილების აღსრულებადობას იმ ქვეყანაში სადაც ის გამოტანილია. ამ შემთხვევაში პირდაპირი მითითება საბოლოო და კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე არ გვხვდება რაც ავტორთა ერთ ნაწილს აძლევს საფუძველს დაასკვნას, რომ ლუგანოს კონვენცია უშვებს ისეთი გადაწყვეტილების აღსრულებასაც, რომელიც, მართალია, ძალაში არ შესულა, მაგრამ გამომტანი სახელმწიფოს გადაწყვეტილებით აღსრულებას ექვემდებარება იმ პირობით, რომ მისი გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.<sup>37</sup> ალბათ ასეთი მიდგომა ნაკლებად შეუწყობს ხელს სამართლებრივ სტაბილურობას, ვინაიდან ვერ გამორიცხავს სხვადასხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ურთიერთგამომრიცხავი პროცედურების წარმოებას და ამ პროცედურების წინააღმდეგობრივ შედეგებს.

### სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია და მისი არსი

სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების საკითხებში ქართული მართლმსაჯულების მწირი გამოცდილება არ იძლევა ყველა საკითხზე ამომწურავი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. წარმოდგენილი გადაწყვეტილება ამ მხრივ არსებული ხარვეზის შევსების ერთერთ საუკეთესო დადასტურებად უნდა ჩაითვალოს, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ ეს ერთერთი პირველი<sup>38</sup> გადაწყვეტილებაა, სადაც

<sup>35</sup> *König M.*, Die Anwendbarkeit des *forum non conveniens* im deutschen und europäischen Zivilverfahrensrecht, Schriften zum internationalen Privat und Verfahrensrecht, Peter Lang, Frankfurt am Main, 2012, 178.

<sup>36</sup> *Felder A.*, Die Lehre vom Forum non Conveniens, Konstanzer Schriften zur Rechtswissenschaft, Hartung-Gorre Verlag, Konstanz, 2005, 265.

<sup>37</sup> *Grolimund P., Schneider A.K., Mosimann N.*, Private International Law in Switzerland, Swiss Law in nutshell series, Dike, Zürich, 2013, 138.

<sup>38</sup> შეფასება ამ შემთხვევაში ოდნავ შერბილებულია აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით. პირადად ჩემთვის ცნობილი არ არის ქართულ ენაზე დაწერილი სხვა

პირდაპირ არის შესაძლებელი იმ პრაქტიკული თუ აკადემიური წყაროების იდენტიფიკაცია, რომლითაც სასამართლო გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხელმძღვანელობდა.

მაგალითად, ამ გადაწყვეტილების გამოტანამდე არ არსებობდა კონკრეტული პასუხი კითხვაზე, რას ნიშნავს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული მითითება შესრულების ადგილზე და რომელი ქვეყნის სამართლით უნდა გაირკვეს სად მდებარეობს ეს შესრულების ადგილი.<sup>39</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო შეეცადა ამ კითხვაზე პასუხის გაცემას, რამდენადაც ამის შესაძლებლობას იძლეოდა ცნობისა და აღსრულებისათვის წარმოდგენილი კონკრეტული გადაწყვეტილება.

### გამომრიცხავი საერთაშორისო კომპეტენცია

წარმოდგენილი გადაწყვეტილება იძლევა საერთაშორისო კომპეტენციასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ცნობისა თუ ტერმინის ცალკე შეფასების შესაძლებლობას. სასამართლოს მცდელობა მოეცა საერთაშორისო კომპეტენციასთან დაკავშირებული საკითხების უნივერსალური ანალიზი, მხოლოდ დადებით შეფასებას იმსახურებს. კომპეტენციასთან დაკავშირებული კლასიფიკაციების მოხმობა ზემოაღნიშნული მსჯელობის ერთერთი თვალსაჩინო მაგალითია

გამომრიცხავი საერთაშორისო კომპეტენციის მიზანი და იდეა დოქტრინისა და პრაქტიკის მიხედვით საჯარო ინტერესის დაცვაში მდგომარეობს. როგორც წესი, იმ საფუძვლების ჩამონათვალი, რომელიც გამომრიცხავი საერთაშორისო კომპეტენციის დაფუძნებას განაპირობებს, ამომწურავია. ასეთი ხისტი რეგულირება შეიცავს გარკვეულ რისკებს მხარეებისათვის თუმცა ამ რისკების თავიდან აცილების საფუძვლებიც არსებობს. როგორც აღნიშნავენ, რისკების მინიმიზაცია შესაძლებელია, თუ სახელმწიფოთა უმრავლესობა გამომრიცხავი საერთაშორისო კომპეტენციის შემთხვევებს ამომწურავად და ერთგვაროვნად ჩამოაყალიბებს. ასეთი მიდგომა გამომრიცხავს მართლწესრიგთა შორის ისეთი კონფლიქტის წარმოშობას, რომელიც არც საჯარო ინტერესს შეუწყობს ხელს და დავის მხარეებსაც დააზარალებს.<sup>40</sup> ამიტომ არის რომ ევროპის მართლმსაჯულების

---

გადაწყვეტილება, სადაც პირდაპირი მითითებაა დოქტრინისა და საერთაშორისო პრაქტიკაზე. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მანამდე სასამართლო ზემოაღნიშნულ წყაროებს საერთოდ არ იყენებდა. უბრალოდ, მანამდე არ ხდებოდა გამოყენებულ წყაროებზე მითითება რაც ხშირად ართულებდა გადაწყვეტილების “რალური წარმომავლობის გაგებას. ვიმედოვნებ, რომ ამ პირველ პრეცედენტს, ქართული მართლმსაჯულების მესვეურთა შორის რაც შეიძლება მეტი მიმდევარი გამოუჩნდება.

<sup>39</sup> *Svanadze G.*, Grundlagen des deutsch-georgischen Anerkennungsrechts, Eine Rechtsvergleichende Analyse, Peter Lang, Frankfurt am Main, 2014, 85.

<sup>40</sup> *Schüttfort I.C.*, Ausschließliche Zuständigkeiten im internationalen Zivilprozessrecht, Autonomes und Europäisches Recht im Vergleich, Peter Lang, Frankfurt am Main, 2011, 256.

უმადლესი სასამართლო (ECJ) გამომრიცხავ საერთაშორისო კომპეტენციასთან დაკავშირებული საკითხების ვიწრო განმარტების მომხრეა.<sup>41</sup>

გამომრიცხავი საერთაშორისო კომპეტენტურობის მარეგულირებელი ნორმები იმპერატიული ნორმების კატეგორიას განეკუთვნებიან. მათი გამორიცხვა დაუშვებელია როგორც განსჯადობაზე შეთანხმებით, ასევე მხარის მიერ სასამართლოს განსჯადობაზე მოქმედებით დათანხმებით (Rügelose Einlassung - გულისხმობს დავის მხარის მიერ განსჯადობასთან დაკავშირებულ დასაბუთებულ პრეტენზიაზე უარის თქმას, რაც არაგანსჯად სასამართლოს განსჯადად აქცევს და მომავალში მხარეს უკარგავს უფლებას მიუთითოს განსჯადობის არარსებობაზე).<sup>42</sup> როგორც უკვე აღინიშნა, ამ ნორმების იმპერატიულობა პირველ რიგში საჯარო ინტერესიდან, ხოლო შემდგომ თვით მხარეთა უფლებების ეფექტური დაცვის მიზნიდან გამომდინარეობს. ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს საკითხები, რომელსაც საკუთარი სუვერენიტეტიდან და საჯარო ინტერესიდან გამომდინარე კონკრეტული სახელმწიფოს მართლმსაჯულება სხვა ქვეყნის შესაბამის ორგანოებს გადასაწყვეტად ვერ გადასცემს. და ეს მიდგომა აბსოლუტურად ლოგიკურად და დასაბუთებულად ჟღერს.

### **საერთაშორისო განსჯადობასთან დაკავშირებული შეთანხმება და მისი სამართლებრივი ბუნება**

საერთაშორისო განსჯადობასთან დაკავშირებული შეთანხმების დასაშვებობა ნიშნავს იმას, რომ კანონისმიერი რეგულირება საქმეში ერთვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს ან იგი სამართლებრივი შედეგს ვერ წარმოშობს. მაგალითად, შესრულების ადგილთან დაკავშირებული განსჯადობა ცალსახად კანონისმიერი განსჯადობაა, ვინაიდან ის უშუალოდ კანონიდან გამომდინარეობს და მხარეთა შეთანხმებაზე არ არის დამოკიდებული.<sup>43</sup> თუმცა, თავად შეთანხმებას შესრულების ადგილზე შეუძლია გარკვეულწილად გავლენა მოახდინოს და კანონისმიერ დანაწესი (მითითება შესრულების ადგილზე) მაინც მხარეთა შეთანხმებას დაუქვემდებაროს. სხვაგვარად თუ ვიტყვით, მხარეებს შეუძლიათ პირდაპირ არ შეთანხმდნენ განსჯადობაზე, მაგრამ თავისუფლად შეთანხმონ ხელშეკრულების შესრულების ადგილი, რაც თავის მხრივ განსჯადი სასამართლოს განსაზღვრაზე იქონიებს

---

<sup>41</sup> დაწვრილებით იხ. *Schüttfort I.C.*, *Ausschließliche Zuständigkeiten im internationalen Zivilprozessrecht, Autonomes und Europäisches Recht im Vergleich*, Peter Lang, Frankfurt am Main, 2011, 256.

<sup>42</sup> *Schüttfort I.C.*, *Ausschließliche Zuständigkeiten im internationalen Zivilprozessrecht, Autonomes und Europäisches Recht im Vergleich*, Peter Lang, Frankfurt am Main, 2011, 257.

<sup>43</sup> *Ignatova R.*, Art. 5 Nr. 1 EuGVO- Chancen und Perspektiven der Reform des Gerichtstands am Erfüllungsort, *Europäische Hochschulschriften*, Peter Lang, Frankfurt am Main, 2005, 310. შეად. ასევე 'საერთაშორისო კერძო სამართლის' შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 'ბ' ქვეპუნქტი.

გავლენას.<sup>44</sup> უფრო მეტიც, ევროპული დირექტივა<sup>45</sup> (რომელიც 2015 წლის 10 იანვრიდან ახალმა დირექტივამ ჩაანაცვლა) შესაძლებლობას იძლეოდა მხარეებს შეეთანხმებინათ ხელშეკრულების შესრულების “საპროცესო სამართლებრივი ადგილი” რომელიც შეიძლება „მატერიალუსამართლებრივი ადგილისაგან“ (მაგალითად ნასყიდობის საგნის მიწოდების ადგილი და ა.შ.) განსხვავებული ყოფილიყო.<sup>46</sup> ასეთი რეგულირება ევროპულ დოქტრინაში კრიტიკას იმსახურებს და შეფასებულია, როგორც განსჯადობით მანიპულირების კარგი შესაძლებლობა.<sup>47</sup>

იშვიათად შევხვდებით ქართულ სასამართლო პრაქტიკაში (თუკი საერთოდ არსებობს) საერთაშორისო განსჯადობასთან დაკავშირებული შეთანხმების ისეთ ამომწურავ განმარტებასა და დახასიათებას, როგორც ეს ზემოთ ციტირებულ გადაწყვეტილებაშია მოცემული:

„საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხარეთა ნების ავტონომია საერთაშორისო კერძო სამართალში მნიშვნელოვან პრაქტიკულ როლს ასრულებს როგორ კოლიზიურ, ასევე, საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივ კონტექსტშიც. საპროცესო სამართალში მხარეთა ნების ავტონომიის საუკეთესო გამოვლინებას წარმოადგენს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სასურველი სასამართლოს საერთაშორისო განსჯადობაზე/საერთაშორისო კომპეტენციაზე შეთანხმების შესაძლებლობა. შეთანხმება სასამართლოს საერთაშორისო განსჯადობაზე/კომპეტენციაზე წარმოადგენს ძირითადი ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებელ და თვითმყოფად ხელშეკრულებას, რომლის ნამდვილობა და ძალაში შესვლა წესრიგდება მატერიალური სამართლით, ხოლო მისი დასაშვებობა/ფორმა და სამართლებრივი შედეგები კი, განისაზღვრება შესაბამისი საპროცესო სამართლით. საქართველოს სინამდვილეში ფორმის საკითხი წყდება „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლით, ხოლო ნამდვილობა და ძალაში შესვლაზე გამოსაყენებელი სამართალი კი, განისაზღვრება „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლით.“

ფაქტობრივად შეიძლება ითქვას, რომ ამ განმარტებით, უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა არა მხოლოდ კონკრეტული გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საკითხი, არამედ შექმნა განსჯადობასთან დაკავშირებული შეთანხმების სამართლებრივი შეფასების სტანდარტი, რომელიც მომავალში სახელმძღვანელოდ უნდა იქცეს არა მხოლოდ უზენაესი სასამართლოსათვის, არამედ მთლიანად ქართული კერძო სამართლის მართლმსაჯულებისათვის.

---

<sup>44</sup> *Rodriguez R.*, Beklagtenwohnsitz un Erfüllungsort im eurpäischen IZPR Aus Schweizerischer Sicht unter Berücksichtigung der EUGV-VO, Arbeiten Aus Dem Juristischen Seminar Der Universität Freiburg Schweiz, Schulthess, Zürich, 2005, 220.

<sup>45</sup> Verordnung Nr. 44/2001 des Rates vom 22.12.2000 (Amtsblatt Nr. L 12 vom 16.1.2001, S. 1, ber. ABl. L 307 vom 24.11.01 S. 28), <<https://dejure.org/gesetze/EuGVVO>>, [20.12.15].

<sup>46</sup> *Wipping F.*, Der Europäische Gerichtsstand des Erfüllungsortes – Art 5 Nr. 1 EuGVVO, Münsterische Beiträge zur Rechtswissenschaft, Dunker&Humblot, Berlin, 2008, 235.

<sup>47</sup> *Lynker T.*, Der besondere Gerichtsstand am Erfüllungsort in der Brüssel I-Verordnung (Art.5 Nr. 1 EuGVVO), Europäische Hochschulschriften, Peter Lang, Frankfurt am Main, 2006, 163.

## მოპასუხის საცხოვრებელი ადგილი (ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი), როგორ საერთაშორისო განსჯადობის განმსაზღვრელი კრიტერიუმი

მოპასუხის საცხოვრებელი ადგილთან, მის ჩვეულებრივ ადგილსამყოფელთან სასამართლოს განსჯადობის დაკავშირება ერთერთი უძველესი ფორმულაა და რომის სამართლიდან მომდინარეობს. ზოგადი პრინციპის თანახმად, მოსამართლეს/სასამართლოს აუცილებლად უნდა ჰქონოდა იურისდიქცია მოპასუხეზე რაც გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების წინაპირობად მოიაზრებოდა.<sup>48</sup>

### Forum Shopping

სასამართლო გადაწყვეტილების ერთ-ერთ დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ სასამართლომ საჭიროდ ჩათვალა და დასაბუთებაში მიმოიხილა საერთაშორისო სამოქალაქო პროცესის ფუნდამენტური ცნებები და ინსტიტუტები, რომელთა უმრავლესობა მანამდე ქართულ პრაქტიკაში ხსენებულიც კი არ ყოფილა.

Forum Shopping-ის სასამართლოსეული განმარტება ასეთია:

„პოზიტიური კომპეტენტური კონფლიქტის ყველაზე ცნობილ ფორმად უნდა იქნეს მიჩნეული ე.წ. „ფორუმ შოპინგი“. საერთაშორისო სამოქალაქო დავის მხარეებს, რასაკვირველია, დავის მოგება სურთ. მოსარჩელე მხარე ცდილობს, ისე წარმართოს პროცესი, რომ მისი სარჩელი დაკმაყოფილდეს. ამისათვის, პირველ რიგში, მან დავა იმ ქვეყნის იურისდიქციას უნდა დაუქვემდებაროს, რომელშიც გამარჯვების მეტი შანსი ექნება.“

ტერმინის ზუსტი სამართლებრივი შინაარსი და ფარგლები უნივერსალურად დადგენილი არ არის.<sup>49</sup> ზოგადად დოქტრინასა და პრაქტიკაში სიტყვათ შეთანხმება Forum Shopping ერთგვაროვან ასოციაციებს არ იწვევს. მაგალითად ხშირად ციტირებენ Lord Simon of Glaisdale - ციტატას : “Forum Shopping is a dirty word” (“ფორუმ შოპინგი ცუდი/ბინძური სიტყვაა”). ეს ინსტიტუტი, და მისი დასახელება, რომელიც შეიძლება „განსჯადობით ვაჭრობადაც“ ვთარგმნოთ, იურისტების დიდ ნაწილში იწვევს უხერხულ ასოციაციას და მართლმსაჯულებით მანიპულირებას უკავშირდება. მეორე მხრივ ყველა აღიარებს რომ პრაქტიკაში ისეთი შემთხვევების არსებობა, როდესაც ერთი დავა ერთდროულად რამდენიმე სასამართლოს განსჯადია -- ვერ გამოირიცხება. მანიპულირებაზე ხაზგასმის გამოსარიცხად ხშირად იყენებენ ისეთ ტერმინებსა და

<sup>48</sup> *Rodriguez R.*, Beklagtenwohnsitz un Erfüllungsort im eurpäischen IZPR Aus Schweizerischer Sicht unter Berücksichtigung der EUGV-VO, Arbeiten Aus Dem Juristischen Seminar Der Universität Freiburg Schweiz, Schulthess, Zürich, 2005, 241.

<sup>49</sup> *Kähr M.*, Der Kampf um den Gerichtsstand – Forum Shopping im internationalen Verfahrensrecht der Schweiz, Schriften zum Schweizerischen Zivilprozessrecht, Dike, Zürich, 2010, 388.

სიტყვათშეთანხმებებს, როგორცაა „მოსარჩელის არჩევანის უფლება“, „დაზარალებულის არჩევანის უფლება“, „ფორუმის არჩევა“ (Forum Selection) და ა.შ.<sup>50</sup>

თავად ტერმინის Forum Shopping ზუსტი წარმომავლობა გარკვეული არ არის, თუმცა ცნობილია, რომ მას აქტიურად იყენებდნენ ამერიკელი პროფესორები განსჯადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბრისას ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან. მოგვიანებით ეს ტერმინი აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაშიც გამოჩნდა. 1969 წელს ტერმინი ინგლისის უზენაესმა სასამართლომაც გამოიყენა. ტერმინის გამოყენების კონტექსტი ნეგატიური იყო.<sup>51</sup>

ნიშანდობლივია, რომ უზენაეს სასამართლოს Forum Shopping-ის ინსტიტუტის სამართლებრივი შეფასება არ გაუკეთებია. შესაბამისად, ცალსახად თქმა ძნელია, როგორია უზენაესი სასამართლოს ზუსტი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების საერთო კონტექსტი და ის ფაქტი, რომ უზენაესმა სასამართლომ პრინციპულად შესაძლებლად მიიჩნია დავის განხილვა როგორც ქართული, ასევე უკრაინული სასამართლოს მიერ, მიუთითებს რომ სასამართლოს ამ ინსტიტუტის საწინააღმდეგო არაფერი აქვს თუ საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონით განსაზღვრული ფუნდამენტური მოთხოვნები და პრინციპები განსჯადობის არჩევასთან და მის განსაზღვრასთან დაკავშირებით დაცული იქნება.

### საბოლოო შეფასება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოცემულ გადაწყვეტილებას თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ ქრესტომათიული ქართული სასამართლო პრაქტიკისათვის. გარდა იმისა, რომ სასამართლომ არსებითად სწორად განსაზღვრა მის წინაშე მდგარი ამოცანა, გადაწყვეტილების შინაარსიდან აშკარად ჩანს, რომ სასამართლოს მიზანი იყო არა მხოლოდ კონკრეტული დავის „მშრალი“ გადაწყვეტა, არამედ მაღალი აკადემიური სტანდარტის დაცვით პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება. ეს რეკომენდაციები სახელმძღვანელო უნდა გახდეს საერთაშორისო განსჯადობის საკითხებით დაინტერესებული პრაქტიკოსებისათვის.

---

<sup>50</sup> *Kähr M.*, Der Kampf um den Gerichtstand – Forum Shopping im internationalen Verfahrensrecht der Schweiz, Schriften zum Schweizerischen Zivilprozessrecht, Dike, Zürich, 2010, 13.

<sup>51</sup> *Kähr M.*, Der Kampf um den Gerichtstand – Forum Shopping im internationalen Verfahrensrecht der Schweiz, Schriften zum Schweizerischen Zivilprozessrecht, Dike, Zürich, 2010, 13-14.

## გიორგი ცერცვაძე

სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, აღსრულებაუნარიანი გადაწყვეტილება, სასამართლო და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების გამიჯვნა

საქმე № ას-538-511-2013\*

[უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება საარბიტრაჟო განხილვისას]

### საკვანძო მუხლები

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის მე-20 მუხლი, „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 23-ე მუხლი.

### ფაქტები

2013 წლის 23 აპრილს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა კომპანია შპს „ე. ლ-ს“ (...) წარმომადგენელმა პ. კ-მა მოწინააღმდეგე მხარის – შპს „ფ. შ-ის“ (...) მიმართ. განმცხადებელმა მოითხოვა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, კერძოდ, ფოთის პორტში მყოფი მოპასუხე კომპანიის (იურიდიული მისამართი: პ. ბ-გ, პ. ჩ-ის ქუჩა, ნევისი, დასავლეთ ინდოეთი, წმინდა კიტისა და ნევისის კუნძული) გემისათვის (ტოგოს დროშით მცურავი, მშრალი ტვირთის მზიდავი გემი ...) ყადაღის დადება და საქართველოს ტერიტორიული ზღვიდან მისი გასვლის აკრძალვა, ფოთის პორტის გარე რეიდზე მისი განთავსებისა და საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაციის ამოღების გზით.

განმცხადებელმა აღნიშნა, რომ: მისი მარწმუნებელია უცხოური კომპანია „ე. ლ-დ“, რომელმაც სარჩელი აღძრა გემთმფლობელი კომპანია „ფ. შ-გ-ის“ მიმართ, განსჯად არბიტრაჟში – ლონდონის საზღვაო არბიტრების ასოციაციის არბიტრაჟში, მხარეთა შორის გაფორმებული 2013 წლის 28 იანვრის ჩარტერის (გადაზიდვის) ხელშეკრულების პირობების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. არბიტრაჟის კომპეტენციის საფუძველს წარმოადგენდა დასახელებულ ხელშეკრულებაში (დან. 1) არსებული საარბიტრაჟო დათქმა, რომლის თანახმად, მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში დავა ექვემდებარება განხილვას ლონდონის საზღვაო არბიტრების ასოციაციის არბიტრაჟში (LMAA), ინგლისის სამართლის მიხედვით;

---

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ჯეი ენდ თი ქონსალთინგის მმართველი პარტნიორი, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის აკადემიური დირექტორი.

\*\* საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 3 ივლისის განჩინება

მოპასუხე კომპანიის მიერ ზემომითითებული გემი დაქირავდა 1531.68მ.ტ. ქერის გადასაზიდად, ესკის (რუსეთის ფედერაცია) პორტიდან ფოთის პორტამდე. ტვირთი გათვალისწინებული იყო საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირისათვის – შპს „ი.ჯ.გ-ის“. აღნიშნული გარემოება დასტურდებოდა 2013 წლის 7 თებერვალს გემის ჩატვირთვის პორტში გამოწერილი კონოსამენტით. გადაზიდვის დაწყების შემდგომ აღმოჩნდა, რომ გემი არ იყო მზადყოფნაში გადაზიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად, რის გამოც იგი ფოთის პორტის რეიდზე შევიდა მნიშვნელოვანი დაგვიანებით. რეიდზე რამოდენიმე დღიანი დაყოვნების შემდგომ, საბოლოოდ, ტვირთის დანიშნულების მიხედვით გადაზიდვაზე დაიხარჯა 50 დღე, ნაცვლად გეგმიური 58-60 სთ-ისა; ტვირთის ხანგრძლივი ტრანსპორტირებით, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი დაზიანდა. ზიანის დასადგენად მოწვეულ იქნა სურვეირული კომპანია. პირველადი გათვლებით, შპს „ე. ლ-მ“ განიცადა მნიშვნელოვანი ზიანი, რის შესახებაც მან წერილობითი პრეტენზიით მიმართა გემთმფლობელს. პრეტენზიასთან ერთად წარდგენილ იქნა სურვეირული კომპანიის (შგშ) წინასწარი ანგარიში. (დან 6) პრეტენზიაში მითითებულ ვადაში, მოწინააღმდეგე მხარისაგან არ განხორციელებულა რაიმე ზომები პრობლემის მოსაწესრიგებლად. რამოდენიმე დღიანი უშედეგო მოლაპარაკებების შემდგომ, ზიანის იძულებითი ანაზღაურების მიზნით, შპს „ე. ლ-მ“ დაიწყო იურიდიული პროცედურები. 2013 წლის 28 იანვრის ჩარტერის (გადაზიდვის) ხელშეკრულების თანახმად, ხელშეკრულების შესრულების ადგილი იყო საქართველო, ფოთი. მოწინააღმდეგე მხარე, გემთმფლობელი კომპანია „ფ. შ-ი“ რეგისტრირებულია ე.წ. ოფშორულ ზონაში, შესაბამისად მისი აქტივების დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია. შპს „ე. ლ-ის“ მიყენებული ზიანის უზრუნველყოფის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს ტოგოს დროშით მცურავი გემი ..., რომელიც ამჟამად იმყოფება საქართველოს იურისდიქციის ქვეშ, კერძოდ, იგი იმყოფება ფოთის პორტში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ე. ლ-ს“ მიზანია მოცემულ საქმეზე გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და იძულებითი აღსრულების საქართველოში განხორციელება. განმცხადებლის განმარტებით, შპს „ე. ლ-ს“ გააჩნდა საფუძვლიანი ვარაუდი, რომ საარბიტრაჟო წარმოების პერიოდში, ვალდებულების თავიდან აცილების მიზნით, გემთმფლობელი კომპანია „ფ. შ-ი“ ყველანაირად შეეცდებოდა კუთვნილი გემის საქართველოდან გაყვანას, მისი შემდგომი გასხვისების ან სხვაგვარად დატვირთვის მიზნით, შესაძლებელი იყო გემის საიდენტიფიკაციო მონაცემების (დროშა, რეგისტრაცია) შეცვლა. ამდენად, საქართველოს იურისდიქციის (ტერიტორიული წყლების) დატოვების შემთხვევაში, პრაქტიკულად შეუძლებელი გახდებოდა მისი (პ.კ-ის) მარწმუნებლის - შ.პ.ს. „ე. ლ“-ს სასარგებლოდ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება.

### **ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 აპრილის განჩინებით შპს „ე. ლ-ს“ განცხადება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ ხსენებული განჩინება შემდეგნაირად დაასაბუთა: განმცხადებელი თავის მოთხოვნას ამყარებდა 2013 წლის 28 იანვარს, შპს „ე. ლ-ს“ (...) და გემთმფლობელი კომპანია „ფ. შ-გ-ს“ (...) შორის გაფორმებულ ჩარტერის (გადაზიდვის)

ხელშეკრულებაზე, რომლის თანახმად, მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში დავა ექვემდებარება განხილვას ლონდონის საზღვაო არბიტრების ასოციაციის არბიტრაჟში (LMAA), ინგლისის სამართლის მიხედვით (ხელშეკრულების გვ.2 მე-4 აბზაცი). მამასადამე, მხარეები შეთანხმდნენ, რომ დავების განხილვისას და გადაწყვეტისას გამოიყენება ინგლისის სამართლის წესები.

ხელშეკრულებით უდავოდ დასტურდებოდა, რომ მხარეები შეთანხმდნენ დავის გადაწყვეტის კონკრეტულ საპროცესო წესზე, კერძოდ, ლონდონის საზღვაო არბიტრაჟის ასოციაციის არბიტრაჟში (LMAA) გადაწყვეტაზე, ინგლისის სამართლის მიხედვით. მხარეები შეთანხმდნენ დავის განხილვისას არა მარტო ინგლისის სამართლის საპროცესოსამართლებრივი ნორმების გამოყენებაზე, არამედ მატერიალურსამართლებრივი ნორმების გამოყენებაზეც. საქმის მასალებით ირკვეოდა, რომ სარჩელი მიიღო დავის განმხილველმა არბიტრაჟმა, რაც დადასტურდა დავის განმხილველი დანიშნული არბიტრაჟის თანხმობით, ასევე მოწინააღმდეგე მხარეს გაეგზავნა საარბიტრაჟო სარჩელის ასლი.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, „საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლი არ შეიძლება გამოყენებულიყო განსახილველი სამართლებრივი ურთიერთობის დასარეგულირებლად, ვინაიდან იგი შეეხებოდა საქართველოს სასამართლოებში არსებითად განსახილველ დავებს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლზე, რომლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფისას საქართველოს სასამართლო კომპეტენტურია, თუ უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოშია აღსასრულებელი ან საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ზემოთ მოყვანილი ნორმა არ შეეხებოდა სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ მოქმედ არბიტრაჟებში განსახილველ საქმეებს, რადგან აღნიშნული ტიპის არბიტრაჟებთან მიმართებით მოცემული კანონი ადგენს განსხვავებულ წესს, კერძოდ, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 73<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ხდება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, ეს კანონი ადგენს საქართველოში არბიტრაჟის შექმნის, საარბიტრაჟო წარმოების, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების, აგრეთვე საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების წესებს.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემული ნორმა ცალსახად ადგენს, საქართველოს ფარგლებს გარეთ განხილული საარბიტრაჟო დავის შემდგომ მიღებული გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას საქართველოს სასამართლოს მიერ სწორედ ამ კანონის თანახმად. უშუალოდ დავასთან დაკავშირებული საპროცესო და მატერიალური ნორმების გამოყენების თაობაზე კი მხარეები თანხმდებიან მათ შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, ასევე საარბიტრაჟო შეთანხმებაში.

განსახილველ შემთხვევაში დადგინდა, რომ 2013 წლის 28 იანვარს შპს „ე. ლ-ს“ (...) და გემთმფლობელი კომპანია „ფ. შ-გ-ს“ (...) შორის დადებული ჩარტერის (გადაზიდვის) ხელშეკრულების თანახმად, მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში დავა ექვემდებარება განხილვას ლონდონის საზღვაო არბიტრების ასოციაციის არბიტრაჟში (LMAA), ინგლისის სამართლის მიხედვით. ამდენად, მხარეები შეთანხმდნენ, დავების განხილვისას და გადაწყვეტისას ინგლისის სამართლის წესების გამოყენებაზე (საპროცესო და მატერიალური ნორმები).

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს არბიტრაჟს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო შეთანხმებას. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს აქვთ სავალდებულო ძალა და, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ისინი უნდა აღსრულდეს სასამართლოსთვის მიმართვის გზით, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში იქნა გამოყენებული აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიებები, ამ მუხლისა და ამ კანონის 22-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის თანახმად, მხარეს შეუძლია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებში, მიუხედავად საარბიტრაჟო განხილვის ადგილისა, სასამართლოს აქვს იგივე უფლებამოსილებანი, რაც სამართალწარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით. სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესები, გარდა 192-ე მუხლისა და 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა, საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული ნორმატიული აქტი ადგენს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ორ საპროცესო წესს, კერძოდ: 1. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე შეიძლება მხარემ მიმართოს არბიტრაჟს, რომლის გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უნდა იმსჯელოს სასამართლომ; 2. მხარემ მოცემული საპროცესო უფლება შეიძლება განახორციელოს პირდაპირ სასამართლოსთვის მიმართვის გზით. საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ არბიტრაჟებთან მიმართებით მოცემული კანონი აწესრიგებს საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების წესებს, თუმცა „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლი მიუთითებს საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებაზე. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, განმცხადებელს (შეთანხმებული დავის განხილვის წესიდან გამომდინარე) ამ კუთხით განცხადება საერთოდ არ დაუსაბუთებია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>12</sup> მუხლის, 356<sup>13</sup> მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების შესაბამისად, არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლო განიხილავს ამ კოდექსით დადგენილი წესებით, ხოლო საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ საქმეებს, იხილავენ სააპელაციო სასამართლოები.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საარბიტრაჟო სარჩელი უნდა გამომდინარეობდეს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი რეგულაციებიდან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, აგრეთვე, დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს, ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არის გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილების საშუალება. ის წარმოადგენს ფიზიკური და იურიდიული პირების ქონებრივი უფლებების დაცვის გარანტიას და ემსახურება ამ უკანასკნელთა დარღვეული უფლებების სრულ და რეალურ აღდგენას, ანუ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ იგი იცავს მოსარჩელის კანონიერ ინტერესებს მოპასუხის არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებისადმი, როგორც საპროცესო სამართლებრივი ინსტიტუტისადმი, ფორმალური მიდგომა დაუშვებელია. სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების თაობაზე მოთხოვნების დაკმაყოფილება უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად – სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების შეჯერების შედეგად უნდა იმსჯელოს, გამოიყენოს თუ არა სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიება. ამ ღონისძიებების გამოყენება უნდა მოხდეს საპროცესო სამართლის სრული დაცვით.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ განმცხადებელმა ვერ დაასაბუთა მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების აუცილებლობა და საპროცესო კავშირი მხარეთა შორის დავის განხილვის შეთანხმებულ წესთან, რის გამოც მისი განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარებაზე არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

### **განმცხადებლის არგუმენტაცია**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საჩივრით გაასაჩივრა კომპანია „ე.ლ-მ“ და მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

სასამართლომ მიიჩნია, რომ მას არ გააჩნია საქართველოს ფარგლებს გარეთ არბიტრაჟში აღძრულ დავაზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ეწინააღმდეგება კანონს. სასამართლომ არასწორად განმარტა საარბიტრაჟო შეთანხმება, დავასთან დაკავშირებული სამართლის ნორმების გამოყენების თაობაზე. „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 36-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ნებისმიერი მითითება რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობაზე ან სამართლებრივ სისტემაზე გულისხმობს ამ ქვეყნის მატერიალურ სამართალს და არა მის საპროცესო და კოლიზიურ ნორმებს. ამდენად, სასამართლოს მიერ მხარეთა შებოჭვა საპროცესო ნორმების გამოყენებაზე შეთანხმების არსებობით, მცდარია და არ გამომდინარეობს საარბიტრაჟო შეთანხმებიდან;

უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ „საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მხოლოდ საქართველოს სასამართლოებში არსებითად განსახილველ დავებზე. აღნიშნული ნორმა გაგებულ უნდა იქნეს ზოგადად, როგორც საქართველოს სასამართლოს მიერ საქართველოს ტერიტორიულ წყლებში უცხო ქვეყნის დროშით მცურავი გემის მიმართ სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის ზომების განხორციელების შესაძლებლობა. ნორმა არ შეიცავს სხვა რაიმე დათქმას არსებითი დავის იურისდიქციასთან დაკავშირებით. ამასთან, ასეთი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა არც ნორმის შინაარსიდან არ გამომდინარეობს. მოცემული მსჯელობა განმტკიცებულია საერთაშორისო სამართლის იმ ნორმით, რომელიც ოფიციალურად აღიარებულია საქართველოს მიერ და შესაბამისად, წარმოადგენს მისი სამართლებრივი სისტემის შემადგენელ ნაწილს. ამ შემთხვევაში, საუბარია „საზღვაო სამართლის შესახებ“ გაეროს 1982 წლის კონვენციის 28-ე მუხლზე;

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის მე-20 მუხლი აფართოვებს საქართველოს სასამართლოების იურისდიქციას იმ შემთხვევებამდე, როდესაც საქართველოს სასამართლოს არ გააჩნია საერთაშორისო კომპეტენცია, ანუ დავა არსებითად არ განიხილება საქართველოში, მაგრამ უზრუნველყოფა საქართველოშია აღსასრულებელი. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, საქართველოში სარჩელის უზრუნველყოფის მიზნებისათვის საქართველოს სასამართლოსათვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, დავა უცხო ქვეყნის არბიტრაჟში მიმდინარეობს თუ სასამართლოში. ამ შემთხვევაში, უზრუნველყოფის ზომების შესახებ განცხადების განმხილველი სასამართლო მხოლოდ უნდა შემოიფარგლოს დაინტერესებული მხარის მიერ მითითებული დავის ორგანოს კომპეტენტურობის ფორმალური კონტროლით. კერძოდ, წარდგენილი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს, რომ იმავე მხარეებს შორის არსებითი დავა ნამდვილად აღძრულია მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებულ ან დავის არსებითად განხილვის ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილ ორგანოში;

სასამართლომ ასევე არასწორად განმარტა „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლი და არასწორად ჩათვალა, რომ აღნიშნული კანონის მოქმედების სფეროში არ შედიოდა საქართველოს სასამართლოს მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ აღძრულ საარბიტრაჟო სარჩელზე უზრუნველყოფის ზომების გამოყენების საკითხი. მოცემული მსჯელობა წარმოადგენს უზუსტობას, რადგან არბიტრაჟში აღძრულ დავაზე სარჩელის უზრუნველყოფის ზომების გამოყენება, ფაქტობრივად წარმოადგენს

საარბიტრაჟო წარმოების ნაწილს, რომელზეც ვრცელდება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი. მითითებული მსჯელობა ვრცელდება საარბიტრაჟო წარმოებაზე, სარჩელის არსებითი განხილვის ადგილის მიუხედავად. მაგალითად, ასეთი დასკვნა გამომდინარეობს ხსენებული კანონის 23-ე მუხლიდან;

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 მაისის განჩინებით კომპანია „ე. ლ-დ“ საჩივარი, როგორც დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო, გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საჩივრის ავტორი საჩივარში ფაქტობრივად იგივე დასაბუთებით, მხოლოდ სამართლებრივ ნორმათა განსხვავებული განმარტებით შემოიფარგლა. გასაჩივრებულ განჩინებაში ნათლად დაფიქსირდა სასამართლოს პოზიცია განსახილველ საკითხთან მიმართებით. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებისადმი, როგორც საპროცესო სამართლებრივი ინსტიტუტისადმი, ფორმალური მიდგომა დაუშვებელია. სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების თაობაზე მოთხოვნების დაკმაყოფილება უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად –სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველთა შეჯერების შედეგად უნდა იმსჯელოს, გამოიყენოს თუ არა სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიება. ამ ღონისძიებების გამოყენება უნდა მოხდეს საპროცესო სამართლის სრული დაცვით. სააპელაციო სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ განმცხადებელმა ვერ დაასაბუთა მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების აუცილებლობა და საპროცესო კავშირი მხარეთა შორის დავის განხილვის შეთანხმებულ წესთან, რის გამოც მისი მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. ამდენად, საჩივრის ავტორმა (განმცხადებელმა) ვერ დაასაბუთა ასეთი აუცილებლობა, ხოლო საჩივარში ასახული გარემოებები, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით არ წარმოადგენდა საფუძველს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის.

### **საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ კომპანია „ე. ლ“-ს (...) საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ შპს „ე. ლ-ს“ (...) და გემთმფლობელ კომპანია „ფ. შ-გ-ს“ (...) შორის 2013 წლის 28 იანვარს გაფორმდა ჩარტერის (გადაზიდვის) ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში დავა ექვემდებარება განხილვას ლონდონის საზღვაო არბიტრების ასოციაციის არბიტრაჟში (LMAA), ინგლისის სამართლის მიხედვით. სააპელაციო პალატამ ასევე დაადგინა, რომ შპს „ე. ლ-ს“ (...) საარბიტრაჟო სარჩელი წარმოებაში მიიღო დავის განმხილველმა არბიტრაჟმა. დადგენილია ისიც, რომ მოწინააღმდეგე მხარეს გაეგზავნა საარბიტრაჟო სარჩელის ასლი.

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა შპს „ე. ლ-ს“ (...) განცხადება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, ვინაიდან მიიჩნია, რომ განმცხადებელმა ვერ დაასაბუთა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა და საპროცესო კავშირი მხარეთა შორის დავის განხილვის შეთანხმებულ წესთან, კერძოდ, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მხარეთა შეთანხმება, მათ შორის წარმოშობილი დავის ინგლისის სამართლის მიხედვით განხილვის თაობაზე, გამორიცხავდა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და მიუთითებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 73<sup>1</sup>-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ხდება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. მართალია, მოცემულ შემთხვევაში, საქმე ეხება არა საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას, არამედ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფას, მაგრამ ამ საკითხის მოსაწესრიგებლადაც ეს კანონი უნდა იქნეს გამოყენებული, ვინაიდან სწორედ იგი ადგენს საქართველოში არბიტრაჟის შექმნის, საარბიტრაჟო წარმოების, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების, აგრეთვე საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების წესებს.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის თანახმად, მხარეს შეუძლია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებში, მიუხედავად საარბიტრაჟო განხილვის ადგილისა, სასამართლოს აქვს იგივე უფლებამოსილებანი, რაც სამართალწარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით. სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესები, გარდა 192-ე მუხლისა და 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა, საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხში უფლებამოსილი სასამართლოს (თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს) მიერ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის დებულებები გამოიყენება არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საარბიტრაჟო განხილვის ადგილი არის საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ იმ შემთხვევაშიც, როცა საარბიტრაჟო განხილვა საქართველოს ფარგლებს გარეთ მიმდინარეობს. ამასთან, ორივე შემთხვევაში, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესები, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ქვეყნის სამართალი ან სამართლებრივი სისტემა აირჩიეს მხარეებმა მათ შორის წარმოშობილი დავის მოსაწესრიგებლად. აღნიშნული მსჯელობა ეფუძნება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსს, რომლის მიხედვით, მხარეთა ნებისმიერი

მითითება რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობაზე ან სამართლებრივ სისტემაზე, გულისხმობს ამ ქვეყნის მატერიალურ სამართალს და არა მის საპროცესო და კოლიზიურ ნორმებს. მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეთა მიერ არჩეული სამართლის ნორმები დავის შინაარსობრივი ნაწილის მომწესრიგებელი მატერიალური სამართლის ნორმებია. მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმება ინგლისის სამართალზე, გულისხმობს პირდაპირ მითითებას ამ ქვეყნის მატერიალურ სამართალზე და არა მის საპროცესო ნორმებზე, შესაბამისად, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის გამოყენების დაბრკოლებას არ წარმოადგენს მხარეთა მიერ დავის გადასაწყვეტად არჩეული ინგლისის სამართალი.

საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, მართალია, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესები სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მაგრამ, ამ წესების გამოყენებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებები.

საერთაშორისო არბიტრაჟის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის მარეგულირებელი ნორმები თავმოყრილია უპირატესად საერთაშორისო ხელშეკრულებებში, კანონებში და საარბიტრაჟო რეგლამენტებში. საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან, უპირველესად, აღსანიშნავია 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენცია, რომელიც საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის ქვაკუთხედაა. ეს კონვენცია საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 3 თებერვლის დადგენილებით. მითითებული კონვენცია არ შეიცავს სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით შიდა სამართლის გამოყენების ამკრძალავ ნორმებს. უფრო მეტიც, კონვენცია პირდაპირ მიუთითებს ეროვნულ სამართალზე, როცა საკითხი ეხება უცხოური და არაადგილობრივი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცედურას (მუხლი 3). არსებობს არბიტრაჟთან დაკავშირებული სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები, მაგალითად, საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის შესახებ 1961 წლის ევროპული კონვენცია, ვაშინგტონის 1965 წლის კონვენცია, მოსკოვის 1972 წლის და კიევის 1992 წლის კონვენციები, რომლებთანაც საქართველო არ არის მიერთებული და, შესაბამისად, ამ კონვენციებს საქართველოსათვის სავალდებულო ძალა არ გააჩნიათ.

საერთაშორისო არბიტრაჟის ნორმატიულ საფუძვლებზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით UNCITRAL-ის 1985 წლის (2006 წელს მიღებული ცვლილებების გათვალისწინებით) მოდელურ კანონს საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ, რომელიც საერთაშორისო არბიტრაჟის მარეგულირებელი ნორმების უნიფიცირებულ კანონს წარმოადგენს. ეს კანონი მიღებულ იქნა გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის მიერ, რომელთან დაკავშირებით გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ყველა სახელმწიფომ დადგენილი წესით მხედველობაში უნდა მიიღოს მოდელური კანონი, ვინაიდან სასურველია კანონის ერთგვაროვნება არბიტრაჟის პროცედურებთან და საერთაშორისო კერძო არბიტრაჟის პრაქტიკის კონკრეტულ მოთხოვნებთან მიმართებაში“. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო არბიტრაჟის მარეგულირებელი კანონმდებლობის უნიფიცირების ფორმად სპეციალურად შეირჩა მოდელური კანონი და არა კონვენცია, ვინაიდან მოდელური კანონი, კონვენციისგან განსხვავებით, იძლევა საშუალებას მოხდეს, ერთი

მხრივ, არბიტრაჟის მარეგულირებელი კანონმდებლობის უნიფიცირება მსოფლიო დონეზე, მეორე მხრივ კი, თითოეული სახელმწიფო ინარჩუნებს კანონში მისი სამართლებრივი სისტემისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინების შესაძლებლობას. ზემოხსენებული მოდელური კანონი იმპლემენტირებულ იქნა სამოცდაათზე მეტ ქვეყანასა და შტატში. ქვეყნების ნაწილმა მოახდინა ამ კანონის პირდაპირი რეცეფცია, მასში ცვლილებების შეტანის გარეშე. სხვა ქვეყნებმა მიიღეს მოდელური კანონით შთაგონებული თანამედროვე კანონები არბიტრაჟის შესახებ. საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ მოდელური კანონის საფუძველზე მიღებული კანონია, რომელშიც ასახულია მოდელური კანონის ძირითადი დებულებები, მათ შორის, წესები საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთაშორისო არბიტრაჟის მარეგულირებელი ნორმები მოცემულია ასევე საარბიტრაჟო რეგლამენტებში, ამიტომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებისას გასათვალისწინებელია ასევე ამ რეგლამენტებით დადგენილი თავისებურებები, რომლებზედაც, როგორც წესი, მხარეებმა უნდა მიუთითონ, ხოლო, ასეთი მითითების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლო ხელმძღვანელობს ეროვნული სამართალით. მოცემულ შემთხვევაში, არც საარბიტრაჟო მოსარჩელე და არც მისი მოწინააღმდეგე მხარე არ უთითებენ ლონდონის საზღვაო არბიტრების ასოციაციის არბიტრაჟის რეგლამენტით დადგენილ რაიმე თავისებურებაზე (ასეთი რეგლამენტი არც საქმეშია წარმოდგენილი), ამიტომ დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების გამოუყენებლობის თაობაზე.

გარდა ამისა, მართალია, სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ არ არსებობს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის აუცილებლობა, თუმცა გასაჩივრებული განჩინება ამ თვალსაზრისით არ შეიცავს რაიმე დასაბუთებას, ამიტომ საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას შეამოწმოს ამ ნაწილში განჩინების კანონიერება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების აბსოლუტური საფუძველი.

## **ანალიზი**

### **სასამართლო გადაწყვეტილების მნიშვნელობა პრაქტიკისთვის**

დოქტრინასა თუ პრაქტიკაში ძირითადად არბიტრაჟის დადებით მხარეებზე ამახვილებენ ყურადღებას, თუმცა დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ამ

მექანიზმისათვის არაფერი არ არის უცხო დაწყებული ქრთამიდან დასრულებული დროის გაწევის ტაქტიკით.<sup>1</sup>

უზრუნველყოფის ზომების გამოყენების საჭიროება და მათი ეფექტურობა დავას არც არბიტრაჟის და არც სასამართლოს შემთხვევაში არ იწვევს. როგორც ერთი, ისე მეორე დაინტერესებული უნდა იყოს მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებით.

### **უზრუნველყოფის ზომების ზოგადი დახასიათება საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვისას**

### **უზრუნველყოფის ზომების არსი და მიზნები საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვისას**

უზრუნველყოფის ზომებზე და მის პრაქტიკულ დანიშნულებაზე საუბრისას რამდენიმე ძირითად ნიშანს გამოყოფენ ხოლმე:

- ისინი გაიცემა გამარტივებული პროცედურით განხილვის შემდეგ;
- უზრუნველყოფის ზომებზე მიღებულ გადაწყვეტილებას არ აქვს *res judicata* ეფექტი;
- გარემოებების შეცვლის გამო შესაძლებელია მათი პროცესის მიმდინარეობისას შეცვლა, ან საერთოდ გაუქმება.<sup>2</sup>

უზრუნველყოფის ზომის გამოყენება უნდა ემსახურებოდეს დავის წარმოშობის მომენტში არსებული *status quo*-ს შენარჩუნებას. ერთერთი განმარტებით, უზრუნველყოფის ზომების მიზანია დავის არსებითად გადაწყვეტამდე მხარეთა უფლებების და მოვალეობების დაცვა.<sup>3</sup>

უზრუნველყოფის ზომების მიღება ძირითადად უშუალოდ პროცესის მიმდინარეობის დროს ხდება, თუმცა 2011 წელს რეფორმირებული უკრაინული კანონმდებლობა ასეთი ზომების მიღებას შესაძლებლად მიიჩნევს მაშინაც, როცა გადაწყვეტილება უკვე გამოტანილია და სასამართლო მისი ცნობისა და აღსრულების საკითხს იხილავს.<sup>4</sup>

ზოგიერთი მართლწესრიგი (მაგალითად შვეიცარია), აძლევს უფლებას მხარეებს შეთანხმებით გამორიცხონ უზრუნველყოფის ზომების გამოყენება. თუმცა, პრაქტიკაში ასეთი შეთანხმებები თითქმის არ გვხვდება.<sup>5</sup>

### **საკანონმდებლო რეგულირება**

---

<sup>1</sup> დაწვრილებით ამასთან დაკავშირებით იხ. *Horvath G.J., Wilske S. (eds.), Guerilla Tactics in International Arbitration, Kluwer W., Alphen aan den Rijn, 2013.*

<sup>2</sup> *Kaufmann-Kohler G., Rigozzi A. International Arbitration, Law and Practice in Switzerland, Oxford University Press, Oxford, 2015, 332.*

<sup>3</sup> *Mangan M., Reed L., Choong J., A Guide To The CIAC Arbitration Rules, Oxford University Press, Oxford, 2014, 176.*

<sup>4</sup> *Rubino-Samartano M., International Arbitration Law and Practice, JurisNet, Huntington, 2014, 934.*

<sup>5</sup> *Kaufmann-Kohler G., Rigozzi A., International Arbitration, Law and Practice in Switzerland, Oxford University Press, Oxford, 2015, 333.*

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი ძალაშია 2010 წლის 1 იანვრიდან და UNCITRAL მოდელური კანონის 2006 წლის ვერსიის გათვალისწინებით არის შექმნილი, თუმცა მის პირდაპირ კოპირებას არ წარმოადგენს.

იმ მცირედენ განსხვავებებს შორის, რაც მოდელურ კანონსა და ქართულ კანონს შორის არსებობს, უზრუნველყოფის ზომებიც შედის. კერძოდ, მოდელური კანონის 2006 წლის რედაქციის ინგლისური ვერსია ერთმანეთისაგან განასხვავებს ორი სახის უზრუნველყოფის ზომას: 1. interim measures;<sup>6</sup> 2. Preliminary order.<sup>7</sup> ეს უკანასკნელი პირველისაგან იმით განსხვავდება რომ მისი მიღება ასევე შესაძლებელია ex parte რეჟიმში, ანუ მეორე მხარისათვის შეუტყობინებლად; ის გარკვეული ვადით არის შემოსაზღვრული და მისი მიღების შემდეგ მეორე მხარეს აუცილებლად უნდა მიეცეს შესაძლებლობა გამოთქვას საკუთარი აზრი გამოყენებული ღონისძიებების შესახებ.<sup>8</sup>

UNCITRAL კომისიას, რომელიც მოდელური კანონის ახალ ვერსიაზე მუშაობდა, ერთიანი აზრი უზრუნველყოფის ზომების ასეთი კლასიფიკაციის შესახებ არ ჰქონია. ძირითადი არგუმენტები preliminary order-ის წინააღმდეგ იმაში მდგომარეობს, რომ ex parte რეჟიმში გადაწყვეტილების მიღება ეწინააღმდეგება არბიტრაჟის კონსენსუალურ ბუნებას და თანასწორობის პრინციპს. დოქტრინაში აღნიშნავენ, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობა თავს იკავებს ამ უკანასკნელი პრაქტიკის საკუთარ კანონმდებლობაში ინტეგრაციისაგან.<sup>9</sup>

ნიშანდობლივია, რომ ზემოაღნიშნული სიახლე რაც preliminary order--ს უკავშირდება (სავარაუდოდ საერთაშორისო ექსპერტების რჩევით) არც საქართველომ გაიზიარა. შესაბამისი ნორმები ქართულ კანონში არ შესულა.

### უზრუნველყოფის ზომების კლასიფიკაცია

უზრუნველყოფის ზომები შეიძლება იყოს მტკიცების პროცესთან დაკავშირებული (investigatory), status quo -შენარჩუნებისაკენ მიმართული (preservatory) და უშუალოდ საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების ეფექტურობაზე ორიენტირებული (conservatory).<sup>10</sup> დამატებით შეიძლება გამოიყოს მარეგულირებელი (regulatory) ზომები,

<sup>6</sup> UNCITRAL Model Law 2006 Article 17.

<sup>7</sup> UNCITRAL Model Law 2006, Article 17.B and 17 C. მათი თარგმნა არ მივიჩნევი მიზანშეწონილად იმის გათვალისწინებით, რომ ქართული მართლწესრიგი მსგავს კლასიფიკაციას საერთოდ არ იცნობს.

<sup>8</sup> იხ. დასახელებული მუხლები.

<sup>9</sup> დოქტრინაში მაგალითად ასახელებენ ავსტრალიაში არბიტრაჟის 2010 წლის რეფორმას, რომელიც ძირითადად UNCITRAL მოდელური კანონის 2006 წლის რედაქციით დადგენილი სიახლეების გამო გატარდა. დაწვრილებით იხ. *Brown C., The Enforcement of Interim Measures Ordered by Tribunals and Emergency Arbitrators in International Arbitration: Van den Berg. A.J.(ed.)*, (, International Arbitration The Coming of a New Age? ICCA Congress Series N17, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2013, 282-283.

<sup>10</sup> *Reisman M.W., Craig W.L., Park W.W., Paulsson J.*, International Commercial Arbitration, Cases, Materials and Notes on the Resolution of International Business Disputes, Foundation Press, St. Paul, 2015, 611.

რომლებიც არეგულირებენ მხარეებს შორის ურთიერთობას დავის გადაწყვეტამდე. პირობითი შესრულების ზომები (aticipatory performrance measures) აკისრებენ მხარეს სადავო ვალდებულების პირობით შესრულებას დავის გადაწყვეტამდე.<sup>11</sup>

უზრუნველყოფის ზომების მიღებაზე პასუხისმგებელი სუბიექტების მიხედვით კლასიფიკაცია სამ ვარიანტს ითვალისწინებს: ასეთი ზომები შეიძლება მიღებული იქნეს სასამართლოს მიერ, საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ და ე.წ. ემერჯენსი არბიტრის მიერ.<sup>12</sup>

### ემერჯენსი არბიტრი<sup>13</sup>

ემერჯენსი არბიტრის ინსტიტუტის შემოღება და მისი ფართოდ გავრცელება პრაქტიკულმა საჭიროებამ განაპირობა. პრაქტიკაში ხშირად იყო და არის შემთხვევები, როდესაც წარმოშობილი დავის სპეციფიკის გათვალისწინებით სასწრაფოდ უნდა მოხდეს ზომების მიღება, რათა არსებითმა დავამ აზრი არ დაკარგოს. საარბიტრაჟო ტრიბუნალის დაკომპლექტების პროცედურა ასეთი სწრაფი მოქმედების შესაძლებლობას არ იძლევა. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით საერთაშორისო რეპუტაციის მქონე საარბიტრაჟო ინსტიტუტების მნიშვნელოვანმა ნაწილმა<sup>14</sup> რეგლამენტებში გაითვალისწინა ემერჯენსი არბიტრის მექანიზმი, რომლის ეფექტურობაც ძირითადად თვით ინსტიტუტის მიერ შემუშავებული და დამოუკიდებლად განხორციელებადი პროცედურით მიიღწევა. მხარეთა მინიმალური ჩართულობა ზოგავს დროს და შესაძლებლობას აძლევს ინსტიტუტს იმოქმედოს დამოუკიდებლად, როგორც ემერჯენსი არბიტრის დანიშვნის, ასევე აცილებისა და მის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის პროცესში.<sup>15</sup>

ემერჯენსი არბიტრის ინსტიტუტი ICC ახალი რეგლამენტის უმნიშვნელოვანეს ნოვაციად ითვლება და შემდეგი ძირითადი ნიშნებით ხასიათდება:

- ემერჯენსი არბიტრთან მიმართებაში მოქმედებს ე.წ. opt out პრინციპი, რაც ნიშნავს იმას, რომ მისი მომსახურებით სარგებლობა მხარეებს შეუძლიათ, თუ ასეთი რამ მათი შეთანხმებით პირდაპირ გამორიცხული არ არის;

<sup>11</sup> Kaufmann-Kohler G., Rigozzi A., International Arbitration, Law and Practice in Switzerland, Oxford University Press, Oxford, 2015, 331.

<sup>12</sup> Brown C., The Enforcement of Interim Measures Ordered by Tribunals and Emergency Arbitrators in International Arbitration: Van den Berg. A.J. (ed.), International Arbitration The Coming of a New Age? ICCA Congress Series N17, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2013, 279.

<sup>13</sup> Emergency Arbitrator თარგმნა ქართულ ენაზე არაეფექტურად მივიჩნიე და პირდაპირ გადმოვიტანე იქიდან გამომდინარე, რომ სიტყვა `ემერჯენსი` უკვე დამკვიდრებულია ქართულ ენაში და ყველაზე კარგად ასახავს ტერმინის არსს. საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესები არ იცნობს ემერჯენსი არბიტრის ინსტიტუტს. წესები ხელმისაწვდომია: <<http://giac.ge/wp-content/uploads/2014/07/GIAC-Arbitration-Rules-geo.pdf>>

<sup>14</sup> პირველად ემერჯენსი არბიტრის კომპეტენცია აღიარებულ იქნა ICDR მიერ, შემდგომ მას მოჰყვა სტოკჰოლმის საარბიტრაჟო ინსტიტუტი, ნიდერლანდების საარბიტრაჟო ინსტიტუტი, SIAC არბიტრაჟი, ICC არბიტრაჟი და სხვ. დაწვრილებით იხ. Mangan M., Reed L., Choong J., A Guide To The CIAC Arbitration Rules, Oxford University Press, Oxford, 2014, 181.

<sup>15</sup> Mangan M., Reed L., Choong J., A Guide to the CIAC Arbitration Rules, Oxford University Press, Oxford, 2014, 180.

• საარბიტრაჟო ინსტიტუტის (ამ კონკრეტულ შემთხვევაში ICC არბიტრაჟის) პრეზიდენტი ვალდებულია დანიშნოს ემერჯენსი არბიტრი მიმართვიდან ორი დღის განმავლობაში, ვინაიდან ასეთ მოკლე დროში საარბიტრაჟო ტრიბუნალის დაკომპლექტება და მისთვის უზრუნველყოფის ზომების მიღების შუამდგომლობით მიმართვა პრაქტიკულად ვერ მოესწრება;

• ICC რეგლამენტის მიხედვით (მხედველობაშია 2012 წლის რედაქცია), ემერჯენსი არბიტრი ვალდებულია 15 დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ზომების გამოყენებასთან დაკავშირებით;

• საარბიტრაჟო ტრიბუნალი (მისი დაკომპლექტების შემდეგ) არ არის შეზღუდული ემერჯენსი არბიტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით.

• დაუშვებელია ემერჯენსი არბიტრი იყოს ტრიბუნალის წევრი;

• ემერჯენსი არბიტრის მომსახურებისათვის ICC არბიტრაჟი იღებს ფიქსირებულ მოსაკრებელს 40 000 აშშ დოლარის ოდენობით.<sup>16</sup>

• თუ ემერჯენსი არბიტრი ვერ, ან არ გამოიტანს შესაბამის ბრძანებას, ICC არბიტრაჟის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით შეიძლება შუამდგომლობის ავტორ მხარეს დაუბრუნდეს გადახდილი მოსაკრებლის ნაწილი. ნებისმიერ შემთხვევაში, ICC დაიტოვებს 5000 დოლარს, რომელიც მისი მომსახურების საკომისიოა და დაბრუნებას არ ექვემდებარება.<sup>17</sup>

• ემერჯენსი არბიტრისათვის მისამართი შუამდგომლობის რეკვიზიტები დეტალურად არის გაწერილი რეგლამენტში.<sup>18</sup>

ემერჯენსი არბიტრის მომსახურებით ძირითადად საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის მხარეები სარგებლობენ ხოლმე. ლოკალურ, ნაციონალურ დონეზე მოქმედ

---

<sup>16</sup> *Greison J., van Hooft A., Arbitrating under the 2012 ICC Rules*, Wolters Kluwer, Alphen aan den Rijn, 2012, 65-66. ამ კონკრეტულ შემთხვევაში განსაკუთრებულ ინტერესს იძენს ემერჯენსი არბიტრის პასუხისმგებლობის საკითხი. როგორც წესი, იურიდიულ ლიტერატურაში არბიტრსა და მხარეებს შორის არსებულ ურთიერთობას სახელშეკრულებო ხასიათის მატარებლად მიიჩნევენ, და მიუთითებენ, რომ ამ დროს იდება ორი ხელშეკრულება: საარბიტრაჟო პროცესის ორგანიზების ხელშეკრულება უშუალოდ საარბიტრაჟო ინსტიტუტთან, და მომსახურების ხელშეკრულება არბიტრებთან. (დაწვრილებით იხ. *Holzberger A., Die Materielle rechtliche und kollisionsrechtliche Einordnung des Schiedsrichtervertrages*, Peter Lang, Frankfurt am Main, 2015). ემერჯენსი არბიტრის შემთხვევაში მისი შერჩევა ხდება არა მხარეების უშუალო მონაწილეობით, არამედ საარბიტრაჟო ინსტიტუტის ხელმძღვანელის მიერ ერთპიროვნულად. ამავე დროს ემერჯენსი არბიტრის მიერ მიღებულმა მართლსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს რომელიმე მხარეს ან ორივე მხარეს ერთად. მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი ცალსახა არ არის ვინაიდან ის არ იმყოფება სახელშეკრულებო ურთიერთობაში მხარეებთან და არც დელიქტის ნორმების გამოყენება იქნება დასაბუთებული. ერთ-ერთი გამოსავალი შეიძლება იყოს მიყენებული ზიანის საარბიტრაჟო ინსტიტუტისათვის მოთხოვნა, რომელსაც რეგრესის წესით შეიძლება ჰქონდეს არბიტრისათვის შესაბამისი ანაზღაურების მიღების უფლება. უნდა აღინიშნოს, რომ განხილვების კონფიდენციალური ხასიათიდან გამომდინარე ამ საკითხზე პრაქტიკის მოძიება არც ისე მარტივია.

<sup>17</sup> *Greison J., van Hooft A., Arbitrating under the 2012 ICC Rules*, *Kluwer W.*, Alphen aan den Rijn, 2012, 71.

<sup>18</sup> *Greison J., van Hooft A., Arbitrating under the 2012 ICC Rules*, *Kluwer W.*, Alphen aan den Rijn, 2012, 67.

არბიტრაჟებში მსგავსი პრაქტიკა იშვიათია.<sup>19</sup> ქართული დავებისათვის ასეთი მოსაკრებლის გადახდა ნაკლებად მიმზიდველად გამოიყურება, მით უმეტეს, რომ შემდგომში საარბიტრაჟო ტრიბუნალი, (რომელსაც ცალკე უხდინან მხარეები ჰონორარს) უფლებამოსილია არ გაიზიაროს ემერჯენსი არბიტრის მიერ მიღებული ზომები და შეცვალოს კიდევ ისინი.

ICC არბიტრაჟის ემერჯენსი არბიტრის მიერ მიღებული ბრძანების აღსრულების იძულებითი მექანიზმი არ არსებობს, თუმცა მისი დარღვევისათვის მხარეს შეიძლება დაეკისროს ასეთი დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება უკვე იმ ძირითადი საარბიტრაჟო განხილვის ფარგლებში, რომელიც არსებითად იხილავს დავას.<sup>20</sup>

### **უზრუნველყოფის ზომების მიღების დასაბუთების სტანდარტი და კრიტერიუმები საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვისას**

Channel Tunnel Group Ltd vs. Balfour Beatty Construction Ltd საქმეზე ლორდმა მასტილმა ინგლისის ლორდთა პალატის სახელით ჩამოაყალიბა ის კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელია სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის ზომების გამოყენებისას: საქმის გარემოებები შემდეგში მდგომარეობდა: Balfour იყო Channel Tunnel კონტრაქტორი და პასუხისმგებელი იყო ლა-მანშის სრუტის ქვევით ინგლისისა და საფრანგეთის დამაკავშირებელი გვირაბის მშენებლობაზე. დავა წარმოიშვა სამუშაოების ღირებულების ანაზღაურებასთან და გადახდებთან დაკავშირებით და Balfour-მა შეაჩერა სამუშაოები. Channel Tunnel მიმართა ინგლისურ სასამართლოს და მოითხოვა უზრუნველყოფის ზომის სახით Balfour -ის მიერ შეწყვეტილი სამუშაოების გაგრძელება.<sup>21</sup>

ლორდი მასტილი და მასთან ერთად ინგლისის ლორდთა პალატა თვლის რომ სასამართლოსათვის მოთხოვნილი უზრუნველყოფის ზომა შემდეგ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს: ა) ის არ უნდა გულისხმობდეს ფაქტობრივად საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას (Channel Tunnel მოთხოვნა სწორედ ასეთი იყო ვინაიდან მხარეთა შორის არსებითი დავის საგანს სწორად სამუშაოების გაგრძელების საკითხს უკავშირდებოდა); ბ) სასამართლომ ასევე უნდა მიიღოს მხედველობაში რა მოხდება და რა შედეგი დადგება, თუ უზრუნველყოფის მოთხოვნილი ზომა არ იქნება გამოყენებული გ) სასამართლომ კარგად უნდა გაიაზროს, კონკრეტულად როგორ დაეხმარება მის მიერ მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიება საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. ასეთი ზომების მიღება მხოლოდ მაშინ შეიძლება თუ „ამით გამოწვეული უპირატესობების ბალანსი აშკარად იხრება ზომების მიღების საჭიროებისაკენ“ [the court]

<sup>19</sup> *Brown C.*, The Enforcement of Interim Measures Ordered by Tribunals and Emergency Arbitrators in International Arbitration: *Van den Berg. A.J. (ed.)*, International Arbitration The Coming of a New Age? ICCA Congress Series N17, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2013, 286.

<sup>20</sup> *Greison J., van Hooff A.*, Arbitrating under the 2012 ICC Rules, Wolters Kluwer, Alphen aan den Rijn, 2012, 70.

<sup>21</sup> *Reisman M.W., Craig W.L., Park W.W., Paulsson J.*, International Commercial Arbitration, Cases, Materials and Notes on the Resolution of International Business Disputes, Foundation Press, St. Paul, 2015, 621.

should be prepared to act only when the balance of advantage plainly favours the grant of relief.<sup>22</sup> ეს საკმაოდ აბსტრაქტული ფორმულირება იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ უზრუნველყოფის ზომების მიღებისას არსებული კრიტერიუმები არ არის (და არც შეიძლება იყოს) მოკლებული სუბიექტურობას. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს შეფასების საგანია, აკმაყოფილებს თუ არა მხარის მოთხოვნა ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს.

ზოგადად კრიტერიუმებთან დაკავშირებით საარბიტრაჟო რეგლამენტები და კანონები მითითებას თითქმის არ შეიცავენ. მათი დადგენა პრაქტიკით ხდება. მაგალითად SIAC არბიტრაჟის ტრიბუნალები სამ ძირითად არგუმენტზე უთითებენ:

- უზრუნველყოფის ზომის მიუღებლობა გამოიწვევს ისეთ ზიანს, რომლის კომპენსირებაც საბოლოო გადაწყვეტილებით შეუძლებელი იქნება;

- მოსალოდნელი ზიანი არსებითად აღემატება იმ ზიანს და დისკომფორტს, რომელიც უზრუნველყოფის ზომის მიღებით მეორე მხარეს შეიძლება შეექმნას;

- არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ შუამდგომლობის ავტორის სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს.<sup>23</sup>

- უზრუნველყოფის ზომების მიღებისას არბიტრები მაქსიმალურად ფრთხილად უნდა მიუდგნენ საქმეს და უზრუნველყოფის კონკრეტული ზომა ბიზნესის ამა თუ იმ სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით შეარჩიონ.

ერთერთ საქმეში, რომელიც აფრიკაში სახელმწიფოს დაკვეთით მიმდინარე მშენებლობას შეეხებოდა, სახელმწიფო არ იყო კმაყოფილი კონტრაქტორის საქმიანობით და შეწყვიტა თანხის ეტაპობრივი გადახდა. მეორე მხარემ შეაჩერა სამუშაოები და მიმართა არბიტრაჟს. ორივე მხარე აფიქსირებდა მშენებლობის გაგრძელების სურვილს. აღნიშნულის გათვალისწინებით არბიტრაჟმა სახელმწიფოს დაავალა დაედო სადავო თანხა არბიტრაჟის მიერ კონტროლირებად escrow ანგარიშზე. ეს ორივე მხარისთვის მისაღები აღმოჩნდა და მშენებლობის პროცესი გაგრძელდა საარბიტრაჟო განხილვების პარალელურად. მსგავსი შემთხვევები საერთაშორისო საარბიტრაჟო პრაქტიკაში იშვიათობა არ არის.<sup>24</sup>

### **Anti-suit injunctions**

Anti-suit injunctions ვერ განიხილება უზრუნველყოფის ღონისძიების კლასიკურ ფორმად, თუმცა შესაძლებელია მის ერთერთ ნაირსახეობად მივიჩნიოთ იმის გათვალისწინებით, რომ მხარეთა დროისა და რესურსის დაზოგვასა და აღსრულებადი გადაწყვეტილების მიღებას ემსახურება. ეს ანგლო ამერიკული მართლწესრიგების მიერ

---

<sup>22</sup> *Reisman M.W., Craig W.L., Park W.W., Paulsson J.*, International Commercial Arbitration, Cases, Materials and Notes on the Resolution of International Business Disputes, Foundation Press, St. Paul, 2015, 621.

<sup>23</sup> *Mangan M., Reed L., Choong J.*, A Guide To The CIAC Arbitration Rules, Oxford University Press, Oxford, 2014, 178.

<sup>24</sup> *Reisman M.W., Craig W.L., Park W.W., Paulsson J.*, International Commercial Arbitration, Cases, Materials and Notes on the Resolution of International Business Disputes, Foundation Press, St. Paul, 2015, 613.

შექმნილი და გავრცელებული ინსტიტუტია და მისი გამოყენების ადრეული შემთხვევები მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში გვხვდება.<sup>25</sup>

ასეთი ღონისძიების გამოყენებით არბიტრაჟი, ან სასამართლო უკრძალავს მეორე მხარეს სხვა არბიტრაჟში ან სასამართლოში ისეთი პარალელური პროცესების წამოწყებას, რასაც საქმის განხილვის გართულება და დროში გაწელვა მოჰყვება. ისტორიულად anti-suit injunctions ინგლისურმა მართლმსაჯულებამ განავითარა. ინგლისელი მოსამართლეები ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ ისეთ სასამართლოებში პარალელური სასამართლო პროცესების წარმოება, რომლებსაც არ ჰქონდათ დავის განხილვის კომპეტენცია. ევროპის კონტინენტი ასეთი ღონისძიებების მიმართ სკეპტიკურად არის განწყობილი და საერთო სამართლის მართლწესრიგისგან განსხვავებით ოპერირებს les pendens<sup>26</sup> დოქტრინის გამოყენებით, რომლის მიზანიც ასევე პარალელური პროცესების თავიდან აცილებაა.<sup>27</sup>

Anti-suit-injunction საერთაშორისო პრაქტიკაში სხვადასხვა ფორმითა და შინაარსით გვხვდება:

- შესაძლოა სასამართლომ არბიტრაჟს აუკრძალოს პროცესის გამართვა და გადაწყვეტილების გამოტანა. ეს იქნება თავისებური anti-arbitration-injunction. ასეთი ღონისძიება განსაკუთრებით ეფექტურია, როდესაც მას იღებს საარბიტრაჟო განხილვის ადგილის სასამართლო, ან სასამართლო, სადაც მოსარჩელეს ან არბიტრებს აქვთ ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.

- ერთერთი მხარის მოთხოვნით, ან ზოგჯერ თვით საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია აუკრძალოს მოპასუხეს რაიმე სამართლებრივი ქმედების განხორციელება იმ მიზნით, რომ საკითხის განხილვა დაიწყოს სასამართლომ, ან სხვა საარბიტრაჟო ტრიბუნალმა, რაც შეიძლება განიმარტოს, როგორც საარბიტრაჟო შეთანხმების დარღვევა.

- ერთერთი მხარის მოთხოვნით თვით საარბიტრაჟო ტრიბუნალმა შეიძლება აუკრძალოს მეორე მხარეს, ან სხვა საარბიტრაჟო ტრიბუნალს იგივე დავის წამოწყება/განხილვა.<sup>28</sup>

- Anti-suit injunction ყოველთვის არის in personam მიღებული გადაწყვეტილება და შეიძლება ეხებოდეს როგორც ერთ მხარეს, ასევე ორივეს, ან ყველა მათგანს.<sup>29</sup>

Anti-suit injunction ყველა საარბიტრაჟო ინსტიტუტი ერთნაირად არ იყენებს. მაგალითად, SIAC არბიტრაჟი სინგაპურში ამ მხრივ არანაირ უხერხულობას არ გრძნობს და უკრძალავს მხარეებს სასამართლოსათვის მიმართვას, როდესაც დავას არბიტრაჟი

---

<sup>25</sup> Lord Portanilgton vs. Soulby 1834 წელი. მითითებულია: Rubino-Samartano M. International Arbitration Law and Practice, JurisNet, Huntington, 2014, 972.

<sup>26</sup> დაწვრილებით les pendens დოქტრინის შესახებ იხ. <[http://www.arbitration-icca.org/media/4/32472823740148/media012224290630120lis\\_pendens\\_arbitralis.pdf](http://www.arbitration-icca.org/media/4/32472823740148/media012224290630120lis_pendens_arbitralis.pdf)> [10.12.2015].

<sup>27</sup> Kaufmann-Kohler G., Rigozzi A., International Arbitration, Law and Practice in Switzerland, Oxford University Press, Oxford, 2015, 262.

<sup>28</sup> Kaufmann-Kohler G., Rigozzi A., International Arbitration, Law and Practice in Switzerland, Oxford University Press, Oxford, 2015, 262-263.

<sup>29</sup> Hober K., International Commercial Arbitration in Sweden, Oxford University Press, Oxford, 2011, 194.

განხილავს.<sup>30</sup> სასამართლოსათვის მიმართვაში ამ შემთხვევაში იგულისხმება დავის არსებითად გადაწყვეტის მოთხოვნით მიმართვა. სასამართლოსათვის უზრუნველყოფის ზომის გამოყენების მოთხოვნა არ იკრძალება არც არბიტრაჟის და არც სასამართლოს მიერ.

არსებობს მოსაზრება, რომ anti-suit-injunctions თავისი არსით ეწინააღმდეგება კომპეტენციის პრინციპს და სასამართლოს უფლებას - თავისით გადაწყვეტოს საკუთარი განსჯადობის საკითხი. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ეს პრინციპები საყოველთაოდ აღიარებულია და სადავო არ არის, როგორც საერთაშორისო არბიტრაჟის დოქტრინასა და პრაქტიკაში, ასევე საერთაშორისო საჯარო სამართალშიც. საერთაშორისო არბიტრაჟის აღიარებული პრაქტიკოსების რეკომენდაციით, სასამართლოებმა მაქსიმალურად უნდა შეიკავონ თავი არბიტრაჟის საქმიანობაში ჩარევისაგან.<sup>31</sup>

West Tankers საქმეზე 2009 წელს ევროპის კავშირის სასამართლომ (CJEU<sup>32</sup>) მიიჩნია, რომ ევროპის კავშირის სასამართლოს არ აქვს უფლება აუკრძალოს ამავე კავშირის ტერიტორიაზე მოქმედ მეორე სასამართლოს დავის განხილვა იმის გამო, რომ არსებობს ნამდვილი საარბიტრაჟო შეთანხმება. დასაბუთება მდგომარეობდა იმაში, რომ ასეთი აკრძალვა ეწინააღმდეგება ბრიუსელის 44/2001 რეგულაციას, რომლის თანახმადაც ყველა სასამართლო ევროკავშირის მასშტაბით თვითონ წყვეტს საკუთარი იურისდიქციის საკითხებს.<sup>33</sup>

2015 წელს ივლისში ლიტვის უზენაესმა სასამართლომ Gazprom-ის საქმეზე ევროპის კავშირის სასამართლოს გაუგზავნა შეკითხვა და მოითხოვა განმარტება, უნდა აღესრულებინა თუ არა შვედეთში მიმდინარე საარბიტრაჟო განხილვისას არბიტრების მიერ გამოტანილი anti-suit-injunction. ლიტვის სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილების აღსრულება მოთხოვნილი იყო ნიუ იორკის კონვენციის მიხედვით. ევროპის კავშირის სასამართლომ მიუთითა რომ West Tankers განსხვავდებოდა Gazprom საქმისაგან იმით, რომ პირველ შემთხვევაში anti-suit-injunctions მოთხოვნილი იყო სასამართლოს მიერ, ხოლო Gazprom გადაწყვეტილების მიმღები იყო საარბიტრაჟო ტრიბუნალი. იმის გათვალისწინებით, რომ ბრიუსელის რეგულაცია არ ვრცელდება არბიტრაჟზე, ევროპის კავშირის სასამართლომ დაასკვნა, რომ არ არსებობს შვედური საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი anti-suit injunctions აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებები.<sup>34</sup>

## უზრუნველყოფის ზომები - სასამართლო vs. არბიტრაჟი - თეორია და პრაქტიკა

---

<sup>30</sup> *Mangan M., Reed L., Choong J., A Guide To The CIAC Arbitration Rules*, Oxford University Press, Oxford, 2014, 177.

<sup>31</sup> *Kaufmann-Kohler G., Rigozzi A., International Arbitration, Law and Practice in Switzerland*, Oxford University Press, Oxford, 2015, 264.

<sup>32</sup> The Court of Justice of the European Union, <[http://europa.eu/about-eu/institutions-bodies/court-justice/index\\_en.htm](http://europa.eu/about-eu/institutions-bodies/court-justice/index_en.htm)>, [10.12.2015].

<sup>33</sup> *Kaufmann-Kohler G., Rigozzi A., International Arbitration, Law and Practice in Switzerland*, Oxford University Press, Oxford, 2015, 262.

<sup>34</sup> იხ. <<http://www.lexology.com/library/detail.aspx?g=8d24db36-a880-4816-9430-b67d99d455dd>>, [10.12.2015].

ზოგადი პრინციპის თანახმად, სასამართლო, ისევე როგორც არბიტრაჟი უფლებამოსილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით მიიღოს გარკვეული ზომები. საერთაშორისო პრაქტიკაში ასევე აღიარებულია, რომ არბიტრაჟის მიერ მიღებული ზომები აღსრულებას არ ექვემდებარება, მაშინ როდესაც სასამართლოს შეუძლია მის მიერ მიღებული უზრუნველყოფის ზომის იძულებითი აღსრულება უზრუნველყოს.<sup>35</sup>

### არბიტრაჟის მიერ მიღებული უზრუნველყოფის ზომები

დოქტრინაში საკმაოდ ხშირად ისმის მოსაზრება, რომ არბიტრაჟის მიერ *ex parte* (მეორე მხარისათვის შეუტყობინებლად) უზრუნველყოფის ზომების მიღების შესაძლებლობის მინიჭება ეწინააღმდეგება თავად არბიტრაჟის კონსენსუალურ ბუნებასა და მხარეთა თანასწორობის პრინციპს. თუმცა, მეორე მხრივ, მოწინააღმდეგე მხარის ჩართულობამ უზრუნველყოფის ზომის მიღების განხილვის პროცესში შეიძლება საერთოდ დაუკარგოს აზრი ასეთი ზომის მიღებას თვით დავის და მისაღები ზომის სპეციფიკიდან გამომდინარე. SIAC არბიტრაჟის წესები არც უშვებს და არც კრძალავს ასეთი *ex parte* ზომების მიღებას, თუმცა ემერჯენსი არბიტრს *ex parte* ზომების მიღების უფლება ჩამორთმეული აქვს.<sup>36</sup> თუნდაც ამ უკანასკნელი წესიდან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ SIAC საარბიტრაჟო ტრიბუნალებისაგან ნაკლებად უნდა ველოდეთ *ex parte* უზრუნველყოფის ზომების მიღებას.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის არბიტრაჟი<sup>37</sup> სარგებლობს უდავო უფლებამოსილებით მიიღოს უზრუნველყოფის ზომები, რომელიც მიმართულია სამომავლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფისაკენ. მხარეებისათვის კონკრეტული ღონისძიებების გატარების, ან მათგან თავის შეკავების დავალებით არბიტრაჟი აღწევს თავის მიზანს და უზრუნველყოფს გადაწყვეტილების აღსრულებას.<sup>38</sup> 1998 წლამდე, ანუ მაშინაც კი, როდესაც ICC არბიტრაჟის რეგლამენტი პირდაპირ არ ითვალისწინებდა საარბიტრაჟო ტრიბუნალის უფლებამოსილებას უზრუნველყოფის ზომებთან დაკავშირებით, არბიტრები მაინც არ ერიდებოდნენ ასეთი ზომების მიღებას და პრაქტიკაში ამ მიმართულებით დაბრკოლება არ შექმნილა.

Gary Born ავითარებს მოსაზრებას, რომ *ex parte* უზრუნველყოფის ზომების გამოყენება ეწინააღმდეგება ნიუ იორკის კონვენციის ერთერთ უმთავრეს იდეას, რომ არბიტრაჟმა არ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება ყველა მხარის თანაბრად მოსმენის გარეშე. Rubino Samartano აკრიტიკებს ამ მოსაზრებას და მიუთითებს, რომ მეორე მხარის

---

<sup>35</sup> *Reisman M.W., Craig W.L., Park W.W., Paulsson J.*, International Commercial Arbitration, Cases, Materials and Notes on the Resolution of International Business Disputes, Foundation Press, St. Paul, 2015, 611.

<sup>36</sup> *Mangan M., Reed L., Choong J.*, A Guide To The CIAC Arbitration Rules, Oxford University Press, Oxford, 2014, 179.

<sup>37</sup> შემდგომში მოხსენიებული იქნება, როგორც ICC არბიტრაჟი.

<sup>38</sup> *Reisman M.W., Craig W.L., Park W.W., Paulsson J.*, International Commercial Arbitration, Cases, Materials and Notes on the Resolution of International Business Disputes, Foundation Press, St. Paul, 2015, 611.

აზრის მოსმენა მოგვიანებით ამ საკითხზე მაინც ხდება, რაც გამორიცხავს მისთვის საკუთარი პოზიციის წარმოდგენის უფლების შეზღუდვას.<sup>39</sup> ალბათ აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, თუ როდის ხდება მეორე მხარისათვის საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობის მიცემა და საწყის ეტაპზე ამ უფლების ჩამორთმევა ხომ არ არღვევს მის უფლებას. ამ შემთხვევაში უნივერსალური პასუხი ალბათ არ შეიძლება არსებობდეს და როგორც Born ასევე Rubino Samartano შეიძლება მართალი აღმოჩნდნენ. ფორმალურად Born ყოველთვის მართალი იქნება, თუმცა პრაქტიკულად, კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით შესაძლოა Rubino Samartano-ს პოზიცია უფრო დამაჯერებლად ჟღერდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს ერთი მედლის ორი მხარეა და გააჩნია კონკრეტულ შემთხვევაში რომელი მხრიდან შეხედვა წარმოადგენს მხარეების და საარბიტრაჟო განხილვის რეალურ მიზანსა და ინტერესს.

როგორც წესი, არბიტრაჟის მიერ მიღებული უზრუნველყოფის ზომების იგნორირებას რაიმე სამართლებრივი სანქცია არ მოჰყვება. სხვაგვარად რომ ითქვას, უზრუნველყოფის ზომის რეალური შესრულება მხარეთა კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. საერთაშორისო საარბიტრაჟო პრაქტიკა ადასტურებს, რომ მიუხედავად სანქციების არარსებობისა, მხარეები თითქმის ყოველთვის ასრულებენ არბიტრაჟის დავალებას, ვინაიდან მათი დაუმორჩილებლობა შეიძლება არბიტრაჟმა შეაფასოს, როგორც არაკეთილსინდისიერი ქმედება, რაც გავლენას მოახდენს საბოლოო გადაწყვეტილებაზე.<sup>40</sup> პრაქტიკა აჩვენებს, რომ არბიტრაჟის მიერ მიღებულ უზრუნველყოფის ზომებს მხარეები საკუთარი ნებით ემორჩილებიან ხოლმე.<sup>41</sup>

პრაქტიკაში გამონაკლისებიც გვხვდება. არის შემთხვევები, როდესაც საარბიტრაჟო ტრიბუნალი აწესებს სანქციებს. მაგალითად გარკვეულ ჯარიმას/პირგასამტეხლოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იმ მხარისათვის, რომელიც აგვიანებს არბიტრაჟის მიერ მიღებული ზომების სისრულეში მოყვანას.<sup>42</sup>

სახელმწიფოების უმრავლესობა არ ითვალისწინებს არბიტრაჟის მიერ მიღებული უზრუნველყოფის ზომების სასამართლოს მიერ იძულებითი აღსრულების უზრუნველყოფას.<sup>43</sup> ამ მხრივ საქართველო გამონაკლისია. „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს აქვს სავალდებულო ძალა და ისინი უნდა აღსრულდეს სასამართლოსთვის მიმართვის გზით, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში გამოიტანეს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების

---

<sup>39</sup> *Rubino-Samartano M.*, International Arbitration Law and Practice, JurisNet, Huntington, 2014, 935.

<sup>40</sup> *Reisman M.W., Craig W.L., Park W.W., Paulsson J.*, International Commercial Arbitration, Cases, Materials and Notes on the Resolution of International Business Disputes, Foundation Press, St. Paul, 2015, 611.

<sup>41</sup> *Kaufmann-Kohler G., Rigozzi A.*, International Arbitration, Law and Practice in Switzerland, Oxford University Press, Oxford, 2015, 346.

<sup>42</sup> *Kaufmann-Kohler G., Rigozzi A.*, International Arbitration, Law and Practice in Switzerland, Oxford University Press, Oxford, 2015, 347.

<sup>43</sup> *Reisman M.W., Craig W.L., Park W.W., Paulsson J.*, International Commercial Arbitration, Cases, Materials and Notes on the Resolution of International Business Disputes, Foundation Press, St. Paul, 2015, 611.

გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება. ეს ნორმა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საქართველოს პოტენციალს - გახდეს მსოფლიო საარბიტრაჟო საზოგადოებისათვის საინტერესო და მიმზიდველი ადგილი დავების გადაწყვეტის თვალსაზრისით. ზოგიერთი მოსამართლე, (განსაკუთრებით აშშ-ში), თვლის, რომ არბიტრაჟის მიერ მიღებული უზრუნველყოფის ზომები ისევე უნდა ექვემდებარებოდეს ცნობასა და აღსრულებას, როგორც ეს ნიუ იორკის კონვენციის მიხედვით საბოლოო გადაწყვეტილების შემთხვევაში ხდება.<sup>44</sup>

### სასამართლოს მიერ მიღებული უზრუნველყოფის ზომები

ამერიკული სასამართლოების ნაწილი მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის ზომების მიღება, თუ არსებობს ნამდვილი საარბიტრაჟო შეთანხმება და დავას არბიტრაჟი იხილავს, ეწინააღმდეგება ნიუ იორკის კონვენციას. ჯერჯერობით აშშ-ის უზენაეს სასამართლოს ამ საკითხზე თავისი პოზიცია არ დაუფიქსირებია, თუმცა დოქტრინასა და საერთაშორისო პრაქტიკაში (ამერიკული მიდგომისაგან განსხვავებით) პრობლემას ამ კუთხით ვერ ხედავენ. მაგალითად, ლორდი მასტილი მიუთითებს, რომ სასამართლოების მოსაზრება, რომ უზრუნველყოფის ზომების სასამართლოში მოთხოვნით ფაქტობრივად ხდება საარბიტრაჟო განხილვის წესისათვის გვერდის ავლა - არ შეიძლება დასაბუთებულად ჩაითვალოს. პირიქით, სასამართლოს მიერ ასეთი ზომების მიღება ხელს უწყობს საარბიტრაჟო განხილვის წესის ეფექტურობას და იმ პრაქტიკული მიზნის მიღწევას, რასაც მხარეები საარბიტრაჟო შეთანხმების დადებით მიზნად ისახავდნენ.<sup>45</sup>

დოქტრინასა და პრაქტიკაში სადავოა მხარეთა უფლება თავიანთი შეთანხმებით გამორიცხონ უზრუნველყოფის ზომების სასამართლოს მიერ მიღება. უმრავლესობის მოსაზრება დადებითი პასუხისაკენ იხრება და თვლის რომ მხარეთა ნების ავტონომია აძლევს მათ უფლებას გამორიცხონ სასამართლოს ჩარევა უზრუნველყოფის ზომების მიღებაში. იყო შემთხვევა, როდესაც ციურიხის სასამართლომ უარი თქვა ასეთი ზომების მიღებაზე და მხარეებს მიუთითა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სპორტული არბიტრაჟის უფლებაზე დახმარებოდა საარბიტრაჟო განხილვას უზრუნველყოფის შესაბამისი ზომების მიღებით.<sup>46</sup> როდესაც ICC არბიტრაჟის რეგლამენტის 2012 წლის რედაქციამ პირდაპირ აღიარა სასამართლოს უფლება მიიღოს უზრუნველყოფის ზომები საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, გაჩნდა კითხვები, რომელი სასამართლოა ასეთი ზომების მიღებაზე უფლებამოსილი და რა

---

<sup>44</sup> □ ეს რა ასოა??? რატომაა აქ? *Brown C.*, The Enforcement of Interim Measures Ordered by Tribunals and Emergency Arbitrators in International Arbitration: *Van den Berg. A.J. (ed.)*, International Arbitration The Coming of a New Age? ICCA Congress Series N17, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2013, 287.

<sup>45</sup> *Reisman M.W., Craig W.L., Park W.W., Paulsson J.*, International Commercial Arbitration, Cases, Materials and Notes on the Resolution of International Business Disputes, Foundation Press, St. Paul, 2015, 621.

<sup>46</sup> *Kaufmann-Kohler G., Riguzzi A.*, International Arbitration, Law and Practice in Switzerland, Oxford University Press, Oxford, 2015, 338.

კრიტერიუმებზე და წესებზე დაყრდნობით უნდა მიიღოს სასამართლომ ასეთი გადაწყვეტილება.<sup>47</sup>

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით ზომების მიღება საერთაშორისო პრაქტიკაში ეჭვის ქვეშ არ დგას. მაგალითად, ICC არბიტრაჟის რეგლამენტის 2012 წლის რედაქცია პირდაპირ მიუთითებს, რომ უზრუნველყოფის ზომების გამოყენების მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვა არ შეიძლება განიმარტოს როგორც საარბიტრაჟო განხილვის წესზე უარის თქმა და არბიტრაჟის კომპეტენციის გამორიცხვა კონკრეტული დავის განხილვასთან დაკავშირებით.<sup>48</sup> ეს ფორმულირება შეიძლება ითქვას რომ საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო პრინციპად იქცა.<sup>49</sup>

სასამართლო უზრუნველყოფის ზომების მიღებისას თავისი lex fori-თ ხელმძღვანელობს.<sup>50</sup> მაგალითად, სინგაპურის სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს უზრუნველყოფის ზომების ნებისმიერი საარბიტრაჟო განხილვისათვის, რომელიც მიმდინარეობს როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის გარეთ.<sup>51</sup>

უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა, რომელიც ICC რეგლამენტის 2012 წლის რედაქციით არის გათვალისწინებული, გულისხმობს მხარის ვალდებულებას უზრუნველყოფის ზომების გამოყენების მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს საარბიტრაჟო ინსტიტუტის სამდივნოს. თავის მხრივ სამდივნო ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს საქმის განხილვაზე პასუხისმგებელ ტრიბუნალს.<sup>52</sup>

უზრუნველყოფის ზომების მიღების მიზნით სასამართლოსათვის მიმართვის პრაქტიკა ICC საარბიტრაჟო ტრიბუნალების პრაქტიკაში 2012 წლამდეც გამოიყენებოდა. Emergency arbitrator ინსტიტუტის რეგლამენტით აღიარებამდე მხარეებს სხვა გზა არც რჩებოდათ იმ მომენტისათვის, როდესაც საარბიტრაჟო ტრიბუნალი ჯერ კიდევ არ იყო დაკომპლექტებული და საქმის ვითარება დაუყოვნებლივ მოითხოვდა უზრუნველყოფის ზომების მიღებას.

---

<sup>47</sup> *Greison J., van Hooft A., Arbitrating under the 2012 ICC Rules*, Wolters Kluwer, Alphen aan den Rijn, 2012, 64.

<sup>48</sup> *Greison J., van Hooft A., Arbitrating under the 2012 ICC Rules*, Wolters Kluwer, Alphen aan den Rijn, 2012, 64.

<sup>49</sup> *Brown C., The Enforcement of Interim Measures Ordered by Tribunals and Emergency Arbitrators in International Arbitration: Van den Berg. A.J. (ed.), International Arbitration The Coming of a New Age? ICCA Congress Series N17*, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2013, 285. *Kaufmann-Kohler G., Rigozzi A., International Arbitration, Law and Practice in Switzerland*, Oxford University Press, Oxford, 2015, 58.

<sup>50</sup> *Mangan M., Reed L., Choong J. A., Guide to the CIAC Arbitration Rules*, Oxford University Press, Oxford, 2014, 189.

<sup>51</sup> *Mangan M., Reed L., Choong J., A Guide to the CIAC Arbitration Rules*, Oxford University Press, Oxford, 2014, 33.

<sup>52</sup> *Greison J., van Hooft A., Arbitrating under the 2012 ICC Rules*, *Kluwer W.*, Alphen aan den Rijn, 2012, 64.

სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის ზომების მიღებას აზრი არ დაუკარგავს არბიტრებისათვის ანალოგიური უფლებამოსილების მინიჭებისა და emergency arbitrator ინსტიტუტის დამკვიდრების შემდეგაც:

- არსებობს სხვადასხვა მართლწესრიგი, სადაც უზრუნველყოფის ზომების მიღება ექსკლუზიურად სასამართლოს კომპეტენციაა და შესაბამისად ალტერნატივა არც არსებობს (მაგალითად, არგენტინა, ჩინეთი, საბერძნეთი, კვებეკის პროვინცია კანადაში და ა.შ.)

- მართლწესრიგთა დიდი ნაწილი მხარს უჭერს უზრუნველყოფის ზომების შუამდგომლობის ex parte (მეორე მხარისათვის შეუტყობინებლად) განხილვას, რაც ხშირად მისაღები ზომის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელიც კია.

- სასამართლოს მიერ მიღებულ უზრუნველყოფის ზომების აღსრულებას თვით ეს სასამართლო უზრუნველყოფს, მაშინ როდესაც ემერჯენსი არბიტრის, ან საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ მიღებული უზრუნველყოფის ზომები იძულებით აღსრულებას ნაკლებად ექვემდებარება.

- ხარჯების საკითხი ცალსახა არ არის. ერთი მხრივ, სასამართლოსათვის მიმართვის დროს გადასახდელი ბაჟი შეიძლება გაცილებით ნაკლები იყოს, ვიდრე მაგალითად ICC მიერ მოთხოვნილი ხარჯები, თუმცა სასამართლოში იურიდიული მომსახურებისათვის გადახდილი თანხა (მაგალითად ინგლისში) გაცილებით აღემატება იგივე ხარჯებს არბიტრაჟში.<sup>53</sup>

როგორც ჩანს, ხარჯების საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს და შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მხარისათვის ამ ზომების მიღება. პრაქტიკაში შეიძლება არსებობდეს სიტუაცია, როდესაც მისაღები ზომების მაღალი საჭიროების გამო ხარჯების საკითხი უკანა პლანზე გადადის თუნდაც იმის გამო, რომ ძირითადი დავის საგანი დევს სასწორზე.

### ეფექტურობის შედარებითი ანალიზი

საარბიტრაჟო ტრიბუნალისა და სასამართლოს პარალელური უფლებამოსილება უზრუნველყოფის ზომების მიღების საკითხში ხშირად წარმოშობს პრობლემებს. მიღებული ზომების ერთმანეთთან შეუსაბამობამ და კონფლიქტმა შეიძლება მხარეებს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს. დოქტრინაში არის მოსაზრება, რომ სასამართლოს ჩარევა ამ საქმეში ზედმეტია და ეს კომპეტენცია მხოლოდ საარბიტრაჟო ტრიბუნალების კუთვნილება უნდა გახდეს. სხვები თვლიან, რომ სასამართლო მხოლოდ მაშინ უნდა ჩაერიოს, როდესაც გარკვეული მიზეზების გამო არბიტრაჟს ამის შესაძლებლობა არ აქვს.<sup>54</sup>

არიან ავტორები, რომლებიც თვლიან, რომ ეფექტურობის კუთხით უპირატესობა არბიტრაჟის მიერ მიღებული უზრუნველყოფის ზომებისაკენ იხრება, თუმცა ისინი

---

<sup>53</sup> Greison J., van Hooft A., Arbitrating under the 2012 ICC Rules, *Kluwer W.*, Alphen aan den Rijn, 2012, 64-65.

<sup>54</sup> Rubino-Samartano M., *International Arbitration Law and Practice*, JurisNet, Huntington, 2014, 981.

სასამართლოს ფუნქციას ამ კუთხით სრულად ამოწურულად მაინც არ თვლიან.<sup>55</sup> როდესაც უზრუნველყოფის ზომის მიღების სპეციფიკა და მისი შინაარსი აუცილებელს ხდის საკითხის მეორე მხარისათვის შეუტყობინებლად გადაწყვეტას, სასამართლოს მიერ მიღებულ უზრუნველყოფის ზომებს ალტერნატივა ნაკლებად მოეძებნება.<sup>56</sup>

ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც სასამართლოს მიერ მიღებული ზომა შეიძლება შეუცვლელი იყოს მხარეებისათვის, ეს არის სასამართლოს უფლებამოსილება დაავალდებულოს ნებისმიერი მესამე პირი შეასრულოს ან არ შეასრულოს გარკვეული მოქმედება. ასეთი უფლებამოსილება არბიტრაჟს არ გააჩნია, ვინაიდან მისი კომპეტენცია მხოლოდ კონკრეტულ მხარეებზე ვრცელდება და მესამე პირებისათვის რაიმეს დავალებას თავიდანვე გამორიცხავს.<sup>57</sup>

როცა ეფექტურობაზე საუბარი მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ერთი მეორეს არ გამორიცხავს. მაგალითად აღიარებულია რომ ემერჯენსი არბიტრისათვის მიმართვის შემდეგ მხარეს არ ეზღუდება უფლება სასამართლოსაც მოსთხოვოს უზრუნველყოფის ზომების მიღება.<sup>58</sup> საქმის გარემოებების გათვალისწინებით შესაძლოა სასამართლოსა და არბიტრაჟის მიერ მიღებული უზრუნველყოფის ზომების კომბინირებულმა გამოყენებამ გაცილებით უკეთესი შედეგი მოუტანს როგორც მხარეებს ასევე საარბიტრაჟო განხილვის საბოლოო შედეგისთვისაც უკეთესი აღმოჩნდეს.

ამ წესიდან გამონაკლისიც არსებობს. მაგალითად, ინგლისური სამართალი სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის ზომების მიღებას მხოლოდ მაშინ მიიჩნევს დასაშვებად, თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი არ არის აღჭურვილი ასეთი უფლებით, ან მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს ეფექტური და ადეკვატური ზომები. არსებობს კითხვების ჩამონათვალი, ხოლო სასამართლოს ჩარევა უზრუნველყოფის ზომების მიღებაში ამ კითხვებზე პასუხების შინაარსზე დამოკიდებული:

- აძლევს *lex arbitri* უფლებას არბიტრებს რომ მიიღონ უზრუნველყოფის ზომები?
- თუ პირველ კითხვაზე პასუხი დადებითია, აძლევს უფლებას საარბიტრაჟო შეთანხმება და ამ შეთანხმებით გათვალისწინებული სააბიტრაჟო წესები საარბიტრაჟო ტრიბუნალს უზრუნველყოფის ღონისძიების მიღების უფლებას?
- არის თუ არა საარბიტრაჟო ტრიბუნალი დაკომპლექტებული?
- შეუძლია თუ არა საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ მიღებულ ზომებს საბოლოო შედეგის ეფექტური და ადეკვატური უზრუნველყოფა?

თუ ოთხივე კითხვაზე პასუხი დადებითია, სასამართლოს ჩარევა ინგლისური კანონმდებლობით დაშვებული არ არის. თუ ერთ მათგანზე მაინც პასუხი უარყოფითია, ეს

---

<sup>55</sup> *Brown C.*, The Enforcement of Interim Measures Ordered by Tribunals and Emergency Arbitrators in International Arbitration: *Van den Berg. A.J. (ed.)*, International Arbitration the Coming of a New Age? ICCA Congress Series N17, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2013, 290.

<sup>56</sup> *Mangan M., Reed L., Choong J.*, A Guide to the CIAC Arbitration Rules, Oxford University Press, Oxford, 2014, 189.

<sup>57</sup> *Ostrove M., Salomon C., Shifmann B.*, Choice of Venue in International Arbitration, Oxford University Press, Oxford, 2014, 258.

<sup>58</sup> *Kaufmann-Kohler G., Rigozzi A.*, International Arbitration, Law and Practice in Switzerland, Oxford University Press, Oxford, 2015, 334.

სასამართლოს აძლევს უფლებას ჩაერიოს და მიიღოს უზრუნველყოფის ზომები.<sup>59</sup> ეს უკანასკნელი მოსაზრება უნდა შეფასდეს, როგორც ყველაზე კომპრომისული და არბიტრაჟისა და სასამართლოს ურთიერთმიმართებისათვის ყველაზე შესაბამისი. თუ ჩავთვლით რომ ზოგადად სასამართლოს ფუნქცია არბიტრაჟთან მიმართებაში ამ უკანასკნელის დახმარება და მიღებული შედეგის აღსრულებადობის უზრუნველყოფაა, მაშინ უნდა დავეთანხმოთ იმ მოსაზრებასაც, რომ მოსამართლე მხოლოდ მაშინ უნდა ჩაერიოს უზრუნველყოფის ზომების მიღების საქმეში, როდესაც არბიტრები ამას ვერ ახერხებენ.

იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს მიერ მიღებული ზომები პროცესის მსვლელობისას მოქმედებს, არბიტრაჟი არ იქნება (ყოველ შემთხვევაში არ უნდა იყოს) მოწოდებული ჩაერიოს სასამართლოს კომპეტენციაში და მიიღოს ისეთი კონტროლი, რომელიც სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან კონფლიქტში იქნება.<sup>60</sup> თეორიულად ამისი გამორიცხვა მანც არ შეიძლება და უნდა ვაღიაროთ, რომ გარკვეული რისკი არსებობს. ეს რისკი განსაკუთრებით იზრდება, როდესაც კორუფცია და გავლენით გადაწყვეტილების მიღება კონკრეტული სასამართლოს ყოველდღიურობაა და ამ სასამართლოს გზით რომელიმე მხარე არბიტრაჟის შედეგზე გავლენის მოხდენას ცდილობს.

უზრუნველყოფის ზომებთან დაკავშირებით არბიტრაჟის კომპეტენციაზე საუბრისას Born საკმაოდ შორს მიდის და აღნიშნავს, რომ ტრიბუნალს უნდა ჰქონდეს სასამართლოს მიერ მიღებული ზომების გაუქმების უფლება. Rubino\_Samartano გაცილებით უფრო ფრთხილი მიდგომის მომხრეა და თვლის, რომ სასამართლოს კომპეტენციაში საარბიტრაჟო ტრიბუნალი ვერ შეიჭრება, თუმცა მას შეუძლია თავის მხრივ მიიღოს ისეთი ზომები, ან მოახდინოს უკვე მიღებული ზომების ისეთი მოდიფიცირება, რომ ამით ფაქტობრივად შეიცვალოს სასამართლოს მიერ მიღებული ზომები.<sup>61</sup>

თუ დავუშვებთ, რომ მოგვიანებით სასამართლოსაც შეუძლია იგივე გააკეთოს და ამას მას ვერავინ აუკრძალავს, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთი მოსაზრებები გზას უხსნის გაუგებრობების წარმოშობას პრაქტიკაში. არბიტრაჟმა და სასამართლომ ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ საარბიტრაჟო განხილვის საბოლოო შედეგი უზრუნველყოფილი იყოს. თუ საარბიტრაჟო განხილვის მიმდინარეობისას მათ შორის მართონი გაიმართება ვინ უფრო მოხერხებულად შეცვლის ან გააუქმებს მეორის მიერ მიღებულ ზომებს, ეს მხოლოდ დააზარალებს როგორც მხარეებს, ასევე თვით არბიტრაჟისა და სასამართლოს რეპუტაციასაც.

საბოლოო ჯამში, სასამართლოს და არბიტრაჟის მიერ მიღებული უზრუნველყოფის ზომები არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთმანეთთან კონფლიქტში მყოფი მექანიზმები. ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლადაც შეიძლება იქნას გამოყენებული

---

<sup>59</sup> *Kaufmann-Kohler G., Rigozzi A.*, International Arbitration, Law and Practice in Switzerland, Oxford University Press, Oxford, 2015, 337.

<sup>60</sup> *Kaufmann-Kohler G., Rigozzi A.*, International Arbitration, Law and Practice in Switzerland, Oxford University Press, Oxford, 2015, 335.

<sup>61</sup> *Rubino-Samartano M.*, International Arbitration Law and Practice, JurisNet, Huntington, 2014, 976.

და კომბინირებულადაც. სავსებით შესაძლებელია რომელიმე მათგანმა შეასრულოს მეორეს შემავსებელი და დამხმარე ფუნქცია.<sup>62</sup>

კარგი იქნებოდა სასამართლო პრაქტიკით დამკვიდრდეს მიდგომა, რომლის თანახმადაც მხარემ უნდა დაასაბუთოს არა მხოლოდ უზრუნველყოფის ზომების მიღების აუცილებლობა, არამედ ისიც, თუ რატომ არის შეუძლებელი ანალოგიური ზომების მიღება საარბიტრაჟო ტრიბუნალისაგან ან უშუალოდ საარბიტრაჟო ინსტიტუტისაგან (ემერჯენსი არბიტრის შემთხვევაში).

უზრუნველყოფის ზომის გამოყენების შემდეგ სავსებით შესაძლებელია არბიტრაჟმა მიიღოს გადაწყვეტილება რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს. უზრუნველყოფის ზომის მიღების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება შუამდგომლობის ავტორს მხოლოდ მაშინ მოეთხოვება, თუ მისთვის ეს ზიანი წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს მისი ბრალეული ქმედების შედეგს. ავტომატურ რეჟიმში პასუხისმგებლობა არ დადგება და არც ზიანი ანაზღაურდება.<sup>63</sup>

### საბოლოო შეფასება

საარბიტრაჟო განხილვისას გამოყენებული უზრუნველყოფის ზომების წარმოდგენილი ანალიზი იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პოზიციები და პასუხი გაეცეს იმ კითხვებს, რაც გადაწყვეტილების კრიტიკული ანალიზისას ჩნდება.

### იყო თუ არა უფლებამოსილი ქართული სასამართლო ემსჯელა საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებული უზრუნველყოფის ზომების გამოყენებაზე?

პრაქტიკისა და დოქტრინის მიმოხილვამ ცხადყო, რომ ამ კითხვაზე პასუხი დადებითია და მოქმედი კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ არა მხოლოდ შესაბამისობაშია საერთაშორისო ტენდენციებთან, არამედ ზოგიერთ სხვა მართლწესრიგთან შედარებით გაცილებით ეფექტურად და პროგრესულადაც კი გამოიყურება.

საგულისხმოა, რომ აშშ-ის სასამართლო პრაქტიკაში დაფიქსირდა ქართულის მსგავსი შემთხვევა, როდესაც ქვემდგომმა სასამართლომ სწორად ვერ შეაფასა სიტუაცია და ზემდგომს მოუწია დაშვებული შეცდომების გამოსწორება.

ამერიკული კომპანია white გერმანულ კომპანია sauer-ს დაჰპირდა გარკვეული ტექნიკური მოწყობილობების გაყიდვისა და მასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების (ლიცენზიის) გადაცემას. მოგვიანებით white-მა დაიწყო მოლაპარაკებები მთელი თავისი აქტივების გასხვისების მიზნით. Sauer-მა მიმართა არბიტრაჟს და ამავე დროს ილინოისის სასამართლოს სთხოვა მიეღო უზრუნველყოფის

<sup>62</sup> *Reisman M.W., Craig W.L., Park W.W., Paulsson J.*, International Commercial Arbitration, Cases, Materials and Notes on the Resolution of International Business Disputes, Foundation Press, St. Paul, 2015, 611.

<sup>63</sup> *Rubino-Samartano M.*, International Arbitration Law and Practice, JurisNet, Huntington, 2014, 977.

ზომა და აეკრძალა მოპასუხისათვის დავის დასრულებამდე შესაბამისი უფლებებისა და ლიცენზიის სხვა პირისათვის გადაცემა. ილინოისის სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, თუმცა მოგვიანებით მეშვიდე ოლქის ფედერალურმა სააპელაციო სასამართლომ შეცვალა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა white-ს არგუმენტი, რომ sauer-თან დადებული ხელშეკრულება ბათილი იყო და სასამართლოს არ უნდა მიეღო უზრუნველყოფის ზომა სანამ ამ ხელშეკრულებით ბათილობის საკითხს არ გაარკვევდა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საარბიტრაჟო შეთანხმების ავტონომიურობაზე და ხაზი გაუსვა, რომ ძირითადი ხელშეკრულების ბათილობაზე მსჯელობის კომპეტენცია გადაცემული ჰქონდა არბიტრაჟს, რაც გამორიცხავდა ამ საკითხის სასამართლოს მიერ გადაწყვეტას. მეორე მხრივ სასამართლომ ჩათვალა, რომ მისი მხარდაჭერა გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით აუცილებელი იყო და დააკმაყოფილა sauer-ის მოთხოვნა.<sup>64</sup>

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ზემდგომი ამერიკული სასამართლოს მსგავსად არსებითად სწორად გაართვა თავი სააპელაციო სასამართლოს შეცდომების გამოსწორებას და დასაბუთებული გადაწყვეტილება მიიღო.

### **რამდენად მაღალია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტი?**

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, უმჯობესი იქნება ქართულმა სასამართლოებმა გაზარდონ დასაბუთებულობის ხარისხი, და ეძებონ არგუმენტები არა მხოლოდ უზრუნველყოფის ზომების გამოყენების დასაშვებობის თვალსაზრისით. კერძოდ ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზეც, თუ რატომ იქნება სასამართლოს ჩარევა მოცემულ შემთხვევაში ყველაზე მისაღები და ეფექტური.

ამავე დროს, სასამართლომ უარი არ უნდა თქვას უკვე მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლაზე ან გაუქმებაზე, თუ წარმოდგენილი მტკიცებულებები და შეცვლილი გარემოებები ამის სასარგებლოდ მეტყველებენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უზრუნველყოფის ზომების ეფექტურობის მაქსიმალური გაზრდის მიზნით სასამართლოს უნდა ჰქონდეს საკუთარი დახმარების შეთავაზების ფართო შესაძლებლობა, სურვილი და ინტერესი.

### **რამდენად შეუძლია სასამართლოს არბიტრაჟის მიერ მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა ან გაუქმება და პირიქით?**

ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი საერთაშორისო პრაქტიკასა და დოქტრინაში არ არსებობს, თუმცა საკმაოდ დეტალურად არის შესწავლილი და იდენტიფიცირებული ის რისკები, რაც კომპეტენციათა კონფლიქტს მოჰყვება.

---

<sup>64</sup> *Reisman M.W., Craig W.L., Park W.W., Paulsson J.*, International Commercial Arbitration, Cases, Materials and Notes on the Resolution of International Business Disputes, Found International Commercial Arbitration, Cases, Materials and Notes on the Resolution of International Business Disputes, Foundation Press, St. Paul, 2015, 618-619.

არბიტრაჟი და სასამართლო მაქსიმალურად თავშეკავებულად და ფრთხილად უნდა მიუდგნენ ერთმანეთის უფლებამოსილებაში ჩარევის საკითხს, თუმცა თუ რომელიმე მათგანის დესტრუქციული დამოკიდებულება აშკარაა, მეორეს უნდა ეყოს კომპეტენცია და პროფესიონალიზმი, რომ აღკვეთოს ასეთი ქმედება. ერთიანი და უნივერსალური კრიტერიუმის ჩამოყალიბება ამ შემთხვევაში შეუძლებლად ჩანს. ამიტომ თითოეული პრობლემური შემთხვევა ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს.

### **როგორია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების ზოგადი შეფასება?**

შეიძლება გადაჭარბების გარეშე ითქვას, რომ უზენაესმა სასამართლომ არსებითად სწორად გაართვა თავი დაკისრებულ ამოცანას და შექმნა პრეცედენტი, რომელიც საქართველოს წარმოაჩენს, როგორც არბიტრაჟისადმი მეგობრულად განწყობილ მართლწესრიგს.

## გიორგი ცერცვაძე

უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება  
ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი

საქმე № ა-2344-ს-67-2014\*

[უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება]

### საკვანძო მუხლი

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლი. ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 მუხლი.

### ფაქტები

*განხილვის საგანი* – გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს - რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციულ საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება.

რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციულ საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით შპს „ჯ-ს“ დაეკისრა დახურული სააქციო საზოგადოება „მ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების 2841247,30 რუბლის, სხვისი ფულადი სახსრებით სარგებლობისათვის პროცენტის 279 163,34 რუბლის, ასევე მოსარჩელის მიერ გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის - 339 020 რუბლის გადახდა.

### განმცხადებლის არგუმენტაცია

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა დსს „მ-ის“ წარმომადგენლებმა და მოითხოვა ზემოაღნიშნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება. შუამდგომლობას თან ერთვის მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება და საარბიტრაჟო შეთანხმება, ასევე საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება, თარგმანი და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

---

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ჯეი ენდ თი ქონსალთინგის მმართველი პარტნიორი, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის აკადემიური დირექტორი.

\*\* საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 22 ოქტომბრის განჩინება.

განცხადების ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ მოპასუხე საქმის განხილვაში არ მონაწილეობდა, მაგრამ გაფრთხილებული იყო კანონით დადგენილი წესით.

### **მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტაცია**

შპს „ჯ-მა“ წარმოადგინა შეპასუხება, გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის მოთხოვნით. მხარის მტკიცებით, გადაწყვეტილება მიღებულია რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს რეგლამენტის უხეში დარღვევით. საქმის წარმოების პროცესში არაერთხელ მიმართეს საარბიტრაჟო სასამართლოს და აცნობეს, რომ საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 28 აგვისტოს დადგენილებით საქართველოსა და რუსეთს შორის გაწყვეტილი იყო დიპლომატიური ურთიერთობა. რუსეთის ფედერაციის მხრიდან მოქმედებდა საქართველოს მოქალაქეებისათვის ვიზის გაცემის ცალმხრივი შეზღუდვა, რაც შეუძლებელს ხდიდა საქმის განხილვაში მონაწილეობას.

### **გადაწყვეტილება**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, იგი შესასრულებლად სავალდებულოა და სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში უნდა აღსრულდეს ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით. საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით უფლებამოსილ სასამართლოდ ითვლება საქართველოს უზენაესი სასამართლო.

იმავე კანონის 45.1. (ა.გ) მუხლის თანახმად, იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე მხარეს შეიძლება უარი ეთქვას, თუ მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მიმართავს სარჩელით სასამართლოს და დაამტკიცებს, რომ მხარე არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვა საპატიო მიზეზების გამო ვერ მიიღო მონაწილეობა საარბიტრაჟო განხილვაში.

მოცემულ შემთხვევაში, უზენაესი სასამართლოს განხილვის საგანია რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციულ საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.

მოპასუხის მიერ წარმოდგენილი შეპასუხებით და თანდართული მასალებით ირკვევა, რომ საქმის განხილვის დროს მოპასუხემ არაერთხელ აცნობა საარბიტრაჟო სასამართლოს საქმის განხილვაზე დასწრების შეუძლებლობის თაობაზე, რაც გათვალისწინებული არ იქნა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხის მიერ მითითებული გარემოებები სინამდვილეს შეესაბამება, კერძოდ, საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 28 აგვისტოს დადგენილებით „რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ“ საქართველოსა და რუსეთს შორის გაწყვეტილი იყო დიპლომატიური ურთიერთობა. საქმის განხილვის დროისათვის რუსეთის ფედერაციის მხრიდან მოქმედებდა საქართველოს მოქალაქეებისათვის ვიზის გაცემის ცალმხრივი შეზღუდვა, რის გამოც, მხარეს ობიექტურად არ შეეძლო საქმის განხილვაში მონაწილეობა მიეღო.

„არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 45.1(ბ.ბ) მუხლის თანახმად იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე მხარეს შეიძლება უარი ეთქვას.

თუ სასამართლო დაადგენს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მასალებით და თავად საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ მოპასუხემ არაერთხელ მიმართა სასამართლოს საქმის განხილვის შეწყვეტის მოთხოვნით. საარბიტრაჟო სასამართლომ კი, ამ შუამდგომლობაზე არ იმსჯელა მხოლოდ იმიტომ, რომ, მისი მტკიცებით, იგი დაყენებული უნდა ყოფილიყო არბიტრების დანიშვნამდე. საყურადღებოა, რომ საარბიტრაჟო სასამართლომ შპს „ჯ-ს“ „მ-ის“ საარბიტრაჟო სარჩელი 2013 წლის 4 ივლისს გამოუგზავნა და იმავე შეტყობინებით აცნობა მოსარჩელის მიერ არბიტრების დანიშვნის თაობაზე, რის პასუხადაც მოპასუხემ, რეგლამენტის შესაბამისად, საქმის წარმოების შეწყვეტა მოითხოვა, როგორც უკვე აღინიშნა, სასამართლომ არ იმსჯელა ამ შუამდგომლობის საფუძვლიანობის თაობაზე იმ მიზეზით, რომ არბიტრების დანიშვნამდე არ იყო წარდგენილი, ანუ, პრაქტიკულად, სასამართლომ მოპასუხეს მოსთხოვა, რომ შუამდგომლობა დაეყენებინა მანამ, სანამ მისთვის საერთოდ ცნობილი გახდებოდა საარბიტრაჟო სარჩელის შეტანის თაობაზე, რაც ეწინააღმდეგება სალ აზრს და სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ ძირითად სამართლებრივ გარანტიებს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძოსამართლებრივი დავების განხილვისას მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი პირის სასამართლოსთან ურთიერთობის ქვაკუთხედი და მისი კანონიერი ინტერესების დაცვის შესაძლებლობის უზრუნველყოფის გარანტი, მიუხედავად იმისა, დავას არბიტრაჟი განიხილავს თუ საერთო სასამართლოები. ამ პრინციპის დარღვევით მიღებული გადაწყვეტილება კი, საჯარო წესრიგის საწინააღმდეგოდ უნდა იქნეს მიჩნეული.

მოცემულ შემთხვევაში, დავა განხილულია მხარის მონაწილეობის გარეშე, ისეთ პირობებში, როდესაც მას ობიექტურად არ შეეძლო საარბიტრაჟო საქმის განხილვის ადგილას გამოცხადება, გარდა ამისა, სასამართლომ არ იმსჯელა მხარის მიერ დაყენებულ შუამდგომლობებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ დარღვეულია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი, შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლო რუსეთის ფედერაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციულ საარბიტრაჟო სასამართლოს 2014 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებას საქართველოს ტერიტორიაზე არ ცნობს.

## ანალიზი

### სასამართლო გადაწყვეტილების მნიშვნელობა პრაქტიკისთვის

დრომ და გამოცდილებამ დაადასტურა, რომ საერთაშორისო არბიტრაჟი ბიზნესში წარმოშობილი დავების გადაწყვეტის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მექანიზმია. იმ ხელშეკრულებების რაოდენობა, სადაც პოტენციური დავის განხილვას მხარეები არბიტრებს ანდობენ - განუხრელად იზრდება.<sup>1</sup>

საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე იერიშის მისატანად საერთაშორისო პრაქტიკაში ყველაზე ხშირად საპროცესო დარღვევებზე მიუთითებენ ხოლმე, თუმცა სტატისტიკა ადასტურებს, რომ სასამართლოები არც თუ ხშირად იზიარებენ მხარეთა პრეტენზიებს. ნიუ იორკის კონვენციის კომენტატორების მიერ მსოფლიო მასშტაბით შესწავლილი 136 გადაწყვეტილებებიდან ირკვევა, რომ მხოლოდ 10% შემთხვევებში ჩათვალა სასამართლომ საპროცესო დარღვევებთან დაკავშირებული პრეტენზია დასაბუთებულად.<sup>2</sup>

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება პრეცედენტულია ქართული მართლმსაჯულებისათვის და იმ ორიენტირებს განსაზღვრავს, რომელსაც მომავალში სასამართლო პრაქტიკა უნდა დაემყაროს.

### საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები და მათი ურთიერთმიმართება

#### ცნობისა და აღსრულების სამართლებრივი შინაარსი

ტერმინები „ცნობა“ და „აღსრულება“ თანაბრად გამოიყენება როგორც სასამართლო, ასევე საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიმართ. სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსიდან გამომდინარე, ზოგჯერ საკმარისია მისი მხოლოდ ცნობა (მაგალითად, ქორწინების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება ან გადაწყვეტილება პირის გარდაცვლილად აღიარების შესახებ) ან აუცილებელია როგორც ცნობა, ასევე აღსრულება. უცხოური სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ითვლება იძულებითი აღსრულების აუცილებელ პირობად. . . ცნობის ინსტიტუტი გულისხმობს, რომ სახელმწიფო აცხადებს თანხმობას, მოცემული სასამართლო აქტის მიერ მისი იურისდიქციის ფარგლებში იურიდიული შედეგების წარმოშობაზე. იძულებითი აღსრულების დროს სახელმწიფოსგან მოითხოვება სახელმწიფოებრივი იძულების მექანიზმის, თანამდებობის პირების და ნაციონალური სამართლის სუბიექტების მოქმედებაში მოყვანა, გადაწყვეტილებით განსაზღვრული იძულების ზომების

<sup>1</sup> *Carbonneau T.E., Buttler W.E.*, International Litigation and Arbitration, Cases and Materials, 2<sup>nd</sup> ed., , American Casebook Series, West, San Paul, 2013, 731.

<sup>2</sup> *Jana A., Armer A., Klain Kranenberg J.*, Article V(1) (b): *Kronke H., Nacimiento P., Dirk O., Port. N.C.* (eds.), Recognition and Enforcement of Arbitral Awards, A Global Commentary on The New York Convention, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2010, 232.

რეალიზაციისათვის. ამ მიზნით, როგორც წესი, ჩვეულებრივ ითხოვენ უფრო მეტს, ვიდრე ეს საჭიროა გადაწყვეტილებათა მხოლოდ ცნობისათვის.

ნიუ იორკის კონვენციის რბილი ფორმულირება, რომელიც სასამართლოს აძლევს “შესაძლებლობას” (და არ აკისრებს ვალდებულებას) უარი თვას ცნობასა და აღსრულებაზე აბსოლუტურ დისკრეციას აძლევს მართლმსაჯულებას. ცალკეული სახელმწიფოების სასამართლოები ვალდებულნი არ არიან თქვან ცნობასა და აღსრულებაზე უარი მაშინაც კი როდესაც ზემოაღნიშნული საფუძვლებიდან ერთერთი, ან თუნდაც რამდენიმე სახეზეა. ეს მათი უფლებაა და არა ვალდებულება.<sup>3</sup>

ცნობის თვალსაზრისით უცხოური სასამართლო გადაწყვეტილება არ მოიაზრება ერთგვაროვან, ერთიან აქტად. პირიქით, ის შეიძლება შეიცავდეს რამდენიმე კონკრეტულ გადაწყვეტილებას, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული, სამართლებრივი ბედი. სარჩელთა სუბიექტური და ობიექტური სიმრავლისას, განსაკუთრებით შეგებებული სასარჩელო მოთხოვნების არსებობისას, შესაძლებელია გადაწყვეტილების ცნობა ერთერთი მოთხოვნის ნაწილში და უარის თქმა მეორე მოთხოვნაზე. მაგალითად, ცნობაზე კომპეტენციის არარსებობის მოტივით, ან საჯარო წესრიგის შესახებ დათქმაზე მითითებით.<sup>4</sup>

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება გაცილებით უფრო მარტივი პროცესია, ვიდრე სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება. სახელმწიფოების უმრავლესობა უფრო ლიბერალურად ეკიდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების საკითხს. ეს მაშინ, როცა პირველი კერძო პირების მიერ არის მიღებული. მეორე კი - სასამართლო ხელისუფლების ორგანოების მიერ. ეს ფაქტი ლიტერატურაში “არბიტრაჟის პარადოქსის” სახით მოიხსენიება.<sup>5</sup>

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა განიმარტება, როგორც სასამართლოს დასტური, რომ ეს გადაწყვეტილება არის საბოლოო და სავალდებულო მხარეებისათვის. ის განიხილება, როგორც აღსრულების სამართლებრივი წინაპირობა.<sup>6</sup>

ცნობა ნიშნავს იმის დადასტურებას, რომ უცხოურ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას აქვს იგივე იურიდიული ძალა, რაც შიდა გადაწყვეტილებას. ცნობასთან ერთად სასამართლო აქვეყნებს ამ გადაწყვეტილებას. ცნობის საფუძველზე სასამართლო ადასტურებს გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობას. როგორც წესი, მითითება ცნობასა და აღსრულებაზე ერთ გადაწყვეტილებაში ხდება. ამის შემდეგ აღსრულებაზე კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს შეუძლიათ აღასრულონ გადაწყვეტილება დამარცხებული მხარის წინააღმდეგ.<sup>7</sup>

---

<sup>3</sup> *Maurer A.G.*, The Public Policy Exception Under The New York Convention, Juris, Huntington (New York), 2012, 61.

<sup>4</sup> *Schack H.*, Internationales Zivilverfahrensrecht, 2. Neubearbeitete auflage, München, 1996, 491.

<sup>5</sup> *Kaufmann-Kohler G., Schultz T.*, Online dispute resolution, Challenges for contemporary Jusitce, International arbitration law library, Kluwer law international., Alphen aan den Rijn, 2004, 216.

<sup>6</sup> *Berger, K. P.*, Private dispute resolution in international business negotiation, mediation, arbitration, volume I, case study, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2006, 169.

<sup>7</sup> *Berger, K.P.*, Private dispute Resolution in International Business Negotiation, Mediation, Arbitration, Vol. II, case study, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2006, 593.

ზოგჯერ ერთმანეთისაგან განასხვავებენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობას (Recognition) ამ გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევას (Enforcement) და უშუალოდ აღსრულებას (Execution). ცნობა (Recognition) წარმოადგენს ფორმალურ დადასტურებას, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულოა მხარეებისათვის. მისი ძირითადი ფუნქციაა ე.წ. Res Judicata სამართლებრივი შედეგის დაფიქსირება, რომელიც გულისხმობს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით მოცული საკითხები არ შეიძლება კვლავ გახდეს სასამართლო, ან საარბიტრაჟო განხილვის საგანი. გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევა (Enforcement) გულისხმობს სასამართლოს მიერ იმის დადასტურებას, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება იძულებით იქნეს აღსრულებული. ICSID-ის მიზნებისათვის ცნობისა და აღსრულების ერთმანეთისაგან გამოყოფა არ ხდება და ისინი იდენტურ სამართლებრივ შედეგებთან არიან დაკავშირებულნი. აღსრულება (Execution) გულისხმობს შესაბამისი სააღსრულებო მოქმედებების განხორციელებას, რომელსაც, როგორც წესი, აუცილებლად სჭირდება იმ ადგილის სასამართლოს სამართლებრივი მხარდაჭერა, სადაც უნდა აღსრულდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.<sup>8</sup>

როგორც წესი, პრაქტიკაში მხარეები გადაწყვეტილების აღსრულებას ითხოვენ, რაც თავისთავად მის ცნობასაც გულისხმობს, თუმცა გადაწყვეტილების ცნობა აღსრულების გარეშეც არის შესაძლებელი.<sup>9</sup>

გერმანული, დოქტრინა და პრაქტიკა ერთმანეთისაგან განასხვავებს უცხოური გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას. აღსრულებაში იგულისხმება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევა. თვით აღსრულება კი ე.წ. მესამე ნაბიჯია ამ გზაზე.<sup>10</sup> პირველია თვით გადაწყვეტილების გამოტანა, მეორე - მისი აღსასრულებლად მიქცევა და მესამე - უშუალოდ აღსრულება.

უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა შვეიცარულ დოქტრინაში განმარტებულია, როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღიარება შვეიცარიის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებად. ცნობის შემდეგ უცხოურ გადაწყვეტილებას შვეიცარიის ტერიტორიაზე მოჰყვება იგივე სამართლებრივი შედეგი, რაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, რომელიც შვეიცარიაშია გამოტანილი.<sup>11</sup>

### საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის სამართლებრივი რეგულირება

---

<sup>8</sup> *Reed L., Paulson J., Blackaby N.*, Guide to ICSID arbitration, Kluwer Law International, The Hague, 2004, 95.

<sup>9</sup> *Sanders P.*, The work of UNCITRAL on arbitration and conciliation second and expanded edition, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2004, 133,

<sup>10</sup> *Steinbach J.*, Anerkennung und Vollstreckung ausländischer Urteile und Schiedssprüche in der Russischen Föderation Tübinger Schriften zum internationalen und europäischen recht Duncker & Humblot, Berlin, 2003, 65-66.

<sup>11</sup> *Josi C.*, Die Anerkennung und Vollstreckung der Schiedssprüche in der Schweiz, unter berücksichtigung der staatsverträge, des eidgenössischen Rechts, der kantonalen Konkordate sowie der bernischen Zivilprozessordnung, Abhandlungen zum schweizerischen Recht, Herausgegeben von Professor Dr. Heinz Hausheer, Stämpfli, Bern, 2005, 8.

საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება განსაკუთრებული მნიშვნელობის პროცედურაა. კონკრეტული სამართლებრივი თუ ეკონომიკური შედეგი მხარეებისათვის მხოლოდ აღსრულების შემდეგ შეიძლება დადგეს.

ხშირად მხარე ნებაყოფლობით ასრულებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას და ამას აქვს თავისი ობიექტური მიზეზები: 1. მას არ სურს საკუთარი რეპუტაცია ეჭვის ქვეშ დააყენოს იმით, რომ არ ემორჩილება სამართლებრივად ნამდვილ და იურიდიული ძალის მქონე გადაწყვეტილებას. 2. საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების მოქნილი სისტემა მაინც უზრუნველყოფს ამ გადაწყვეტილების აღსრულებას.<sup>12</sup>

არბიტრაჟი შეიძლება კრედიტორისათვის იყოს სათანადო ინსტანცია სარჩელის წარსადგენად, მაგრამ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება აღსრულება მხოლოდ სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მიერ, ვის კომპეტენციაშიც შედის იძულებითი აღსრულება.<sup>13</sup>

ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ უნივერსალური საერთაშორისო სამართლებრივ აქტია. ამ კონვენციის წევრ სახელმწიფოთა რიცხვი მსოფლიო მასშტაბით 120-ზე მეტია.<sup>14</sup>

კონვენციის მესამე მუხლი განამტკიცებს გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების ზოგად პრინციპს, რომლის თანახმადაც ყველა ხელშემკვრელი სახელმწიფო აღიარებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, როგორც სავალდებულოს და აღსრულებს მას ამ კონვენციის სათანადო მუხლების გათვალისწინებით და იმ ტერიტორიის საპროცესო ნორმების შესაბამისად, სადაც მოითხოვება ამ გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება. იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულებისას, რომელთა მიმართაც გამოიყენება ეს კონვენცია – არ შეიძლება დაწესებულ იქნას არსებითად უფრო მეტი დამაბრკოლებელი პირობები, ან უფრო მაღალი ბაჟი, ვიდრე შიდა გადაწყვეტილებების აღსრულებისას. ამგვარად, ყველა სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის იგივე რეჟიმი, რომელიც მას დადგენილი აქვს ე.წ. „შიდა“ გადაწყვეტილებებისათვის, რაც აღსრულების მექანიზმის ეფექტურობას განაპირობებს.<sup>15</sup>

კონვენციით ასევე მოწესრიგებულია აღსრულების პროცედურის ძირითადი ასპექტები, რომელიც საერთო უნდა იყოს ყველა მონაწილე სახელმწიფოსათვის. მხარემ, რომელიც მოითხოვს გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას, ასეთ მოთხოვნასთან ერთად უნდა წარადგინოს: ა) დადგენილი წესით დამოწმებული ნამდვილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ან ასეთივე წესით დამოწმებული მისი ასლი. ბ) ნამდვილი საარბიტრაჟო

<sup>12</sup> *Berger K.P.*, Private dispute resolution in international business negotiation, mediation, arbitration, volume II case study, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2006, 594,

<sup>13</sup> *ASA Bulletin*, Volume 23, № 1, Kluwer law international, Alphen aan den Rijn, 2005, 684.

<sup>14</sup> *Liniger S.*, Immaterialgüterrechtliche Streitigkeiten vor internationalen Schiedsgerichten mit sitz in der Schweiz Schriften zum Medien- und Immaterialgüterrecht Stämpfli Verlag, Bern, 2002, 114.

<sup>15</sup> *Sanders P.*, The work of UNCITRAL on arbitration and Conciliation, second and expended edition Kluwer law international, Alphen aan den Rijn, 2004, 276.

შეთანხმება, ან დადგენილი წესით დამოწმებული მისი ასლი. თუ საარბიტრაჟო შეთანხმება, ან გადაწყვეტილება შედგენილია არა იმ სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე, სადაც მოითხოვება ამ გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, მაშინ მხარე, რომელიც ითხოვს გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას – წარადგენს ზემოაღნიშნული დოკუმენტების თარგმანს შესაბამის ენაზე. თარგმანი მოწმდება ოფიციალური თარჯიმნის, დიპლომატიური, ან საკონსულო დაწესებულების მიერ. (მუხლი IV).<sup>16</sup>

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება ზედმეტი გართულებებისა და გაჭიანურების გარეშე მოხდება, თუ მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია გადაწყვეტილება არ მოითხოვს გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმას.<sup>17</sup>

---

<sup>16</sup> *Sanders P.*, The work of UNCITRAL on arbitration and Conciliation, second and expended edition Kluwer law international, Alphen aan den Rijn, 2004, 276.

<sup>17</sup> საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარი დაიშვება იმ მხარის მოთხოვნით, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია ეს გადაწყვეტილება, თუ ეს მხარე იმ ადგილის კომპეტენტურ ხელისუფლებას, (ე.ი სასამართლოს) სადაც მოითხოვება გადაწყვეტილების აღსრულება, წარუდგენს მტკიცებულებებს, რომ: ა) საარბიტრაჟო განხილვის მხარეები ქმედუუნარონი იყვნენ იმ კანონის შესაბამისად, რომელიც მათ მიმართ უნდა იქნეს გამოყენებული, ან მათი შეთანხმება არ არის ნამდვილი იმ კანონის მიხედვით, რომელსაც მხარეებმა ეს შეთანხმება დაუქვემდებარეს, ხოლო ასეთი კანონის არარსებობისას – იმ სახელმწიფოს კანონის თანახმად, სადაც გადაწყვეტილება იყო გამოტანილი. ბ) მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია გადაწყვეტილება, არ იყო სათანადო წესით გაფრთხილებული არბიტრის დანიშვნის, ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ, ან სხვა მიზეზის გამო არ შეეძლო წარედგინა თავისი ახსნაგანმარტება. გ) გადაწყვეტილება გამოტანილია დავაზე, რომელიც გათვალისწინებული არ არის საარბიტრაჟო შეთანხმებით, არ თავსდება ასეთი შეთანხმების, ან ხელშეკრულებაში ჩართული საარბიტრაჟო დათქმის პირობებში, აგრეთვე, თუ გადაწყვეტილება შეიცავს დადგენილებებს საარბიტრაჟო შეთანხმების (ხელშეკრულებაში ჩართული საარბიტრაჟო დათქმის) ფარგლებს გარეთ არსებულ საკითხებზე, იმის გათვალისწინებით, რომ თუ საარბიტრაჟო შეთანხმებით ან დათქმით მოცულ საკითხებზე გამოტანილი დადგენილებები შეიძლება გამოყოფილ იქნეს მის ფარგლებს გარეთ არსებულ საკითხებზე მიღებული დადგენილებებისაგან, მაშინ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელიც ზემოაღნიშნული დათქმის, ან შეთანხმების ფარგლებშია, შეიძლება ცნობილ და აღსრულებულ იქნას. (საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელიც სცილდება მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს, რაც წარმოადგენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების, ან მის ცნობაზე და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველს ხშირად მოიხსენიება, როგორც *Ultra petita* მისი საწინააღმდეგოა *Infra Petita*. იხ. *Berger K. P.*, Private dispute resolution in international business negotiation, mediation, arbitration, volume I case study Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2006, 172. ) დ) არბიტრაჟის შემადგენლობა, ან საარბიტრაჟო პროცესი არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთის არარსებობისას იმ ქვეყნის კანონს, სადაც ადგილი ჰქონდა არბიტრაჟს. ე) გადაწყვეტილება გაუქმებულია, გამოტანილი არ არის საბოლოო გადაწყვეტილება, მისი აღსრულება შეჩერებულია იმ სახელმწიფოს კომპეტენტური ხელისუფლების მიერ, სადაც ის გამოტანილია, ან იმ სახელმწიფოს მიერ, რომლის კანონიც გამოიყენება.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე შეიძლება აგრეთვე უარი ითქვას, თუ იმ სახელმწიფოს კომპეტენტური ხელისუფლება, სადაც მოითხოვება გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, ჩათვლის, რომ: ა) დავის ობიექტი ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის თანახმად არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი, ან გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ეწინააღმდეგება ამ სახელმწიფოს საჯარო წესრიგს. (მუხლი V) *Sanders P.*, The work

სასამართლო ვალდებული არ არის უარი თქვას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე კონვენციის შესაბამის მუხლში მითითებული ერთერთი საფუძვლის არსებობისას, არამედ უფლება აქვს ასე მოიქცეს.<sup>18</sup>

ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ნიუ-იორკის კონვენციით გათვალისწინებული საფუძვლები უცვლელად არის გადატანილი მოდელური კანონის 36-ე მუხლში. შესაბამისად, იმ სახელმწიფოების მიერ, რომლებმაც მიიღეს კანონები მოდელური კანონის მიხედვით და არიან ნიუ-იორკის კონვენციის მონაწილენი, ფაქტიურად მიღწეულია ერთიანი მიდგომა გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით.<sup>19</sup> 2010 წლის 1 იანვრიდან ამ სახელმწიფოთა რიცხვს საქართველოც შეუერთდა.

ამგვარად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების, ცნობისა და აღსრულების სახით წარმატებით მოქმედებს ე.წ. Second Look Doctrine, რომლის თანახმადაც საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ექვემდებარება ორმაგ სასამართლო კონტროლს: 1. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც არის გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, უფლებამოსილია გააუქმოს ეს გადაწყვეტილება. 2. კონტროლის საშუალებას წარმოადგენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების ნიუ-იორკის კონვენციით გათვალისწინებული მოწესრიგება.<sup>20</sup>

### **Favor Arbitri**

ნიუ-იორკის კონვენცია არ უკრძალავს სახელმწიფოებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების სფეროში სხვა ორმხრივ თუ მრავალმხრივ ხელშეკრულებებში მონაწილეობას. კონვენცია ასევე არ ართმევს დაინტერესებულ მხარეს უფლებას ისარგებლოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასთან დაკავშირებული ყველა იმ უფლებით, რომელსაც მას ანიჭებს იმ სახელმწიფოს კანონმდებლობა, სადაც მოითხოვება გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.<sup>21</sup>

ნიუ-იორკის კონვენციის ზემოაღნიშნული მუხლი (მუხლი 7) ლიტერატურაში მოიხსენიება, როგორც Favor Arbitri.<sup>22</sup>

---

of UNCITRAL on arbitration and Conciliation, second and expanded edition Kluwer law international, Alphen aan den Rijn, 2004, 276-277.

<sup>18</sup> *Карабельников Б.Р.*, Признание и приведение в исполнение иностранных арбитражных решений, Москва, 2001, 141.

<sup>19</sup> 2010 წლის პირველი იანვრიდან საქართველო ასევე მიეკუთვნება იმ სახელმწიფოთა რიცხვს, ვინც მოდელური კანონი გაიზიარა.

<sup>20</sup> *Berger K. P.*, Private dispute resolution in international business negotiation, mediation, arbitration, volume I, case study, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2006, 170.

<sup>21</sup> *Sanders P.*, The work of UNCITRAL on arbitration and Conciliation, 2<sup>nd</sup> and ed., Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2004, 277.

<sup>22</sup> *Liebscher C.*, The Healthy Award Challenge in International Commercial Arbitration International Arbitration Law Library Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2003, 10 .

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საკითხის განხილვისას სასამართლოები საკმაოდ აქტიურად იყენებენ Favor Arbitri-ის პრინციპს. მაგალითად, ნიუ-იორკის კონვენციის მე-4 მუხლი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისათვის სავალდებულოდ მიიჩნევს იურიდიულად ნამდვილი საარბიტრაჟო შეთანხმების წარდგენას, თუმცა სახელმწიფოები შიდა კანონმდებლობის გავლენით ამ მოთხოვნას სავალდებულოდ არ მიიჩნევენ. 2000 წელს მხარემ ბავარიის ლანდის უმაღლეს სასამართლოში მოითხოვა რუსეთში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ნიუ-იორკის კონვენციის შესაბამისად, ისე რომ საარბიტრაჟო შეთანხმება არ წარუდგენია. დაეყრდნო რა ნიუ-იორკის კონვენციის მე-7 მუხლს, სასამართლომ გამოიყენა გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1064-ე მუხლი, რომელიც ითხოვს მხოლოდ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების, ან მისი დამოწმებული ასლის წარდგენას და გამოიტანა გადაწყვეტილება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ.<sup>23</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით მიმართვისას საარბიტრაჟო შეთანხმებაზე აქცენტი თითქმის არ კეთდება. როგორც წესი, სასამართლოს წარედგინება ხოლმე არა მხოლოდ გადაწყვეტილება, არამედ საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებული მასალებიც. თუ გავითვალისწინებთ, რომ საარბიტრაჟო შეთანხმებები ძირითადი ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილებად გვევლინებიან ხოლმე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხელშეკრულებისა და საქმის მასალების წარდგენასთან ერთად, საარბიტრაჟო შეთანხმებაც წარდგენილად მიიჩნევა. მართალია, უზენაესი სასამართლო ნიუ-იორკის კონვენციის მე-7 მუხლზე არ უთითებს, თუმცა მის მიდგომა თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს Favor Arbitri-ს ერთერთ გამოვლინებად.

#### **არაჯეროვანი ინფორმირებულობა, როგორც უარის თქმის საფუძველი.**

არბიტრაჟის შესახებ კანონის 45-ე მუხლის პირველი ნაწილის ა.ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი ისეა ფორმულირებული, რომ მისი რამდენიმე პირობით ნაწილად დაყოფა შეიძლება. ამავე დროს არ შეიძლება იმ ფაქტის იგნორირება, რომ ეს ნაწილები კორელაციაში არიან ერთმანეთთან და ერთმანეთისგან გამომდინარეობენ. მაგალითად, როდესაც საუბარია მხარის არაჯეროვანი ინფორმირებულობაზე, ეს პირდაპირ კავშირშია მის შესაძლებლობასთან წარმოადგინოს საკუთარი ინტერესები და დაცვას თავისი უფლებები. თუ ვერ მოხდა ჯეროვანი ინფორმირება, ვერც უფლებების დაცვა გახდება შესაძლებელი. მეორე მხრივ, ერთმანეთისაგან გამოყოფილი ამ საფუძველების იდენტურობის მტკიცება გადაჭარბებული იქნებოდა. ზემოაღნიშნული მსჯელობა პირიქითაც იგივე წარმატებით არ იკითხება. შესაძლოა მხარე სათანადოდ იყოს გაფრთხილებული პროცესის შესახებ და მიღებული ჰქონდეს ყველა დოკუმენტი, მაგრამ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა შექმნას სხვა

---

<sup>23</sup> Sanders P., The work of UNCITRAL on Arbitration and Conciliation 2<sup>nd</sup> and expanded ed. Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2004,134.

ბარიერები რაც გამორიცხავს მისი მხრიდან საკუთარი პოზიციის წარმოდგენისა და ინტერესების დაცვის შესაძლებლობას.

საარბიტრაჟო განხილვის მხარეს უნდა მიეცეს პროცესში მონაწილეობის და საკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება გამორიცხულია. ეს პრინციპი არბიტრაჟთან დაკავშირებულ პირველ საერთაშორისო აქტებშიც ფიგურირებდა. დოქტრინაში მაგალითად მოჰყავთ 1927 წლის ჟენევის კონვენცია, რომელმაც აქტუალურობა ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ დაკარგა.<sup>24</sup>

ნიუ იორკის კონვენციის ტექსტიდან გადმოსული ფორმულირება „ჯეროვანი ინფორმირებულობა“ (proper notice) განმარტებას მოითხოვს. მაგალითად, არბიტრების შესახებ ჯეროვანი ინფორმირებულობა აუცილებლად მოიაზრებს მხარეებისათვის მათი ვინაობისა და საქმიანობის გაცნობას, რათა მხარეს მიეცეს აცილების დაყენების შესაძლებლობა თუკი ამის საჭიროებას დაინახავს.<sup>25</sup>

ტერმინი „ჯეროვანი“ შეიძლება ეხებოდეს თვით შეტყობინების შინაარსსაც.<sup>26</sup> ინფორმაციის დამახინჯებულად, არასრულად ან ისეთი ფორმით მიწოდება, რომელიც თავისთავად გამორიცხავს მხარის მიერ ამ ინფორმაციაზე რეაგირების რეალურ შესაძლებლობას არ შეიძლება ჯეროვნად ჩაითვალოს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში იმის გააზრება, რომ მხარის გაფრთხილებას აქვს პრაქტიკული და არა იმდენად ფორმალური მნიშვნელობა. გაფრთხილების ჯეროვნება და პრაქტიკულობა იმაში უნდა გამოიხატებოდეს, რომ ის მხარეს უნდა აძლევდეს საკუთარი უფლებების შეუზღუდავად, სრულად და თავისუფლად დაცვის შესაძლებლობას ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე.

ესპანეთის უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ თვით მხარის მიერ ჩაბარების დადასტურება და მისი ხელმოწერა გადამწყვეტი არ არის. საკმარისია ფოსტის სერვისის წარმომადგენლის ან კურიერის დასტური, რომ მხარეს ფოსტა ნამდვილად ჩაბარდა.<sup>27</sup> არ არსებობს გადამოწმების უნივერსალური მექანიზმი, რამდენად იზიარებენ ამ მიდგომას სხვა ქვეყნების სასამართლოები, თუმცა ეს მიდგომა საკმარისად დასაბუთებულად არ ჩანს. მრავალმილიონიანი საქმეების ბედი ფოსტის რიგითი თანამშრომლის კეთილსინდისიერებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. სადავო არ უნდა იყოს და ყველაზე ობიექტურ სტანდარტად უნდა ჩაითვალოს ფოსტის ან ნებისმიერი სხვა

---

<sup>24</sup> *Jana A., Armer A., Klain K. J., Article V(1) (b): Kronke H., Nacimiento P., Dirk O., Port N.C., (eds.), Recognition and Enforcement of Arbitral Awards, A Global Commentary on The New York Convention, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2010, 232.*

<sup>25</sup> *Jana A., Armer A., Klain K. J., Article V(1) (b): Kronke H., Nacimiento P., Dirk O., Port N.C., (eds.), Recognition and Enforcement of Arbitral Awards, A Global Commentary on The New York Convention, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2010, 241.*

<sup>26</sup> *Jana A., Armer A., Klain K. J., Article V(1) (b): Kronke H., Nacimiento P., Dirk O., Port N.C., (eds.), Recognition and Enforcement of Arbitral Awards, A Global Commentary on The New York Convention, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2010, 241.*

<sup>27</sup> *Jana A., Armer A., Klain Kranenberg J., Article V(1) (b): Kronke H., Nacimiento P., Dirk O., Port N.C. (eds.), Recognition and Enforcement of Arbitral Awards, A Global Commentary on The New York Convention, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2010, 242.*

პირის მიერ მხარისაგან დასტურის (ხელმოწერის) მიღება, რომ დოკუმენტები და ამ დოკუმენტებში ასახული ინფორმაცია მოექცა მისი რეაგირების ფარგლებში და რომ მას აქვს რეალური შესაძლებლობა მოახდინოს სათანადო რეაგირება.

გერმანული სასამართლოების მიდგომა გაცილებით პრაგმატულია. თუ მოპასუხის ზუსტი ადგილსამყოფელის დადგენა ვერ ხერხდება, მაშინ შეტყობინების ფორმალური გაგზავნა მის ბოლო ცნობილ მისამართზე ჩაბარებულად არ შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა თუ დასტურდება რომ მოპასუხე მოიძებნა, მაგრამ მან უარი განაცხადა ჩაბარებაზე, ეს ჩაბარებას უთანაბრდება და მოჰყვება ყველა ის სამართლებრივი შედეგები, რომელიც სრულყოფილად ჩაბარებას მოჰყვებოდა.<sup>28</sup>

სასამართლოების უმრავლესობა არ მიიჩნევს საჭიროდ შეტყობინების ფორმალური შესაბამისობის გადამოწმებას, თუ დასტურდება, რომ მხარემ შეტყობინება მიიღო და მოახდინა კიდევ მასზე რეაგირება.<sup>29</sup>

ხშირია შემთხვევები, როდესაც გაფრთხილების წესსა და პროცედურას დეტალურად არეგულირებს ის ხელშეკრულება, რომელშიც საარბიტრაჟო შეთანხმებაა ჩართული.<sup>30</sup>

შვეიცარული დოქტრინა ყურადღებას ამახვილებს შეტყობინების შინაარსზე, მისგან რეალური ინფორმაციის მიღების შესაძლებლობაზე და არა იმ მეთოდზე (საშუალებაზე) რომელიც შეტყობინებისას იყო გამოყენებული.<sup>31</sup> როგორც მინიმუმ, ამ დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საარბიტრაჟო განხილვის ადგილას მოქმედი სამართალი და მისი მოთხოვნები, რომელიც შეტყობინებას ეხება.<sup>32</sup>

რაც შეეხება დროს, რომლის განმავლობაშიც დოკუმენტები თუ შეტყობინება უნდა იყოს ჩაბარებული, ამასთან დაკავშირებით კონკრეტული კალენდარული და ასტრონომიული დროითი შეზღუდვები სასამართლოების მიერ რეკომენდებული არ არის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფაქტს, ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით რამდენად ჰქონდა შეტყობინებისა თუ დოკუმენტების მიმღებ პირს მათზე რეაგირების პრაქტიკული შესაძლებლობა.<sup>33</sup> ამავე დროს, მხარემ უნდა დაამტკიცოს, რომ დაგვიანებით ჩაბარებამ მისი უფლებების არსებითი შელახვა

---

<sup>28</sup> *Jana A., Armer A., Klain K. J., Article V(1) (b): Kronke H., Nacimiento P., Dirk O., Port N.C., (eds.), Recogniton and Enforcement of Arbitral Awards, A Global Commentary on The New York Convention, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2010, 243.*

<sup>29</sup> *Jana A., Armer A., Klain K. J., Article V(1) (b): Kronke H., Nacimiento P., Dirk O., Port N.C., (eds.), Recogniton and Enforcement of Arbitral Awards, A Global Commentary on The New York Convention, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2010, 243.*

<sup>30</sup> *Jana A., Armer A., Klain K. J., Article V(1) (b): Kronke H., Nacimiento P., Dirk O., Port N.C., (eds.), Recogniton and Enforcement of Arbitral Awards, A Global Commentary on The New York Convention, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2010, 242-243.*

<sup>31</sup> *Kaufmann-Kohler G., Rigozzi A., International Arbitration, Law and Practice in Switzerland, Oxford University Press, Oxford, 2015, 525.*

<sup>32</sup> *Kaufmann-Kohler G., Rigozzi A., International Arbitration, Law and Practice in Switzerland, Oxford University Press, Oxford, 2015, 525.*

<sup>33</sup> *Jana A., Armer A., Klain K. J., Article V(1) (b): Kronke H., Nacimiento P., Dirk O., Port N.C., (eds.), Recogniton and Enforcement of Arbitral Awards, A Global Commentary on The New York Convention, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2010, 244.*

გამოიწვია.<sup>34</sup> თუ დაგვიანებას მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამით მხარის ინტერესები არ შელახულა და მისი უფლებები არ დარღვეულა, მაშინ ამას ვერ მოჰყვება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმა.

მხარის სათანადო წესით გაფრთხილებას როგორც საარბიტრაჟო ინსტიტუტმა, ასევე არბიტრებმა განსაკუთრებულად უნდა მიაქციონ ყურადღება. ამ საკითხთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა მრავალფეროვანიც არის და მრავალრიცხოვანიც.

ევროგაერთიანების სასამართლომ სათანადო წესით გაფრთხილებად არ ჩათვალა დოკუმენტის გაგზავნა თარგმანის გარეშე. ვინაიდან მხარეს ასეთი თარგმანი სჭირდებოდა.<sup>35</sup>

ერთერთ საქმეში არბიტრაჟის შესახებ მოთხოვნა პრეტენზიის ავტორმა მოპასუხეს სამ მისთვის ცნობილ მისამართზე გაუგზავნა და სამივე უკან დაუბრუნდა. არბიტრაჟი გაიმართა რომელშიც მოპასუხეს მონაწილეობა არ მიუღია. პროცესი მოსარჩელემ მოიგო. გადაწყვეტილება აღსასრულებლად წარადგინეს კანადაში, ონტარიოს სასამართლოში. მოპასუხემ მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება იმ საფუძველით რომ მას არ მიუღია თხოვნა არბიტრაჟის შესახებ. (the notice of arbitration). სასამართლომ ჩათვალა, რომ პრეტენდენტმა ყველა სათანადო ზომა მიიღო არბიტრაჟის შესახებ თხოვნის გასაგზავნად, რის გამოც ის მოპასუხის მიერ მიღებულად უნდა ჩაითვალოს.<sup>36</sup>

2000 წელს მიღებული გადაწყვეტილებით ბაიერნის ლანდის უმაღლესმა სასამართლომ უარი უთხრა რუს გამყიდველს გერმანელი მყიდველის წინააღმდეგ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაზე იმ საფუძველით, რომ მოპასუხეს არ მიეცა საშუალება დასწრებოდა ზეპირ საარბიტრაჟო განხილვას.<sup>37</sup>

შეტყობინების მოვალეობა შესრულებულად უნდა ჩაითვალოს, თუ მხარემ და არბიტრაჟმა ყველა საჭირო ზომა მიიღო იმისთვის რომ მეორე მხარისათვის მიეცა საარბიტრაჟო განხილვაში როგორც ზეპირად, ასევე წერილობით მონაწილეობის პრაქტიკული შესაძლებლობა.

ინგლისურ პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როდესაც მხარე იმდენად ავად იყო, რომ ჯეროვანი შეტყობინების პირობებშიც ვერ შეძლებდა პროცესში მონაწილეობას, თუმცა იმის გამო, რომ მისთვის შეტყობინება საერთოდ არ ყოფილა გაგზავნილი, სასამართლომ უარი თქვა ცნობასა და აღსრულებაზე.<sup>38</sup>

---

<sup>34</sup> *Jana A., Armer A., Klain K. J.*, Article V(1) (b): *Kronke H., Nacimiento P., Dirk O., Port N.C.*, (eds.), *Recognition and Enforcement of Arbitral Awards, A Global Commentary on The New York Convention*, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2010, 245.

<sup>35</sup> *Schack H.*, *Internationales Zivilverfahrensrecht*, 2. Neubearbeitete Auflage, München, 1996, 400.

<sup>36</sup> *Sanders, P.*, *The work of UNCITRAL on arbitration and conciliaion second and expanded edition* Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2004,64.

<sup>37</sup> *Sanders, P.*, *The work of UNCITRAL on arbitration and conciliaion second and expanded edition* Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2004,103.

<sup>38</sup> *Merkin R., Flannery L.*, *Arbitration Act 1996, Fourth Edition*, Informa, Abindgon, 2008, 203.

ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლის არსებობის მტკიცების ტვირთი ეკსირება იმ მხარეს, ვინც მიუთითებს ამ საფუძვლის არსებობაზე.<sup>39</sup>

### საჯარო წესრიგი

საჯარო წესრიგის ცნება სტატიკური არ არის. დროთა და გარემოებათა არსებითი ცვლილება, სახელმწიფოს წინსვლისა თუ უკუსვლის დინამიკა იწვევს ცვლილებებს საჯარო წესრიგის იურიდიულ შინაარსში, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს დასადგენია.<sup>40</sup>

“საჯარო წესრიგზე მარტო მაშინ უთითებენ, როდესაც ცნობისა და აღსრულების სხვა საფუძვლებზე მითითების შესაძლებლობა არ არსებობს” – Judge Borrough ეს სიტყვები<sup>41</sup> საქართველოსთვის პირიქით ჟღერს: ჩვენთან სასამართლოც და მხარეები ხშირად უთითებენ საჯარო წესრიგზე იმის მიუხედავად, აქვთ თუ არა სხვა საფუძვლებზე მითითების შესაძლებლობა.

ნიუ-იორკის კონვენციის ტექსტის სიტყვასიტყვითი განმარტებით საჯარო წესრიგის სტანდარტი უნდა შეფასდეს მხოლოდ იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით, სადაც მხარე ითხოვს გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას.<sup>42</sup> შესაბამისად, ასეთი სიტყვასიტყვითი განმარტება აღარ ტოვებს ადგილს ვისაუბროთ „საერთაშორისო საჯარო წესრიგზე“ ვინაიდან ეს უკანასკნელი კონვენციის მიხედვით არასდროს არის შემოწმების საგანი.

შვეიცარიის უზენაესი სასამართლო საჯარო წესრიგის დარღვევად მიიჩნევს ისეთი ფუნდამენტური სამართლებრივი ღირებულებების უგულებელყოფას, რომელიც შვეიცარული მართლწესრიგის მიხედვით აუცილებელია ყველა ცივილიზებული სახელმწიფოსათვის. ასეთი აბსტრაქტული შინაარსის (ან უფრო სწორად კონკრეტული შინაარსის არარსებობის) გამო საჯარო წესრიგს ხშირად ადარებენ ქამელეონს, რომელიც გარემო პირობების ცვლილებასთან ერთად იცვლის ფერს და ცდილობს ადაპტაციას.<sup>43</sup> საჯარო წესრიგის ფუნქცია სწორედ ის არის რომ უზრუნველყოს სამართლებრივი სისტემის სტაბილურობა გარე ფაქტორების დინამიური ცვლის პირობებში.

არ არის აუცილებელი, რომ საჯარო წესრიგი გავიგოთ როგორც წინააღმდეგობა დავის საგნის მიმართ გამოსაყენებელ სამართალთან. ნორმის ინტერპრეტაცია (თუნდაც სასამართლოს აზრით ეს ინტერპრეტაცია უკანონო და დაუსაბუთებელი იყოს) თავისთავად ვერ გახდება საჯარო წესრიგის დარღვევაზე მითითების საფუძველი.<sup>44</sup>

<sup>39</sup> *Jana A., Armer A., Klain K. J.*, Article V(1) (b): *Kronke H., Nacimiento P., Dirk O., Port N.C.*, (eds.), *Recogniton and Enforcement of Arbitral Awards, A Global Commentary on The New York Convention*, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2010, 245.

<sup>40</sup> *Dirk O., Omaia E.*, Article V(2): *Kronke H., Nacimiento P., Dirk O., Port N.C.*, (eds.), *Recogniton and Enforcement of Arbitral Awards, A Global Commentary on The New York Convention*, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2010, 368.

<sup>41</sup> *Dirk O., Omaia E.*, Article V(2): *Kronke H., Nacimiento P., Dirk O., Port N.C.*, (eds.), *Recogniton and Enforcement of Arbitral Awards, A Global Commentary on The New York Convention*, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2010, 365.

<sup>42</sup> *Maurer A.G.*, *The Public Policy Exception Under The New York Convention*, Juris, Huntington (New York), 2012, 54-55.

<sup>43</sup> *Müller C.*, *Swiss Case Law in International Arbitration*, 2<sup>nd</sup> ed., Schulthess, Zürich, 2010, 285.

<sup>44</sup> *Müller C.*, *Swiss Case Law in International Arbitration*, 2<sup>nd</sup> ed., Schulthess, Zürich, 2010, 288.

დარღვევა იმდენად უხეში, აშკარა და ხისტი უნდა იყოს, რომ ის უნდა ქმნიდეს აღიარებული უნივერსალური სამართლებრივი პრინციპების ხელყოფის საფრთხეს.

საჯარო წესრიგი უნდა განიხილებოდეს (და საერთაშორისო პრაქტიკაში განიხილება კიდევ<sup>45</sup>) მხარეების „ბოლო იმედად“, უკანასკნელ შესაძლებლობად იმ შემთხვევებისათვის, როდესაც არბიტრაჟმა ფორმალურად თითქოს შეასრულა თავისი ფუნქცია, მაგრამ პრაქტიკულად რაც მან გააკეთა სხვა არაფერია თუ არა საჯარო წესრიგის აშკარა დარღვევა და გადაცდომა.

საჯარო წესრიგის ტესტი უპირველეს ყოვლისა გულისხმობს სასამართლოს მიერ იმის შემოწმებას, დაირღვევა თუ არა მოცემული სახელმწიფოს ფუნდამენტური სამართლებრივი პრინციპები, თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მის ტერიტორიაზე შესასრულებლად სავალდებულო გახდება.<sup>46</sup>

საარბიტრაჟო განხილვისას მხარის მიერ საჯარო წესრიგის დარღვევაზე მიუთითებლობა არ ართმევს მას ასეთი მითითების უფლებას სასამართლოში.<sup>47</sup>

### გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთების კრიტიკა

ხშირია შემთხვევები, როდესაც არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევებს სასამართლოების აკვალიფიცირებენ როგორც პროცედურული საჯარო წესრიგის დარღვევას. მათ შორის გადაკვეთები იმდენად ინტენსიურია, რომ მხარეების უმრავლესობა ორივე საფუძველზე ერთდროულად უთითებს ხოლმე.<sup>48</sup> ამით მხარეს სურს თავისი არგუმენტაცია საპროცესო დარღვევებზე უფრო მწვავედ წარმოაჩინოს და სასურველ შედეგს მიაღწიოს. მხარის მცდელობა და მისი მოტივაცია აბსოლუტურად გასაგებად და მისაღებად გამოიყურება, თუმცა მეორეა თავად სასამართლოს პოზიცია, რომელმაც უნდა შეაფასოს რა კავშირია ამ საფუძველებს შორის და რატომ არის ისინი მოცემული ცალ ცალკე როგორც ნიუ-იორკის კონვენციაში, ასევე მოდელურ კანონში და ამ უკანასკნელის მიხედვით შექმნილ ქართულ კანონმდებლობაში.

ვან დენ ბერგი თვლის, რომ თუ ფაქტობრივი გარემოებები ამის მტკიცების საშუალებას იძლევიან, ორივე საფუძველი (მხარის არასათანადო ინფორმირება, საჯარო

---

<sup>45</sup> *Dirk O., Omaia E., Article V(2): Kronke H., Nacimiento P., Dirk O., Port N.C., (eds.), Recogniton and Enforcement of Arbitral Awards, A Global Commentary on The New York Convention, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2010, 365.*

<sup>46</sup> *Dirk O., Omaia E., Article V(2): Kronke H., Nacimiento P., Dirk O., Port N.C., (eds), Recogniton and Enforcement of Arbitral Awards, A Global Commentary on The New York Convention, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2010, 366.*

<sup>47</sup> *Dirk O., Omaia E., Article V(2): Kronke H., Nacimiento P., Dirk O., Port N.C., (eds.), Recogniton and Enforcement of Arbitral Awards, A Global Commentary on The New York Convention, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2010, 367.*

<sup>48</sup> *Jana A., Armer A., Klain K. J., Article V(1) (b): Kronke H., Nacimiento P., Dirk O., Port N.C., (eds.), Recogniton and Enforcement of Arbitral Awards, A Global Commentary on The New York Convention, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2010, 234-235.*

წესრიგი) შეიძლება ერთდროულადაც იქნეს გამოყენებული.<sup>49</sup> ამ შემთხვევაში ავტორიტეტული პრაქტიკოსისა და თეორიტიკოსის მოსაზრება ქართული სასამართლოს მხარდამჭერად მაინც არ გამოდგება, ვინაიდან აქ ვან დენ ბერგი წინაპირობად განიხილავს შესაბამისი ფაქტობრივი გარემოების არსებობას. თუ ფაქტობრივი გარემოება მხოლოდ ერთი საფუძვლის არსებობას მიუთითებს, მისგან მეორის გამოყვანა არასწორ განმარტებად უნდა ჩაითვალოს. მაგალითად, თუ მხარე საარბიტრაჟო პროცესში კვალიფიციური იურისტის მხარდაჭერით მონაწილეობდა და იყენებდა ყველა საპროცესო უფლებას, შედეგის მიუხედავად მას საპროცესო დარღვევებზე და საჯარო წესრიგზე ერთდროულად მითითების უფლება და შესაძლებლობა არ უნდა ჰქონდეს.<sup>50</sup>

შვეიცარიის უზენაესი სასამართლო მიიჩნევს, რომ ნიუ იორკის კონვენციის მე-5 მუხლის პირველი და მეორე ნაწილები ერთმანეთს ავსებენ, მეორე ნაწილის ნორმები (მათ შორის მითითება საჯარო წესრიგზე) გამოყენებული უნდა იყოს მაშინ, როდესაც პირველი ნაწილით გათვალისწინებული ცნობისა და აღსრულების სპეციალური საფუძვლები არ არსებობს. საჯარო წესრიგის დათქმას აქვს სუბსიდიური ხასიათი და მისი ფუნქციაა ისეთი მდგომარეობის თავიდან აცილება, როდესაც კონკრეტულ საფუძვლებზე მითითება ვერ ხერხდება, თუმცა აშკარაა რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება დააზარალებს საჯარო ინტერესს.<sup>51</sup>

საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, რომ საჯარო წესრიგის დარღვევაზე მითითებით არგუმენტირებული მხარის შუამდგომლობა ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ, იშვიათად კმაყოფილდება.<sup>52</sup>

ქართული სასამართლოებისაგან (მათ შორის უზენაესი სასამართლოსაგან) განსხვავებით, შეფასებას, რომ საპროცესო დარღვევებსა (მათ შორის მხარისათვის შეუტყობინებლობას ან არასათანადო შეტყობინებას) და საჯარო წესრიგის ხელყოფას შორის სხვაობა არსებობს და მათი ერთმანეთთან გაიგივება არ შეიძლება - საერთაშორისო დოქტრინასა და პრაქტიკაში სადავოდ ნაკლებად ხდიან.<sup>53</sup>

### საბოლოო შეფასება

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არსებითად სწორად გაართვა თავი მის წინაშე დასმულ ამოცანას, როდესაც უარი თქვა უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე.

---

<sup>49</sup> *Jana A., Armer A., Klain K. J., Article V(1) (b): Kronke H., Nacimiento P., Dirk O., Port N.C., (eds), Recogniton and Enforcement of Arbitral Awards, A Global Commentary on The New York Convention, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2010, 237.*

<sup>50</sup> *Jana A., Armer A., Klain K. J., Article V(1) (b): Kronke H., Nacimiento P., Dirk O., Port N.C., (eds), Recogniton and Enforcement of Arbitral Awards, A Global Commentary on The New York Convention, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2010, 237.*

<sup>51</sup> *Müller C., Swiss Case Law in International Arbitration, 2<sup>nd</sup> ed.,, Schulthess, Zürich, 2010, 436.*

<sup>52</sup> *Kaufmann-Kohler G., Rigozzi A., International Arbitration, Law and Practice in Switzerland, Oxford University Press, Oxford, 2015, 530.*

<sup>53</sup> *Jana A., Armer A., Klain K. J., Article V(1) (b): Kronke H., Nacimiento P., Dirk O., Port N.C., (eds), Recogniton and Enforcement of Arbitral Awards, A Global Commentary on The New York Convention, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2010, 232.*

ზემოაღნიშნული არ გამორიცხავს უზენაესი სასამართლოს ვალდებულებას მომავალში უფრო სიღრმისეულად დაასაბუთოს მსგავსება და განსხვავება არსებით საპროცესო დარღვევებსა და საჯარო წესრიგისადმი გადაწყვეტილების წინააღმდეგობას შორის.

უზენაესი სასამართლოს ეს ფუნქცია განსაკუთრებით აქტუალურია სააპელაციო სასამართლოების (განსაკუთრებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს) პრაქტიკის გათვალისწინებით. ეს უკანასკნელნი ნაკლებად ითვალისწინებენ საჯარო წესრიგისადმი წინააღმდეგობის დადგენის საერთაშორისო პრაქტიკის მიერ შემუშავებულ სტანდარტებს და ამ ნორმას ხშირად საკმაოდ ზედაპირული დასაბუთებით, ან საერთოდ დასაბუთების გარეშეც კი იყენებენ.